

114
1961/92

საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
ცენტრი

მელომბი



6

1 9 6 1 1

მნათობი

საბჭოთა
კავშირის

საბჭოთა კავშირის ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 38-ე

№ 6

ივნისი, 1961 წ.

საქართველოს საბჭოთა მწიგნობის კავშირის ორგანო

შ ი ნ ა კ რ ს ი

აკაკი ბელაშვილი — შეიღაცა. რომანი, გაგრძელება	3
ირაკლი აბაშიძე — ხმა ჯვარის მონასტერში. ლექსი	21
სერგო კლდიაშვილი — კეთილი დედაკაცი. მოთხრობა	23
რევაზ მარჯანი — ლექსები	26
ბორის ჩხვიძე — ავტობუსი № 37. მოთხრობა	27
ბონდო კეშელავა — ნოე ჩხიკვაძეს. ლექსი	38
ანდრო ლომიძე — მონადირის მოთხრობები	39
ედიშერ უფიანი — ადამიანი, რკინა და ძაღლი. მოთხრობა	44
შალვა ფორჩხიძე — კვლავ შენთანა ვარ, სარწმუნო ჩემო! პოემა	52
იან ჩაინიხი — გაზაფხულის ქარი. ლექსი. თარგმანი ლიტერატიდან, ალიო მირცხუ- ლაევასი	60
ჯერომ ხელინჯერი — თამაში ქვეყის უნაში. რომანი. გაგრძელება. თარგმანი ინგლისური- დან ვახტანგ კელიძისა	63

ზვიდწლადის მოწინავენი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის შეახვედრად	
ვიორგი ნატროშვილი — შინა და აღამიანები	79
ლადო ხულაბერიძე — მთავარი მაგისტრალის იქით. ნარკვევი	86

ბალინსკის დაბადების 150 წლისთავი

ვანო შადერი — რუსული კრიტიკის კორიფე	94
(იხ. შეორე გვ.)	

გამომცემლობა „საბჭოთა მწიგნობი“





შალვა გოწალიშვილი — ვაჟა-ფშაველას გამოუქვეყნებელი პუბლიცისტიური სტატიები 101
 ვახტანგ რაჭიაშვილი — მამაჩემი ვაჟა-ფშაველა 106

პრიტიკა და პუბლიცისტიკა

ზურაბ კუმბურძე — ფიქრები საბავშვო ლიტერატურის ენაზე 114
 კ. ჩარკვიანი — მენშევიკების ეკონომიური პოლიტიკის კრახი. დამასრული 121
 ჯასტონ ბუაჩიძე — სენ-ჟონ პერსის პოეზია 136
 ვარლამ კალაძე — შენიშვნები მხატვრული სრულყოფის საკითხებზე 147

წიგნები და აღმანიშნები

შალვა აფხაიძე — ტიციან ტაბიძე. ვაგრაჟი 156
 გივი მუფსისაშვილი — მესხების ოჯახი 167

ისტორია და ფილოსოფია

იარომირ იეფლიჩკა — იაკობის ეპისწირვის ხელნაწერი პრაპაში 175
 შოთა ბაღრაძე — მცირე შენიშვნები ნიკორწმინდის სააღმშენებლო წარწერაზე 181

წიგნების მიმოხილვა

ელადიმერ ჯიბუტი — ალ. აბაშელის ლექსების მეორე ტომი 184
 შ. ჩხეტია, ვ. ჯიქია — ყირიმის ომი და საქართველო 186
 კ. ფაღავა — სპარსული ხალხური ზღაპრები ქართულად 189
 ახალი წიგნები 192

რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

ს ა რ ე დ ა ქ ც ი თ კ ო ლ ე გ ი ა :

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,
 ე. მაღრაძე (პ/მგ. მდივანი), ბ. ქლენტი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42; 2-11-66.

ბელმოწერილია დასაბეჭდად 4/VI-61 წ. ქაღალდის ზომა 70×108. ანაწყოების ზომა 7 1/4×12 1/2.
 ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16. უე 02560
 ტრაჟი 6500. შეკვეთა № 928.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფიკამოწყობლობის
 ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

აპაი ბალიაშვილი

შვიდგაცა*

თვალი რომ გავახილე, პირველად ვერც მივხვდი, სად ვიყავი. თენდებოდა და მთელი მიდამო მოლურჯო ბინდში იყო გახვეული. ისმოდა ჩიტების მხიარული ჟრიაბული და სადღაც, შორს, ყიოდნენ მამლები.

ლექტიციას ეძინა. საბნად ჩემი პიჯაკი ეფარა, მუშტისოდენად მოკრუნჩხულიყო და თავი ჩემს ილლიაში ჰქონდა შერგული. შემეშინდა, არ გავადვიძო-მეთქი და გავირინდე. თვალს ვადევნებდი ბუნების ნელ-ნელა გამოღვიძებას და დილის ფერების ცვლას. ცა ჯერ რუხი იყო, მერე — შუშასავით გამჟვირვალე, მერე ვარდისფრად აელვარდა.

ისევ მომერია ძილი და სანეტარო თვლემამ შემბოჭა. მთელი სხეული ნაცემივით მტკიოდა. აღარ მახსოვს, ისევ დამეძინა თუ მაშინვე ჩამესმა ყურში ჯერ ძალღების ყეფა, ნახირის ფეხის ხმა და შემდეგ ზედ ყურთან ხმამალა თქმული:

— აგერ ცოლ-ქმარი ყოფილან და გემრიელად სძინავთ შიდე.

ლექტიციამ გაიღვიძა და დაფეთებულევით წამოიჭრა. მერე დამშვიდდა, თვალეები მოიფშვინტა, ორივე მკლავი კისერზე შემომამკდო და ტუჩებზე დამაცხრა. მე, როგორც იქნა, თავი მოეწყვიტე და შემკრთალმა წაფხურჩხულე:

— გვიცქერიან.

— ეჰ, მერე რა. ხომ თქვეს, ცოლ-

ქმარი ყოფილანო, — გაიცინა, პიჯაკი გადაიძრო და ჩაცმას შეუდგა.

მე გამოვედი მანქანიდან, მწყემსები-საგან რომ გამეგო, სად ვიყავით, ან თუ შოფერს ვიპოვიდი სადმე, მაგრამ ლექტიციამ შემაჩერა.

— არ გინდა. აქ თავდაღმართია. მომეხმარე, მანქანა დაეაგოროთ და ავაშუშაებ.

სწრაფად ჩაიცვა, საზურგე ააყენა და საკვსთან დაჯდა. მე სოფლის ბიჭები მოვიხმარე და მანქანა დაეაგოროთ, მართლაც, მოტორი სწრაფად ამუშავდა და მალე ორივენი უკანვე მივკროდი.

— მოდი, სადმე წყაროსთან პირი დავიბანოთ, — მითხრა ლექტიციამ.

— დავიბანოთ.

— მერე სადმე კარგად ვისაუზმოთ.

— ვისაუზმოთ.

— მერე სადმე ზღვისპირად მანქანა გავაჩეროთ და ვიბანოთ.

— ვიბანოთ.

— მერე... მერე რა ვქნათ? — ლექტიციამ სწრაფად შემომხედა და გამიღიმა. — მითხარი, ძალიან ცუდი წარმოდგენის ხარ ჩემზე?

— რად უნდა ვიყო ცუდი წარმოდგენის.

— არა ხარ?

— აი, აგერ წყარო.

ლექტიციამ მანქანა დაამუხრტვა და ორივე მივეუახლოვდით თლილი ქვით ნაგებ წყაროს, რომლის რკინის მილიდან გადმოკიდებულყო ანკარა წყლის გრძელი ენა. ცივმა წყალმა ორივე სწრაფად გამოგვაფხიზლა და გამოგვაცოცხლა.

ორივემ უნებურად ყურადღება მი-

* გაგრძელება იხ. „მნათობი“ № 11, 12 1960 წ., № 1, 2, 4, 5.

ვაქციეთ ლავგარდანზე ამოკვეთილ წარწერას.

„ეს წყარო ავაგეთ ფრონტზე დაღუპული ჩვენი შეილის ჯგმალის სახსოვრად მისმა გულდამწვარმა შშობლებმა“.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, ეს მართლადა წმინდა წყარო ყოფილა, — აღმოხდა ლეტიციას. — ნუთუ იგი ცოდვილ სულს არ განკურნავს? აჰ, როგორ მიხარია, რომ ასეთ წყაროზე პირი დავიბანე... მაშ მე ნამდვილი ბედნიერების ზღურბლზე ვაღამიბიჯებია, რაკი განგებამ გზაზე ეს წყარო შემაგება.

მოდით აქ...

ორივე მკლავი კისერზე მომხვია და ცივი ტუჩებით ტუჩებზე დამეკონა.

მერე ისევ ვისხედით იმ ზღვისპირა რესტორანში და ლეტიცია აქაც კი ახერხებდა სიმბოლურად ეკოცნა ჩემთვის. თითს ტუჩზე მიიდებდა, და მერე ჩემი კიქის იმ კიდეს დაადებდა, რომლითაც იგი ტუჩზე უნდა მიმედგა, ან იმ პურის ყუას, რომელიც უნდა მომეკებინა და ეს ნიშნავდა, რომ ჩვენ ერთმანეთს ვკოცნიდით. მაგიდის ქვეშ თავის ფეხებს ჩემს ფეხებში ხლართავდა, თმებს თითებით მიწეწავდა, ჯიბეებში ხელებს მიყოფდა, გამითბეო, და ერთი ასეთი ალერსიანობის დროს მან ჯიბიდან ცისანას წერილი ამომამძრო, ზევიდან დახედა და მკითხა.

— ვისგანაა?

პირს კატა მეცა, მაგრამ შევეცადე, არ შემჩნეოდა რაშე და ნაძალადევი გულგრილობით ვუბასუხე:

— სატრფოსაგან.

ერთი კი დაუარა მთელ ტანში ელვამ და თითქოს დააპირა კიდევ ამოედო წერილი კონვერტიდან, მაგრამ ისევ ჩამიდო ჯიბეში და მითხრა:

— არა, რაკი გულწრფელად მითხარი, ვისგანაა, აღარ არის საჭირო ამის წაკითხვა. ისე კი, უნდა გითხრა, სასტიკად ექვიანი ვარ.

— მაშ შენც იყავი ჩემთან გულწრფელი.

ლეტიცია შეკრთა. მას ღრუბელმა გააღურბინა სახეზე. ეტყობოდა, ჩემი

კითხვის ეშინოდა. ჩემთვის არც შემოუხედავს, ისე მესროლდა.

— თქვი, მკითხე რაც გინდა, მერე სწრაფად ხელი ხელზე დამადო და მითხრა: — მოიცა, თუ მიგხვდით, ვიზედაც გეკითხები ან რას მეკითხები, მაშინ იმით დაკმაყოფილდი, რაც გითხრა. მხოლოდ იცოდე, რომ ტყუილს არ გეტყვი, კარგი?

— კარგი.

— სანატორიუმის დირექტორზე, ზაურზე მეკითხები, რა იყო ჩვენ შორის, ხომ?

— მართალია.

— იცი, რა, ჩვენ შორის არაფერი არ ყოფილა ჩვენ შარშან შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს. დამიწყო ლოლიავი. მართალი გითხრა, მომეწონა. ის ისეთია, არ შეიძლება, ჭალს არ მოეწონოს. მერე წერილებს მწერდა და ამ სანატორიუმში საგზური მაგან მომიწყო. ჩამოვედი, მეგონა, ჩემზე დარდით ჩამომხმარა დამიხედებოდა, მაგას კი სასწრაფო რომანი გაუბამს თავის თანამშრომელ ახალ ექიმთან. საშინლად შოკირებული ვიყავი, წასვლაც კი ვადავწყვიტე, მაგრამ ამ დროს ვხედავ, ჩემთან მაგიდას უხის ერთი ახალგაზრდა ქაბუჯი, ნე-ტო ავთანდილი, ნე-ტო ტარიელი, ნე-ტო რუდოლფ ვალენტინო... ახლა ძალიან კი ნუ გაიპრანჭები და მაშინ კი ვთქვი გუნებაში, აი ჩემი ნამდვილი პირველი და უკანასკნელი სიყვარული-მეთქი!

ლეტიცია ერთხანს აციმციმებული სახით მიცქეროდა. მერე თავი დახარა და თითქმის ჩურჩულით მითხრა:

— იცი რა, ნოდარ. მე შენ არაფერს არ ვთხოვ და არც არაფრით ვავალდებულებ. შენ არაჩვეულებრივად კარგი ხარ. მოდი, სანამ მაგ შენს გულს სურს, მანამდე ავრე კარგი იყავი. დაე, ეგ შენისიკარგე თუნდაც ერთ დღეზე მეტს არ გავრძელებდი, მაგრამ ამ ერთ დღეს მაგრძნობინე შენი აღამიანური სილიადე, შენი სულიერი სისხეტაკე, შენი რაინდული ვაქცაობა.

კვლავ გაჩუმდა. მეც ჩუმად ვიყავი და

ველოდი, კიდევ რას მეტყვოდა. მაგიდაზე ხელი გავაცურე და მისი პატარა ხელი თითებში მოვიგდე, ოდნავ მოვეუქირე. იმანაც მიპასუხა ხელის ასეთივე მოძრაობით.

— იცი, რა, — მითხრა მან,—მე არასოდეს არ გკითხავ, გიყვარვარ თუ არა. უსიტყვოდ დავინახავ და ამოვიკითხავ შენს თვალებში ყველაფერს. იცოდე, იმ წამსვე მიმატოვე, რადგან, თუ ჩემს მიმართ გული გაგიცივდა, მე ასეთ მამაკაცთან ერთ წუთს ვეღარ გავძლებ.

შართლაც რომ კარგი გოგო იყო ეს ქალი.

სანატორიუმში დღის თორმეტ საათზე დავბრუნდით. ჩვენი არ ყოფნა ყველას გაეგო და თურმე შემფოთებულები დაგვეტებდნენ. ეგონათ, ვაითუ ლეტიციამ მანქანა სადმე გადაჩეხა და ორივენი ავარიის მსხვერპლი შეიქნენო. როდესაც ორივე უვნებლად დავბრუნდით, ახლა, მგონი, ეს ეწყინათ და ჩვენდა გასაგონად არც ისე სანაქებო მოსაზრებებით გეჩხვლეტდნენ.

ჩვენ ამ მითქმა-მოთქმას, სისინს და ჩურჩულ-პუტუნს არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდით. ყოველდღე დაეპაროლებდით მანქანას და ლეტიციას დახმარებით ვსწავლობდი მანქანის მართვას. საბანაოდაც ერთად დავდიოდით, კინოშიაც, ღამეებს ხანდახან ტყეში ვათევედით, ვანთებდით ცეცხლს და ვყვებოდით ზღაპრებს.

ერთ დღეს ლეტიცია მოვიდა ჩემთან და მითხრა:

— ერთი რამე უნდა გთხოვო, თუ არ გეწყინება. პირობა მომეცი, რომ შემისრულე.

— რა?

— არა, ჯერ პირობა მომეცი.

— კარგი.

— ჩვენ ხომ მეგობრები ვართ.

— ვართ.

— უანგარო მეგობრები.

— სწორია.

— მე მინდა, რომ შენ ყველას სჯობდე ამ აგარაკზე ჩაცმულობითაც. მოიცა ჯერ დამაცალე ვთქვა. მე გიყიდე ის

კოსტუმი და მინდა ჩემი სიყვარულის ნიშნად ატარო. ჩაიცვამ?

— მხოლოდ ერთი პირობით!

— მაინც?

— მაგის ფულს უახლოეს ხანში გადაგიხდი.

— სულელო, განა საჩუქარში ფულს იხდიან.

— რაო?

— გექნება ფული, მერე შენ მაჩუქებ რამეს და გაათავდა. ბარიბარ ვიქნებით.

ასე „მასესხა“ ლეტიციამ ეს კოსტუმი, მერე ახალმოდური მოკასინები, თეთრი პერანგები, ჰალსტუხები და ისე მომართო და მომეკაზმა, როგორც პატარა გოგონები თავის სათამაშო ტიკინებს მორთავენ ხოლმე. ამ ჩაცმა-დახურვამ კი ისე გამომაჩინა, რომ, როდესაც გავივილიდი, ყველას თვალი რჩებოდა ჩემზე. თანაც, მზე ისე მომეკიდა და დამწვა ყავისფრად, კაცს აფრიკიდან ჩამოსული ვეგონებოდი.

— ბიჭო, სადა გაქვს ამდენი ფული, ასე რომ გამოშტრიწყდი ამ კოსტუმში? მითხრა ერთხელ იაკობმა. — ხომ არავინ გაძარცვე?

— ბიძია იაკობ, თქვენ ვერ დაგიმაღლავთ და ნამდვილს გეტყვით, ყველაფერი ეს ლეტიციამ მიყიდა.

ჩემს კილოში ოდნავ სიამაყეც კი შეიძინეოდა. მინდოდა მეგრძნობინებია იაკობისათვის, შემხედე, რა ბიჭი ვარ, ქალს ისე შევეუყვარდი, თვითონ არ იზოგავს თავს და იხარჯება-მეთქი.

იაკობმა კი ოდნავ დამცინავად შემომხედა და ცოტა გაჭიანურებით მითხრა:

— ალფონსობა დაგიწყია?

— რა დამიწყია? — დამცეცხლა გუნებაში. რაღაც უცნაურს მეტყვის, ალბათ, ეს მოხუცებული.

— ალფონსობა. მამაკაცი რომ ქალის ხარჯზე დაიწყებს ცხოვრებას, იმათ ალფონსებს ეძახიან. დასაუღეთში და, საერთოდ, კაპიტალისტურ ქვეყნებში არიან ისეთი ქამგადასული, ჰკნობაში შესული მდიდარი დედაკაცები, რომლებიც შენისთანა ბიჭებს ჩაიგდებენ ხელ-

ში, ასმევენ, აბმევენ აცმევენ, ახურავენ, ფულებს აძლევენ და ჯილდოდ მათ სიყვარულს ყიდულობენ. ასეთებს ალფონსებს ეძახიან. არიან კიდევ ამაზე უარესები... მათ სუტენიორები ჰქვია. ისინი თავიანთ საყვარლებს საკახპოდ გზავნიან და ასეთი გზით ნაშოვნი ფულებით დროებას ატარებენ...

სილა რომ გაეწნათ ჩემთვის, იმდენად არ ვიგრძნობდი შეურაცხყოფილად თავს, როგორც ახლა. მაშინვე გავიძრე ყველაფერი, ჩავიცვი ჩემი მოჯღანული კოსტუმი, ხოლო ყველაფერი, რაც იმ ქალისაგან მქონდა მიღებული, გავასუფთავე, დაკვიცე შევახვეე და უკან დავუბრუნე.

— ეს რაა? — მკითხა გოცებულმა ლეტიციამ და წარბები შეიკრა.

— არ გეწყინოთ, მაგრამ ყველაფერს უკანვე ვიბრუნებთ, — ვუთხარი ოდნავ შემკრთალობა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ არ მინდა ალფონსი ვიყო.

— ალფონსი? ვინ გასწავლა ეგ სიტყვა?

— იაკობმა.

— წამოდი ჩემთან, — წამავლო ხელი ლეტიციამ. — სად არის ახლა თვითონ?

— თავის ოთახში.

— წავიდეთ.

აფთარივით შეიჭრა მასთან და ამ მოხუც კაცს თამამად დაუდგა წინ.

— ბიძია იაკობ, მე თქვენ მამასავით მიყვარდით.

— რა იყო, ქალო, რამ გაგაცეცლა აგრე? — მშვიდად ჰკითხა მან.

— რატომ შეურაცხყოფთ მეც და ამასაც? — მიუთითა ლეტიციამ ჩემზე. — როგორ? განა მე ამის სიყვარულს ვყიდულობ?

— არა მგონია, თუმცა... — იაკობი დაიბნა, არ იცოდა, თვალები სად წაეღო — განა მე... განა იმიტომ ვუთხარი... საერთოდ, როცა მამაკაცი ქალის ხარჯზე ცხოვრობს, ასეთი რამ ქართველი კაცის ბუნებაში არ არის... ეს ალფონსობაა და რად უნდა გაფუჭდეს ახალ-

გაზრდა კაცი, როდესაც ჯერ კიდევ ერთი სერიოზული ნაბიჯი არ გადაუდგამს ცხოვრებაში.

გონიერებისა

— როგორ, თქვენ ფიქრობთ, რომ თუკი მამაკაცები ცდილობენ ჩვენი გულის მოსყიდვას ძვირფასი საჩუქრებით, განა ჩვენც ასე ჩავდივართ? განა მე ამის მოსყიდვა მჭირდებოდა? მართალია, რვა წლითა ვარ ამაზე უფროსი, მაგრამ ამა შემოგვხედეთ, ვინ უფრო უფროსად გამოიყურება.

— არა, მე მაგას არ მოგახსენებ, ქალო, მე არ მინდა ამ ბიჭმა პარაზიტული ცხოვრება ისწავლოს. პატროსანი დედამისი შეილია და საკუთარი შრომით მოპოებული ლუკმის გემო უნდა იცოდეს. გაიგე? თავმოყვარეობის გრძნობა არ უნდა დაკარგოს.

— რად... რად უნდა დაკარგოს თავმოყვარეობის გრ...გრძნობა, — ლეტიციას მოულოდნელად გული აუჩუყდა და ცრემლები წასკდა. — განა მოსიყვარულე ადამიანებში თავმოყვარეობის ანგარიშები არსებობს? განა ჩვენს ქვეყანაში ქალი და კაცი თანასწორი უფლებებით არ...არ...სარ...სარგებლო....

სლუკუნებდა ლეტიცია და ცრემლები თქრიალით სდიოდა. მე მზად ვიყავი, შუაზე გამეგლიჯა ეს უჯლითი მოხუცი, რომ არ შემემჩნია მის სახეზე უაღრესი შეწუხება.

იგი მიუახლოვდა ლეტიციას, თავზე ხელი გადაუსვა და დაყვავებით უთხრა:

— კარგი, დაწყნარდი. მე სიმართლას თქმა მიყვარს, მერწმუნე, რომ თავმოყვარე თუნდაც მშვიერ და შიშველ ადამიანთან მეგობრობა გერჩიოს თავმოყვარეობადაკარგულ ალფონსებ... ფუ, აღარ ვიტყვი ამ სიტყვას.

— კაც ვი ვესტოკი, ბიძია იაკობ, როგორი უღმობელი ყოფილხართ? — უფრო აღრიალდა ლეტიცია და ოთახიდან გავარდა.

ერთ წუთს კი ვყოყმანობდი, მაგრამ მერე მოვწყდი ადგილიდან და მოჯადოებულავით უკან დავედევნე, რომ დაემშვიდებინა, ნუგეში მეცა და ცოტა

მეც დავმშვიდებულეყავ. მთელი სხეული ციებაშეპყრობილივით მიცახცახებდა.



სად ვიყავი, უფსკრულში თუ მაღალ მწვერვალზე? თუმცა, ვანა შეიძლება უფსკრული ვუწოდო იმ მდგომარეობას, რომელშიაც მე მოვექეცი! იწავე საღამოს ლექციამ ვადაპრით გამოიციხადა:

— გიყვარვარ, ხომ? უჩემოდ ერთი წუთი სიცოცხლეც არ შეგიძლია, ხომ? ჩვენ ერთმანეთისათვის ვყოფილვართ განენილი, ხომ? იცი რა გითხრა: შენ რომ ბედს შეეყარე, ასეთს შეიძლება ას მილიონ ახალგაზრდაში ერთიც არ შეეყაროს. ცხოვრებამ ხელში მარტო ჩემი თავი კი არა, უდიდესი ბედნიერება ჩავიგდო, თუ ჰქუა გაქვს, ესეც მოიხმარე. მოდი, მივაფურთხოთ ამ სანატორიუმს და ზვალვე წავიდეთ აქედან. ჩემთან წავიდეთ. თბილისში. იქ სუთოთახიანი ბინა მაქვს და სულ მარტო ვცხოვრობ. ახლა სახლში დედაჩემი მყავს დატოვებული, როცა ჩავალთ, დედა თავის ბინაში წავა. ის ცალკე ცხოვრობს თავის ბინაში. შენ იქნები ჩემთან, მარტო შენ. ორივე ვიქნებით ერთად. უნაღლესში მოგაწყობ, დაჯექი და ისწავლე, რამდენიც გინდა. ვახდი მეციერი, პროფესორი, აკადემიკოსი. არაფერი არ დაგვირდება ცხოვრებაში. მე ყველაფერი მაქვს, ყველაფერი. ბეჭდი, ძალიან ბეჭდი ფული. საიდან? შენთვის რა მნიშვნელობა აქვს, საიდან. მეც ასე, შენსავით, გამოიღმა ბედმა და იქიდან. ხილი იხილე, მებაღეს რას კითხულობ. მერე გიანძობ ყველაფერს. საიდან და როგორ? მაინც გინდა, იცოდე? მამაჩემი პროფესორი იყო, ექიმი. მთელი საქართველოდან მასთან მოდიოდნენ. რუსეთიდანაც. ფული სად შეგვენახა არ ვიცოდით. მარტო ჩემს სახელზე შემნახველ საღარიბოში შეტანალო

ჰქონდა... არა... ვიცი, რომ შენ ეგ სულაც არ გაინტერესებს. მამა ჩოღინაჩი? დილის ხუთ საათზე დავეტოვეთ სანატორიუმი. გაციებული ვიყავი, ეს განებივრებული და დილის ძილის მოყვარული ქალი ასე ადრე რომ ადგა. მანქანა ვავტენეთ მისი ძვირფასი ტყავის ჩემოდნებით, ზედ ჩემიც დავუმატეთ, თუმცა გამოსახენი კი არ იყო, მაგრამ ვერსად გადავადგე და რა მექნა. ლექციან. მითხრა, გზაში გადავადგოთ, სადმე, არაუშავსო.

ვაჯაქროლეთ მანქანა ამ მიძინებულ დაბის ქუჩებზე და გავუყვიეთ გზას თბილისისაკენ. ვისთვის მეცქირა ახლადგაღვიძებული და მომხიბლავი ბუნებისათვის, თუ ამ თმაბურძგნული და უფრო მომხიბლავი ქალისთვის — აღარ ვიცოდი. ნახევარ სიცოცხლეს დავთმობდი ახლა იმისათვის, რომ ერთი ჩვენს ბიჭებს დავენახე, რა დღეში ვიყავი და სად ჩიქროდი. ისინი ახლა, ალბათ, იცვამდნენ და ემზადებოდნენ მაღაროში წასასვლელად. სინუსა ამოქნარებს, ცივი წყლით პირს იბანს და ჩემზე ამბობს, ის ცივანი ნოდარა ახლა გაფუნჩული წევს ზღვისპირზე ქათქათა ლოგინში და მე სად მივდივარ ამ ნესტიან ვეირაბშიო. პარმენა ეუბნება, თუ აგრე გინდა, დაამტვრევეთ თავი პიერკვადრატას და შენც ვაგაგზავნიან ზღვისპირზეო. მე კი მივჭრი ამ გასლიპინებულ გზატკეცილზე, გადათხლავთელი გაკრიალებულ მანქანაში, და ვის ჩიქვევარ თუ იცით, ბიჭებო, ამ ჰქუის ამრევე, ამ გამაგიყებელ არსებას, ამ... ერთი შეგახედათ! დავანახათ, რა ქალია, გრძნობს ეს უგაჩვენო, ასე რომ ვდნები მისი ცქერით! მანქანას გზისკიდურზე აჩერებს, კისერზე ორივე ხელს მხვევს, ტუჩს ტუჩზე მასკენის, მერე ისევე საქვს უბრუნდება და მივჭრით, მივჭრით, გავიარეთ ნატანები, ლანჩხუთი, გავედით რიონის ხიდზე. სამტრედიასი ვისაუზნეთ, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას, ჩავუქროლეთ, ძირულის ვიწროებში შევიჭრით და

შუადღე არც იყო მოსული, რომ სურამის უღელტეხილიდან ქართლის დაბლობებს გადაეხედეთ. ხშირად ვაჩერებთ ხოლმე მანქანას და გადავცქერით საქართველოს ლამაზ ბუნებას. თუ გარშემო ვერაყის ვხედავთ, ისევ ვაცოცხლებთ რუსთაველის სტრიქონს: „ტუჩი ტუჩისა შეეწება, გადაეჭლო ყელი ყელსა“.

— სიზმარში ვარ? — მეკითხება ლეტიცია.

— სიზმარში, მგონი, მე ვარ,—ვეუბნები გაბრუებული და მთვრალი ამ უსახლვრო ბედნიერებით.

ნანქანა გზიდან აბიბინებულ მოღზე გადავიყვანეთ და ხის ძირას ჩრდილში დავსხედით. დაღლილი ვარ, უნდა დავისვენო, განმიცხადა ლეტიციამ, ქვეშ პალტო და ჩემი პიჯაკი გაიგო და ბავშვივით ერთ წუთში ჩაეძინა. მე დარაჯად ვადექი თავზე. ორ საათზე მეტი ეძინა. ერთი სიტყვით, მანამდე, სანამ შხემ ხის ჩრდილი არ გადახადა და თვალეზში არ ჩახედა. მერე შეიმშშინა, გაიზმორა, ფეხზე წამოიჭრა და გზას გავუდექით.

ან მხარეს პირველად ვიყავი ჩემს სიცოცხლეში, მაგრამ ყველაფერს ვცნობდი, რადგან ბევრჯერ მენახა ყველა ეს ადგილი, ან კინოში, ან ჟურნალ-გაზეთებში.

გორში ვისადილეთ, შემდეგ წავედით სტალინის სახლის დასათვალისწინებლად. წინ ლეტიცია მიმიძღოდა და მიხსნიდა: ეს ის ოთახია, სადაც სტალინი დაიბადა, ეს სახლი სხვისი იყო, მის შშობლებს ნაჭირავები ჰქონიათ და აქ სტალინი მხოლოდ ოთხი წლის ასაკამდე იცხოვრაო. მერე მუზეუმშიაც შევედით. ხალხი არც თუ ისე ბევრი იყო და უმეტესობა, როგორც ვამჩნევდი, ჩემი თანამგზავრის თვალთვრებით უფრო იყო გართული, ვიდრე კედელზე დაკიდული სურათებით. უცხოელი ეგონათ. ლეტიციასაც ისე ეჭირა თავი, გეგონებოდათ ეს-ეს არის ახლა ჩამოფრინდა პირდაპირ პარიზიდანო. მე შენ გეტყვი და,

ჩაცმა, არ უწყობდა ხელს თუ მოკაშმევა. შეამჩნია თუ არა, ხალხს უცხოელი ეგონივარო, ყურში ჩამჭრჩხულდა. შენ ხმა არ გაიღო და ნე კი სულ ფრანგულად ვილაპარაკებო. მოდგა და მეუღურტულუბა რალაცას. მე კი, ამ ჩემი, სკოლაში ნასწავლი ფრანგულით რა უნდა ვუპასუხო. ჩემად ვუთხარი, გვეყოფა ბამბულობა, ჩქარა გავიდეთ აქედანთქო.

წავედით. ტანის მოხდენილი რხევით წამიძღვა წინ. გამოალო თავის მანქანის კარი და საჭეს მიუჯდა. ვხედავდი, როგორ იტაცებდა იგი ყოველი ადამიანის ცქერას და ორგვარი გრძნობა, სიანაყისა და ექვიანობისა, ადამიანის დასახრჩობი თოკივით შემომეჭლო ყელზე.

მიეჭროდით და უკვე ველარაფერს ვხედავდი. ისე შემოგვადამდა გზაზე, არც ვამიჯია. შემხვედრი მანქანები ანთებულ თვალებს გვიბაჭუნებდნენ და ლეტიციაც ასევე ხან აჭრობდა და ხან ანთებდა შუჭფარებს.

გავიარეთ მცხეთა და მე ოღნავ მოეკარი თვალი წიწილეზივით ჩაუყუჟულ სახლების თავზე დეკივით წამომართულ სვეტიცხოველის ტაძარს. ნერე დავინახე ზაპისის საგუბარი, მერე სინათლით გაჩახახებული შენობები, მაგრამ, როდესაც თბილისში შევედით, თვალებს არ ვუჯერებდი, პირველად დავინახე ჩემს სიცოცხლეში დიდი ქალაქის ეს უამრავი, პირდაპირ ქრუანტელის მომგვრელი სინათლის თვალუწვდენი ზღვა იუ ვარსკვლავითი, აღარ ვიცი, რა დავარქვი მას.

გავიარეთ ფართო განათებული ქუჩები. დავინახე მრავალსართულიანი მაღალი სახლები, უამრავი ნანქანები, ზღვა ხალხი ქუჩებში, სადაც მივუხვიეთ, სადაც თაღქვეშ გავძვვრით და ეზოში აღმოჩნდით. ჩემოდნები გადმოვტვირთეთ. ლეტიციამ მანქანა გარაჟში შეიყვანა. მე კი სახლი შევათვალეირე. იგი სამსართულიანი იყო. შუშაბანდიანი აივნებით. ვიწრო, მოსაფალტებული ეზო მთას ებჯინებოდა.

უბო კედლით იყო შემოზღუდული, ხოლო ერთ მხარეზე ჩაემწყრივებიათ გარაყები.

დავხვებით ხელი ბარგიბარხანას და აუწყებთ კბეებს. ავედით ნესამე საართულზე. კარი ქუთის ქალმა გაგვიღო, ეტყობა, მოსამსახურემ.

— უი, ღია-ჯანი ჩამოხვედი, — გაეხარდა მას.

— დედა სად არის? — რატომღაც გულმოსულად ჰკითხა ლეტიციამ.

— კონცერტზე წავიდა, ღია-ჯანი ნენ სულ არ გელოდით.

— მარტო წავიდა?

— არა, ვიღაც... — მოსამსახურე შედგა, მე შემომხედა, მერე მიუახლოვდა ლეტიციას და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა...

— გასაგებია, — თქვა ლეტიციამ და ორივენი დიდ, სასადილო ოთახში შევედით. მოსამსახურემ ჩემოდნები მეორე ოთახში შეიტანა.

მე ბევრი მინახავს, ასე თუ ისე შეძლებული ოჯახი, ცხოვრებაშიც და კინოშიაც, მდიდრულად მორთული დარბაზები, მაგრამ ანის მსგავსი ჩემს სიცოცხლეში არაფერი მენახა. ამდენი ძვირფასი ნივთი, ამდენი ვაზები ფაიფურის და ბრინჯაოს ქანდაკებები, შუშისანი მოჭრული კარადები გამოტენილი ნაირნაირი, ძვირფასი ნივთებით, ჯამჭურჭლით, მუცელგადმოვარდნილ ბუდეებით თუ ბოგდიხანებით, კედლებზე მოჭრულ ჩარჩოებში ჩასმული ძვირფასი სურათებით, დიდი, თეალის-მომჭრელი ბროლის ჭაღით, რაღაც არაჩვეულებრივი, ოქროთი ნოვარაყებული თეთრი რიალით, ოქროქსოვილგადაკრული სკამებით და სავარძლებით, სარკესავით გაპრიალებული პარკეტით... პირდაპირ აღარ ვიცოდი, რისთვის შემეხედა.

— ასმიკ, აბაზანა გაახურე, უნდა ვიბანოთ, თორემ მტვერში ვართ ამოვანგლული, — უბრძანა ლეტიციამ მომიბრუნდა. — როგორ მოგწონს ჩენი ბუნავი. წამო, სხვა ოთახებიც გაჩვენო. დავიარეთ ეს მართლა ზღაპრული ბი-

ნა. საწოლი ოთახიც, სასტუმროც, მეორე საწოლიც, კაბინეტიც გაწყობილი იყო უძვირფასესი ავეჯით. ლეტიციამ მინხნიდა ეს ბუღია, ეს ჩიპენდელი, ეს ჰამბსი, ეს წითელი ხეა, ეს პალი-სანდრი თუ პასილანდრი, ველარ გავიგე, ეს მსხლის ხისაა, ეს შავი ხის, ეს ჯანდაბა და ეს ჯარხანა, ამერია თვალბში ყველაფერი. აი, ამ კაბინეტში მთელი ავეჯი ამპირის სტილზეა. დაჯექი და გინდა მათენატკა იზუთხე, გინდა ქი-შია, მერე ინეინერი რომ გახდები, კოს-მოსური ხომალდის პროექტი დაამუშავე და მე და შენ ორივე ერთად გავფრინდეთ მთვარეზეო.

მერე სამხარეულოც დავათვალიერეთ. სულ თეთრი კაფელით გაწყობილებული კედლებით, ასეთივე იყო აბაზანის ოთახიც და საპირფარეშოც. ყველგან ონკანები, შხაპის საცრები, შილები სულ მონიკელებული იყო და სარკესავით ლაპლაპებდა.

— რა მდიდარი კაცი ყოფილა ნამათქვენი! — აღმომხდა მე, როდესაც ორივენი სასადილო ოთახში დავებრუნდით, — საიდან ჰქონდა ჩვენს დროში ამდენი ქონება?

ლეტიციამ რაღაც უცნაურად ჩაიცინა.

— აქ ერთი მილიონის ქონება იქნება, — წავიბუტბუტე მე.

— მართალია. აქ ზუსტად ერთი მილიონის ქონებაა, — მითხრა ლეტიციამ, — შენ თითქოს გადაჭარბებით, პიპერბოლურად თქვი, მაგრამ სწორედ ასეა. აი, მარტო ეს ჩინური ვაზა ოცდახუთათასი ნანეთი ღირს. იგი მეზუთე საუკუნისაა ჩვენს წელთაღრიცხვამდე. აი ეს სასადილო, სერვანტი, მაგიდა და, რასაც აქ ხედავ, ლენინგრადიდანაა ჩამოტანილი, ჰამბსის ხელობაა. მეფის ბიძაშვილის — დიდი მთავრის კონსტანტინ მიხაილოვიჩის ნაქონი. ორმოცდაათათასი მანეთია შიგ მიცემული. ჩემი საწოლი, მთლიანად ბუღია, ასოციათასი ღირს. თითო ამ სურათში, კედელზე რომ ჰკიდია, ზოგში ხუთათასია მიცემული, ზოგში — ათი-

ათასი. აი, ის ნამდვილი კოროა, ის კი სისლეი, მაგათი ფასი...

— კორო და სისლეი რას ნიშნავს, არ მესმის.

ლუტიციამ ლოყაზე ხელი მომითათუნა.

— ბუტონიკი, ცნობილი ფრანგი მხატვრებია მეცხრამეტე საუკუნისა. პირველად გესმის მაგათი გვარები? შენ აქ ბევრ რანეს ისწავლი. გარეთ გასვლა არ დაგპირდება, ისე გაეცნობი მსოფლიო ხელოვნებას. აი ამ ჩაის სერვისს ხედავ? ამ ექვს ფინჯან-ლამბაქში და საშაქრე ვაზაში ათიათასია მიცემული. იგი ცნობილი ოსტატის ვეჯვუდის ხელითაა. ნაკეთები.

კარადის კარები გამოაღო და ერთმანეთზე დახვევებული საინები, ლანგრები და საწვინები დამანახვა.

— აი, ეს მთლიანად საქსია. აგერ, ის, მეორე სერვისი გარდნერისაა...

— შენ გენაცვალე, ფასი აღარ მითხრა მაგათი, თორემ ვადვირებდი.

— მაგრამ იცი, რა გიტხრა! ყველაზე ძვირფასი, უძვირფასესი, ყველაზე კარგი, რომლის ფასი ამ ქვეყნად არ არსებობს, ყველაზე ოქრო და ბრილიანტი ამ სახლში ამჟამად არის ერთი... ერთი კარგი ბიჭი. ისა ხარ შენ, — მითხრა ლუტიციამ ორივე ხელი კისერზე მომხვია და ამ თავის მოსაზრებას ნხურვალე კოცნით დაუსვა ბეჭედი. — წამო, ახლა, აბაზანა უკვე გახურებული იქნება. მერე ვპამოთ რამე და დავიძინოთ, თორემ ისე დავიქანცე, ფეხზე ძლივს ვდგევარ. ასმიკ! — გასძაბა ლუტიციამ მოსამსახურეს, — დედაჩემს უთხარი, თავისთან წავიდეს თუ არ უნდა, თმებისაგან გავცალო...

ყურადღება არ მიინიჭებია ლუტიციას უკანასკნელ სიტყვებისათვის და ვფიქრობდი მხოლოდ იმაზე, თუ სად, რა ხიმალეზე ამიტაცა ცხოვრების მოულოდნელმა ტალღამ.

თუკი მართალია, რომ ტენის უჯრედებში ხდება ელექტროული დამუხტვა და ჩვენი აზროვნება არის ასეთი ელექტროდამუხტვა-განმუხტვის პროცესი, მაშინ, ალბათ, ფიქრის დროს, ინდუქციის ძალით, ეს პროცესი ნეორე აღამიანს გადაეცემა და ამიტომ, რომ ხშირად ერთი მაშინვე ხვდება ხოლმე, რაზე ფიქრობს მეორე და უსიტყვოდ კითხულობს მის აზრებს. დილას, როდესაც ამ ბულის განიერ საწოლზე გამეღვიძა და ოთახს თვალი მოვავლე, ვერ ვერც კი გამოვერკვიე, სად ვიყავი, მაგრამ, როდესაც მძინარე ლუტიციას დახვდეთ, ყველაფერი მომავონდა და ფიქრები თავში აყრილი ფუტკარით აირია, გუნებაში მაშინვე გამიელვაკოხტვამ, თუ საიდან უნდა დაეგროვებია აღამიანს ჩვენს დროში მილიონის ქონება პატიოსანი შრომით. კარგი, ეთქვამთ, ლუტიციას მამა პროფესორი იყო და თვეში თუნდაც ათიათას მანეთს იღებდა. ესე იგი, წელიწადში ასოციათას მანეთს. რანაირად ძუნწადაც არ უნდა ეცხოვრა, განა შეძლებდა, ნახევარი მაინც არ დაეხარჯა? დავუშვამთ, ნახევარი დაზოგა და საწოლისათვის დააგროვა, ესე იგი თითქმის ოცი წლის გაამწვლობაში უნდა ეგროვებია ფული, რომ ეს თანხა შეექმნებია.

— დაამთავრე შენი მათემატიკური გამოთვლები? — მოულოდნელად მკითხა ლუტიციამ და გაიზმორა.

მართალი გითხრათ, შეეკრთი.

— მიგიხვდი, ხომ? — ღინღით მითხრა მან, — აი, რასაც ხედავ თვალნათლივ, ამას გარდა, იცი, მე რამდენი ფული მაქვს შემნახველ სალაროში? აბა, თუ გამოიცნობ. მხოლოდ ახლავე იცოდე, შენს მეტს ეს ამბავი ქვეყანაზე არავის ეცოდინება, და თუ სადმე წამოგცდა, ორივე დავიღუპებით.

— რატონ, ჩამოგართმევენ?

— რატომ და ცოტაა ამ ქვეყნად ყაჩაღი და მძარცველი? სადღაცა ჩაგვკლავენ ორივეს.

— რამდენი გაქვს, ასე რომ გეშინია.

— შენ თუ მიხვდები.

— მე საიდან უნდა მივხვდე. წარმოდგენაც კი არა მაქვს.

ლექტიციამ ორი თითი დამანახვა და მერე ნახევარი თითი მიჩვენა.

— ზაინც არ მესმის, — ვუთხარი მე.

— ჩერჩეტი ხარ.

— ორნახევარი. ეგ მესმის, მაგრამ რა?

თქმა ვერ გავხედე თორემ თითქმის მივხვდი, რომ საქმე მილიონს შეეხებოდა. ლექტიციამ კი ხუმრობით თავში ჩამარტყა ხელი, ადგა, ხალათი ჩაიცვა და სარკესთან თავისი გაჩეჩილი თმები ორივე ხელით ისე შეისწორა, თითქმის ჭადის ცომს აგუნდავებდა, მერე მომიბრუნდა და მითხრა:

— გინდა, კიდევ გამოვიცნო, ახლა რაზე ფიქრობ.

— რაზე?

— ეს ქალი კუდიანი ან გრძნეული ხომ არ არის და, რასაც ვხედავ, ვაითუ აველაფერი მოჩვენებაა და არა სინამდვილეო, ხომ ეს გაიფიქრე?

— დედას ვფიცავარ, თუ მართლა აგრე არ მეფიქროს და, მგონია, არც შევემცდარვარ.

ლექტიციამ გადაიკისკისა, დაიხარა, ტუჩებზე დამეკონა, ნერე ერთი მაგრად მიჩქმიტა და მითხრა:

— აჰა, თუ კუდიანი ვარ.

ის ოთახიდან გავიდა, მე კი ზღაზღუნით დავიწყე ადგომა და ისე შემიპყრო უცნაურმა ფიქრებმა, რომ ცალი წინდა ჩაეიცი და მეორეს უაზროდ ვატრიალებდი ხელში. ეს სოფლელი ბიჭი უეცარმა შიშმა შემიპყრო. რა უნდოდა ან ქალს ჩემგან, რომ ასე უცბათ, ჩემი ხასიათის, თვისების, ადამიანობის შესწავლელად დამავლო ხელი და გამომიტაცა თბილისში. მომიყვანა და მაჩვენა თავისი აურაცხელი ქონება. საიდან დააგროვა ამდენი სიმდიდრე? კარგი, ეთქვათ, ეს ბინა და ეს ავეჯი მემკვიდრეობით მოყვება, მამის და მამის დანატოვარი, მაგრამ ამდენი ფული საიდან უნდა ჰქონდეს თუკი მარ-

თალს ამბობს? მერე, რა საიდუმლოებით მოცული ურთიერთობაა დედა-შვილს შორის. თუ მართლა დედაა, რად ვაადგო სახლიდან და უბრძანა, თავისთან წადიო. მერე ვინ იყო ის ელაცა, რომელიც დედამისს ახლდა თეატრში, რის გულისთვისაც ლექტიციამ მრისხანედ შეკრა წარბები, როდესაც გაიგო, რომ ის თურმე აქ მოსულიყო. ნერე და დედა ცალკე რად ცხოვრობს და შვილი ცალკე? ან ეს მაინც ვიცოდე, მე რად ვუნდივარ. ნუთუ მართლა ასე ელვისისწრაფით შეგუყვარდი ამ ქალს, რომელსაც... ალბათ, ქმარიც ჰყოლია ჩემამდე და საყვარლებიც.

ეს რომ გავიფიქრე, ცივმა ოფლმა დამასხა. მართლაც, რატომ აქანდე არ დავუფიქრდი ამ ამბავს. თვითონ ამბობს, რომ ჩემზე რვა წლით უფროსია, მაშასადამე, ოცდარვაწლის უნდა იყოს თუ მეტის არა. მერე აქამდე გათხოვილი არ ყოფილა? ვინ დაერიდებოდა ასეთი გარეგნობის და ასეთი სიმდიდრის წქონე ქალს? მერე როგორ განათლებულს. მგონი, უმაღლესი დამთავრებული უნდა ჰქონდეს. მე რა ჰქირად ვუნდოდი? ჩემზე უკეთესი ცოტა დადის ამ ქვეყანაზე, ან ცოტას იცნობს, ალბათ? რამეში ხომ არ უნდა ჩამითრიოა ამ დემოკრატიულმა? იქნებ ქურდების და ყაჩაღების ატამანია და ჩენისთანა ბიჭებს ამნაირად ითრევეს, მერე გაგზავნის, კაცს მოგაკვლევინებს და... დედა!

თმები ყალყზე დამიდგა. ამხელა ქალაქში რა ზღემა და რა კეთდება, რა იცი. თუ ასე არაა, საბჭოთა ქვეყანაში საიდან უნდა იყოს მილიონების პატრონი.

ერთი სიტყვით, მახეში გაბმულ მელასავით აფრიალდი და ავიწყვიტე. ფუსფუსით დავიწყე ჩაცმა, მერე ისევ ფიქრებმა წაიღო და შარვლის ცალ ტოტში რომ გვეუყარე ფეხი, ასე ვიყავი გარინდებული კარგა ხანს.

რაზე არ ვფიქრობდი მაშინ... მშობლებზედაც, რომლებმაც თავისაც არაფერი მიცნობებია, თუ რად მივატოვე სანა-

ტორიუმი, ცისანაზე, რომელმაც ასეთი მონანიების წერილი მომწერა და ეს წერილი ბოლომდისაც კი არ წაინკითხავს, ამხანაგებზე, რომლებიც ახლა, ალბათ, ტალახიან და ნესტიან მაღაროში მუშაობდნენ და გულწრფელად მიმელოდნენ, რომ მათ მხარში ამოვუდგებოდი, გრძელწინავებიან ლიაზე, რომელსაც ყოველად უიმედოდ ვუყვარდი და, ალბათ, მიყრუებულ კუთხეში ჩუნდ ღვრიდა ჩემი გულისათვის ცრემლებს, სასწავლო საგნებზე, დასვენების პერიოდში რომ მინდოდა მომემზადებია და სულ მივივიწყე, მოხუც იაკობზე, რომელმაც ისეთი უცნაური სახელი დამარქვა, არსენიო, ალფეზიო, თუ ამფსონიო... არა ალფეზიო... არა... რაღაც სხვა... ვაი ჩემს გამოტყინებას, ესეც ვეღარ დავიმახსოვრე, ზე უბედურმა და წყალწაღებულმა.

ლუციკია თურმე ფარდის იქიდან მითვალთვალებდა, მერე ნელა შემოვიდა და საოცრად შშვიდი ხმით მკითხა:

— რა მოგივიდა, ნოდარ?

ისეთი კილოთი იყო ნათქვამი ეს სიტყვები, რომ ბრინჯივით დავიბენი. ჩემი ფიქრების შენრცხვა, მაგრამ მაინც მოვერიე თავს და ოდნავ გასაგონად წავიბუტბუტე.

— მე... მე... გამიშვი... უნდა წავიდე...

— მერე, ვინ დაგიშალა, — არც კი მკითხა, სადაო, მიხვდა სადაც ვაპირებდი წასვლას.

— არაფინ, მარა...

— მართალი მითხარი, ჩემმა სიმდიდრენ ხომ არ დაგაფრთხო.

— მართალია, ვერაფრით ვერ გამიგია, ამ სიმდიდრის და ქონების პატრონს რაში გინდევარ ეს სოფლელი, ცხვირ-მოუხოცელი ბიჭი, ჩანგლის ხმარება რო არ იცის სუფრახე, იმისთანა...

— უნდა გეღვას ჯამით ლიბიო და სამი თითით იწებდე, არა? — გაიცინა ლუციკიამ.

— მაინც, ღმერთმანი. მერე ჩენი დღე წუთისოფელი იმას მასწავლიდენ, ჩენს ქვეყანაში მდიდრები და კაპიტა-

ლისტები მოვსპეტ, ბურჟუაზია გავანდგურეთო, და... სად ვარ? ერთად ვამაგებოე, საზღვარგარეთ ჰომ-პარტისგანსტლვართ?

— იცი, რა გითხრა, ნოდარჩიკე? — სრულიად გაუღიმიებლად, მაგრამ რაღაც შინაგანი ღიმილით განათებული სახით ნითხრა ლუციკიამ. — ჩემზე მდიდრებიც არიან, რომ იცოდენ, მეგონა, ბიჭო შეხედულება რომ ბრგე ვაეკაცისა გაქვს, ჰეკუაც აგრე დამჯდარი გექნებოდა, მაგრამ მოვტყუედი. შენ ჯერ კიდევ არ გამოსულხარ ბავშვობის ასაკიდან? რაო დედ-მამა მოგენატრა?

სირცხელისაგან ავიღეწე. ის კი დაუნდობლად განაგრძობდა.

— აბა, რა მოგივიდა, ჯერ არ მოსულხარ ჩემს ოჯახში და ახლავე გარბიხარ? რან დაგაფრთხო? აღარ მოგწონვარ?

— არა, მაგას რად... თუ გინდა ახლავ წავიდე და ხელი მოვაწეროთ...

— რას უნდა მოვაწეროთ ხელი? ვის უნდა, ბიჭო, შენი ცოლობა. თუ გინდა, ჩემი მეგობარი იყავი. იცხოვრე ამ ჩემს სახლში, აგერ კაბინეტი, აგერ ბიბლიოთეკა, წიგნები, უმაღლესში მე მოგაწყობ, დაჯექი და ისწავლე. როდესაც კაცი გახდები, თუ კიდევ შეგრჩეს ჩემი სიყვარული, მაშინ წავიდე და ვიქორწინოთ, თუ არა და, ვინც გინდოდეს, წადი და ის შეირთე. ვიკვირს რა მზიბლავს შენი? რა, და პატიოსნება, უმანკობა და... გარეგნობაც. რა ექნა, ნომეწონე და შემოიყვარდი. აღარ მოგწონვარ? წადი, ჩემო ნოდარჩიკე, მხოლოდ იცოდენ, გზიდან რომ მობრუნდე, აღარ მივიღებ. მე თავს არ მოგაძალებ. ნათქვამია, მიძალბებული ღორმა დაიწუნაო. ძალით სიყვარული შეუძლებელია. არც თავს შეგაბრალებ და არ დაგიწყებ საყვედურებს, რომ აი ზე მთელი გულით მოგენდე, ყველაფერი ფეხქვეშ გაგიგე, ჩემი სული, ჩემი სხეული, ჩემი... არა. მე ასეთი არა ვარ. არც იმის მტკიცებას დაგიწყებ მეც შენსაკით უმანკო ვიყავი და შენ ხარ პირველი ნამაკაცი, რომელსაც დავნებდი-მეთქი.

ეს სისულელე იქნებოდა, თუმცა ისიც უნდა ვითხრა, შენ მართლა ხარ პირველი, რომელმაც მთლიანად დამიმონა და როგორ გავძლებ უშენოდ, არც კი ვიცი. მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს. წადი!

მე, რასაკვირველია, აღარ წავედი.



შემდეგ ჩვენ ერთად დავხეტილობდით დღეების განმავლობაში ქალაქში. ჩე ხარბად ვათვლიერებდი ვიტრინებს, კედლებზე გაკრულ ფერადფერად აფიშებს, ტროლეიბუსებს, ტრამვაის, მანქანების გაუთავებელ მწკრივებს, მთავრობის სასახლეს, მოედნებს, ფუნიკულიორს, თბილისის ზღვას, თეატრების იარუსებს, სპორტულ მოედნებს, სტადიონებს, და ყველაფერი ეს ისე მხიბლავდა, ისე მაჯადობებდა და მიმონებდა, რომ ვერც წარმომედგინა ამაზე უდიდესი ბედნიერება, საერთოდ, თუ შეიძლებოდა ეღიროსებოდა. ჩემი განუყრელი თანამგზავრი ლეტიცია იყო. იგი ბავშვური ალტაცებით დამატარებდა ქალაქში და მის ყოველ კუნჭულს მაცნობდა. მანვე წამოყვანა უნივერსიტეტში, იქ ვიღაც ნაცნობები მონახა, საიდუმლოდ ეჩურჩულა, შემდეგ სადღაც, მოსამზადებელ კურსებზე მომაწყობა და მითხრა, გულნაგრად იყავი, შენი საქმე თითქმის გაკეთებულიაო.

მეც გულმოდგინედ ჩაუთუგეპი მეცადინეობას. მშობლებს წერილი მივწერე, თბილისში წავედი, აქ ერთი ადამიანი მეხმარება, უმაღლესში მაწყობს და, როგორც კი ჩავაბარებ გამოცდებს, ნაშინვე ჩამოვალ და ყველაფერს დავწერილებით ვიამბობთ-მეთქი. მადარბოში კი აღარ წაველ და ეს ამბავი ჩემს ამხანაგებს აცნობეთ-მეთქი.

ლეტიცია კი სულ მანებივრებდა და მანებივრებდა. მეცადინეობის დროს ყოველთვის ნებართვა უნდა აეღო ჩემგან, რომ კაბინეტში ჩემთან შემოსულიყო თუნდაც ერთი წუთით. განსაზღვრულ საათების შემდეგ დამავლებდა

ხელს, დასვენება შენთვის აუცილებელიაო და ხან კინოში წამოყვანდა. ხან თეატრში, ხან საესტრადო წარმოდგენაზე. ფეხბურთის ბილეთებსაც ის შოულობდა და, მართალი უნდა ითქვას, ჩემზე უფრო ის განიცდიდა თამაშს. შესანიშნავად იცოდა ფეხბურთის ყველა კანონი. ასევე კარგად ერკვეოდა კალათბურთში და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჭრილობაშიაც.

ასეთი სანახაობები მართლა რომ წამალივით მიხდებოდა. უფრო გულმოდგინედ ვეჭიდებოდი საგნებს და ჩემი მასწავლებელი, რომელიც საგნებში მამზადებდა, მიმტყიცებდა, შენ პროტექცია სულ არ ჰქირდება, ყველა საგანში ხუთიანები ხელში გეჭიროსო.

ლეტიცია კი სიხარულით იბადრებოდა და თვითონაც ცდილობდა ჩემთვის წაეკითხა ლექციები თავდაჭერის, თავაზიანობისა და კარგი ყოფაქცევის შესახებ. არ იფიქროთ, რომ ასეთები, არ მჭირდებოდა. ჯერ ერთი, ცხვირში თითის გაყრას, რომ გადავჩვევოდი, ეს იყო მთელი პრობლემა.

ლეტიციასთან ჩემი დამკვიდრების ნეორე თუ მესამე დღეს მოულოდნელად მოვიდა დედამისი და მე გამოაცხადებდა ამ ქალის სილამაზემ და ახალგაზრდულმა შესახედობამ. მოკლედ შეკერეპილი თმები ჩალისფრად ჰქონდა შეღებილი. მოკლე კაბა ძლივს უფარავდა მუხლებს და ამოჭრილ გულისპირში ისე ცოხწოლოდა. სავსე გულშეკრდი, თითქოს სამკერდის ამოგლეჯას ლამობდა. ის უზრუნველად ჩაჯდა სავარძელში, ოდნავ დამციანავად ამხედდამხედა და მითხრა:

— შენ ხარ, ბიჭო, ჩემი სიძე? დადექი ერთი უკან, აგხედ-დაგხედო. შებრუნდი გვერდზე. ნი...ჩე...ვო! თვალიადად კარგი ბიჭი ხარ, მარა...

ლეტიცია იქვე იდგა და ცნობისმოყვარეობით უცქეროდა დედამისს, აბა, რა შთაბეჭდილებას მოვახდენდი ამ ქალზე, რომელმაც, ეტყობოდა, კარგად იცოდა მამაკაცების ფასი.

— კარგი ბიჭი ხარ, მარა... — გაი-

შეორა ქალბატონმა არიანამ (გაეიგე, როგორც იქნა მისი სახელი), და მერე თავის ქალიშვილს მიუბრუნდა და ფრანგულად კითხა რაღაც. იმანაც უპასუხა და, ერთი სიტყვით, ერთი ათიოდე წუთის განმავლობაში ხან გამყიდეს, ხან მიყიდეს. ბოლოს ეს ჩენი ლამაზი სილდერი მომიბრუნდა და მითხრა:

— ერთი სიტყვით, თუ კარგად ისწავლი, არ ილოთებ, არ იზარმაცებ, კარტს არ ითამაშებ, შვილო, ამაზე უკეთესი ბედნიერება, შენ რომ გეწია, კაციშვილს არ ეღირსება მის სიცოცხლეში. იყავი და მოიხმარე ეს ქონებაც, ეს ცხოვრებაც და უპატრონე ამ ჩემს გაუბედურებულ ქალიშვილს.

არიანას გული ამოუჯდა, პატარა ცხვირსახოცი ჯერ თვალბზე ნიიფარა და მერე უბებების ბოლოები ფაქიზად შეიმშრალა.

ლექიცია იღიმებოდა. მე დაბნეულად ვიხედებოდი იქით-აქეთ, ადგილს ვერ ვნახულობდი.

— კი, მაგრამ შშობლებს, აცნობე რომ ქალი შეირთე? — მკითხა ამ ჩემმა სილდერმა თუ სასილდერომ.

— ჯერ არა.

— რატომ მერე. ახლავე მიწერე ყველაფერი და შეუთვალე ჩამოვიდნენ, გეგვეცნონ... იქნება, არც მოვეწონოთ...

— როგორ გეკადრებათ.

— იქნება იუარონ.

— იმათ ვინ კითხავს.

— არა, შვილო, ვინ კითხავს, რომელია. ჯერ ერთი, ჩემი ქალიშვილი შენზე უფროსია. ვითხრა, ალბათ...

— ეგ ვიცი, ქალბატონო...

— მერე ნაქმარებია...

— ეგეც... — გამიჭირდა მეთქვა, — ვიცი-მეთქი.

— შენ რომ იცი, ეს არ კმარა, შენმა შშობლებმაც უნდა იცოდნენ.

— გადირევიან, ბატონო.

— რაზე, ბიჭო?

— უწინ ძველ დროში მამაკაცები იტაცებდნენ ყოველთვის ქალებს. ახლა რომ დაინახავენ, ჩვენი ბიჭი ქალს მოუტაცებიაო, ალბათ, დასაბმელი გაზღე-

ბიან და მაგის მეშინია მე უბედურს.

— ოჰო, შენ ჰკუა მახვილი ბიჭი ყოფილხარ, — მითხრა სიცილით სასილდერომ, და ლოყაზე ხელი მომიოათუნა.

ერთი სიტყვით, ნოვეწონე.

მერე, როდესაც მე და ლექიცია მართლ დავრჩით, უნებურად ვკითხე.

— ერთი ეს მითხარი, ოღონდ თუ არ გეწყინება...

— რა? მითხარი, არ მეწყინება.

— რად ცხოვრობთ შენ და დედაშენი ცალ-ცალკე?

ლექიცია შედგა, ცალი მხარი შეათამაშა და ცოტახნის დუმილის შემდეგ მითხრა:

— იცი, რა. მამაჩემი ადრე გაცილდა დედაჩენს. ცალკე მისცა ბინა და მას შემდეგ მხოლოდ მე და მამაჩემი ვცხოვრობდით ერთად.

— კიდევ ერთი შეიძლება გკითხო?

— სთქვი ბარემ, რაც საკითხავი გაქვს ყველა ერთად და მოვრჩეთ ამით, — მითხრა ოდნავ გაჯავრებით ლექიციამ.

— იცი რა, გული ნუ მოგვივა ამას იმისათვის გეკითხები, რომ არ მინდა რაიმე ზინჯი ეკალივით მესობოდეს გულზე.

— ვიცი არ გიწყობი, მითხარი, რა გაინტერესებს.

— საიდან დააგროვა მამაშენმა ამდენი ქონება.

— აჰ, ღმერთო ჩემო, კიდევ მაგაზე იტანჯები, ბიჭო? საიდან და მამაჩემი იყო... — თითქოს ერთ წუთს გაუჭირდა ეთქვა ვინ იყო მამამისი, მაგრამ ეს მხოლოდ ერთ წუთს და მაშინვე განაგრძო, — მამაჩემი გინეკოლოგი იყო. აბორტებს აკეთებდა. თითო აბორტში ორას თუმანს აძლევდნენ. თვეში სულ ცოტა ორმოცდაათათასი მანეთი ჰქონდა შემოსავალი...

— კი, მაგრამ...

— რა მაგრამ?

— აბორტები განა აკრძალული არ იყო?

— სწორედ მაგისთვის აძლევდნენ ანდენ ფულს გოგოები. მოდიოდნენ და

ეუბნებოდნენ, შეეცდი, ბიჭმა შემაცდი-
ნა და აბორტი თუ არ გამოკეთეთ, თა-
ვი უნდა მოვიკლო. მამაჩემიც ამბობ-
და, მართლა თავი რომ მოიკლას, სინ-
დისის ქენჯნას ვერ გავუძლებო და ისევ
ჯობია აბორტი გავუკეთო. შენ გგო-
ნია, მამაჩემი ფულს თხოვდა ვინცეს.
თვითონ გოგოებს მოჰქონდათ და სტო-
ვებდნენ. ზოგი ას თუმანს, ვინც მაზან-
და იცოდა, ზოგი ორასს, ზოგი—ხუთას
თუმანსაც კი იძლეოდა. ერთმა სოფლის
გოგომ მახსოვს ათი ათასი მანეთი მოუ-
ტანა.

განა შეიძლებოდა არ დამეჯერებია
ეს სრულიად გულწრფელად ნაამბობი
ანბანი? მართალია, ლეტციას ეს ზღაპ-
რული სიმდიდრე არცთუ მაინცდამაინც
პატიოსანი გზით იყო დაგროვილი მა-
მამისის მიერ. მაგრამ უარესთან შედარ-
ებით ეს მაინც სუფთად გამოიყურე-
ბოდა და ამიტომ სულაც არ მიგრძენია
სინდისის ქენჯნა იმის გამო, რომ ასეთ
ოჯახში მოვხვდი. მართალია, იაკობის
მიერ ვესლიანად ნასროლი შენიშვნა,
აღფრთხობა დაგიწყიაო (სად გამახსენ-
და ეს სიტყვა), მოსვენებას არ მაძლეე-
და, მაგრამ თავს იმით ვიმშვიდებდი,
რომ მე სულაც არ ვაპირებდი უშრომ-
ლად ცხოვრებას. მე ხომ გატაცებით
ვემზადებოდი უმაღლეს სასწავლებელ-
ში სტაციონარზე შესასვლელად. და-
ვამთავრებდი უმაღლესს, გავხდებოდი
ინჟინერი ან მეცნიერი მუშაკი და თა-
ვად უნდა ვიმუშაებდი, ვიმუშაებ-
დი, ვიმუშაებდი...

ასეთი ფიქრით შეპყრობილს არც მი-
გრძენია როგორ გარბოდა დრო. არა-
ფერს არ ვაკეთებდი მეცადინეობის
შეტს. აღარც თეატრში დავდიოდი, არც
სხვა წიგნს ვკითხულობდი რამეს, არც
გაზეთებს. არაფერი არ ვიცოდი, რა
ხდებოდა ან ქვეყნად. ზანდაზან რადიოს
თუ ეუსმენდი, ან ტელევიზორს თუ
ჩაერთავდი, ეს იყო სულ. ჩემი სიდედ-
რი თუ სასიდედრო, რამდენჯერაც მო-
ვიდოდა და ასე წიგნებში ჩამჯდარს
მხედავდა, მეხეეოდა, გულში მიკრავდა
და სულ იმას მეუბნებოდა, დმერთს

იმას ვევედრებოდი, შენისთანა სიძე
სიზმარში მაინც ღლირსებოდა, ცხადში
რომ გხედავ, თვალბს ახლსეკრროს

ერთ დილას კი მშობლები დამესხნენ
თავს. მიეღოთ თუ არა ჩემი წერილი,
მაშინვე გადმოვარდინილიყვენენ ორივე-
ნი, გაევისოთ კალათები და ხურჯინები
ქათმებით, ხაჭაპურებით, აქეთ ერთი
დოქი ლენიო სიმინდის ფუნჩენში გახ-
ვეულო, ნაჭურჩით თავდახურული. მო-
მადგნენ კარზე. მათი დანახვა კი განე-
ხარდა, მაგრამ დოქი, ხურჯინი და ჩვე-
ნებური დაწული კალათები რო დავეუ-
ნახე, შემრცხვა, შემრცხვა, პილილინა-
ჰამივით ავიღეწე. ისევ ლეტციამ გა-
მომიყვანა უხერხული მდგომარეობი-
დან, ეს რა შესანიშნავი კალათებია, ეს
რა ლამაზი ხურჯინია, ეს რა კარგი დო-
ქიაო, ჩემი გულის გასაყეთებლად ამ-
ბობდა, თორემ ეს ჩვენებური გაჯან-
გრული დოქი რა გამოსაჩენი იყო მის
ფაიფურის და ბროლის ვაზებთან და
გრაფინებთან.

შემოვიდნენ სახლში დედაჩემი და
მამაჩემი და დარბაზში ვერ ბედავდნენ
შემოსვლას, შეხედეს ავეჯს, ჭურჭელს,
კედლებს, დახედეს იატაკს, ახედეს
კერს და ადგილზე გაქვედნენ. შე-
ეკრათ უბედურებს ხელფები. ეს სადა
ვართო!

- ი? — იძახის მამაჩემი.
- ვაჩუმდი, შე რჯულძაღლო, ნუ
მჭრი თავს! — ეუბნება დედაჩემი.
- შენ გენაცვალე! — ამბობს მამა-
ჩემი, — არ ყოფილა ოჯახი!
- ლეტცია კი იცინის და ორთავეს
სიყვარულით ეუბნება:
- თქვენ მე შემომხედეთ, მე რო-
გორი ვარ. ემეებს რას უყურებთ.
- და მტრედით დაგოგმანობს მათ
წინ, ცდილობს თავი მოაწონოს, მაგრამ
ეს სულაც არაა საჭირო ჩემი დედნა-
მისთვის. ისინი მართლა მოჯადოებუ-
ლი არიან ამ ქალის მშვენებით.
- შეილო. — ეუბნება დედაჩემი, —
ბავშვობაში სულ მულამ იმაზე ვოცნე-
ობოდი, ერთი, ნეტაეი, ხელმწიფის ქა-

ლიშვილი დამანახვა თვალთ, რავარი
ლამაზი იქნება-მეთქი...

— და არ იცოდით, რომ თვითონ
ბრძანდებოდით ხელმწიფის ქალივით
ლამაზი, — აწყვეტინებს ლეტიცია. —
ამ შენიშვნით მოხიბლული დედაჩემი,
ტუჩებზე ხელს იფარებს, მორიდებულად
იციინის და თავის რძალს ეხვევა.

— შენ გასწყვი, რა კი გოგო ყოფილხარ. მართლა იღბალია ყველაფერი,
თეარა, ამისთანა ანგელოზს, ამისთანა
ქონების და ცხოვრების პატრონს,
ეს ჩემი სულელი ბიჭი რატომ უნდა
მოგსვლოდა თვალში!

— სულელი უთხარი შენ, — ამბობს
ნამაჩემი, — სულელი მე ვიყავი, რომ
მოგიყვანე სახლში ცარიელ-ტარიელი...

— ამისთანა ქონება მქონდა და შენ
წამოგყვებოდი! — არ აცლის დედა.

მერე უნდა გენახათ, როდესაც ლეტიციამ
ორივე მანქანაში ჩაისვა და ქალაქში
გაასეირნა, მალაზიებში დაატარა,
საჩუქრებით დატვირთა და ისე
მოიყვანა შინ.

— ჩემს რძალს მანქანის ტარება
ცოდნია, უკეთესი შევარცხენე! — თქვა
მამაჩემმა. — კინოში მინახავს, ქალები
რომ ატარებენ მანქანებს...

— დედა, მართალია, კაი შეძლებული
მამა გყოლია, მარა უმალღესში რატომ
არ შედი? — ჰკითხა დედაჩემმა
ლეტიციას.

— ნე დამთავრებული მაქვს დედა
უმალღესი, — ღიმილით უთხრა მან.

— ი? მართალს მეუბნები?

— შენ გეპყვალე! — უღვაწეებზე
ისვამს ხელს მამაჩემი და მერე დედა-
ჩემს უწყურება, — აჰა, რავა იქნებოდა,
შენ თუ გინდა შენს შვილს დაამთავრებო,
მამანისი ვერ მოახერხებდა საწყალი?

— არ მინდოდა გამემხილა, რომ
ცოტა უფროსი ვარ თქვენს ვაჟზე, მაგრამ
რა გაეწყობა. გარეგნულად ხომ არ
მეტყობა.

— არა, დედა, რა ვუყოთ, რომ ჩემ
შვილზე უხნე ყოფილხარ. ეგ კიდევ
უკეთესი. ჰკუას მაინც ასწავლი. სხვა

რო არა იყოს რა. რა დარგი გაქვს, დედა-
შვილობას, დამთავრებული?

— ფილოგოგი ვარ. ზღბანგულენენის
და ლიტერატურის სპეციალისტი.

— კაი დაგეწართოს, ამ ჩემს შვილს
რუსული მაინც ასწავლე და ფრანგულს
ალარ დავეძებ. სამსახურით რატომ არ
მსახურობ?

— უნდა დავიწყო, მეტი გზა არ
არის. თორემ, ხომ იცი, ჩვენს დროში
ჩანაირი თვალთ შემოგხედავენ, თუ კი
არ მსახურობ და ისე ცხოვრობ. თორემ,
მე რომ ჯამაგირს წომეყმენ, ის
ჩემი მანქანის ბენზინის ფულად არ მე-
ყოფა.

— კი, შვილო, კი, აგრე უნდა მოიქცე,
მეტი საშველი არ არი, — უდასტურებს
დედაჩემი და მოჯადოებულებით კიდევ
ათვალყურებს ყველაფერს, დაბორილობს
ოთახებში, სითამამე მომატებულ. და
გულუბრყვილო ცნობისმოყვარეობით ხან რას კითხავს
ლეტიციას, ხან რას.

ბოლოს, როგორც იქნა, დრო იხელ-
თა და მარტო მომიგდო ხელში, მიიხედ-
მოიხედა, ყურს ზომ არავინ გვიგდებს
და დაიწყო ჩემი გამოკითხვა:

— დედა ამ გოგოს არც დედა ყავს,
არც მამა? რავა არი ამის საქმე.

— დედა ყავს, ნაგრამ ცალკე ცხოვრობს.

— რაფერ?

— რაფერ და...

ერთის სიტყვით, ვუამბე რაც ვიცოდი.
დედაჩემი ჩუმად მისმენდა, დაფიქრებული,
მერე თითქო თავისთვის ჩაილაპარაკა.

— ალბათ, მისწრო ვინმესთან და
იმიტომ არ იკარებდა. ლამაზი ქალი
იქნებოდა.

— დღეს მოვა და ნახავ. ქალიშვილს
ჯობია!

— ი?

— მამა! გეგონება ახლა არი გასათხოვარი.

— მერე, ი ქნარი ზო მოუყვდა და
ახლა რაღატო არ მოდის ამ შვილთან.

— ეს არ უშვებს.

— რატომ, შვილო, დედა არ უნდა მიიღოს შვილმა?

— არ ვიცი. მგონია, ვილაც უნდა ჰყავდეს კიდევაც, და მერე, იმას თავისი ბინა აქვს.

— ტა, ტა, ტა... გასწყვენი, გასწყვენი ეს ქალაქის ქალები. რალა დროს მისი საყვარლების ყოლაა. ეს თუა, შვილო, მაინც პატიოსანი, აღარ დავეძებ.

— მანამდე რა იყო, არ ვიცი და ახლა ჩემს მეტის არავის დანახვა არ უნდა.

— შენ შემოგვევლოს ჩემი თავი, თუ რამე შეატყო, ან ვინმემ რამე ვითხრას, ან დაობა დაგიწყოს, ერთ წუთს არ მოიციადო აქ. არ გინდა არც ამისი ქონება, არც ამისი ცოლობა, მაშინვე დაკარი ფეხი და მოდი სახლში. გოგოს გულისთვის ერთხელ კინალამ გადააგე თავი და ახლა მაგის შიშით კიდევ ველარ უნდა დავიძინო? რა იცი, რა ვარ ოხერს ყავდა ცოლად და რა კაცია... იქნება მოუხტეს სახლში და...

— ინას უკვე შეურთავს სხვა ქალი და შეილებიც ჰყავს იმ ქალთან.

— ჰოო, ეგ კიდევ კაი. მერე უფრო ახლო მოიწია და ჩურჩულით ვითხრა:

— შვილო, ამ ქალის უხეობას არაფერი უჭირს და თუ სახელგატეხილი ქალი არაა, ამაზე მეტ ბედნიერებას ადამიანი შვილი ვერ ეღირსება, რასაც შენ ღირსებინარ. რა ვუყოთ, რო ნაქმარებია. ალბათ, არ გამოადგა და რა ექნა ი გოგოსთვის მაინც ტყვილა იკლავდი თავს, გათხოვილა ის არ გა... დასარჩენი...

თითქო ხანჯალი გაეტარებოთ ჩემს გულში, ისე მოულოდნელად მეც. ეს ამბავი. უნებურად ტილოზე დაბჯენილი ფეხი ამიციურდა და კინალამ ძირს გავიშოტე. თაროს ხელი წავავლე. შეშინებულმა დედამ კი ხელი შემაშველა და ვითხრა:

— ნელა, შენ გენაცვალე.
— გათხოვილა?
— ვილაცას, სკოლის დირექტორს წაყოლია რ ქაში. ი ბიჭს, რო დოუნა-
2. „მნათობი“, № 6.

ხავს, მაშინათვე გამოუცხადებია, შენ თუ არ წამოწყევი, თავი უნდა გთხოვლაო. რავე, გული ხო არ გწყუდება მერელო?

— ა... არა!

— არა, შენ შემოგვევლოს დედა, არ იღარდო, მერე ქე ჩამოვიდა და ნნახა. ასე ვითხრა, ასე რო არ მექნა, კიდევ რა უბედურება დატრიალდებოდა, რა ვიციო. ჩემს მაგივრად უთხარი ნოდარსო...

— არ მაინტერესებს მისი მოსაზრებები.

— კაი, შენ შემოგვევლოს დედაშენი. ამ შენს საქმეს ექნებოდეს კაი ბოლო და ამაზე მეტი ბედნიერება ნუ გინდა, დედა. ნანატრი ბედო, რო იტყვიან, ისაა.



ეს კიდევ ზანამდე მოხდა, სანამ ჩემი მშობლები სოფელში წავიდოდნენ.

მაგიდას ვუსხედით ყველანი, ჩემი სიღვდრიც აქ იყო. საუბარი გვექონდა იმაზე, თუ ბედი საიდან სად არ შეახვედრებს თურმე ადამიანსო. დედაჩემმა წამოიწყო ეს ლაპარაკი. მერე ლეტიციამ, რადიო ჩართო, უკანასკნელ ცნობებს გადაცემდნენ და გვერდოდა გაგვეგო, ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატში ნონა გაფრინდაშვილმა გაიმარჯვა თუ არა. მოულოდნელად გვესმის: „კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელის მოსაპოვებლად იბრძვის კვათურის ახალგაზრდა მემღაპროელთა ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობს ანხანავი პარმენ ნიორაძე“...

— ჩემი ბრიგადა! — უნებურად წამოვიძახე და ყველანი სმენად ვიქცეით. „...ბრიგადის წევრები, ანხანავები ლაბაძე, ტაბატაძე, ქვაშავიძე...“

— პიერკვადრატა? — გავიოცე მე.

„...საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოვიდნენ წარმოებაში და სწრაფად დაეუფლენ მღაპროელთა პროფესიას. ისინი გადაჭარბებით მსწრაფად დაეუფლნენ საწარმოო დავალებს.“



დროს ბრიგადის სამი წევრი ჩარიცხულია უმაღლესი სასწავლებლის დაუსწრებელი სექტორის სტუდენტად და ეს ბედნიერი მომავლის მშენებლები... ასე ვესმენდით რადიოს იმ საღამოს ყველანი, მაგრამ ახლა როდესაც მშობლებს სადგურზე ვაკილებდი და სამივე მარტო აღმოვჩნდით (ლექტორი მანქანაში დარჩა) ვაგონში, დედაჩემი ვადამეხვია და ბავშვივით აქვითინდა.

— რა იყო, დედა, — ვკითხე გაოცებულმა.

— არაფერი, შვილო. ახლა მარტო ვართ და გული მინდა მოვიოხრო.

— რა გაქვს, დედა, სატირელი.

მამაჩემი გულმოსული უბღვერდა დედას.

— რა ვიცი, შვილო. რაცხა, არ მჯერა, რომ ასეთი სიკეთე ბედმა ჩვენთვის გაიმეტოს. ნეტავი კარგი ბოლო ექნებოდეს ყველაფერს ამას.

— შენ დაგწყევლა ჩემმა გამჩენმა, — შეუტია მამამ, — მართლა უნახავივით ნუკი იქცევი. ამისთანები აქვთ ხალხს, არ ირევიან და არ ინიჭებიან.

— ღმერთო, ნუ მიწყენ, ღმერთო...

— შენი ღმერთი... — თავის დღეში მამაჩემს პირიდან ცუდი სიტყვა არ წამოსცდენია და ახლა კი ვატყობ, რაღაც ცუდს იტყვის.

— გაჩუნდი, კაცო, სირცხვილია, ესმის ხალხს.

— ნუ მათქმევინებ და აღარ გაიგონებენ, — უთხრა მამაჩემმა და მერე მე მონიბრუნდა, — წადი, შვილო, ახლა, ი გოგო გიცდის, ალბათ, მანქანით. ჰკვიანად იყავი, შენი იმედი კი მაქვს, გლახას არაფერს გააკეთებ და, თუ მართლა მოახერხებ უმაღლესში დასწრებულში შესვლას, მაგას რაღა აჯობებს. წადი, სანამ კიდევ დაგჩხვლებდეს ყვავივით ეს არ გადასარჩენი...

— ვაი, შენი ენა გასწყვეა ბარემ, შენი, — მიაწყევლა დედაჩემმა, ცრემლი მოიწმინდა და ვადამეხვია, — წადი, დედა გენაცვალოს, წადი, შვილო, სულ ბედნიერი ფეხით გეკლოს...

წავედი მართლა ბედნიერი და ამყვი.

ყველაფერი მახარებდა და მიყვარდა. ეს დიდი ვაგზლის შენობაც, წარიბა მატარებლებიც, მთვარეებოვით ლამპირონებიც, სადგურის მოედანზე მოფუსფუსე ნაწიანები და ავტობუსებიც, თეთრწინსაფარიანი ზელბარგის მუშებიც, ჩინმედლებიანებივით ვადაჯგომული ოთხსართულიანი სახლებიც, ცაც და დედამიწაც.

გზად საღამოს ვაზეთი „თბილისი“ ვიყიდე და მოვძებნე ჩვენი მანქანა.

— წავიდნენ? — მკითხა ლექტორი და ძრავა აამუშავა.

— წავიდნენ გაოცებულები.

— ცაწყალი მოქუცები, — მოუჩლიქენა ლექტორი და ნაწიანა დასძრა, — რა კარგები არიან ორივენი.

— მოგეწონა? მართალი მითხარი.

— ძალიან. ისეთი გულკეთილები არიან. იცი რა, აი, ჩააბარე გამოცდები და მერე მანქანით წავიდეთ მე და შენ სოფელში, მოვიანახლოთ. კარგი? მანქანა მივა იქამდე?

— ისეთი კარგი გზებია, ზედ ჩვენი ეზოს კარზე მიდის. მანანდე მეც ჩავაბარებ ტარების უფლებას, რაღა ვადირევიან სიხარულით!

— შენ ჯერ გამოცდები ჩააბარე, სადაც საჭიროა და მერე იფიქრე მავაზე.

— მაგასაც ჩავაბარებ.

ვტრიალებდი და მეგონა, რისთვის არ უნდა მომეკიდებია ხელი, რომ ვერ მოვრეოდი. რა ვიცოდით, რომ ჯერ თურმე ცხოვრების გამოცდები ნქონდა ჩასაბარებელი, ისეთი გამოცდები, რომ სულ თავბედს მაწყევლინებდა თურმე, მაგრამ მაშინ მეგონა მე სულელს, რომ იმ ბოხოქარმა ტალღამ, რომელსაც ასე ნებისმიერად ავყევი და მანაც ასე მსუბუქად ამიტაცა თავბრუდამხვევ სიმალღეზე, მეგონა, ამ ტალღამ მოძრაობა შეაჩერა და სულ მუდამ ასე მამყოფებდა ბედნიერების ამ სიმალღეზე, მაგრამ... სწორედ იმ დროს, როდესაც ყველაზე მეტად დავრწმუნდი ჩემი მდგომარეობის სიმტკიცეში, როდესაც

მეგონა, რომ ნამდვილად ქერის ორ-
მოში ჩაეარდნო ბედნიერი არსება
ვიყავი, სწორედ მაშინ სრულიად მოუ-
ლოდნელად იელვა და ისეთი მეხი და-
მეცა თავს, გონს ახლაც ვერა ვარ მო-
სული.

იმ საღამოს მახსოვს მშობლები, რომ
გავაცილე და შინ დაებრუნდი, ამქვეყ-
ნიერი ცხოვრების არსსა და მიზნებზე
მსჯელობის სურვილმა შემიბყრო. ეს
აზრი საღამოს გაზეთმა „თბილისმა“
აღმიძრა, რადგან იქ წერილები წაი-
კითხე წარმოების მუშათა ენთუზიამზე,
უნებურად ფილოსოფიაში გადაე-
ვარდი, და გუნებაში გავიფიქრე იმ ბე-
დის უკუღმართობაზე, რომელიც ადა-
მიანებს თავის უკუაზე ისროდა, ზოგს
დიდების კვარცხლბეკზე შესაკუპებდა,
ზოგს, ჩემსავით, ქერის ორმოში ჩააგ-
დებდა, ზოგს ჯადოქრულ სიმღერის ან
ცეკვის ნიჭით დაასაჩუქრებდა და სა-
მოთხის კარებს ბავშვობიდანვე გაუ-
ღებდა, ზოგს კი — ცხადია, უმეტესო-
ბას ამისთანა იაფფასიანი საყენით კვე-
ბავდა და იწლებით ასულდგმულვებდა.

მთელი ჩემი სიცოცხლე თავი რომ
ნივალა მუშაობას, მარტო მე კი არა,
ჩემმა შვილმა და შვილიშვილმაც რომ
ჩემსავით არ დაზოგოს თავი და დი-
დიდან საღამომდე ურაზუნოს ჩაქუჩი
გრდემლზე ვერასოდეს ვერ შეეძლებ-
დი ამისი თუნდაც მეთედის დაგრო-
ვებას და შექენას. ესენი არიან თურმე
აგერ ბედნიერად, გაფანტულან ამ აბ-
რეშუმებში და ოქროულში, კაცი ხმას
არ სცემს და შენ მიაწყდი ამ უროს და
ნიჩაბს. ამხელა აზველა ქალაქში, მარ-
ტო ამ ჩემი ლეტიციასავით, ერთი
ათასი კაცი მაინც იქნება ასე ჩაქერი-
თებულ-ჩამდიდრებული თუ მეტი არა
და ვითამ მარტო მე უნდა ნაწყინოს ამ
სიმდიდრემ, რომ მოვიხმარო და იმათ
არა?

რამდენიმე დღე ველარც წიგნებს
მოკვიდე ხელი და აღარც მასწავლე-
ბელთან წავსულვარ. თანდათანობით
გული ამიკრუვდა სწავლაზე. დილაო-
ბით აქანდე თუ უთენია ვდგებოდი, ახ-

ლა თორმეტ საათამდე ველარ წამომაგ-
ლებდი ფეხზე. მე ვთქვი, ბედნიერების
მწვერვალზე ამიყვანა განგებამ! სწავ-
მელზე ფიქრი არ მჭირდება, სასმელ-
ზე, ჩაცმაზე და დახურვაზე, ყოველ
დილას ლეტიცია ას მანეთიანს ჩამიდებს
ხოლნე ჯიბეში, იმასაც ვერ ვხარჯავ,
რამი დახარჯო არ ვიცი, აქით ეს და-
ხატული ქალი, იქით ეს სასახლესავით
ბინა, რას ვაკლა თავი ახლა ამ კო-
ლოიდების ფორმულებს და ნიუტონის
ბინომს, რა მეჩქარება, ნელ-ნელა მოვ-
დგები, ვკამ ამ ცხოვრებას და ეს სწავ-
ლა სად გამექცევა-მეთქი. თქვენ აშე-
ნეთ, ბიძია, ეს კომუნისმი და მე ვიქ-
ნები აგერ, ჩემთვის ამ ჩენ ლეტიცია-
თან-მეთქი.

ასე უზრუნველად გავატარე კიდევ
ერთი თვე, თუ თვენახევარი. ლე-
ტიციამ დამაშინა, იმეცადინე, თო-
რემ სტაციონარზე ვერ მოხვდებიო-
ეს აღარც მახსოვდა და ახლა თავში
დამცეცხლა. ისევ დავუჯექი სახელ-
მძღვანელოებს, რათა სასწრაფოდ გაე-
დინილი დრო ამენახლურებია და ერთ
საღამოს ისე გამიგრძელდა მეცადი-
ნეობა, საათს რომ შევხედე, გამი-
კვირდა, ღამის ორი საათი იყო. დალ-
ლილი წავლასლასდი დასაწოლად. ლე-
ტიციას უკვე ეძინა. მეც თვალები მეზ-
ლიტებოდა. ვერ მოვასწარი პერანგი
გამეძრო, რომ ამ დროს მოულოდნე-
ლად ზარის ხმა გაისმა.

ლეტაციამ უცხად გაიღვიძა და მკი-
თხა:

- რა მოხდა?
- ვილაც მოვიდა. ზარია, — ვუთხა-
რი მე და გავიწიე კარისაკენ.
- მოიცა, ასმიჯა მიხედავს, — შე-
მაჩერა მან და დამაბულად გაი-
ნაბა.

დერეფნიდან მოისმა ასმიჯას: „ქო-
ტამ“? — შემდეგ ვილაცის გაურკვეველი
პასუხი. ასმიჯა საწოლ ოთახში შეწოთ-
რატუნდა და ნამძინარევი თვალების
სრესით კართან შეჩერდა:

— ვინ არი? — მოუთმენლად ჰკითხა
ლეტაციამ.

— არ ვიცი. ამბობს, ვიქტორი ვარო. თითქო შხამიან გველს ეკბინოს, რე შეხტა და დაიკლანა ლეტიცია ლოგინში.

ლოყაზე სიმწრით იტყიცა ხელი და ფეხზე წამოვარდა.

— ვაი, დავიღუბეთ, — ისეთი თავზარდამცემი შიშით წამოიძახა მან, რომ გულმა სულ ბაგაბუგით დამიწყო ცემა და ეს შიში ისეთი ძალით გადმომედო, მუხლები მომეკვეთა.

— გავუღო? — იკითხა ასმიკამ.

— არა, მოიცა... რა ვქნა ახლა მე, —

ამიშინდა ხმაჩამქრალი ლეტიცია, — დავიღუბეთ... მიშველე, ნოდარ... არა, შენ წადი, თავს უშველე... მოიცა, შე დაგვალავ, წამოდი...

დამავლო მაჯაში ხელი, საკუქნაოში შემავლო, კარები გაიხურა და მისი ფოსტლების ტყაპუნით მივხვდი, ელამისაკენ გაეშურა, რომ ამ, მისთვის მოულოდნელ და გულისგამხეთქ სტუნიარს შეგებებოდა.

მე კი ვიდექი ამ ბნელ საკუქნაოში და ბოლმისაგან ვიგუდებოდი.

(გაგრძელება იქნება)

ირაკლი აბაშიძე

ხმა ჰვარის მონასტერში

მე დაეიკარგე...
 დაეიკარგე
 თუ დღეს აღმოვჩნდი?
 დაეთრგუნე სული,
 თუ ეს სული
 მე დღეს გავეწმიდე?
 ვარ სამშედილობოს,
 ვარ აღმართზე
 თუ თავდაღმართში?
 რა უნდა ერქვას
 ჩემს აქ ყოფას,
 სუნთქვას აწინდელს?

მე გარდვისახე?
 ძველი ჩემი
 განხმა ყვაველი,
 კვლავ ახალ ვარდთა
 უფრო კარგთა
 დღეს ვარ მფლობელი?
 კვლავ ვფარავ სულში?
 თუ გულმართლად
 დავთმე ყოველი?
 დავთმე?
 და იქნებ
 არც რამ მქონდა
 დასათმობელი?

მე შენს დიდ კანონს,
 დიდ განგებას
 როდის გარდაველ,
 როდის დავაკელ
 სითბო ლოცვას,
 ლოცვას მონებრივს, —
 მაგრამ თუ ზოგჯერ
 ვერ ვუპერდი
 ფიქრსაც სადავეს, —
 რად მომეც ნიჭი,
 გულის ყური,
 თვალი გონების.

ან იქნებ ცოდვად
 არც შეთვლება
 ეს მკრეხელობა
 და შენ, პირიქით,
 მცირედ მითვლი
 ჩემს შემართებას;
 იქნებ ამაოდ
 შენთან ვიწყებ
 თავის მართლებას
 მე — სხვა ბუნების მოწოდება,
 მე — სხვა ხელობა.

გარნა ვინ ვიყავ?
 რა ხმა მქონდა,
 რა საკუთრება?
 ვიყავ მმართველი,
 ხმელთა რისხვა,
 ზღვათა მპყრობელი?
 მე მეპყრა სკიპტრა?
 მბრძანებლობის
 მქონდა უფლება?
 ვიყავ ქალაქთა
 აღმმართველი,
 დამამხოვბელი?

მე აზრი ვიყავ...
 ბედი კაცთა
 მე არ მებარა, —
 ჩემად ნუგეშად,
 ჩემად ტანჯვად
 მე ეს მეყოფის...

მე კაცი ვიყავ,
 მეც ამ მიწის
 მედო ბეგარა:
 მე ვიყავ მონა
 სიყვარულის
 და ერთმეფოწის.

თუ ეს მდევს ცოდვად,
 თუ მაინც მთელი
 სულად ცოდვილად,
 თუ მიხმობს შენი
 ხმა მსაჯული,
 მაღალ-მეფური —
 ჰა, მოველ შენთან
 გულგახსნილად,
 დედაშობილად,
 უკვე სამარის
 კარს მიმდგარი
 დაღამებული.

მარქვი სად ვტყუი,
 სად ვარ მცდარი,
 სად ვარ მართალი;
 რომელ არს ჩემი
 დღე მწუხარი
 ჩემი დღე ტკბილი
 მარქვი მე ჩემი გაზაფხული,
 ჩემი ზამთარი...
 პანტოკრატორო!
 შენს წინ ვდგე ვარ
 მუხლმოდრეკილი.

ირაკლის
 აბუშიძის
 შრომების
 კრებული

საგომ ქლიაშვილი

კეთილი ღმრთობა

ჩემმა მეგობარმა პაპუნა წ... როცა ერთხელ ვესტუმრე, მისახსოვრა გვიღო რენის სურათის „ბეატრიჩე ჩენჩის“ უძველესი ასლი უცნობი ოსტატის მიერ საქებური გულმოდგინებით შესრულებული, მაგრამ დროთა მსვლელობაში მოუვლევლობით დაზიანებული. ნაპირებზე საღებავი დამსკდარიყო და ჩამოცვენილიყო. საბედნიეროდ, სახე კარგად იყო შენახული. ნახატი სტოვებდა ძველი ეკლესიის კედელზე შემორჩენილ ფრესკის შთაბეჭდილებას.

სურათზე ბეატრიჩეს თავი შეკრული აქვს თეთრი დოლბანდით. მისი ღამაზი სახე ბავშვური უმანკოებით სახვეა. აწეწილი კულულები უკან გადმოჰყრია. შეშინებული გამოხედვა აქვს და ვიწრო მხრები ისე აუწევია, თითქოს ცდილობს ვიღაც უცხოს თვალთაგან დაფაროს მათი სიტყვლე. ამ მხრების თრთოლვას, არა მხოლოდ ოცნებით, ასე მგონია, ნანდვილად ვხედავ.

შეცქერი მშვენიერ სახეს და ყრუანტელს მგერის გახსენება იმ დროის, როცა ძლიერთა წინაშე პირმოთენებმა საოცარი გულქეობით გასწირეს ეს უცოდველი ბავშვი.

ბევრმა იცის, ალბათ, თუ როგორ დასრულდა მისი ცხოვრება. ძველ ქრონიკებში სამარადჟამოდ აღინიშნა ეს ტრაგიკული ამბავი. შემდეგაც არა ერთმა გამოჩენილმა კალმოსანმა შეახსენა თავის თანამედროვეთ, — თითქოს გასაფრთხილებლად, — თუ რატომ იგემა ცხოვრების მთელი სიმწარე გოგონამ, რომელმაც სრულ თექვსმეტ წელსაც ვერ შეაღწია.

ბეატრიჩეს მამა, ინდგომარეობით გა-

ნებიერებული და უჩვეულო თავგადასავალს მოყვარული რომელი ბოზოლა ფრანჩესკო ჩენჩი, პირუტყვეული სიყვარულით აღიგზნო და შეეცადა მიჯნურად გაეხადა შვილი. ბეატრიჩემ ვეღარ აიტანა წამება და ძმებთან და დედინაცვალთან შეითქვა ავხორცი მტარვალის მოსაკლავად. ეკლესიამ ამისათვის შეაჩვენა ის, როგორც ღვთისგარეგანი დანაშაულის ჩამდენი და თავი მოკვება.

ფრანჩესკო ჩენჩი რომ ვინმე მდაბიო ყოფილიყო, ალბათ, თითონ მას შეაჩვენებდნენ, მაგრამ ძალაუფლებით მოსილი დესპოტი, თურმე, პატიოსნებაზე და ღმერთზე უფრო მალა დგას. კანონი არ სჯის ბოზოლას, თვალუბზე ხელებს იფარებს, რომ მისი სიავე არ დაინახოს, ხოლო გულგრილად უსწრაფავს სიცოცხლეს უცოდველსაც, თუ მან დამცირება ვეღარ აიტანა და ბოროტებას წინააღუდგა... შენ, მშვენიერო ბავშვო, ბეატრიჩე, ვისაც გინდოდა წმინდად შეგენახა სული და ხორცი, ფარისევლებმა გააჭირეს ნხოლოდ იმისათვის, რომ ხელისუფალთა წყრომა არ დაიმსახურონ და თავისი მდგომარეობა შეინარჩუნონ!..

გვიან იყო, როცა ნავაშმევს მეგობრისაგან წამოვედი. მომქონდა ნაჩუქარი, დაცარიელებულ ქუჩებში თანამგზავრად მოწყვებოდა ფიქრი წამებულ გოგონაზე და ღამის სიჩუმეში ჩემი ფენის ხმა მომდევდა.

როგორც იქნა, შინ მივალწიე. სურათი საწერ მაგიდაზე მივაგდე და დავიძინე.

მეორე დღეს სამუშაოდან რომ დავბრუნდი, სურათი წიგნების თაროზე ჩიყუდებული დამხვდა. ცხადია, ჩემი შინამოსამსახურის მარფას დადგმული იქნებოდა. მოხუცი დედაკაცი, ხომ წესრიგის მოყვარული იყო.

რამდენიმე წელიწადია ჩემთან მსახურობდა. კეთილია და გულისხმიერს დიდ პატრეს ვცემდი. პატიოსანი და ალალ-მართალი ადამიანი რომ იყო, ამაზე მისი სახე და თვალებიც მეტყველებდნენ.

ვაფასებდი მარფას არა მარტო იმიტომ, რომ ერთგული იყო და გემრიელ სადილს მიმზადებდა — მას ნამდვილი სინშვიდე შემოქმონდა სახლში. როგორც კი დილით ბინაში ფეხს შემოადგამდა, თითქოს რაღაც ნათელიც თან შემოაყვებოდა. რაც უნდა ამღვრეულ გუნებაზე ვყოფილიყავი, მისი გამოჩენა და რამდენიმე სიტყვა, სრულიად ჩვეულებრივი სიტყვები, თითქოს ჯადოსნური ძალა ჰქონდათო, ყანგისგან გულს ჩამიწმენდდნენ და სულში უმალვე სიმშვიდე დაისადგურებდა. არა, სრულიად არ ვამეტებ, ნამდვილად ასე იყო.

არასოდეს არ წინახვას მარფა ვინმეზე გულმოსული. ცხოვრებაში უმცირესით კმაყოფილდებოდა და არავითარი შური ან სიხარბე მის გულს არ მიჰკარებოდა. ყველას ალერსით შეჰყურებდა, ყველა ადამიანი ღვთის მიერ გაჩენილად მიაჩნდა და უპირატესობას არავის აძლევდა. არ თაკილობდა, მაგალითად, იმასაც, რომ ჩვენი სახლის სარდაფში მობინადრე ერთ დედაკაცს, რომელსაც მეზობლები ერიდებოდნენ, რადგან ის ოდესღაც ნებაჲ იყო, გასაჭირში მიშველებოდა და ხელი მოემართნა.

მიყვარდა მისი საუბრის მშვიდი კილო და ენამახვილობა. სრულიად უბრალო ამბავსაც ისე ცერბიანად მომიყვებოდა, რომ ყოველთვის სიამოვნებით ვუსმენდი. მოწყენილ საათებში განზრახ დავიწყებდი ხოლმე მასთან ლაპარაკს.

ერთხელ მის შორეულ ციმბირზე და

განვიღო ცხოვრებაზე ჩამოვუგდე სიტყვა.

— შენ, ალბათ, ლამაზი იყავი ახალგაზრდობაში, — ვუთხარი სხვათაშორის, როცა მან ზოგი რამ მიაშპო თავის წარსულიდან.

— ძალიან ლამაზი ვიყავი, — დინჯად და საეგებით სერიოზულად დამიმოწმა. — სოფლის თვალად მთელიდნენ.

— მერე და, რატომ არ გათხოვდი?

— არ შეიძლებოდა... თუთხნეტი წლის რომ გავხდი, მონაზვნად უნდა აღვკვეცილიყავი. მაგრამ რევოლუცია მოხდა და...

— გოგონა, როგორ გაგიმეტეს მშობლებმა მონასტერში ჩასაყეტად? — ვკითხე გაკვირვებულმა.

ჩვეული სიმშვიდით, ერთი წამითაც რომ არ შეთრთოლებია ხმა, მიპასუხა:

— დედა არ მახსოვს, მამა კი... მამა ჩემს ღმერთმა ყოველივე შეუნდოს... მთელი ჩემი სიცოცხლე მისი სულისთვის ელოცულობ... წარჩინებულ კაცად ითვლებოდა, მაგრამ დიდად ცოდვილი იყო... მის განაო ჩემი სამი ძმა სიკვდილით დასაჯეს...

მეტი არაფერი თქვა. მენიშნა, რომ ამაზე სიტყვის გაგრძელება არ სურდა და აღარც მე ჩაეკითხე. მხოლოდ ის კი გამახსენდა, რომ ყოველწლიურად შენდობის დღეს ეკლესიაში შესაწირავი მიჰქონდა და მამისა და ძმების სულისთვის პარაკლისს იხდიდა.

ის ამბავი, რომ გამოსაჩენ ადგილზე მოეთავსებია ბეატრიჩეს სურათი და მისი ძველი ჩარჩოც გაეწმინდა, მარფასთვის ჩვეული სისუფთავისადმი სიყვარულად ჩავთვალე და უყურადღებოდ დავტოვე. მაგრამ მან თითონ მკითხა:

— ეს თქვენ შოიბანეთ?

— ჰო, წუხელ.

— მერე, და, რატომ აგრე უპატივეცმულოდ მოეპყართ? ხატის ასე მიგდება როგორ შეიძლებოდა...

სურათს ეკლესიაში ჩამოკიდებულ ცველი ხატების მსგავსად მუქიმოყვითალო ფერი გადაჰკარავდა და, ალბათ,

ამან აფიქრებია, რომ ესეც ვილაც წმინდანის გამოსახულება იყო.

უნებურად გამელიძმა.

— ეგ, აბა, სადაური ხატია! ეგ კი არა, სწორედ ეკლესიამ უწმინდურ არსებათ ჩათვალა და თავი მოკვეთა...

და წარფას ვუამბე ბეატრიჩეს ცხოვრება.

ყურადღებით მისმენდა. მისი სახე მღვდლვარებას არ გამოხატავდა, მაგრამ იმას კი ვამჩნევდი, რომ გულთან ახლო იღებდა.

— როგორც ხედავ, ის ხატად არ გამოდგება, — ღიმილით დავასრულე ამბავი.

ერთ-ორ წუთს მდუნარედ იღვია. ბოლოს გულნაკლულად შემომხედა და, უეცრად, მისი საყვედურიც გავიგონე:

— ტყუილად იღიმები... სასაცილო აქ არაფერია...

ეს თქვა, მიტრიალდა და გავიდა.

მთელი დღე უგუნებოდ დაბორილობდა ბინაში. მერე სამზარეულოში განწარტოვდა და დიდხანს იჯდა იქ რაღაც ფიქრებში წასული.

მაკვირვებდა მისი ქცევა, უგუნებოდ მყოფი მარტა აქამდე არ მენახა, მინდოდა მიზეზი გამეგო, მაგრამ ვატყობდი ახლა უხასიათოდ იყო და ვამჯობინე სხვა უფრო მარჯვე დროს გამოწყეითხა... ნუ თუ მე ვაწყენინე რაიმე? არა მგონია, თუმცა ვინ იცის — ღრმად შორწმუნე გულუბრყვილო დედაკაცს, ალბათ, ლეთის რისხვად მიაჩნდა, რომ ეკლესიის მიერ შერისხული არსება წმინდანად ეჩვენა, და ამაში კი მე მთვლიდა დამნაშავედ, — მე რომ სურათი არ მომეტანა, ასეთ დიდ ცოდვას არ ჩაიდენდა...

იმ საღამოს ჩვეულებრივზე ადრე გამგლეძია ნასადილევს. როცა ჩემს სამუშაო ოთახთან მივედი, იქიდან ჩუმი ლაპარაკი მომესწა. ცხადია, ვილაც სტუმარი მოსულიყო. შევიხედე ოთახში და გაკვირვებული დავრჩი — მარტო მარ-

და დამხვდა. წიგნების თაროსთან იჯდა, შეკურებდა ბეატრიჩეს და ელაპარაკებოდა.

დამინახა, თუ არა, მძიმედ წამოდგა და კარისკენ წავიდა. შევატყე, ნამტიჩალები იყო.

— მარტა! — დავაწიე ხმა. — რა ჩობდა, რა მოვივიდათ?

კარებთან მისულმა სახე იბრუნა და ყრულ მითხრა:

— თუ გნებავს, მოგართმევ ჩაის...

მეორე დღიდან მარტა ისევ ძველებურად სახენათელი და ხალისიანი შეიქნა. როგორც ყოველთვის, ახლაც სიმშვიდით შემოიტანა სახლში. წინა ღამით ხანგრძლივი წუშაობისგან დაღლილს ამღვრეულ ხასიათზე გამგლეძია, მაგრამ მისმა რამდენიმე ალერსიანმა სიტყვამ, თითქოს ჯადოსნური ძალა ჰქონდათო, უმაღვე დაწმინდა გული.

დავაპირე გუშინდელი შენთხვევა შემეხსენებინა, მაგრამ მომერიდა. ვიფიქრე, ამით გუნებას შევუცვლიდი. რახან თითონ არაფერს ამბობდა, მაშასადამე საჭიროდ თვლიდა დავიწყებას მიეცა.

არც შემდეგში არასოდეს მიკითხავს, ვცდილობდი ისე დამეჭირა თავი, თითქოს არც ვაჩნევედი მის საკვირველ ყურადღებას სურათისადმი. მარტა კი ისევ ისე სათუთად უფლიდა და ელოლიავებოდა.

დარწმუნებული ვარ, ჩემი შინ არ ყოფნის დროს ზის ხოლმე ბეატრიჩეს წინ და ჩემთან გაუმზილელზე ესაუბრება.

თუ მართლაც ასეა, რას უამბობს? რა საიდუმლოს ანდობს?

არ ვიცი. სათნო და პატიოსან დედაკაცს კი იმის თქმა ვერ შევკადრე, რომ უბედურ გოგონასადმი ასეთი ახირებული სიყვარული უცნაურობად მიმაჩნია.



ჩვენს მკვლევარს

ჩვენს მკვლევარს

ჩვენს მკვლევარს რაღაც დავტოვებ,
 ფიქრი, ალერსი, დარდი, ზმანება,
 ხშირად ამიტომ ვგრძნობ სიმარტოვეს
 და განშორებაც დამენანება...

რაღაც სულს გააჩნდა მცირე ქონება,
 დედას გადურჩა შეუფუთავი,
 ბევრი ოცნება და მოგონება,
 დღეს იქ ზუზუნებს, როგორც ფუტკარი.

ვნანობ, იქ დამრჩა განძი ნამდვილი —
 ღამის თევზი და ბევრი ღვიძილი
 და ვერ შეფუთა ცოლმა ბარგივით
 შინებს მიმსკდარი ჩემი სიცილი.

ვერც ვალიაში ჩასვა ჩიტვით
 ჩემი, გულთბილი დედის ალერსი,
 კახარბული ბაღის ტიტინი
 და მისი კოცნა უმზურვალესი.

და ვერ აკრიფა გამწყდარ მძივივით
 მიმოფანტული ჩემი ცრემლები,

ვერ შეახვია დედის ღვიძლის,
 მამის ღვიძლის ცისარტყევები.

ვერ წამოიღო ჰერზე მიხლილი
 სტუმრის ღილეო ომახიანი,
 ვერც ახლობელის ტყბილი ღიძინი
 და ვერც მთაწმინდის გრილი ნიავი.

ვერ წამოიღო ჩემი ქუხილი,
 ბეგრები ჩემზე გაბუტულები,
 ხან სიხარული და ხან წუხილი
 ბარტყივით სადღაც მიყუყულები.

იქ დამრჩა სევდით და ალტაცებით
 სიზმრად შეთხზული ბევრი შაირი,
 ამოლამბული სიტყვის ძაფებით
 და პოეზიით სავსე პაერი.

იქ, მკვლევარს რაღაც დავტოვებ,
 ფიქრი, ოცნება, დარდი, ზმანება,
 ხშირად ამიტომ ვგრძნობ სიმარტოვეს,
 „დავდივარ... ვწუხვარ და მენანება!“

მინაწერი ლექსზე „ჩვენს მკვლევარს“

ლექსმა გატყინა გული ეგების,
 მე გთხოვ ამაზე ნუ შეწუხდები!
 გახსენს სარკმელი და ოცნებები
 სკას მოძებნიან, როგორც ფუტკრები.

გახსენს სარკმელი, გაანიავე,
 ამაზე ნულარ მომერიდები,
 ბევრი ზმანება შეიფრთხილებს,
 გზას მოძებნიან, როგორც ჩიტები.

და უცბათ, როგორც თბილ ქვეყანაში
 ჩემსკენ წამოვა ფიქრი გუნდებად.

სანაპიროდან თამაშ-თამაშით
 არცერთი აღარ დაგმბრუნდება.

იქ ცარიელი ბუდე დარჩებათ
 მარადის თქვენი კეთილ-მსურველი,
 არ დაუნგრეოთ შენმა ბავშვებმა
 და დიდხანს დარჩეს მისი სურნელი!

ჩვენს მკვლევარს შექიცი ბევრია,
 ნურასდროს, ნურვინ დაგინისლავდეს,
 იცოს დღევანდელი შენი კერია,
 უკუნისიდან უკუნისამდე.

ბოლოს ჩხიბიძე

ავტობუსი № 37

მოხირობა

თბილისი პატარა ქალაქი არაა, მცხეთიდან გარდაბნამდე გადაჭიმულია, განშიც საკმაოდ გაწეულია. იმ ქუჩებს და უბნებს, სადამდეც ტრამვაი და ტროლეიბუსი ვერ წისწვდენია, ავტობუსები აერთებენ ქალაქის შუაგულთან. ავტობუსი № 37, ამავე ნომრის მარშრუტით, მართლა არსებობს. თუ ისეთი იქნება ვინმე, რომელიც ამას არ დაიჯერებს, დაე, თითონ გასინჯოს. მურიკას ამბის ეს დასაწყისი მეგზურობას იკისრებს მისთვის.

გახვალთ თუ არა შინიდან, თბილისის რკინიგზის სადგურისაკენ გასწით. დატრიალდით სადგურის გარშემო გაშლილ მოედანზე. მეტი შრომაც არ დაგპირდებათ ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად.

საბილეთო საღაროების შენობების პირდაპირ, საწინააღმდეგო მხარეზე, ავტობუსი № 37 თუ მაშინვე არ დგას, ოდნეადაც ნუ შეფიქრდებით. ის უთუოდ გზაზე, რეისზეა. სამიოდე წუთონი შემოგრიადდება მოედანზე, ძველი მგზავრებიდან გათავისუფლდება, ახლებს აიყვანს. თუ გნებავთ თქვენაც დღუგეჟით. იქნება კონდუქტორად. იმ ავტობუსში, მურიკა კ... შეგხვდეთ. მაშინ მგზავრობით ისიამოვნებთ, შინ კმაყოფილი დაბრუნდებით.

ეს კონდუქტორი, მურიკა, დიდიხანია ყველა მგზავრის თვალს თავის გასახარად შეუნიშნავს ამ მარშრუტზე. სწრაფი და ნაზი მოძრაობის ქალია. გრძელი, ჩამოსხმული თითები მარმარილოებზე უკრიალებენ. მონიბლავი, მიმ-

ნობი ქცევა აქვს, ისეთი, რასაც ადვილად ვერ აღწერ. შესახედავად, ტანად? რაღალი, კეთილიერია, სახის თეთრი კანიდან ნათელი ეღვრება. სწორედ ვარსკვლავი იქნებოდა, რომ ყვრილობა და ცხვირის ორსავე მხარეზე ფარშავანგის კვერცხისდარად, ოდნავ შესამჩნევი კორფლი არ ჰქონდეს შეფრქვეული. ბუჭვიდან ახლად დაკროლილ, დაბრაწულ წაბლისფრად უბზინავს თმა. როცა ნაწნავზე ან ხეუფულზე შესასწორებლად ხელს მოივლებს, გაიშლის, ხელეურისტოლა კანძები ბეჭებს, ზურგსა და მხრებს ერთი წამით მთლად გადაეფარება. რაც გინდათ, თქვით, როგორც გინდათ, დაძრახეთ მგზავრები, მურიკა-კონდუქტორი, როგორც სანახაობა, თუნდაც თელეთის ხატს უჩრევენიათ.

მურიკა მგზავრებს ტკბილად ეგებება და აცილებს. რაც არ უნდა სავე იყოს ავტობუსი მოხეცა და ავადმყოფს დასაჯდომს გამოუქმბნის, ან ფეხზე ისე გააჩერებს, რომ ტკივილს, დაღლას არ აგრძობინებს. ჯანსაღებს და ახალგაზრდებს კი გასძახებს თვალის ჩაკვრით და წკრიალა ხმით, ბილეთის შეძენაში პირველობა გამოიჩინეთ.

ასეთ ხალისიან ვახმაურების შემდეგ ავტობუსს თავით-ბოლომდე დაუვლის, მკერდზე ჩამოკიდებულ რულონიდან მოგლეჯილ ციციწა ქალაღში კუთვნილ შურიანებს მოკრებს. სამსახურის სკამზე დაჯდომის წინ, ორიოდ მარილიან სიტყვას კიდევ ესერის ნაცნობ მგზავრებს.

— რასა იქმთ, ხომ კარგად, მშვიდობით?

კონდუქტორის მიხალისება არა ნაკლებს სიამოვნებით უცნობ მგზავრებსაც. ასეთი გამოლაპარაკებით, ან კიდევ უფრო სხვა დამამშვიდებელი კითხვებით, დაიწყება ხოლმე წარშრუტი.

ავტობუსი № 37 თბილისის სადგურიდან, ვაგზლის ქუჩით, მდინარისაკენ იხამს პირს. ჩელიუსკინელების ხიდაზმდე არ მივა. კინოსტუდიის შენობასთან ხელმარცხნივ შემოუხვევს. იქვე პლენარის გამაზირის სიღრმეში შთაინთქება, მალე მარქსის ხიდან ამოყოფს თავს. ვიწრო ქუჩებში გაძვრებ-გაპოძვრება. დიდხვევის დაღმართს ქიწხე მაქოსავით გაუსრიალებს. აქედან ჩუღურეთის ბოლოზე, სანაპიროს ქუჩას ლანდივით გადაეცლება. ბარათაშვილის ხიდისაკენ არ მიიხედავს, სანაპიროს დასალიერთან ისევ მარცხნივ მიეძალეება. შეღმართზე ქარმაგად აცოცდება, ისნის მოედანზე აიჭრება და ნავთლულის გზაზე გაემართება. ბოლომდე არც მას დაღევს. დოლაბაურის ვაკილებულში, ავლაბრის კინოს შენობასთან, ისევ და ისევ მარცხნივ მიიქცევს საკვს.

იქ რკინიგზის ქვეშ გაცურდება, გაითარეშებს კახეთის ტრამალის გულზე სწორად გავლებულ ასფალტის ფარდაგზე. ქალაქ გარეთ, სიხალგათეში, წყვანე მდელეებს შორის, სიჩქარეს მოუმატებს. რამდენიმე წუთში უკან მოიტოვებს საფქვავე კომბინატის კოშკებს, მესამე საშენებლო მასივს და ნავთლულს. არც ვარკეთილის და თბილისის ზღვის გადასახვევებთან შედგება. მხოლოდ ორხვეში დაამუხრუტებს თვლებს ოდნავ მოსაბრუნებელ ადგილთან და მოსახვევიც იქვეა დიდი გზის გვერდით. თუ ოდესნე თბილისში კარგი, სწორი, ლამაზი ქუჩა ინჟინრის შუბლს, მაღლიან თავს და ღონიერ მკლავს შეუქმნია, ერთი იმათგანია ავტობუსი № 37 მარშრუტის უკანასკნელი კლომეტრები ლილოს მინდვრებზე, გზისა და ქუჩის ეს მონაჭერი ორხვეის

გაჩერებიდან სამგორის რაიკომის, რაიკომსაკომის შენობამდე მარშრუტის კლომეტრისადგურამდე დასად გამწლილი.

ლილოს საყანეების მერდვენებადღე, რომლის ზემოთაც, ქიმზე გოდოლივით წამოზიდულია პიდროსადგურის წყალგადმოსაყარდნ სალაღავის წოწოლა ბეტონი, რამდენიმე კლომეტრზე, ცის ქვეშ, ნებეირობს ლარსა და ხაზში გამოყვანილი, ლამპიონებიანი ქუჩა. ასფალტი მსხვილი ხრეშიან ბეტონის სფანელზე დაუსხამთ. ვაკე და რა ვაკე! არსად ერთი ბეწო შენაღლება, არსად სიმრუდე, არსად კობისოდენა ამონაბურცი. სამგორის არხზე, რომელიც ამ ქუჩასა და გზას მოხდენილად ჰკვეთს, ხიდი გაუღვევთ. ხიდის ბურჯები, აქეთ-იქით დასაყრდენი დოსტაკები, მოაჯირები, გზასა და ქუჩას, როგორღაც შეუშინეველად, ბუნებრივად შერწყმიან. მხოლოდ რკინა-ბეტონის გამოკუთხულ კალაპოტში შორით მიმავალი ივრის ლურჯი წყალი განიშნებთ რქ, სადმე ხიდი უნდა იყოსო.

— ერთი შეხედეთ ან კეკლუცანას! აბა სხვაგან ასეთი ლამაზი მარშრუტი და ქუჩა, ჩვენ ქალაქში, ვის და სად უნახავს!

შემოგვისმებათ მურეკას მხიარული ხმა და, თითქოს თქვენი წამოსაძახებელი მან წამოიძახაო, ზეზე წამოყარდებით. თავს დაუქნევთ, თვალებით ახალ ქუჩას ჩააფრინდებით. მერე კი შთაბეჭდილების გასანელებლად იქნება მოახერხოთ და თქვათ:

— გასაოცარი არა არის რა. წარშრუტი, გზა, ხიდი თუ თქვენგან ასე მოწონებული ქუჩა, ლამპიონი, ადანიანის ხელის ხეირია ყველა.

— დიახ, აგრეა. მართალი ბრძანებაა. მაგრამ ერთს ნუ დაიფიქვებთ, თუ იმ ადამიანმა, ქალაქის ამ სრულიად ახალ უბანში, ლილოს ვაკეებზე, ასეთი ხალვათი და მკვიდრი პროსპექტი ააგო... ნახელავს, დამიჯერეთ, მისი ხელოსანი, ოსტატი და გამგარაუდებელი, როგორღაც გავს, ენათესავება.



— ჰე, მურიკა, მურიკა! თქვენ გინდათ მოთხრათ, რომ ამ ქუჩის აგებაზე მომუშავე ადამიანები მათის გარეგნობით, კეთილი ზნეობით სხვებს ბევრად ჯობიან?

— რაღაც მართლად მავებით მიტრიალებდა გონებაში სათქმელად, — მურიკა წამით ყოვნდება და ბოლოს მტკიცედ აცხადებს: — დიახ. ან ქუჩის აგებაზე მომუშავე ადამიანები ხსევებზე ისე მალა დგანან, როგორც ვარსკვლავები მინდვრად გაჩაღებულ კოცონზე. ჩემთვის კი... აბა მე რა! სულ უბრალო ქალი ვარ. ზოგიერთებს, ჩემი ქორღლიანი ცხვირპირის გადამკიდეს, შემოხედვაც არ სურს. რა ვაეწყო, კაცია და გუნება. ჰო, იმას გუუბნებოდი, სულ უბრალო ქალი ვარ, ბილეთებს ვყიდი, მეტი არაფერი. და მაინც დამიყინია: მართლაც ზნეობრივად არის თუ გარეგნულად, ისინი, ამ სიკობტაეის მშობლები, ყველას მირჩენია.

— რაღაო?

— აჲ გითხარით, რომ მათ შექმნეს, აი, ეს ქუჩა!

— იცნობთ ვისმე პირადად იმ თქვენგან აგრე მოწონებულ მშენებელთაგანს?

— ერთი მათგანი გვერდზე გიზით. მიიხედეთ, ხელი ჩამოართვით, გაეცანით.

— ჰმე...

— რა ჰმ! ახირებდად ნუ ჩამითვლით, იცნობდეთ-მეთქი, ვახო ქვასროლიაშვილს.

ავტობუსი № 37 მგზავრებმა ადგილებიდან წამოიწიეს უცნაური გვარის პატრონის დასანახავად. მერე ყველამ ერთად მურიკასაკენ მიიქცია თავი. ნეტავი ეს ვახო ქვასროლიაშვილი ვინლა, აქ რა მოსატანიო.

— აბა ერთი დაელაპარაკე და გაეცანი კიდევ ყველას, ამათ!

მინართა მურიკამ ოცდაათიოდე წლის მრქალაქეს, სამუშაო ტანსაცმელში გამოწყობილ კაცს.

— დამეხსენი, მურიკა! — გაიღი ხმა ქვასროლიაშვილმა. — თუ გინდა, შენ

თვითონ გააცანი ჩემი თავი, ვისაც გეწებება.

— შენ სულ აგრე იცი! — უსაყვედურებს მურიკა. — სადა მაქვს დრო, ბილეთების გაყიდვას ძლივს ავუდივარ.

— რა გვარი და სახელი ახსენეთ? ეკითხებიან მურიკას გვიან გონსმოსული ნგზავრები.

— ვახო ქვასროლიაშვილი! უმეორებს მათ მურიკა.

— საოცარი გვარია. — შენიშნავს ერთი მგზავრი. — თუმცა, გასაკვირი ბევრი არაფერია. არიან გვარად ხოყერაშვილები, ძალაძეები, ჩაფსფეხიწა-მოკრაშვილები, ღორისდინგაძეები, კრაწაშვილები, ქიბრუცაძეები. ეგ არაფერი. საქმე ისაა, რაღა მაგ ქვასროლიაშვილმა უნდა გაგვაცნოს თავისა პიროვნება! იქნებ ის თავისთავს ისე საინტერესოდ არ ცნობს და აღიარებს, როგორადაც თქვენ მას. მაშინ ხომ ამბავი უმარილო გაწოვა. ან რად ავალეებთ მას გაგვეცნოს?

— ქვასროლიაშვილი, ვახო, ჩემი ქმარია. ამ ქუჩის მშენებელი და მცირე რამ უფლება მაქვს მასზე. ხანდახან ვახო ჩემ თხოვნას სიამოვნებით ასრულებს.

— დამიხსენით მაგ ნოვალეობისგან. შენ, მურიკა, თითონ მოუყევი, ვისთვისაც — რა გწაღია. მე კი დამეხსენი, დამეხსენი!

შეეხვეწა ვახო მურიკას. საჩქაროდ ზეზე წამოიჭრა, უახლოეს გაჩერებაზე ძირს ჩავიდა. ავტობუსმა კი გზა განაგრძო. დანიშნულ დროზე რკინიგზის სადგურთან მივიდა. იქ შუადღის გაჩერება ელოდა. თითქმის ერთ საათს გრძელდებოდა მოფრებისა და კონდუქტორების შესვენება.

— იქნებ თქვენ ლუდის მოყვარული ხართ? — ეკითხება მგზავრს ნურიკა.

— ამისთანა სიცხეში, ცივი ლუდი მისწრებაა კაცისათვის.

— მაშ, აგერ შევიდეთ, დასვენებაცაა. იქ ოსური ლუდია. დავლით თითო-თითო. მერე გზამშვიდობისა, შენ

შენი ცოლშვილისაკენ, მე ჩემი ქმარ-
შვილისაკენ.

— აგრეთ იყოს, მურიკა. შევიდეთ,
დავლიოთ თითო ქიქა ლუდი. ეს კი
იცოდე — დამაზღვევე. ის შენი ვახო
ქვასროლიაშვილი ზურგიდან არ მომე-
პაროს, მტკვრის რიყე თავში არ ჩან-
თხლიშოს ან ფინური დანა მარცხენა
ქუთუხე არ დამცეს.

მურიკა, ნათლობის სახელით — მა-
რიაში, შემოთაც იყო მოხსენებული,
ლამაში ქალია. ლაპარაკია, საუბარი თუ
შეძახილი, ყველა მომხიბლავად იცის.
ხედავთ, უმალვე დამითანხმა უცოლო,
უცხო კაცი ბარში შეყოლაზე, ერთი
ქიქა ლუდის შესასწავლად. ერთიც ვნა-
ხით ეს მიპატიებდა პირველი ნაბიჯია
იმ გზაზე, რომ ღამით, ქმრის ჩუმად,
შინ დამიპიროს და თქვენ რა გგონიათ?
ვერა, ამისთანა ქალს, ასეთ წინადადე-
ბაზე ვერასგზიხთ უარს ვერ ვეტყვი.
წარმოუდგენლად მომხიბლავი და მოხ-
ლენილია ეს მიწაგასაწყვეტი. რაკილა
ასეა, საფუძველი არ ამაქვს ვიფიქრო,
რომ მისი ვახო ქვასროლიაშვილი, ეკ-
ვებით გაბერილი, სახლის მეოთხე სარ-
თულიდან ქვაფენილზე გადაგდებულ
საზამთროსავით არ გასკდება. არა, რა
დროს სიცოცხლის გაფრთხილებაა. მო-
სახლენი ვადამხდეს, გაცყვები მურიკას
ლუდხანაში. თუ საბოლოოდ არაფერი
გამომივა, ღამაშ ქალთან ხომ დავლიე
ლუდი. ესეც რამეა ცხოვრებაში.

და აი, მურიკა უცხო კაცთან ლუდ-
ხანაში ზის, ქმარი საღდაც გაჩერებაზე
ძირს ჩააგდო, თვითონ არანათესავ პირ-
თან, ისიც მამაკაცთან ერთად მისჯდო-
მია მაგდას, ლუდს ყლუპ-ყლუპად შე-
ექცევა. ესეც თქვენი კდემამოსილი
ქართველი ქალი.

— სულ რამდენიმე თვის წინათ, —
ამბობს მურიკა, — ავტობუს № 37 მარ-
შრუტის უკანასკნელი მონაჭერი ახლა
მშვენიერი გზა და ქუჩა, ნაგუბარ
წყალში გადაღებილი სამგორის ვაკის
საფლობები იყო. იმ საფლობებში ჩვე-
ნი ავტობუსი, დალიეთ, დალიეთ, მეო-
რე ქიქასაც მოგართმევთ, წინა ღზრით,

რომ გადაეციდებოდა მგზავრები სასო-
წარკვეთილ კვილის ასტმადენდ... გვიშ-
ველეთ მანქანა გადაბრუნდეს, ქვიშის ცის,
ჩვენმა პატრონებმა ტალახში დამხრჩვა-
ლები ველარც კი გვიცნონ, თუნდაც
ამოგვათრიონო. მე მათ შეძლებისადა-
გვარად ვამშვიდებდი. ჩემნაირი ხასია-
თის, აუღელვებელი კონდუქტორი დის-
პეტჩერმა ან გზისათვის შეიძლება გან-
გებ გამომარჩია. მერა რა? გადარჩენის
იმედს გაბედულად ვერავის ვუნერგავ-
დი, ტალახი და საფლობი მართლაც
საშინი იდგა. ერთგან ბულდოზერს
ჩაერგო ლაფში არნიდიანი წინა მხარე.
ჩაერგო და შიდ ჩარჩენილიყო. ამის
შემხედვარეს სინდისი მაწუხებდა, რო-
ცა მგზავრს ბილეთის ფულის გადანახ-
დევინებლად წინ მილიციის ინსპექტო-
რით ავეტუხებოდი. აკი ერთმა მწა-
რედ კიდევაც დანცინა:

— შენ, პეი, — მითხრა. — „ქორ-
ფლიანო“, „ღამაზო“, ეს რაღა იყო, მი-
თომ ქორფლიანი ღამაში რად არ უნ-
და ვყოფილიყავი, ასეთ გზაზე საზო-
გჯაუროდ თუ კი გამოგყვეთ, ავტობუ-
სების სამმართველომ ფული თვითონ
გადაგვიხადოს.

— შენ, პეი, — გამოვეხმაურე მისივე
შეძახილებით. — მანდ ხუნრობასა და
სიცილში კბილები არ დაგცვიდეს
ხახიდან. თბილისის რკინიგზის სადგუ-
რიდან სამგორში, თითქმის ქართლიდან
კახეთში, მანქანით ამოგყვანე ამ სა-
ხიფათო გზაზე საღსალამათად. მაშ,
დროა სასყიდლად შაურიანი ჩამოყაპო.
გადაკრულად ძაგება, კი... ჩემი სახისა
შინ გეყოლება, ის ამავე, სიცილით
თუნდაც ქვედა ყბა მოგქცევი, შე ის
არ დამენანება.

— თუ არ ჩამოყაპავ, წითომ რას
მიზამ?

— ავტობუსიდან მოგაშორებ. რო-
გორც ქორფა კიტრის ხვადიდან მებაღე
წითელ საბერეს, ისე გადაგიძახებ ძირს,
დაგახეტებ ასფალტზე.

— შენა? ხა... ხა... ხა... მე ვახო ქვას-
როლიაშვილს შენ, თხლიში გომბიო,
დიდი ვინმე, სულ ავტობუსის კონდუქ-

ტორი, ძირს გადამიძახებ, საბერე კიტრით დამახეთქებ. ისიც არ იცი, საქმე ვისთანა გაქვს. თავზე იმოდენი ბეწვის ღერი არ მგზრდება, რამდენიც შენისთანა თავუნა ნიწრიბინებია ჩემს კლანჭებში. წრიბინი!.. წრიბინი!.. წრიბინი!..

ეს სთქვა ურჩმა გადამხდელმა და ჯიბიდან, მხოლოდ კონდუქტორის დასანახავად, სარკესავით პრიალა ფინური დანა ამოატრიალა.

— არ შეგეშინდათ? — ჰკითხა ლუღზე მიპატიებულმა მგზავრმა მურციას.

— ყველაფრის თუ შეგეშინდა, საღწახვალ, ვეღარ გაიგებ, — მშვიდად ყვებოდა მურცია. — გულმაგრაღ მივუხლოვდი, ხელი გავაპარე, ფინური დანა ჯიბიდან ამოვუტურე, ავტობუსის ფანჯრიდან ტალახში ბაყაყივით ტყაპანი გავადენინე, განვაიარაღე.

— მერე?
— მერე გულმოცემულმა ვუთხარი: ძირს გადაგიძახებ, საბერე კიტრით-მეთქი. ამას ისე სწრაფად ვიხამ, როგორც დღეს ნამდვილად დაღამდება და ზვალ ისე ვათენდება. ჩაიყავი ჯიბეში ზელი, ამოიღე შაურიანი, მომე, თუ ვაყვარს შენი ძველი, ჩემგანაც შენთვის კუთვნილი ბილეთი მიიღე!

— იქნებ, — მეუბნება ცოტა რბილად, — ეგ შენი აგრე საქმეებარი ხურდა ჯიბეში არ მიძევს? მაშინ ჩემი ძირს ჩამობრძანება შეგრჩება სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი შაურიანის ნაცვლად.

— აი თურმე ვინ ყოფილა! ჩანს შენა და სახელმწიფო ერთმანეთთან როგორღაც ვერ მორიგებულხართ!

ურჩმა ჯიბეზე ხელი მოისვა, დანა რომ ვერ იგრძნო ქომავად, შეიშშუშნა. ავტობუსში კონდუქტორის მგზავრთან შესიტყვებამ გამოცოცხლება გამოიწვია. ყველა ქალის მხარეზე იყო დავაში.

— გამოიცანი! — ჩაიბურტყუნა ქვასროლიაშვილმა. — რადგანაც მგზავრები შენ მხარეზე არიან, რადგანაც სახელმწიფოსი მეშინია, ვიცი, ერთი

ეული კაცი მას ვერ დაეძლევს, ძირს გადაძახებას, საბერე კიტრით ხეთქებას, ჯობია თითონს ჩამატყვინებ თვლებიც გამოსძრობია, კისრული უქნია თქვენ ავტობუსს.

— ახლა, გაგიხარია, აგრე იქმ. ამოდენა გზა უფასოდ გამოიარე. ჩახვალ მა, რას იხამ, თუ კი უკვე იქ მიხვედი, სადაც მისვლა გწადია.

— არა, არა, არ ჩამოვალ, რაკილა აგრე ფიქრობ. გემორჩილებით ქალბატონო, — მოლბა ურჩი.

— რაღაო, მითომ რად გემორჩილები? არ გირჩევნია, შენ ნებაზე იყოს?

— იმად გემორჩილები, რომ... როგორი ცუდიც არ უნდა ვიყო, ტყუილის თქმის გამბედაობა და ჩვეულება არ მაქვს. ჩემ მგზავრობას ამ ავტობუსით, რომელიმე გაჩერებაზე მიღწევის მიზანი არ აქვს. მე ამ ავტობუსში აქეთიქით სიარულით დრო გამყავს. ბილეთის ფული კი... მე მას არასოდეს არ ვიხდი. დღეს მართლაც ყურგახვრეტილი სპილენძის კაპეიკიანიც არ მიგდია ჯიბეში. თუმცა ვითომ სიკეთის გზაზე დაედექი და მეორე ცვლაში უკვე ხუთი დღეა მიწას წერაქვს ვცემ. ხან თხრილი გამყავს, ხან ორმოებს ვავსებ გზასა და ქუჩაზე, დღეს საბჭოთა მეურნეობაშიც მიმიპატივეს დღიურ მუშად.

— მურცია ერთი წუთით გახვედა. ქვასროლიაშვილის სიტყვებმა ახალგაზრდა ქალი კიდევაც დასწვეს და სადაც ოდნავ კიდევაც აამეს. უფრო კი აამეს და რატომ, ანაზე დაფიქრებამ გაახევა. ყურში ვილაყის მკვეთრი ხმა უბგეროდ ჩასძახოდა: „აი, ნახე, ვინ და რა ყოფილა ეს მაწანწალა. ნუ იტყვი, სიცრუე არ შეუძლია, ტყუილს მის ბუნებაში არ გაუქაჰანებია“.

მურციას ამ დაფიქრებას მოქმედებაც მოჰყვა. ქალმა ნელნელა ჩაიყო ხელი კაბის სათავეს ჯიბეში, შაურიანი ამოიღო, ბილეთების საფულეში ჩააგდო, წელზე რომ ეკიდა. მერე რულონს ბილეთიც წააწყვიტა, ლუწ ნომერს თავი კმაყოფილად დაუქნია, ქვასროლიაშვილისაქენ გასწია ხელი.

— აჰა, აიღე ასეთი შეგვხდა. თარსი, კენტი ნომრით კი არა, იღბლიანი, წყვილი. თუნდაც ციფრები ერთმანეთს მიუმატო, მაინც ლუწია და ოთხზე იყოფა.

— ეს რა არის? — იკითხა უეცრად ქვასროლიაშვილმა, რომელიც ვერ მიმხვდარყო, ხელად რა მოხდა.

— სამაგიერო ნებართვის მომნიჭებელი ქალაქის ნაგლევი. ხედავ როგორი პატარაა, ძალის და უფლების რაღაც გრძნეული თვისება კი აქვს. როცა ის ხელში გიჭირავს, იარე ავტობუსით ბოლომდე.

— რად მინდა ბილეთი?

— თუ მართლა სიცრუეს შენ გულში არასოდეს არ გაუვლია, ამ ბილეთით, ამ პატარა მანძილზე, როგორიც ეს მარშრუტია, შენმა მავ კარგმა გულმა უდარდელად, უშფოთველად იგრძნოს თავი საგულეში.

— იმ, რბილო, ხავერდო, მეტეჩარა, ვინა გკითხავს ჩემი გულის უშფოთველობას? ვაჰ, რა წყულები ხართ ყველა ეს ქალები, გინდა დიდი და გინდა პატარა. უშფოთველობაზე ლაპარაკობთ და ნამდვილად თქვენა ხართ შფოთის, მოუსვენრობის ასატეხ საწამლავად მონგონილი გულისათვის. თურმე შენაც სხვისაგან დიდად არ განსხვავდები.

— უფულო ვაჟაკო! — მიმართა პირდაპირ ქალმა ქვასროლიაშვილს და თვალბშიც ჩახედა. — შე შენს მაგიერად, როგორც კი ამ ავტობუსში დავინახავ, ჩემი ჯიბიდან ბილეთების ჭიხაში შაურთან გადმოვდებ.

— თბილისის სადგურიდან სამგორის ველამდე დღეში რამდენ რეისს აკეთებს შენი ავტობუსი?

ქილიკავიანი ღიმილით შეეკითხა ქვასროლიაშვილი კონდუქტორს.

— ასე... ექვსს ან შვიდს!

— მაშ, ჯამში, თოთხმეტი შაური დაგჯდომია დღეში ჩემი „ალალი“ გული და კიდევ უფრო ალალი შესახედაობა, — დასცინა ვაჟმა.

— შე კი ასე ვიქმ და... — თავისთვის ჩაილაპარაკა მურიკან.

ქვასროლიაშვილს ხმა აღარ ამოუ-

ლია. თუ აგრე იქმ, რა გაუწყობა, ნება შენიაო. მაგრამ ერთი კვირაც არ გასულიყო, ქალმა თავისი სიტყვების სიტყვობაში შარ-შარამათი აუტეხა ვახოს.

— აღარ ვიხდი შენ მაგიერად შაურთანს. შე შენი არც მამიდა ვარ, არც დობილი, ვიღაც ქვასროლიაშვილო თუ ვარდისკრეფიაძევე, გესმის! ჩემს ავტობუსს დაეხსენი, აღარ ამოხვიდე შედ, თორემ...

— ავტობუსს ვერ დავეხსნები! — უთხრა ქვასროლიაშვილმა. — რაც შეეხება შაურიანებს, ნუ სწუხდები, ნუ ხარჯავ. სამაგიერო სასყიდელს ვერც შენთვის, ვერც სახელმწიფოსათვის ვერ მიიღებ, ვოგონი, ჩემი ფინური დანაც ცოტა რამ ღირდა.

— ის მაინც მოთხარი, სადამდე გავრძელებო შენი ასე, ჩემს ანგარიშზე ავტობუსით სეირნობა?

— მანამდე, სანამ ბინას არ ნომცემთ და თავშესაფარი მექნება.

— მიმაგენი შენაც ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეს. როდის მოგცემ ბინას და გექნება თავშესაფარი? უცადე, უცადე და მოესწრები!

— შენ ეგ თუნდაც დღესვე შეგიძლია მიქენი სიკეთე მომეცი თავშესაფარი, — გულწრფელად შეხვეწა ვახო.

— ხა... ხა... ხა... აი თურნე რა ვყოფილვარ. მოთხარი მაინც, როგორ შევძლო ეგ საქმე. ის კი აღარ მახსოვდა, მამის დანატოვარ ბინიდან შარშან კინალამ გამასახლეს.

— შე არა ვხუმრობ, შენ მართლა შეგიძლია მომცე ბინა და თავშესაფარი.

— როგორ, როგორ! — შეპყვირა მენიკაღ მურიკამ, — არ გადამრიო.

— სულ უბრალოდ, მურიკა! გაჩერებაზე მილიციელს დაუძახე, ანიშნე ჩემზე. ისინიც მაშინვე მიცნობენ. შენი გაძარცვის განზრახვის გულისათვის მილიციის განყოფილებაში მიმამრძანებენ. იქიდან გამოძიებელი თავს პირდაპირ ციხეში მიკრავს. ციხე, დობილო, განა არ არის ბინა და თავშესაფარი?

— არ გამეგება, რად მიგიხარია მაგ დაწესებულებაში.

— ზაგ რომ ავიხსნა, გრძელი ამბავია. ციხეში არა, არ მიმიხარია. თუმცა დამიჯერე, რომ იქ მაინც ბინა და თავშესაფარია. ეს ხუთი-ექვსი წელიწადი ავი იქ არის ჩემი სახლი. დამიპერენ, გამომამწყვდევენ, გამიშვებენ. კიდევ დამიპერენ, გამომამწყვდევენ და კვლავ გამიშვებენ.

— რაღაო, რისთვისაო?

გულის ბორცვით შეეკითხა მურციკა და თვალები დაუსველდა.

— ფი... ცრემლები... „რაღაო“, „რისთვისაო“... ჩემი საკუთარი უბედურება ვის და რას დავაბრალო!

— როგორმე მიმახვედრე შენი გულის ტკივილს, მერე თუნდაც მე დამაბრალებ ყველა უბედურება, თანაც მაზღვევინე.

შეეხვეწა მურციკა. ვახომ წარბები შეიკრა. მცირე დუმილის შემდეგ ნელ-ნელ ხმა ამოიღო.

— გითხარი საკუთარი უბედურება ვის და რას დავაბრალო-მეთქი. მაგრამ ახლა გადავთქვი. გეტყვი, სადაც მგონია, სათავე აქვს ჩემ დღევანდელ მდგომარეობას. მე როგორც გადანიხედავს... ყველაფერი ჩემი დედმამის ბრალია. მოფერებისა და განებივრების მეტს ჩემთვის არაფერს ხარჯავდნენ. მახსოვს, ოღონდაც ვახომ მოინდომოს რამე და მისთვის უკანასკნელ ჩასაცნელს ვაიხდიან, უკანასკნელ ლუკმას პირიდან გამოიღებენ. ასე გაუზნევებულ ბიჭს, თვითონ შეენიშნე უკვიათური ბუნება— ხასიათი, რომ მეუფლებოდა. გავიდა ბაღლობა, მოვიდა ვაყვაცობა. აქ გამომაჩნდა ჩემი სიკოკლე. განჰკერტას, თავის გატანისათვის საშოვარის შოვნის უნარმოკლებული წარვდექი მარტოდ-მარტო ამოიდენა ქალაქის წინაშე.

— უკვიათობა რაღამე გამოიხატებოდა? — იკითხა ნურციკამ.

— ყველაზე მძიმე შტანგას თამამად ავწევ. მთელი დღე, კვირა, თვე ვათამაშებ ხელში, მის გარშემო, ვიბორივლებ. მაგრამ თუ ვასაკეთებელი რამ მომადგა 3. „მნათობი“, № 6.

კარს, სასრომთან ერთ საათსაც ვერ შევრჩები.

— ჰო, წესმის, — დააქნა თავი ქალმა, — ეგეთი მოზარდი, ბიჭია ის თუ გოგო, მარტო დარჩენილი, უმეტესად ყუროდ — ხელმრუდობას ეჩვევა.

— მეც ავრე დამემართა, — აღიარა ვახომ. — ახლა აი, ციხიდან ციხეში გადავყავართ. ეს რამდენიმე დღეა ამ ახალი ქუჩის მშენებლობაზე ვმუშაობ და ზედ გული ვერ დავამაგრე. გალიაში გაზარდილი წგლის ლეკვივით ტყეში დაბნეული ცხვრის ჯოგი მელანდება.

— ხელის მომტანებელი, გულშემატკივარი ნათესავი მახლობლად არსად აღმოგაჩნდა?

— ერთხელაც არავინ მოიხედა ჩემსკენ. მათ დიდი პირების ნათესავობა უფრო აძლევთ ხელს.

— უსინდისოები! — გამწარებით წამოიძახა მურციკამ. — ახლა ის მითხარი, რაკილა სიცრუეს შენ გულში არ გაუფელა, ამ შენ ამბავს ავტობუს № 37 და მის მარშრუტთან რა ურთიერთობა აქვს?

— რადგან ციხეში არ ვარ, თავშესაფარი კი არ გამაჩნია, დღით ასე დავდევ აღმა-დაღმა თქვენ ავტობუსს. ღამეს კი, იღბლად ახლა ვაზაფხულია მიწურულია, გარეთ, ცის ქვეშ, ვიბთენებ.

— თავს მაბრალებ?

— ჩემი პირიდან ტყუილი ჯერ არავის გაუგია-მეთქი! თავის დაცვის ეგ ხერხი არასოდეს არ გამომიყენებია. შეიძლება ეს ჩემი უბედობის ერთი მიზეზიც გახლავთ. ტყუილი და სიცრუე არც ნებსით, არც უნებლიეთ ჩემ პირს არ დასაცდენია. ავიღოთ თუნდაც წილიცა. თუ დანაშაულზე მომასწრეს, იციან მიხვეულ-მოხვეულში გამომძიებელს არ შევიყვან, ალაღად ვალიარებ, რაც ჩავიღინე.

მურციკას გააძაგძაგა, შეეიფლება ძლივს ჩაიკლა ხორხში. რაც ენაზე მოადგა, შეეკითხა:

— ამალამის გათეწებას სად აპირებ?

— ავერ, — თვალით ანიშნა ვახომ. — მთის დაქანებაზე ჩაწოვებულ ჰიდრო-

ელსადგურის ცისტერნისებურ მიღებ-
ქვეშ. მათი ბეტონის რაფებში ამოსული
რბილი ბალახი იქნება ჩემი ქვეშაგე-
ბი, სახურავად ვარსკვლავიანი ცა. ახლა
მალე, უკანასკნელ რეისზე, დაგვიღდე-
ბი, გავსწეე ჩემ ბინაში, ხვალ კი, რო-
გორც სამუშაოს მოვრჩები, ისევ გეს-
ტუმრები ავტობუსში.

— ახლა უკანასკნელად მითხარი,
მართლა არ იცი ტყუილი და არც არა-
სოდეს გიცრუვნია?

— თუ დაიჯერებ, არა!

— რაც აქამდე იყო ის მე და ჰქვენი
თითქოს არ გვეხება, ნურც ნოვიგო-
ნებთ ხოლმე... — უთხრა ქალმა, —
მოდო, ბიძაშვილები გავხდეთ, არ გინ-
და?

— ხი... ხი... ხი... თბილისურად ბი-
ძაშვილი ქალისათვის რასაც ნიშნავს,
ვიცი! შენ მაგაზე უარს ვინ გეტყვის.

— ჰაი, მართლაც მტაცებელი, მგე-
ლო! განა მე ეგ ვითხარი! — გაუწყრა
ვახოს მურიკა. — ნამდვილი ბიძაშვი-
ლი გახდი, რა გენაღვლება. ნათესავები
დიდად არც ჩემთვის იტეხენ თავს. მაშ
თუ გინდა, უკვე ბიძაშვილად გამიხდი,
აი ჩემი ბინის გასაღები. აილე, გასწი
აქედან. ხეფინისხევის ქუჩაზე, თერთ-
ნეტ ნომერში, მიდი თამამად დღის
სინათლით. ოთახი გააღე, ჩემ მოსვლა-
დღე, პატარა აივანზე დასაწოლი მოიწყე.
თუ ვინმემ გკითხოს, ვინ ხარო, უთხა-
რი, მურიკამ გამომგზავნა, აი მისი,
თითბრის საკიდიანი გასაღები, ბიძაშვი-
ლი ვართო. დაე ეს პირველი სიცრუე
იყოს შენი ენიდან ჩემი მიზეზით მო-
წყვეტილი, ცოდოც სააქაოს ჩენ კისერს
ედოს ტვირთად და თუ საჩქოა, იქაც
მე ნუ ამხდება.

— შენ, ჩემო ბიძაშვილო, — მწარედ
გაეცინა ვახოს, — მოგდომებია დამი-
ჭირონ, საკანში ისევ ჩამაგდონ, სუფთა
პაერიც ველარ ვისუნთქო პატარა ხანს.
მე ახლა მხოლოდ იმდენს ხელგმრუ-
დაობ, რამდენიც ძალღუმადურად დღი-
დან-დღეზე გამიტანს. შენ ბილეთის
ფასს არ გადაგიხდი, წას ხუთიოდე მა-
ნეთს ამოვაცილი, მესამეს ცუდად ჩა-

მოკიდებულ პიჯაკს ავაციცდავ.

— გასწი, გასწი ხეფინისხევის ქუჩა-
ზე! — შეუტია ქალმა: — ჩხნს, ხელ-
მრუადობას არაყივით ხარ მიჩვეული.
დაე აგრე იყოს. მე, ამ უბრალო გოგოს,
სრულიად მარტოს, შენთვის საყოფნი
მოსაპარავი, სულ ცოტა რამე მაინც აღ-
მომამჩნდება. თუ ჩენი შეძენილი არა,
დედმამის ნამკვდრევი ტანსაცმელი ხომ
ჰკიდა ჩემი ბინის კედლებზე. აილე,
განგებამ მოგახმაროს. დასაწოლად იცი
როგორ მოეწყე? მამაჩენის ძველი
პალტოები ლურსმიდან ჩამოხსენი, გა-
რეთ გაიტანე; აივანზე დაიგე. მიწაზე
ვედივარო, ლაპარაკობ. იქ კი ჩემს აი-
ვანზე ფიქვის ფიცარი დაგხვდება ტახ-
ტად.

— გვიან შენაც მოხვალ, ბიძაშვი-
ლო, ჰა?

— მა სად წაველ ჩემი ბინის იქით?

— დაძინებას სადლა აპირებ?

— ოთახში. შენ კი აივანზე იქნები.
განა ბიძაშვილი არა ხარ!

ვახომ თავი ჩალუნა. ქალს გასაღები
გამოართვა, სხვა ავტობუსზე გადაჯდა.
მალე ხეფინისხევის ქუჩაზე იყო, მური-
კას ბინაში ტრიალებდა.

— ბიძაშვილი ვარ! — ეუბნებოდა
ვახო ყველას. — აი გასაღებიც. —
აჩვენებდა ნეზობლებს მურიკას ბინის
თითბრისბალთიან გასაღებს.

— ქურდია!

ამბობდნენ ფრთხილი მეზობლები.

— მურიკას რა აქვს, რას გაპარავს, —
შენიშნავდნენ უგულონი.

— იქნებ, მართლაც ბიძაშვილია. კარ-
გი და პატიოსანი. დაბრუნდება ქალი
შინ, გაირკვევა.

მსჯელობდნენ თავისთვის ისინი, ვი-
საც ქალის არც ავში და არც კარგში
ჩარევა არ სურდათ. დღე კი ილეოდა.

ტრამვაები საყუდს შეეფარნენ, ტრო-
ლეიბუსებიც დაიმაღლნენ ფარეხებში.
ჯერი ავტობუსებზეა. სამ საათზე მათი
მოძრაობაც მიყუჩდება, ქალაქში სი-
წყნარე ჩამოვარდება.

დადლილი მურიკა ლასლასით ადის
კიბეზე. ვახო, ახლად შეძენილი ბიძა-

შეილი, ოთახის წინ აივანზე დაბინავებული. ყმაწვილი იატაკზე გაშოტილა. ღურციკის მამის ორივე პალტო აივანზე გაუთრევია. უფრო გაცვეთილი ძირს გაუგვია, უკეთესი ზემოდან გადაუხურავს, სასთუმლად, თავითთ აგური ამოუღვია. ეს სურათია მურციკის აივანზე ერთი კვირის, მეორე ერთი თვის, მერე სამი თვის მანძილზე.

მეზობლებს არაფრად მოსდით თვალში ახალგაზრდა ქალის კიდევ უფრო ახალგაზრდა ბიძაშვილი. რაღაც უჩვეულო ხდება მურციკის ბინაზე. მერე რა, რომ ვაგს სულ აივანზე ხედავენ დამინებულსა და ამდგარს, ქალი ვი ოთახშია! ყველა ელოდა ქალისა და ვაგის ასე სიახლოვის შედეგებს და წინადადიხანს არ დააყოვნა.

სექტემბრის გასულს ზემოთ, დამით საშინელი აურზაური ატყდა. მოულოდნელი არა იყო რა. მეზობლებმა მაშინვე იცნეს მურციკის სასოწარკვეთილი ხმა. გამწარებით კიოდა ქალი, შევლას ითხოვდა. მეზობლებსაც არ დაუგვიანიათ. აქედან მიცვივდნენ მომხმარებები, იქიდან ქომაგები მოიპრენენ. ადამიანის უმადურობის ყველაზე ცუდად ნახატი სურათი დაუდგათ მისულებს თვალწინ.

ბიძაშვილ ვახოს, ბინის პატრონი, მურციკა, საცვლებისამარა აივანზე გამოეგდო, წაეჭკია, თავგამეტებით ცემდა ქალს ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდა. გააფთრებულ მდგნურ ბიძაშვილს თითქოს გონება მთლად დაჰკარგვიაო, უშვერი გინება ამოხრივლებდა ყელსა და პირიდან. უაზრო და უწმამურ ყვირილში ერთი წამოძახილი გამოიჩინებოდა. ყველას ესმოდა ის, მაგრამ ამ სიტყვებით ვის რას უჩიოდა ვახო, მარტო მურციკა გრძნობდა და ხედავდა მას.

— ჩემ კირად გაჩენილო, თავი რად შემონწირე, რად!

მურციკა კვნესოდა. მას თავ-კისერი მხარმკლავებში ჩაემალა, გამძვინვარებულ ბიძაშვილისათვის საცემრად ზურვი, რბილები და ბარძაყები დაენებებია.

— აი თურმე, ამდენი ხანი, ეს ოხერტიალი, სად გვემალება! დასკეჭა მილიციელმა აივანზე, ხალხე მირეკ-ნორეკა. ვახოს მაგარი ხელები საკინძეში ჩაავლო, დაითრია, კიბისაკენ კინწისკერით გაიგდო. მილიციის სამმართველოც იქიდან შორს არ იყო.

— რა მოიპარე? სად ვადამალე? აბა დაფქვი საჩქაროდ!

დადმუის თავზე შებყრობილ ვახოს მილიციის — გამომძიებელი. მთლად გამშრალი ვახო უძრავად დგას. ხმის ანოღება უქირს. მორიგე მილიციელი კი, რა დასაფიცია, ჭიმუნჯებს ჭინუნჯებზე სთავაზობს ხან კისერში, ხან ფერდებში. ვახო კი დგას, არ იძვრის. მაგარ-მაგარ ჩარტყმულებს გრძნობს და წარბს არ იხრის. ხანდახან მხოლოდ ამოილულულულებს:

— კიდევ მეტად დამცხეთ, მოჩალით, აქავე გამათავეთ, თქვენც მორჩით და მეც რომარჩინეთ ჩემ უბედობას.

— შენ მაინც თქვი, გოგო, რა დაგეკარგა.

რამდენჯერმე შეეკითხა გამომძიებელი მურციკას, რომელიც ვახოზე არანაკლებ გამოშტერებული და თავჩალუნული, მაგრამ შინაგანი სიანაყით სახეგაბრწყინებული კუთხეში დგას, თვალში ვერავისთვის შეუხედავს.

— ნეტავე ტყუილ-უბრალოდ არ აწვალეზღეთ მაგ კაცს, — ამბობს ბოლოს ქალი.

მეზობლებიც ამოწმებენ, ბინიდან არაფერი დაჰკარგვია მურციკას. აბა რა ჰქონდა, რა უნდა დაჰკარგოდაო. მილიციელები უკმაყოფილოდ აქნევენ თავს. ვახოსაგან უკვირთ, რომ ვილაციასს დამე გაითენა და ბინიდან არაფერი დაკარგულა. მაშასადამე, ნხოლოდ შუალამისას აყალმაყალის ატეხისათვის უნდა დასაჯონ. ამისათვის ხომ სამმართველოში ლამის ვათევაა საკმაო. ციხეში კი ვერ გავზავნიან, საბაბი არ აქვთ.

— მაინც რა მოხდა? განა ქალმა ისე, ყასიდად ატეხა ალაქოთა?

შეეკითხა ბოლოს ცნობისმოყვარეობით განომძიებელი ვახოს.

ვახო ნაცემ გვერდებზე ხელებს ითათუნებს. ათი ამოდენიც რომ ეცემნათ, ვერ გამოსტეხდნენ. ამ ჯერად რაკილა ადამიანურად, მდგომარეობის გაზიარებით ეკითხებიან, ყველაფერს იტყვის.

— თუ გინდათ მართალი, ყველაზე დიდი დანაშაული ამ ღამით ჩაივდინე. ან იმ გოგოს (თითოთ აჩვენებს მურიკაზე) ავადმერე ის, რასაც ზრდილ ქალს წილოდ ერთხელ აპრობენ თავის სიცოცხლეში. ამიერიდან ის ჩენი ტოლი და ტალახში ამოსერილი სწორია.

— რა ჰქვია სახელად ერთი სიტყვით მაგ ანაპრობს თუ ნაპარაკს?

ჩაიძეობია გამომძიებელი.

— თუ ვაჟაკი ხარ, თითონ მიხედვები, — მიუგებს ვახო და კედლისაკენ მიბრუნდება. — მიკვირს და ვერ ამხსნია მიზეზი, თავი რად შემომწირა. გასტხოვარი, თავშენახული ქალის საფრთხილო სახელი ბინაში ჩენი შეკედლებით რად გაიქუტყვიანა.

— და ფსად ცემა-ტყემა მიუზღე, მეზობლებში შენ კეთილისმყოფელს თავი მოსტერი, შეარცხვინე, მიწასთან გაასწორე? — უსაყვედურა ვახოს ყველაფერს მიხვედრილმა გამომძიებელმა.

— მადლობის გრძნობით მომიხსენოს ანიერიდან, რომ უფრო მეტი არ დავმართე. განა ჩემისთანა თავზე ხელაღებულს მაგეთ რასმე ასაცილებლად წინ დაუდებენ. მიმიწვია და სად? შინ, მის ბინაზე. მახინჯი, ართვლი მიინც იყოს, რძე და ღვინოსავით ქალია!

— თუ დავუდე რამე წინ, მაგ მართლ გულს დავუდე. არ ვნანობ!

ჩაერთა ლაპარაკში მურიკა გაუბედავად. თავპირი მიიბრუნა კედლისაკენ, სახე ხელებით დაიფარა.

— მაგისათვის გცენეს, გაგაპრტყელეს!

შემოუძახა ქალს მილიციელმა და ვახოს მისწვდა, კიდევ ერთი მუჯღუჯუნის ჩასაკრავად ფერდში.

— ხელი არ ახლოთ! — დაიწვილა უეცრად მურიკამ. — რა გაწუხებთ,

მე მომხვდა, მე მცემეს, თქვენ ხომ არა. — აქ გამომძიებელს მიუბრუნდა. — მომეცით ნება, რაკილ ღამეს ჩემთვის ვინებთ ქვეშაგებდასახური მოვუტანო.

— დახეთ, მიხვდით! ღე მაგისი ამაგის ღირსი სულაც არ ვარ. გემუდარებით ჩამაგდეთ ყველაზე ბნელ ორმოში და ნულარც გამიშვებთ.

შეხვეწა გამომძიებელს ვახო ქვასროლიაშვილი. სწრაფად დაიხარა, მაგდაზე დადებულ რაღაც რკინას ხელი წაატანა, ქალისაკენ გაიწია, რათა თავში დაეთხლიშნა. გამომძიებელმა იმარჯვა, რკინა ხელიდან წაჰგლოჯა. აქეთ ვახოს, იქით მურიკას მკლავში ხელი გამოსდო, ორთავენი გარეთ გაიყვანა. ერთი კი აიხედა მალღა, ამომავალი შხით ოდნავ შეფერადებულ ცას რომ შეხედა, უთხრა:

— გასწით აქედან, ნალე გამეცალეთ შორს. თუ ჰუტყვი უნდა მოგეცხოთ, სხვა ვინმემ იყისროს ეგ ხელობა. შენა კი, გოგო! სწორი ხარ. ზოგი ადამიანის გულს ოქროს თვისება აქვს. ათასი წელიწადიც ეგდოს ჯელღსა, ნაგავსა და უწმინდურებაში, ამოიღებ, გაფერავ, და რევ ოქროა. გეუბნები, განაგრძე ეგ შენი საცადელი და იქნებ რა გამოვიდეს.

გამომძიებლის ლაპარაკის დროს ქალი ვაქს მარცხნით მოსდგომოდა ზურგის მხრით. ხელები მკლავში ჩაეჭიდებია ვახოსათვის, თავი შუბლით ბეჭის ფრთის ძირისათვის წიებჯინა. ასე მიჰყავდა ნელ-ნელა ავტობუს № 37 გადაკიდებული მგზავრი. თენდებოდა თბილისის დილა.

— მე ახლა მანქანაზე მიმეჩქარება. — მოიმწყურა ქალმა.

— შეც სამუშაო ნიმელის, — ჩაილაპარაკა ვახომ.

— აი ბიძაშვილი, ბიძაშვილიო!

შენიშნავდნენ ხეფინისხევის ქუჩის მეზობლები, როცა ვახოსა და მურიკას ერთად გადმომდგარს შენიშნავდნენ აივანზე.

— კობტად კი გაგვაცურეს! — მოსლიოდათ გული ზოგიერთებს.

— ოღონდაც იბედნიერონ და... — ამბობდნენ გულკეთილები.

ვახო ქვასროლიაშვილს უყვარს გაშლილი ადგილები, მინდორები, ნიაფი და გამჟვირვალე ცა. ლილოს ბრეკოებთან და სამგორის ჰიდროელსადგურის მიდამოებში ისინი ბევრია. ვახო არ სცილდება წათ. მთელი დღე სამუშაოზეა. ცდილობს დასძლიოს უჯიათობა, მოთმინება მოიკრიბოს და გასაკეთებელ საქმეს არ მოეშვას, სანამ არ გააკეთებს, სხვა ახალს არ გამოიწყებს და შიფნებს.

როცა ორხვედიან ავტობუსი ზემოთ, ახალი ქუჩით აუხვევს, მურიკა ველისაკენ გაჰკრავს თვალს. იქით, შორს, არხის ნაპირზე ბევრ ზალხს შორის, მუშტისოდენად მოჩანს ერთი კაცი. ეს კაცი, რომელსაც მურიკა შორი ნახძილიდან ათასში გარეულს ერთი თვალის მოკვრით იცნობს, ვახო ქვასროლიაშვილია. დადის მინდორზე ვახო. ხან სახლებს აშენებს, ხან ნორჩ ხეხილს რგავს, ხან წყალს მიუგდებს ხნულებს, ბოსტნებს, ბაღებს და გზისპირა ქარსაცავ ალვის ხეებს. ხან რაღაც მანქანაზე ზის, აღმა-დაღმა დააგელვებს მინდვრებზე.

ღამის ორი საათია. უკანასკნელი ავტობუსი № 37 ბრუნდება გამგზავრების ადგილისაკენ. წინ, ღამით, დასასვენებლად საყუდს ელის. სწორეთ ამ ავტობუსში, გვიან შეხვდებით ვახოს. ის შინისაკენ ნიჩქარის. ხშირად ხელში მწვანე კონები თუ სხვა რაღაც ზორაგი აქვს. ხანდახან, ამ ბოლო დროს, ექვსი თვის ბავშვიც უჭირავს ხოლმე

ხელში. მათ გამოჩენისთანავე მურიკა შაურიანს ამოიღებს ჯიბიდან, ვადსა და დებს ბილეთების ქისაში. რამქნას, რასქნას დაჩემდა. მისი სისხლბორცები შევლენ ავტობუსში, დასხდებიან. მურიკა ახლა მარიაში, ბილეთებს ჩამოურიგებს მგზავრებს, ერთ ცალს ვახოსაც მოუხვეს, მიაწვდის. სამსახურის სკამზე ჩამოჯდება და კიდევ გახედავს წისიანებს. ოცნებაში ცდილობს გაარკვიოს, რომელს უფრო ძლიერ უყვარს ის, ვახოს თუ ჯერ უენო შვილს.

ამ ადგილად არ გასარკვევი ნაოცნებარის გარკვევაში ხელს ჩაიჭნევს უნებურად, ნეტავ რა საფიქრალია, ვანა ამ გზაზე არ ვიპოვეო?

ამასობაში ავტობუსს რეისი დაუმთავრებია, ღამის თავშესაფრისაკენ მიემშურება.

დაიძინა ვახომ, დაიძინა შვილმა. მურიკას კი როდისღა წამოებარება რული? არა, ჯერ ვერ მოხუჭავს თვალს. გასაგებია, ვინ არის თითონ, საიდან გაჩნდა, წის ცხოვრებაში შესისხლბორცდა ვახო, საიდან მოფრინდა პატარა ბიჭუნა მამამთილის სახელი რომ დაარქვა და ამით მთლად მოინადირა გარეულებულ კაცის გული. იცის, იცის მურიკამ, საიდან გაჩნდნენ და საიდან მოვიდნენ მისი საზრუნავი, საყვარლები და სიცოცხლეზე უფრო ტყბილები. უთუოდ ახლად გაყვანილ ქუჩაზე, სამგორის ველის გულზე, უნდა ყოფილიყვნენ ისინი საღმე და ავიპოვნა.

ახლა მისი არიან და სინჯეთ, სცადეთ წართმევა.



ბონერო კაშვილი

ნოე ჩხიკვაძეს

ჯერ კიდევ ყრმას შემოყვარდი,
ვერ გივიწყებ, ვერა.
ჩამაფიქრებს, დამალონებს
შენი ბედისწერა.

მომწყურდება, მოგფერო,
დაგიამო გული.
ხშირად მიპყრობს ეს სურვილი,
სულში მიმაღული.

და არ იქნა, წინაპარო,
ვერ გიმღერე, ვერა.
ვერ შევუწყვე საშენო ხმა,
ჩემი გულის ძგერას.

წრფელი გრძნობით მომდერალო,
ანთებულო გულო.
გვიან მაინც გიგალობო,
კაცო დაჩგრულო!..

მეცოდები, მებრალეები,
მეცრემლება თვალი...
საცოდავი თუმც რაღა ხარ,
რა გაქვს შესაბრალი?

ცოცხალი ხარ, არ მომკვდარხარ,
არც მოკვდები, არა.
იმ ერთ ლექსმა შენი თავი
ნეტად შემაყვარა.

რა ხანია, ვლიდინებ მას
ხშირად წარა-მარა.
ხან კი ერთი შეძახილი:
„ვინ მკითხულობს“, კმარა.

9 მარტი 1961 წელი.

სოფ. ქვიშხეთი.

ანდრო ლომიძე

მონადირის მოთხრობები

მონადირის გული

სპანიელი „ბეჩა“ მაშინ მომპარეს, როცა მწყერაობა ნებადართული იყო. ბეწყინა. ჩემზე მეტად გული დასწყდა ჩემს ვაჟიშვილს — პატარა გოგიას; იგი ხშირად გამოდის ეზოში, ცრემლს ყლავებს და უხნობს: ბეჩა... ბეჩა... ბეჩა...

გოგია შინ რომ შემოვიდოდა, ბეჩა ფეხებში ეტეკოდა, შეუყუფელდა, მერე დერეფნიდან ოთახში შევარდებოდა, ტატს, სკამს, ან კარადას ამოეფარებოდა, გოგიას თვალს ადევნებდა. გოგია ისე დადიოდა ოთახიდან ოთახში, თითქოს ბეჩას ვერ ამჩნევდა. ბოლოს დაიხრებოდა ბეჩას დასაქერად, ის კი ფიცხლავ განზე გაუხტებოდა, კიდევ შეუყუფელდა, ახლა სხვა ოთახში შეიჭრებოდა და გაისუსებოდა.

ასე ერთობოდნენ ბავშვი და ძაღლი.

მხოლოდ ჩემი მეუღლე არ განიცდის უბედობას, პირიქით — უხარია, მაგრამ გოგიას შიშით ვერ ამქლავნებს თავის გრძნობას, აღარ გაისმის წისი გაუთავებელი ბუტბუტი:

— ნეტავი ვინმე მომაშორებდეს ამ სამგლეს, ყველგან მისი ბალანი ყრია.

დავრჩი უძაღლოდ. უძაღლო მონადირე კი აბა, რა მონადირეა! სიცხისაგან რეტდასხმული დააბიჯებ ნამკალში და ვიდრე ზედ არ წაადგები ნამჯისფერ მწყერს, არ აფრინდება. მაინც ვერ ვისვენებ, წინატრება ნამკალში, სიმინდში გავლა, მოუთმენლად ველოდები მეგობარს — არჩილ თოიძეს. ამ საღამოს თუ არ შემოიარა ჩემთან, ხვალ უთენებლივ მოვა.

დაღამდა. ვაზნები, სანადირო ტანი-

სამოსი, თოფი ჩემს ლოჯინთან დავაწყე. დავწყეჩი და რატომღაც დიდხანს არ დამეძინა.

განთენიისას შულავრისაკენ გავემგზავრეთ „მოსკვიჩით“. ჩემს გვერდით იჯდა არჩილის ქვისლი მიხა გოლეტიანი.

— ერთი ჰკითხე არჩილს — წუხელ როდის დაიძინა, — მომპარა მიხამ.

— შე შეგპირდი — ოთხის ნახევარზე მოგაჯიოთხავ-თქო. პირობა შეგასრულე.

— ბიჭო, ყოველთვის ვთხოვ — ადრე დაიძინო. შენ კი ორ საათზე დაწოლილხარ. ახლა გძინავს და ისე მიგყავს მანქანა. დაგვამტერე შე ოჯახქორო, მერე ჩენს ცოლშვილს რას ეტყვი?

— მადლობას მეტყვიან — თავპარიანი მონადირე მოგვაშორაო, — გულიანად იცინის არჩილი.

შულავერს მცირე მანძილით გავციდით, მუხლამდე აყრილ ყვავილებითა და ბალახით მოქარგულ ველთან წავიხემსეთ.

— აქ, უძაღლოდ ვერ ინადირებ. რომ მოჰკლა კიდევ, ვერ მონახავ, დაჰპარავ, — მითხრა არჩილმა, — ჩვენს შორის იარე, ხანდახან ჩემს ძაღლს დაუძახე, შენს მახლობლად ნაბული თუ გააგეთა, მიდი და ესროლე.

დაცვარულ ბალახსა და ყვავილებში მიხას ირლანდული სეტერი და არჩილის კურცხალი სუნსულებდნენ.

ძაღლების მოძრაობას თვალს ვადევნებდი, ვფიქრობდი: „მწყერმა ჩემსკენ რომ აიღოს გეზი, მონადირემ არ უნდა ესროლოს. ხოლო თუ ვერ მოითმინა

და სულნა წასძლია, საფანტს მომაყრის და შესაძლოა თვალი დამიზიანოს, დამაბრმავოს“.

გადავწყვიტე მარტო მეგლო.

მზე ყარაიას მთებზე ამოცურდა. იისფერი, მეწამული, მოთოვლისფრო ყვავილები ყოველ ფურცელზე გატრუნულ ცვარის წვეთში, ნიჟში პაწაწინა მზე ჩავარდა და ოქროსფრად, იისფრად აციმციმდა.

ნაინსაგან სველ შარვლის ტოტებში ბირკა ქურდულად, შეუბოგრად მიძვრებოდა; წაწვეტებული, მოკაუტებული უამრავი ხელით ტოტებსა და წინდებში ეხვეოდა, სიარულის დროს წვივებს მიკაწრავდა, შიშველ ხორცში ფუტკრის ნესტარით მესობოდა. გამწარებული ეგლეჯდი და ძირს ვაგდებდი, მაგრამ ჩქარა ისევ მიხდებოდა ბრძოლა.

„სად არის ბეჩა?“ — ვნატრობდი ჩემს ტანშორჩილ, ცქვიტ მეგობარს. ბალნით შემოსილ თათების გულელებში ბირკა ბლომად ჩაუჯდებოდა და აწვალებდა. ნაშინ გაგორდებოდა, თათებს მომიშვებდა, თვალებით მემუდარებოდა — მიხსენიო. მერე კვლავ დაკრიალებდა და მოკვეთილ კუდს გამალებით იქნევდა. ნაბულს არ აკეთებდა, აჩქარებული მოძრაობით მაგრანობინებდა: ფრინველს შივავენი, სირცხელი არ მაჭამოო. როგორი განუსაზღვრელი სიხარული კრთოდა მის თვალელებში, როცა ნოკლულ, ან დაქრილ ფრინველს მოწართმევდა!

მწყერი ცოტა იყო, მიხა და არჩილი კანტიკუნტად ისროდნენ. მე სულ არ შემხვედრია და ამან ისეთ მხიარულ გუნებაზე დამაყენა, ავლიდინდი. შარაზე გავედი, ლოდზე ჩამოვჯექე.

— ბატები... ბატები... — გავიგონე აღელვებული მიხას მჭექარე ხმა.

ნთებთან ბატების დიდი გუნდი დაბლა მიფრინავდა.

— რატომ იქ არ ვარ! — წუხდა მიხა.

„ძალიან კარგია, რომ იქ არ ხარ, — ვულში ვამბობდი. — ისინიც ხომ ჩვენებრ ბუნების შვილებია! იფრინონ...“

— გამოიქეცი, ჩემი ძაღლი ნაბულზეა, — დამიძახა მიხამ.

— იქვე ხარ, ესროლე! — შენ ხომ თოფი ჯერ არ გაგისერია?

განზრახ ავითრე ფეხი, მწყერი იქნებ გაეპაროს ძაღლს, ან ნიხამ თავით ესროლოს-მეთქი, მაგრამ მიხა მომჩერებოდა, სროლას არ აპირებდა.

ყვავილებში გაქვავებულ, თათაწულ სეტერთან რომ მივედი, მიხამ უბრძანა — ეციო. ძაღლმა სხარტად წინ წაიწია, მწყერი ააფრინა, თოფი მშვიდად დავუღიზნე, მერე ოდნავ დავხარე და სასხლეტს თითი დავაჭირე.

— ფუ... როგორ დააცილე... — ეწყინა მიშას.

— დავბერდი, ჩემო მიშა, თვალი მლაღატობს.

— რა დროს სიბერეა, მე შენზე ბარე ხუთმეტი წლით უფროსი ვიქნები და ვინმემ რომ მკადროს — ბებეროო, თავს გაუხუთებ.

ამ დროს ჩვენგან ცოტათი მოშორებით ორჯერ ზედიზედ გავარდა თოფი.

— არჩილს გახედე! თვალზეშუღა ნადირობს. ძინავს და მიანიც ვუყავს.

— ძინავს?

— გეფიცები ცოლშვილს. ძილის გუდაა, ნაგრამ ნადირობა თუ უხსენე, მყისვე გამოფხიზლდება, არც ყინვას შეუშინდება და არც სიცხეს, ამხელა კაცი მთაზე კურდღელივით არბის. გადამრია მაგ კაცმა.

მზისაგან სახეწამოწითლებული, ტანბრგე არჩილი ნელა მოგვიახლოვდა.

— ტყუილად დროს ნუ ვკარგავთ, გადავიანცვლოთ, აქ არ არის მწყერი, — არჩილმა ოფლით დაცვარულ მსუქან ლოყებზე ცხვირსახოცი ჩაწოწინა, ნარჩხი თვალეები ელულებოდა. — რა კარგია ახლა წაძინება! — მანქანის კარი გამოაღო, საჭეს მიუჯდა.

— რამდენი მწყერი ნახე? — მიხამ თოფიდან გამოჰყარა გატენილი ვაზნები, მანქანაში შევიდა.

— ექვსი.

— ექვსივე გაქვს?



არჩილმა თავი დაუქნია, მტორი აიდუგდუგა, მტერიან შარაზე მანქანა გააქროლა.

— ხომ გითხარი მძინარე ესერი და მაინც არ აცილებს! — მომიბრუნდა მცხა.

არჩილის მსხვილნაკეთიან, სანდომიან სახეზე ეშმაკურმა ღიმილმა გადაიბინა, მანქანა ტიტველ, რუხ შთებს შორის მწვანე მდინარესავით დაკლაკინლ, ბალახნორველ სიმინდის თვალუწვდენ ყანას მიაცუნა, ძაღლები დაფატურდნენ. სეტერმა რამდენიმე ნაბიჯი ფრთხილად გადადგა, მწყერის ოთხი მართეე კუბინ-კუბინით ამოუცვივდა. მიხას სახე დაეღრიჯა, მწყერებს თვალი გააყოლა, შეაგინა. სწორედ მაშინ არჩილის თოფმა დაიქვეჭა და მწყერი ჩამოაგდო.

— ყველაფერში ბედი უნდა ქონდეს კაცს, — ჩაიღუღუნა მიხან, — ეს ჰატრონძალი, — ხელი სეტეროსაკენ გაიწვია, — ჩემს ჯინაზე ბარტყებს ეძებს, არჩილი კი ქათმის ხელა მწყერს კლავს.

უცნაური კაცი

ეკალიკით, თამბაქოსფერი ლელითა და ლაქაშით დაბურულ ტყეში მდორედ მიედინებოდა მდინარე „ცივის“ მოშავო წყალი. მე და ლეო გეგელია რიგრიგობით ვხოფავდით; ბაიდიდან ხან მე ვესროდი იხვებს, ხან კი გეგელია. კიჩოზე თერთმეტი იხვი ეყარა.

ბაიდის ცხვართან მოკალათებულმა მდინარეზე მცურავი შავი წერტილები დაეინახე, გეგელიას ვუთხარი:

— წინ იხვების გუნდია, სათოფეზე თუ მიგვიშვა, ორივენი ვესროლოთ.

— მე კმაყოფილი ვარ დღევანდელი ნადირობით.

— ოცი წელია არ ვყოფილვარ ყუღეში, მინდა გული ვიჯერო სროლით.

— ვინ გიშლის?

გეგელია უჩუმრად უსვამდა ხოფებს. შავი, კრელი, მონაცრისფრო და მოლურჯო იხვები ყურყუმელაობდნენ,

სად არის აქ სამართალი?

არჩილმა მადიანად გადაიხარხარა, გაეცინა მიხასაც. მიხას კიდევ ერთხელ უნდა ეთქვა, თვალი ჰკიდა ნაბულზე მდგომ სეტერს და მისკენ გასწია. არჩილი და მიხა ნადირობამ გაიტაცა, ნე ბუჩქის ძირას მივწეჭი, ჩამეძინა.

— გაგანია სიცხეა, წავიდეთ... — ყურში ჩამესმა არჩილის სიტყვები.

არჩილს თექვსმეტი მწყერი ეკიდა, მიხას თორმეტი, მე ხელცარიელი ვახლდით და ბედს მაინც არ ვემდუროდი. ჩემში ერთმანეთს ყოველთვის ებრძოდნენ მონადირე და ფრინველის, ნადირის უნაზესი მეგობარი, მათი ზესაიღუმლე. ხან ერთი იმარჯვებდა მეორეზე, ხანაც მეორე ძლევდა პირველს. იმეამად აღარ მაწუხებდა უბეჩობა. ბეჩა იყო მწყერის, კაკბის, გნოლის, იხვის დაუნდობელი მტერი, ჩემს გულში კი მაშინ მხოლოდ სიყვარული, დიდი სიხარულიდა და დიდი სევდით განსკვალული, უსასრულო სიყვარული დაეანებულებოდა.

ადგილს ინაცვლებდნენ, ხოლო როცა მივუახლოვდით, თამაში შეწყვეტეს, ახატრენად მოემზადნენ.

— სულ დამავიწყდა, რომ აქ ტყის-მცველი ცხოვრობს, — თქვა გეგელიამ. — უცნაური კაცია, იხვის მოკვლისათვის ვაგვლანძღავს.

— რას მიქვია ვაგვლანძღავს? შინაურზე ხომ არ ვნადირობთ? ვილაც სულელია...

— არა, სულელი არ არის, ძალიან გთხოვ აქ ნუ ესერი იხვებს, — ლეომ ზოფებს ხელი უშვა, ნანადირევს თავისი საწვიმარი გადააფარა.

მურყანზე შემომჯდარ ძერას თოფი დაეხალე. ძერა ჩამოვარდა, იხვები კი ხმაურით აფრინდნენ.

— ვინ ხარ, შე უნამუსო?... — ტყიდან ჩაშინვე მოგვესმა გაბრაზებული კაცის ბოხი ხმა. ცოტა ხნის შემდეგ ნადირთან

ლაქაში შეირბა, ჯერ თოფის ლულა გამოჩნდა, მერე თავზე ყაბალახწაკრული, შავულეაშაიანი, მრისხანედ მზირალი კაცი გამოისახა.

— ყარამანს გაუმარჯოს! — ხმამალა მიესალმა გეგელია.

ტყისმცველს სახეზე ნათელი ნოეფინა, გეგელიას ნახვა ეამა.

— შე მეგონა, ვიღაც ოხერი მთორეულა და ჩემი ოდის წინ იხეებს ხოცავს-მეთქი.

— სროლით გაცნობე მოსვლა, — გეგელიამ გაუღიმა.

— მობრძანდით, თქვენი ჭირიძე.

— რა გინდა ამ სულელთან? — ჩურჩულით ვკითხე.

— კაცი არ უნდა დაამცირო, — ნისაყვედურა ლეომ. — ნუ შეედავები ყარამანს, ახირებული ლაპარაკი კი იცის, მაგრამ დაუთმე, უცებ მოუვა გული და გადაირევა.

ნაპირზე გადავედით, მაშინ შევნიშნე ლაქაშებით გარსშემორტყმული ძველი, ხავსმოკიდებული ბაიდა.

ლოყებჩაცვინული, ძვალმსხვილი ყარამანი სევდიანი, კეთილი ღმილით შეგვეგება, ჯუნგლებში ლარივით გაჭრილ საცალფეხო გზაზე წაგვიძღვა. ასიოდე ნაბიჯი გავიარეთ, ნალალ ბოკონებზე შემდგარი ოდა გამოჩნდა, ოდის წინ ძაღლების მთელი ხროვა დაგვხვდა.

პეტარზე მეტი თავად გაეკაფა და ბალად ექცია. ოდის უკან ათიოდე სკაედგა, ოდის გვერდით კი მიწაში მიჯრით ჩასობილი რამდენიმე ექვსმეტრიანი მორი რკინის სალტეებით შეეკრა და ფიცრით გადაეხურა.

— იქ რას ინახავთ? — ვკითხე ყარამანს.

— ზაფხულში ეს არის ჩემი სანიავო, იქ მძინავს, კოლოებისაგან თავს ვიცავ.

— როგორ აღიბარო?

— ბუქალით. შემობრძანდით ოდაში, გათბით.

სევდიანი ღინილი არ მოშორებია მის მჭრქალ სახეს, ხავერდოვან, დიდრონ, ცისფერ თვალებს.

სუფთად მოგვიღო ოთახში შევედით. ბუხარში ნახევრად დამწვარი კუნძი ნაპერწკლებს ისროდა და მიშინებდა. სამი კუდბუთქუნა, გრძელბეწვიანი კატა ცეცხლს ეფიცებოდა. ასეთი დიდი და ლამაზი კატები არასოდეს მენახა, მოსაფერებლად რომ გავიწიე, სამივე მტრულად მომაჩერდა.

— გარეული კატებია, ხელი არ ახლოთ, — გამაფრთხილა ყარამანმა.

— როგორ მოაშინაურეთ?

— მყავდა შინაური, იმას მოყავდა. დაბერდა ის საწყალი და მოკვდა, ესენი კი არ მივიწყებენ.

— ძაღლები არ ერჩიან კატებს?

— როგორ არა, მაგრამ გარეულ კატას ძაღლი ადვილად ვერ მოერევა. ძაღლების გამო ერთხანს მიმატოვეს კატებმა და მაშინ კინალამ შემკამეს თავებმა, ჭიანჭველებივით შეესიგნენ ნლიასა და ოდას. ახლა მხოლოდ ერთი ტუნა ემტერება კატებს, დანარჩენი შეეჩვია.

შევატყვე: ყარამანს ადგომა და წასვლა ეწადა, წამოიწია, და რადგან ჩემს შეკითხვებს ბოლო არ უჩანდა, დაჯდა. პაპიროსის კოლოფი რომ ამოვიღე, დრო იხელთა, მეორე ოთახში გავიდა, ორი ბოთლი სანთლის არაყი, ჩაშავებული და ჩაშაჭრებული ხეჭეჭური და თაფლი მაგიდაზე დააწყო. არაყი ჭიქებში ჩაასხა, მშობლების სადღეგრძელო გადაჭრა და ჩვენც დაგვაღევიანა. სადღეგრძელოს სადღეგრძელო მოპყვა, მე და ლეო თაფლით პირს ვიტკბარუნებდით, ხეჭეჭურს ნივირთმევდით, ყარამანი კი მხოლოდ სვამდა და გვაძალებდა:

— შესვით, თქვენი ჭირიძე, შესვით. სანთლის არაყიც ბევრი მაქვს და თაფლიც. ასეთ არაყსა და თაფლს მხოლოდ სამეგრელოში ნახავთ, აბა ვის ყავს ჩვენისთანა ფუტკარი! შესვით, თქვენი ჭირიძე, შესვით...

ყარამანმა არყისაგან გაბრწყინებული თვალეები მოწკურა, ლეოს ჩემად, აღურსით ჰკითხა:

— თუ კაცი ხარ, მართალი თქვი,

ხომ არ მოგიკლავს დღეს ხოხობი, ძევი?

— როგორ მოვკლავ, ყარაძან, ვის რას უშავებს...

— შენ ხომ იცი, ლეო, ჩემისთანა მონადირე ამ მხარეში არ მოიძებნებოდა.

— მე კი არა, ყველამ იცის.

— ვინმე დიდი კაცი თუ გვესტუმრებოდა, მაშინვე აფრენდნენ ჩემთან კაცებს: აბა, შენ იცი ყარაძან, როგორ გვანადირებო. ჩემი საქნეც ეს იყო, მაგრამ იცით თქვენ თუ არა, რა არის სიკვდილი? მე ეს გვიან გავიგე. ქორი თუ იტაცებს ვარიას, მოკალი ქორი. გარეული ტახი შენს ყანას თუ აჩანანაგებს, მოკალი. მოკალი მგელი, მცურავი, მაგრამ რატომ ესერი შევლს, ხოხობს, იხვს? ხომ არაფერს გიშავებს? შენ თუ გაქვს უფლება არსებობისა, ამ უფლებას რატომ ართნევ სხვას? რა უნდა ვიწამო მე იმ ადამიანის, რომელიც გაზრდის ბოჩოლას, გაასუქებს, თავს შეაყვარებს, მერე წამოაქცევს, კისერში დანას გაუყრის, გაატყავებს, გამოშიგნავს, სამწვადეს აათლის, შეწვავს და არხეინად შეცეცხლავს! გაძლება სისხლით და მერე ყვავილებზე წერს ლექსებს... ლეომ მითხრა, რომ თქვენ მწერალი ბრძანდებით.

— დიახ, რაღაცას ვწერ.

— თქვენი სიტყვა მინდა, მოვემძინო
— ადამიანმა იცის რა არის სიკვდილი?
ლი...

— უკაცრავად, — სიტყვა შემაწყვეტიანა ყარაძანმა, — სიკვდილს მხოლოდ მაშინ ჩასწვდები, როცა საყვარელ ადამიანს დაკარგავ. ამ რამდენიმე წლის წინათ მე დავმარხე ჯერ დედა, მერე მამა, მარშან კი ცოლი გარდამეცვალა.

— გეთანხმებით პატივცემულ ყარაძან, მაგრამ ის ხომ არ არის სადავო, რომ სიკვდილის ეამს შველი არ ფიქრობს სიკვდილზე, არ იცის რა არის სიკვდილი, მხოლოდ ფიზიკურ ტკივილს განიცდის. ამის გამო დასაშვებია ნადრობა იმ ფრინველებსა და ცხოველებზე, რომლებიც თქვენ ესოდენ გეცოდებათ.

— თქვენ ლამაზად ლაპარაკობთ, ჩემო ბატონო... ბავშვებიც არ ფიქრობენ სიკვდილზე, არ იციან რა არის სიკვდილი... — ყარაძანმა მაგიდას მუშტი დაჰკრა და ისე კუშტად მომამტერდა, თითქოს მის წინაშე მოსისხლე მტერი იჯდა.

მომაგონდა ლეოს ნათქვამი, — უცებ მოუტეა გული და გადაირევაო, გაეჩუმდი. სდუმდა წამოჭარხლებული, თვალეზანთებული ყარაძანიც.

დუმილი ლეომ დაარღვია. ყარაძანი აღდგარძელა და ჩვენ დავტოვეთ ამ უცნაური კაცის ბინა.



აღიზიანებული

აღიზიანი, რჩინა და ძალი

აღარსად ჩანდა თენებოურის მთა, ნისლის ნილაბი ჩამოსცმოდა თავზე. ეს ნილაბიც მთას ჰგავდა, მაგრამ უცხოა და ბოროტს. აღარც წვიმა გაირჩეოდა ნისლში, მხოლოდ მთაში მოვარდნილი ნიაღვრების გუგუნი ამხელდა, რომ თენებოურზე წარღვნა ბობოქრობდა.

მთაში ორნი იყვნენ. კბილების კაწკაწითა და გულისმომკვლელი წკმუტუნით დარბოდა ხრამის გარშემო წყლით დამბალი შავი ძალი და ამაოდ ცდილობდა ხრამში ჩაეარდნილი პატრონის შველას. პირუტყვი კანკალს აეტანა, მბზინავი ბეწვიდან წურწურით ჩამოსდიოდა წყალი, ხშირხშირად ხუჭავდა თავლისფერ თვალებს, რომ შიგ ჩაეარდნილი წვიმის მსხვილი წვეთები ამოეწურა. ძალი მოსახერხებელ ადგილს ეძებდა ხრამში ჩასახტომად, მაგრამ რამდენჯერაც ჩააცურებდა წინა ფეხებს ფლატეზე, იმდენჯერ გაანჩხლებით შემოუწყრებოდა ქვევიდან პატრონი.

— გადი, ოშია, გადი-მეთქი... შენ რას მიშველი! — ყვიროდა გუგუშა და, როდესაც ნისლიდან ისევ გამოიკვეთებოდა ხრამის თავზე გადმომდგარი ძალი, პატრონი ზედებოდა, რომ პირუტყვი გაკვირვებული იყო...

მაინც რა ეშმაკად აჩემა მთაში წამოსვლა. წუხანდელი ჩამოსული იყო თბილისიდან, ხეირიანად ჯერ ბებიასაც არ გამუსაიფებია, ჭოლა ბიძიასთანაც არ გადასულა და, რა მოარბენინებდა, საზაფხულოდ იყო დათხოვნილი რადიოტექნიკშიდან და დრო ჯერ თავზე საყრელი ჰქონდა. მაგრამ ქალაქის ქუჩების გადასასვლელებმა და შუქნიშნებმა, ხალხით საესე ტროლეი-

ბუსებმა და ტრანსპორტის გამუდმებულმა, გამაღიზიანებელმა ხმაურმა ისე მოაბეზრეს თავი სოფელში ხესავით ამოსულ ბიჭს, რომ ნამდვილი დაღლა მოენატრა, ოფლით გახვითქვა და ბალახებში მიგდებდა. რადიოაპარატურის ციქნა ნაწილებში გაწაფულ ხელებს ისევ მოექავათ თოხი და ბარი, ქვევრის ხეხვა და ტალახში ჩაფლული ურმის ათრევა... ბებიას მარხილს ფრჩხილა გასტეხოდა, გუგუშამ ეს მოიმიზნება, საფრჩხილე ხეს გამოეძებნი მთაშიო, ბიძია ჭოლასაგან ახალმოპირტული ნაჯახი ინათხოვრა და მთის აღმართს შეუყვავა ოშია მხიარული წკაქწკავით დაედევნა პატრონს.

ჯერ სახნავი მინდორიც არ ჰქონდათ ავლილი, მწვანე თვალისით რომ დაკოსებია ხშირი ტყით დაფარულ თენებოურს, არც წითელ-წითელი ხრამებით დაფარული ფერდობი, რომელიც შორიდან აქუწულ გოლიათად მოგაჩვენებს მთას, ჯერ კიდევ კარგა ხანს უნდა ევლოთ, სანამ წიფლნარამდე აღწევდნენ და გუგუშა შესვენებასაც აპირებდა, რომ ამ დროს შორეულმა, გაბმულმა გუგუნმა მიიქცია მისი ყურადღება. გუგუშა სოფლისკენ შებრუნდა. ქვემოთ, მუშუქებივით ბორცვებზე მიმოფანტული ოდა-სახლები ნისლში ჩაკარგულიყო, მთისკენ მოისწრაფვოდა კიდით-კიდემდე გაშლილი, ერთმანეთზე დადევნებული წვიმის ვერცხლისფერი ფარდები, დამაფრთხობლად, მწყობრის აურეულად უახლოვდებოდნენ თენებოურს.

სანამ ყველაფერს ბურუსი მოიცავდა. გუგუშამ გაარჩია სოფლის ეზოებში

აფუსფუსებული ქალები, ალბათ, მზეზე გაფენილ ტულაებს მიაქანებდნენ თავ-შესაფარისაკენ, ანდა წვრილფეხა პირუტყვს დენიდნენ გომურში. მერე თავისი სახელიც მოესმა გუგუშას, და ერთბაშად შემპირწუნებელმა ხმაურმა ყველა სხვა ხმა დააფრთხო. გულშემზარავად აყმუველდა ოშია და მწვერვალისაკენ გაიქცა, მხოლოდ ერთხელ მოიხედა უკან, მომდევს თუ არა პატრონი.

გუგუშა ბრმად მიჰყვა ოშიას, ხრამებთან ყოფნა საშიში იყო, უსოვარი დროიდან აქ გზა გაეკვლიათ ნიაღვრებს, ეს იყო მათი სათარეშო ადგილი, მწვერვალთან სიახლოვეს კი ნიაღვარს ძალა არ ექნებოდა, ამას, ალბათ, გუშინთ გრძნობდა ძაღლი.

წვიმის პირველივე ნაკადმა ორივე თავით ფეხებამდე გალუშკა, გუგუშა ველარც გრძნობდა, ეცვა თუ არა ტანისამოსი, მხოლოდ ხანდახან დახედავდა ფეხსაცმელს, რომლიდანაც ყოველ ნაბიჯის გადადგმისას მღვრიე წყალი ამოასხამდა წვივზე.

მაგრამ ერთგული ძაღლი მაინც შეცდა. ველარ ივარაუდა, რომ პატრონს შეიძლება ფეხი ვერ მოეკიდებინა ხრამის პირას, სადაც თვითონ თავისუფლად გატყუებულა. და ამ ნისლში, ატალახებულ წითელ თიხნარზე გუგუშას ფეხი დაუცდა და ხრამში გადავარდა.

უკვე რამდენი ხანია ამოსვლას ლამობს და ვერ ამოსულა. აფოფხდება ხრამის ფლატეზე, ამოიგანგლება ტალახში, წითელკანიანს დაემსგავსება, აი, სადაცაა ხელი უნდა ჩასჭიდოს ხრამის ტუჩს, მაგრამ დაუცდება ფეხი და ისევ ხრამის ხახაში ამოჰყოფს თავს. ამდენს აღარ იბრძობებდა გუგუშა, დაუცდიდა წვიმის გადაღებას და ნისლის გადაყრას, მერე რამეს მოიფიქრებდა, მაგრამ დაცდა არ შეიძლება, ერთი წუთითაც არ შეიძლება...

ხრამში ჩავარდნისას, გუგუშა მიხვდა, რომ წყალი გუბდებოდა. რალაცას ჩაეკეტა და ამოეგლისა გასასვლელი. ფერდობს კი ბარაქიანად მოეშვა ტალახის ნიაღვარი, რომელიც შმაგივით ვარდ-

ბოდა ხრამში და მერე, ოდნავ დამშვიდებული, ხრამის მთელ სიგრძეზე ყავისფერი ბუშტებს მიაცურებდა. ეს ბუშტები ჯერ წვივებზე ეკვროდა გუგუშას, მერე მუხლებს ასცდა და ახლა ბარძაყებს ეპოტინებოდა.

ახსოვს ერთხელ როგორ ამოჰყვა ქას და ჩავარდნილი ვედრო ამოიტანა, ეს ხრამი კი სხვა იყო, აქ არაფერს მოეკიდებოდა ფეხი. და გუგუშას თანდათან იპყრობდა შიში, თანდათან ქრებოდა ის ნაძალადევი უღარდებობა, რომელიც ხრამში ჩავარდნის პირველ წუთებში ჩაუნერგა თავის თავს.

გუგუშამ ხრამის საპირდაპირო მხარეს გატოპა, სადაც ნიაღვრის ვარდნისაგან აგორებული ტალღები ისე ძლიერად აღარ სცემდა, აქ წყალიც დაბალი აღმოჩნდა და გულში იმედი მოეცა. უეცრად მან ისევ მოჰკრა თვალი ხრამის კიდეზე გადმოფოფხებულ ოშიას. ძაღლს წინა ფეხები გადმოეყო და ნახტომს აპირებდა. გუგუშამ სწრაფად აიტაცა ნიაღვარს ჩამოყოლილი, წყალში ატივტივებული ხის მომსხო ტოტი და ძაღლს მოუქნია შესაშინებლად. ოშიას ამჯერად წარბივ არ შეუხრია, არც გამოუხედავს პატრონისაკენ, ისევ მოცოცავდა. გუგუშამ ხელმეორედ მოიქნია ტოტი და თავპირში დასცხო, ძაღლი საწყალობლად აწყავეწყავდა და გაუჩინარდა.

„ნეტა რა უნდა რომ ხტება, შევლას აპირებს თუ მარტო ყოფნა ეშინია?... ალბათ, მარტო ყოფნა ეშინია“, გაიფიქრა გუგუშამ და წარმოიდგინა, როგორ ჩამოხტებოდა ხრამში ძაღლი, ცურვით მოუახლოვდებოდა, ალოკავდა, სიხარულისაგან აყეფდებოდა, და როგორ გაუკვირდებოდა, როცა გუგუშა ისევ ხრამის თავზე ააგდებდა, თუმცა შეიძლება ვერც აეგდო, როგორ ააგდებდა იმ სიმალღეზე... ცურვით დაიღლებოდა ოშია და დაიხრჩობოდა, კარგი ქნა, რომ გალაზა. გუგუშამ ხელში მომარჯვებულ ტოტს დახედა და უეცრად შეეცოდა ძაღლი.

„მარტო ყოფნა ეშინოდა“, კვლავ გაიფიქრა მან.

— ოშია-ა! — დაიყვირა გუგუშამ და მიაყურა.

ძალი არსად ჩანდა.

„ძალიან ხომ არ დავარტყი? ვაი, თუ..“

ტოტის წვერს დახედა, არა, სისხლი არ ეტყობოდა. როცა ტოტი მალა ასწია გადასადგებად, იგი ხრამის ნაპირს ასცდა, „ამას რომ აყვე?“ სიხარულით გაუძღვა გუგუშას. ტოტი ხრამის ფსკერს ჩაასო მსხვილი ბოლოთი და ფლატეზე აყუდა. ფეხსაცმელები ფეხები-თვე წაიძრო წყალში, რაც შეეძლო მალა წაავლო ხელები ტოტს, ფეხის თითები დანებივით შეასო დამბალ მიწას და მალა აიზიდა, სიმძიმისაგან ჩაიზინქა ტოტი, ერთი საცოდავად გაიწკრიპინა და გატყდა. გუგუშამ წყალში მოადინა ტყაპანი. მღვრიე გუბეში ტალღები აგორდნენ და ხრამის ამოგლესილ გასასვლელს მიაწყდნენ.

წვიმა გადაღებდას არ აპირებდა, მის ხმაურს ახლა ბანს ამღევდა ხეობაში მოდიდებული, დორბლმორეული დღეე, რომელიც უზარმაზარ ქვებს მიაგორებდა სოფლისაკენ. მხოლოდ ნისლი გადაიწმინდა ოდნავ, ხრამიდან ატივტივდა და, ალბათ, მთის ფერდობს აყუდა.

გუგუშა თვალს არ აშორებდა ხრამის გასასვლელს, იქ წყალი ტრიალებდა; უფრო დიდ გასასვლელს ეძებდა: უცრად გაეღვებულმა აზრმა დააძაბუნა, მუხლები მოუკვეთა; თუ წყალმა გასასვლელი გაანგრია, ერთბაშად მოწყდებოდა ამოდენა გუბე, ნაფოტივით გაიტაცებს გუგუშას და მის ძვლებსაც ველარ იპონიან თენებოურის დამრეც კალთებზე. შიშის კანკალმა აიტანა, წელამდე წყალში წაიფორხილა, მერე ძლივს გაიმართა და რაც ძალა და ღონე ჰქონდა შეჰყვირა:

— ოშია-აა!

— ჰოლა ბიძია... უუუ...

ხრამი დაქანებულ ფერდობზე იყო ამოშვიგნული, ნახევრადსავსე, უზარმაზარ დაყირავებულ ვარცლს ჰკავდა, წყალი ქვედა მხარეს აწევბოდა მთელი სიმძიმით, მორევივით ირეოდა ხმ ადგილას და თავის ნებზე ატრიალებდა გა-

მხმარ ტოტებს და ფოთლებს, ხანდახან ამ ტოტთაგანი უცრად, ჩაყვინთავდა და მერე აღარც გამოჩნდებოდა. შედაპირზე, ეს იმას ნიშნავდა, რომ ტოტი წყლის ჰველს გაჰყვია და გუბეს თავი დააღწია, ანდა სადღაც გაეჩხირა და უფრო დაგმანა გასასვლელი.

გუბემ რომ თავი აიშვას, ერთს გველუშაპივით ამოიბუბუბუყებს და მის ყოველ წვეთს თავბრუდამხვევი ვარდნის ქრუანტელი დაუქვლის, მთელი ტბორე ერთბაშად ჩაშვავდება ხეობაში, რომ მალე მიაგნოს ყველაზე უდაბლეს ადგილს, დამშვიდდეს, გაირინდოს და გათავისუფლდეს საკუთარი სიმძიმის მომთენთავი ძალისაგან. ამ სწრაფვას ვერაფერი აღუდგება წინ.

გუგუშა თვალგაფართოებული იყურებოდა ხრამის დაგმანულ გასასვლელისაკენ და შემპარავე ნაბიჯებით უკან უკან იხევედა, თითქოს უნდოდა ხრამის ყურადღება არ მიექცია, გადაევიწყებინა თავისი თავი ამ ბრაზმორეული გუბისათვის. წყალს უკვე უნდა გაენგრიოდა ხრამის კიშკარი, იგი ყოველწუთს ელოდა გუბის მოსხტომას.

ტბორეში დიდხანია ტივტივებდა გაბერილი კურდღელი, სადღაც მალა დაეხრჩო ნიაღვარს და ხრამში ჩამოეტანა. გუგუშამ წარმოიდგინა; როგორ მოსდევდა დამფრთხალ დიდყურას გაეცებული ღვართაფი, როგორ წამოეწია და გადაეველო თავზე.

„იქნებ ოშიაც დამხრჩვალა აგდია სადმე?“ გაიფიქრა გუგუშამ. გადმომქუხარე ნიაღვრის შეცვლილმა ხმამ გაუწყვიტა აზრი. წყლის უზარმაზარმა ჰველმა უფრო შორს ისკუბა და ძაბრით ჩაღუნა გუბე. „ნიაღვარს მოემბატა, — ძრწოლვით გაიფიქრა გუგუშამ, — ალბათ, სხვა ნიაღვარი შეიერთა გზაში“, ახლა კი უნდა აინგრეს ხრამის კარიბჭე, ახლა ველარ გაუძღვებს ამოდენა წყლის მუჯღუგუნს, აი, მალე, სულ მალე...

გუგუშა ხრამის ფლატეს ჩაეკრო გულმეკრდით, მიაწვა, თითქოს შეჰკლუტას ლამობსო, იქნებ თავამეებული გუბე

ველარ მორეოდა და ველარ გაეტაცნა. თენებოურის მთას თითქოს ნელნელა ზნექდა წვიმის სიმძიმე, ნიაღვრებს წაეჭრაოთ ურმის ბორბლების კვალი, გაეჭრაოთ ცხენებისა და ხარების ნალთა ანაბეჭდები, სულ ერთიანად დაეღწეათ მწყემსთა თავშესაფრები, ყველაფერი მოესპო წვიმას, რაც მთაზე ადამიანის ხელს დაეჩინა. და ბებერ მთას თითქოს დაბრუნებოდა თავისი ზვეშვობა, თავისი ადრინდელი სახე, როცა გაჩნდა ამ ხრამების პირველი მორცხვი ნაოჭები, როცა ქუხილისა და ვეება ცხოველების შესახარი ღმუილის გარდა, არა ხმა არ ისმოდა ამ მიდამოებში.

წყალი უკვე იღლიებში შესდგომოდა გუგუშას, სიცივისაგან ქვასავით შეკუმშულს, მაინც გამოსდიოდა მუბლზე ოფლის წვეთები, უკანასკნელი ძალღონეც ოფლივით იწურებოდა მისი სხეულიდან, წყალი რომ არა, იგი, ალბათ, მუხლს ველარ შეიმაგრებდა და დაეცემოდა. თვალზემძინვდილს რატომღაც ახსენდებოდა წუხანდელი სიმთვრალე და ის ტუჩგადმობრუნებული შავი დოქი, რომლიდანაც ჭოლა ბიძია ღვინოს ასხამდა ჭინჭილაში. დოქი უცნაურ, ზღაპრულ ცხოველს ჰგავდა, ხან წვრილ თვალებს გამოისხამდა, ხან ფართო, სულელურ ყურებს და სულ გუგუშას შესცქეროდა... იქნებ მართლა იყო ოდესღაც იმ დოქის მსგავსი ცხოველი და პირველმა მეჭურჭლეებმა მიამგვანეს... ცხოველი გადაშენდა, დოქებმა კი დოქები შობეს.

— ომი-ააა! — ანგარიშმიუცეპლად დაიდრიალა გუგუშამ და ფიჭვებიდან ამოტივტივდა. და როდესაც სმენამ ისევ გარკვევით განუახლა ნიაღვრების ცოფიანი ხმაური და, ნისლის გარდა, გარშემო ვერაფერი დაინახა, მოეჩვენა, რომ სულ მარტო იყო, მის გარდა სულიერი აღარ დაჩენილიყო მთელს ქვეყანაზე...

და იმ წუთში მხსნელივით მოელანდა თავისი აწყობილი რადიომიმღები ტექნიკუმის ლაბორატორიაში, და იმ რადი-

ოს დაფაზე გაბნეული მსოფლიოს ქალქთა ამაყი სახელები. და უცნაურად ხელშესახებად იგრძნო, რომ აქ, ჩრაშში, წყლის ზედაპირზე, მის ტუჩებთან, მის თითებს შორისაც კი, უამრავი რადიოსადგურის ტალღები ირეოდნენ, იზლართებოდნენ, ერთმანეთს ასკდებოდნენ. და გუგუშას გარკვევით ჩაესმა ეთერის ქაოტური ხმები, ნაცნობი რადიოსადგურების გამოსაცნობი მელოდიები. და გადაღლილ ტვინში უცბად ყველაფერი აიწყწა, დაიწყო საოცარი კონცერტი, საოცარი რადიო-ვადაცემა, სადაც ერთდროულად ისმოდა წლების მანძილზე მოსმენილი — ჯაზის როკვა და სპორტის მიმომხილველის აზარტული წამოძახილი, მორზეს მონოტონური კაკუნი და სამამულო ომის მრისხანე ინფორმაციები, ამინდის ბიუროს გაბეჯითებული ცნობა... და რუსი დიქტორის საზეიმო ხმა, როდესაც საფრთხის მოსასინჯად ადამიანებმა ძალლი გაგზავნეს კოსმოსში... ვიოლინოს თრთოლევა, რაღაც ნაწყვეტი, ნაგლეჯი, ვიღაც უცხოელი ტენორი თუ ვიტარაზე დამკვრელი... ადამიანთა გამაყრუებელი ტაშისცემა უზარმაზარ, სვეტებიან დარბაზიდან, ჩოჩქოლი, ქარის სისინი, ელვის როხროხი... და წიოდა ყურები, სინათლეები გადარბოდნენ თვალიდან თვალში, რეკდა მოჭანცული ტვინი, მოტორის სიჩქარით ტრიალებდა თავის ქალაში...

გუგუშა წყალმა აატივტივა, ნაფოტივით შეითრია შეაგულისკენ, სადღაც მიკარგულში მთელუმარგს, ესიამოვნა სიმსუბუქე, აღარ გრძნობდა ტანის სიმძიმეს, აღარც, მუხლებსა და ხელებს ადგა ჯაფა... შესაძლებელი რომ ყოფილიყო გუმბის ფსკერზე წამოწოლა, ცოტას დაისვენებდა, სულ ცოტას...

გუგუშა ქვასავით წავიდა ფსკერისკენ, გაუნძრევლად ტეტივებდა წყალში და უცბად ჩაიძირა, მკარამ მოულოდნელმა, მწყვეტ ტკივილმა ერთბაშად გამოაფხიზლა და თვალები გაახელინა. ტალახიანი წყალი გადმოაპურკვა პირიდან და ახალგამოღვიძებულივით შემკრთალმა მიმოიხედა.

მის ახლოს გუბე წითლად შეფერილიყო, გაახსენდა, რომ შიშველი ტერფი რაღაც მეტად ცივსა და გლუვ საგანს მოხვდა, ათასნაირი ჯოჯო და ქვეწარმავალი წარმოიდგინა, გვერდზე გახტომა უნდოდა, მაგრამ ამის ღონე აღარ შესწევდა. რაღაც სასწაულის ძალით ისევ მუხლგამართული იდგა და უკვირდა, რომ ტერფს თარგივით აღებეჭდა ძალზე ნაცნობი საგანი, მაგრამ ვერ მოეფიქრებინა რა იყო ეს საგანი, რას წარმოადგენდა. ფეხისგულის ჯერ კიდევ ცოცხალი ნერვები გამუდმებით ვადასცემდა ტერფს ამ ნაცნობი საგნის მოხახულობასა და სიმკვრივეს...

„ნაჯახი, კოლა ბიძიას ნაჯახი!“ უეცრად გაუელვა გუგუშას და ამის შეგნებამ საბოლოოდ გამოათხიზლა. სუნთქვა შეიკრა, თვალები მძლავრად მოხუჭა და კი არ ჩაძირულა, ახლა თავისი ნეზით ჩაყვინა, გაუჩინარდა, თითები მოაფათურა ტერფქვეშ და ნაჯახი მალა იტაცა.

თითქოს გაუცინა აპრიალბუღელ ნაჯახის პირმა, ხრამში ჩავარდნისას გაუვარდა ხელიდან, მას შემდეგ აღარც გახსენებია. რკინაზე სისხლი არ ჩანდა. ალბათ, პატარა იყო კრილობა ფეხისგულზე...

გუგუშას სიხარულმა გაუნათა დაწითლებული თვალები... გუბესთან ბრძოლაში მიმოფანტულ ენერჯიას თითქოს უკანვე უბრუნებდა გუბე.

„ეს ნაჯახია, ეს კოლა ბიძიას რკინა“, იმეორებდა გულში.

გუგუშა ხრამის ფლატესთან მილასლასდა, საშინლად აეწვა დაჭრილი ტერფი, ფლატეს მიეყრდნო, ნატყენი ფეხი მუხლზე შემოიდო, წყალში ხელი ჩაყო და აყალო მიწით აგნისა უხილავი კრილობა.

მერე სველ ხელებზე დაიფურთხა უნებურად, ნაჯახი მოიმარჯვა, მოიქნია და ყუამდე ჩაფლო წითელ მიწაში, კიდევ მოიმარჯვა, მოიქნია და ფლატედან ამოჭრილი მიწის სოლი წყალში ჩავარდა. თანდათან გააღრმავა და გაათართოვა საფეხური და უეცრად სიცილი წასკდა,

იციონდა გულიანად... მართლაც, იმ სიმძლავრეზე რომ საფეხურზე წამოტრა, ფეხს როგორღა შეუწყდენდა? მაგრამ ვერ ხედებოდა, ანგარიშს არ აძლევდა თავისთავს, რომ სიცილი ნაჯახმა და გადარჩენის იმედმა გამოიწვია.

რკინა ახლა წყალქვეშ ააშუშავა, რის ვივიგლახით ორი საფეხური ამოჭრა, დამბალ მიწაში ადვილად გადი-გამოდოდა ლითონი, ამას გარდა, თინხარი არ იშლებოდა და საფეხურები ფორმას არ კარგავდნენ. გუგუშამ საფეხურში ტერფი შეჰყო, სწრაფად აიწია და ადრე ამოჭრილ ზედა საფეხურს თითებით ჩააფრინდა, მერე ნატყენი ფეხი შედგა მეორე საფეხურში, მსუბუქად დაეყრდნო და, როცა წონასწორობა იგრძნო, შეეხით ამოისუნთქა. ახლა ორივე ხელი თავისუფალი ჰქონდა და, რაც მთავარია, ჰქონდა ნაჯახი.

წითელი საფეხურები ნელ-ნელა მიიწვიდნენ მალა. ფეხები ისევ წყალქვეშ დაკარგულ საფეხურებში ჰქონდა. როცა მეგრდამდე ასცილდა ხრამის ნაპირს. თითქოს ოკეანეს ფსკერიდან ამოყურყურმაღავდაო, ისე ხარბად ჩაისუნთქა ნესტიანი ჰაერი, მინდვრისაკენ გადაიხარა, ნიდაყვებს დაეყრდნო და შეისვენა. მერე უკანასკნელად მოიქნია ნაჯახი, ღრმად ჩაასო ბალახით დაფარულ მიწაში, ტარს ჩაეჭიდა, აიზიდა და ხრამიდან მოლზე გადაგორდა.

დიდხანს ედგო თავდაღმა წყალში ათქვეფილ მიწაზე, ხელები მოერკალა, თავი შიგ ჩაერგო, მკლავები ყურებზე ჰქონდა შემოსალტული და რაღაც შორეულ გუგუნადლა ჩაესმოდა ყალყზე შემდგარი ბუნების რისხვა. თვალებსა და ბალახებს შორის დარჩენილი პატარა, მყუდრო სივრცე კი ერთ დიდ საოცნებო და სასურველ სამყაროდ ეჩვენებოდა.

გაახსენდა, რომ სადღაც ახლოს, ბებერი წიფელი იდგა. ხეს მორზდილი ფულურო ჰქონდა, სადაც ბავშვობისას, სამწყემსურში, ხშირად ინახავდა ბებიას გამოტანებულ საგზალს, ანდა თვითონ იმალებოდა ხოლმე. წამოიწია, წამოდგა, დაჭრილი ფეხის მხოლოდ თითები შეახო.

მიწას, იარა არც ისე ღრმა იყო, მაგრამ ტერფი საშინლად ტეხდა.

ნისლი მწვერვალისაკენ აკრეფილიყო, მხოლოდ გატრეცილ კუდსა მითრევედა ფერდობზე — კიდევ კარგი, თორემ სულ სხვა მხარეს აპირებდა წიფლის ძებნას.

აგერ, წიფელიც. ტოტები ისევ ბურუსშია გახვეული, მაგრამ შავი ფულურო კარგად ჩანს. მიდიოდა კოკლობით და ნაჯახის პირი წვიმისათვის მიეშვირა, ხელისგულს უსვამდა და რეცხდა.

„ქვაზე არ მოგხვდეს პირი, არ გამოფუტო,“ შეილივით ჩააბარა კოლა ბიძიამ ნაჯახი. მიინც რა დაფეთებულია ბიძია კოლა ხელსაწყო-იარაღებზე, პირდაპირ ზედ დაჰკანკალებს, ბავშვს როგორ ანდობს ბურღს, შალაშინს ან სატეხს, თვითონ ლესავს, თვითონ ხმარობს, თვითონ მიაქვს და მოაქვს მეზობლიდან და მერე საგულდაგულოდ ინახავს სხვენზე. ერთხელ თბილისიდან გუგუშამ ჩამოუტანა დანა, რომელსაც ზედვე ჰქონდა ჩანგალი, კოვზი, მაკრატელი და კიდევ სხვა რაღაც-რაღაცეები. ენა დაეება, ბავშვივით ვაწითლდა კოლა ბიძია, როცა გაიგო, რომ ეს დანა ამიერიდან მისი იქნებოდა. შეათვალ-შეპოათვალევრა, ოქროსავით ხელში ასწონა, ქარხნის ტვიფრი ამოიკითხა, მერე, მგონი, დაყნოსა კიდევაც და თქვა: „კაი რკინაა, მე და ჩემმა ღმერთმა!“

რადიოსაც ზომ „კაი რკინას“ ეძახდა კოლა ბიძია, მგონი — თვითმფრინავსაც.

გუგუშა ზურგივით შეძვრა წიფლის ფულუროში, გაუკვირდა, რომ ვერ შეეტია და ფეხები გარეთ დარჩა. უკანასკნელად ამ ფულუროში რვა წლის წინათ იყო, მაშინაც წვიმას დაემალა კოლა ბიძიას გურამთან ერთად.

ქარმა დაუბერა, გუგუშას ცხვირში ეცა წყავისა და შვერის მკვეთრი სუნი და საღდაც ტყეში ჩაფენილი და წვიმისგან ხელახლა განედლებული, გამხმარი ფოთლების სურნელი. ამას დამათრობელი და ძალზე ნაცნობი პაერის ქავლი შეენაცვლა, ასეთი ბანგიანია პაერი ქე-ქა-ქუხილისა და დელგმის შემდეგ.

წვიმამ იკლო, ანდა იქნებ ხრამში ორმაგად ეჩვენებოდა ეს წარღვევა. ჰეტუბში კვლავ მძვინვარებდა მთლიანტეხილ ღვართქაფი და თითქოს ბარისაკენ მიაფხოკიალებდა ფერდებგალეულ მთას. ამ სურათს გუგუშა ციყვივით მშვიდად გაჰყურებდა ფულუროდან, ახლა უკვე აღარაფერი იყო საშიში.

უეცრად ფულუროს სიღრმეში რაღაცამ გაიფართხალა, გუგუშა შეერთა, დენივით დავლილმა ფეთიანმა შიშმა თითქოს ხელი უბიძგა და გარეთ გააგდო. ფულუროდან გარეული, მოლურჯო მტრედი გამოვიდა, თვალების პარპალით გაჰხედა მიდამოს, მერე გაიარგამოიარა ფულუროს კიდებზე, თითქოს აინუნშიც არ აგდებდა ადამიანის იქ ყოფნას. კინაღამ გაეცინა გუგუშას, ხელი ფრთხილად გააპარა მტრედისაკენ, ქედანი გაინაბა, გუგუშამ ზურგზე გადაუსვა თითები, ფრინველი უკარგება ქალივით გამოუძვრა ხელიდან და ისევ ძველებური სიმშვიდით შებრუნდა ფულუროში, ალბათ შეატყო, ჯერ ისევ საშიშია ფრენა, ამინდი არ გამოკეთებულაო. გუგუშა გააკვირვა ქედანის საქციელმა, ნუთუ ჩიტს ამ თავსხმის უფრო ეშინოდა, ვიდრე კაცისა?... ვინ იცის, ცხოველები სწორედ ასეთ უბედურებაში უშინაურდებოდნენ ადამიანს.

გუგუშას ოშია მოავონდა და რაღაც დანაშაულის მსგავსმა გრძნობამ გულში დაიხველიტა, წიფელს მოსცილდა და კოკლი, მაგრამ ჩქარი ნაბიჯებით ფერდობს დაჰყვა. ახლო-მახლო ბუჩქები მოათვალევრა, თან სტევენდა და ძალს მოუხმობდა. გუგუშამ ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, გაწურა და დაჰრიღ ფეხისგულზე ამოიკრა, მერე უფრო სწრაფად განაგრძო ძებნა.

გახსენდა ოშიას ლეკობა, ღამესავით შავი ძალე იყო, მხოლოდ მუდამ ზევით აბრეხილი კუდის წვერი ჰქონდა თეთრი, და ამ ნათელ წერტილს მთვარესავით აჰყურებდა და უყვებდა ოშია. ლეკვს აღიზიანებდა ეს უცხო ლაქა და კბილებში მოგდებას ცდილობდა, კუდი გაურბოდა, ოშია ეტანებოდა, კვლავ

უსხლტებოდა კუდი, და ტრიალებდა ჩიკორივით ძაღლი, ასე ტრიალ-ტრიალით ჩაათავებდა იგი მთელ ორღობეს, სანამ რამეს არ წამოედებოდა და სასაცილოდ არ გაიშლართებოდა.

გუგუშა ხეობას წაადგა თავზე, ხელისგულელები საყვირივით მიიმრგვალა ტუნჩებთან და შეჰყვირა:

— ოშია-ა-ა!

და სრულიად მოულოდნელად გაღმიდან ძაღლის ყუფა შემოესმა: გუგუშას თვალელები გაუნათდა სიხარულისაგან, უფრო შესამჩნევ ბორცვზე აირბინა, მერე ოთხი თითი ჩაიყო პირში და გაბმულად დაუსტვინა.

— ეჰეი! — მოისმა შორიდან ადამიანის ხმა. ყური მიუგდო, ძახილი აღარ განმეორებულა, გუგუშამ ხეობას ჩაახედა და ამ შეთხელებულ ნისლში ნემსივით გააძვრინა მხერა.

ბილიკზე ადამიანები მოდიოდნენ, წინ ძაღლი მოუძლოდა. აი ისინი ხეობაში ჩაიკარგნენ, კარგა ხანს აღარ გამოჩენილან, აღბათ, ღელეში თავამოყოფილ ქეებს ეძებდნენ წყლის გადმოსალახად.

გაიარა რამდენიმე წუთმა და ისევ გაისმა ძაღლის ხმა. ახლა სულ ახლოს იყვნენ ადამიანები, ფერდობზე ამოდიოდნენ. გუგუშამ ჰოლა ბიძია იცნო, ძლივს მომობდავდა, საბიჯგს იშველიებდა აღმართში, გვერდით გურამი მოჰყვებოდა, უკან — მეზობლები. ოშია ხან მხიარული, ხან შემფოთებული ყუფით გარს ურბენდა ადამიანებს, თითქოს ემუდარებოდა, ფეხი გამოადგით, აჩქარდითო.

გუგუშას გული აუჩვილდა. თურქე სად გაქცეულა მისგან ნაცემი, შეურაცხყოფილი პირუტყვი. წარმოიდგინა, როგორ ებრძოდა მოდიდებულ ღელეს ოშია, მერე როგორ გაქანდა სოფლისკენ მთლად გალუმული და აძიკიკივებული, როგორ შეჰყავდა აივანზე ბებიას, ააწრიალა სოფელი და მთისკენ გამოუძღვა გუგუშას საშველად. და ახლა მოდის ოშია, ამაყად მოჰყავს, უნდა გადაარჩინოს ხრამში ჩავარდნილი და სასიკვდილოდ განწირული მეგობარი.

ხანდახან მოჰხედავს უკან ჩამორჩენილ ადამიანებს და ადგილზე დატრიალდება, წკმუტუნებს, მიწაზე ფეხებს სბაკუნებს აჩქარებს მშველელთ, რომ გარჯა გაუმართლონ და პატრონი გადაარჩენინონ.

მაგრამ პატრონი გადარჩენილი დაუხვდება ძაღლს, ხრამიდან ამოსული, სრულიად უენებელი და დამშვიდებული. და გუგუშამ ვერ წარმოიდგინა, როგორ იმოქმედებდა ოშიაზე ეს ამბავი, გაუკვირდებოდა? თუ შერცხვებოდა, ტყუილად რომ ააფორიაქა სოფელი? იქნებ სადღაც, მკერდში, ძარღვი ჩასწყვეტოდა, როგორც ეს ადამიანებს მოსდით ხოლმე, ანდა ერთბაშად დაბერებულიყო და ყველაფრის ხალისი დაჰკარგოდა, როგორც გემამტყუნებულ ძაღლს.

გუგუშა შემობრუნდა და ხრამისაკენ გაიქცა.

ტალახისფერი ნიაღვრის ჩანჩქერს დაეკლო, მაგრამ ხრამში ტბორე უფრო მოდიდებულებიყო და მოუსვენრად ტრიალებდა, როგორც გალიაში გამოქწყვდიული ბეწვანბურძგენილი ვეფხვი. გუგუშამ ნაჯახი გაავლო, ზურგით შემბრუნდა ხრამისკენ, მიწაზე წაწვა, ხელებს დაეყრდნო და ცალი ფეხი ხრამში გადაჰყო. დიდხანს ეძებდა ტერფით თავისი ამოჭრილი საფეხური, ბოლოს მიაგნო, ზედ დაეყრდნო და ახლა მეორე ფეხი გადაითრია ხრამისკენ. მალე იგი ისევ წყალში იყო ყელამდე, ოღონდ ჩაცუცქული და საფეხურებზე საიმედოდ დაყრდნობილი, ერთი რომ მუხლგებში გამართულიყო, მინდორზე ადვილად გადმოალაჯებდა. ასე დაჰკიდებია ხშირად შვედურ კედელს რადიოტექნიკუმის სპორტ-დარბაზში.

დიდხანს არ დასჭირვებია ლოდინი, რაც უფრო ახლოვდებოდა ოშია, უფრო და უფრო უმატებდა ყეფას, უფრო და უფრო ცხარებოდა. აი. იგი ხრამის გაღმა ნაპირს მიაწყო და წინა ფეხები მიწაში წაასო. გაიყინა, სწორედ იმ ადგილას, სადაც ჯოხი დაარტყა გუგუშამ. ძაღლს უეცრად ენა ჩაუვარდა, გაშეშებული ჩააცქერდა მორევს, მაგ-

რამ ეს წამიერი შეცდომა იყო. მაშინვე მოჰკრა თვალი გუგუშას წყლიდან ამოყოფილ თავს. ძალღს სიხარულისაგან რაღაც უჩვეულო ხავილი აღმოხდა, ჯერ თითქოს დააბნია ამ სიხარულმა, აღარ იცოდა, რა ექნა, მერე სწრაფად შემოუარა ხრამს, გუგუშას თავს დაადგა და აყეფდა, აწკმუტუნდა, აყმუველდა, თითქოს იცინოდა კიდევაც. როგორც კი ჰოლა ბიძია გამოჩნდა, მაშინვე მოწყდა ადგილს, მასთან მიიჭრა, ისევე ხრამისკენ შემობრუნდა და კიდევ ერთხელ, საბოლოოდ გამოუძღვა იმ ადგილისკენ, რომელსაც მის გარდა ვერაეინ მიაგნებდა.

— ჩემო ბიჭო, ჩემო გუგუშა! — მოთქვამდა ჰოლა და იმ ადამიანივით უახლოვდებოდა ხრამს, რომელმაც სულ მალე რაღაც საშინელება უნდა დაინახოს.

ჰოლაზე ადრე ხრამთან გურამმა მიიბრინა.

— ჩქარა, მამა, ჩქარა! — დაიყვირა მან.

სოფლელები ხრამს გადმოადგნენ.

— აბა, შენ იქიდან...

— თმებში წააეღე, თმებში ხელი!

— არ უნდა იყოს დამხრჩვალნი ეს უბედურნი!

— ღმერთო, დიდებულო!

ოშის დასანახად გუგუშამ განგებ გააძინა საქმე, როცა იღლიებქვეშ გლეხების მაგარი ხელები იგრძნო, მოეშვა, მოდუნდა და ძალად ამოათრევიან თავისი თავი ხრამიდან. სოფლელები წრედ შემოერთყნენ გუგუშას. ოშია ამოდ ცდილობდა ამ წრის გარღვევას, ახლა კი გააბილა თვალები გუგუშამ და გაიღიმა.

— ღმერთო, დიდებულო, შენი სანდლის ჰირიმე! — წამოიძახა ტყლავ ბეჭემამ.

მალე ყველანი დაბლობისაკენ დაიძრნენ. ციდან წვრილად სცრიდა, ნიაღვრებს დაეკლოთ და გზა ადვილად იღეოდა. ოშია პატრონს არ სცილდებოდა, წარამარა მკერდზე ახტებოდა და ტალახით უსვრიდა ისედაც დასვრილ ტანისამოსს.

— მოდი, ოშია, ჩემო კარგო ოშია! — ეფერებოდა გუგუშა, არ უშლიდა ძალღს სიყვარულის გამოხატვას.

ჰოლა ბიძია უკან მრდიოდა დაღლილ-დაქანცული, ხშირ-ხშირად დახედავდა თავის ნაჯახს, პირს უსინჯავდა და თავს აქნევდა უკმაყოფილების ნიშნად. გუგუშა ამჩნევდა ამას და ჩუმჩუმად ეღიშებოდა.

მას ახსენდებოდა ის საოცარი რადიომოჩვენება, როცა ყურებში გუნდ-გუნდად შეჰყვივდნენ წლების მანძილზე მოსმენილი ხმები, და წარსულის მრავალი მწარე და სასიხარულო დღე ბგერებად გამწყრივდნენ გონებაში.

როდესაც სოფელს ჩამოაღწიეს, გუგუშამ თენებოურს ამოხედა. მთას გამჰვირვალე ნისლი ეხვია, უცხო და ბოროტი ნიღაბი გაცრეცილიყო, მაგრამ ჯერ კიდევ ბუნდოვნად მოჩანდა დახრამული ფერდობები და მწვანე ხალებივით ტყეში გაბნეული ახოები. გუგუშას მოეჩვენა, რომ ეს შემთხვევა, რომელიც დღეს თავს გადახდა, პირველად არ მოხდა ამ მთაში, რომ ოდესღაც, უხსოვარ დროს, მისი წინაპარიც რაინამ და ძალღმა გადაარჩინა. გუგუშამ კი რამდენიმე საათში ჩანასახივით გაიარა წინაპრის მთელი ცხოვრება.



მალა შორახიძე

კვლავ შენთანა ვარ, სამშობლოვ ჩემო!

I

რა დრო გასულა! ოცი წლის წინათ
მე სიკაბუჯის დამიდგა ქამი...
მიყვარდა მთვარის ფოთლებში ბრწყინვა-
და მთვარის წვეთით ავსება ჯამის.
მიყვარდა ფერი შეთვალულ შინდის,
გადაბინდული მთათა ქედები,
თეთრ წისკვილებთან ცა მუდამ მშვიდი,
ნისლები, თითქო დასტა გედების.
მიყვარდა ფიჭვი მდინარის პირას,
ძირს გაფენილი ხავსის ხავერდი,
ათასწლოვანი მუხების ძირას,
მარჩხის ჩუმი გადასახედი.
მიყვარდა ჰანგი მწველ სიმღერების,
სამშობლოსათვის ლექსში ლოცვები,
ველურ ყვავილთა თეთრი ღერები
და თეთრ ღრუბლებში სრბოლა

ოცნებით.

მიყვარდა ფილთა თოფი და ყანა,
გადაფარული ცისკრისკვამს მწყურებით.
ყმაწვილკაცობის უტკბესი ხანა
და გაფანტული ლურჯთვალა ტბები...
მერე უეცრად გაქრა ყოველი,
მე შევეჩვიე თბილისის ქუჩებს.
მაგონდებოდა ჩემი სოფელი
და დინჯად ვკვრეტდი ცხოვრებას
უჩვევს...

* *

მდგროდა გული სინათლით სავსე
და ვათენებდი წიგნებთან ღამეს.
ჩემი ნათელი ცხოვრების გზაზე
მე განა მეტი მინდოდა რამე?
დილით, როდესაც დნებოდა ბინდი,
ვარაზის ხევის ბილიკს მივდევედი,
თითქო ვიდექი ტაძარში რიდი

და გრძელ ლექციებს უხმოდ ვისმენდი.
არ განმეცადა სულის წუხილი,
მე სიხარული ვიციოდი მხოლოდ,
და სიკაბუჯის ქექა-ქუხილით
ლაბავ ოცნებებს არ უჩნდა ბოლო.
სხვა რა გამაჩნდა, მე მხოლოდ სულით
და სიყვარულით ვიყავ მდიდარი,
მე გულს მინთებდა ერთი ასულის
მკლავები — ორი ტოტი მდინარის.

* *

ის იყო მშვიდი და ერთობ ნაზი,
უყვარდა სუსტი რტოები ბზათა.
ის იყო სავსე, ვითარცა ვაზი,
ხიბლავდა ფერი ულურჯეს ტბათა.
ის იყო უხმო და იღუმალი,
და ჰქონდა გული კეთილი ერთობ.
ის იყო ჩემი სულის უფალი
და თვალწინ მუდამ კელეპტრად მენთო.
ის იყო თითქო ფრინველი ველის
და შევცქეროდი უსიტყვოდ, კდემით.
რაა ამაში გასაკვირველი.
მეგონა, უხმოდ ესმოდა ჩემი.
ამიტომ უფრო მიყვარდა მეტად
და არ შემეძლო უმისოდ ყოფნა.
ის მენთო სულში სინათლის სვეტად,
როდესაც მარტოდ ვიყავი სოფლად...

* *

ის დადიოდა ჩალისფერ კაბით,
ის ჰკავდა ნათელს მანისის დილის.
თითქოს მათრობდა სურნელით შამბის
მის გაშლილ თმათა შრიალა ჩრდილი.
და ვლუმდი, როგორც ველის მდინარე,
როგორც ცადაწვილ მწვერვალის
თხემი.



ეს კი მხედებოდა პირმოცინარე,
 ალბათ სიჩუმე მოსწონდა ჩემი...
 შემომცქეროდა გაღიმებული
 და თუ თამამად ვეცყოდი რამეს,
 შეპყრავდა წარბებს განრისხებული
 და თითქოს სულში წვებოდა ღამე...
 კვლავ ესდუმდი, როგორც ველის
 მდინარე,
 როგორც ცადაწვდილ მწვერვალის
 თხემი.

ეს მიდიოდა პირმოცინარე
 და თითქო გული მიჰქონდა ჩემი...
 თან ესდევდი მუდამ განუყრელ
 ჩრდილად,
 მსურდა, მის სულში რომ ჩამეხედა,
 ვაკვირდებოდი ყოველწამს ფრთხილად
 და ფიქრი მხოლოდ ბურანში მხევედა.

* * *

მიყვარდა ნინო... მიყვარდა ერთობ,
 მიყვარდა თავის სიღარბაისლით...
 და რა ვიცოდი, გულში რა ედო.
 მისკენ მივქროდი მუდამ ხალისით.
 ალბათ, იღუმალ გრძნობდა, რაც
 მსურდა,
 რასაც ამბობდნენ ჩემი თვალები...
 და მე მივირდა, ასე რად სდუმდა,
 რად მარიდებდა თვალს მოკრძალებით!..
 ისე უბრალოდ მხედებოდა იგი,
 ისე მხიბლავდა სიმშვიდე მისი,
 მე არ შემეძლო წამითაც ფიქრი:
 მას სიყვარული ჰქონოდა სხვისი...
 ასე მჯეროდა მე ჩემი ბედის,
 ასე მიჰქროდნენ ნათელი დღენი.
 მე მასზე ფიქრით მომავალს ვკედიდი
 და სიხარულის მესხმოდა ფრთენი...

* * *

მახსოვს, მოგვროვდით ვარაზის ხეებთან,
 გვახალისებდა დღე დასვენების.
 ბალახზე ცვარი ბზინავდა თეთრად
 და ირგვლივ ცისფრად ენთნენ სერები.
 საღამოს ხენი გადიქენენ ღანდად,
 მთვარე შეიდი ცის კარებს ალებდა.
 და მოქნეული ხმალივით ჩანდა
 მტკვარი მეტეხის ხიდის თაღებთან.
 ჩვენ აედოოდით მამადავითზე,

გაბრუებული იღუმალ ლტოლვით,
 და ირხეოდა რუხი კლდის ქიმჩენული
 თავჩაკიდული ასკილის ტოტო...
 იწვოდა თეთრად თბილისის ღამე,
 თითქო გვათრობდა წვეთები მთვარის,
 და ჩაცვქეროდით დაბურულ ხრამებს,
 დაფარულს ნაძვით, ვარდებით, წარით.
 გვხიბლავდა მთვარიოთ გაშლილი ბალი,
 გადაბამბული ყვავილთა მტვერით
 და ავარდნილი ქაშეეთის თალი
 იყო ნამდვილად თეთრი, რძისფერი.
 ირგვლივ ბალახზე ჩრდილნი ეყარა,
 ქარი ძირს ნაზად ხრიდა საროს ხეს,
 და ისე ჩანდა ჩემი ქვეყანა,
 ვითარცა ზღაპრად თქმული სამოთხე...

* * *

გვიან ხალისით ვესტუმრეთ ნინოს,
 შემოსხლომოდნენ გაწყობილ სუფრას,
 შემოგვაგებებს კახური ღვინო
 და შევაშველე ხელი სველ სურას.
 ჯერ მივეულოცე დღე დაბადების,
 მერე კი მისთვის ვმღეროდი ტკბილად-
 ვმღეროდი, დღეო, ნუ დაღამდები,
 ნუ გადამიქცევ ნათელ სხივს ჩრდილად.
 ვმღეროდი: ღამეც, ისე გათენდი,
 რომ არასოდეს ჩაქრეს სინათლე.
 ვმღეროდი, ბედო, წამით დამნებდი
 და სხვას არაფერს აღარ ვინაატრებ.
 ვმღეროდი ჩემი მიწის დიდებას,
 და ჩემებრ სხვებიც მღეროდნენ ჩემთან.
 მე არასოდეს დამაფიწყებდა,
 ის ღამე როგორ ვათენეთ თეთრად...

* * *

მახსოვს იმ დღით ვისხედით ბაღში,
 ცას ნაკვალევაც არ აჩნდა ბინდის.
 და ნაზ ყვავილთა ფერების ტბაში,
 თითქო იწვოდნენ რტოები შინდის.
 დაგვშრიალეზდნენ თავზე ნაძვები,
 მთებზე შრებოდა ნისლეების ტბორი,
 ეფაკლებოდა ნინოს ღაწვები
 და ვსაუბრობდით მეგობრებს შორის.
 მაგრამ უეცრად ჩამოწვა ჩრდილი,
 სახეზე ნაცრის დაგვედო ფერი,
 გავიგეთ თურმე სწორედ იმ დღით
 ჩვენ თავს ქურდულად დაგვესხა მტერი.

ცეცხლში გვიხმობდა სამშობლო
ვრცელი,
შევშფოთდით, ბრძოლა გველოდა
ცხარე.

კვლავ გავიხსენეთ მარაბდის ველი
და შევეუპოვებთ ვერაგებს მწარედ.
ჩამოვაფარეთ ფანჯრებს ფარდები,
ზედ კარზე გვადგა ომის აედარი.
გზაზე მოსდევდა ჯარებს ჯარები,
ტანზე ავისხით რკინის აბჯარი.
ბრძოლაში მუდამ გაუტეხელი,
იწვა თბილისი სულგანაბული,
და როგორც ტინის მტკიცე კედელი,
მტერს წინ აღუდგა ჩემი მამული...

II

თაბორის მთებზე რძისფერი ზოლი
მთვარემ გაავლო, ვით გუთნის კვალი...
ჩვენ მივდიოდით ნელი ჩოჩქოლით.
ქალაქში შუქი მოჩანდა მკრთალი.
ვუცქერდით ქუჩებს, ირგვლივ ბნელო-

და,
სდუმდა ფანჯრები მჭიდროდ ნაბური...
ჩვენ შორეული გზები გველოდა
და გვაცილებდა მთელი სადგური.
თითქო ხენწოდა დიდუბის ქარიც
და სდუმდა შორი ხეების უბე...
მაგონდებოდა ნათოვი მთვარით
ვარაზის ხევის ცისფერი გუბე.
მიგვაცილებდნენ შინაურები
და ვერ მალავდნენ ღიმილში

ცრემლებს...

იღგნენ გუნდ-გუნდად დაქანცულები
და გამუღმებით გვიქნევდნენ ხელებს.
ჩვენ მივდიოდით ნათელი რწმენით,
სამშობლოსათვის ამხედრებულნი.
ვხედავდი ნინოს, ღიმილის მჩენი
იღვა სხვებს შორის გახვეებული.
დავეშვიდობე და მე ვიგრძენი
ვულში რაღაცა მსგავსი ტკივილის...
მერე ლიანდაგს მისდევდა ფრენით
მატარებელი მკვეთრი კივილით!

* *

მე ჯარისკაცის ფარაჯა მეცვა,
შორს გავედით გაშლილ კასპის
მხარეს...

კვლავ თვალწინ მედგა თბილისის ზეცა,
ვარაზის ხევი ჩამდნარ მთვარე,
მე მივდიოდი ომში თამაშად,
წინ მიმიძლოდა შუქი მამულის.
მხნეობა ჩვენთა გმირთა მამათა
და სიმამაცე მათი განთქმული.
მე მივდიოდი და თვალწინ მედგა
ჩემი კერიის ცხელი ღაღარი,
ზედაზნის ტაძრის მუხებში ლეგა,
ათას ბრძოლებში ნაგრიგალარი.
მელანდებოდა ლოდშებოლილი
ქსნის და არაგვის ციხის თალები,
ვახი ბოძებზე შემოქცობილი
და სამთავისის მწვანე ბალები.
მათთვის მიმჭონდა უმტკიცეს ფარად
ჩემი მღელვარე გულის ფიცარი.
მე მივდიოდი გმირების დარად,
მიმჭონდა სული ნამაისარი.
გულმა სიკვდილის შიში გაფანტა,
ჩვენ მივდიოდით ლაშქრულით ძველით,
და მოგვეძახოდნენ თითქო პაპათა
ომში დადლილი, ბებერი ძვლებიც...

* *

მოედო დიდი რუსეთის ველებს
თოვლზე გაშლილი ჩვენი კარვები.
ჩვენ მთვარის შუქზე ვითბობდით
ხელებს
და გვიღიმოდნენ თეთრი არყები.
ჩვენ გავცქეროდით უსახლგრო სივრცეს
და ვეჩვიოდით მხედრულ ცხოვრებას,
ტანზე ვიხვევდით სუსხიან ნისლებს
და არ უგრძენია სულს შემფოთება.
ჩვენ ხშირად ცისქვეშ გვეძინა ღამით.
ციმბირის თოვლში ვაწრთეთ სხეული.
და ეგდო ტბაში, ვით ბროლის ჯამი,
მთვარე თეთრპერანგშემოხეული.
ბოლოს ჩვენც ბრძოლის დაგვიდგა ჟამი,
ვხედავდით ღრუბლის ცეცხლიან
აფრას...
და ციმბირიდან უმთვარო ღამით,
ჩვენი ჯარებიც დაიძრა სწრაფად.

* *

მისდევდა სტეპებს მატარებელი,
შორს სისხლიანი დაფრენდა ძერა.



ჩამონგრეული ვნახეთ კედელი
და გულმა მწარედ დაგვიწყო ძგერა.
ჩვენ გადაწვარი ვნახეთ სოფელი,
ცხელ მიწას აჩნდა ნადირის კვალი.
დაფრთხილიყო ირგვლივ ყოველი
და მხოლოდ ნაცარს ხედავდა თვალი...
გამთენიისას დაეძარით ცეცხლი
და მტერთან ტყვია ვალაპარაკეთ...
დიოდა სისხლის ღვართქაფი ცხელი,
მეხად დაეატყდით თავს მტრის
ბანაკებს.

ყაჩაღებს მყისვე წაუხდათ ნირი,
განა ვიყავით მათზე ნაკლები!
იკადრეს, უკან იბრუნეს პირი
და მიეცელავდით მძიმე ტანკებით.

მე სამი წელი ვიბრძოდი ფრონტზე,
არ მომიხრია ქარში მუხლები.
თუ ვეცემოდი, მშველოდნენ დროზე
რუსა, ყირგიზი და ყალმუხელი.
მე სამი წელი ველეტდი ვერაგებს,
სულ გვერდით მედგა ერთი ქართველი.
ერთად ვიშრობდით ღამით პერანგებს
და მუდამ ერთი გვექონდა სათქმელი...
ერთად ვუცქერდით ზეცას იღუმალს
და ვიგონებდით სულის სწორს ხშირად...
ერთად ვწვევავდით ტყეებს მიუვალს
სადღაც უცნობი მდინარის პირას.
ერთად ვიყავით, ერთად ვიწვოდით,
გულს სიყვარული გვენთო ფარული...
მას ვინ უყვარდა მე არ ვიცოდი,
არც მას უკითხავს ჩემთვის წარსული...
ომში ამისთვის ჩვენ სად გვეცალა,
სად იყო წუთი შეჩერებისა!
სამშობლოსათვის ვხარჯავდით ძალას,
თითქო დავჭროდით ცეცხლის

ფრთებითა.

ვერ გვაშინებდა ჩვენ ქარიშხლები,
ვისროდით, გული გვექონდა ალალი.
ჩვენ მტრის ბუდეებს ვანახშირებდით
და ჩვენ ვიყავით მუდამ მართალი.
ჩვენ ფრონტზე ყველას ვუყვარდით
გულით,
ყველას მოსწონდა სიმარადე ჩვენი.
გარბოდა მტერი სულშეხუთული,

ვანანეთ მომხდურთ სიცოცხლის დღენი.
ვეფხვივით გლეჯდა ბიჭი მხარგრეული
და მე მშასავით მიყვარდა იგი.
გადადიოდა შუბლზე ნათელი,
როდესაც იყო გართული ფიქრით...
ის თუმც თავის ბედს არ ემდურება,
მე დღემდე გულით დამაქვს ნადველი,
რომ ჩემს მამულში არ დაბრუნდება
აწ არასოდეს ერთი ქართველი.



ჩვენ გავდიოდით დამწვარ დაბიდან,
გვეგონა, ჩვენგან შორს იყო მტერი,
მაგრამ უეცრად თითქო დაბინდდა,
გზაზე კურუმე ავარდა მტვერი.
შემოგვიტრის კვლავ გააფთრებით,
არც ჩვენ დაუხვდით დამაბუნებით,
გავშალეთ ტყვიის კვამლის აფრები
და ისევ შედრკენენ დაზაფრულები.
ისევ ვაგემეთ დარტყმად მაგარი,
იღგა კაკანი ტყვიაფრქვევების.
იწვოდნენ ხენი ნაგრიგალარნი,
ტყვიამ შეტრუსა მწვანე ხეები.
მე ჩემს ავტომატს არ ვასვენებდი,
ვიფარე კუნძო წაქეულ კაკლის,
მაგრამ უეცრად დაბალ სერებით
ჩემსკენ დაიძრა მტრის მძიმე ტანკი.
არ ვიცი, იმ წამს საიდან გაჩნდა,
გადუხტა ჯიმშერ ხელუშუბართა,
ტანკის ქვეშ ცეცხლის ენებთან დარჩა,
ვაი, ჯიმშერიც ცეცხლმა დაფლითა...

გავხვდით, ჯიმშერს ველარ ვშველოდი,
ისევ ვეკვეთე მტერს გამწარებით...
მერე სისხლისგან რომ ვიცლებოდი,
ირგვლივ ბლაოდნენ მხოლოდ ქარები.



მე შევერკინე სიკვდილის ღუმელით,
შორით ყმუოდნენ ძაღლები მწარედ.
დაჭრილ მებრძოლთა კენესით, ღმუი-
ლით
თითქო ნაძვებში ტიროდა მთვარე...
და გასწიოდა საშინლად ქარი
ველად მიმოყრილ თოფის ლულეებში.
ველარ ავზიდე მიწიდან მხარი,

ვეგდე გულაღმა სისხლის გუბეში.
 ვპოტნიდი მიწას დაღლილ თითები
 და თუმც ვერაფერს ვხედავდი თვალთ,
 მეჩვენებოდა ქართლის მინდვრები,
 ზედაზნის მთების რძისფერი კვამლი...
 მეჩვენებოდა ჯიმშერის ლანდი, —
 კვლავ თავზე მადგა დამწვარ სხეულით,
 მეუბნებოდა: — „ხომ გაეუმკლავდი,
 ხომ მოვსპე მტერი შემოსეული?!“
 არ გაუმხილო შენს მეტს არავის
 აწ ქვეყანაზე ვარ თუ აღარა,
 არავის უთხრა ჩემი საფლავი
 რომ სამუდამოდ ცეცხლმა დაფარა.
 მე სიყვარულმა დამწვა მამულის,
 ქარი მოიტანს არავგვზე ფერფლსა.
 აღორძინდება მზე ვახაფხულის,
 ცა სიხარულის დამადენს ცრემლსა...

გვიან მომესმა ხმა საოცარი,
 მივხვდი: შორიდან მეძახდა დედა
 აღრჩობდა სევდა გაუგონარი,
 თვალეზზე ცრემლი შეეშრო ელდას.
 მის გვერდით თეთრად თმებგაწილი
 და მთელ სახეზე სისხლდადენილი,
 ტიროდა ქალი მისებრ ხნიერი,
 ალბათ ის იყო დედა ჯიმშერის.
 შეეძრწუნდი უფრო მე მათი ცოდვით,
 მაგრამ განძრევის არ მქონდა თავი.
 და მაწვა გულზე ვითარცა ლოდი
 მათი ჩვენება და ღამე შავი.
 კვლავ მომელანდა მალალ მთებს იქით,
 გლოვობდა ჯიმშერს საცოლე მისი.
 და შემებრალა საოცრად იგი
 ჩუმიდ რომ თრთოდა ვითარცა ნისლი.
 და მერე ფიქრი ვერ მოვიცილე
 ვინ არის ნეტავ ის უბედური!
 დათალხულ კაბით მისდევდა ჩრდილებს,
 მე არ მათხოვა წამითაც ყური...
 კვლავ მეძახდა მე ბრძოლის ველი,
 ჯიმშერი, მტერზე გამარჯვებული...
 მსურდა მეტირა, სად იყო ცრემლი,
 მე გული მქონდა გაქვავებული...

მე გამიყვანეს ბრძოლის ველიდან
 გამთენიისას დაპრილი მძიმედ.
 მე გამომტაცეს სიკვდილს ხელიდან,

მაგრამ ვერაფრით ვერ დავიძინე,
 ვერ მოვისვენე, მტკიოდა გული
 ჩემთვის დაეცა გმირი ვაბუკი.
 ვეღარ ათბობდა მიწას მამულის
 მისი თვალეზის გამონაშუჭი.
 ის სამშობლომთავის დაეცა ჩემს წინ,
 დამსწრო, ამით გადამარჩინა.
 ვაი, რომ მომხედურთ ჩვენ ერთად
 ვლევდით,
 ახლა კი მარტოდ დაიდო ბინა.
 თან მსდევდა მისი ამაყი სული,
 მისი ლამაზი, ნათელი სახე.
 და ვისხენებდი სიზმრად წასული,
 ოდეს ბანაკში პირველად ვნახე...
 და ახლაც როცა ვწერ ამ სტრიქონებს,
 მე სულს მითენებს მისი ხსენება,
 მე ჩვენს გარდასულ ბრძოლებს
 ვიკონებ
 და თითქოს გულში მზე მესვენება...

III

მე ებრუნდებოდი ომგადახდილი,
 ქართლში მომესმა ძაბილი მეზრის,
 მემამა და თბილ მიწაზე დილით
 ფრთხილად დაეადგი დაპრილი ფეხი.
 მემამა ხილვა ლურჯი ქედების,
 ახლად ნათიბი ბალახის სუნი,
 მწიფე თავთუხის ოქროს ფერები,
 მტკვარი იისფრად გადანისლული.
 მე შენთან მოველ, სამშობლოვ ჩემო,
 დანატრებული შენს ქარს და წვიმებს...
 დანატრებული შენს ღრუბლებს ზემოთ,
 ცისარტყელების მოშვილდულ სიმებს.
 მე შენთან მოველ გულის ფრიალით
 და თითქო ყელზე მხვევიდი თბილ
 ხელებს.

გადმოვიარე ველი ცვრიანი,
 ადიდებული ავჭალის ღელე.
 შემომეგება თბილისი ჩემი,
 შემომეგება მახათას ქედი,
 შემომეგება მთაწმინდის თხემი
 და სამღურავეი არ მიოქვამს ბედის...
 ასე დაბრუნდა ვიცი მრავალი,
 მეც დამაბრუნა შენმა სინათლემ.
 მე ომში შენებრ ვიყავ მართალი
 და შენთან მოსვლა მიტომ ვინატრე...



ველარ ვიტევედი სითბოს მამულის —
 რძისფერ სხივებად სულში შენაფრენს,
 და სიყვარულის მზით გათანგული
 ვეფერებოდი თვალით ყველაფერს.
 კვლავ შევხაროდი დღეებს მომავლის,
 მართალი ხელით ქვეყნის შენებას,
 ქართლის ველებზე კვიელს

და მტრედისფერად ღამის თენებას.
 კვლავ ვიგონებდი დღეებს გაფრენილს,
 აესებულს ხან მზით, ხანაც წვიმებით.
 რუსეთის სტეპებს თოვლით დაფენილს
 საუფლოს ველის დიდ არწივების.
 ხან თავი ისევ ფრონტზე მეგონა,
 ებორგავედი სიზმრით გაბრუნებული.

ხან ვიგონებდი მამაც მეგობარს,
 ბრძოლის ველიდან დაბრუნებულს.
 ასე სკოდნია შემდეგ ქარიშხლის,
 ერთხანს ძილშიაც ვერ მოისვენებ.
 ხან ცეცხლის რკალთან ყოფნას არ
 იშლი,
 ხან ცრემლით სამო საფლავს იხსენებ...
 თითქო მოქონდა ორთქლმავლის
 კვიელს —

შორს მტერთა ძლევის გრგვინაედა
 ხარი.
 და მიყუჩებდა თანდათან ტკივილს,
 მე შორეული დუდუნით მტკვარი...



ორგვლივ სიმშვიდე სუფევდა სრული,
 მე ნინოს ნახვის მწვავდა სურვილი.
 ვერ ვისვენებდი, ამენთო სული,
 მივდევედი ვერის აღმართს დუმილით.
 მივდევედი აღმართს და ეგრძნობდი
 უფრო,

რა უცნაურად მიცემდა გული...
 შეენიშნე სახლის კედელზე სურო
 და შემომენთო ტანზე აღმური.
 შევდექი ნაცნობ ჭიშკართან უცებ,
 სულს სიყვარულის მირბევედა ელდა.
 შევხედე: ჭიშკრის დაბალ ხმაურზე
 ფეხზე წამოდგა მოხუცი დედა.
 — მშვიდობა, შვილო, შენს
 დაბრუნებას.

მითხრა და თვალი აევსო ცრემლით.
 ვერ მივხვდი ასე რა აწუხებდა...
 შემომესიენ ეპეები მწველი...
 გავხვდები, თითქო დამეხშო სმენა,
 გვიან სთქვა: რა ექნა... შემოდი,
 შვილო!

ველარ დაეძარი შიშისგან ენა,
 ძლივსდა ვიკითხე: — სად არის ნინო?...
 დაფიქრდა იგი... და ყველაფერი
 მიაშრო წყნარად, ჩურჩულით ნელით...
 სულში წვებოდა თოვლის ნამქერი
 და თითქოს სუნთქვაც შეიქმნა ძნელი.
 წამოველ, წამყვა გზად ჭირთა თმენა,
 ნინო იქ აღარ ცხოვრობდა თურმე...
 ეპეებმა უფრო დამიწყეს კბენა,
 და ჯავრი გულში უხმოდ ჩაელურსმე.



თურმე უყვარდა მას დედისერთა
 ჰაბუცი ვინმე, თავზე ძლიერად.
 მისთვის უნდოდა ყვავილი ველთა,
 მისთვის ნატრობდა სხვისა ციერსა...
 იმ ჰაბუცს თურმე არავინ ყავდა
 ოჯახში გარდა მოხუცი დედის.
 იმ ჰაბუცს თურმე ნინო უყვარდა
 და მადლიერი ყოფილა ბედის...
 და როცა ომის ატყდა ქარბუქი,
 როცა მამულის მიწა გვეძახდა,
 ომში წასულა იგი ჰაბუციც,
 რომ დასცემოდა მტერს თავს მებხადა...
 და ნინო თურმე მის მოხუც დედას
 იმ დღიდან მარტოდ აღარ სტოვებდა,
 იყოფდა იმის სიხარულს, სევდას.
 ცისფერ აივნის სუროს რტოებთან.
 და როცა ომში ჰაბუცი გმირი
 სამშობლოსათვის დაეცა მკვდარი,
 დედა მასუკან ვალაღებს, ტირის
 და ნინო შავით მოსილი არი...
 აღარ შორდება მის ნათელ ოთახს,
 ვისიც თვალეზში ენთო ტრფიალი.
 დასტოვა დედის სახლი და ოხრავს
 გმირის დედასთან კაეშნიანი...



თურმე სამი თვე ისე გავიდა,
 არ გამოსულა ერთხელაც გარეთ.
 უჯდა საყვარელ სატრფოს მაგიდას
 და მხოლოდ ცრემლი დიოდდა ფვალებს.

ფურცლავდა წიგნებს გრძელი თითებით და რას ფიქრობდა ნინო, ვინ იცის... დილით ქრებოდნენ ცაში მთიები და გულს უკლავდა გრძნობა სიცივის. ფურცლავდა სატრფოს თემებს,

ნახანებს

და სევდა უფრო იბყრობდა დიდი. უნდოდა იმის ნაფიქრს, ნაზრევს არ დასდებოდა ეამთასვლის ბინდი. უნდოდა ფიქრი განეგრძო მისი, განა ახლა სხვა ახსოვდა რამე? უღამდებოდა თვალები ნისლით, მაინც წიგნებთან ათევდა ღამეს. გვიან დასჩემდა თურმე დუმილი, ვერ იშორებდა წამით მის აზრდის, — მის თვალებს, ვისიც კლავდა სურვილი, და იბურავდა თავზე შავ მანდილს. თურმე იღუმალ სევდას მინებდა, დაკარგა სალი მსჯელობის აზრი. გადაიღალა ქალი წიგნებთან, საოცრად სათნო და მეტად ნაზი.

* *

მე იმ ჰაბუტზე ვფიქრობდი ახლა და თითქო მშურდა იმისი ბედი, ვინაც აწ ნინო ველარც კი ნახა და ფრონტზე ტყვიამ გაუბო მკერდი. მე მშურდა, ნინოს ის რომ უყვარდა და მკვდარიც ალბათ ჩემს თავს ერჩია. ენანობდი, ჯავრი გულს მიხურავდა, და თვალი ღიმილს გადაეჩვია. მე დავდიოდი ვითარცა ჩრდილი და ფიქრი მხოლოდ ნაღველს მმატებდა. რა მექნა, ღამით განშიფრთხა ძილი, არ მასვენებდა ნინოს ხატება. და გადავწყვიტე მე მაინც ბოლოს, მენახა ნინო, ერთხელ მენახა, თვალები დღემდე რომელიც მხოლოდ მე გულზე ციერ სხივად მენატრა...

* *

მე უცხო სახლის ვიდექი კართან, ვიდექი ჩუმად და უხერხულად. ქარი მაზარის მახევდა კალთას და მხრებზე ღამის ბინდი მეხურა. გვიან გამოჩნდა მაღალი ქალი, ვერ მიცნო, ისევ უკან გაბრუნდა.

უცებ მკრთალ შექზე შევასწარ თვალი-ვილაცას ჰკითხა: ნეტა რამუნდაა ცოტა ხნის შემდეგ შემქმნე...

ფრთხილად

გააღეს ნინოს ოთახის კარი, ჯერ გამოიღმა მან რაღაც ტკბილად, მერე უეცრად შეჰკივლა ზარით. შეჰკივლა მწარედ, ხმით უცნაურით იქნებ ეჩვენა ქარაფებს იქით სისხლით ირწყვოდა გზა უღამური და აწვალებდა იმ სისხლზე ფიქრი... იქნებ იღუმალ ხედავდა შორით გრიგალი ხეებს როგორ ლწავდა, როგორ აღმართა ურჩხულმა ტორი და ცეცხლი მწვანე ბაღებს მეწყვავდა... შემომკეპროდა გაფითრებული, ხან იცინოდა, ხანაც ტიროდა. ვიდექი უხმოდ გაკვირვებული და ვგრძნობდი გული უფრო მტკიოდა. მიცქირა ერთხანს შფოთით, წამებით, მერე ხმამაღლა გადინარხარა. თითქო ხალისით გახსნა წარბები და გადახედა კვლავ ჩემს მაზარას. გადინარხარა და სასოებით ათრთოლებული მიწვდიდა ხელებს: მეძახდა ჯიმშერს და განშორების კვლავ იგონებდა მდულარე ცრემლებს. არ დავიბენი, მივხვდი, ვერ მიცნო, და როცა კიდევ ახსენა ჯიმშერ, წამით მე ველარ ვხედავდი ნინოს, ველარც ვარჩევდი იქ მყოფთა იერს. მივევარდი სურათს, როგორც შეშლილა, თანამებრძოლი ვიცანი ჩემი. და მერე მის წინ ცრემლდადენილი, მეც მოვიხარე მუხლები კდემით...

* *

მე მივხვდი, ნინომ ვერ მიცნო უცებ, ეგონა, მის წინ იდგა ჯიმშერი. და ცეცხლი უფრო მომედო გულზე, სულს მიწვწავდა ელდა ძლიერი... იცინა ბევრი და დათენთილი რბილ სავარძელში ჩაეშვა ნელა. წაიღო ძილმა... გულს ჩარჩენილი ალბათ ნაღველი გაქრა, განელდა. მას არ ეძინა თურმე თვეობით და ახლა ტკბილად რომ ჩაიძინა,



ემა ყველას და სათნოებით
 თითქო კედლებშაც კი გაიცინა...
 მოვიდა ჩემთან ჯიმშერის დედა
 და შეილის ამბავს მკითხავდა დიდხანს.
 შემომცქეროდა თვალებში მხნედა,
 ბევრი მე ვუთხარ... ბევრს თვითონ
 მიხვდა...
 მერე სთქვა: — ჩემს შეილს რაღას
 ვუშველი,
 მე ახლა ნინოს მაწუხებს ბედი.
 მიკვირს ამდენხანს რით გაუძელი,
 მე ცოდვას მაგის საწყალი დედის.
 მოდის და ჩემთან ზის ყოველ ღამე,
 სწუხს, ნინოს ჩემი რად არ ესმისო.
 იქნება ახლა ეშველოს რამე,
 იქნება მშვიდი ძილი ეღირსოს.



მაგონდებოდნენ ბრძოლები მკაცრი,
 და სინანული მტანჯავდა მწარე.
 მებრალეობდა მე ჯარისკაცი,
 ვისთანაც ომის გზა გავიარე.
 მენანებოდა ბედი ჯიმშერის,
 და თითქო ცოცხალს ვხედავდი ისევ...
 სულ თვალწინ შედგა მისი იერი,
 გული რომ მუდამ მიწევდა მისკენ.
 მახსოვდა მისი საქმე კაცური,
 შემართება და შეტევა ფიცბი.
 მან მოიხადა ვალი მამულის,
 არ გაუტეხავს ბრძოლის დროს ფიცი.
 მან დაიმკვიდრა გმირის სახელი,
 და მე რომ ბეწვზე გადამარჩინა,
 ყველა სიძნელის გადამლახველი
 ახლა მთასავით აღმიდგა წინა.
 მე მივხვდი ნინოს მაღალი სულის
 სწორედ ჯიმშერი რომ იყო ღირსი!
 მე არ ვიცოდი მისი წარსული,
 მე თავგანწირვა მხიბლავდა მისი...
 იგი ჩემს გულში კვლავ ცოცხლობს
 ისევ,
 კვლავ მანთებს მისი იერი ღომის.
 ნეტავ შემეძლოს სიცოცხლე მიცეე,
 რომ განიკურნოს ჭრილობა ომის...

IV

სამშობლოვ ჩემო, რა დრო გასულა
 და ვერაფერი გითხარი დღემდე.

მაგრამ ხსოვნაში არ დაკარგულან,
 გმირები მტერს რომ მახვილიან
 მტერს...
 მე მათ სახელებს ვიგონებ დღემდე,
 დამიგდე ყური, შენ გეთაყვანი.
 მე ხომ შენი მზის აფრებს მივენდე
 და თავს დაეხარი შენს ზვრებს და
 ყანებს.
 იმ სიხარულის მანთებს დღეები,
 მკერდზე ვიბნევედი ყვავილთა ღერებს.
 თითქო დამშვიდდნენ მდინარეებიც.
 მშვილობა მოპყვა მაისის ფერებს.
 დამშვიდდა ქართლის ველებზე ქარიც.
 გზებზე გახშირდა ტკბილი ურმული.
 შორს გუთნისდედურს მღეროდა
 მტკვარი

და გასძახოდა ქალებს გუგული.
 ჩვენ ცხრა მაისის ვხვდებოდით დილას,
 მთებს გამარჯვების აწვიმდა სხივი.
 ვხედავდით, თითქო ქალაქში ფრთხილად
 შემოაცურა მზემ ოქროს ტივი...
 უეტრად ხალხში შეენიშნე ნინო,
 ვერ შევხვდი... ახლოს არც ის მოვიდა...
 მან ჩემი მხერა იღუმალ იგარძნო
 და გამიღიმა მხოლოდ შორიდან.
 ის მიეფარა ხალხში ნელ-ნელა,
 მხრებზე იფენდა მზის წითელ სხივებს.
 აკვირდებოდა სახეზე ყველას, —
 ალბათ ახსოვდა ჯიმშერი ისევ...



მას შემდეგ დღემდე ვეღარ ვისვენებ,
 მივდეგ და მივდეგ ცხოვრების
 ტალღებს,
 ხან მთვარის წვეთი ზალათს მისველებს,
 ხან თავს ვეველები მომწიფარ ბალებს.
 მას შემდეგ ვხნავ თუ ვთიბავ
 თათუხებს,
 იორის პირას თუ თეთრ არავგვხე,
 მას შემდეგ მთებში ნაღმებს ვაქუხებ,
 თუ თვალწევდენელს ვაგებ
 ქალაქებს,
 სულ მხარში მიდგას ჯიმშერის ლანდი,
 როგორიც მახსოვს აბჯარასხმული,
 ხან ახალ სახლის კედლებზე აღის,
 ხან აკვირდება ზეცას მამულის.
 ხან მთვარის შუქზე ქუჩაში მოდის,

ბრძოლით დაქანცულს ერევა რული.
 ამბობს: მაწუხებს სიმძიმე ლოდის
 ვედარ ეტევა საფლავში გული.
 ის ყველგან არის, ვით ჯარისკაცი
 და მოქალაქე, სამშობლოვ, შენი,
 გამოუვლია ბრძოლები მკაცრი,
 კვლავ ანთებია სიცოცხლის დღენი...
 და როცა ფიქრით ქუჩებს მოვიარ,
 როდესაც ქარი მტკვარზე დახრის
 ფრთას,

მშვიდობა ხალხსო, მესმის შორიდან
 გამარჯვებული ჯარისკაცის ხმა...

*
 *

მე ვბრუნდებოდი მაღალ მთებიდან,
 ჰალეში ნელა წვებოდა ბინდი,
 მოჩანდა ქართლი მწიფე ზერებიითა
 და საარაგვოს ტყეები დიდი...
 ძირს ხეობაში თეთრად ჩაღვებული
 თითქო მზესავით ენთო კაშხალი.
 ეფინებოდა მიწას მამულის
 ბროწეულისფრად შუქი ახალი.
 უეცრად მწვანე ფერდობთან გზაზე
 შეჩერდა წამით ტანადი ქალი,
 მას ჰილისს ქუდი ეხურა თავზე
 და არაგვის წყალს ზომავდა თვალით.
 გადასცქეროდა ერთხანს ხეობას,
 როგორც ასული ცაში მიმინო.
 მე მომეწონა მისი მხნეობა,
 და უნებურად აღმომხდა — ნინო!
 კვლავ ვისაუბრეთ დიდი ხნის შემდეგ.

გადავცქეროდი არაგვზე ნისლებს...
 გზის გასაყართან ცოტა ხნით შევდექ,
 და ის თავის გზით წაჰიღო-ისვე...
 ის მილიოდა ნაბიჯით ჩქარით,
 შევნოდა ზურგზე საველე ჩანთა.
 და ის საღამო საოცრად წყნარი
 მე მასთან ერთად კვლავ გულში
 ჩამრჩა...

აოლოთყაა

კვლავ შენთანა ვარ, სამშობლოვ ჩემო!
 დაბრმავდეს ბარემ შენი მტრის თვალი.
 შენი სინათლე თმებში ჩამენტო,
 და თავზე მაწვიმს ცა იის წყალით.
 შორს მწვერვალები ვნახე თეთნულდის,
 უშბას კეფაზე დავადგი ფეხი.
 მე შენს მიწაზე არვინ მეგულვის
 რომ არ შესწევდეს ნახტომი ვეფხის...
 მე ახალ-ახალს ვკაფავდი ახოს
 მსუქან მიწაში ვყრიდი ხეხილებს.
 მე მსურდა ზეცა შენახა ახლოს.
 მე მსურდა შენს მზეს ყველგან ვეხილე.
 მე შენთვის ვდგამდი მაღალ
 სართულებს,
 შენთვის ვიკრებდი ძალას მეხისას,
 ათას ქარიშხალს კიდევ გაუძღვებ,
 ქართლში მოვისმენ დიღინს მეხრისას...
 რა მომკლავს შენი მთების შემყურეს,
 შენი ალალი სუფრის მოთავეს,
 მე სიყვარულით ქარს დავიურვებ,
 შენი ბალები რომ არ შფოთავდეს...



იან რაინისი

გაზაფხულის ქარი

მალე იგრგვინებს ქარი დასავლით...
მთის ნაპრალებით მოჰქრის ქარბუქი,
მოედინება ცაზე ტალღებად,
გადმოეშეება მაღლიდან ძირს და
გაბმულ ღმუილით სივრცეს აყრუებს.
ის, ერთხელ კიდევ, მძლავრი ნაბიჯით
აბობოქრებულ ზღვისპირს ჩაუფლის,
სქელი ყინულის ფენას ჩატეხავს,
დალეწავს, აქცევს ათას ნამსხვრევად.
ასე, ახალი ფეხსაცმელებით,
ყინულს ამტვრევენ ცელქი ბავშვები.
ზღვა კვლავ მძვინვარებს, ბლავის და შფოთავს,
ქარი სწეწს ზვირთთა ბანჯგვლიან ფაფარს,
ისვრის მუქყვითელ ქაფის ნაფლეთებს.
ხახადალებულ წყლიდან უეცრად
ამოვა თავი ვეებერთელა, —
ყბიდან, თვალიდან — აბოლებული
ორთქლით მქშინავი რუხი ტალღისა.
ეს არის ღმერთი ოკეანეთა, —
ეწვის ქარისგან ნაცემი სახე,
სიცივისაგან თრთის და მრისხანებს:
ბრაზი აბრჩობს და ენას ვერ იღებს
მიჰქრის ქარბუქი და მტვერს აყენებს
მთებზე, მინდვრებზე და შარა-გზებზე,
სთესავს ყოველგან შფოთსა და განგაშს.
შემოესევა მდუმარე ტყეს და
ხეები მისგან აოხრებულნი
კრთიან, ეკვრიან შიშით ერთმანეთს.
არყები ტოტებს სწევენ ცახცახით,
სდუმან მორჩილად თავდახრილები, —
რომ არ დალეწოს ქარმა აშარმა
და ყრუ მუდარით ტოტებ-გაწვდილნი
წელში დრკებიან... წარმოდგებიან.
ჰა, ქარმა სვავთა გუნდი შეიპყრო
და ზე ასტყორცნა... ისინი თითქოს
ყირამალობით ფრენას ლამობენ,
მაგრამ — დაბერვა კიდევ მძლავრი და
ჩხავილ-ყვილით დაიშლებიან.



ზღვა სილანარევე თოვლქყაპით წყებლავს
ფიქვის ხმელ ტოტებს... ხეებიც მწყარალად
მძიმე მხარბეკით იშმუშნებიან.

კრთიან, დრკებიან ქარის მოწოლით,
თან მედიდურად თავს შეარხევენ, —
რომ უკან თმები გადაიყარონ.
ლეწავს როკებს და წიწვიან შტოებს,
ჰსურს გადაყაროს ეს ხარახურა,
რაც შარშანდლიდან აქ დაგროვილა-
ის თოვლის ზეწარს აძრობს ყველაფერს,
ამშრალებს, ბერტყავს და ანიავებს.
შევა, გაათბობს მგზნებარე სუნთქვით
მცივანა ზამთრის ნესტიან სადგომს,
ათვალეირებს მის ყოველ კუნჭულს:
არსად ნამცეციც არ უნდა დარჩეს,
ყველგან დაგავოს და გადაწმინდოს.

თან შეამოწმოს: ტკბილ საცხოვრებლად
სახლი წესრიგში არის თუ არა?
მთელია ერდო? მტკიცეა ფუძე?
რაც დრომოკმულა, — მას დაუნდობლად
დაარღვევს და შორს მიჰქრის თარეშით.
სწმენდს მინდორ-ველებს და ხვეტავს ქუნებს,
ქოჩორს უვარცხნის ხეებს, ხეხილებს,
თოვლს გადაფანტავს, ძველ ყინულს ადნობს:
გზა სარკესავით უნდა ბრწყინავდეს.

ასე ანახლებს ქვეყნად ყველაფერს,
რომ შეეგებოს „დედოფლის“ მოსვლას,
ის კი: მოფარჩულ მწვანე სამოსში,
მდიდრად მორთული და მოკახმული,
მოდის... ყვავილთა სურნელს მოაფრქვევს.

დე. ახლოს მტვერი არ გაეკაროს,
წუმეში ქოში არ დაუსველდეს.
ახალ სიცოცხლეს ვერ სძლიოს ძველმა, —
სიკვდილის წინ რომ ხავსს ეკიდება.

მოდის მრავალი გულის ნანატრი,
შეებათა-შეება სასიხარულო
და აღსრულება დიდთა იმედთა.
ფეხს ისე ფრთხილად აბიჯებს რაშიც,
რომ ქვეშ ბალახიც არ ითელება,
რომ ახლად გაშლილ ყვავილთა კვირტებს
ფიფქების თესლიც აღარა სცვივა.

შუქმომფინარე, კაშკაშა მზეში
აელვარდება ოქროს სამოსი
და გაზაფხულის დედოფლურ ხელში, —
აჩახახებულ ჭაღად იბრწყინებს
მშვიდობა, ღუნა, ბედნიერება.

თამაში ჰვავის ყანაში*

11.

დარბაზიდან რომ გამოვდიოდი, უცებ ისევ ჯეინი გალაპერი არ მომავონდა! და ველარც მოვიშორე თავიდან. იქვე ერთი გულისამრევი საეარძელი იდგა, შიგ ჩავეგდე და ფიქრებში წასულმა წარმოვიდგინე, როგორ იყვნენ შეყუყულები იმ ოხერი ედ ბენკის მანქანაში ჯეინი და სტრედლეიტერი. დარწმუნებული ვიყავი, რომ მაშინ არაფერი გაუყეთებიათ — ჯეინს მოხარშულს ვიცნობ — მაგრამ სულერთია, მაინც ვერ ამოვიგდე თავიდან. ჯეინს მოხარშულს ვიცნობ. ნამდვილად. საქმე ის არის, რომ მარტო მაშინ კი არ უყვარს — სპორტზე, საერთოდ, ჰყუას კარგავს. რომ გავიცანი, იმ ზაფხულს დიდი დილობით სულ ჩოგბურთს ვთამაშობდით, საღამოობით კი — გოლფს. ძალიან დავუახლოვდით ერთმანეთს. განა ფიზიკურად, ან ისე.. არა. მაგრამ სულ ერთად კი ვიყავით. ვოგოს დასაახლოვებლად ყოველთვის ხვევნა-კოცნა როდია აუცილებელი.

გაცნობით კი შემთხვევით გავეცანი — მისი დობერმან პინჩერი ჩვენს ბაღში გადმოდიოდა და სერიდა ხოლმე იქაურობას. დედაჩემი საშინლად დუღუღებოდა. ერთხელ ჯეინის დედას დაურეკა და ერთი ამბავი დააწია. ამისთანა საქმეზე, იცოცხლეთ, დედაჩემს ალიაქოთის ატეხა უყვარს. ამის შემდეგ ორ დღესაც არ გაველო, რომ ჯეინი დავინახე ჩვენი კლუბის აუზთან, პირქვე იწვა. მივესალმე. ვიცოდი, რომ ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა, მაგრამ ერთხე-

ლაც არ გამოვლაპარაკებოდი. მივესალმე, მაგრამ ცხვირი ამიბზუა, დაიქოქე — მე ფეხებზე მკილია-მეთქი, ვუთხარი, შენი ძალი სად მოსერის და სად რას იხამს, თუ გინდა ოთახში ქნას, მერა მენადვლება-მეთქი. ერთი სიტყვით. ამის შემდეგ მე და ჯეინი კარგი მეგობრები გავხდით. იმავე დღეს გოლფი ვითამაშეთ. მახსოვს, რვა ბურთი დაკარგა მაშინ. რვა! ჯვარს მაცევა, მანამ ბურთს შეეჩვიო, თორემ თავიდან ბურთს რომ დავარტყამდი. თვალებს ხუჭავდა-ღმერთივით კი გავწერთენი. მე თვითონ ძალიან კარგი მოთამაშე ვარ. იქნებ არც კი დამიჯეროთ, რომ ვითხრათ, რამდენ წრედ ვამთავრებ თამაშს. მოკლემეტრეიან ფილმში კინალამ გადამიღეს. უკანასკნელ წუთს გადავიფიქრე. დიდი სისულელე იქნება-მეთქი, გადავწყვიტე-კაცს კინო ჭირის დღესავით სძულდეს და მაინც კინოში გადააღებინოს თავი!

დიდი სასაცილო ვინმე კი იყო ეს ჯეინი. ვერ ვიტყვი, ძაან ლამაზია-მეთქი, მაგრამ მე ჰყუას ვყარგავდი. პოი, რამოდენა პირი ჰქონდა! ლაპარაკს რომ დაიწყებდა, ან რამეზე რომ აღელდებოდა, ტუჩები სულ უთრთოდა და უკანკალებდა. ვგიჟდებოდი პიდაპირ. როგორც წესი და რიგია ერთხელაც არ მოკუშავდა პირს. ოდნავ მაინც ჰქონდა ხოლმე გაღებული, განსაკუთრებით მაშინ. გოლფს რომ თამაშობდა, ან წიგნს როცა კითხულობდა. სულ წიგნში ჰქონდა თავი ჩარგული. ძალიან კაი წიგნებს კითხულობდა. განსაკუთრებით ლექსები უყვარდა. ჩვენების გარდა, ერთადერთი ადამიანი იყო, ვისაც ელის ხელთათმანი ვაჩვენე, ლექსებით აქტელებული. ელის

* გაგრძელება. იხ. მნათობი № 5

არ მოსწრებია, რადგან იმ ზატხულს პირველად ჩამოვიდა მეინში, — ადრე კოდის კონცხზე დადიოდა, — მაგრამ ელის ამბები სულ ეუბამებ. ძალიანაც დაინტერესდა.

დედაჩემს მაინცადამაინც არ მოსდიოდა თვალში: ებეც და დედამისიც ცხვირის იბზუებენო, იტყოდა, იმითომ რომ ზოგჯერ სალაში ავიწყდებოდით. ხშირად ზედებოდა ხოლმე მათ სოფელში, რადგან ჯეინი დედამისს დაჰყვებოდა თავიანთი მანქანით ბაზარში, დედას ლამაზიც არ ეჩვენებოდა ჯეინი. მე კი ერთი მისი გამოხედვა ყველაფერს მერჩივნა.

კარგად მასოვს ის დღე. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა მე და ჯეინმა ერთმანეთს ვაკოცეთ. იმასაც თუ კოცნა ჰქვია. შაბათი იყო და წვიმიდა, წვიმიდა — ცა ფეხად ჩამოდიოდა, მე კი იმათ აივანზე ვიჯექი. დიდი აივანი ჰქონდათ, შუშაბანდიანი. შაშს ვთამაშობდით. ვაჯავრებდი ხოლმე, დამეზი რომ არ გამოჰყავდა უკანა მწკრივიდან. თუმცა არც თუ ისე ხშირად ვაჯავრებდი. გული არ მაძლევდა ჯეინის გამოჯავრებას. იცოცხლე გოგოების აღუღებ მთავარს. თუ ვიხელთე, სულ თავებდს ვაწყველინებ. მაგრამ სასაცილო ის არის, რომ როცა გოგო ძალიან მომწონს, გამოჯავრება მაინცადამაინც აღარ მომიხდება. ზოგჯერ მომეჩვენება, გოგოებს უხარიათ კიდევ, როცა გამოჯავრებ-მეთქი. მართალიც არის, ნამდვილად უხარიათ. მაგრამ როცა დიდი ხნის ნაცნობები ხართ და აქამდე ერთხელაც არ გაგიჯავრებია, ძნელია ერთბაშად აღგე და დაცინევა დაუწყო. ერთი სიტყვით, ის დღე გავიხსენე, როცა ჩვენ ერთმანეთს ვაკოცეთ. ჯოჯოხეთურად წვიმიდა და ჩვენ აივანზე ვისხედით. უცებ ის ლოთი ქოფაკი არ გამოვიდა, ჯეინის დედის ქმარი! სიგარეტები ხომ არ გეგულეზაო, ჯეინს ჰკითხა. კარგად არ ვიცნობდი და არც არაფერი, მაგრამ ზედვე ეტყობოდა რაც იყო: მაგისტანა ვაეზატონები, თუ რამე დასჭირდათ, მხოლოდ მაშინ გამოგელაპარაკებოან.

საზიზღარი კაცი იყო. ჯეინს ხმავე არ გაუტია, იმან რომ ჰკითხა სიგარეტი ხომ არ გეგულეზაო. ზედვეთრედ ჰკითხა, მაგრამ არც ახლა უპასუხა ჯეინმა. თავიც კი არ აუღია. როგორც იქნა, უკანვე გაბრუნდა ის ვაეზატონი. რა მოხდა-მეთქი, ჯეინს კვითხე. ჩემთვისაც არ უპასუხნია. ისე ჩაშტერებოდა დაფას, თითქოს მთელი გულისყური იქითკენ ჰქონდა. უცებ წკაპ — ცრემლი მოსწყდა და დაფას დაეცა. პირდაპირ წითელ უჯრედს დაეცა. პოი, ბიჭო, ახლაც ვხედავ იმ ცრემლს, აიღო და თითოთ მოიწმინდა. არ ვიცი რატომ, მაგრამ ერთბაშად ჩამწყდა გული. აუდექი და გვერდზე მოვუჯექი, შევავეწროვე. მართალი თუ გინდათ, ლამის კალთაში ჩავუჯექი. ახლა კი მართლა წასკდა ტირილი. ისე დაეიბენი, რომ კოცნა დაეუწყე. სადაც კი მომიხვდა, ყველაფერი დაეუკოცე — თვალები, ცხვირი, შუბლი, წარბები და ყველაფერი, ყურებიც კი... მთელი სახე. მხოლოდ ტუჩებში არ მიკოცნია. რალაცნაირად მარიღებდა ტუჩებს. ეს იყო და ეს, იმის მეტად აღარ მიკოცნია. ცოტა ხნის მერე წამოდგა. ოთახში შევიდა, სეიტრი ჩაიცვა — ჭრელი სეიტრი. ჰკუას ვკარგავდი იმ სეიტრზე — და რალაც ბითურულ კინოში წავედი. გზაში ვკითხე, მისტერ კუდაპის — კუდაპი იყო იმ ლოთის გვარი, — შენთვის ცუდი ხომ არაფერი უკადრებია-მეთქი. ჯერ კი პატარა იყო, მაგრამ ჩამოქნილი ტანი ჰქონდა, ხოლო იმ ნაბიჭვისაგან რა უნდა ყოფილიყო გასაკვირი! არაო, ჯეინმა მითხრა. ასე რომ, ველარ გავიგე, რამ აატირა. გოგოებს რას გაუგებ.

ერთხელ მეტად არ გევიკოცნია ერთმანეთისთვის-მეთქი, რომ ეამბობ, ის კი არ იფიქროთ, ცივი ყოფილიყოს ან სხვა რამე. სულაც არა. ხელი, მაგალითად, მუდამ ჩაჰქიდებული გექონდა ერთმანეთისათვის. ვიცი, რომ ეს დიდი არაფერია, მაგრამ მისთვის ხელის ჩაჰქიდება ერთ რამედ ღირდა. რამდენ გოგოს შეხედვები, ხელს რომ ჩასჭიდებ, ასე გგონია დამჰქნარი ხელი მიჭირავსო.

ან არა და წარამარა ატრიალებს, ალბათ ფიქრობს, არ მოსწყინდესო. ჯეინი სულ სხვა ვინმე გახლდათ. შევიდოდით, მაგალითად, ბითურულ კინოში ან სადმე, და მაშინვე ჩაებლუჯავდი ჯეინის ხელს. მანამ კინო არ გათავდებოდა, არც გავუშვებდი. ვიყავით ასე განაბულები, არც გავინძრეოდით და არც არაფერი. ჯეინთან რომ იყავი, არც იმაზე შეწყუხდებოდი, ხელი ხომ არ გამოიფლიანდაო. თავს ბედნიერად გრძნობდი, და მორჩა — მეტი რაღა გინდოდა.

კიდევ მაგონდება ერთი რაღაც. ერთ-ხელ კინოში ვართ, და ისეთი რამე გააკეთა ჯეინმა, რომ ლამის ჭკუიდან შემშალა. მგონი ქრონიკა გადიოდა. უცებ ვიღაცა კეფაზე მისვამს ხელს. მოვიხედე — ჯეინია. საოცარი კია. ჯერ ხომ ბავშვი იყო. ჩვეულებრივ ოცდახუთი-ოცდათი წლის ქალები უსვამენ ხოლმე თავზე ხელს — და ისიც, ან თავიანთ ქმრებს ან პატარა ბავშვებს. ათასში ერთხელ მეც კი ვუსვამ ჩემს ფიბის თავზე ხელს. მაგრამ ახალგაზრდა გოგო რომ ამას იზამს, ამაზე სასიამოვნო არაფერია, ჭკუიდან შეგშლის.

ერთი სიტყვით, იმ გულისამრევ სავარძელში ვიჯექი, ვესტიბიულში, და აქებებს ვიგონებდი. ეჰ, ჯეინ. რამდენს წარმოვიდგენ, როგორ იყო შეყუჟული სტრედლეიტერთან ერთად იმ ოხერი ედ ბენკის მანქანაში, ლამის იმდენი გავგიჟდე. ვიცოდი, რომ ისეთს არაფერს გააბედინებდა, მაგრამ მაინც ვგვიდებოდი. მართალი თუ გნებავთ, გახსენებაც კი აღარ მინდა.

ჩემს მეტი უკვე აღარავინ ჩანდა ვესტიბიულში. შოროსკიპო ჭერა გოგოებიც კი გაკრფილიყვნენ. და უცებ საშინლად მომინდა აქედან წასვლა. გული მომეწურა. თუმცა დაღლილი სულაც არ ვყოფილვარ. ნომერში ავედი და პალტო ჩავიცვი. ერთი პირობა, ფანჯარაშიაც გადავიხედე — აბა ის გაფუჭებული ხალხი თუ ჩანს-მეთქი, მაგრამ სულ ჩანს-მეთქი იყო ყველაფერი. ლიფტით დავეშვი, ქუჩაში გავედი, ტაქსი დავიჭირე და ერნისაკენ გავსწიე. ერნი

ლამის სამიკიტნოა, გრინვიჩ-ვილჯში; მანამ პოლიუდში წავიდოდა, ჩემს ქმად. ბ.-ს უყვარდა ხოლმე იქ სანატრილი ერთი-ორჯერ მეც წამიყვანა. თვითონ ერნი ერთი ზორზოხა ზანგია, როიალზე უკრავს. პირწავარდნილი სნობია: თუ შეგატყო, დიდი ვინმე არა ხარ, ზედაც არ შემოგხედავს. დაკვრით კი ღმერთით უკრავს. ისე კარგად უკრავს, რომ ზოგჯერ აღარც გსიამოვნებს. ვერ აგისხნით რატომ, მაგრამ ასე კია. ძალიან მიყვარს მისი მოსმენა. მაგრამ ხანდახან ლამის მივეზრდე და თავდაყირა ამოვტრიალო ის ოხერი როიალი. ალბათ იმიტომ, რომ ზოგჯერ მის დაკვრაშივე გრძნობ, როგორ იბზულებს ცხვირს და როგორ ზედაც არ გიყურებს, თუ დიდი ვინმე არა ხარ.

12

ერთი დაფხავებული ტაქსი შემხვდა. ისე ყარდა, თითქოს შიგ ვინმეს ვახშამი ექამოს. ლამით რომ გამოვდივარ შინიდან, არ იქნება, ამისთანა გულსამრევ ტაქსს არ გადავეყარო. მაგრამ ყველაზე უარესი ის იყო, რომ ქუჩებში კაცის ჭაჭანებას ვერ ნახავდი, საშინელი სიწყყარე გამეფებულყო, თუმცა შაბათი ღამე გახლდათ. მხოლოდ აქა-იქ თუ მოკრავდი თვალს განმარტოებულ ბიჭსა და გოგოს, რომელთაც წელზე შემოეხვიათ ერთმანეთისათვის ხელი. ზოგჯერ მოხულიგნო ვაჟბატონების კომპანიაც შემოგხედებოდათ, თავიანთი გოგონები მოკყავდათ და 'პიენებივით ხეიხეინებდნენ, თუმცა თამამად შეგეძლო სანაძლეოს ჩამოსულიყავი, რომ სასაცილო არაფერი იქნებოდა. საშინელება, როცა ნიუ-იორკში გვიან ღამით ვინმე იცინის. რამდენიმე მილიდან გაიგონებ. და ხელადვე მარტოობის ნაღველი შემოგაწვება. ერთბაშად შინ წასვლა და ჩემს პატარა ფიბისთან ყბედობა მომინდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ტაქსის შოფერს გამოველაპარაკე, პორვიცი ერქვა. სად ეს და სად ის პირველი შოფერი! ეს კარგი კაცი ჩანდა. ვიფიქრე, იქნებ ამან მაინც იცოდეს იმ იხეების ამბავი-მეთქი.

— ეი, პორვიცი, — ვუთხარი მე, — ცენტრალურ პარკში რომ ტბაა, იქ არასოდეს გაგივლია? აი ცენტრალური პარკის სამხრეთით?

— რა არისო?

— ტბა-მეთქი, ტბა, პატარა გუბე, იხვები რომ დაცურავენ.

— ჰო, მერე რა?

— იხვები ზომ გინახავთ იმ ტბაში? გაზაფხულობით. იქნებ შემთხვევით იცოდეთ, ზამთრობით სად მიდიან?

— ვინ სად მიდის?

— იხვები. იქნებ იცოდეთ შემთხვევით. ვინმეს საბარგო მანქანით მიჰყავს თუ თვითონვე მიფრინავენ — სამხრეთისაკენ ან სხვაგან სადმე?!

პორვიცი შემობრუნდა და სახეში ჩამაშტერდა. ეტყობა ძალიან ნერვიული კაცი იყო. თუმცა ისე არა უშავდა რა.

— მე სად ჯანდაბიდან მეცოდინება! — თქვა მან, — ან რაში მჭირდება ამისთანა სისულელე.

— კი ნუ მიწყენ, — ვუთხარი მე. ეტყობოდა, მართლაც ეწყინა.

— რა უნდა მეწყინოს? წყენა რა მოსატანია!

კრინტი აღარ დამიძრავს; თუკი ასე იწყინა, რა ძალა მადგა. თვითონვე გამომელაპარაკა. ისევ მობრუნდა ჩემკენ და მითხრა.

— ის კი ვიცი, რომ თევზები არსად არ მიდიან. სადაც არიან, იქვე რჩებიან. თევზები, იმ ოხერ ტბაშივე.

— თევზები ჰო, სად თევზი და სად იხვი, მე იხვებზე გკითხეთ.

— რა განსხვავებაა. თევზი და იხვი რამ გაყო, — თქვა პორვიცმა. ზედვე ეტყობოდა, რომ რალაცაზე გაბრაზებული იყო. — პირიქით, თევზებს იხვებზე უფრო გაუჭირდებათ — ზამთარიო, ყინვაო და ეშმაკმა იცის, კიდეც რა ტენი უნდა გაანძრო.

ერთი წუთი გაჩუმებული ვიყავი, ხმა არ გამიღია. მერე კი ვუთხარი:

— ვთქვით ასეა. მერე იმ თევზებს რა მოსდით, სულ რომ გაიყინება ტბა და ხალხი ზედ ციგურაობას დაიწყებს?

პორვიცი ისევ მობრუნდა და დამიღრიალა.

— ვითომ რაო, რა უნდა მოუვიდეთ? იქვე არიან, სად ოხრობაში უნდა წაივინდენ!

— ყინულს კიდეც ფეხებზე იკიდებენ არა?! ვითომ არაფერიო!

— ვინ იკიდებს ფეხებზე? ვინ გითხრა ფეხებზე იკიდებენო! — შემომიბღვირა პორვიცმა. ძალიან კი ადულდა. შემეშინდა კიდეც — მანქანა ბოძს ან რამეს არ შეანარცხოს-მეთქი. — იქვე ცხოვრობენ, იმ ოხერი ყინულის ქვეშ. ეგეთი ბუნება აქეთ. გაიყინებიან და არიან მთელი ზამთარი.

— რას ამბობთ! ჭამა აღარ უნდათ? თუკი გაიყინენ და ვეღარ იცურეს, საჭმელს ვინ მიაქვავებს?!

— ეპა, რა ღმერთი გიწყობა! სხეული თავისით იკვებება. ტბაში რამდენი წყალმცენარე და ოხრობაა, ყინულქვეშ! ფორები სულ ღია აქეთ თევზებს, და შესდით საჭმელი. ეგეთი ბუნება აქეთ. ახლა გამიგე?

— აჰა! — ვთქვი მე. აღარ ჩავაცვივდი. შემეშინდა მანქანა არ დაამტერიოს ან რამე არ მოუვიდეს-მეთქი. ძალიან ნერვიული კაცი ჩანდა და რალა ინტერესი ჰქონდა იმისთანა დავას. — იქნებ რამე დაგველია, თუ გამიჩერდებით! — ვუთხარი მე.

ხმაც არ გაუცია. შევატყე, რომ ისევ იმაზე ფიქრობდა. კიდეც გაუღმეორე თხოვნა. კაი კაცი იყო. სასიამოვნო.

— დალევის დრო ვინ მომცა, ძმობილო, — მითხრა მან, — ისე მაინც რამდენი წლის იქნები? რატომ არა გძინავს?

— არ მეძინება.

მანქანიდან რომ გადმოვედი და ფული გადავუხადე, პორვიცი ისევ თევზებს დაუბრუნდა. აღბათ სულ ამაზე ფიქრობდა.

— მოიხედე, — მითხრა მან, — შენ რომ თევზი იყო, როგორა ფიქრობ, ბუნება შენზე კი არ იზრუნებდა? აჰა? რას იტყვი? მამ რატომ გგონია, რომ ზამ-

თარში თევზები უსათუოდ უნდა დაი-
ხოცონ?!

— დახოცვით არ დაიხოცებინა, მაგ-
რაამ...

— ჰოდა, მეც მანდა ვარ! — თქვა
პორვიცმა და გიჟივით გაქანდა.

ჯერაც არ გადავეყრივარ ამისთანა
ნერვიულ აღმძიანს. რაც არ უნდა
უთხრა, ყველაფერზე ჯაჯღანობს.

ამ ნაშუალამევესაც კი ერნის სამიციტ-
ნოში ჰედვა იყო. უმთავრესად სკოლე-
ბისა და კოლეჯების ვაებატონებს მოე-
ყარათ თავი. სკოლებს ყველგან ადრე
ითხოვენ ხოლმე საშობაოდ, მარტო
ჩემთვის გახდა უსაშველო — საცა არ
უნდა მივიდე, ყველა კოლეჯში აქიანუ-
რებენ. ისეთი ჰედვა იყო, რომ პალ-
ტოსთვის ნომერიც აღარ ყოფნიდათ
გარდერობში. თუმცა ღრიანცელი არ
ყოფილა, რადგან ერნი როიალზე
უკრავდა. გეგონება, კაი წმიდანი იყოს —
მიუჯღდება თუ არა როიალს, ყველა
პირდაპირილი შეჰყურებს. დიდ საქმე-
ში არიან! ჩემს გვერდით ორი-სამი
წყვილი იდგა, მაგიდის მოლოდინში;
ერთმანეთს აწყდებოდნენ და თითის
წვერებზე დგებოდნენ, რომ ერნისთვის
მოეკრათ თვალი დაკერის დროს. როია-
ლის უკან დიდი სარკე ჰქონდა დაკიდუ-
ლი ერნის. და გვერდებიდანაც პროექტ-
ტორები აშუქებდნენ, რომ დაკერის
დროს ყველას შესძლებოდა მისი სახის
დანახვა. თითებს თვალსაც ვერ მოჰ-
კრავდი, მხოლოდ მის გაბრტყელებულ
სიფათს შეჰყურებდი. მართლაც რომ
გაბრტყელებული სიფათი ჰქონდა! და-
ნამდვილებით ვერ ვიტყვი, რას უკრავ-
და, როცა მე შევედი, მაგრამ რაც არ
უნდა ყოფილიყო, მაგრად კი ათახსი-
რებდა. ჰოი, რა ამბავში იყო — რომ
გაუწვრილებდა, მაღალ ნოტებს აიღებ-
და და მოჰყვებოდა მანჰუა-გრებსას...
ლამის გულგვაში ამომიტრიალდა. მაგ-
რამ უნდა გენახათ, რა მოუვიდა ხალსს,
როცა მან დაკერა დაამთავრა. გული
აგერეოდით. ჰქუა დაკარგეს. სწორედ
ისე, კინოში რომ მოჰყვებინან ხოლმე
იდიოტები ჰიენებივით ზეინზინს, საცა

სულ არ არის სასაცილო. მე რომ პი-
ანინოზე ვუკრავდე, ან სტენაზე გამოე-
დიოდე, ან რამე ასეთი, და ამ კოეტის
ხალსს ასე მოვეწონო, თავიც შემძულ-
დებოდა. დმერთი გამიწყრეს, თუ გუ-
ლით არ გეუბნებოდეთ. მაგათ ტაშს რა
თავში ვიხლი! როდის ყოფილა, კარგ
რამეზე დაეკრათ ტაში! პიანისტი რომ
ვიყო, საკუქნაოში ჩავიკეტებოდი და
იქ დავუკრავდი. ერთი სიტყვით, რომ
დაამთავრა და ხალხიც ბნედიანებივით
რომ მოჰყვა თავის ქიციინსა და ტაშის
ცემას, ერნი სკამზევე შემოტრიალდა,
შტერივით გაიჰყანა და თავი მორჩილად
დახარა, ვითომ, ხომ ასე დიდებულად
ვუკრავ, მაგრამ თან რა თავმდაბალი
ვარო. თვალთმაქცობდა, თორემ მაგის-
თანა ცხვირაბზეცილი ვაებატონის
მნახველი არა ვარ. მაგრამ ცოტათი
მანაც შემეცოდა. მე მგონი, უკვე თვი-
თონვე ველარა ვრძნობდა — კარგად
უკრავდა თუ ცუდად. მთლად მისი ბრა-
ლიც არ არის. ამ კრეტინებსაც მიუ-
ძღვით ბრალი, ბნედიანებივით რომ
უკრავენ ტაშს — მაგათ თუ უგდე ყური,
ვინც არ უნდა იყო, გაგასულღლებენ.
ისევე გამიფუჭდა გუნება, გული მომე-
წურა... ცოტას გაწყდა, უკანვე არ გა-
მოვიტანე პალტო და სასტუმროსაკენ
არ გავბრუნდი. მაგრამ ძალიან ადრე
იყო და არ მინდოდა მარტოცა დავრჩე-
ნილიყავი.

ბოლოს, როგორც იქნა, გამომიძებნეს
ერთი აქოთებული მაგიდა. ზედ კუნ-
ჭულში, დიდი ბოქის უკან. იქიდან ვერა-
ფერს ვერ დაინახავდი. ერთი ციციწა
მაგიდა იყო, თუ მეზობელი მაგიდები-
დან არ ადგებოდნენ და არ გაგატარებ-
დნენ, ვერც მიაღწევდი. მაგრამ ვინ გა-
გატარებს? მე შენ გეტყვი ეს ნაბიჭვრე-
ბი შეიწყუბებენ თავს! წვალეებით უნდა
მიცოცდე. ვისკი და სოდა შეეუკვეთე.
ჩაციებული დაიკირის შემდეგ ყველაზე
უფრო ეს მიყვარს. ექვსი წლისაღ რომ
იყო, ერნის სამიციტნოში ყოველნაირ
სასმელს მოგიტანენ. ჩაბნელებულია
ყველაფერი, და ისედაც ფეხებზე ჰკი-
ლიათ, რა ხნისა ხარ. გაქანებული ნარ-

კომანიც რომ იყო, ვის რაში ენაღლეუბი.

ირგელიც სულ ნაძირალები ისხდნენ. არ გეხუმრებით. ზედ ჩემს მაგიდასთან, ხელმარცხნივ, ასეთივე მოციქვნილი მაგიდა იდგა და ვილაც უშნო გოგო და ბიჭი უსხდნენ. ჩემი ხნისანი იქნებოდნენ, იქნებ ცოტათი უფროსები. მართლაც რომ ახირებული ხალხი იყო. გამწარებით ცდილობდნენ, რაც შეიძლება ნელა და ნელა ესვათ. ერთხანს ყურს ვუგდებდი მათ ლაპარაკს. საქმე მაინც არაფერი მქონდა. ბიჭი ფეხბურთის ამბავს უყვებოდა. იმ დღეს ენახა რაღაც თამაში. დაწერილებით უამბობდა — რომელ წუთზე რა მოხდა. არ გეხუმრებით. ამისთანა მოსაწყენი ჩემს დღეში არაფერი მომისმენია. ეტყობოდა, არც გოგოს ინტერესებდა მაინცადამაინც, მაგრამ ბიჭზე უფრო მაინჯი იყო და სხვა რა გზა ჰქონდა, უნდა მოესმინა. საცოდავები არიან მაინჯი გოგოები. ზოგჯერ ისე შემებრალებიან, რომ შეხედვაც კი აღარ შემიძლია, განსაკუთრებით მაშინ, როცა გამოჩერჩეტებულ ვაეპატონთან სხედან და რაღაც ბითურული ფეხბურთის ანგარიშს ისმენენ. მარჯვნიდან კიდე უფრო გულსამრევი საუბარი მესმოდა. ერთი ვაეპატონი ბრძანდებოდა, ეტყობოდა იგილის უნივერსიტეტიდან იყო — ნაციონალური ფლანელის კოსტუმი და გამოწყობილი ჟილეტი. ეს კეთილშობილთა კოლეჯების ნაბიჭვრები ყველა ერთმანეთსა ჰგავს. მამაჩემს უნდა ან იგილში გამაგზავნოს ან პრინსტონში. მაგრამ, ღმერთი იყოს მოწმე, ცოცხალი თავით არც იქ წავალ და არც იქ. სხვათა შორის, იმ იგილელ ვაეპატონს მშვენიერი გოგო ახლდა. პოი ბიჭო, რა გოგო იყო! მაგრამ იმათი საუბრისთვის უნდა დავგედო ყური. ჯერ ერთი, ბიჭიცა და გოგოც ცოტათი გადაკრულში იყვნენ. იჯდა ეს ბიჭი, მაგიდის ქვეშ ხელი შეეკურებინა და უფათურებდა, თან კი ვილაცის ამბავს უყვებოდა — ერთი ბიჭი ჰყოლოდათ საერთო საცხოვრებელში, მთელი შუშა ასპირინი შეეკამა, თა-

ვი კინალამ მოიკლა თურმე. გოგო კი ერთავად იძახის: „რა სმშრნელუნა... გეუფა, გენაცვალე, ნუ მანდ ნუ წარმოგიდგენიათ — გოგოსა ჰყვლეს და თან ვილაც ბიჭის თვითმკვლელობის ამბავს უყვება. ამათ მთლად მომიღეს ბოლო.

დავიფეყე ერთ ადგილზე ჯდომით, მომწყინდა. საქმე არაფერი მქონდა — ეიჯექი, ვსვამდი და სიგარეტს ვაბოლებდი. თუმცა ერნის კი შევეუთვალე ოფიციალის პირით, იქნებ ვისკინე დამეწვიო-მეთქი. ისიც შევეუთვალე, რომ დ. ბ.-ს ძმა ვიყავი. მაგრამ არა მგონია, ჩემი დანაბარები მიეტანოთ. როდის მომხდარა, რომ ამ ნაბიჭვრებს დანაბარები სიტყვა გადაეცეთ ვინმესთვის.

უცებ ერთი ქალი მეძახის.

— ჰოლდენ კოლფილდ! — ლილიან სიმონსი იყო. ერთხანს ჩემი ძმა დ. ბ. დასდევდა ხოლმე. უსაშველოდ გამობერილი მკერდი ჰქონდა.

— გაუმარჯოს! — მეც შეეძახე. წამოდგომა ვცადე, რაღა თქმა უნდა, მაგრამ იმ სიფიწროვეში რას წამოდგებოდი. მეზღვაური ახლდა, სარგადაყლაპულივით გაჯგიმული ოფიცერი.

— როგორ გამიხარდა! — დამიძახა ლილიან სიმონსმა. მიჰქარავს. — შენი უფროსი ძმა როგორ არის? — აი, რისი გაგება სურდა!

— დიდებულად. პოლიეულშია.

— პოლიეულში! რა კარგია! რას აყეთებს?

— რა ვიცი. წერს. — ვუთხარი მე. ბევრ წილადობილას მოვერიდე. ეტყობოდა, დიდ პატივად თვლიდა ჩემი ძმის პოლიეულში ყოფნას. ყველას ასე ეჩვენება. უმთავრესად იმათ, ვისაც მისი მოთხრობები არ წაუკითხავს. მე კიდე ამაზე მეშლება ნერვები და ლამის ჰკუიდან შევიშალო.

— რა დიდებულია! — თქვა ლილიანმა და თავისი მეზღვაური გამაცნო. კაპიტანი ბლოპი თუ რაღაც ამნაირი ერქვა. ეს ვაეპატონიც ერთ-ერთი იმა-

თვანი გახლდათ, რომელთაც ქალაქუნობადა და სიძაბუნედ მიიჩნიათ, მთელი თითები თუ არ დაგამტვრიეს ხელის ჩამორთმევის დროს. პოი, როგორ მეჯავრება ამისთანა რაში!

— მარტოკა ხარ, ბიჭი? — მკითხა ლილიანმა. მთელი გასასვლელი ჩაქეტა. ეტყობოდა, სიამოვნებდა, არავის რომ არ ატარებდა. ოფიციალტი დგას და ელოდება, გზას როდის მომცემსო. საქმეში ხარ — არც კი შეუშინნევი. სასაცილო იყო. აშკარად ჩანდა, რომ ოფიციალტს მაინცდამაინც არ მოსდიოდა თვალში ეს ქალი. ოფიციალტს კი არა და, ეტყობოდა, თვითონ მეზღვაურსაც არ ამოსდიოდა მზე, მიუხედავად იმისა, რომ მას ახლდა. არც მე მომწონდა. არავისაც არ მოსწონდა. ცოტა არ იყოს, შემეცოდა კიდევ.

— გოგო არა გყავს, ბიჭი? — მკითხა მან. ახლა უკვე ფეხზე ვიდექი, და არც უთქვამს, დაჯექიო. ამისთანა ტიპი იყო, მთელ დღეს ფეხზე ჩამოგწყვეტდა. — ხომ კარგი ბიჭია? — მიუბრუნდა თავის მეზღვაურს, — რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო უკეთესი ხდები, პოლდენ!

წავიდეთო, მეზღვაურმა უთხრა ამ დროს. გზა ჩავეკეტეთო.

— ჩვენთან დაჯექი, პოლდენ, — მითხრა ლილიანმა, — ეს შენი ვისკიც თან წამოიღე.

— უკვე წასვლას ვაპირებდი, — ვუთხარი მე, — ვილაცას უნდა შევხედე. ზედვე ეტყობოდა, რომ ძალიან მექლესებოდა. მერე დ. ბ.-ს ეტყვისო, ფიქრობდა.

— აი, აი! როგორც გატყობ, არა ზუმრობ. მით უკეთესი, ასე უნდა. შენს უფროს ძმას უთხარი, მშუღხარ-თქო, როცა ნახავ.

წავიდა. მეზღვაურმა და მე ერთმანეთს ვუთხარი, რომ სასიამოვნო იყო გაცნობა. ესა მსპობს. გაიცნობ კაცს და უსათუოდ უნდა უთხრა — „სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა“, თუნდა სულაც არ იყოს სასიამოვნო! რას იზამ,

სიცოცხლე თუ გინდა, ამისთანა სისულელეები უნდა როშო.

რაკი წამომცდა, ვილაცას უნდა შევხედე-მეთქი, მეტი რაღა ჩარა იყო, მართლაც უნდა წავსულიყავი. ერნისაც ვეღარ მოვეუსმინე, იქნებ ცოტა უფრო ხეირიანი რაში დაეკრა. მაგრამ ლილიან სიმონსს და იმ მეზღვაურს ხომ არ მოუჯღღებოდი და სიცოცხლეს ხომ არ გავიმწარებდი! ავდექი და წამოვედი. პალტოს ვიცვამდი და თან გულზე ვსკდებოდი. ასეა ხოლმე — ყველაფერი უნდა ჩავიშხამონ.

13.

სასტუმროსკენ ფეხით გავბრუნდი. ორმოცდარტი უშველებელი კვარტალი გავიარე. ძალიან კი არ მეხალისებოდა ფეხით ფრატუნი, მაგრამ ტაქსში ჩაჯდომა ჯალარ მინდოდა. ზოგჯერ მოგბეზრდება ხოლმე ტაქსით სიარული, ლიფტისა არ იყოს. უცებ ფეხით სიარული მოგინდება — სულერთია, რა გზაც არ უნდა გქონდეს გასავლელი, ან რა სიმაღლეზე უნდა იყო ასავლელი. პატარა რომ ვიყავი, სულ ფეხით ავდიოდი ხოლმე კიბეებზე. მეთორმეტე სართულზე ვცხოვრობდით.

ვერც კი იტყოდი, ამ ცოტა ხანში თოვდაო. თოვლის ნატამალიც არ იყო ტროტუარზე. მაგრამ ყინავდა კი. ჯიბიდან ჩემი წითელი სანადირო ქუდი ამოვიღე და თავზე ჩამოვიფხატე. ფეხებზე არ მეკიდა — მიხდებოდა თუ არა! ის კი არა და ყურსაფარებიც ჩამოვუშვი. ნეტა ვინ ამწაპნა პენსიიში ის ხელთათმანები! ხელები სულ წამეყინა. ისე ვამბობ, თორემ რას ვიზამდი, კიდევ რომ მცოდნოდა. კაი მხდალი და ლაჩარი გახლავართ. ვედილობ დავფარო ჩემი სილაჩრე, მაგრამ სად გაეჭეცევი. ვთქვათ გამეგო, ვინ მოიპარა ჩემი ხელთათმანები, როგორა გგონიათ, რას ვიზამდი. მივიდოდი იმ არამზადსთან და ვეტყვოდი: „ბა! ხელთათმანების დაბრუნებას არ აპირებ?“ ის არამზადა კი, ვინაც ნამდვილად მომპარა ხელთათმა-

ნები, უცოდველი კაცივით მიიასუხებდა: „რა ხელთათმანები?“ მე მაშინ, ალბათ, კარადას მივევარდებოდი, და ჩემს ხელთათმანებს მოვძებნიდი. ან თავის ბინძურ კალოშებში ექნებოდა ჩამალული, ან სადმე, ამოვიღებდი და ვაჩვენებდი. „იქნებ შენი ხელთათმანები იყოს, პა?“ არამზადა მამა აბრამის ბატკანივით გათკვირებდა და იტყოდა: „პირველად ვხედავ. წაილე, შენი თუა. ვის რაში სჭირდება შენი ბინძური ხელთათმანები!“ მე ხუთიოდე წუთს ასე ვდგავარ, თათმანები ხელში მიჭირავს და ვფიქრობ — ახი არ იქნება, ერთი ყბა მოვეუნგრიო? მაგრამ ვეკაცობა არა მყოფნის. ვდგავარ და თვალებს ვაბრიალებ. ყბის მონგრევის ნაცვლად, ასადუღებლად მწარე რამეს ვეტყვი. თუ მართლა მწარე გამომივიდა, ის არამზადა წამოდგება, მომიახლოვდება და მეტყვის: „მოიხედე, კოლფილდ. შენ მე არამზადა დამიძახე?“ მე კიდე, იმის ნაცვლად რომ პირდაპირ მივხალა: დაგიძახე და ხარ კიდეც, შე ბინძურო ნაბიჭვარო-მეთქი, ალბათ ვეტყვი: „მე ის ვიცი, რომ ჩემი ხელთათმანები შენს ბინძურ კალოშებში აღმოჩნდა“. ხელადვე მიხვდება, რომ შემოკვრას არ ვაპირებ და ალბათ მეტყვის: „მოდდი პირდაპირ ვილაპარაკოთ. შენ მე ქურდი მიწოდე, არა? მე ვეტყვი: „არავისაც არ უწოდებია ქურდი. მე ის ვიცი, რომ ჩემი ხელთათმანები შენს ბინძურ კალოშებში აღმოჩნდა“. და ასე გაგრძელდება საათობით. ბოლოს, მანც ისე გამოვალ მისი ოთახიდან, რომ ვერ მივაკერებ. მერე ალბათ საპირფარეოში შევალ, ჩუმად სიგარეტს მოვწვევ და სარკეში მრისხანე სახეს მივიღებ.

ერთი სიტყვით, სასტუმროსკენ მივდიოდა და სულ ამას ვფიქრობდი. სილაჩრე ვერაფერი სასაცილო საქმეა. იქნებ არც ვიყო ლაჩარი. რა ვიცი. იქნებ ნაწილობრივ ლაჩარი ვიყო, ნაწილობრივ კი ისეთი კაცი, რომელსაც ხელთათმანების დაკარგვა დიდად არ აწუხებს. ერთი უბედურება მჭირს — ფეხებზე

ვიცილებ, თუ რამე დავკარგე. ბატარა რომ ვიყავი, დედაჩემი მირდაბრუნებდა დედებოდა ამაზე. ზოგიერთი მთელნი დღეები ეძებს ხოლმე, როცა რამეს დაკარგავს. მე კი ისეთი არაფერი მქონია, რომ იმის დაკარგვას გული დიდად დაეწყვიტოს. იქნებ ამიტომაც ვიყო მოლაჩრო კაცი. თუმცა ვე რა გამართლებია. სულაც არ არის გამართლება. სილაჩრე საკადრისია! თუკი საქიროა ვინმეს სიფათში მიაკერო, და გულიც ამას გეუბნება, ადეკი და მიაკერე. მე კიდე არ შემძლია. მირჩენია, ფანჯრიდან გადავადლო კაცი, ან არა და თავი ნაჯახით გავადგებინო, სიფათში კი ვერ მივაკერებ. საერთოდ მუშტი-კრივის ვერ ვეწყობი. მირჩენია, მე თვითონ მომადონ სიფათში — თუმცა, რაღა თქმა უნდა, არც ეს იქნება დიდად სასიამოვნო, — მაგრამ მომკალი და სხვას ვერ შემოვკრავ სახეში. მთელი უბედურება ისაა, რომ სახეში ველარ ვუყურებ. თვალეები თუ ავიხვიეთ, მაშინ კიდეც ჰო. უცნაური სილაჩრეა, რომ დაუფიქრებელი, მაგრამ რაც არ უნდა თქვა, მანც სილაჩრეა, თავი რატომ უნდა მოვიტყუო.

რაც უფრო მეტს ვფიქრობდი ჩემს ხელთათმანებსა და სილაჩრეზე, მით უფრო მეწურებოდა გული. ბოლოს გადაწყვიტე სადმე შემეგლო და გადამეკრა. ერნისთან სულ სამი ჰიქა მოვატანიე და მესამის დალევა ველარც კი მოვასწარი. სმა ჩემი მოგონილია. ამას ვერავინ წამართმევს — დილაამდე რომ ვსვა, სულ არ შემეტყობა, კაი გუნებაზე თუ ვარ. ერთხელ, ჰეტონის სკოლაში ვარ და, მე და ჩემმა ამხანაგმა რაიმონდ გოლდფარბმა ერთი ბინტი შორტლანდური ვისკი ვიყიდეთ. შაბათი ღამე იყო. სამრეკლოში შევიპარეთ და ვსვით. ის ჩემი ამხანაგი ისე დათვრა, რომ სახე შეეშალა. მე კი, ვითომც არაფერი, არხეინად ვიყავი. დაწოლის წინ ცოტათი კი ამერია გული, მაგრამ განგებ ავირიე.

ერთი უბადრუკი ბარი შემხვდა სასტუმროს გზაზე, და ვთქვი აქ დავლევ-

მეთქი. მაგრამ შესვლა რომ დავაპირებ, იქიდან ორი გაღვნილი ვაუბატონი გამობრძანდა და მეტრო მკითხეს, საით არისო. ერთი პირწავარდნილი კუბელი იყო და მანამ გზას მივასწავლიდი, პირდაპირ სახეში მაორთქლავდა ოხშივარს. აღარც შევსულვარ იმ ოხერ ბარში. პირდაპირ სასტუმროსკენ გავსწიე.

ვესტიბიულში კაცის ქაჭანება არ იყო. თამბაქოს კვამლის სუნი იდგა — თითქოს ორმოცდაათი მილიონი სიგარის ნაშენი ზრჩოლავსო. არც მეძინებოდა და არც არაფერი, მაგრამ ძაღლის გუნებაზე ვიყავი. გულიც მეწურებოდა და რა ვიცი!.. ნეტა მომკლამეთქი.

და მოულოდნელად მახეში გავეხი.

ლიფტში შესვლა ვერც კი მოვასწარი, რომ შელიფტე ბიჭი მომიბრუნდა და მითხრა.

— ცოტა გართობა არ გინდათ? თუ გეძინებათ უკვე?

— რა გართობა? — ვერ მივუხვდი, საით უმიზნებდა.

— გოგო არ გინდოდათ ამაღამ?

— მე? — სულელური პასუხი გამომივიდა. მაგრამ ისე უცებ მომახალა, რომ დავიბენი.

— რამდენი წლისა ხარ, უფროსო? — შელიფტე ბიჭმა მკითხა.

— რად გინდა?! ოცდაორისა.

— ჰოო! ა, რას იტყვი? არ გინდა? ერთი თალია — ხუთი დოლარი, მთელი ღამით — თხუთმეტი დოლარი. — მაჯის საათზე დაიხედა. — შეადღეშდე გეყოლება. ერთი თალია — ხუთი დოლარი, შეადღეშდე — თხუთმეტი დოლარი.

— ავრე იყოს, — ვუთხარი მე. პრინციპულად წინააღმდეგ ვარ. ამისთანა რამეებისა, მაგრამ ახლა ისე ჩაწყვეტილი მქონდა გული, რომ აღარ დავფიქრებულვარ. მთელი უბედურებაც ეგ არის. ცუდ გუნებაზე რომ ხარ, ფიქრის თავიც აღარა გაქვს.

— რა იყოს ავრე! ცოტა ხნით თუ შეადღეშდე? გამაგებინე.

— ცოტა ხნით.

— ძალიან კარგი, რომელ ნომერში? გასაღებზე მიკრულ ფიფქოებს დაეხედე.

— თორმეტი ოცდაორი. — უკვე ვინანე, ამისთანა საქმეში რომ გავები, მაგრამ რაღა დროსი იყო.

— ძალიან კარგი. თხუთმეტი წუთში მოგვია. — კარი გამიღო და გამოვედი.

— ეი, ლამაზი იქნება? — ვკითხე მე, — გადაბერებული არ გამომიგზავნო.

— გადაბერებული რა საკადრისია. მაგისი ფიქრი ნუ გექნება, უფროსო.

— ფული ვის უნდა გადაუხადო?

— მასვე გადაუხდი. ახლა კი წავედი, უფროსო. — ზედ ცხვირწინ მომიკეტა კარი.

ოთახში შევედი და თმა წყლით დავისველე. მაგრამ ჯაგარივით მოკლედ გადაკრეკულ თმას რა დავარცხნის! მერე გავსინჯე. პირში სიგარეტისა და ვისკის სუნი ხომ არა მაქვს-მეთქი. ბევრი კი არაფერი უნდა ამას — ხელი რიკაბის გასწვრივ უნდა დაიჭირო, თითები მაღლა მოაქციო და ამონასუნთქი პირდაპირ ნესტოებისკენ გაუშვა. მაინცადამაინც არ მიყარდა პირი, მაგრამ კბილები მაინც გავიხეხე ჯაგრისით. მერე პერანგიც გამოვიცვალე. განა არ ვიცოდი, რომ ვიღაც მეძავის გულისთვის ამდენი მორთვა-მოკაზმვა არა მჭირდებოდა, მაგრამ საქმე გავიჩინე: ცოტა არ იყოს, ვნერვიულობდი. მართალია, უკვე ვნებიანიც გავხდი, ყველაფერი, მაგრამ ცოტათი მაინც ვნერვიულობდი. მართალი თუ გინდათ, ჯერ უმანკო ვარ. არ გეხუმრებით. რამდენჯერ მქონდა შემთხვევა, უმანკოება დამეკარგა, მაგრამ არ იქნა და არა. მუდამ რაღაც მიშლის ხოლმე ხელს. ვთქვათ, გოგოს სახლში ხარ, არ იქნება, რომ მშობლები უდროოდ დროს არ გამოჩნდნენ, ან არა და გეშინია — მოვლენო. თუ ვინმეს მანქანაში ზიხარ გოგოსთან ერთად უკანა საეარძელზე, წინ უსათუოდ ვიღაც სხვა გოგო უნდა იჯდეს, რომელიც საშინლად დიანტერესებულია, რა ხდებაო, თვალეხი სულ უკან გამოურბეს. ერთი სიტყვით,

არ იქნება, რამე არ გამოტყვერეს. ერთ-ორჯერ თითქმის გათავებული იყო საქმე, განსაკუთრებით, ერთი შემთხვევა მაგონდება. მაგრამ რაღაც მოხდა, აღარ მახსოვს რა. უფრო ხშირად, საქმე საქმეზე რომ მივა, არ შეიძლება გოგომ არ იყვიროს — რა თქმა უნდა, თუ კახა არ არის — მოჰყვება წუწუნს, ნუ იზამ, თავი დამანებეო. და მთელი უბედურება ის არის, რომ მეც ვანებებ თავს. სხვა ბიჭები არც ანებებენ და არც არაფერი. რა ვქნა, მე არ შემოძლია. ვერც გაუგებ, მართლა გულთ გეუბნება თუ შიშით მოსდის, ანდა იქნებ იმიტომ გეუბნება თავი გამანებეო, რომ რამე თუ მოხდება, შენ დაგბრალდეს. ერთი სიტყვით, თავს ვანებებ. მებრალბებიან და რა ვქნა. ისეთი ბენტერები არიან გოგოები. ერთი თუ აკოცე, სულ ელეთ-მელეთი მოსდით. აბა ნახეთ: კარგად რომ აღეგზნება გოგო — ჰკუის ნატალიც აღარა აქვს. რა ვქნა, მეტყვიან თუ არა, გაჩერდიო, მეც ვჩერდები. მერე ვნანობ, შინ რომ ვაცილებ, ნეტა არ დამეჯერებინამეთქი, მაგრამ მაინც ყოველთვის ეუჯერებ.

ახლა კი, პერანგს ვიცვლიდი და თან ვფიქრობდი, როგორც იქნა ველირსე; ეს ხომ მეძავია, ცოტას შევეჩვევი, ვისწავლი და მერე ცოლი თუ შევირთე, გამომადგება-მეთქი. რა გგონიათ, ამაზეც ვწუხვარ ზოგჯერ, რომ დავფიქრდები. რაღაც წიგნს ვკითხულობდი ჰუტონში. ერთი გამოქვეყილ-გამოწყობილი და ვარყენილი ვაებატონის ამბავია. მუსიე ბლანშარი ჰქვია, ახლაც მახსოვს. ბინძური წიგნი იყო, მაგრამ იმ ბლანშარს არა უშავდა რა. დიდი კოშკი ჰქონდა რივიერაზე, ევროპაში, და მოცილობის დროს ქალების ცემის მერტს არაფერს აკეთებდა. საერთოდ დიდი დარდიმანდი ვინმე იყო და ყველაფერი, მაგრამ ქალებს უწყალოდ სცემდა. ერთგან ამბობს, დედაკაცის სხეული ვიოლინოსა ჰგავს და დიდებული მუსიკოსი უნდა იყო, რომ კარგად დაუკრავო. საშინლად ბინძური წიგნი იყო, განა არ ვიცი — მაგრამ ეს

ვიოლინო ვერ იქნა და ვერ ამოვეგდე თავიდან. იმიტომაც მინდოდა, ცოტათი მაინც გავრკვეულიყავე საქმეში. მანამ ცოლს შევირთავდი. პოი, ბიჭო, კოლფილდი და მისი ჯადოსნური ვიოლინო! სისაძაგლე რომაა, კი ვხედავ. მაგრამ არც თუ ისე დიდი სისაძაგლე. ასეა თუ ისე, ცოტა გამოცდილება მაინც უნდა გქონდეს. თორემ, მართალი თუ გინდათ, როცა ვოგოსთან ვარ, ხეირიანად არც კი ვიცი, რა უნდა ვქნა იმ ვოგოს, მაგალითად, — მე რომ გეუბნებოდი, ცოტაღა დამაკლდა-მეთქი, — მთელი საათი ვეჯავჯავრე, მანამ ოხერლიფს მოვხსნიდი. ხოლო როცა მოვხსენი, ლამის თვალბში შემაფურთხა.

ერთი სიტყვით, ოთახში ვწრივლებდი და ველოდი, როდის გამოჩნდებოდა ის შეძავი ქალი. იმედი მქონდა, რომ ლამაზი იქნებოდა. თუმცა, სულერთი არ იყო! ოღონდ კი მალე გათავებულიყო ყველაფერი. როგორც იქნა, კარზე ვილაკამ დააკაკუნა. გასაღებად რომ გავემართე, გზაში ჩემოდანი გაჩხირულიყო, წამოვედე და მუხლი კინალამ გავიტეხე. მაინცდამაინც ასეთ დროს უნდა წამოვედო ხოლმე. ჩემოდანი იქნება თუ რაც იქნება.

კარი რომ გავაღე, ის გოგო იქვე იდგა. პოლოს მოთამაშის ფორმა ეცვა, ქუდი არ ეხურა, ქერა იყო, მაგრამ. ეტყობოდა, თმას იღებავდა. სულაც არ ყოფილა ბებრუხანა.

— გამარჯობა! — ვუთხარი მე. პოი ბიჭო, რა თავაზიანად გამომივიდა!

— თქვენ ისა ხართ, მორისმა რომ მოთხრა? — მკითხა მან. ცოტა უქმური ჩანდა.

— მელიფტემ?

— პო.

— დიახ, ისა ვარ. შემობრძანდით. — რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო ვმშვიდდებოდი.

შემოვიდა, ხელადვე იშვლივა პალტო და ლოგინზე მიაგდო. მწვანე კაბა ეცვა. მერე მაგიდას გვერდულად მიუჯდა. ფეხი ფეხზე გადაიღო და ფეხის რწევას მოჰყვა: აღმა-დაღმა, აღმა-დაღმა.



ძალიან ნერვიულობდა, სულაც არ ჰკავდა მეძავს. ალბათ იმიტომ, რომ ძალიან ახალგაზრდა იყო, ასე, ჩემი ხნისა- მეც გვერდზე მოვუჯექი და სიგარეტი შევთავაზე.

— არა ვწვევ, — მითხრა მან. მიკნავეებული ხმა ჰქონდა. ძლიერს ისმოდა. მადლობას არც კი ამბობდა, როცა რამეს შესთავაზებდი. მეტი არ იცოდა.

— ნება მომეცით, ჩემი თავი გავაცნოთ — მე ჯიმ სტილი გახლავართ.

— საათი არა გაქვთ? — შეითხა მან. ძალიან არ ენაღვლეზობდა ჩემი ვინაობა! — ისე, რამდენი წლისა ხართ?

— მე მეკითხებიო? ოცდაორისა.

— არაფერიც!

საოცარია. პატარა გოგოსავით მითხრა. წესით ნამდვილი როსკიპივით უნდა ეთქვა: „როგორ არა, დიახ!“ ან „რას მიჰქარავ!“ ამან კი „არაფერიცო“ მითხრა.

— თქვენ რამდენი წლისა ხართ? — ვკითხე მე.

— იმდენისა, რომ კაცი ადვილად ვერ გამაცურებს, — მითხრა მან. ენამოსწრებულად რომ გამოდგა! — საათი არა გაქვთ? — მეორედ მკითხა, წამოდგა და კაბა გაიხადა.

ერთბაშად ავირიე. იმიტომ, რომ მოულოდნელად წამოხტა და გაიხადა. ქალი რომ წამოხტება შენს თვალწინ და კაბას გაიხდის, ცოტათი მაინც უნდა აღგვზნო. მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ. სულაც არ აღგვზნებულვარ. ისე ავირიე, და კიდევ უფრო ჩამწყდა გული.

— საათი არა გაქვთ?

— არა, არა, არა, მაქვს, — მივახალე ერთბაშად. ჰოი ბიჭო, როგორ წამიხდა საქციელი! — რა გქვიათ? — ვკითხე ბოლოს. ვარდისფერი ლიფის ამარა იყო. საშინლად დავიბენი. ღმერთმანი.

— სანი მქვია, — მითხრა მან, — მოდი, რაღას უცდი.

— ჯერ ცოტა არ გველაპარაკნა? — მივმართე მე. ვიცი, რომ ბალღობა იყო ამისი თქმა, მაგრამ აკი ვითხარით, საშინლად დავიბენი-მეთქი. — ძალიან გეჩქარებათ?

ისე შემომხედა, თითქოს გიყი ვყოფილიყავი.

— რა ჯანდაბაზე უნდა ვილაპარაკოთ?

— რა ვიცი. ისე ვიყებდით. ლაპარაკით ცოტა თავს შევიქცევთ-მეთქი, ვიფიქრე.

ისევ მაგიდას მიუჯდა. თუმცა, ეტყობოდა, არც ისე დიდი ხალისით. კვლავ ფეხის რწევას მოჰყვა. ჰოი ბიჭო, რა ნერვიული გოგო იყო!

— სიგარეტს არ მოსწევთ? — დამავიწყდა, რომ არა სწევდა.

— არა ვწვევ. მოიხედე, თუ რამე სათქმელი გაქვს, ბარემ მითხარი.

სათქმელი ვერაფერი მოვიგონე. ერთი პირობა ვიფიქრე, მოდი ვკითხავ, კახპობა როგორ დაიწყე-მეთქი, მაგრამ მომერიდა. სულერთია, მაინც არ მიპასუხებდა.

— ნიუ-იორკელი არ უნდა იყოთ, ხომ? — ვკითხე ბოლოს. სხვა ვერაფერი მოვახერხე.

— ჰოლივუდიდანა ვარ, — მიპასუხა მან. მერე წამოდგა და ლოჯინთან მივიდა, საცა კაბა დააგდო, — დასაკიდი არა გაქვს? ასე დამეკმუჭნება. ახლახან გავწმენდინე.

— როგორ არა, — ბელადვე ეუბასუხე. გამეხარდა, საქმე რომ გამიჩნდა. კაბა კარდასთან მივიტანე და დავკიდე. უცნაურია — რაღაცნაირად ნალველი შემომმაწვა, როცა ვკიდებდი. წარმოვიდგინე, როგორ შევიდა მაღაზიაში ამ კაბის საყიდლად, ისე რომ ეჭვიც არავის აღძვრია, მეძავიო. ნოქარმა ალბათ იფიქრა, ჩვეულებრივი გოგოაო. ვერ გეტყვით რატომ, მაგრამ ნალველი შემომმაწვა.

მერე ისევ დაეჯექი და საუბრის გაგრძელება ვცადე. ვერაფერიშვილი მოსაუბრე გამოდგა.

— მუდამდღე მუშაობთ? — ვკითხე და მაშინვე მიეხვდი, რომ ძალიან უხერხულად გამომივიდა.

— ჰო. — ახლა უკვე ოთახში ბოლთასა სცემდა. მაგიდიდან მენიუ აიღო და გადიკითხა.

— დღისით რას აკეთებთ?
მხრები აიჩეჩა. ცარიელი ტყავი და ძელები იყო.

— მძინავს. კინოში დავდივარ, — მენიუ დადო და მე შემომხედა, — თუ მოდიხარ, ბარემ მოდი. ამდენი დრო...

— იცით, რა — მე ვუთხარი, — ამაღამ რაღაც უქეიფოდა ვარ. იმდენი საქმე გამომიჩნდა. ღმერთს გეფიცებით. ფულსაც გადავიხდით და ყველაფერი, ოღონდ გული ხომ არ დაგწყდებათ, არაფერი რომ არ გავაკეთოთ? ძალიან მიწყენთ?

უბედურება ის იყო, რომ აღარ მომიჩნდა. მართალი თუ გნებავთ, ალგუნებით სულაც არ ავღვანებულვარ, გული კი უფრო მომეწურა. ამ გოგომ მთლად გამიფუჭა გუნება. მისი მწვანე კაბაც ავერ კარადაში შეკიდა. ეგეც რომ არ იყოს, ვერ წარმომედგინა, როგორ უნდა გამეკეთებინა ამნაირი საქმე გოგოსთან, რომელიც მთელი დღე რაღაც ბითურულ კინოში გდია. არ შემიძლია და რა ვქნა.

მომიახლოვდა და სახეში გაკვირვებით ჩამაშტერდა, თითქოს არა სჯერაო.

— რა მოგივიდა? — მკითხა მან.

— არაფერიც არ მომსეკლია, — ჰოი ბიჭო, როგორ მომეშალა ნერვები. — ახლახან მძიმე ოპერაცია გადავიტანე.

— ჰოო? რისი ოპერაცია?

— ეჰ, კლავიკორდი ამოკვეთეს.

— რაო? სად ჯანდაბაშია ეს?

— კლავიკორდი? როგორ გითხრა. ტვინის არხთან არის. ის კი არა და, შიგ ტვინის არხში.

— მართლა? — თქვა მან. ცუდი საქმე მოგსვლია. — მოვიდა და შიგ კალთაში არ ჩამიჯდა! — კობტა ბიჭი ხარ.

საშინლად გამანერვიულა ამ გოგომ. ერთი რომ დაეიქოქე, სულ ტყუილებს ვაფრქვევდი.

— ვერ იქნა და ვერ გამოვეჯობინდი, — ვთქვი მე.

— კინოში ერთი მსახიობია, იმას ჰგვებარ. შენც გეცოდინება. ღმერთო,

გამახსენე. შენც იცი, ვისზე ვამბობ. რა გვარია?

— არ ვიცი, — მივუხე შე. ხის არხეინად და აღარ ჩამოდის ჩემი მუხლებიდან.

— უსათუოდ გეცოდინება. მეღვინ დუგლასსთან თამაშობდა რომელიღაც კინოში. მეღვინ დუგლასი უმცროსი ძმა იყო. აი, ნავიდან რომ გადავარდებო, ხომ გახსოვს?

— არა, არ მახსოვს. ათასში ერთხელ თუ შევალ კინოში.

ლაზლანდარობას მოჰყვა. ისე ტლანქად იქცეოდა!

— აღარ გაჩერდებით? — მიემართე მე, — აკი გითხარით, უგუნებოდ ვარმეთქი. ჯერ ნაობერაციევიც არ მომშუშებია...

მეჯდა კალთაში არხეინად, ჩამოსვლას არც კი ფიქრობდა. მერე უცებ ზინძურად შემომიბღვრა.

— მოიხედე, — მითხრა მან, — მე უკვე შეძინა და იმ დამთხვეულმა მორისმა გამაღვიძა. შენ თუ გგონია, რომ...

— აკი გუბნებით, ფულს მოგცემთმეთქი. ახლაც მოგცემთ. ფული ჩეჩქივითა მაქვს. ეს არის, რომ მძიმე ოპერაციის შემდეგ ჯერ კიდევ ვერ გამოვეჯობინდი და...

— რალს ეუბნებოდი იმ დამთხვეულ მორისს, გოგო მინდაო, თუკი ის ოხერი კლავიკორდია ამოგჭრეს?! რა ენა გექავებოდა?!

— მე მეგონა, უკვე კარგად ვარმეთქი, მაგრამ მოეტყუედი. ვწუხვარ, რომ ასე გამომივიდა. ნამდვილად. თქვენ ერთი წუთით წამოდექით, საფულეს ამოვიღებ.

გაცეცხლებული იყო, მაგრამ მაინც წამოდგა ჩემი მუხლებიდან. მე კარადასთან მივედი, საფულე მოეძებნე, ზუთლოლარიანი ამოვიღე და გავწუროდე.

— მაღლობა. — ეუთხარი მე, — დიდი მაღლობა.

— ეს ხომ ზუთია. ათი ლირს.

ზედვე ეტყობოდა, გაცურება დამიბირა. წინასწარვე ვშიშობდი, ამისთანა რამე მოხდება-მეთქი... ნამდვილად.

— მორისმა ხუთი მითხრა, — მე ვე-
უბნები, — შუადღემდე თხუთმეტი, ერ-
თი თალია კი ხუთითო.

— ათი ღირს.

— იმან ხუთი მითხრა. დიდ ბოდის
კი ვიხდი, მაგრამ რა ვქნა, მეტს ვერ
მოგვემთ.

წელანდელივით აიჩეჩა მხრები და
ცივად მითხრა:

— იქნებ კაბაც ჩამომიღოთ, თუ ძა-
ლიან არ შეწუხდებით!

მოჩვენებას ჰგავდა. ხომ ისეთი მიკნა-
ვებული ხმა ჰქონდა, მაინც შიშის ვრუ-
ანტელი მივლიდა ტანში იმის შემხედ-
ვარეს. ბებერი როსკიბიც რომ ყოფი-
ლიყო, სულ წათხიზნულ-შეღებილი,
ისიც კი არ გამოჩნდებოდა ამისთანა სა-
შინელი.

გამოვუღე კაბა. ჩაიცვა, გაისწორა,
მერე ლოვინზე მიგდებული პალტო
აიღო.

— ნახვამდის, ბედოვლათო, — მით-
ხრა მან.

— ნახვამდის, — მეც გავეპასუხე.
არც მადლობა მითქვამს და არც არაფე-
რი. კიდევ კარგი, არ ვუთხარი.

14

სანი წავიდა, მე კი სავარძელში ჩავ-
ჯექი და ორი სიგარეტი მოვწიე. ვარეთ
თენდებოდა. პოი ბიჭო, რა ძაღლის
გუნებაზე ვიყავი! ვერც კი წარმოიდ-
გნებ, გული როგორ მეწურებოდა. უც-
ებ ხმამალა ლაპრაკი დავიწყე, ელის
გამოველაპარაკე. ასე ვშვრები ხოლმე
ზოგჯერ, როცა ძალიან მომეწურება
გული. შინიდან ველოსიპედი წამოიღე
და ბობი ფელონის სახლის წინ დამხე-
დი-მეთქი, ვეუბნები. ის ბიჭი ჩვენი
ყურის მეზობელი იყო მენიში — ადრე,
დიდი ხნის წინათ. ბობი ფელონი იმი-
ტომ მახსენდება, რომ ერთხელ სედე-
ბიტის ტბაზე წასვლა გადავწყვიტეთ ვე-
ლოსიპედებით, საუზმეც თან უნდა წაგ-
ველო და ჩვენი წვრილყალიბიანი თო-
ფებიც. ბაღლები ვიყავით და გვეგონა,
რომ იმ პატარა თოფებით ნადირს დავ-

ხოცავდით. ჩვენი ლაპარაკისათვის ელი-
საც მოეკრა ყური და გამოყოფილ მოინ-
დომა. მე არ ვქენი. ჯერ ვაგვიჩინა
მეთქი, ვუთხარი. მას შემდეგ, ნალველი
რომ შემომაწვივება გულზე, სულ ასე ვე-
უბნები: „კარგი. შინიდან ველოსიპედი
წამოიღე და ბობის სახლს წინ დამ-
ხედი, აბა, ჩქარა“. განა ჩემთან სია-
რულს ვუშლიდი. არა, საცა კი წავიდო-
დი თან დამყავდა. მარტო იმ დღეს არ
წავიყვანე. არცა სწყენია — საერთოდ
არ იცოდა წყენა — მაგრამ ეს შემთხვევა
მუდამ მახსენდება, განსაკუთრებით
მამის, როცა გულს ნალველი შემომა-
წვივებდა.

ბოლოს მაინც ვაეხიადე და ლოვინში
ჩავწექი. ვილოცებ-მეთქი, ერთი პირობა
ვიფიქრე, მაგრამ ვერ მოვახერხე. არა-
სოდეს არ გამომდის ლოცვა, რაც არ
უნდა მოვინდომო. ჯერ ერთი იმიტომ,
რომ ცოტას მოვიათვისებ. ქრისტე
მიყვარს, მართალია. მაგრამ დანარჩენი
ყველაფერი სისულელეა ბიბლიაში.
ჯერ მარტო მოციქულებს დამიხედეთ!
თავი მომაბეზრეს, მართალი თუ გინდათ.
ქრისტე რომ მოკვდა, მერე კიდევ არა
უშავდა რა, მაგრამ სიცოცხლეში აბა
რა გაუკეთეს — კაცს რომ ნახვრეტი გა-
უჩნდეს თავში, რა ხეირი უნდა ჰქონდეს
იმ ნახვრეტისაგან?! ქრისტესაც ამნაი-
რი სარგებლობა ჰქონდა იმათგან. რამ-
დენადაც კი შეეძლოთ, მიწასთან გაას-
წორეს. ყველაზე საშინელები სწორედ
ეგ მოციქულები არიან ბიბლიაში. მარ-
თალი თუ გინდათ, ბიბლიაში ქრისტეს
შემდეგ ყველაზე უფრო ის დამთხვეუ-
ლი ბიჭი მიყვარს, გამოქვამულში რომ
ცხოვრობდა და სხეულს ქვეშით იკაწ-
რავდა. მოციქულებზე ათჯერადაც უფ-
რო მიყვარს ის უბედური ნაბიჭვარი.
პეტრონის სასწავლებელში გაუთავებელი
დავა მქონდა ამაზე ერთ ბიჭთან, რომე-
ლიც სწორედ ჩვენს დერეფანში ცხოვ-
რობდა. ართურ ჩაილდსი ერქვა იმ ბიჭს.
კვაკერი იყო და ცხვირი სულ ბიბლიაში
ჰქონდა ჩარგული. კარგი ბიჭი იყო და
მიყვარდა კიდევ, მაგრამ ბიბლიის სა-
კითხში ვერასდობით ვერ შოვრივ-

დით, განსაკუთრებით მოციქულებზე მოგვდიოდა დაეა. მოციქულები თუ გძულს, მაშ ქრისტეც გძულენიაო, მეუბნებოდა. ქრისტემ თვითონვე აირჩია ის მოციქულები და უნდა გიყვარდესო. ვიცი, რომ ქრისტემ აირჩია, მე ვეუბნები, მაგრამ ალაღბედზე აირჩია-მეთქი. დრო სადა ჰქონდა, რომ დაშვიდებით აეწონ-დაეწონა და ისე ამოერჩია. განა ქრისტეს ვამტყუნებ. რა მისი ბრალი იყო, რომ დრო არა ჰქონდა-მეთქი. მას-სოვს, ვკითხე, როგორა გგონია, იუდა — აი, ქრისტეს რომ გადაუდგა — თავისმოკვლის შემდეგ ჯოჯოხეთში თუ მოხვდებოდა-მეთქი. რა თქმა უნდაო, ჩაილდსმა მიპასუხა. ამაზეც ვერ მოვრიგდით — ათას დოლარს ჩამოვალ სანაძლეოს, რომ ქრისტე იუდას ჯოჯოხეთში არასდიდებით არ გაგზავნიდა-მეთქი. ახლაც ჩამოვალ ამაზე ნაძლეოს, ათასი დოლარი რომ მომცა. მოციქულები, იცოცხლე, მაშინვე მიაბრძანებდნენ ჯოჯოხეთში, არც დაფიქრდებოდნენ. ქრისტე კი, სანაძლეოს ჩამოვალ, ამას არ იზამდა. შენი უბედურება ის არის, რომ ეკლესიაში არ დადიხარო, ჩაილდსმა მითხრა. რაც მართალია, მართალია — ეკლესიაში არ დავდივარ. ჯერ ერთი რომ დედაჩემი და მამაჩემი სულ სხვადასხვა რელიგიის ხალხია, ბავშვები კი ათეისტები გამოვედით. მართალი თუ გინდათ, მღვდლები დასანახად მიძულს. რომელ ეკლესიაშიაც არ მივედი, საქადაგებლად რომ გამოვა მღვდელი, ხმა უსათუოდ უნდა დაიშაქროს და დაიტკბოს. ფუჰ, რა საშინელებაა. რატომ არ შეიძლება, ადამიანურად ილაპარაკონ. ისე სულელურად იტყვარკვებიან ხოლმე!

ერთი სიტყვით, ლოცვა ვერ მოვახერხებ. რამდენს დავაპირებდი, იმდენი ის ოხერი სანი გამახსენდებოდა, „ბედოვლათი“ როცა დამიძახა, ბოლოს ლოგინში წამოვეჯექი და კიდევ მოვწიე ერთი სიგარეტი. საძაგელი გემო ჰქონდა. რაც პენსიდან წამოვედი, ალბათ ორი კოლოფი გავათავე.

უცებ, მანამ ეწევიარ და სიგარეტს

ვაბოლებ, კარებზე ვილაკამ დააკუნა. არ მინდა დავიჯერო, რომ ჩემს კარებზე აკაკუნებენ, მაგრამ მშვენიერად ვიცი, რომ სწორედ ჩემთან არიან. ვერ გეტყვით, საიდან ვიცოდი ასე დაბეჯითებით, მაგრამ ვიცოდი კი. ისიც ვიცოდი, ვინ იყო. ფსიქოლოგი ვარ.

— ვინ არის? — გაგახე მე. კარგა მაგრად შემეშინდა. ამისთანა რამეებში, ცოტა არ იყოს, მოვილაჩრებ.

კიდევ დააკუნეს. ახლა უფრო მაგრად.

რა გზა იყო, წამოვდექი, პიყამოს ამა-რა მივედი კარებთან და ვავალე. სინათლე არც კი ამინთა — უკვე დღე იყო. კარებში სანი და ის დამუწულებული მელიფტე მორისი იღვა.

— რა ამბავია? რა გნებავთ? — ვკითხე მე. ჰოი ბიჭო, როგორ მიკანკალეზდა ხმა.

— ბევრი არაფერი, — მიპასუხა მორისმა, — მხოლოდ ხუთი დოლარი. — ორივეს ნაცვლად ის ლაპარაკობდა. სანის კი პირი დაელო და იღვა.

— უკვე გადავუხადე. ხუთი დოლარი მივეცი. აბა ჰკითხე! — ვუთხარი მე. ჰოი ბიჭო, როგორ მიკანკალეზდა ხმა!

— ათი დოლარი უნდა, უფროსო, აკი გითხარი. ერთი თალია — ათი დოლარი, შუადღემდე — თხუთმეტი დოლარი. აკი გითხარი!

— ასე არ გიტყვამთ. თქვენ მითხარით ერთი თალია — ხუთი დოლარიო. ის კი სთქვით, შუადღემდე თხუთმეტი დოლარიო, მაგრამ ვარკვევით ვავიგონე, რომ...

— ჩამოყაპეთ, უფროსო!

— რატომ? — ვკითხე მე. ო ღმერთო, ჩემი გულის ბავა-ბუგი მთელს ოთანში ისმოდა. ჩაკმული მაინც ვყოფილიყავი. საშინელებაა, პიყამის ამარას რომ შეგემთხვევა ამისთანა რამე.

— აბა ჰე, უფროსო! — თქვა მორისმა და ისე მკრა თავისი ბინძური ხელი, ცოტას გაწყდა, იატაკზე არ გავიშობტე. ახმახი ვინმე იყო ეს ძაღლიშვილი. თვალის დახამხამებაში, ისიცა და სანიც



ჩემს ოთახში გაჩნდნენ. ისე იქცეოდნენ, თითქოს მათი ოთახი ყოფილიყო. სანი ფანჯრის რაფაზე წამოსკუბდა. მორისი კი საეარძელში წამოიჭიმა და ქურთუკის განსნას შეუდგა — მელიფტის ფორმა ეცვა. ჰოი ბიჭო, როგორ ვლელავდი.

— აბა, უფროსო, მოგვეცი ფული. ლიფტი მიტოვებული მაქვს.

— ათჯერ გითხარით, ერთი ცენტრიც აღარ მშართებს თქვენი. ხუთი დოლარი უკვე მივეცი...

— სისულელეს ნუ რომავ. ჩამოყაბე!

— ორჯერ რატომ უნდა ვადაეუხადო?! — ვუთხარი მე. ხმა სულ გამებზარა, — მამრიყვებთ თუ რა?!

მორისმა ბოლომდე გაიხსნა თავისი ქურთუკი. ქურთუკის ქვეშ ცარიელა საყელო ებნია — პერანგი არა სცმია. დიდი, ბანჯგვლიანი მუცელი ჰქონდა.

— არაფინაც არ გაბრიყვებს. ჩამოყაბე, უფროსო!

— არ მოგცემთ.

ეს რომ გაიგონა, წამოდგა და პირდაპირ ჩემკენ გამოემართა. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ძალიან დაქანცული და გაბრაზებული ყოფილიყო. ო, ღმერთო, როგორ დაეფეთდი! გულზელდაკრეფილი ვიდექი, მახსოვს. ის ოხერი პიყამა რომ არა მცმოდა, კიდევ არაფერი, ასე არ შევწუხდებოდი.

— აბა, ჩამოყაბე, უფროსო. — ზედ ცხვირწინ ამეტუხა. და ეს სიტყვები დაიყინა: „ — აბა ჩამოყაბე, უფროსო!“ ნამდვილი კრეტინი იყო.

— არ მოგცემთ!

— უფროსო, მოთმინებიდან ნუ გამომიყვან, თორემ იძულებული ვაგზდები ცოტა უფრო სხვანაირად მოგელაპარაკო. სულაც არ მეხალისება ეს, მაგრამ, ეტყობა, ასე მომიწევს, — თქვა მან, — ხუთი დოლარი გმართებს ჩვენი.

— არაფერიც არ მშართებს, — ვუთხარი მე, — ხელი არ დამაკაროთ, თორემ ისეთ ღრიალს მოვრთავ, მთელს სასტუმროს ფეხზე დაეყენებ. პოლიციასაც და ყველას, — ჰოი რა საცოდავად ამიკანკალდა ხმა!

— მიდი. იღრიალე, მანამ მოგეწ-

ყინოს. მიდი, რაღას უცი! — მითხრა მორისმა, — თუკი გინდა, მამბლენს გააგებინო, კასპასთან რომ გაატარე ღამე. კიი ოჯახიშვილი კი ხარ! — ამისთანა საზიზღარ საქმეებში ჰკუა ალესილი ჰქონდა. ნამდვილად.

— თავი გამანებეთ. თავიდანვე რომ გეტყვით ათი, სულ სხვა საქმე იყო. მაგრამ მაშინ გარკვევით...

— გეძლევ თუ არა ფულს? — კარებთან მიმჩინა. თითქმის ზედ მომადლო თავისი ბინძური, ბანჯგვლიანი მუცელი.

— თავი დამანებეთ. ჩემი ოთახიდან გადიეთ. — შეეძახე მე. ხელები ისევ გულზე მქონდა დაკრეფილი. ო ღმერთო, რა უბადრუკი ვიყავი!

ამ დროს სანიმაც ამოიღო ხმა, აქამდე ჩუმად იყო.

— ჰეი, მორის, მაგისი საფულე ხომ არ ავიღო? ეგერ არის, თაროზე.

— აილე, მიდი.

— საფულეს ხელი უშვით!

— ჟივე ამოვიღე, — თქვა სანიმ და ხუთდოლარიანი ცხვირწინ ამიფრიალა. — მეტი არ ამომიღია, ხომ ხედავ რაც გეშართა, ის ამოვიღე. ჯიბგირი არ გეგონო.

უცებ ტირილი ამოვუშვი, ნეტავი კი ეს არ დამშართოდა, მაგრამ რაღას იზამ. ტირილი წამსკდა.

— დიახ, ჯიბგირები არა ხართ, როგორ არა! ხუთი დოლარი ამაწანეთ!..

— მოკეტე! — მიყვირა მორისმა და ხელი გამკრა.

— თავი გაანებე, — დაუძახა სანიმ, — წამოდი, წავიღეთ. რაც ეშართა, უკვე ამოვიღეთ. წამოდი. თავი გაანებე.

— მოვდივარ, — მიუგო მორისმა, მაგრამ ფეხიც არ მოუცვლია.

— წამოდი-მეთქი, მორის, არ გეყურება! თავი გაანებე.

— ვინ რას უშეგებს?! — ისე თქვა, თითქო მამა აბრამის ბატკანი ყოფილიყო. მერე უცებ პიყამაზე წკიპურტი მკრა, ვერ გეტყვით რა ადგილას, მაგრამ გამამწწრა კი. ბინძური კრეტინი ხარ-მეთქი, მივხალე.

— რაო? — ხელი ჭურის ნიყარაზე

ამოიღო, თითქოს ყრუ ყოფილიყოს, —
რაო? ვინ ვარ?

მე ისევ ვღრიალებდი. ვიდექი და გი-
ცივით ვღრიალებდი.

— ბინძური კრეტინი ხარ! — შეეძა-
ხე, — კრეტინი და გაიძვერა. ორ წელი-
წადში გაძვალტყავებული მათხოვარი
გახდები და ქუჩაში ხელგაშვერილი
ივლი მოწყალეებს სათხოვნელად, სულ
ამოწვინტლულ-ამოსვრილი იქნები და...

ახლა კი მაგრად მომაკერა. განძრევაც
ვერ მოვასწარი, ვერც კი დავიხარე, რომ
მუცელში ცეცხლი დამიტრიალა.

გონება ალბათ არ დამიკარგავს, იმი-
ტომ რომ, მახსოვს როგორ გაილაღნენ
ოთახიდან და კარი გაიკეტეს. მე იატა-
კიდან ავხედე. დიდხანს ვეგდე იატაკზე,
როგორც მაშინ, სტრედლეიტერთან
ჩხუბის დროს. ოღონდ ახლა, ვკედები-
მეთქი, ვფიქრე. ნამდვილად. თითქოს
ვიხრჩობოდი, სული ვეღარ მოვითქვი.
ბოლოს როცა წამოვდექი, სააბაზანოს-
კენ მოვინდომე წასვლა, მაგრამ ვერას-
დიდებით ვერ გავიმართე, მუცელზე
ხელები მოვიჭირე და მოკაყული წაე-
ბობლდი.

ისე, გიყი კი ვარ, ღმერთმანი. ჯერ
სააბაზანოში არც შევსულიყავი, რომ
უცებ თავში გამკრა — ნაწლავებში ნამ-
დვილად ტყვია მაქვს-მეთქი. იმ მორისმა
მომარტყა ტყვია. ახლა სააბაზანოში
მივდივარ, რომ ვისკი ან რამე გადაე-
კრა და ნერვები დავიმშვიდო. წარმოვი-
დგინე, როგორ გამოვიდოდი სააბაზა-
ნოდან, უკვე ჩაცმული და ყველაფერი.
ჯიბეში რევოლვერი მიდევს და ცოტა-
თი ფეხი მემსლება. მერე კიბეზე დავე-

შვები — ლიფტით არ ჩავალ. მოაჯირს
ვეყრდნობი და თან პირდაპირ სისხლი
მდის. რამდენიმე სართულს ასე ჩავიე-
ლი — მუცელი ხელით მიჭირავს, სის-
ხლით სულ მოითხვარა მთელი კიბე,
მერე ლიფტის კარებს მივადგები და
დავრეკავ. გააღებს თუ არა კარებს ის
მორისი, ხელში რევოლვერს დამინახავს
და, შეშინებული, თავისი ჩაბრინწული
ხმით ბლავილს ამოუშვებს, თავი გამა-
ნებეო. მაინც ვესერი. ექვს ტყვიას და-
ვახლი იმ გამოზებრილ ბანჯკვლიან მუ-
ცელში. რევოლვერს იქვე დავაგდებ,
ლიფტში, — ოღონდ ჯერ, რა თქმა
უნდა, ვაუწმენდ, რომ თითების ანაბეჭ-
დი მოვაცილო. მერე ჩემს ოთახში
შევბრუნდები და ჯეინს დავურეკავ,
დავიბარებ და ჭრილობას შევავხვევინებ.
წარმოვიდგინე, როგორ მოაქვს ჩემს
პირთან სიგარეტი და როგორ მაწევი-
ნებს, მე კი სისხლისაგან ვიცილები.

ეს ოხერი კინო. მოგსპობს და მოგა-
თავებს. არ გეხუმრებით.

თითქმის მთელი საათი ვიყავი სააბა-
ზანოში. ვიბანავე და ყველაფერი. მე-
რე ისევ ლოგინში ჩაწექი. დიდხანს
ვიწრიალე, მანამ დავიძინებდი დალი-
ლი სულაც არ ვყოფილვარ. ბოლოს,
როგორც იქნა, ჩამეძინა. მართალი თუ
გინდათ, თავისმოკვლის გუნებაზე ვი-
ყავი, ნეტა ფანჯრიდან გადავვარდე-
მეთქი, ვფიქრობდი. გადავვარდებოდი
კიდევ, იმედი რომ მქონოდა, რომ ხე-
ლადვე მოირბენდა ვინმე და რამეს გა-
დამაფარებდა. არ მინდოდა, უსაქმური
იდიოტები შემომხვეოდნენ გარს და
სისხლში მოთხვრილისათვის ეცქირათ.

თარგმანი ინგლისურიდან **ვახტანგ პელინიას**

(გაგრძელება იქნება)



საგჳოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII
ყრილობის შესახვედრად

გიორგი ნაგროშვილი

მიწა და ადამიანები

თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, საქედისის ფოტო-ქრონიკის ვიტრინაში გამვლეღის თვალს იტაცებდა ერთი ჯგუფური სურათი, რომელზედაც აღბეჭდილი არიან მკვიდრნი აღმოსავლეთ საქართველოს ყველაზე განაპირა კუთხისა—კახეთისა; სურათიდან იციჩრებიან რაიკომის მდივნები და საზამთრო საძოვრებიდან ამოსული მწყყენსები, მექანიზატორები და კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, მევენახეები და მესიმიწდებები, ერთი სიტყვით, მაღალი მოსავლის ოსტატები, პატრონები ამ მიწისა, მისი ბედის განგებელნი და მთელ სურათს ეტყობა, რომ ეს ადამიანები აქ რაღაც განსაკუთრებული შემთხვევის გამო შეკრებიღან. ასეთი ჯგუფური სურათის გადაღება მართოდ იდი სიხარუღის დღეს იციან, სამახსოვროდ უნდათ ხოღმე, რომ ეს დღე აღბეჭდონ და აღარ დაივიწყონ. პოღა, ატღაც დაუვიწყარი დღე აქვთ და ამიტომ უღინის ყვეღას მზეში დამწეარი სახე.

და აი, თქვენ ხედავთ, რომ ამ ჯგუფში, შუაში ზის ნიკიტა სერგისძე ხრუმოივი და სიყვარულით, როგორც შეღლისათვის, ისე გადაუხვევია ხეღი შირაქის მიწდერიღან ჩამოსული მექანიზატორის — აბრამა ბენაშვიღისათვის; სურათზე ჩანს, დაუმორცხვებია ამ მუღდამ თამამ ბიჭს, მაგრან ისიც აშკარად იგრძნობა რაოდენ გახარებუღია იგი. ან კი როგორ არ იქნება გახარებუღი! თითონ ქვეყნის მეთაურმა, უზარ-

მაზარი სახელმწიფოს ხელმძღვანეღმა მოუწონა მას შრომა და ვაყვაცობა, დაუღოცა მარჯვენა. კაციისათვის იმაზე დიდი სიხარული რაღა უნდა იყოს, როცა ის გრძნობს, რომ გამოადგა თავის სამშობღოს. ეს სიყვარული და მაღღობა ხაღხისა იგრძნო აბრამა ბენაშვიღმა, როცა მას ქვეყნის ზეთაურმა ხეღი ჩამოართვა. მან დაუღვასა შრომა აბრამასა და მის თანასოფლეღებს, თანამებრძოღებს, თანამომწეღებს, მიწას რომ შესჭიდებღან, ურთულეს მანქანებს დაუღღებულნი კომუნისტს რომ აგებენ ძვეღ ქართულ მიწაზე, აგებენ მარჯვეღ, საზრიანად, უმტკიცეს საძირკვეღს უყრიან მას.

იმ მიწებიღან, საღაც აბრამა ბენაშვიღის ტრაქტორი გუგუნებს — იწყება საქართვეღო, იწყება ტარიბანისა და მიღარის ვენახებით, შირაქის შრიღლა ყანებით, იწყება აღაზნით, რომელზედაც ნ. ტიხონოვმა თქვა, რომ ის ჭაღარაა როგორც ლეგენდა და ჭაბუყურია, როგორც სიმღერაო, იწყება დაუღევეღი ცხვრის ფარებით, თოღლიღით რომ გადაათურებენ ხოღნე მიწდერებს, იწყება ვეებერთეღა სოფღებით, რომღლებიც უკვე ჭაღაქებსა ჰგვანან თავიანთი სიღამაზით, სიმღიდრით და კეთიღმოწყობით; და აი აქ ცხოვრობენ ის ადამიანები, რომღებსაც, ნიკიტა სერგისძის ფრთიანი გამოთქმა რომ ვიხმართო, საქვეყნო სუფრაზე მართო პირვეღი და მეორე კი არა, მესამე კერძიც შენოაქვთ, ე. ი. ისინი მართო

ცხვარ-ძროხას კი არ უვლიან, მარტო პური და სიმინდი კი არ მოჰყავთ, არამედ ხილითაც და ყურძნითაც განთქმული არიან.

როცა ნიკიტა სერგის-ძე კახეთში ჩავიდა, იქაურებმა თავი მოუყარეს მინდვრის ყველაზე სახელოვან, ყველაზე მარჯვე ოსტატებს. არჩევანი აქ არც ისე ადვილი იყო, ვინაიდან, როგორც იტყვიან ხოლმე, მჯობნის მჯობნი არ დაილევა და შრომით სახელგანთქმულ ადამიანებსაც საქართველოში სათვალავი არა აქვს; და აი მათ რიცხვში აბრამაც წარუდგინეს სახელმწიფოს მეთაურს. რაკი-ღა სიტყვა ამ ტრაქტორისტზე ჩამოვარდა, მინდა ვთქვა, რომ ამ ერთი ადამიანის ბედზეც შეიძლება დაინახოს კაცმა თუ რა მოუტანა სოციალიზმმა ქართველ გლეხკაცს. აბრამ ბენაშვილის წინაპრებსაც შირაქში დაუღვევიათ თავიანთი დღე და წუთისოფელი და მათი შთამომავალიც ამ მიწას ეჭიდება. მე თვითონ იქაური ვარ და კარგად მახსოვს შირაქი კაპიტალიზმის დროსაც და ვიცნობ ახლაც, კომუნისმის გაშლილი მშენებლობის ეპოქაში; და რაკი-ღა აბრამა ახლა ჩვენი პირველი ფლავეანია, ჩინდა გავიხსენო, თუ რა ბედი ეწვეოდათ ხოლმე იმ ადამიანებს, ვინც ძველ შირაქში შრომის პირველი ფლავეანი იყო; ამ ადამიანების ბედზე, მათს ბიოგრაფიებში, როგორც წვეთ წყალში, შეიძლება დაინახო მთელი ეპოქები.

და აი, მე მაგონდება დიშო, რომელიც მთელ შირაქში ყველაზე კარგი მკელი იყო. სოფლის ბობოლეებს, დიდი ყანების პატრონებს ჩხუბი წოსდიოდით ხოლმე, თუ ვის ყანაში უნდა ემუშავა მას მომავალ ზაფხულს. ეს გსაგებიც იყო: დიშო მუშაობდა ოთხ კაცზე მეტს და მისი ნამგალიც საგულდაგულოდ მარტო მისთვის იყო გამოქედილი, არა ჰგავდა ჩვეულებრივ ნამგლებს, ისე როგორც ლეგენდებში გაგვიგონია ხოლმე, რომ ყველაზე მამაცი რაინდის ხმალი სხვებისას არ ჰგავს. დიშო საოცრად ამაყი კაცი იყო, იცოდა თავისი თავის

ფასი და, როცა ყანები გაიჭრებოდა, მაშინ წუთსაც არ გააცდენდა, საძულეოზე მიმავალს, ახლო ნაცნობი და მეგობარიც რომ შეხვედროდა გზაზე და გაეჩერებინა, დიშო მწყარალად შეუტრევადა:

— ნუ ნაცდენ ძმაო, განა არ იცი, რომ დღეში კოდი ვლირვარო!

ეს მარტო დიშოს ნიხრი იყო. ხოლო საშუალო მკელს ორი ფუთი ეძლეოდა და არ იფიქროთ, რომ დამჭირავებელი აგებდა. როცა დიშო მუშაობას დაიწყებდა, იმის ყურებას არა სჯობდა-რა, ვერავინ ვერ გაჰყვებოდა, ჩამოიტოვებდა ყველას უკან, ბღღვინავდა ყანაში, მისი ერთი ხელეური ძნასა ჰგავდა, ხოლო მისი ათეული — თაია გეგონებოდა. ერთი სიტყვით, ეს იყო ყველაზე მანაცი მშრომელი და... ყველაზე დატაკი კაცი მთელ სოფელში. რათ უნდოდა საწყალს, თავის წუთებს რომ უკრთობილდებოდა — ნუ გამაცდენთო, რატომ არ იცოდა, რომ ეს წუთები კი არაა. მთელი სიღოცხლე მისი არ იყო. აბა რა იყო იმისა ცხოვრება: ზამთარს როგორღაც გაათრევედა, მომავალი ზაფხულის ანგარიშში რომელინე ბობოლას თითო ლიტრაობით პურს ესესხებოდა, და ისინიც იმ ზამთარში პურს მამა-სისხლად დაუფასებდნენ, რომ ზაფხულში ხელში ჰყოლოდათ, ხოლო ზაფხულზე, ვიდრე ყანები გაიჭრებოდა, მისი წვრილფეხობა (ძლიერ ბევრი ბავშვები ჰყავდა, არც მახსოვს რამდენი სული, ეს კი იყო ყველანი სანახევროდ შიშველ-ტიტველნი დადიოდნენ) მოედებოდა ხოლმე ახლო-მახლო ფერდობებს. იქნებ გეგონოთ, გაზაფხული უხაროდა პატარებს, ჰრელ-ჰრელ ბილილებს შეჰხაროდნენ, იასა და ფურისულას! არა, გაზაფხულის სილამაზეს ნათთვის აზრი არა ჰქონდა, რადგანაც მათ შიოდით. მოედებოდნენ, მოეფინებოდნენ ამწვანებულ მდელს და მხალსა ჰკრეფდნენ, ეს იყო ახლა იმათი საზრდო და მარტო ამიტომ უყვარდათ გაზაფხული.

ჰო, ასე იყო... შირაქში მამის მიერ



ნომკლ პურს კი არა, ღოღოსა და ჭინჭარს, სატაცურსა და ყვავისფრჩხილას უნდა დაეხარდა ეს ბავშვები; დიმი ჩემი მეზობელი იყო და მახსოვს, ყვავისფრჩხილას უმაღაც სკამდა ხოლმე, ფოთლებსა და ღეროებს მარილს დაჟირიდა და შეეჭკეოდა, ისე როგორც დაეთ გურამიშვილი დაღესტნის მიუვალ მთებში. ტყვეობიდან გაქცევის დროს: „პური არა მაქვს, მიბოძე, წმინან, მაჭამეო, არსობისა პურს გამყარე, შამბი მაძოგეო, დავიკრიფე ყვავისფრჩხილა და ისა ვჭამეო“.

დიმომ წერა-კითხვა არ იცოდა და, ცხადია, არც გურამიშვილი ჰქონდა წაკითხული, თორემ თამამად შეეძლო გაემეორებინა ეს სიტყვები და ესაყვედურა საწუთროსათვის — რათ წამართვი პური არსობისა და მარტო შამბი რათ მარგუნეო.

და კვლავ მინდა გავახსენო მკითხველს — ეს იყო ყველაზე უფრო გამრჯე კაცი მთელ შირაქში.

მარტო დიმი როდი იყო ამ დღეში, ასეთი იყო ბედი, უფრო სწორად უბედობა მთელი თაობებისა, რომელთაც ისე მოლოდინს ეს წუთისოფელი, რომ მისი სიკეთე და მაღლი ვერ იხილეს.

და აი ახლა, იმავე მიწაზე შრომობს მათივე შთამომავალი თუ მეზობელი აბრამა ბენაშვილი; მიწა იგივეა კახეთში, ცაც იგივეა და მზეც, მაგრამ მაშინდელ ყველაზე საუკეთესო გამრჯელს არაფერი არ ეკუთვნოდა ამ ქვეყანაზე, დღევანდელი კი თვითონ არის ქვეყნის პატრონი, თვითონ არის უფროსი, ახლა იმისია ეს შირაქი, სადაც მან შარშან დათესა და ხელის შრომის გამოუყენებლად დაამუშავა 130 ჰექტარი სიმინდი და 61 ჰექტარი მზისუმშირა, ურწყავ მიწაზე მიიღო ჰექტარზე 22,9 ცენტნერი სიმინდის მარცვალი, მზისუმშირა—22,2 ცენტნერი, ხოლო წლევეანდელი წლისათვის პირობა მისცა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს, რომ ხელის შრომის გამოუყენებლად, მარტოოდენ მანქანებით 100 ჰექტარ ფართობზე საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანს 65 ცენ-

ტნერ სიმინდის მარცვალს მოურწყავად, ხოლო 60 ჰექტარ ფართობზე 200 ცენტნერ მზისუმშირას ჰექტარზე. ის ასეთი მბრძანებელია ის ბუნებისა და ზინდორში ცხრად წელში მოხრილი კი არ მუშაობს, არამედ სულ გამოუდგენია ხელით შრომა. განა ეს მის წინაპრებს თუნდაც სიზმარშიც კი მოეჩვენებოდათ?

მე ზემოთ უკვე ვთქვი, რომ აღმოსავლეთის მხრიდან საქართველო იწყება ივრისა და ალაზნის ხეობებით. ჩვენც აქედან გავყვით და გადავავლოთ თვალი ნთელ საქართველოს, უძველესი ისტორიის მქონე ქვეყანას, რომელმაც კომუნისტურში ჰპოვა თავისი ახალი სიკაბუჯე. აქ ერთი ამბავი მინდა გავისტენო: როგორც სხვაგან, ჩვენშიც უმკიდროესად არის გადაწული ერთი-მეორეში ლიტერატურის ისტორია და ხალხის ყოფა; ოდესღაც, შუა საუკუნეებში, ეს მიდამოები, სადაც იორი და ალაზანი ერთვოდნენ ერთი-მეორეს, მთელი ეს სანაპიროები აყვავებული სოფლებითა და ქალაქებით იყო დაშველებული. ნერე შემოსეულმა ურდოებმა მოსრნეს ეს მხარე და დიდინის მანძილზე აქ უდაბურებამ დაისადგურა. მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის შირაქის ვეებერთელა ველი, ტარიბანა და ივრის მიდამოები. თითქმის დაუსახლებელი იყო — ეგდო უნაყოფიერესი მიწა, თითქოს სიზმრებში წასულიყო და, იმავე დროს, სადაც მთებში შეხიზნული ქართველობა საშინელ ხელნოკლეობას განიცდიდა. და სწორედ მაშინ მოიფიჭრა დიდმა ვაჟა-ფშაველამ ხალხი მთიდან ბარად გადმოეხაზლებინა. რამდენჯერ უნახავთ ვაჟა, ძველი ჩოხით, ცხენზე ამხედრებული, დაადგებოდა გზას მთიდან შირაქისაკენ, ინახულებდა მიწებს, ქართველთა ძველ ნასახლარებს და მერე ეხვეწებოდა მთიელებს, ჩამოდიეთო შირაქში, წერილებს აქვეყნებდა გაზეთებში, იქნებ გაზეთს უფრო დაუჯერონო. მართლაც, მის ძახილს ყური მიუგდეს, ჩამოვიდნენ ბარში ქართვე-

ლები და გაცოცხლდა ძველი მიწა, მაგრამ სიღარიბეს მაინც არაფერი ეწველა. მერე ის იყო, მეფის მთავრობამ უცებ გადაუღობა გზა მთის ქართველობას შირაქისაკენ. გულმოკლული ჩიოდა ვაჟა: „შირაქში გადასახლებაც შეჩერდა, დიახ, შეჩერდა ნთავრობის განკარგულების წყალობით: ვინც დასახლდა, ისიც მეტია, სხვას ველარ მიეცემთ ნებას დასახლებისასო. ამ სხვებმარა დააშავეს ალაჰმა უწყის, ახლად დასახლების მსურველთ რათ უკეტავენ შირაქის კარებს, ეშმაკმა უწყის“.

აი ასე უკეტადნენ ქართველს თავისივე საშობლოს, საქართველოს კარებს, არ აძლევდნენ მას უფლებას დასახლებულიყო იმ მიწაზე, საიდანაც ოდესღაც, შუა საუკუნეებში მისი წინაპარი აიყარა და ნიუვალ მთას შეაფარა თავი. ჩამოსახლების ეს აკრძალვაც კაპიტალიზმის მგლური კანონი იყო — ბობოლებს ეს მინდვრები თავიანთი ცხვრის ფარების საძოვრებად უნდოდათ და ხალხისათვის არ ემეტებოდათ.

ვაჟა-ფშაველას კი არ შეეძლო შერიგებოდა ამ უსამართლობას, არ შეეძლო შერიგებოდა იმ სილატაკეს, რომელსაც ხედავდა ყოველ სოფელში, ყოველ ნაბიჯზე.

ამაზე წუხდა და ტიროდა ილია ჭავჭავაძე: „გჩივით და ვტირით ჩვენს სიღარიბეს, ჩვენს უილაჯობას. ეს ჩივილი და ტირილი მით უფრო საოცარია, რომ ჩვენი ქვეყანა ჰავით, მდებარეობით, მიწით ღლიდარია და შემძლებელია გაგვამდიდროს, ჭონებით გაგვამდიდროს, გაგვალონიეროს. ამ მდიდარსა და მომცემ ქვეყანაში რათა ვართ ღარიბნი და ღატაკნიო“. ილია ჭავჭავაძე ოცნებობდა ელექტრონზე, ოცნებობდა მანქანებზე, ოცნებობდა როდის დადგება ის დღე, რომ საქართველოს ოცი აგრონომი ჰყავდესო, და რომ რაღაც ეშველნა ქვეყნისათვის, შესანიშნავ ლექსებთან და მოთხრობებთან ერთად, წერდა სტატიებს მეცხოველეობაზე და საძოვრებზე, ღვინის დაყენებაზე, ვენახის მოვლაზე, პურის წოსა-

ვალზე, ხოლო, აკაკი წერეთელი ჭიათურის მარგანეს დასტრუქტურაზე, შესანიშნავი ბელეტრისტი ალექსანდრე ყაზბეგი ცხვრის ფარას დასდევდა, ისიც კულტურულ მეურნეობაზე ოცნებობდა, მაგრამ კაპიტალიზმი ფრთხალს ჰკვებდა და ყველა მათ ოცნებას და ყოველივე ამის შედეგი იყო ეს საოცარი გაუგებრობა — უმდიდრესი საქართველო იყო უღარიბესი ქვეყანა.

სოციალიზმმა მოუტანა საქართველოს საუკუნოობით ნანატრი თავისუფლება და ამიერიდან დაიწყო ჩვენი ქვეყნის ახალი ისტორია, ფასი დაედვა ადამიანის შრომას, ფასი დაედო მიწის მადლსა და ბარაქას. ოცი კი არა, მრავალი ათასი აგრონომი დასტრიალებს დღეს თავს საქართველოს მინდვრებს. დღეს აქ ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა ძღვევამოსილება კომუნისტის საუკუნისა, იგრძნობა მისი ღონიერი სუნთქვა, ჩანს კომუნისტის ხილული ნიშნები, აქ ახლა ყოველ მთის წვერზე ილიჩის ნათურები ბრწყინავენ და ისე არეულან ისინი ვარსკვლავებში, რომ აღარ გარჩევა სად არის ცა და სად დედამიწა.

ქვეყნად რომ სასწაული შესაძლებელი იყოს და პაპისააბა დღევანდელი ტრაქტორისტისა, იმავე აბრამასი, ერთი წუთით წამომდგარიყო საფლავიდან ის შირაქში ისე იგრძნობდა თავს, როგორც ყველაზე უფრო ფანტასტიკურ ზღაპარში, ოდესღაც ის ხომ ამ მინდვრებში იცნობდა ყოველ ბალახის ღერს, ყოველ ბუჩქს, მაგრამ ახლა ათასი აუხსნელი საიდუმლოება დახედებოდა, თვალებს მოიფშვინებდა გამელღვიძოსო და ბევრიც ეფიქრა, ვერაფერს ვერ მიხვდებოდა.

ის ვერ მიხვდებოდა როგორ ხდება, რომ მინდორში აღარა ჩანს ხის გუთანში შებმული ხარები, აღარა ჩანან მებჩრები, მიწა კი ბელტი ბელტზე გადმოდის და ერთი კაფანდარა ბიჭი თითონვე ფარცხავს, თესავს, მკის, ლეწავს, ანიავებს და ერთი კაცი აკეთებს იმდენ საქმეს, რამდენსაც წინათ ასი ვაკაკი ვერ ერეოდა. და რაც ყველაზე

მთავარია, ხელით შრომა გადაუდგია მას, კაცი კაცს აღარ სჩაგრავს, მოჯამაგირედ მას ახლა წაქანა ჰყავს.

და ამ ფონზე სულ უფრო და უფრო ნათლად ჩნდებიან ჩვენი შუქურები — ეს ცნებაც შეიძლება მოიხსნას და დაამკვიდრას; ჩვენი დროის სილამაზეს, ხალხის საერთო ზეალმავალი ცხოვრების რიტმსა და პათოსს ყველაფერზე უკეთესად ეს აღმჩინებელი განასახიერებენ. აი, თუნდაც სართიქალეული ქალიშვილი მერი კვაპანტირაძე. ვინღა არ იცნობს ახლა მას, საიდან სადამდე გაუთქვა მას სახელი ქვეყნის სასიყვოთო შრომამ! მისი პორტრეტი ახსოვს „იზვესტიას“ მკითხველს გაზეთის პირველ გვერდზე, მას კარგად იცნობს ყურნალ „იუნოსტის“ მკითხველიც, ხოლო რესპუბლიკურ პრესას ნულარ იკითხავთ — ბევრი დაწერილა ამ სასახლო ქალიშვილის შრომაზე, კიდევ ბევრი დაიწერება.

იმევე გაზეთებში წავეითებთ ჩვენ მერის სიტყვა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე. მაშინ მან პირობა დასდო, რომ მიწინარე წელს 25 ძროხიდან თვითველზე 6 ათას კილოგრამ რძეს მიიღებს.

ეს რომ გავიგონე, მაშინვე ფანქარს მოვიყიდე ხელი და ანგარიში დავიწყე. საკმაოდ შთამაგონებელი ციფრი გამოვიდა — 150 ტონა რძე.

აბა დაფიქრდით, ეს ხომ ვეებერთელა თეთრი ტბა არის და მე წარმომდგა თვალწინ როგორ დაეწაფება ამ ტბას მრავალი ათასი პატარა ნანა თუ ქეთინო, ცირა თუ გივი, ზურიკო თუ თამარიკო — მთელი ნორჩი საქართველო!

მაგრამ სართიქალეული ქალიშვილი მარტო ხომ არ არის — ვინ მოსთვლის რამდენი ასეთი სასახლო მშრომელი ჰყავს შეიძლება. კახელებმა მე წიამბეს ორ ძმანზე, ზემომამხანაელ ჩიტო და რამანა ჯანაშვილებზე. ძმები თურმე მერის ბევრით აღარ ჩამორჩებიან და რაც მთავარია — ერთი-მეორეს ეჯიბ-

რებიან. ამასთან, ისინი სხვადასხვა ბრიგადაში არიან, და, მაშასადამე სხვადასხვა მინდორში, ერთი-მეორეში — მერე — ოლე-იორზე. მოცლა არა აქვთ და იშვიათად ხედებიან ერთი-მეორეს. და როცა შეხვდებიან, ვიდრე სალამს იტყოდნენ, ჯერ იმას შეიტყობენ — ძმამ ხომ არ გამასწროო.

და ყველაფერი ეს რომ წარმოიდგინოთ, ის რძის ტბა უფრო უზარმაზარი და ვეებერთელა გახდება!

ახლა ჩვენი ნევენახეები გაიხსენეთ, აი თუნდაც ველისციხელი ვლენე მეზერიშვილი; შარშან მისმა რგოლმა 7 პექტარ მსხმოიარე ვენახის თვითველ პექტარზე 100 ცენტერი ყურძენი მოკრიფა. აქ უკვე სტატისტიკას აღარ შეუდგები, ვინაიდან ბავშვს თითო ჯერზე ორას გრამზე მეტი რძე რათ უნდა, ღვინო კი, აბა მოდი და ინგარიშე თვითველ ვაეკაცზე! აქ ხასიათზე ჰკილია და ტემპერამენტზე. მაგრამ წაინც ნურავის შეეშინდება! საქართველოს კი არა, მთელ ქვეყანას ეყოფა ჩვენი ღვინო, მარტო ყვარელში, მიწის ქვეშ შენდება სარდაფი ღვინის შესანახად, რომელსაც ორი კილომეტრი სიგრძე ექნება... აი, მარანიც ამასა ჰქვია!

მაგრამ ეს საკითხი მეტისნეტად ნუ გავვიტაცებ — ქართველი კაცი მუდამ განთქმული იყო იმით, რომ ყველაფერში ზომა იცოდა, ყველაფერში, გარდა ვაეკაცობისა და სამშობლოს სიყვარულისა.

ახლა გაიხსენეთ ჩვენი მეჩაიეები — რაც საბჭოთა კავშირში ჩაის მოსავალი მოდის — აქედან 97 პროცენტს საქართველო იძლევა. ისე, რომ ჩვენი შუქურები აქაც გულს არავის დასწყვეტენ. გაიხსენეთ ახლა ჩვენი ნეფრინელები, მებაღეები, მეცხოველეები, მესამინდეები... რას არ იძლევა ჩვენი მადლიანი და უხვი მიწა, როცა მას გამორჯე და დაუღალავი საბჭოთა ადამიანი დატრიალებს თავს.

ორიოდე სიტყვა ქართველ მეცხტარუსებზე მინდა ვთქვა. გასული წლის ბოლოს აჭარაში ვიყავ. გახურებულ

რთველი იყო, გზებზე დაუღვევლად მიჰქროდნენ მანდარინით პირთამდე საეგე საბარგო ნაქანები. გზიდან, საითაც უნდა გადაგეხედათ, ფერდობებიდან შემოგანათებდათ ფორთოხლის, მანდარინის და ლიმონის ნაყოფით დახუნძული ხეები. იდგა ხალისიანი ქრია-მული, მეციტრუსეები კრეფას ვეღარ აღდიოდნენ და შემფუთავი ქარხნების ქაღალდელები ყუთებში ჩაწყობას. იმ დღეს ბათუმის რაიკომის მდივანი ნინო ხახუტაიშვილი გაემგზავრა კოლმურნეობებში და წეც თან გაეყვები. და შე ენახე, რომ ეს ქალი მარტო რაიკომის მდივანი კი არ იყო, დედა იყო, უფროსი და იყო ყველასი, ვინც შესეოდენ ამ ფერდობებს, კალათებით გამოჰქონდათ ხილი გზისპირებზე, როგორ უბრწყინავდათ მათ თვალები ამ ქალთან შეხვედრისას. ყველგან ეხედავდი სიხარულით გაბრწყინებულ ამ თვალებს — ქოროხის ხეობაში, ძველ მარადიდთან თუ ზღვის ნაპირის გასწვრივ — ლაზთა სოფლებში, კახაბერის ველზე, თუ იმ მაღლობებზე, ბათუმს რომ გადმოსცქერიან. საოცრად გადამდები იყო ეს მათი ჩუმი, უთქმელი სიყვარული, რომელიც დაფარული იყო სადღაც საქმიანი საუბრის იქით, იმ ხანმოკლე საუბრის მიღმა, რომელიც ეხებოდა კალათებს, ყუთებს, მანქანებს, მუშა ხელს და ყოველივე იმას, რასაც დიდი რთველის გაწამაწია მოიყოლებს ხოლმე თან.

გავყურებდი ამ მიდამოებს და თვალი ვეღარ მომეწყვიტა ამ გორაკებისათვის, ტალღა-ტალღა რომ მიდიან ზღვისაკენ, თითქოს ის მთებიც ზღვასა ჰბაძავენ, იმასავით იქორებდნენ და „ვოლგაც“ ხან ქოჩორზე ნოექცევა, ხანაც დაბლობში ჩაეშვება. გეჩვენება, თითქოს მთებზე კი არა, ზღვაზე მიდისო „ვოლგა“, ციმციმებენ ფერება — ყვითელი, მწვანე, მეწამული, ნარინჯისფერი, ცისარტყელას შეიდივე ფერი დალდადებს აქ, ციმციმებს და ზეიმობს.

ამ ფერებს მარტო კი არ ხედავ, თითქოს გესმის კიდევ, მოგძახიან ეს წთები, ჰბატუებენით რომ დგანან და გული ვეღარ იტევს სიხარულს, როცა შესცქერი ესოდენ ლამაზსა და წარბაც სამშობლოს.

ასე იქცა საქართველო აყვავებულ ბაღნარად.

უნებურად ისევ წარსული გახსენდება კაცს: აჭარაში გამგზავრების წინ ზელთ ჩამივარდა ერთი საინტერესო კრებული „ბათუმი და მისი მიდამოები“, გამოცემული რუსულ ენაზე, ბათუმიში, 1906 წელს. აქ გამოქვეყნებულია, სხვათა შორის, გენერალ-ლეიტენანტ პოტოს და ცნობილი ქართველი ისტორიკოსის მოსე ჯანაშვილის ძალზე საინტერესო ნარკვევები ბათუმის ისტორიაზე, ქოროხის ხეობაზე, ლაზის ტანზე. აქვე დაბეჭდილია ს. ტიმოფევის ნარკვევა აჭარის სოფლის მეურნეობაზე და საინტერესოა, რომ განიხილავს რა ცალკეული კულტურების სამეურნეო მნიშვნელობას, ტიმოფევი მანდარინსა და ფორთოხალს ასახელებს ყველაზე ბოლოს, მხოლოდ მას შემდეგ, როცა მოათავებს ლაპარაკს ბალის, ატმის, ქლიავის, თხილის, კოქშის და ლედვის შესახებ. ყოველივე ამას თურმე უფრო მეტი წონა ჰქონდა სოფლის მეურნეობაში. მაგრამ ტიმოფევი იმას კი დიდი ამბით აღნიშნავს, რომ სარდსა, გონიოში და მახინჯაურში ისეთი ბალებიც შეგხვდებათ, სადაც ფორთოხლის ხეები ათეულობით შეიძლება დაითვალოთ. ეს ამბავი გამახსენდა, როცა იმავე სარდის მახლობლად წინო ხახუტაიშვილმა უზარმაზარი ბაღი მიჩვენა, რომელსაც ასტონიან ბაღს ეძახიან. აქ სხვა პარალელები საჭირო აღარ არის — ეს ერთი ფაქტიც ნათლად მეტყველებს ყოველივეს.

არა, არაფერი არ ებადა კაცს თავისავე სამშობლოში. იმავე ნარკვევში აღნიშნულია, თუ რამდენს ფასობდა მიწა ციხისძირის მიდამოებში — ადგილი დაყოფილი იყო ზონებად; და პირველ ზონაში, ზღვასთან ყველაზე ახ-

ლოს, ერთი დესეტინა მიწა ღირდა 1.000 მანეთი, მეორე ზონაში — 750 მანეთი, მესამეში — 500 მანეთი და ა. შ. განა ნათელი არ არის ვის შეეძლო ამ მიწების ყიდვა? ნამდვილ მშრომელს აქ ზელი არ მიუწვდებოდა, და მიწაც რჩებოდა ან გადმოხვეწილ უცხოელს, ან ადგილობრივ ფულიან ბობოლას.

აბა ახლა დახედეთ რა ნაყოფს იძლევა იგივე მიწა წაშინ, როცა იგი ეკუთვნის კანონიერ მფლობელს — ხალხს, ეკუთვნის სამარადისოდ!

კურთხეული და დალოცვილია ჩვენი მიწა, ვინ მოსთვლის რამდენჯერ ევსმენია, რამდენჯერ წაგვიკითხავს. და ახლა, როცა ამ მიწას შემოქმედებითი შრომის წადლი დასტრიალებს, მისი ბარაქა ათასგზის მატულობს და მისი სილამაზეც უფრო თვალგულმომტაცია. ამ ბაღნარად ქვეულ მიწაზე, სამოცდაათი ათას კვადრატულ კილომეტრზე, რომელსაც საქართველო ეწოდება, არ

არის სოფელი და ქალაქი, რომ თავისი გმირი არა ჰყავდეს, ერთი კი არა მრავალი სახელოვანი ადამიანი; ეს ისინი არიან, ზორცს რომ ასხამენ შვიდწულის დიდებულ ციფრებს და ამ გზით აახლოებენ უფრო უკეთეს მომავალს, აქ მხოლოდ ორიოდ მათგანი მოვიხსენე, ამ წერილში ძნელია ყველას ჩამოთვლა, მაგრამ საჭიროა და აუცილებელი ვწეროთ მათზე — ისინი საკუთარი მარჯვენით აშენებენ ახალ საქართველოს, ძლიერსა და უღაწაზესს.

ჩვენ, მწერლები ვალში ვართ ამ ხალხის, ამ ადამიანების წინაშე, ისინი მოელიან ახალ წიგნებს ჩვენი დროის გმირებზე და ქართული მწერლობაც გატაცებით მუშაობს, რათა მოიხადოს ეს ვალი, გადაჰრას ეს ისტორიული ამოცანა — დახატოს ჩვენი დროის გმირები, მათი სულიერი სამყარო, მხატვრულ სახეებში გადმოგვეს მატიანე ახალი საქართველოსი.



დავო სულაბერიძე

მთავარი მამისტრადის იქით

ნარკვევი

არხის ბოგირზე შევხვდი მალაქის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შალვა ჯავახიძეს. ჩემი თხელი ხელი ნიჩბივით ფართო და ღონიერ ხელის გულში მოიქცია დევივით კაცმა. ღიმილში და თვალების უჩვეულ ცილში შევამჩნიე, როგორ ეამა სტუმრის ხილვა. ერთმანეთის ამბავი მოვიკითხეთ ნაუცბათევად.

ერთი წუთით არხის წყლისაგან გამეკეცა თვალი.

— ვერაფერი უშველეთ ამ არხს, ხომ?

— როგორც ხედავ — შალვა ბოგირის მოაჯირს ვადაღდა, — მოვითხოვეთ მაგრამ რაღაც... აჰ, გვიბრძვებიან... ენახოთ...

ოღასტრიდან ბევრი კოლმეურნეობის ფართობებს გამოივლის ეს არხი, მერე გუბისწყალს უერთდება. ქუთაისის საავტომობილო ქარხანა იყენებს არხის წყალს, ნარკვევებს მასუთი მოაქვს და არხის წყალი მახუთით არის ამღვრეული, მერე გუბისწყალსაც ამღვრევს. სარწყავად იღარ ვარგა არხის წყალი, თევზაც ვერ ძლებს შიგ, გარეული იხვეები არ ეკარებიან აქაობას.

კოლმეურნეობებმა მოითხოვეს, საავტომობილო ქარხანა გამოიყენებს თუ არა ამ წყალს, მაშინვე გაიფილტროსო. უამისოდ შესანიშნავი სარწყავი საშუალება ასე უნაყოფოდ არის ახლა.

არიან ჩვენში სოფლები, რომელთაც შორის-შორ აუვლიან გვერდს ფართო მაგისტრალები, რკინიგზის ხაზები. მათ ყოველდღიურად თვალს ვერ შეავლებენ ხოლმე ასეული კოლმეურნიდან წამოსული მგზავრები, მათი ყოველდღიური ცხოვრება სადმე გამოფენებსა თუ თათბირებზე იჩენენ თავს. ხშირად ყოველდღიურ გაზეტებში გამოკრთებიან მათი გამარჯვებებისა თუ დამარცხების მაჩვენებელი ციფრები.

მაგრამ ასეთ სოფლებშიც ჩქეფს ისეთივე

დიდი და საინტერესო ცხოვრება, როგორც მთავარი მაგისტრალებისა და რკინიგზების ახლო მდებარე სოფლებში.

ასეთია წყალტუბოს რაიონის ერთ-ერთი სოფელი მალაქიც.

საოცარია: მალაქის მიწა ისეა დაფარული რიყის ქვებით, როგორც მდინარის ნაპირები. უცხო კაცს ეგონება, ამ ქვებზე რამ უნდა გაიხაროსო, მაგრამ ყველაფერი ხარობს აქ: სიმინდი, ჭაი, ხეხილი, ბოსტნეული, ვენახი, სახამთარი.

ეზოები ქვის უორეებით არიან შემოსულდებული.

სარწყავ საშუალებას დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მიწებისათვის.

ამიტომ არის, რომ ასე აღელვებთ მალაქელებს მახუთშერეული წყლით საესე არხის ბედი.

თავმჯდომარემ მკლავში ხელი ჩამკიდა, ბოგირიდან სოფელში შემავალ შარაგზას გაევივით.

— ისე, თქვენც რომ რამეს იტყოდეთ ამ არხის შესახებ, კარგი იქნება. — თითქოს თავისთვის ჩაღაპარაჟა შალვამ.

ამ სოფლის ცხოვრების ზოგიერთ კენჭულში შევიხედე.

ამ უბრალო და ჩვეულებრივი ადამიანების ცხოვრებისა და საქმიანობის მხატვრულად ასახვა დიდი ლიტერატურის საქმეა. საამისოდ მე უძლური ვარ.

მაინც შევეცადე, ამ პატარა ეტიოდებში გამოშვებატა მათი დღევანდელი სულისკვეთება და ზოგიერთი შტრიხი მათი ცხოვრებისა.

შალვა აუვაფლებიან აკაციები

ახლანა, ითლებური აგებულების თავმჯდომარემ, შალვა ჯავახიძემ, კანტორის ეზოს კიშკარი შეაღო. კანტორის კიბესთან დაემოყ-



ჩილი ახალგაზრდების ჯგუფიდან ერთი ახალგაზრდა გამოიხმო:

— ჯემალ, აქეთ მოიწი ცოტახანს!

ახალგაზრდებს ოცდასამი წლის სანდომიანი სახის ჭაბუკი გამოეყო და შალვისკენ გამოეშერა.

შალვამ მკლავში ხელი ჩასკიდა ჭაბუკს და ნელი ნაბიჯით კანტორის გვერდით ვზომი ტანაურად აჯაციებში შევიდა.

ჯემალი ერთი აღენილი ბიჭია. კოლმეურნეობას თავს არიდებს... „პობედა“ შეიძინა და დაჭირის გარე-გარე. თავმჯდომარე ედილობს, ასეთი ახალგაზრდები როგორმე ჩააბას სოფლის სახურთო საქმიანობაში. ახლაც ამისათვის გამოიხმო ჯემალი.

— შენ არ გახსოვს, ბიძია, პატარა იყავი, — თავისებური დინჯი და შინაურული კილოთი, თათქოს ჯემალს კი არა, აჯაციებს მიმართა შალვამ. — ეს აჯაციები ოცი წლის წინ, მე რომ თავმჯდომარედ ამირჩიეს, ამ წელს დაერგეთ. ხედავ, რამოდენები დაიზარდნენ?!

— აბა, აბა, ბიძია შალვა! — მიამიტად უპასუხებს ჯემალი თავმჯდომარის შორიდან მოვლელ კოხტებს.

— პოდა, ჩემო ბიძია, კარგად მოვლული და გახარებული ხე აღამიანის გელის გამხარებულა, — ახლა თვალუბში ჩაანერდა ჭაბუკს შალვა, ზურგით აჯაციის ხეს მიყურდნო, — რას აკეთებ ახლა შენ?

— რა უნდა გვაკეთო?! — ახლა კი მიხვდა ჯემალი, სად უკაყუნებდა თავმჯდომარე და შერი ეერა მოახერხა რა, კოხტება კოხტებითვე უპასუხა.

— რას ჭეია, ბიჭო, რა უნდა გვაკეთოთ! გახახუნლის პირია, ბიძია, მამაშენმა ოქში იპიტომ შესწირა თავი სამშობლოს, რომ ჩემმა შალვამ საკეთარი „პობედით“ სოფლის გზა-შარა თელის და იძახოს, მე ვარ და ჩემი ნაბადლო?!...

— ბიძია შალიკო...

ჯემალს ბავებთან შეაწყდა სიტყვა, თავმჯდომარე აჯაციის ხეს მოშორდა და წინ ხელგაწევილი შეეკება მათთან მოახლოებულ თმა და წვერულდამგათოტრებულ თანასოფლელ კოსტა მამაგიშვილს.

— რაზე შეწყებებლხარ, ბიძია კოსტა? — ხელის ჩამორთმევისთანავე თავახიანად ჰკოხბა მოხუცს თავმჯდომარემ.

— რაზე, ჩემო შალვა და, მე რომ წელს ნაკეთი მექნება, მინდა ეიცოდე, სად მექნება ის ნაკეთი, კაი ამინდებია და იქნება ნელ-ნელა შევეუდგე ჩემ საქმეს.

მორგვეით ჩასვნილმა, დაბალი ტანის მოხუცმა დაკორძილი მოკლე თითები აწევილ უღრამებზე გადაიხეა. ოთხმოცდაერთი წლისაა

კოსტა, მაგრამ ფეროვანება ჯერ არ გაერობია მის ღაწუხებს.

— კი, ბატონო, — თავმჯდომარის უკანით ეანვისფერი სახე კადვე უფრო გააბაღრა ღიმილმა.

— თავმჯდომარე, სასუქი დამჭირდება, ხომ იცო?

— კი, ბატონო, მოგართმევთ.

თავმჯდომარე კვლავ ჯემალს მოუბრუნდა, ისევ აჯაციის ხეს მიყურდნო ზურგით და ჰინკარში გამაველ ბერეკაცს გააყოლა მშერა.

— ე, ჩემო ბიძია, მე ვარ და ჩემი ნაბადლო კი არა, სოფელს ენაცეალოს ჩემი თავით, ასე ამბობს ის ბერეკაცი, — შალვა თვალუბდაბრლილ ჯემალს მიმეტერდა, — ვინ ავალებს ახლა იმას, თესვ და თიხნეო? არავინ. მარა წელს ნახევარი ჰექტარი ნაკეთი მიწაც აიღო, სიმინდი უნდა მოიწიოს, საერთო ბუდეღს თავისი ნაოფლარიც მიუმატოს, უქმად ვერ ძლებს.

— ბიძია შალვა...

— იცი შენ შავის წარსული? — თავმჯდომარემ კიდვე შეაწყვეტინა სიტყვა ჯემალს, — მიწაწითელას რიყის ქვეებით მოფენილ მიწას მოაშორა მამამისმა კოსტა. თბილისში ჩაიყვანა. იქ ხარატობა ისწავლა. შერე რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება. პოლიციელების მთორახივ იწენია და ციხის ნესტიანი პერნიც იგვმა. ცხრასხდეთი წლის რევოლუციის შერე, რეაქციის დროს, არალეგალური ორგანიზაცია რომ დაიშალა, მეგობრებმა ორგანიზაციის დროშის გადაჩენა კოსტას მიანდვეს. პალტის ბუქებზე შიგნიდან გამოკერებული ჩამოიტანა თბილისიდან ის დროშა. აქაურმა რევოლუციონერებმა ის დროშა წულუკითის დასაფლავებანვე ააფრიალეს... კოლმეტრეში პირველი შევიდა კოსტა და მას შერე მთელი მისი ვაყკაცობა სოფლის საერთო საქმეს შეაღია. შენ კი მუათე კლასიდან გამოგრიცხეს და ახლა სოფლისაგან განზე დამორიადობ. შენს თავის შერი არა გახსოვს რა. ამისთანა ბერეკაციების გვერდით შენსავით უნდა ცხოვრობდეს ახალგაზრდა კაცი?

— შალვა ბიძია, მე...

— დამიწყებ, ახლა მე და მეო... მამაშვილური სიკაცურე შეეტყო ხმში თავმჯდომარეს, — წაპო, ახლა კრებას დაესწარი!

ცოტახნის შერე კოლმეურნეობის გამგეობის გაფართოებელი კრება დაიწყო. ილაპარაკეს წლებიანდელი ვალდებულებებზე, ჩიის გასხდოისა და სხვა უოველდღიური საქირბორიკო საკითხების გარშემო და ბოლოს თავმჯდომარემ კრებას უხსრა, რომ მას განზრახული აქვს ჯემალ მამაგიშვილი ხვალეიდან ბრიგადირად დანიშნოს.

თავმჯდომარის ეს სიტყვა უჯანა რიგებში მჯდომ ჯემალს ელდასავით ეცა, ხმა ჩაუფარდა, თავი უფრო დაბლა ჩაჩინდრა, ეუხერხულა, არავინ შემამხნიოს აქაო, მაგრამ როცა იქა-აქ

გაისმა „კარგია, კარგიო“ და მერე მთელი კრება ამ „კარგია, კარგიას“ გამოცედა, ჯეშალმა გულში სასიამოვნო რაღაც იგრძნო, ამდენხანს მიძინებულ გრძნობას გაელევია.

— აბა, ერთი, წაოფდეს, თვათონ რას იტყვის! — წამოიძახა ვიღაცამ.

ჯეშალი წამოიშობოდა თუ არა უკანა რიგებში, თავმჯდომარემ ისევე კრებას მიმართა:

— მაგას არავინ კითხავს, თუ თქვენ თანახმა ხართ, თუ სოფელს სურს, ჯანს აყლია თუ ღონე, აბა, ერთი უღალატოს სოფლის ნდობას!

შვეწერას ნაყოზობაი

დეკემბერმა უჩვეულოდ მზიანი დღეები დაიჭირა.

დღესაც, ეტყობა, მზიანი დღე იქნება. ჯერ კიდევ მზე არ ამოწვერილა, მაგრამ ახალ შეფენებულზე მოკრიალე ცა ამაზე მეტყველებს. სოფელში შორიშორ კიდევ გაისმის გვიან გამოფხინებული მამლების ყვილი.

ეზოში ქალი მეზობლის ღონეს მისდგომია და იძახის:

— თუკულ!

მეორე ეზოში ვიღაც ბოსლიდან გამოსულ ძროხას უახლოვდება:

— დიადო... დიადო...

ორღობეში ჭიჭიკო ჯავახაძის რგოლი გამოწნდა. რეზინის მაღალუელაინი ჩემებებით მოაბიჯებენ გლეხაკები. მხრებზე წერაქვები, ნინებები და ბარები გაუღვდეთ და მზიანული სუბბრით მოჰყვებიან შერას.

ერთ მუახნის გლეხს გზის პირზე ძველი ღობე მოურღვევია და ახალი ღობის საარები ჩაურქვია, ბოლო სართან ოდნავ წაბრია და მოკუტრული თვალით ამოწმებს, საარები სწორად არის ჩარქობილი თუ არა.

— გამარჯობა, გრიგოლა!

— გავიმარჯოთ! — სარტისთვის მოკუტრული თვალი არ მოუშორებია, გრიგოლი ისე ეესალმა ორღობეში ჩავლილ თანასოფლელებს. მეგრეოღური ჭიჭიკო მეგობრებს ჩამოშორდა, გრიგოლთან შეჩერდა.

— გრიგოლია, კაცო, არ წამოხვალ ჩვენთან შვეწერასზე? — სარტე ზელჩაელებულმა გრიგოლმა ჭიჭიკოს გამოჰხედა.

— ვერა, ძმაო, ვერ წამოვალ. ხომ ზედავ, ღობე მაქვს გასაღობი?

— ჰოი! — ნიშნისმოგვებით მიუგო ჭიჭიკომ, — კაი, ვალდებ. ვალდებ. მეზობლის კითხვები არ შემოგვპაროს ეზოში!

ჭიჭიკო მეგობრებისკენ გაეშურა.

— აბა, აბა, იმ კაობში ამოიხარჩობ თავს! — თავისთვის ჩაიუღღელდა გრიგოლმა და ისევე სარტეს გახედა მოკუტრული თვალთ.

მეზობლის ქალმა ჩამოიარა.

— აი ბებრები, ვარლამი და ალექსანდრე, რამ გადართაო!

— რა ვიცო — გამოეპასუნა გრიგოლი, — მაგენმა წამეიწყეს მათ საქმე. მაგენი ამოაშორებენ აბლა შვეწერას კონკუსო? მეტი არაა ჩემი მტერი.

— შე კაცო, დღეამბაღს, ანარჩის ტორტზე მუშაობა არ ჯობია, ასმანეთიანია კაცო დღე-შე!

დედაცაცა ხელი ჩაქნია და ორღობის მეორე მხარეს მეზობლის ჭიჭიკაი შეაღო.

ორღობის ბოლოს სათესებისაკენ გადაუხვიეს ნინიანმა, ბარიანმა და წერაქვიაანმა ერთუხიასტებში. მათ არ გაუგონათ არც გრიგოლის დუღღელი და არც იმ ენატარტალა დედაცაცის ნაქილიკარი.

ამასწინათ სამოკლამეიდი წლის თეთრულამა აწვევტილმა ალექსანდრე ჯავახაძემ შვეწერას კაობის დარტეტის შესახებ ახრი თანასოფელს შეგობარს სამოკლამეიტი წლის ეარლამ გოგისეანისძეს გაუზიხლა. ვარლამი მაშინვე დეათანხმა. ოცდახუთი ჰექტარი ნაშლამი მიწა სიშინდისათვის საუცხოო ნაკვეთი იქნებოდა.

მეორე დღეს ბერიკაცებმა სოფელი შეტრეს. მაგრამ ბევრი უკმაყოფილოდ შეხედა ამ ახრს. ზოგმა ქვა ააგდო ცაში და თავი შეუშვირა, ჯავახე არ ღირს.

ბერიკაცები მაინც ჯიუტად დადგნენ თავიანთ აზრზე.

ასახსავეს ენები კორიკანა დედაცაცებმა. ბევრმა პირდაპირ განაცხადა, თავისუფალ ღროს ანარჩის ტორტზე მუშაობა გვირჩევნია მაგ კაობში ამოწმეკასო.

მაგრამ კოლმეტრეობის გამგებამ მხარი დაუჭირა ენთუხიასტებს და აი, დიძრნენ ისინი შვეწერას კაობისაკენ.

როცა შვეწერას მიადგნენ, შორს, მთების გრეხილს ვარვარა დისკოსავით წამოაღდა დილის მზე.

— ამისთანა მიწას კაცო მიატოვებს ასე უნაყოფოდ!

— ეჰ, ჩემო ალექსანდრე, ეს რაა, თვალღწე-დენელი კაობები დაგვიშვირა ანარჩაში, ხომ გახსოვს, გეოლოგები რომ მხრებით გადაგყავდა ერთი ადგილიდან მეორეზე, შენ იქ ფონები კარგად იცოდა.

— აბა, აბა, რავა არ მახსოვს, შე კაცო! რამდენი კაობში ჩაფლული საქონელი ამოშობრე-ვია იმ დასაქვევიდან.

— ჰო, ჰო, რა სიშინდი იფეთქებს იქ!

მიადგნენ იმ ადგილას, საიდანაც უნდა დაეწყათ არხის თხრა, ქვას დაყრულ წერაქვს ნაბერწყლბი ვასცევიდა. ამოძრადგნენ ნინებე, ბარები.

დეკემბრის სუსხიან დღით გახტრდა მუშაობა. და...



მალე შევეწერას ჭაობი ორიათისი მებრის სიკრძის ღრმა არხში ჩაიწრიტა და გუბის-წყალმა დაიჭრია.

ახლა შევეწერას ნაქობბარი ოცდახუთი ჰექტარი ფართობი მზად არის სისხნავად და სათვისად.

ღედის ნაკვალევზე

აბა, სხვა ვინ უნდა დასიზმრებოდა მაროს?! ჯემალი დაესიზმრა. შორს არის ახლა იგი, ჯარშია, საგლდებულო სამსახურშია მიქი. იქ, ალბათ, ამანუ ცოვი ზამთარია. უფროსი ბიჭები აქვე არიან, ორივენი სულ ახლოს ცხოვრობენ, ცოლ-შვილი პყავთ და თბილი კერა აქვთ. სულ უმცროსი ქალიშვილი თალიკო კი, აგერ წყეს ოთახში.

გემინ საღამოს ჯემალის პოლკის მეთაურის-ვან წერტილი მიიღო მარომ, მადლობას უხდის მეთაური, რომ კარგი შვილი გაეზრდია, წესიერი და სამხედრო სწავლაში ვენერგიული ყმა-წყვილიაო.

ვამა ღედის გულს. აბა, რომელ ღედს არ ეაშვება შვილის ქება, ის ღედაც აყო და მამაც თავისი მუთი შეიღისათვის. ახლაც ასეა, ნოემ, ომში რომ წაყვია, ხუთი შვილი დაეტოვა მაროს. როცა ხუთთავან ერთ-ერთი გარდაეცვალა, მას ნოეს მავიერადაც დასტაროდა.

ასე არის სულ. ომის ღდეებში ერთგული მებრუნის ტვირთიც მან იტვირთა ოჯახში. ბავშვებმა უკამობა არ შეიმჩნიონ და დღესა და ღამეს ასწორებდა.

კოლმებრუნობის ფერმაში დაიწყო მუშაობა მწველადაც.

ელოდა ნოეს.

ომი დამთავრდა და აქამდე ელოდება.

აბა, სხვა რა უნდა დასიზმრებოდა წუხელ მაროს?! ჯემალი დაესიზმრა. პოლკის მეთაურის წერტილი რომ წაიკითხა, შრომით დაღლილ-დაქანცულს ჩათვლამამდე ნოე წამოვლანდა. სიზმარში ჯარისკაცი მამა-შვილი ნახა ერთად.

ახლა სანქაროდ წამომდგარს, დამეული სიზმარიც თან ახყეა. თვალა ვახილა თუ არა, მამინეუ ოთახში გამოწყვედულ სიბნელეს შეპლალაღა ღედამ:

— ღებრთო, შეიღს მაინც ანორე მამის ხე-ღრნი!

ადრეა ჯერ. გარეთ ისე ბნელა. ჩაიყვა, თალიკოს საწოლთან მივიდა, საბანი შემოუტყეცა მძინარე ვიგონას.

აივანზე გავიდა, ელემტრონათურის შუქზე ებოს რომ გადახედდა, თავისთვის ჩაიხიჩჩულა:

— უიმი, რამხელა მოეთოვია?!

ის თუთრი ქვა თოვლს დაუფარავს. იგი ნოემ ძლივს შემოათარია ერთხელ ეზოში. თუთის ქვეშ მასზე ჩამოჯდომა და ჩამოსვენება უყვარდა ნაჯადარ ნოეს. ის ქვა ნახევარ მებრუნზე

მეტი სიმაღლისა არის. ნათურას შუქზე თოვლის ფანტელები მკაფიოდ ლიქლიქებენ მთხე ხეგრიელად.

უცებ, თითქოს მაროს გარეთ გამოსვლის ელოდო, ქვენაც ამოგარდა და აივანზე შემოპყრა ფანტელები.

ოთახში მებრუნდა მარო. სანქაროდ კალო-შებში შერგო წინდებიანი ფეხები, თავშალი შემოიხვია, თალიკოს გადახედა, ძროხა მოწყველე, ქათმები დააპურეო, უნდოდა დაეხარებია ქალიშვილისათვის, მაგრამ აღარ შეიღვიდა, კარი გამოიხეტრა ფრთხილად და გაუკვალავ თოვლში მებრუნა.

ახლადამძინარევი ერთბაშად შეიფხინლა წვივებსა და მუხლის თავებზე ნაგარძობმა თოვლის სიგრილამ.

სინაგეს სოფელს. აქა-იქ ძალი თუ შექვეცეს საღმე- ისე ხეგრიელად თოვს, თითქოს ორლობის ამოვსებას ღამობსო. მამაობს მარო გაუკვალავ თოვლს.

გრძელი ორლობე უნდა ჩაათავოს მერე კი გზას დამოკლებს, მინდორზე ვადააბირდაობრებს ფერმისკენ.

ოცი წელია ფერმამი მწველადაც მუშაობს მარო კვიშილი. ნოე წაყვია თუ არა ომში, წერილი შეიღების პატრონმა მამინეუ მუშაობა დაიწყო. დღემდე თავი არ შეურცხენია. არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ მაროს სა-მუშაო დღე გაეცდინოს, გაეცდინოს კი არა, ფერმამი მისვლა დაევიანებოდეს. არა, არასოდეს ყოფილა ასეთი შემთხვევა, მაშინაც კი, როცა უჭმროდ დარჩენილს, ტიტლიკანა ბავშვები ეხვია თავს. დღეს ექვს საათზე ფერმამი უნდა იყოს, ძროხები უნდა მოწყველოს, საყვები უნდა მისკეს საქონელს.

ითოვოს ასე ხეგრიელად, თუნდაც ამოავსოს ეს ორლობე. მარო მაინც თავის ღროზე მივა საყვარელ ძროხებთან: წითელსათან, კვაპისათან, ღამაზსათან და სხვებთან.

თუნდაც ეს პიტქარი ქვენაც გამძღავრდეს. ორმოცდაათორმეტი წელია ცხოვრების ქვენაც და ზენქარობ მრავალჯერ წაპოტინებია მის ობასა და კანის კალთებს, მაგრამ მართისათვის ევრა დაუკლიათ რა. ახლა, აბა, რა უნდა დაეკლოს?!

ყოველ წელიწადს თორმეტ ძროხას უვლის მარო. მარშან ადგილობრივი ჯიშის ყოველი ძროხისაგან ათასობისი ლიტრის ნაცელად, ორიათისი ლიტრი რძე მიიღო. წელს ია, ამ მრავალტანჯულმა და ხანშიშესულმა ქალმა, ვალდებულემა იიღო თითო საფურცავე ძროხისაგან ორიათისბუთისი ლიტრი რძე მიიღოს.

იციის მარომ, წითელა, კვაპა და ღამაზა არ უღალატებენ მას; მაგრამ სხვა ძროხებს თუ თავის ღროზე ზრუნვა და ყურადღება მოაქვლა, წლავანდელ განზრახვას ვერ შეასრულებს.

შერცხვება ამდენხანს სიტყვაშერცხვენელი მარო.

ორღობე ჩათავა და მინდორზე რომ გადაუხვია, ცოტახანს შედგა, შეისვენა, სული მოითქვა.

— ეპ, ჩემო ნოე, — თავისთვის ჩიულულულა ქალმა, — სადა ხარ, შე კაცო, წინ მაინც ითიილდებოდე, თოვლს გამოკვალავდი!

პირქარმა ქვენამ თოვლის ფანტელები მიაცარა სახეზე, თავმალი უფრო რიგიანად შემოიხვია, ოდნავ წინ წახრილმა კვლავ შეაბოტა თოვლში. გაძნელდა სიარული. შესველებული კაბის კალთები ოდნავ აიკეცა.

უცეო ფეხი წაუდგა თავი ვერ შეიკავა და მთელი სხეულით, თითქოს ბაბინის ზეინს დაკეცოდეს, თოვლში ჩაძაღა.

წამოდგა, ცალ ფეხზე კალთში გააბობია ხელებით დაიწყო ფათერი თოვლში, ვერ იქნა და ვერ მოიხია კალთში. გზაში შესურებული ვეღარც კი გრძნობდა ახლა თოვლის სესხს.

უკალთში წინდიანი ფეხით კვლავ გადადგანობიჯი წინ.

— აი არადგერია, შე კაცო, — თითქოს ისევ ქმარის ლანდს ეპურტუნებოდეს, — ერთი შენ ჩამოგვიყენა შინ, ერთი შენი შვილებისთვის და შეიღიშეაღებისთვის შეგახვდა, გეხიარებდი, შე უბედურო. ახალი სახლიც გამოეწვეე, სულ ვფიქრობ, როდის მოაკეთებ კარზე.

უფრო იძალა ქვენამ. მარო სარქენად გამზადებული ვაკვივით განზე თავწახრილი მაძაბბს პირქარს. უკან რჩება თოვლის სარკესავით გლუ ზედაპირზე ხნულვით გაყლებული ნაკვალავი.

— შე კი შევაბერდი შენს ლოდინს, ჩემო ნოე, — ხმაძაღა ფიქრით თითქოს სხეულს ითბობდეს მარო, — მარა, აბა, რაი მექნა, შე კაცო, შეიღებს შევალიე ჩემი ახალგაზრდობა, რათა ენაცვოლოთ დედა... ოპ, ერთხელ მაინც შენი თავი...

უცებ ფერმის ნაგაზის ყუფა შემოვსმა მაროს. ფიქრები ფანტელებივით მიმოებნა თოვლიან მინდორზე. თავი ამართა და თვალი მოკრა ბოსლის წინ მბეჭურტულ ელნათურას.

ბოსლს მივაბლოდა თუ არა, კართან კედის ქნვეით მდგარი ნაგაზაე დაცბრა, კაბის შესველებულ კალთაზე წაეფათურა მაროს.

ბოსლიდან დაბალი, ჯმუხა შეხანის კაცი გამოიჭრა. მარო რომ დინახა, ხელი წაატანა ქალს.

— რას იკლავდი თავს, შე ქალი?!.. მოდი, მოდი ჩქარა ცეცხლთან!

ორი მორიგე შველაეი ქალიც მიეჭრა მაროს, შეიცხადეს, თავს რად იუბედურებდით, ცალ ფეხზე კალთიე რომ არ ეცევა და წინდის ამარა იყო, „უიშე, უიშეო“, შეპკედეს, ცეცხლთან ჩამოსვეს, სველი წინდები გახდადეს, ტაშტზე ცხელი წყალი დაასხეს და ფეხები შავ

ჩააწყობინეს. კაბის კალთები მიუწუთ-მოუწუთრეს.

— დაგეცადა შინ, შე ქალი, ამოეწვეოდა, მანამდე გზასაც გაეკვალავდით, — შეწუხდა ფერმის ვაშე, ჯმუხა შეხანის კაცი იასონ ბობოძე.

— გესმის, იასონ, როგორ შემომბლავდეს წითელამ და კეაქაიამ, — მარომ საყვარელი ძროხებისაკენ გაიხვდა, — მაგენი რომ დროზე არ გამოეწველო, სად წაეციედი მერე მაგათ საცოდაობას?!!

წინდები ვაშრეს ქალებმა. მარომ ჩაიკეცა, სადღაც ძველი ჩხაპურტი მოიძიეს, ცალ ფეხზე ის ჩამოაკეცეს. შეთბა ცეცხლთან ქალი. ახლა ფეხზე მდგარი ცეცხლს მიეფიცხა კაბის კალთების შესაშრობად, ოხშივარი აღინდა კაბის კალთებს.

ის იყო კარგად შემთბარი და შემშრალი მარო ძროხებისკენ შეპრუნდა, უეცრად ბოსელში აქლოშინებული თალიეო შემოვარდა.

— დედა!

— შენ რაღა მოგაჩქარებდა, შეილო, ამ უდროო დროს?!.. ვერ გამოიძინე?

— გამომეღვიძა და ლოგინში აღარ იყავი. ენოში გავჯალული თოვლი ვნახე.

— მერე?!

— მერე, შეც იმ ნაკვალევს გამოეყვი. ხომ არ გაცივდი, დედა?

— მიღა, მიღი ცეცხლთან, გოგო, შეთბი ცოტა!

თალიეოს ჯარში წასული ძმის შარვალი და ჩექმები ჩაეყვა. არ შეცოენია, პირიქით, ვახტრდა გზაში.

თალიეომ ვედროს დაავლო ხელი, ძროხებთან მიიჩინა მოსაწველად.

შარშან დაამოვრა თალიეომ საშუალო. ახლა დედას ეხმარება ფერმაში.

იასონი ძროხის ცურთან ჩამხვლულ თალიეოს მიუახლოვდა.

— თალიეო, დაილაე, არა, ამ უსაშველო თოვლში?

— არა, ბიბია იასონ, თოვლი გაკვალული იყო, ისე რა მოაღწევდა აქამდე, — ცურზე ხელი არ შეუშვია იასონს ისე ამოხვედა ღიმილით თალიეომ.

— ასე, შეილო, ასე... სულ დედაშენის ნაკვალავზე ვეღოს... კაი ქალი იქნებო, კაი!

ერთი ბეწვა უანისათვის

ნაშუადღევს იაკობმა გუბისწყალთან მარეკა ფერმის საჭონელი.

მინდვრებზე ახლადგამარგლილი უანები ბიბინებენ.

— დიდილი დიდილი... — გაყვირის იაკობი და ძროხებს ესმით, სად მოუბნობს შათ ერთგული მწყემსი.

ოცდაოთხი წელია ფერმის მწყემსად მუშაობს აკობ კოსტავა. მიაღ, პირხმელ სახეზე ნაოკებიან სამოცდარვა წლის მოხუცს ბავშვივით ცქრილა თვალები აქვს ახლაც. სათითოდ უყვს შესწავლილი აკობს უოველი ძროხა, მათ ზნე და ხასიათი. ძროხებიც შეგუებულნი არიან მის ხმას, როცა შემოემყვებათ იაკობს „-ო.. თ..“ ანდა „დიდო.. დიდო!“ უველამ იცის, რას ნიშნავს ეს, რას ეუბნება მათ მწყემსი.

შეკვადნენ ძროხები გუბისწყალში და ხაბალსევე საკონელს ეამა მდინარის გრილი წყალი. აკობს ფხვნილად ექირავს თვალ, სადმე საკონელი არ შეეპაროს ყანაში და ჯერ კიდევ ღრატოქო სიმინდი არ გადაცვივროს.

რატომღაც ის მოაგონდა, ერთხელ, დამით, ბოსლიდან ორი მაცე ძროხა რომ გამოეპარათ. ფერმის ახლო-მახლო ვერსად ნახეს ძროხები, აიღო იაკობმა დანარი და თოფი. ბევრი იძუნძულდა უცნობე დაქვეში „დიდო, დიდო!“ მახილდა, ბოლოს, ფართოწყალს რომ მიუახლოვდა, მას „დიდო!“ შორიდან შემობლადა ერთმა ძროხამ. ძროხებს ხბოები დაეყარათ და ენით ლოკადნენ ჯერ კიდევ ხალანშეუშრალ ბოხილუმს. აკობმა ორივე იღლიებში ამოიწარბის ნაცნობ ხმას წინ გაქვენენ ძროხები.

ამ ფერმში რომ იყო, აკობმა უცებ თვალი მოკრა: მდინარეში წყლის დასაღვეად შესულა ნახირიდან ერთ ძროხას შუა მდინარემდე შეუტრიავეს. „დიდო!“ შეკვივრა იაკობმა, მაკამ შემობრუნება დააპირა თუ არა ძროხამ, ბოულოინულად მდინარემ დათარია, მიასყვა მდინარის დინებას ძროხა. იქეთ და იქეთ. უფრო ღრმა არის გუბისწყალი, გუშინდელი წყლის გამო მაინც ზვეულეპრივიზე უფრო მოდიღებულა.

ნახირ-ნახირ აედევნა იაკობი ძროხას.
— დიდილო.. დიდილო.. — მისდევს ნახირს და განუწყვეტლივ გაკვივრის აკობი. თავდაპირველად ზაფხრადამდეულ ძროხას ყურთასმენაქ დავსშო, აღმათ, ტალღებს მიასყვა და მინებდა. ბოლოს აკობის „დიდილო“ რომ შემოესმა, ტალღებს შეებრძოლა და მიმართულა ნაცნობი ხმისაკენ აიღო.

კარგა ხანს ებრძოლა ძროხა მდინარეს. იაკობის განუწყვეტელმა და ხმამაღალმა ძახილმა თავისი ვიტიანი, ძროხა თანდათან ნახირისაკენ მოცურდა. მდინარის კიდეს მოადგა თუ არა, აკობი გადაიხარა და თავისი ვრძელი და დაკორძილი თითები რქებში წააელო ძროხას. ხმელეთზე ძლივს აიხიდა წელი მოქანტულმა ძროხამ.

ამასობაში იაკობი კარგა მანძილზე მოშორდა ნახირს.

შემობრუნდა თუ არა ნახირისკენ, აკობს ეღდა ეცა.

— აუ, დევილზე კაცი! — შებუზე იტიკი/ ხელი მწყემსმა, ვაღარჩენილი ძროხა, რქვე შედე ტოვა და რალაც არადადამინებრე მდინარეში უკან ბლავილით გაქმნულდა ნახირისკენ.

თითქმის ნახირის ნახეარს მდინარის ფონი გადაუტრიავეს და მეორე ნახირზე მეზობელი კოლმეურნეობის ნაყვეთზე ახლადგამარგლილ სიმინდს მიდგომია. ნახირიდან კარგა ღრმად შესულან ყანაში და მაღიანად შეეცვივიან ღორთქო სიმინდს.

გამოღმა ნახირიდან გულამოხეტელი იაკობს უოვლსმძღე „დიდილო“ ამჯერად უძღორი აღმოჩნდა. ფონთან მდინარეში შეაბოტა იაკობმა ორგან სლო ჰვეზზე ფეხი წაუტოდა, მაგრამ ბებერი მუხლანი მდინარემ მაინც ვერ გასარა. მღევივით აიჭრა გაღმა ნახირზე იაკობი და მაშინვე დაერია ძროხებს სახრითა და „დიდილო, დიდილო“, ღრიალით.

განრისხებული მწყემსის სახრე იწვნიეს თუ არა, ძროხები ძუნძულით უკან შებრუნდნენ და კვლავ მდინარეში შეტრიავეს, ვალმა დაჩენილი ძროხებიდან ზოგი ისე ბლავის, თითქოს დაფეოხულ შეგობრებს ამხნევებენო.

მარტო რომ დარჩა განადგურებულ ყანაში, აკობს თავხარი დაეცა. თითქმის ნახეეარ ჰექტარზე გადაქმულა ახლადგამარგლილი ყანა.

გულზე ცეცხლი შემოეგუნო იაკობს. დაარსების დღიდან კოლმეურნეობაში მუშაობს, ოცდაოთხი წელია მწყემსად არის და ჯერ მისი გამოილობით საქმე არსად გაუფუჭებია. დაღონდა მოხუცი.

ვაოგენბიდან ვილაციის ხმამ გამოარკვია. მიიხედა და, თითქოს მიწიდან ამოცხრო, მის გვერდით ცხენზე ამხედრებული მეზობელი კოლმეურნეობის თავმჯდომარე დგას.

— გამარჯობა, აკობი!
— გაგიმარჯოს, თავმჯდომარე! — ეღდან-ცემოვით უპასუხა იაკობმა თავმჯდომარის საღამს.

— რა იყო, კაცო, რა ამბავია ეს?! — გადაქმულ უნას მოაელო თვალი თავმჯდომარემ.

— საკონელი ვადომეპარა, ხემი ბრალია, თავმჯდომარევე და თუ კაცი ხარ, საშუალება მომიეცე, ამ ყანას მე გამოვებრუნებ.

— რაოი!.. — გაივივრა თავმჯდომარემ, — ამას, კაცო, ეშმაკი ვერ გამოებრუნებს.

— ჰო, საშუალება მომიეცე და გამოებრუნებ, — შეეხვეწა თავმჯდომარეს იაკობი, — თუ არა და, ამის საფასურს გადაგიხდი.

— კი, შე კაცო, თუ ასეა, ა, აგერაა ევ ნაკვეთი და შენ აცი და მავან, კარგათ იყავი! თავმჯდომარემ მათრახი გადაატრა ცხენს და მდინარის ნახირს აღმა შეკუვა.

— ავამენა ღმერთმა! — მიადევნა შეებნავარძობმა იაკობმა.
ვათენებისას მხარზე ვაღებულე თოხით და

წინ თოხის ტარზე ჩამოკლებული დოქით მიადგა იაკობი გვერდებულ ყანას.

სიმინდის ყადრი თუ არ იცის იაკობმა, აბა, რის მიქნისთა ქვეყნად! აშხელა წუთისოფელი განა ამიტომ იარსება ამ სოფლად, რომ სიმინდის გულის ხასიათი ვერ გაეგო?! კმ. ძნელი კია, ძნელია ასე გვერდებულ ყანის შემობარუნება. მაგრამ რაც კი შეუძლია, რაც კი იცის, ახლა უნდა მოიშველიოს იაკობმა. საქმე წაქცევის ფეხზე წამოყენებაა, თორემ ფეხზე მდგომი თავიდაც მონახავს გზას.

ქოდა...

დაქრა თოხი იაკობმა. ზოგი სიმინდი ისეა გადაყვანებული, ფურცელიც არ შერჩენია, ზოგს თითო ფურცელი მაინც უხანალებს კიდევ. ველადგულ, დინჯად შემოთოხნა ძირები, წაქცეული შემართა, ერთი ღერი ბალახი, არ დატოვა სიმინდსა და სიმინდს შორის.

აღაგალავ ძირიანად ამოუთხრიათ იმ სამგლებელს. ბედზე მეზობელი ფართობი ჯერ არ გაუმარტლავთ. იქიდან შეწინად ამოიღო სიმინდი, ამოთხრის აღგულზე ჩარგო, წყალი მიამშველა.

მე რომ თოხის ტარზე შედგა, უმცროსმა ბიჭმა სადღი მოუტანა. სადღის შექცვა იაკობი.

— მამა, გაიხარებს ეს ყანა?

— რაე არ გაიხარებს, შვილო, რასაც სიცოცხლის ნიშანწყალი მაინც შერჩენია, გულიანი კაცის ზელი თუ შეგხო, მორჩა, არ დელიუშება.

— კი მარა, ამ ერთი ბეწვა ყანისთვის....

— რას ამბობ, ბიჭო! — შეაწყვეტინა შვილს იაკობმა, — მერე რაი, ერთი ბეწვა რაა, ყანა მაინც; ჩვენი მარჩენალი სიმინდია, ზეადგამა ვაფუქვა, მარა, ნახე, მაინც რა კაი ტარობი დაიხსნას! კაცმა თავისი ვაფუქებული საქმე თვითონვე უნდა გამოასწოროს, კარგათ დეხსომე, შვილო.

მოხდა სასწაული.

სიმინდმა მართლაც წამოიღგა წელი, როცა თავისუფალი იყო, იაკობი სულ აქ ტრიალებდა. ბალახი არ ვაკაუანა შოგ. წვიმა შეიგვიანებდა თუ არა, რწყავდა მაინც.

გავიდა ერთი თვე.

გასამარგლად წამოიხარდა ყანა.

წელის დასაღვად, როცა მორეკავდა საქონელს, იაკობი ყანას ვახედავდა. შემოდგომამდე სულ ზელებას ქნევით ესალმებოდნენ იაკობს ფეხზე წამომდგარი სიმინდები.

და შემოდგომაზე ამ ახლო-მახლო ფართობებზე არსად არ მოსულა ისეთი მოსავალი, როგორც იაკობმა მიიღო გამობრუნებულ ყანაში. მოტეხილი სიმინდი რომ ჩააბარა მეზობელ კოლეურნეობას, თავმჯდომარემ მკლავში ზეული ჩააგლო იაკობს.

— აგაშენა ღმერთმა!

დღესაც ამ ადგილს მორეკა იაკობმა საქონელი. ნელ-თბილ მზეზე გატრუნულა გამოშვებული მინდვრები.

— დიდილი... დიდილი... — გარემოს ეღება იაკობის დაუმცხრალი ძახილი.

ძროხები წყალს დაეწაფენ.

იაკობმა გადმა ნაბირს ვახებდა.

მოჩენენ: ისევ მკლავებს უქრევენ შარმა საქონლის მიერ გვერდებულნი და მერე მისი მარჯვენით ფეხზე წამომდგარი სიმინდები.

თვალი ჰქიდა იაკობმა: ერთმა ძროხამ შუამდინარესაკენ გაიწია.

— დიდილი... დიდილი...

უფრზე წაფრინდა პირტყვის იაკობის ომბახანი ძახილი, ძროხა ჯერ შეჩერდა, მერე ზანტად შემობრუნდა და ნაბირსაკენ გამოუტეხულდა.

გარდამავალი ღროშა

საგონებელში ჩაეარდა თავმჯდომარე. გვემა კი, მარა ის გარდამავალი ღროშა მეზობელს რომ რჩება, რატომ, რისთვის? განა მათზე ნაკლები ჩაი აქვთ? განა მათზე ნაკლები ხალხია აქ? თუმცა... ქო... მერე ბრავადამ მართლა ვერ გამართლა ახლა. ზეც კი უნდა ჩააბაროს ჩაი.

აგლია, სარეკორდოს აგლია.

მოდის თავმჯდომარე ორლობეში და ამ ფიქრებით არის ვაოგნებული.

— გამარჯობა, ბიძია შალვა! — თავმჯდომარე გვერდით ჩაელილი კაბუციის მისაღმებამ გამოარკვია ფიქრებისაგან.

— გაგიმარჯოს, ბიძიო! — თვალი შეაგლო შალვა კაბუცს.

თითქოს კაბუცმა თავისი ფიქრების ძაფი გამოაბა თავმჯდომარეს, კაბუცზე ფიქრი აედუნა ახლა შალვას.

მაშინ პატარა ბიჭი იყო გერონტი, მამა ომბი იყო. ერთ დღეს კანტორაში შალვასთან მიტანტალდა გერონტი ბიძია შალვა, დედამ შემოგითვალა, თუ შეგიძლია დამეხმარე, და ცოტა სიმინდი გამომიგზავნეო. რალაცაზე გაიწიმატებული იყო იმ წუთს თავმჯდომარე. ბავშვმა, დედაო, რომ ახსენა, ამითაც ცეცხლი წაენრო გულზე, სამუშაოდ არ გამოიღის, ომბა, რამდენჯერმე მისცა სიმინდი, დეხმარა, ახლა დარცხენილი თვითონ კი არ მობრძანდა, ბიჭი ვამოგზავნა. დედაშენი სად არის, სამუშაოდ რატომ არ გამოიღისო, ბავშვს ისე ვაურისხდა, თითქოს მართლა რამე ეკითხებოდა მას. მერე თავმჯდომარე ვიღაცას გამოელაპარავა იქვე, ბავშვმა დრო იტვალა და გაქრა უკვალოდ. საქმეებმა საღამომდე მოაწივეს ის ბავშვი და დედამისიც. საღამოხანს უცერად გაახსენდა, იქნებ მართლა მშვირთია ის ოჯახქორი. სწყობის გამგეს დაავალა ცოტა სიმინდი გავგზავ-

ნო... უყურე, რამხელა ბიჭი გაიზარდა გერონტი, — ფიქრობს ორღობეში მიმავალი თავიანჯანდრული თავმჯდომარე, ვინ იცის, გულში მართლა დამახსოვრდა ამ ბავშვს მისი უხიავი პასუხი, რას ერჩოდანა?!

— გამარჯობა, შალვა! — კვლავ შემოესმა ფიქრში წასულ თავმჯდომარეს.

— აბესალომ, შენ ხარ?! — შეჩერდა შალვა აღვასათი სწორი, ჩამოქნილი ტანის ახალგაზრდა კაცის წინ. — შენი ნახვა მინდოდა, აბესალომ, რა ვქნათ ახლა ჩვენ, ჩაი ზეგ უნდა ჩავაბაროთ, მარა იმ გარდამავალ დროსას რა ვუყოთ?

— რა ვიცი, თავმჯდომარე, ჩემი ჩაი ჩავაბარე. შენც ნახე, მეტი არაფერი დარჩენილა ჩემი ბრიგადის ფართობში.

— პო, — მალა აწველმა წარბებმა ნაოჭები შეუყვაცეს შუბლზე და მარცხენა წარბიდან დაწვამდე დასული პატარა ნაჭრილობები უფრო მკვეთრად დაჩანდა შალვას, — პო, მარა, იქნება კიდევ შეიძლება, ბიჭო, რამის გაკეთება. ბრიგადირი აბესალომ კოსტავა, ერთხანს დაფიქრდა. ცისფერი მცინარა თვალები შეზობლის ეზოში რიკტაფულათ გართულ ბავშვებს მაიშტერა.

— თავმჯდომარე, კარგი, აბა, — ახლა შალვას ჩაახლება თვალებში აბესალომმა. — სულიკოს თუ არ ეწყინება, გამიშვი ზვალ მისი ბრიგადის ფართობში, მიშვებულია ჩაი, მისი ასე დატოვება, მით უფრო ახლა, საცოდაობაა.

— აა... — თითქოს ბურანიდან გამოფრცვა თავმჯდომარე, — მართალი ხარ შენ. პო, პო, ჩემო აბესალომ, სულიკოს წყენა რას მიქვია ზვალ დიდას შედი იმ ფართობში და შენ იცი.

მეორე დღეს, საღამოს ათასორასამოცდაათი კილოგრამი ჩაი ჩააბარა კოლმეურნეობას აბესალომის ბრიგადამ.

ერთი კვირის მერე კი საერთო კრებაზე კოლმეურნეობას გადასცეს გარდამავალი დროშა.

აბესალომს საჩუქრები მიართვეს.

კანტორის ეზოს აკაციის ხეივანში თავმჯდომარე და აბესალომი საუბარს შერჩნენ. აკაციის ხეზე ზურგიით მიყრდნობილი შალვა მიწას დაჩერებია. მის წინ მდგარ აბესალომს დაბამული ქურქის ჯიბეში ცალი ხელი ჩაუჩრია და მეორე ხელით ბროწიულის წნელს სალდათური ჩექმის ყელზე იტყაბუნებს ნელ-ნელა.

— პო, ჩემო შალვა, ორ ჰექტარს მე დავამუშავებ პირადად,

— შენ იცი.

— თათბირზე რომ მივდიოდი, მართალი

გიტბრა, არ შეგეოდა, — განაგრძობს აბესალომი, — ასა ცენტნერი სიბინდს ჰექტარზე ბევრი მეჩვენებოდა. თათბირზე ამხდენს ჩამე თქვეს, რომ მართლა დავრწმუნდი, ეს შესაძლებელია. მოვიყვან, ნამდვილად მოვიყვან ჰექტარზე ას ცენტნერ სიბინდს, ოლონდ, ჩემო შალვა, იმ არხის გაფილტვრას დაადგეს საშველი, დღი შედგავთი იქნება!

საუბარში გართულ ბავშვზე წამოხტული დაბამული ქურქით მოხუცი კოსტა მამაგვიშვილი მიუხალოვდათ.

— მობრძანდით, ბიძია კოსტა! — შეხალისა თავმჯდომარე ბერიკაცს.

მოხუცმა დაკორძილი თითები აბესალომს შეიხა მკლავზე.

— კი ბიჭი ხარ, ბიძია, აბა, რავე, სხვაზე ნაკლები რატომ უნდა იყო კაცი?!.. ის პატარა დროშა, დღეს რომ ჩვენ კოლმეურნეობას ჩააბარეს, ჯოხზე დაკიდებული უბრალო ჭინჭიტი არ არის. შე ჩემი ახალგაზრდობა გამახსენდა, თბილისიდან პალტოს ბეჭებზე გამოყვრებული პატარა დროშა რომ ჩამოვიტანე აქ ვადასარჩუნად, ის ბაირალი გამახსენდა. უბრალო ჭინჭიტი იყო ის?!.. აბა, ჩემო ბიძია, იმაზე ჩემი რვეოლუციონერი ამხანაგების მისწრაფება და სინდისი ეწერა. ხომ ჩამევიტანე აქ. ახლა თქვენ, ახალგაზრდებს ვაბარიათ ის. მოუფრთხილდით, ბიძია, მოუფრთხილდით, იმაზე თქვენი ვაჟაკობა, მისწრაფება და სინდისი წერია.

ახლა თავმჯდომარეს მიუბრუნდა კოსტა.

— თავმჯდომარე, წელს კი მოვერევი იმ ნახევარს, მარა ვაისად თუ ვერ შევიძელი, თქვენი ჭირი წამილია.

— რას ამბობ, ბიძია კოსტა!

— აბა, ახლა ცას ხო ვერ გამოვეყვრებო! ორივე მხარეს ამოუდგნენ თავმჯდომარე და აბესალომი დარბაისელ ბერიკაცს და ნელ-ნელა გამოჰყვნენ ჭიშკრისაყენ.

ჭიშკართან ახალბედა ბრიგადირმა ჯემალ მამაგვიშვილმა გზა მისცა უფროსებს.

თავმჯდომარე აბესალომს გადაუღაპარაკა:

— ფური ახლოვე, აბესალომ, ჯემალს, ახალი ბრიგადირია, ვაწიფვა უნდა.

— არხეინად იყავი, შალვა, ისეთი ბრიგადირი გამოვა, კლდეს გააპობს.

ჭიშკარში გასვლისას მის თვალში შეციკინებულ ჯემალს მიუყვავილა თავმჯდომარემ:

— ისე, არ დაგვიწყდეს, ყმაწვილო, იმ აკაციებთან შეხრდილი ხარ. ვახალხელის პირია, ბიჭო, ეს აკაციებიც მალე აუვაყდებიან.

პანო შალვაი

რუსული პრიტიკის კორიფე

ბესარიონ გრიგოლის-ძე ბელინსკი (1811 — 1848) იყო დიდი რევოლუციური დემოკრატი, რეალისტური კრიტიკისა და ესთეტიკის ფუძემდებელი რუსეთში. უდიდესი რევოლუციონერი მოაზროვნე, სამშობლოსა და ხალხის კეთილდღეობისათვის დაუღალავი მებრძოლი, მგზნებარე პატრიოტი და პუმინისტი, იშვიათი ნიჭითა და გემოვნებით დაჯილდოებული კრიტიკოსი, მოწინავე საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოძრაობის შესანიშნავი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი, შრომის ნამდვილი გმირი, უადრესად სპეტაკი, უმწიკვლო და უანგარო, მაგრამ მეტად პრინციპული და გაბედული პოლეტიკოსი. — ისე წარმოვაიღვება ბ. ბელინსკი მის შრომებსა და თანამედროვეთა მოგონებებში.

რუსული ლიტერატურული კრიტიკა ბ. ბელინსკიმ გაამდიდრა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებებით და გახადა იგი ეპოქის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად. მისი გენიალური მეგვიდრეობა მსოფლიო ესთეტიკური აზროვნების ოქროს ფონდში შევიდა და საფუძვლად დაედო მთელს ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობასა და კრიტიკას.



ლიტერატურული კრიტიკა რუსეთში ბ. ბელინსკიმდე იყო, მაგრამ კლასიციზმის ეპოქის „ტრადიციული კრიტიკა“ კმაყოფილდებოდა ცალკეული ნაწარმოებების შეფასებით იმ დოკუმენტური „წესების“ მიხედვით, რომლებიც ჩამოყალიბებული იყო ჯერ კიდევ ანტიკური და ფრანგი თეორეტიკოსების „პოეტიკის“ საბელმძღვანელოებში და ყველა მწერლისათვის სავალდებულოდ ითვლებოდა. ეს იყო ფორმალური, ზერტულ და წერტილმანი კრიტიკა; ის მოითხოვდა ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი „კანონების“ მკაცრად დაცვას, ქედს იბრია-

და „ავტორიტეტების“ წინაშე, მთავარ უუჩადლებას აქცევდა მხატვრული ნაწარმოების რომელიმე ცალკეულ მხარეს და აფასებდა მას არისტოკრატიული „გემოვნების“ თვალსაზრისით.

მეცხრამეტე საუკუნის ოციან წლებში, რომანტიზმისა და კლასიციზმის ცხარე ბრძოლის ეპას, რუსმა რომანტიკოსებმა მკაცრად გაილაშქრეს დოგმატიკური კრიტიკის წინააღმდეგ, წამოაყენეს „შემოქმედების თავისუფლების“ პრინციპი და კრიტიკას უფრო სერიოზული და მებრძოლი ხასიათი მისცეს. ვენევიტინოვის, ვიანოვსკის, კირვეესკის, კოუხელბეგერის, ბენსტრევე-მარლინსკის, ხოლო უფრო გვიან — პოლევოისა და ნადეჟდინის კრიტიკული სტატიები უკვე შეიცადენენ მოწოდებებს ხალხურობისაკენ და იდეურობისაკენ, მათში გამოთქმული იყო პირველი მოსაზრებანი მხატვრული რეალიზმის შესახებაც.

მაგრამ მხოლოდ ბ. ბელინსკის ზედა წილად ახალი რუსული ლიტერატურული კრიტიკის ფუძემდებლის საპატიო როლი, მხოლოდ მან შეძლო მიეცა კრიტიკისათვის დიდი საზოგადოებრივი შენაარსი და რევოლუციურ-დემოკრატიული თვალსაზრისით გადაეჭრა ეპოქის საპერბორტო სოციალური, პოლიტიკური და ლიტერატურული პრობლემები. თავისი დროის მატერიალისტურ ფილოსოფიაზე დაყრდნობით ბ. ბელინსკიმ რუსეთში პირველმა ჩამოაყალიბა მატერიალისტური ესთეტიკა, დაამყვიდრა რუსულ ხელოვნებაში რეალიზმისა და ხალხურობის პრინციპები, წარმართა რუსული ლიტერატურის განვითარება რეალიზმის გზით.

„ლიტერატურა ჩვენში არსებობს, მაგრამ კრიტიკა ჯერ კიდევ არ არსისო“, — მწუხარებით შენიშნა ა. პუშკინმა ბ. ბელინსკის გამოშენის ცოტა ხნით ადრე. ბ. ბელინსკი ვახდა ახალი რუსული კრიტიკის ფუძემდებელი, ისევე როგორც ა. პუშკინი იყო ახალი რუსული ლიტერატურის ფუძემდებელი.



მაგრამ ბ. ბელინსკი ერთბაშად არ შეიძლება გამხდარიყო არც რევოლუციონერ-დემოკრატად და არც რუსული რეალისტური კრიტიკის მამამთავრად. მისი შეხედულებები და აზრები მწიფდებოდა და იხვეწებოდა საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ბ. ბელინსკი, ს. მ. კიროვის სიტყვით, იყო „ღილი მამიებელი“, რომელიც ხარბად, მგზნებარედ და დაუღალავად ეძიებდა ტრეშარიტებს. ბ. ბელინსკის გუთუნის ერთ-ერთი პირველი ადგილი იმ სწორი რევოლუციური თეორიის ძიებაში, რომლის შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა:

„...დაახლოებით გასული საუკუნის 40-იანიდან 90-იანი წლებამდე რუსეთის მოწინავე აზროვნება უმეტესადაა შეტყუარი და რეაქციული ცარიზმის უღელტეხვზე ხარბად ეძებდა სწორ რევოლუციურ თეორიას, განსაკუთრებულად ვულგარდინედ და ბუჯითად აღეწებდა თავაღერს ვერობისა და ამერიკის ყველა და ყოველ „უკანასკნელ სიტყვას“ ამ დაჯგუფ. მარქსიზმი, როგორც ერთადერთი სწორი რევოლუციური თეორია, რუსეთმა ტრეშარიტად ტანჯვით მოიპოვა გავგონარო წამებისა და მსხვერპლის, უმეტესადაა რევოლუციური გმირობის, წარმოუდგენელი ენერჯიისა და თავდადებული ჯიბის, სწავლის პრაქტიკაში გამოცდის, იმედგაცრუების, შემოწმებისა და ვერობის გამოცდილებასთან შედარების ნახევარი საუკუნის ისტორიით“ 1.

ბელინსკი ამბობდა, რომ ამქვეყნად ჩამოყალიბებულ იდეალიზმად არაფერ იხადება. ჩემი განვითარება, — წერდა ის, — განსაკუთრებით მწიფეა იმიტომ, რომ „მეში მტკიცეა ყველა რწმენა, იმიტომ, რომ მე არ ძალმომს ნახევრად ეწმეამო რამ. ზოგი აზრი ჩემში ნახევარი საათის ცხოვრობს, მაგრამ როგორც ცხოვრობს? ისე რომ, თუ თვითონ არ მიმარტოვებს მე, მაშინ იგი უნდა ამოვლერჯო სისხლითა და ნერვებით“.

1834 წლიდან მოყოლებული, როდესაც გამოქვეყნდა ბ. ბელინსკის პირველი სერიოზული ნაშრომი („ლიტერატურული ოცნებანი“, მან განუყო იდეურ-შემოქმედებითი მომწიფების რთული გზა. მისმა შეხედულებებმა განიცადეს განვითარება იდეალიზმიდან მატერიალიზმამდე, აბსტრაქტული განმანათლებლობიდან რევოლუციურ დემოკრატიზმამდე, ხელოვნების იდეალისტურ-რომანტიკული გაგვიდან მატერიალისტურ ესთეტიკამდე. ბელინსკის მოღვაწეობა იმ პერიოდად იყოთა: პირველი პერიოდი მოიცავს 1834 — 1839 წლებს, როცა ბ. ბელინსკი მოსკოვში მოღვაწეობდა, მეორე კი — ირმოციან წლებს („პეტერბურგის პერიოდი“).

ოცდაათიან წლებში, დეკაბრისტების დამარც-

ხების შემდეგ გამოყვებული რეაქციის პარობუბნში, აშკარა პოლიტიკური ბრძოლის (საშეჯალბს აღარ არსებობდა და ამიტომ რუსეთში მისწინა ნავე განათლებულმა საზოგადოებამ საკირბოროტო საკითხების ახსნა-განმარტების ძიება დაიწყო სხვადასხვა თეორიებსა და ფილოსოფიურ სისტემებში. ამ მხრივ გამოირჩეოდნენ ა. გერცენისა და ნ. სტანკევიჩის წრეები მოსკოვის უნივერსიტეტში. ბ. ბელინსკი დავაშირებული იყო სტანკევიჩის წრესთან და განიცდიდა შელინგის იდეალისტური ფილოსოფიის ზეგავლენას.

თავის პირველსავე დიდ ნაშრომში — „ლიტერატურული ოცნებანი“ (1834) ბ. ბელინსკი იმ იდეალისტური შეხედულებიდან გამოდის, რომ მთელი უსახლერო სამყარო წარმოადგენს აბსოლუტური იდეის ანუ „მარადიული სულის“ (ლუთავის) მთლიანობისა და მოძრაობის მრავალფეროვან გამოვლინებას; „იგი განსხვავდება კაშყაში მზეში, დიდმშვენიერ პლანეტაში, ცთომილ კომეტაში; იგი ცოცხლობს და სუნთქავს ზღუთა მღვლეაზე მოქცეუბსა და მიქცეუბსშიაც, უდაბნოთა მშენებარე გრივალშიაც, ფოთოლთა შრიალშიაც, ნაკადულის რაქარკშიაც, ლომის ბძღღუნეაშიაც, ჩვილის ცრემლშიაც, სილამაზის ღიმილშიაც, იდამიანის ნებისყოფაშიაც, გენიოსის მწყობრ ქმნილებაშიაც“.

სწორედ ამ იდეალისტური კონცეფციიდან გამომდინარეობს „ლიტერატურულ ოცნებათა“ ავტორის ხელოვნების თეორია. ის ამტკიცებს, რომ „ხელოვნება არის გამოხატვა სამყაროს დიდი იდეისა მის უსასრულოდ მრავალფეროვან მოვლენებში“; განგება ქმნის ცხოვრებას, იგი შობს ხელოვნებასაც, ყოველი ხალხი, ბ. ბელინსკის აზრით, გამოხატავს „მსოფლიო სულის“ ერთ რომელიმე მხარეს და ამიტვის ამოცანაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ასახოს ამ თავისი ხალხის „სული“. მაგრამ რუსეთში განათლებული საზოგადოება, სიღიანაც მწერლები გამოდიან, მოწყვეტილია ხალხს და იმიტომ რუსული ლიტერატურა გამოხატავს არა ხალხის, არამედ მმართველი წრეების სულსკეუბების. ეს არის არა თვითმყოფი, როიგანალური, არამედ მიმბაძველობითი ლიტერატურა და ამიტომ მას არ შეიძლება ეწოდოს ტრეშარიტი მწერლობა. აქედან მცდარი და პარადოქსული დასკვნა: „ჩვენ არა ვვაქვს ლიტერატურა“.

არკვევს რა ხელოვნების საკითხებს, ბელინსკი, „ლიტერატურულ ოცნებათა“ ავტორი, ამავე დროს მიმოიხილავს რუსულ მწერლობას მ. ლომონოსოვიდან მოყოლებული და იმ დასკვნამდე მიდის, რომ იგი არა დგას მოწოდების სიმაღლეზე, რადგანაც მოწყვეტილია მშობლიურ ხალხს. რუსი ხალხს სულის გამოხატველებად ბელინსკის ზიანია მხოლოდ გ. დერ-

1 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 31, გვ. 11.

ევენი, ი. კრილოვი. ა. გრიბოედოვი და ა. პუშკინი. ისინი დიდი სახალხო მწერლები არიან, მაგრამ „შეუძლია თუ არა ოთხ კაცს, რომლებიც სხვადასხვა დროს მოგვევლინენ, მიუღიო ლიტერატურის შექმნა? არა, არ შეუძლიაო, — უნახებდად ბ. ბელინსკი.

მისუბედავლ მისი, რომ „ლიტერატურული ოცნებანი“ ძირითადად აგებულია იდეალისტურ კონცეფციებზე, მასში განვითარებულია მთელი რიგი სწორი მოსაზრებები როგორც ხელოვნების ზოგად საკითხებზე, ისე ცალკეული მწერლის შემოქმედებაზე. ბელინსკიმ მკაცრად გააკრიტიკა კუკოლნიკი, ბულგარინი და სხვა რეაქციონერი მწერლები და რუსულ ლიტერატურას ბრწყინვალე მომავალი უწინასწარმეტყველა.

ჩვენ არა გვაქვს ლიტერატურა, — წერდა ბ. ბელინსკი, — შე ამას ვიმეორებ ალტაევებით, სიამოვნებით, რადგან ამ ქვეშაბრტყეაში ვხედავ ჩვენი მომავალი წარმატების საწინდარს... დიდებმა დრო და განათლება ფართო ნაკადად მოუფინებინა რუსეთს, ხალხს გონებრივი ფიზიონომია გამოიჩვენა და მაშინ ჩვენი მხატვრები და მწერლები თავიანთ ყველა ნაწარმოებში აღბეჭდვენ რუსულ სულს... დიახ! ჩვენ მალე გვექნება ჩვენი, რუსული სახალხო განათლება: ჩვენ მალე დავამტკიცებთ, რომ არ გვესაქიარებმა უცხოელთა გონებრივი მურყერობა“.

როგორც ვხედავთ, იდეალისტურ საბურველქვეშაც კი ბ. ბელინსკი ქადაგებს რუსული ლიტერატურის თვითყოფადობას და ხალხურობის გზით განვითარების იდეას. გარდა ამ დადებითი მხარეებისა, უნდა აღინიშნოს აგრეთვე „ლიტერატურულ ოცნებათა“ ავტორის შესანიშნავი უნარი ერთ მთლიან, მწყობარ სისტემაში ჩამოიყალიბოს თავისი შეხედულებანი, მისი ფართო ერუდიცია, მდიდარი და საზოგადოებრივი ცოდნე ეს დიდ სახალხს წარმოადგენდა რუსულ კრიტიკაში.

„ლიტერატურულ ოცნებათა“ შემდეგ გამოქვეყნებულ მეორე ვრცელ წერილში „რუსულ მოთხოვნასა და გოგოლის მოთხოვნებზე“ (1835) ბ. ბელინსკი უკვე ლაბრაკობს პოეზიის ორი სახის შესახებ: იდეალური პოეზია, მისი სიტყვით, სინამდვილეს წარმოვიხსნავს პოეტის იდეალის მიხედვით, ზოლო რეალური პოეზია-ობიექტურად, სწორად. ბ. ბელინსკი თვლის, რომ ამ ორსავე სახეს აქვს არსებობის უფლება, მაგრამ უპირატესობას ანიჭებს „რეალურ პოეზიას, ცხოვრების პოეზიას, სინამდვილის პოეზიას“.

ასაღვარდა კრიტიკოსმა სწორად განსაზღვრა ნ. გოგოლის ნიჭის თავისებურებანი ამ დროს, როდესაც უკრ კიდევ არ იყო შექმნილი მისი „რევიზორი“, „მკედარი სულუბი“ და სხვა ნაწარმოებები. მაგრამ ამ წერილშიც ბ. ბელინსკის კიდევ სწამს ლეთაების არსებობა, რომე-

ლიც წინასწარ უჩვენებს ყოველ ხალხს მის „ისტორიულ დანიშნულებას“, აქვეყნებს უმჯობეს ლიტერატურა არის „იდეალურ წყალობაზე“.

ბ. ბელინსკის მიერ იდეალიზმის გადაღების პროცესი აღმოჩნდა ხანგრძლივი და რთული. 1836 წელს ის გაიტაცა ფიბტეს იდეალისტურმა ფილოსოფიამ, მაგრამ რადგანაც ქვეშაბრტყეში მაძიებელმა კრიტიკოსმა ვერ პოვა მღელვარე საკითხების დამამკაყოფილებელი გადაწყვეტა ვერც შელნგის და ვერც ფიბტეს ფილოსოფიაში, ოცდაათიანი წლების ბოლოს მან მიმართა ჰეგელის ფილოსოფიას და მივიდა სინამდვილესთან შერიგების თეორიამდე კი. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მკვეთრად გამოვლინდა ბ. ბელინსკის წერილებში: „ბოროლდანი წლისათა“ (1839), „ავი კვიციანა“ (1840), „მენცელი, გოეთეს კრიტიკის“ (1840) და სხვ.

ჰეგელიანობით გატაცება დამახასიათებელი იყო მაშინდელი განათლებული საზოგადოებისათვის. შემარჯუნე ჰეგელიანული იყო, სხვათა შორის, ბ. ბელინსკის მეგობარი მ. ბაკუნინიც. (ანარქიზმის მომავალი თეორეტიკოსი). რადგანაც ბ. ბელინსკიმ გერმანული ენა არ იცოდა, ჰეგელის ფილოსოფია მან მ. ბაკუნინის მეოხებითა და ინტერპრეტაციით შეითვისა, და მასავით ცალმხრულად გაიგო. მან ვერ გაითვალისწინა, რომ ჰეგელის ფილოსოფია შეიცავს წინააღმდეგობას მეთოდსა და სისტემას შორის. მასში ორი მხარეა: პროგრესული, რაც მღგობარეობაში მომღერებაში დიალექტიკური განვითარების შესახებ და რომლიდანაც ა. გურცენმა რადიკალური დასკვნები გააკეთა (ჰეგელის ფილოსოფია რევოლუციის აღგებრა არისო) და რეაქციული სისტემა, რომლის მიხედვით ყოველი საზოგადოებრივი წესწყობილება, რომლებიც ერთმანეთს ცდილიან, კანონზომიერია, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ აბსოლუტური სულის განვითარების აუცილებელ გარდამავალ საფეხურებს. მაგალითად, ჰეგელი თვლიდა, რომ პრუსიის მონარქია კანონზომიერია და გონივრული მოვლენაა, მეტიც—ის პროგრესის მწვერვალია.

გამომდინარეობდა რა ჰეგელის ფორმულიდან — „ყოველი ნამდვილი გონივრულია, ყოველი გონივრული ნამდვილია“, ბ. ბელინსკიმ აღიარა, რომ ყოველივე არსებული, მათ შორის თვითმყრებლობა და ბატონურობაც, გონივრულია. ეს იმას არ ნიშნავს, თითქმის ბ. ბელინსკის შეუფერადა ცარიზმი და მემამულეები. მას მიაჩნდა, რომ თვითმყრებლურ-ბატონუმურ წყობილებას მოცემულ სტადიაზე უკრ კიდევ არ მოუტანია თავისი დრო და არ მოწიფებულა გაუქმებისათვის. ამრიგად, ცოტა სწით ბ. ბელინსკი ურიგდება სინამდვილეს. ეს იყო კრიტიკოსის დიდ შეცდომა და შემდგომში იგი

მას მწუხარებისა და სირცხვილის გრძობით იგონებდა.

თუკი ვოველივე არსებული გონიერული, განიზომიერი და აუცილებელია, მაშასადამე, ხელოვნებაში არ უნდა გააკრიტიკოს იგი, არამედ ასახოს ისე, როგორც არის. ნაწარმოები, რომელიც კაცსაც „გონიერულ სინამდვილეს“, ე. ი. რომელსაც აქვს რაღაც ტენდენცია, ვარე მიზანი, ქვეშაირად მხატვრულ ქმნილებაში არ ნათვლება. მაგალითად, „ვინ კეთისაგან“, ბელისკის აზრით, არის არა მხატვრული ნაწარმოება, არამედ სატირა, რადგანაც არისტოკრატიულ საზოგადოებას დასცინის...

„პოეზიას არა აქვს მიზანი თავისი თავის ვარეში, ის თვითონ არის თავისი თავის მიზანი“ („ვინ კეთისაგან“). „პოეზიას თავის თავში აქვს საკუთარი მიზანიცა და მიზნებიც („მენცელი, ვოეთეს კრიტიკისა“). ხელოვნება ხელოვნებისათვის არსებობს და არა სხვა რაიმე მიზნებისათვისო, — ამტკიცებდა მაშინ ბელისკი.

მაგრამ ქვეშაირების დეპრობელმა მაშინვე ბელმა კრიტიკისმა ცხოვრებასთან შერიგების ეს იდეალისტური ფილოსოფია და ხელოვნების აპოლიტიკური თეორიაც მალე გადალახა.

* * *

პეტერბურგში გადასვლის შემდეგ, ორმოციანი წლების დასაწყისიდან, ბ. ბელისკის მსოფლმხედველობაში ხდება მკვეთრი გარდატეხა. ის მიდის დასკვნამდე, რომ მაშინდელი რუსეთის სინამდვილე გონიერული კი არა, „ბინძურია, საძაველია, აღმაშფოთებელია, არაადამიანური“. კრიტიკისმა სასტიკი ბრძოლა გამოუტანა „საზიზღარ სინამდვილესთან შერიგების საზიზღარ ფილოსოფიას“. ეყუყუელი ზემს საზიზღარ მისწრაფებას — შეეურთვედ საზიზღარ სინამდვილეს, — წერდა ბ. ბელისკი, — საშინელია იმის გაფიქრებაც კი, თუ რა იყო ეს — ციხე-სხელება თუ ჭკუაზე შერყვავა-თითქოს ახლა უკანასაღებში“.

ბელისკიმ თანდათანობით დააღწია თავი იდეალისტური ფილოსოფიის გავლენას, მივიდა ბუნებისა და ხელოვნების მატერიალისტურ გაცემაზე, ხოლო სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებში დაიკავა სოციალისტურ-უტოპისტური და რევოლუციურ-დემოკრატიული პოზიციები.

ბ. ბელისკის შეხედულებათა „გამოჯანსაღებაში“ მთავარი როლი შეასრულა თვით რუსეთის სინამდვილემ, რევოლუციური მოძრაობის აღმავლობამ ორმოციანი წლებში, რუსულმა მაშინდებელმა ლიტერატურამ, კერძოდ, მ. ლერმონტოვის ბუნტარულმა პოეზიამ, რომელიც გამსჭვალული იყო ბატონყმური სინამდვილის წინააღმდეგ ბრძოლის პათოსით, და ნ. ვოგოლის მახილებელმა ნაწარმოებებმა. მნიშვნე-

7. „ნათობი“, № 6.

ლოვანი როლი ითამაშა აგრეთვე ფოტერბახის მატერიალისტურმა ფილოსოფიამ, რომელსაც ბ. ბელისკი ორმოციანი წლებში გაცივრით უფრო მეტად ვერცხვს, ვიდრე ვერცხვს მისთვის. ა. ვერცხვის მეხებით.

ბ. ბელისკი გამოდის რუსეთში თვითმპყრობურ-ბატონყმური წესწყობილების ძალდატანებით მოსპობის მომხრედ, დემოკრატიული გზით, მაგრამ ის მეტად შორსაა კაპიტალიზმის აპოლოგიიდან. კრიტიკისი კარგად განასხეავებს ფეოდალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ პროგრესულ ბურჟუაზიას გამარჯვებული ბურჟუაზიისაგან, როდესაც ეს უკანასკნელი მოწინავე კლასიდან რეაქციულ ძალად გადაიქცევა ხოლმე. ბ. ბელისკის ესმის კაპიტალიზმის მთელი უხამსობა და მიანია, რომ ფეოდალიზმის მოსპობის შემდეგ, სოციალიზმის დასამუარებლად, ხელისუფლებას სათავეში უნდა ჩაუდგვს ხალხი და არა ბურჟუაზია. „ვინ იმ სახელმწიფოს, რომელიც კაპიტალიზმის ხელშიაო, — წერდა ბ. ბელისკი. ბ. ბელისკი აღწობდა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ზოგიერთ ადრინდელ ნაშრომს. როდესაც მან 1845 წელს წაიკითხა კ. მარქსის შრომა „სამართლის პეგელური ფილოსოფიის კრიტიკისათვის“, სადაც ავტორმა რელიგიას ხალხის ოპიუმო უწოდა, — ბ. ბელისკიმ ა. ვერცხვის მისწერა: „ქვეშაირება შევიძინე, — და სიტყვებში დმერთი და რეიგია ეხედავ სიზნულეს, წყვილად, ბორკილებსა და შორბებს და მივეარს ახლა ეს ორი სიტყვა, როგორც მისი მომდევნო ოთხი“. სიკვდილის წინ დაწერილ ზოგიერთ ნაშრომში ბ. ბელისკი აუცხებს ბურჟუაზიული სახელმწიფოს, სამართლისა და რელიგიის კრიტიკას, რომელიც კ. მარქსმა მოკვდა. მაგრამ ვოველივე ამის მიუხედავად, ბ. ბელისკი ვერ მივიდა ისტორიულ მატერიალიზმამდე, კლასთა ბრძოლის, როგორც ისტორიის მამოძრავებელი ძალის, შეგნებამდე, ვერ გახდა პროლეტარიატის იდეოლოგი, ვერ ამოღდა მარქსიზმამდე. ბელისკის მდგომარეობისათვის ეს შეუძლებელიც იყო რუსეთში ცხოვრების ჩამორჩენილობის გამო.

ორმოციანი წლებში ბ. ბელისკი წარმოგვიდგება როგორც სოციალისტ-უტოპისტი და რევოლუციონერი დემოკრატი, როგორც მგზნებარე მებრძოლი ბატონყმობისა და ცარბზმის წინააღმდეგ, როგორც ექსპლოატარებულ გლეხთა მსახიის იდეოლოგი. თავისი ცხოვრება-შემოქმედების მეორე პერიოდში დიდმა კრიტიკისმა ფილოსოფიურ და სოციალ-პოლიტიკურ შეხედულებათა შეცვლასთან ერთად, ბუნებრივია, შეიცვალა ესთეტიკური შეხედულებებიც. ორმოციანი წლებში მან ჩამოაყალიბა ხელოვნების ახალი, მატერიალისტური კონცეფცია.

თუ ოცდაათიანი წლებში, „შეშაირებლობის“ პერიოდში, ბ. ბელისკი პოეტს უყურებდა როგორც პასიურ შემოქმედს, რამელიც შთა-



გონების ემს ღეთებრივ იღვას გამოხატავს თავის თზულებამი, ორმოციან წლებში იგი გადჭრით უარყოფდა თეზისს ქვეცნობიერი შე- მოქმედების შესახებ, თეორიას „ხელოვნება ხელოვნებასათვის“ და დაუცხრომლად იბრძო- და იმისათვის, რომ ლიტერატურა ხალხის ინ- ტერესებს ემსახურებოდეს. „ხელოვნებისათვის საზოგადოებრივი ინტერესებისადმი სამსახურის უფლების წართმევა, — წერდა ბ. ბელინსკი 1847 წლის რუსული ლიტერატურის მიმოხილ- ვაში, — ნიშნავს არა მის აწილვას, არამედ მის დაშორებას, იმიტომ, რომ ეს ნიშნავს წაართვა მის ყველაზე ცხოველი ძალა, ესე იგი აზრი, აქციო ის რაღაც სიბრძნისა და განცხო- მის სავნად, უსაქმო მცონარეთა სათამაშოდ“.

თუ „შემართებლობის“ პერიოდში ცხოვრე- ბის მანკიერი მხარეების მამხილებელ ლიტერა- ტურას ბ. ბელინსკი არ თვლიდა ქვეშაირტ მხე- ტრულ ლიტერატურად და უარყოფდა, მაგა- ლითად, ა. გრინბოლდის კომედია, 40-იან წლებში, პირიქით, მის შიერ პირველ რიგში წამოწეული უარყოფის იღვა, პროტესტანტუ- ლი და სატირული ნაწარმოებები. „ჩემთვის ყველაზე სამძიოა მოგონება კომედია „ვაი პეტისაგან“, — აღიარებს ახლა კრიტიკოსი, — რომელიც დაეგმე მხატვრული თვალსაზრისით და რომელზედაც კედმიღწერად, მედიდურად ვლამარაკობდი და იმას კი ვერ ვხედეზობდი, რომ ეს არის უადრესად კეთილშობილი, ქეში- ნური ნაწარმოები, ენერგიული (და თანაც პირ- ველი) პროტესტი რუსეთის საზიზღარი სინამდ- ვილის წინააღმდეგ, მოხელეების, მეჭრთაშეების, გარყვხილ ბატონკაცთა წინააღმდეგ...“

ორმოციან წლებში ბ. ბელინსკიმ საბოლოოდ გამოიმუშავა მატერიალისტური, რეალისტური ესთეტიკა. ამიერიდან კრიტიკოსი იღ აზრისაა, რომ მწერლის მთავარ ამოცანას შეადგენს ცხოვრების რეალისტურად ასახვა. „ხელოვნე- ბა, — წერს იგი, — არის სინამდვილის წარმო- სახვა, განმგორებელი, თითქოს ხელახლა შექმ- ნილი სამყარო“.

მაგრამ სინამდვილის სწორად ასახვისას მწე- რალმა უნდა გამოავლინოს მისდამი საკეთარი დამოკიდებულება, მისცეს ასახულ მოვლენებს შეფასება. მასმასადაშე, ხელოვნება უნდა იყოს არა ობიექტივისტურ-ფოტოგრაფიული, არამედ კრიტიკულ-რეალისტური, რომელიც შეიკავს სრულიტურ ვლემენტსაც, „იმ ღრმა, ყოვლის- შემეტყლ და ქეშანურ სუბიექტურობას, რომელიც მხატვარში პოვებს მგზნებარე გულის აღმთის“ და არა პასიურ მჭერტელს. „პოეტს საკეთარ ასახვებში შეაქვს ცოცხალი პარადი აზრი, რომელიც მთი აწლევს მიზანსა და აზრს“.

სხვაგვარად რომ ეთქვათ, ბ. ბელინსკი იბრ- ძოდა ქვეშაირტი რეალზმისათვის, რომელიც არა მარტო ასახავს მოვლენათა ზედპირს, არა-

მედ საფუძვლიანად ხსნის მის აზრს, სინათლეს ჰფენს მის შინაარსს.

ეროვნული

ბელინსკის აზრით, რეალისტური მხატ- ლად ასახავს ცხოვრებას და ამავე დროს გა- მოხატავს ხალხის განწყობილებასა და იღვა- ლებს, იგი ეპოქის მოწინავე იდამიანი და გულწრფელ ემსახურება ხალხის ინტერესებს. „შემოქმედების თავისუფლება, — ევასწავლის ბ. ბელინსკი, — იოლად თავსდება თანამედრო- ვეობის სამსახურთან: ამისათვის სრულიადე არ აზის საჭირო ძალა დაატანოთ საკეთარ თავს, წეროთ შეკვეთილ თემებზე, აიძულოთ ფანტაზია; ამისათვის საჭიროა მხოლოდ იყოთ მოქალაქე, თავისი საზოგადოებისა და ეპოქის შვილი, შეუერთოთ საკეთარი მისწრაფებანი მის მისწრაფებებს; ამისათვის საჭიროა სიმშა- თია, საყვარული, ქეშაირტების უანსალი პრაქ- ტიკული გრძნობა, რომელიც ერთმანეთისაგან არ თიშავს რწმენას საქმისაგან, თზულებას ცხოვრებისაგან; რაც სულში და გულში ღრმად ჩაინერგა, თავისით გამოვლინდება ვართ“.

თუ ოცდაათიან წლებში ბ. ბელინსკი ამტი- ცებდა, რომ „ხელოვნებაში უპირველესი საქმეა ფორმა, ვინაიდან ყველაფერი ფორმაშია“, 1842 წელს იგი წერს:

„...სინამდვილის გარეშე რომ ხელოვნება არ აზის, ეს აქსიომაა, მაგრამ მარტო სილამაზე არ კმარა ხელოვნებისათვის“ („სიტყვა კრიტიკაზე“). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბ. ბელინსკის ბრძოლა ხელოვნების იდეურობისა და შინაარ- სიანობისათვის ორმოციან წლებში იმას არ ნიშ- ნავს, თითქოს კრიტიკოსი ახლა უკვე ნაკლებად აფასებს მხატვრულ ფორმას. სრულებითაც არა. ბ. ბელინსკი შინაარსისა და ფორმის პარმოწილ მერწყმეში ხედავდა ქვეშაირტი ხელოვნების იღვას, იგი წერდა: „პოეზია არის აზროვნება სახეებით, და ამიტომ, რამდენადაც სახეებით გამოსახული იღვა არ არის კონკრეტული, არის ყალიბი და არასრული, აქედან სახეე იეცილებ- ლობის გამო არ იქნება მხატვრული“. ან კიდევ: „ხელოვნება ვერ ითმენს განყენებულ ფილო- სოფიურ და მით უმეტეს გონიერულ იღვებს: მასში დასაშვებია მხოლოდ პოეტური იღვები“.

ხელოვნების სპეციფიკის ამ მსჯელობასთან დაკავშირებით სინტერესისა ბ. ბელინსკის აზრი ხელოვნებისა და შეცნიერების მსგავსება-ვანს- ხეყვების შესახებ. კრიტიკოსის სწორა შენიშე- ნით, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან „არა შინაარსით, არამედ მოცემული შინაარსის მხოლოდ დამუშავების ხერხით. ფილოსოფოსი მსჯელობს სილოვიზმებით, პოეტი სახეებითა და სტრატეგიით, ხოლო ორივე ღაპარაკობს ერთსა და იმავეს... ერთი ამტიკიებს, მეორე აწვევებს და ორივე ვეარწმუნებს, ხოლო ერთი დოგმატური დასკვნებით, მეორე კი სტრატეგიით“.



• •

თავის ახალი ესთეტიკური კონცეფცია ბ. ბელინსკიმ ბრწყინვალედ გაატარა რუსი მწერლების შემოქმედების კონკრეტულ ანალიზში. პროგრესულმა მსოფლმხედველობამ და მილიონმა ესთეტიკურმა გემოვნებამ მას საშუალება მისცა განსხვავებინა მოწინავე და კუწმბაბიბად მხატვრული მწერლობა იმ კონსერვატიული და უნიჭო ლიტერატურული ქმნილებებისაგან, რომელთა პოპულარიზაციას თავჯამოვლებით ეწეოდნენ მმართველი წრეები და რეაქციული ძურნალები. ბ. ბელინსკიმ გააკამბერა „ყაღბი და ამბო მიმართულება“ რუსულ ლიტერატურასა და კრიტიკაში, თამამად დაამხო კუწკოლიკი, ბუნდღიტოვი და სხვა „გაბერალი ავტორიტეტები“. ამვე დროს იგი თანმიმდევრულად იცავდა ბულგარინის, შვეიცარიისა და სხვა რეაქციონერის ძურნალისტებისაგან რეალისტურ მიმართულებას — ა. პუშკინს, მ. ლერმონტოვს, ნ. გოგოლსა და „ნატურალური სკოლის“ მწერლებს, რომელთაც კრიტიკოსმა სპეციალური სტატიები უძღვნა.

ა. პუშკინის შესახებ შთავგონებით დაწერილ ვრცელ გამოკვლევაში (1843 — 46), რომელიც თორმეტი სტატიისაგან შედგება, ბ. ბელინსკიმ მოგვცა არა მარტო დიდი პოეტის ლიტერატურული მეგვიდრეობის ყოველმხრივი და ღრმა ანალიზი, არამედ თითქმის მთელი რუსული ლიტერატურის მეცნიერული მიმოხილვა. „სწერო პუშკინზე, — აცხადებს ბ. ბელინსკი, — ნიშნავს სწერო მთელ რუსულ ლიტერატურაზე. ენაიდან როგორც წინანდელი რუსი მწერლები გეხსნიან პუშკინს, ისევე პუშკინი გეხსნის მის მომდევნო მწერლებს“. ან კიდევ: „პუშკინის მუხა წინამორბედი პოეტების ქმნილებებმა ახარბოვებს და აღზარდეს. მეტსაც ვიტყვით: მისმა მუხამ შეისისხსორცა ისინი როგორც თავისი კანონიერი კუთვნილება და უკანვე დაუბრუნა სამყაროს ახალი, გარდაქმნილი სახით; შეიძლება ითქვას და დამტკიცდეს, რომ დერეფანი, დუკოვსკი და ბატიუშკოვი რომ არ ყოფილიყვნენ, ისე არც პუშკინი იქნებოდა, რომ იგი მათი მოწაფეა. მაგრამ არ შეიძლება ითქვას და კიდევ უფრო ნაღვლებად შეიძლება დამტკიცდეს, რომ მან რაიმე ისუსხა თავისი მასწავლებლებისა და ნიშნუებისაგან, ანდა, რომ იგი სადმე და რაიმეში განუზომლად მათზე მაღლა არ აღდგა“.

ბელინსკი დიდად აფასებს პუშკინს როგორც „თავისი ეპოქის ნამდვილ ანსახველს“, მხატვრული სიტყვის უზადლო ოსტატს. „ის იყო თავისი დროის არა მარტო დიდი რუსი პოეტი, არამედ ყველა ხალხისა და ყველა საუკუნის დიდი პოეტიც, ევროპის გენია, მსოფლიოს

დიდება“ — აღტაცებით წერდა ბელინსკი პუშკინზე.

საქონეზე

ა. პუშკინის მეგვიდრედ ბ. ბელინსკი მიუღწევს და მ. ლერმონტოვს, რომლის ლექსებსა და „ჩვენი დროის გმირს“ კრიტიკოსმა სპეციალური სტატიები მიუძღვნა. აღინშნა რა მ. ლერმონტოვის შემოქმედების მთავარი პათოსი — არსებული სინამდვილის უარყოფა, ბ. ბელინსკიმ სწორად მიუთითა, რომ „უარყოფის საწამლათთან“ ერთად მ. ლერმონტოვის შემოქმედებაში მოჩანს „სულის უძლეველი ძალა და დაუცხრომელი აღტყანება...“

ქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პირველად ბელინსკიმ შეითითა კავკასიის პროგრესულ როლზე პუშკინის, გრიბოედოვის, ლერმონტოვისა და სხვა მოწინავე რუსი მწერლების შემოქმედებისათვის „საოცარი, — წერდა ის, — კავკასიის თითქოს ბედად უწერია იყოს ჩვენი ნიჭიერი პოეტების აყვანი, მათი მუხის შთამავონებელი და გამზარდელი, მათი პოეტური სამშობლო! პუშკინმა კავკასიის მიუძღვნა ერთ-ერთი თავისი პირველი პოემა „კავკასიის ტყე“... გრიბოედოვმა თავისი „ეპი ჰეუსიანან“ კავკასიაში შექმნა; ამ ქვეყნის ველურმა და დიდებულმა ბუნებამ, მისი შვილების მჩქეფარე სიტყვებამ და მკაცრმა პოეზიამ შთავგონეს მისი შეურაცხყოფელი აღამიანური გარშობა აესახა ფამუსოვების, სკალოზუბების, ზაგორაკების, — აღამიანის ამ კარიკატურების ამათურაი, არააღქმნილი წრე... და აი გამოჩნდა ახალი დიდი ტალანტი [ლერმონტოვი] — და კავკასია ხდება მის პოეტურ სამშობლოდ, რომელიც გატაცებით უყვარს მას: მედლივი თოვლის გვირგვინით შემკობილ კავკასიის მიდგომულ მწვერვალებზე მკვებს იგი თავის პარანასს: მის მკაცრ თარგში, მის მივს ჩანჩქერებში, მის სამკერნალო წყაროებში მკვებებს იგი თავის კასტალის წყაროს. თავის აბოკრენს“.

პუშკინი, გრიბოედოვი, ლერმონტოვი, — როგორც ამას სწორად შენიშნავდა ბელინსკი, — აცნობდნენ რუსეთს კავკასიელთა ცხოვრებას და ხელს უწყობდნენ ხალხთა მწერ დაახლოვებას.

გოგოლში ბელინსკი ხედავდა ახალი, მამხილებლურ — რეალისტური ეტაპის წამოშვებ მწერალს. „გოგოლი არის, — ამბობს იგი, — გენიალური, ყველაზე უფრო თანამედროვე, ნაციონალური და სოციალური მწერალი“. განსაკუთრებით მაღალი შეფასება მისცა დიდმა კრიტიკოსმა „მკედარ სულესს“ და მისი ავტორი გამოაცხადა „ნატურალური სკოლის მამად“. ცნობილია, რომ ამ რეალისტური ლიტერატურული სკოლის მთავარი თეორეტიკოსი, პროპაგანდისტი და ორგანიზატორიც ბ. ბელინსკი იყო.

ბ. ბელინსკი იყო მოწინავე რეალისტური მწერლობის გულისხმიერი მეგობარი და ხელმძღვანელი, კერძოდ — ნ. გოგოლის დიდი თაყვანისმცემელი, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლიდა გაელაშქრა შეცდომების წინააღმდეგ, თუგინდ იგი დაეშვა უახლოეს და საყვარელ მწერალს. ამ მხრივ დამახასიათებელია 1847 წ. ბ. ბელინსკის მიერ ნ. გოგოლისადმი გაგზავნილი წერილი, რომელშიც განსაკუთრებით მკვეთრად გამოვლინდა კრიტიკოსის მგზნებარე რევოლუციურ-დემოკრატიული ბუნება. ამ წერილში ბელინსკიმ მკაცრად გააკრიტიკა 1847 წლის დასაწყისში გოგოლის მიერ გამოქვეყნებული რეაქციული წიგნი „რჩეული ადგილები მეგობრებთან მიმოწერიდან“.

მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ბელინსკი მისთვის ჩვეული ცეცხლოვანი ტემპერამენტით დაუღალავად იბრძოლა თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ, ადამიანის ექსპლოატაციის წინააღმდეგ, ხალხის

კეთილდღეობისათვის, დიდი სოციალისტური მომავლმსათვის.

„შევნატრით ჩვენს შვილისშვილებსა და შვილთაშვილებს, რომელთაც ბუნდოდ უწერიანთ იხილონ 1940 წელს რუსეთი — განათლებული მსოფლიო სათავეში მდგომი, მკენიერებისა და ხელოვნებისათვის კანონების მომცემი და მთელი განათლებული კაცობრიობისაგან მოწინაებით პატივცემული“.

ას წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ბელინსკიმ ეს სიტყვები ჩვენი თაობის შესახებ თქვა. საუკუნე დიდი დროა, მაგრამ დროთა მსვლელობა ბელინსკის საბელს კი არ ჩრდილავს, არამედ უფრო ამალღებს და დიდების შარავეანდღდით მოსავს. საბჭოთა ქვეყანაში, სადაც ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ მოსპო საბუღამოდ ის წყობილება, რომელსაც თავდავიწყებით ებრძოდა ბელინსკი, სოციალისტური კულტურის მშენებელთა რიგებში საპატიო ადგილი დაიკავა დიდმა რუსმა კრიტიკოსმა.



ხალხა მოზაიკი

ვაჟა-ფშაველას გამომქვეყნებელი
კუბლიცისტური სტატიები

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ჭარბელ მოღვაწეთა და მწერალთა პირად საარქივო ფონდებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული მემკვიდრეობა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დიდი მუშაობა ჩატარდა ვაჟა-ფშაველას მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობის ყოველმხრივ შესწავლისათვის, ზოგიერთი რამ ჯერ კიდევ გამოქვეყნებულია და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის უცნობია.

ვაჟა-ფშაველას გამომქვეყნებელ პუბლიცისტურ ნაწარმოებთა რიცხვს ვანკეთუნებიან სტატიები: „რას ჰქვინ თავისუფლება?“ და „რა არის თავისუფლება?“

პირველი სტატია დაუმთავრებელი (2 ფურცელი — 35x22) ავტოგრაფია (შავი), უთარილო. დაწერილია 1905 წლის რევოლუციის შემდეგ, არა უადრეს. 1906 წლის მეორე ნახევრისა (იხ. ვაჟას ფონდი № 13).

მეორე სტატია დამთავრებულია. ავტოგრაფი (3 ფურცელი — 35x22), უთარილო. ესეც დაწერილია იმავე პერიოდში (იხ. ვაჟას ფონდის № 15).

ცნობილია, რომ ვაჟა-ფშაველას ცხოვრებასა და შემოქმედებაში დიდი გამოქაჩილი პოეზია 1905 — 1907 წლების რევოლუციურმა მოძრაობამ. პოეტმა მშრომელი მასების რევოლუციურ-გამათავისუფლებელ მოძრაობას მიუძღვნა მრავალი ლექსი, რომლებშიაც გამოხატა თავისუფლების მოპოვების ღრმა რწმენა და იმედი.

ვაჟა-ფშაველას ლიტერატურულ მემკვიდრეობაში თვალსაჩინო ადგილი უკავია პირველი რევოლუციის — ხალხის თავისუფლების ბრძოლისადმი მიძღვნილ თხზულებებს. ამასთან ერთად, ვაჟა-ფშაველას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი არა მარტო ძლიერი პოეტური სიტყვით ეხმარებოდა ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლას, არამედ, იმავე დროს, პუბლიცისტურ წერილებსაც იშველებდა ცარიზმის მძიმე ხუნდებ ქვეშ დამონებულ სამშობლოს გასათავისუფლებლად. აქაც ვაჟა-ფშაველა რევოლუციის, ხალხთა თავისუფლების დიდ მგზნებარ მომღერლად გვევლინება. ამას ნათელყოფს აგრეთვე (ქვემოთ მთლიანად მოტანილი) პუბლიცისტური სტატიები: „რას ჰქვინ თავისუფლება?“, და „რა არის თავისუფლება?“

ვაჟა-ფშაველა

რას ჰქვინან თავისუფლება?

როცა ჩვენს ნაცნობს, ან ნათესავს ატრუსადვენ, დაულონებლიე მივესწრაფებით მის სანახავად ისე, როგორც სნეულისა. თან ვნანობთ: „ახ, რა ცუდი საქმე მოუვიდაო!“ რაღა? რისთვის? — იმისთვის, რომ კაცს წაართვეს თავისუფლება, წაართვეს ისეთი რამ, რითაც იდამიანი შეიწუხეს, წაართვეს სიხარული და მისცეს ვაება, ტანჯვა, თავისუფლება და ბედნიერება

ერთი და იგივეა. დატრუსადებული იდამიანი უბედურადა ჰგრძნობს თავსა: ვერა სვამს და სვამს თავის ნებაზე, ვერ იდგება, ვერ დაწევა ისე როგორც თვითონ უნდა. ვერც ტანთ იცვამს, რაც მოსწონს იმას, ვერა ჰხედავს იმას, ვინც უყვარს, ვერ აკეთებს იმას, რის გაკეთებაც სულით და გულით სწყურია, — თავის ნებაზე ვერ დაილაპარაკებს, თავისუფლად ფეხს ვერ

გადასდგამს. უბედურ ფოფაშია ტუსადი ჩავარდნილი. გვესმის ჩვენც მისი მღვთმარება და გვებრალებს. რაღა უნდა ესოჭვათ შაშინ, როცა დატუსალბებულია მთელი საზოგადოება, ერთი, სახელმწიფო? ნადირი ან ფრინველი ცოტად მოზრდილი, თავისუფლებას ნაჩვევი, ნაკემეზი, რომ დაატყვევოთ, თუ ვერ მოახერხა გააპრეზ ტყეში, მინდურად, — დარდისაგან კედება. მაგალითები აუარებელი ხდება. რაც უნდა კარვად მოუბროთ, ასეთი, აჭამოთ, საუკეთესო ბინა მიუჩინოთ, მაინც თავისუფლად ცხოვრება უჩაჩვევია, მხად მირთმეულს საზრდის, — თავის შრომით წოწალით, წყალგებით მონაპოვარი ეშქმთება. სიცოცხე და სიცხე არ აშინებს, ოღონდ კი თავისუფალი იყოს, თავის ნებ ან ზეც ცხოვრება. — მოძრაობა შევძლოს. აი რამდენად ტკიბილია თავისუფლება.

ნადირს და ფრინველს თითქმის ადამიანზე მეტად უყვარს თავისუფლება. ტრედი მშვიდი, უწყინარი და რომ შეიპყრო ისიც კი გინისკარტებს — გამოშვი, ნუ შატუსალებო. დიად, ადამიანს, მით უმეტეს გაუნათლებელს არ უყვარს თავისუფლება, არ იბრძვის მის მოსაპოვებლად იმიტომ, რომ მონობაში არას აღზრდილი, მორჩილებას, მოთმინებას არის ჩვეული და თანაც იმ სიყვარულს თავისუფლებისადმი აძანებს გულში იმ მოსაზრებით, საწყალს კაცს თავისუფლებას ვინ აღირსებდა, თითქოს ზემოწავის ქალს იყოს შეყვარებული და ვერა პედეადეს თხოვას, რადგან მისთვის ხელ-მისაწვდომი არაა. აბა კაღვად დაუცივრდით თუ ასე არ იყოს.

ადამიანი თავისუფალი იბადება. უცქირეთ ბაშვს როგორ თავისუფლად მოქმედობს, როცა შეიძლება მოძრაობას, ემოტიონება ყველაფერს, რასაც თვალს და ვერსი მთქმელება; იქნება ხელებს და ფეხებს, როცა აჯანში აწვენს ღედა და ხელებზე არტახებს უკარებს. მხოლოდ დიდების მოსაზრება, დაშლა, დაშინება ჰქუცავს ფრთებს ბავშვის თავისუფალ მოქმედებას, რომელიც უსამზღერო თავისუფლებისაგან მისწრაფის...

გაზრდება, მოვა გონებაზე და მაშინ ხომ შინაურ უფროსებთან ერთად უჩნდება ვარეთ სხვა უფროსი — საზოგადოება აუარებელი ზნეჩვეულებით, აზრებით, წესებით, რომელთა შორის მრავალი უფარგისი და პირდაპირ დამღუპველია ადამიანისა, შეშობუკველა იმის თავისუფლებისა, — საღის მსჯელობისა. მშობლები საზოგადოება და უხვირო სკოლები აწვევს ყრმას ისეთს აზროვნებას, რაც უნაშვს მას გონებას, უნერგავს ცხოვრებისათვის მთვენ აზრებს, აჩვევს მონებას, მორჩალებას, მოთმენას. უკლავს სიყვარულს თავისუფლებისადმი. ასე: ადამიანი მოსისხლე მტერი ხდება ბუნებისა; იმის მავივრად, რომ ხელი შეუწყოს და განავითაროს ეს ძვირფასი განძი — თავისუფალი ვარძობა, მისცეს მას გონივრული მიმართულება, ცდილობს დააბზოს, მოსპოს იგი სრულად. ამოავდოს

ძირიან-ფრინველიად ადამიანის გულუდან ამდროს საზოგადოება ვერა გამოიყვანს, რომელნად მოსისხლე მტერი ხდება იგი თავის თავისა. რამომ პიტომ, რომ ხეს ტოტებს აჭრის, ქვრქს აელის ვარეშაში ტანზე, რის ვაშო იგი ხელს უწყობს შტოების გახშობას, რასაც ადრე თუ გვიან თვით ხის გახშობაც მოსდევს, რომ თვით ზეც ღიღხანს არ ვასძლებს.

დიად, გამხმარია, ხმელია ის საზოგადოება, რომელთა წევრებიც მონურად, ყვეან-ჩერჩიტად არიან აღზრდილი და არ უყვარსთ თავისუფლება, — ჰხდება თავის-თავის მტერი, სთელუფებით თავისვე ბედნაერებას. ამისთანა საზოგადოება თუ სახელმწიფო ბუდეა ყოველნაირის უსამართლობისა. ადვილად წნდებათ დანაერტონი და მხაგერული, გაკარცული და მკარცული და იმართება მათ შორის ბრძოლა. დღეს ჩვენა ვართ მოწამე და მონაწილენი ამისთანა ბრძოლისა. ბედნიერება წართმეული ნაწილი საზოგადოების(კლასი) ებრძვის მეორეს, რომელმაც მასი ბედნიერება მითთვისა, მისი თავისუფლება და ქონება. მხაგერული დღევანდლამდის თავისუფლად იქცეოდენ: ფული, მიწა, ფაბრიკები, ქარხნები, სასკოლო ამათ ხელშია. ეს სულ შოტყუილებით, მტარვალობით, — სხვისთვის თავისუფლების ჩამართმევით მოიპოვეს. დღეს დაზარებულა ნაწილი ივარწო ეს უსამართლობა, აახლია თვალები, გაიღვიძა მის გულში დაძინებულმა თავისუფლების სიყვარულმა, დღეს იგი ამბობს: დამიბრუნეთ წართმეული ბედნიერება!

თავისუფლება მტარვალოაგან (ემციერესობა) ხალხისათვის (ემპრავლესობა) წართმეულია ბედნიერებაა. თუ ერთს ადამიანს სტანჯავს, სიყვარეს ტუსალობა — თავისუფლების წართმევა, ფრინველს და ცხოველსა ჰკლავს, რა თქმა უნდა ხვირს არ დააყრის არც საზოგადოებას, რომელიც ადამიანთა კრებულია. როცა მონებაში იმყოფება ქვეყანა, თავისუფლებას მოკლებულია. იგი დამწყვედეულია ციხეში, როდა კმარა მარტო რომ როცა უნდა გამოვიდეს და ისერიოს ქუბებზე, იმღეროს, ათამაშოს, შეიბროს ცოლად ის ქალი, ვისაც იგი მოსწონს და ვინც მას მოსწონს. მაგრამ ამავე დროს აკლია სახსარი ცხოვრებისა, არ აქვს მოსახსნავა მიწა, — მის წინ, იქვე ახლოს მდებარე ნაფუძარი და არ აძლევს ნებას მიწის პატრონი, რომელსც ათასი ამისთანა ნაჭერი მიწა სხვა აქვს.

თავისუფლების მტერია ის ადამიანი, ვისაც არ უყვარს თავისი თავი. თავ-მოყვარეობა ორნაირია, — ბრივეული და გონივრული. ბრივეული, როცა ადამიანი მარტოდ-მარტო თავის თავზე ზრუნავს. მხოლოდ ფიქრობს იმას, მე ვიარკო და სხვა წყალში ზადოსო. მე მქონდეს უფლება სხვა შეტრაცყო და სხვას კი არა მქონდეს ნება პასუხი მისთხოვოს. მარტო მქონდეს ნება ვეარცყო და მეორეს კი მოეხოს საშ-



უღლება თავის დაცემა. სხვის უფლება, ადამიანობა შეღებოს დაუსჯელად, ზელ-შეუბრუნებლად.

ამისთანა ადამიანი მსჯავსია მხეცისა, იგივე მხეცია და მისი თავმოყვარობა არის მხეცეობა. მგელი ასე ფიქრობს — ოღონდ თვითონ გაძლეს და ამის უკრის ნაცვალს იყოს ათასი სულა ცხვარი და ათი-ათასი. არაფერია მგლის ფიქრით ეს ცოდვა, დანაშაული. თავისუფლება უნდა იყოს საერთო, საყოველთაო და არა საკეთილება რამდენიმე ადამიანისა, როგორც ღღეს არი.

მაგრამ მაგარი ის არის, რომ ღღეს არც მხეცეობები არიან თავისუფალი, იმათაც ძვირად უჯდებათ თავისუფლებას შენარჩუნება. მგელი კი თავისუფალია ვითომ? არა. ისიც მუდამ შიშის ქვეშ იმყოფება, ღღეს თუ ხვალ უნდა ამოშაამდეს მგლობაო, — ფიქრობს იგი. უნდა მომკლანო, ბოლო მგლისა მაინც ეს არი: უნდა მოკვდეს თოფით, საწამლავით ან ხაფანგში გაეხვას — სიკვდილი თან სდევს ყოველს ნაბიჯზე. მგელს ადამიანი მაინც სდევნის, თუნდ არაფერს აწვევდეს, რადგან მგელია, ნადირია, ტყავი აქვს გამოსადეგი. ხოლო მგლად მკეთელს ადამიანს ასე არ უნდა მოვეუბრაოთ! იმის გაწერთან ჩვენ — ადამიანთა ხელთ არი. ჩვენ უნდა მოუსპოთ მას საშუალება, დაუცეროთ ბალიკები მგლური ინსტიტუტების, სურვილების სანაეროდო და მორჩა მისი მგლობა.

თავისუფლებას კანონთა თანახმად შეიძლება მამ სხვას ცოლი, ცხენი წაართვას კაცმა; ესთქვათ ივანემ პეტრეს, რადგან პირველს მოსწონს პეტრეს ცოლი და ცხენი? არა, თავისუფლება ამას არ გვიქადაგებს, რომ ყოველი ჩვენი სურვილი, გრძნობა, ყოველი ჩვენი ვნება დაუკმაყოფილოთ წინდაუხედავად. ჩვენის გრძნობების დაკმაყოფილება და ჩვენთა სურვილთა მხოლოდ მაშინ არი შესაწყნარებელი, თუ ამით ჩვენ სხვას, ცალკე ადამიანს ან საზოგადოებას თავისუფლებას არ წაუართმევთ; რად უნდა წაართვას ივანემ პეტრეს ცოლი, როცა თვით ებტრე არა სწუნობს თავის ცოლს, არამედ მოსწონს და უყვარს იგი? ხომ ცოლია, უნდა ტანჯვა-დარბში და ვარაშში ჩაუარდეს კაცი და მისი თავისუფლება შეიღახოს. ესთქვათ, პეტრე სწუნობს ცოლს და არც ეწყენება თუ იგი ივანეს წაჰყვება, მაგრამ შეიძლება თვით პეტრეს ცოლს არ მოსწონდეს ივანე... ვანა აქვს უფლე-

ბა, ნება ივანეს შეახოს მას ხელი? არა, ასევე არა. ამისთანა კანონებს არ ვადავობს თავისუფლება. თუ ეს ასეა, მამ რად ვართმევთ დიდს მამულისა, ტყის პატრონს თავიანთ საკეთილებას მამულ-ღვღელს? ხომ იმასაც უყვარს თავისი მამული? მამულის ჩამართმევით ხომ ვართმევთ იმას თავისუფლებას? ცხელმძღვანელობთ ამ შემთხვევაში სიმართლის გრძნობით თუ არა? იქნება უსამართლოდ ვიქცევით, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ? არა. არ ვიქცევით უსამართლოდ და აა რატომ, დღი მამულის პატრონა ჯერ ერთი, რომ სხვებს, ასს, ათასს ართმევს თავისუფლებას, რადგან სხვის ნაშრომს იტაცებს, სხვას ღუქმას სტაცებს, ეს უწყსოებაა, უსამართლობაა და როგორც უწყსოების ჩამდენს მას უნდა მოეხსიან საშუალება ამ გვარის ყოფი-ქცევის; მეორე მამულ-ღვღელი ხომ იმის შრომით შექმნილი არ არის, იგი ღვთისაგან ბოძებულია. იგი ძალმოშობის, როცა ბუნებას სტაცებს მომეტებულს, რაშიც სხვებსაც წილ უღვეთ. ყველა ეს საუბრო ერისათვის როგორც ცალკე ადამიანათვისა, კანონები უნდა იყოს თვით ხალხის დადგენილი.

მაშასადამე თავისუფლებამ უნდა მოგვეცეს სიამოვნება. შეიძლება უსიამოვნებაც მიერგოს თავისუფლას ადამიანს, როგორც სასჯელი უხეირო საქციელისათვის, მაინც მისი თავისუფლება არ იქნება დარღვეული, რადგან ხალხისაგან შექმნილი კანონი, რომლის დადგენაში თვით იმასაც მონაწილეობა აქვს მიღებული, სჯის მას. ხომ იცით ჩვენებურთა გლეხკაცი რას ამბობს: „სამართლისაგან მოჭრილი ხელი არ მუტკნებაო“. ოღონდაც რომ ასეა. თავისუფლებამ უნდა მისცეს მუშას მთელი ნაყოფი შრომისა. უნდა მისცეს სწავლა-განათლება, — თავის თავსა, თავის ერისა და კაცობრიობის გონიერული სიყვარული.

უნდა შინაივს ნება, უფლება იმ ზელობას დაადგეს, რომელიც მას მოსწონს და ეხერხება — იცხოვროს იქ, საცა მოითურვებს, ისე რომ სხვის თავისუფლება ოღონდ არ შეზღუდოს, სხვას უსაამოვნება არ მიაყენოს. უნდა უპასპორტოდ წავიდეს და მოვიდეს, საცა უნდა. ვერაფერ უნდა შეახოს მას ხელი, ვიდრე კანონი არ გადამწყვეტს. უნდა ილაპარაკო, სწერო საზოგადო საქმეებზე ისე, როგორც შენ გინდა, დაშლა არავის შეუძლიან, უნდა გამოსთქვა შენი აზრა , დაკამო დასაგმობი, აჭო საქმეები.

[1906 წელს]

მარა-ფსაველა

რა არის თავისუფლება?

„მშობა, ერთობა, თავისუფლება“ ამ სიტყვებით გაიყდენთა არა მარტო ადამიანთა ყურებო, არამედ ქვებიცი კი; არადროს, ჩვენს ქვეყ-

ნას დაარსების შემდეგ, არა გვეკონია ასე მძლე-რად და საყოველთაოდ როდისმე მსენსოდეა საქართველოს ეს საბი სიტყვა, როგორც ესმა

მას ამ წარსულ 1904-5 წლებში და დღესაც ესმის და მომავალ წლებშიც გაიგონებს.

მამასადამე უნდა ვიცოდეთ, გვესმოდეს თუ რაა ერთი, მეორე ან მესამე. ორს ტერმინს რომ სულაც თავი დავანებოთ და მხოლოდ მესამის ძალა, ე. ო. რას ჰქვიათ თავისუფლება, — ის შევიგნოთ, ესეც კმარა, რადგან მშობა, ერთობა მარტოოდენ შტოებია იმ ხისა, რომელსაც თავისუფლება ჰქვიათ: საცა არ არის თავისუფლება, იქ ვერ იპოვნით მშობა-ერთობას; იქ შეპხვრებით მხოლოდ მტრობას, ქიშპობას, ჭამა-გლეჯას და მგლობას; მგლების ბანაკი ერთის მშრით, ხოლო მეორეს მშრით ცხვრის ფარა, საცა ნაეარდობენ მგლები... საცა მგლები ბუდობენ, იქ ცხვრები რომ ის იბერებენ?! ან რა ძაობა შეიძლება მათ შორის?... თუ შეუძლებელია, მოუთახებელი და მოუხებრებელი მგლებისა და ცხვრების შეერთება, რადღა ვეყვიროთ, რად ვიძახებთ ამ მშობა-ერთობას? ვიძახებთ და უნდა ვიძახებთ, მაგრამ მგლებს ხომ არ ვეძახებთ, ირამედ დაქსაქსულ-დაფანტულს, დაწოკებულს ცხვრებს, რომ მოიყარონ თავი — თავს, შეაერთდნენ, მოიფიქრონ როგორ მოუარონ თავის-თავს, რათა მგლების საქმელ ღვესად აღარა ხდებოდნენ; უნდა გამოძებნონ საფარი და გზა საველი. მგლებს ამ დროს იქ რა ესაქმებათ? ამ დამახილზე ისანი თითქოს უფროსად იყურებენ, არც მოვლენ, ხოლო თავისიანებს, გაგამარჯოსთ, რომ მგლებიც კი მშობა-ერთობას უქადაგებენ. თუ ასე არ მოიქცნენ, ხომ დაეკარგათ ძალა და ცხვრებმა სათითაოდ, თუმც ამ უკანასკნელთ არა აქვთ ვალდამსებელი ვიღები, — გაათავეს რქებით და ჩლიქებით?! ძაობა ხომ იმას შიას-წევებს, როცა ერთს მგელს გაუქირდება მეორე უნდა მიეშველოს, ვგრეთვე თუ ცხვარი — ცხვარს...

მაგრამ, მაგარი ის არის, რომ მგლებს ისე არ ესაჭიროებათ ერთობა როგორც ცხვრებს, რადგან თვითედულს მგელს საკმაო ძალა აქვს ცხვრებთან საბრძოლველად, — ძალა, რასაკვირველია, ფიზიკური, რომელსაც ისინი ხმარობენ ცხვრებზე. ცხვრების ძლიერება კი ერთადერთი სწეობრივი ძალაა.

დღესნამდის ჩვენ ცხვრები ვეყავით და ვართ კიდევაც, ხოლო ვინც მგლები არიან, ეს თქვენც კარგად იცით. ჩვენ ვიტანჯებოდით, ვირბეოდით, და ამ რბევა-ცარცვამ გვაფიქრებინა მიგვე-მართოს ერთობისათვის, ერთი პირი, ერთი ფიქრი მოგვეპოვა და ამით შეგვეძინა ძალა... ჩვენ მოვისურვეთ თავისუფლება: განუყოფილად არ უკმა და უკარსა ჩვენი თანა-მოძმენი მოსისხლე მხეცებს... ჯერ-ჯერობით ამაში გამოიხატება ჩვენი წაღილი თავისუფალი სიცოცხლისა, რომ ძალმომრეობას გზა მოეტაცოთ და თანდათან სრულადაც მოესპოთ იგი.

თავისუფლება ცოცხლებისთვისაა ხელსაყრელი და არა მკვდრებისათვის. იგი გამოიხატე-

ბა ადამიანის ნდობა-მისწრაფებაში; თავისუფლება მოქმედება — განხორციელება ნებისა, აზრისა, გრძობისა და არა განწყობა, უქმად ყოფნა. თავისუფლება პიროვნებისა და ერისა ერთი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული: სადაც არაა პიროვნება თავისუფალი, იქ ერთი დამონებულთა და დამონებულ ერში, რა თქმა უნდა, პირთვნებაც მონაა, უთავისუფლო, სხვის ხელში სათამაშო ნივთი.

იქ რა უნდა თავისუფლებას, საცა ჩემი ნამომ-ნაღვანე სხვას მოაქვს? ჩემი შრომის ნაყოფი, ჩემი უნებურად, ჩემ მიერ ნება დაუროფელად სხვა ისაკუთრებს? მე ვტყრო, ის იცინის, და ჩემში, მტაცებლის მიმართ მხოლოდ ზიზღა და გრძობა შერისიძებისა სდებს და გადმოდის! მინდა ვისწავლო და ნება არ მემდევა? მინდა ჩემის საკუთარის ხარჯით დაეარსო უნივერსიტეტი და უარს შეუბნებიათ?! და სხვ. და სხვ.

არ მინდა ეილოცო ის შევნიერად შორთულ-მოკაზმული კერბი, რომელსაც შენ პლოცულობ. იქ ვინ ნახა თავისუფლება, საცა მე ჩემს დედა-ენაზე ლაპარაკს მიშლიან; არც მასწავლიან, არც მუბნებენ, არც მამღერებენ. არც მავლობებენ?! რა გელი უნდა მჭონდეს მაშინ? რას უნდა ვგრძობდე?! სხვას არაფერი, გარდა ზიზღისა, — მძულვარებისა. მოწამულ-მოშამულია ჩემი საცოცხლე, ვგრძობ მხოლოდ უსიამოვნებას, სიძულელს და ვწევლი ამ ძალეზე. იმ მგლებს, რომელნიც ყველა შე-მოგ აღნიშნულ საქმენი ხელს მიშლიან, წინ შელობებთან და ვეცელ მარჯვე შემთხვევას შევმუსრო ისინი... როცა ეს დრო დგება და მეც მოქმედებას ვიწყებ ამ ძალთა შესამუსრავად, დასაბრუნად, მაშინვე იწყება ჩემი თავისუფალი ცხოვრება; აქ არის დასაწყისი თავისუფლებისა.

და უკეთეს ვითმენ, ხმას არ ვიღებ, არაფერს ვამბობ, მაშინ ვარ მონა, არა მძულს ჩემი მზა-ერული ძალა, იქნება მძულს კიდევ, მაგრამ ამ მძულვარებას გულში ვმალავ? მაშინ ვარ ლაჩარი, უფრო საზიზღარი ვიდრე მონაა. არა, მძულვარება როცა უქოლერესობამდელს აღის, მაშინ ლანრული გრძობა ისპობა, მაშინ ამბობს ადამიანი: ან მოგვედები, ან ვძლევ ჩემს მტანჯველთ...

არ იძლევა, არ დაამარცხდება მზავრელი ძალა, არ დაფრახება მგლის გოგი ვიდრე ამას არ იტყვის უმრავლესობა ერისა, იტყვის კი როდესმე ერთი გადამკრით, თავ გამოდებით — „სიკედლი ან სიცოცხლე?“ (ე. ო. თავისუფლება) — იტყვის და ამბობს კიდევაც. ამას ჩვენი თვალით ვხედავთ, აშკარად ვგრძობთ ყველანი. მაშასადამე სხანს, მისმა მძულვარებამ მგლებისადმი უქოლერესობამდე მიიღწია. თუ ეს ფაქტია, ნამდვილი მოვლენა, მაშინ იყო-დეთ, სიყვალე აღარ შეგვაშინებს, მაშინ უყე-



ლა მხად იქნება თავი დასდოს თავისუფლება-სათვის და გამარჯვებაც უსათუოა. ამიტომ, ვამერბებ, ვისაც თავისუფლება უყვარს და უნდა მისი დამყარება ქვეყანად, ჯერ, უბირველეს ყოვლისა, უნდა შეაქულოს მთელის თავის არსებით გულით და გონებით მტარვალნი და მტარვალნი. ეს არის მხოლოდ საშუალება, რომლის წყალობით ადამიანს შეუძლიან შედგნად იბრძოლოს, არ დაზოგოს სიცოცხლე თავისუფლების მოსაპოვებლად... და რა არის ეს თავისუფლება, რატომ არ იკითხავენ?

უპაყრავად ნუ ვიწინები, რომ მე ჩემებურად ვაქმნარკო ეს სიტყვა. თავისუფლები ხალხისთვის მტარვალთაგან წართმეული ბედნიერებაა. ბედნიერება წართმეულს, რა პრებეა უბედურობის მტერი? — არაფერი. კიდევ იმიტომ არის რომ უბედურად პგარძნობს თავის თავს ყველა დამონებული, თავისუფლების მოკლებული ერი და პირიყვნება.

წართმეველნი სარგებლობენ ამ წაყაბარის ბედნიერებით მხოლოდ ცოტა ხანს, რადგან ცხოვრების ლილიყის წყალობით ეს ნადვლი მოპარული ბედნიერება მტაცებელთათვის უბედურებად ხდება, გადავლუთ თვლა მთელ რუსებს და ჩვენს ქვეყანას. აფყარად დანიბებით რომ ეს ასეა. დღეს ხალხი იბრუნებს იმას, რაც წართვეს და წართმეული გახლავთ, მოკლედ რომ ესთქვათ, ბედნიერება. წართმეველი დღეს ტირის, ხოლო გაყარებული მღერის, მზიარულობს, რადგან დანიბარებს პოულობს, წართმეულს აბრუნებს. თავისუფლების ქურდები ბოლო გაშს შედამ დასჯილან. როდნა დღება ეს ბოლო ეახი? — სწორედ მაშინ, როცა ხალხი თვალებს ახვლს, როცა თავის ყოფა-მდგომარეობის აუტანლობას პგარძნობს და პქედებს, გაიცნობს იმ შავ ძალებს, რომელთაც წართვეს ბედნიერება, — სწულს ასინა უსახლუროდ; სწორედ მაშინ ცდილობს შემქნარის თავის დამონებელნი...

რას ბოთულობს თავისუფლება ადამიანისაგან? როგორ უნდა იქცოდეს თავისუფალა ადამიანი? — თავისუფალი ადამიანი უნდა იქცოდეს ისე, რომ თავის ყოფა-ქცევაში სხვას არ ქენებდეს. მით უმეტეს საზოგადოებას, არა შედ მისი მოქმედება უნდა იყოს მიმართული ქვეყნის საბედნიეროდ. თუ ეს პირიბა არ აქნება ადამიანისაგან დაცული, მაშინ მისი მოქმედება იქნება ავიაყური, ვანიიდგან ყოველი ავიაყო თავისუფლად იქცევა მხოლოდ პარადი სარგებლობისათვის. მაშასადამე მხოლოდ იმაში არ გამოახატება თავისუფლება რაც გნებავს ის ილაპარაკო, სწყრო, აყუთო, — არა... უნდა ყოველს სიტყვის და მოქმედების, საერთო, საზოგადო ბედნიერება ედვას სარჩულად, თუ

ქვეყნის სასარგებლო არა, სამყენებლო, სახარალო მანც არ უნდა იყოს ქვეყნისათვის ყველა ჩვენგანის მოქმედება. ხალხისთვის მოტაცებული თავისუფლება მტაცებელთა ხელში როდია თავისუფლება, იგი იქცევა მტარვალნიბად. ამ თავისუფლებისას მტარვალნი ათასნაირს აკეპ-ბორყოლებს სქედენ, ხაფინგებს, გაზებს, თავში საყენ კვერებს და საღრჩობელის ბოძებს სდგამენ... ხალხს ამ თავისუფლებისაგან შეზავებულს შხამ-ნადველს, საწამელის უზადებთან და იმას აწვდიან. ბოლოს კი თითონ რჩებან მონამბულნი. ისტორია ამის მაგალითებს უხვად იძლევა. ხალხი იტანს ამ საწამელავს, იგი ისევ ხალხად რჩება, იმარჯვებს, ხოლო მტარვალთა ვუნდი მიწაზე ერთობა... ამიტომ, უბირველეს ყოვლისა, თავისუფლების წართმევა უფრო იმათ პვნებს, ვინც თავისუფლებას პპარავს, ართმევს ხალხს და სურს იმით მარტო თავად ისარგებლოს.

თავისუფლების მტაცებლებზეა სწორედ ზედ გამოყრილი ქართული ანდაზა: „ვირმა პალო მოპარო და იმდენი სხვას არა პყრა რამდენიც თითონ იყრა“.

ხალხს მმართველნი, რომელნიც ამ უღარესს უგუნურებას პმერებიან და ხალხის მონებად გადაქცევის ცდალობენ, გარდა იმისა, რომ თავიანთ წოდებას პპრწიან ზნეობრივ და ფიზიკურად, ხალხსაც აფუქებენ. დამონებული ერი უმუდა ბენავია მინაურობაში და რა თქმა უნდა ბენიავი და სუსტა ვარშე მტერთან საბრძოლველად. ამის დამამტაცებელი მაგალითი დღევანდელი რუსეთია, რომელიც პატარა იაპონიას დაეატყა და რქება შემოიმტერია.

მაშასადამე თავისუფალი უნდა იყოს არა რომელიმე ერთი წოდება, არამედ მთელი ერი. ქვეყანაც მხოლოდ მაშინ იქნება ბედნიერი, როცა მოახლობა წოდებრივი უბირატესობანი, — ყველა წოდება იქნება თავისუფალი ე. ი. ბედნიერი... თავისუფლება და ბედნიერება სინონიმებია.

ნუ ეგებთ იქ თავისუფლებას, სადაც ცხოვრებას ისევ საფუძვლად წოდებრივი განსხვავება აქვს დადებული, საცა ყველას განუტრეველად წოდებისა და გვარიშვილობისა, არ ეძლევა საშუალება პატიოსანი შრომით მოიპოვოს პური არსებისა, — საცა შრომა ლირსეულად არ ფასდება, საცა არ არის თანამწორად განაწილებული ცოდნა, ქონება.

მარტო ქონებრივი უბრუნველყოფა არ არის გარანტია ერმა შეინარჩუნოს თავისუფლება, უყუთუ მას თან არ ახლავს ერის საერთო გონებრივი სიმწიფე, განათლება და ცოდნა.

პახანაზ ჩაჩიკაშვილი

გამარეში—ვაჟა-ფშაველა

პატარაობისას ძალიან მიყვარდა ჩექმები და დანა. როცა ქალაქში ან ღუქანში მიდიოდა მამა, სულ ერთთავად ჩექმებს და დანას ვაზარებდა. „შენი ქირიმე, მამაე, ჩექმები და „ზავილოვის დანა“ მომიტანე-მეთქი“, ვუტყვოდი. „ზავილოვის დანას“ მაშინ ეძახდნენ ერთნიარ შავტარიან ფოლადის დანას, კვესადაც ვარგოდა, ტალზე აბედს უკიდებდა, საქონლის მწვემობის დროს, როცა ვანდოდა, ცეცხლს გაანალებდი. უკაც ვარჯი ქვონდა.

ჩექმას ჩემთვის ყოველთვის ვერ შოულობდა. დანები კი ხშირად მოპქონდა ხოლმე, მაგრამ მე დანას მალ-მალე ვეკარგავდი — ერთთავად სულ ჩხირებს ვთლიდი, ტყეში მეკარგებოდა და დღენიადაც მე და დედაჩემი მისი ძებნით ვუყავით ვართულა.

თუ მოვიგერათისთვის მიუწყვდომელი იყო ვიქვას დიდი ნიჭი და მალალი გონება, სამაგიეროდ, ბევრი მოხიბლული იყო მისა პირადი ეყვავილობითა და გამბედაობით. — „ჩვენმა ვაჟამ ბოქაულს დასთხლიშოი“, „ჩვენს ვაჟას მირიო პოსრედნიკისთვის ვატრეტყამსო!“, „ა, ბუნავ, ეკეთა უნდა ვაჟიო!“, „ვაჟა რომ არა გუყავდეს, რა გვეშველებოდაო!“ იტყოდენ ხოლმე ფშავლები. „შენ კი ვერ იქნება, „ბალო, მამითიო?“ — სიცილით მეკითხებოდნენ; „შეც დავთხლემ ბოქაულს მეთქი!“ — ვუპასუხებდი უყვლას. მათაც ჩემი სიტყვები ახარებდათ.

ერთხელ სოფელ ხორხს ვიყავით, დედის მშებში; მე, დედა და მამა. ჩემს პაპას (დედაჩემის მამას), გიორგი დიდებულს, ეზოში ბევრი ფუტკარი ჰყავდა, სახლის წინ ვთამაშობდი ბავშვებთან ერთად.

გიორგის სტუმრები ჰყავდა, მათ შორის იყო დღეს ჩვენი ცნობილი მუცნაური აკაკი შანიძე. თამაშობის დროს თავზე ფუტკარმა მიკბინა. მოვრთე ტირილი და მოკვურცხლე სახლისაკენ. „რა მოგივიდაო?“ მეკითხებოდნენ სტუმრები და მამაჩემი. „ფუტკარმა მიკბინა და ძოლი (ძვალი) გამიტეხა-მეთქი,“ — ვუპასუხე კითხვაზე.

ბევრი იცინეს მამაჩემმა და დამსწრეებმაც — ძოლი გაუტეხნია ფუტკარსაო.

თხილის წნელისაგან პატარა გუთანს ვაგავეთ. ქუსლი, სამხრე, ზელვული, ერთი სიტყვით,

მთის გუთანს, რაც ნაწილება აქვს და რაც ეიცოლი, ყველაფერი ვაგავეთ, არაფერი დამიკლია.

გამოვედი ჩვენი სახლის გვერდზე მდებარე ტყიდან, გამოვიტანე ის პატარა გუთანის, მამაჩემისთვის რომ მეჩვენებინა. გუთანის სიგრძე სულ ოცი სანტიმეტრი იქნებოდა.

ამ დროს მამა თავის საწერ მაგიდასთან იჯდა და ფანჯარა ღია ქვონდა. ზაფხული იყო, მივედი ახლოს და შევიძახე გარედან: „აი, მამაო, როგორი გუთანი ვაგავეთ-მეთქი“.

ჩემს დაძახებაზე მამამ სათვალეს ქვემოდას გადმოშვედა, მგონი, მოიხსნა თუ შუბლზე აიწია სათვალე. ჩემ მიერ ნოსტატარი გუთანი გამომართვა და გულმოდგინედ სინჯავა დაუწყაო.

„ქარგიაო“, მოთხრა. დიდო მაგიდაზე გვერდით, უკან აღარ დამიბრუნა, არ ვიცი — რისთვის.

იმავე დღეს დედაჩემს უთხრა, წავეყვანე საგურამოს სამეურნეო სასწავლებელში, რადგან მეურნეობის ნიჭს მატუობდა, დედა გაჯავრდა: რად მინდა მეურნეობა, მეურნეობას რაღა სკოლა უნდა, მეურნეობას ისედაც ისწავლისო! მამას ვაიღიმა: მეურნეობა განა მეურნეობაა, დედაცაო? საგურამოში მებაღეობის სკოლა არის და იქ ყველაფერს ისწავლის. ამ ბავშვს აუცილებლად იქ უნდა ვასწავლო.

ამის შემდეგ დედაჩემსაც აღარ გაუწყვია წინააღმდეგობა.

მამა მოელაპარავა დავით ჯანაშვილს, რომელიც სოფელ მალაროსკარში ცხოვრობდა. მამაც ჩემი ტოლი ვაჟიშვილი ჰყავდა. დავითის მეუღლე რაზიკაშვილის ქალი იყო და დავითი ჩვენ სიმედ გვერგებოდა. მამაჩემი და დავითი შეთანხმდნენ, წავეყვანეთ მე და დავითის ვაჟი, იოსები, საგურამოს სამეურნეო სასწავლებელში.

ამ სასწავლებელში ჩემი წაყვანის ამბავი თუთონ დავითმა მამამთ: „საგურამოში რომ გამგზავნა ვაჟამ, ზათრი ვერ ვაგუტეხე, ჩავედი, გიოგე სწავლის პირობები და თქვენთვისაც ბინა ვიშოვნე, როცა იქიდან დავბრუნდი, ვაჟაჩემს სახლში ავადმყოფი დამხვდა, გაეცოვებინა. საბანში იყო გაბეჭული, სახე სრულებით არ უჩანდა. ვეამბე საგურამოს ამბებზე. სკოლისა ვუთხარა, რომ ბავშვებს მშვენიერი ბინა



ვეროვნე, დიდებული ოჯახი, ცოლ-ქმარი, ვტყობოდა, ღვთისწიერი აღმამანები არიან-მეთქი.

როდესაც ქალზე (დასახლისზე) ჩამოვაგდე ლანარაკი, საბინიდან ცალი თვალა გამოჰყო და საცოდავად შემეკითხა: „ჯეელიაო? და თან ამაგ-ძაგებდა ციებისაგან. შე გადაეხარაჩარე: მელა კვდებოდა და თავი საქთომისაყენ მიქონდაო. არა, ისე შეგეკითხო, იმართლა თავი, შეიძლება, ასევე შემეკითხა“.

შე კარგად მახსოვს, მამაჩემმა და დავითმა ჩვენს პატარები (შე და ოსები), შემოგვისევის ცხენებზე და წაგვიყვანეს საგურამოსს. მამაჩემმა ცხენის ვაეაზე შემოსვა. ხეში ჩავედით, მოზრდილი რუ მოდიოდა. ჩვენი ცხენი ვადაბტა თუ მამამ ვადაბტუნა, ვადმოყვარდი ცხენიდან და თავვე წყლისაყენ დავეცო — ისე უცნაურად, რომ ჩემი ადგომა დაუხმარებლად შევძლებელა იყო. — ადგილი, მიყვირა მამამ, აბა, როგორ ავდგებოდი! დავითი მომეშველა. ამოშატრია იმ რუდან და ისევე მამაჩემს შემომისვა ცხენზე.

მოვდიოდით გზაზე და მიკვირდა: პირველად ვხედავდი ასეთ დიდ მინდვრებს, როგორც საგურამოსი იყო. მთის ხეობებიდან პირველად გამოსულ ბაეშეს შეჩვენებოდა, თითქოს სადღაც შორეულ უდაბნოში ვიყავი. ეღარდობდი ძალან, მაგრამ არ ვიჩნევდი. აღბათ, მამაჩემმა შემატყო და მომიფყრა. ასე ტკბილად იმეფათა მომქცევა, აღერსით შესაუბრებოდა გზაში, მართობდა, წამოსვლის დროსაც მანუგეშა.

უფროდ ყოფნა ძალიან მივირბა. სახლის პატრონს ღიზა ერქვა. იგი კარგი აღმამანი გამოდგა. როგორც ნამდვილი დედა, ის მეპყრობოდა და მიეძლია. ყველა ბაეშეთან შედარებით, მეტ ყურადღებას მაქცევდა.

შემოდგომიდან ახალწლამდის დავრჩი ამ სასწავლებელში. სახალწლოდ დავეითხოვეს. მამაჩემს დავით ჯანაშვილი გამოეგზავნა ჩვენს წასაუყვანად. გზაზე დიდი თოვლი იყო. მაგრამ მე სხარელისაგან აღარც თოვლი მიგრძენია და არც სიცივე, ისე ავედა შინ.

მამაჩემი გახურებულ ზუხართან იჯდა. როცა შე და დავითი შევედით შინ, მამას ძალიან ესიამოვნა ჩვენი მისვლა. არ ვიცო, პატარის გამოცვლამ იმოქმედა ჩემზე თუ რა იყო მიზანი, საკმაოდ მომატებული დავბრუნდი საგურამოდან. მამაჩემმა იტყრა: „ეს ბაღლი ფუტყრებს ხომ არ დაუტყენიაო?“

დავითი ჩვენი სახლის პატრონის ქებას უამბობდა მამას.

ამის შემდეგ დავრჩი სოფლად, ჩარგალში, ჩემს ღებთან. ზაფხულობით გულქანთან და მარამთან ერთად დავდიოდით ცხვარ-ძროხაში. ზამთრობით კი ისევე ჩარგალის სკოლაში ვსწავლობდი. საგურამოში მამას აღარ წაუყვანია: არეულობა არის და ეს ბაეში არ გამოიყლიტონ.

მამამ თბილისიდან ჩექმები მომატანა. გამე-

ხარდა. ჩემს დღეში ჩექმა არ მცემია მანამდე, ჩვენი ჩექმა ქალამანი და წინდაზე შევიკონტოლი ალაქანები იყო.

ჩექმები, დაწოლის დროს, თავით დავიწვევი და მთელი დამე სიხარულსაგან არ მშინებია. მოუთმენლად ველოდი გათენებას, რომ სკოლაში ბაეშეებისათვის შეჩვენებინა.

თი გათენდა დილიც. ახალ პალტოსთან ერთად ახალ ჩექმებში გამოვეწყვი და გაბლენილი ავედი სკოლაში. თავი მომწონდა, ჩემს ამხანაგებს მაღლიდან დავუტრებდი. ეს ამბავი მათ შემეჩნეველი არ დარჩათ, დიდი ცნობისმოყვარეობით ათვალეერებდნენ ჩემს „გალაქულ“ ჩექმებს და ქალაქურ მოდაზე შეცვილი პალტოს.

ჩემს ამხანაგებს ტყავები, ხანანები და ჩოხები ეცეათ (შეც ასე მეცა მანამდე), ამითვალწუნეს ლაშურას ბუდი მეწია. გამოიტყუეს იქვე მახლობელი ბექისცენ, კიბახეცენ, სადაც რაბა მიწა და საქონლის ნაკელი იყო გადაყრილი. ვადამაგორეს თვდაყირა ხევიში. ჩემდა საბუნდოეროდ, ამ აღვლას ქვები და ლოდები არ ეყარა, თორემ სულ დავიშხერეოდი. არაფერი დამშავებია, მხოლოდ ამოვისვარე ნებვში სასაცილოდ. რაც მამა მახსოვს, იგი არც მასწავლებლად და არც რაიმე სამსახურში ყოფილა. ფშაველი გლეხი, მიწის მეშა იყო, მხენელ-მთესველი და მთიბელ-მომგელი.

საოჯახო, სამეურნეო საქმეს უველაფერს თვითონ აყეთებდა, იმის ხელით გაუკეთებელი აღარაფერია რჩებოდა. თვითონ აყეთებდა, მაგალითად, უღლებს, ტაბიკებს. ცულისტარს, ნიჩხებს, ნამკლებს, წალდისა და ხერჩის ტარებს, საქონლის ბაგებს, ბაეებს, წინადა ლასტებს, მართავდა საბძლებს, აწყობდა ლატანს, თლიდა საბძლის კავეებს, აყეთებდა მარხილებს და სხვა.

უველაფერს თავისებურად, თავისი წესით აყეთებდა. უყვარდა, ისე გაეკეთებინა, როგორც სხვები არ აყეთებდნენ, რაღაც ახალი შექმონდა საქმეში, ხმარად ეს ახალი უყვარვისი იყო, მაგრამ მაინც თავისებურად გაეკეთებული მოსწონდა.

მამა ყორეს კარგად აგებდა. ორი ყორული იჭეს თავისი ხელით გაეკეთებელი. დღემდის არის დარჩენილი ჩვენს სახლთან ეაქას ხელით აგებული ქვის ყორე. ნასკოლარის ბოლოზე, კიდევ დიდხანს იდგება ის ყორე, ქვეები ღამაზად არის ერთმანეთზე გადაბმული, მოხერხებულად და ოსტატურად გადაკერილი.

საცხენე გომურის კედელიც მამამ თვითონ ააშენა.

თავის ნაკეთები საქმე მამას ძალიან მოსწონდა. შორიხლოს დაჯდებოდა და უყურებდა ხოლმე სიამოვნებით თავის აგებულ ყორეს და იქაილია — მგზავრი თუ ეინზე შეხობებიდან აივლიდა, ან ჩამოვიდოდა: აბა, შეხედეთ, ისე უნდა ყორის აგებო — როგორი ბიკი ვარო!

მართლაც, მამჩემის აგებულ ყორეს ვერაინ დაიწუნებდა, სულ ერთთავად ყორეებს აგებდა და ხელი უკვე შეჩვეული ჰქონდა ამ ხელთახალსათვის.

შრომაში და საქმეში იყო მუდამ გართული, სულ ფუსფუსებდა. უსაქმოდ ვერასოდეს ნახავდით.

აქი თვითონაც ამბობდა ერთ ლექსში:

„არც როს უსაქმოდ არა ვარ,
მუდამ ვყოფიწობ, ეტყინებ“.

ჩვენს ეზოში რაც ხებილები ღვას, ყველა მამჩემის მიერ არის დარგული.

„კალელი“ — ვაშლის ჯიში ფშავში პირველად მამჩემმა გააერთიანა და ვაშლის ამ ჯიშს ფშაველები დღესაც „ლუკას ვაშლს“ ეძახიან. ფშაველები დღესაც ეკითხებიან ერთმეორეს: „ლუკას ვაშლისა არ გიღვასო?“ ამ ვაშლს, ე. ი. ლუკას ვაშლს ზოგნი კალელიას ვაშლად თვლიან, ზოგნი „ანტროკვას“ უწოდებენ. ნაყოფი თეთრი ფერისაა, ოდნავ ქერა-წითელი და მსხვილი. სძლებს ადღვრამაშის, თუ კარგად შეინახავთ.

ჩარგალში, მუხუდის შენობის წინ, ახლაც ღვას ეს ვაშლის ხე, რომელსაც მამჩემი განსაკუთრებული მზრუნველობით უვლიდა. ეს ხე, დამალი ტანისაა, ბორჯღი ტრტებით. როცა ნაყოფი ასხია თავისი ჩამოშვებული ტრტებით დედაშიწას სწვდება, ადვილი დასაყრდნია. ამიტომაც იყო, რომ მამა დიდ ზრუნვას იჩენდა ამ ხისადმი. საკუთარი ზურგით მოხიდა ქვები, სიძმები და ამ ვაშლის ხეს ყორე შემოავლო, რომ საქონელს არ გაეყენებინა ძირს დაშვებული მისი ტრტის წვერები. შემოუთონინდა ირგვლივ და ძველ სასუქს აყრიდა.

მამჩემის საკვდილის შემდეგ ვაშლის ხე ისე გაიზარდა, რომ ტყის მხარეს, დასავლეთით, ტრტები ყორეს ვადმოსცილდა. მშრალი ჭვას ყორე თანდათან დაიშალა. ახლა მხოლოდ ნაყოფის ძირი ვერცხობა.

ვაშლის ვასწვრივ, ყორულის პირას, გვედგა ერთი ძირი ბალი, „წითელ კოპორტულს“ რომ ეძახიან, თვითონ მამა და ჩვენ, ყველანი, ხელის ბაღს ვეძახებდით. ასასულელად იოლი ხე იყო, რადგან ვარშემო სულ ტრტები ჰქონდა, და ეს ტრტები, რაც მთავარია, ერთმეორისგან არ იყვნენ შორი მანძილით დაკლებულნი. მცენ შემეძლო ასევე ზედ, მაგრამ არც მამჩემი და არც დედაჩემი ბაღზე არ მიშვებდნენ.

როცა ბალი დამწიფდებოდა და წითლად დაიბუნებოდა, მამინეუ განიდებოდნენ ჩხიკეები და შაშვეები, მამა მოკლავდა ჯაფარას და საფრთხობეულად ჩამოჰკიდებდა ზოღმე ბაღზე.

ბაღზე აკეთებდა აგრეთვე ვახეთის ქალაღს, მაგრამ ზოგეირთ თამამ ჩხიკეს და შაშვს არ ეშინოდათ საფრთხობელასი და იერაში მიჰქონდათ ჩვენს ბაღზე.

როცა ბაღს კრეფდა მამა, მხარბლივ თეთრი ლინის პარკი ვეიდა ზოღმე და ამ პარკში ვეიკრეფებოდა. მაგრამ თვითონაც ვერ შედედა წვერის ასვლას, მხოლოდ ქვედა ტრტებზე მოხმული ბალით სარგებლობდა.

ეზოში რამდენიმე ძირი კაკლის ხეც გვედგა. მათგან, გემოს მხრივ, გამოირჩეოდა: ადრეულა ნასკოლავრის კაკალი (რომელიც ჩვენს სახლის დასავლეთით იდგა და დღესაც დგას) და აღმოსავლეთის მხარეს — კაკალის კაკალი, რომელსაც მამა „ინდოეთის“ კაკალს ეძახდა.

ამისთანა მსხვილი ნაყოფის კაკლები ჩარგალში არავის უღვას. არ ვიცი, იგი ვისი დარგულია: მამჩემისა თუ პაპჩემის. დანარჩენი ხეხილი კი — მსხლისა და ვაშლებისა — მამჩემის დამყნილი და დარგულებია.

შემოდგომა იყო. ზამთრის პირი. მე და ჩემი დები — გულქანი და მარიამი — ჩვენი სახლის წინ, ეზოში ვთამაშობდით. მამა გამოვიდა საჩეხში და გადმოგვძახა: „ბაღლებო!“ ჩვენ ყურება დაეკვიტრეთ. „რა, მამა?“ „არა გაქვთ საქმეო?“ „არა-შეთქო“, — უპასუხე. ყველაზე პატარა ეიყავი და უფრო თამამად მეჭირა თავი. „არა-და მე გაიჩინეთ საქმესო“, გეითხრა მამამ და მხარზე ცულაღებულნი გავგებოღვა იქვე, სახლის ვეერდით, პატარა ტყისკენ.

— აი, ახლა მე კუნძებს და ხის ძირებს ჩამოვატერტე, თქვენ კი შინ გამოჩინდეთ, მხოლოდ მძიმეს ნუ ასწვთ; რასაც მოერევი, ის წიდიეთ, შალ-შალე გამოდიეთ, სიარული ნუ დაგეზარებთათ.

ცულის ყლით ამტრევედა ხის ძირებს ზუზრის დასაწებებად და ჩვენ კი ვეზიდებოდით სახლსაკენ.

ერთი ამბავი მახსოვს ისე ცოცხლად, თითქოს გუშინ ყოფილიყო. ეგნებოდე მეცხრემი, ან სრული ცხრა წლისა. მკათათვე იყო. სოფლად თიბე-მკა იყო ვახალბეული. მამჩემი სათიბზე დადიოდა. მე ვთხოვე, თუ თვითონ მოიწადინა, კარგად იღარ მხსოვს. ცელი მომიტანა. პატარა ცელი იყო, სწორედ საჩემო. მხოლოდ ჯერ არ მქონდა ნახმარი, რადგან თიბეც არ ვიცილი. ან კა რა უნდა მეცოდნოდა, ცხრა წლის ბავშვს.

მამამ ცელი გამიშარათა. ცელს რომ მიკეთებდა, მიზაროდა. გათალა მეტად მსუბუქი, ლამაზი ტარი და დაავო ჩემს ცელს. წამოყვანა სათიბზე. აედლით სათიბეად ჯვართაც, სულა-კურადღელას გორებზე საგალო, წყლის ჭურჭლითა და სალესავით.

დაეწყეთ მამა-შვილმა თიბე. ამ ადგილებში მაგარი, წმინდა ჭურჩიანი ბალახი იცის. აქ კარგ ვევაკასაც გაუჭირდება თიბე. ვთიბავთ, ჭალა მამა თვისი ლევა ჩოხით და მე, პატარა ბიჭი, ძველი ახალუხით. მაგრამ რას გავთიბავდით! ვთვლავ ბალახს, ნახევარსაც ვერ ვაჭრევინებ ცელს. მეტი წილი გაუთიბავი მრჩება. გადამდის ხეითი, მაგრამ მაინც ჭუმს

სიბარულს საზღვარი არა აქვს, ჩემი თავი ვაე-
კაცად მაქვს წარმოდგენილი. მამა ხშირად მი-
ღისავე ცელს, ყოველ შუა ნაფთავეზე. ვაულუ-
სავად ერთი ნაფთავეც ვერ გამაქვს.

სულ-კურდღელაანი ციხესთან რომ მიღწეო, მამამ ხის ქვეშ დაისვენა. მე ისევ ვთიბავდი. მაქეროდა, ფიქრებში ვახვეული, და დღესაც ვერ ამისხნია, რას ნიშნავდა მისი მოწყვნილი სახე. ხომ არ იყო ეს სიბრალული ჩემი ან თავისთავისა? ერთი წელი-და იყოცბლა მას შემდეგ, ან კი იცის, ვრანაობდა ამის, იქნებ კიდევ ვებრალეობოდი და მაჩვევდა შრომას, თორემ მე რა უნდა გამეთობა... ჩემი შრომით რა ბარაქა შევამატებოდა ოჯახს!

მამაჩემმა ბევრი აღერსი არ იყო, შვილები კი ძალიან ვუყვარდით და ვეცოდებოდით. ვან-
სკუთრებით, როცა ხედავდა, რომ ვარგად არ ვაქცევა, ან კი რა ტანსაძობი და ფერსაცმელი ვაგვიძღებდა ჩვენს ძროხებს და თხა-ცხვრებს ღაღადვდით ტყე-ღრეში. ჩვენი მოსვენება არ იყო, არც ვაფრთხილება ვიყოდით: «დაიცა, ვაგვიყვებოდა და უაღვა უნდა, ვაფრთხილ-
დეთო», ამას არასოდეს არ ვიტყოდით. ცხოვ-
რების არაფერი გვესმოდა, ფეხშიშვლობა მიან-
ცდამაინც დიდად სათაჯილო და დამალონებელი არ იყო ჩვენთვის, რადგან ფეხის გული ისე ვა-
მაგრებულა და დაჯანებულა გვექონდა, რომ სიციხე-სიცივეს და ვა-ღუჭობას ერთნაირად ვი-
ტანდით, სახლის დენა კი დიდ ტყვიას ვერ ვაგვარძობინებდა. არ ვიცი, ბავშვობის ბრალა იყო თუ შეჩვევის, დღესაც ვერ ვამიგია, ალბათ, ორივეა.

მამას ძალიან უყვარდა ცხენი და იარაღი. თოფს ხშირად ატარებდა, ხმალსა და ხანჯალს უოველთვის ირტყამდა. თოფის კარგი მსროლე-
ლი იყო. ჩვენი სახლის ახლო მიდამოებში ხში-
რად იმარტობოდა თოფისონობა. სროლის წინ დგამდნენ ნიშანს სასროლად, ნიშანი წარმოად-
გენდა პატარა ფიცარს, რომელზედაც კიქას ძირ-
ზე მოჭრილი ქალაღი იყო მიბმული. დადგამ-
დნენ ამ ნიშანს საკმაოდ შორ მანძილზე და, ვინც ამ ქალაღს მოარტყამდა, გამარჯვებულ-
ად ის იყო. შეჯიბრებაში ბევრი მსროლედა
ღებდა მონაწილეობას, ვანსაკუთრებით — ჩვე-
ნი სოფლიდან, მაგრამ ყველას მაინც მამა სჯობდა.

მამას უოველთვის კარგი ცხენი პყოლია, ცუდ, ბორბოცა, ვაგვლაგ ცხენს შინ არ ვაჩერებდა. მე მასოფს «ნიკორა», შავი, იორლა ცხენი. მზო-
ლოდ ჩემს სსოცანაში უკვე ბებერი იყო, იმდენ-
ად ბებერი, რომ ზამთარში ვაბურის წინ წელიდან მოსული დაეცა და ველიარც ადგა. მამამ ბევრი უტრიალა, მაგრამ ვეღარაფერი უშველა. მამას ცრემლი მოერია იმ ცხენის სიკვდილზე. შეხვია ფარდაგში და ისე დამარჩა. — ვერ ვაგიშვებ ადრევე ვასაუფლო, — იტყოდა ხოლმე მამაჩემი. — დიდი ამაოა ჰქონდა ჩემშეო.

«ნიკორას» შემდეგ იყოდა კაცი, წითელი ფერის ცხენი, რომელსაც სახელად «ვეცხლას» ეძახდა. «ვეცხლა» თვითონ ვახვდნი, შეჯვდე უბელო ცხენზე და არბინებდა. დედაჩემმაც და სხვებმაც დაუშალეს: «ქეიანი ზურჯინა აპყოფ. და ისე მიაჩვიე უნავირსაო». არ დაიშა-
ლა, სახე და ხელები სულ დაუსისხლიანდა. მაინც არ ვაანება თავი, სანამ არ მოვალა.

ჩვენს ვალადიდან, ვ. ი. ბასილიანთ და მწა-
რიანთ ნასახარებებიდან, სახარე ვა ვადაღის სარაყდრის ვორზე, რომელიც არავგის ხეობას ვადასცქერის. ამ ადგილს, სარაყდრის ვორს, შე-
სანიშნავი მდებარეობა აქვს. პირდაპირ ვადო-
სნური ადგილია. უშველენებელი მოლის ვორბე-
ის კიბე ვეგონებათ — მარჯვნივ და მარცხნივ ტყით დაბურული. აქედან იშლება მთელი ფშა-
ნგესურეთის ზეობა: არავგის ლამაზი მწიანე ქალაქი, ლურჯი ტყით, სერებთ და შორს ვაწოლილი კავკასიონის თოვლანი მთებით. ეს იყო ვაჟის საყვარელი ადგილი ხარვალში. აქ ნატრობდა კიდევ — როცა მოვეყვებო, აქ დამ-
მარჩეთო:

...დამცქერდეს დიეყელის ვორი,
ინოს მთა კიუხისანი,
ყინად ნალბანტი აქა-აქ
ხეყები შალდაყინა...

აქ ბევრჯერ სძინებია მამაჩემს, ამ სასაყდრის ვორის მოღზე, ლამარიდან და ხვესურეთიდან მომავალს. სძინებია ნაბაღში ვახვეულს, თავისი საყვარელი ცხენი «ნიკორა» კი მოღზე მიუშვია საბალახოდ. ცხენს არც დაამაზა, რადგან იყო, იგი პატრონს არ მიატოვებდა არას-
დროს. ასე პაყავდა თავისი ცხენი შეჩვეული და ვამოზრალა.

მამაჩემს უყვარდა აგრეთვე დასვენება იელი-
ნით ვორზე. ეს ადგილი მდებარეობს ხარვალ-
შივე, სადაც ამაყიდა ვაჟის სახლ-მუხუდშია, მის მიმართულებით, მდინარე ხარვალუას ვადალ-
მა, — სამების მთის მხარეზე. ახუნის ვადასას-
ვლელის შუა წელიში — მოედანზე, როგორც წერილი ვაშკი, ადგა ხმელი წიფელი, ერთი ტოტის აშარა.

ეს ხე ჩვენი სახიდან დღედაღამ მოჩანდა და მას მამაჩემი, მთელი ჩვენი ოჯახი და შე-
ზობლებიც «ხმელ წიფელს» ეეძახდით. ამ ხეს ორივე მხარეს ნილფრისისგან მიწა ჰქონდა შე-
მოცილილა და, მაღალ ბორცვზე დარჩენილს, მსხვილი, დაგრხილი ფესვები, ვეებერთელა თანმებეით ვართხმული ჰქონდა აქეთ-იქით.

აი, ამ ხმელ წიფლის ვასწერივ არის დაკი-
ლებული და თავში ამოზურცილი მწიანე ვორა, რომელსაც იელიანთ ვორა ეწოდება. ვორას აღმოსავლეთით, ახუნის ხეისკენ. დღი წიფ-
ლიანი ტყის ნაპირზე, მიჰყვება იელის ბუნქნა-
რი. ალბათ ამიტომაც ეწოდება ამ ვორას იელი-
ანთ ვორა.



ხშირად დაედოდი მე და მამანემი ახუნის ხეზე ქოლოს საკრეფად. როდესაც ქვაბასა და ტუპასს ქოლოთი გაავსებდით, წვრილი ბილიკით გვეუყვებოდით იღლიანთ გორისკენ, და როგორც კი გამოვიდოდით გორანზე, თითქოს გათენდა, — თვალწინ გადაგვეშლებოდა მზიანი ნარგალი, აქედან ქვევით, მდინარე ჩარგულას ნაპირას, — ჩვენი სახლი და სახლის წინ მოსიარულე ადამიანები პატარა წერტილებივით მოჩანდნენ.

ამ გორზე დავსვენებდით ხოლმე მე და მამა, ეგა იჯდა უძრავად და გასცქეროდა ჩარგლის ხეობას, ირგვლივ გადაშლილ თვალწარმტაც პეიზაჟს.

მე იმდენად სანახაობა არ მზიბლავდა, როგორც აქედან ქვეების სროლა, მაღლიდან ხევში ნასროლი ქვა შორს მიდიოდა, და მეც გატაცებით ვტოვორცინდი ქვევით თხლე სიფრიფანებს.

მამანემის საყვარელი ადგილი იყო, აგრეთვე, ჩვენი ეზოს კუთხე, სახლის დასწვრივ, ჩარგულას ნაპირზე, სადაც იფანი დგას. აი ამ იფნის ქვეშ იჯდა ხოლმე, როდესაც ისვენებდა ბოსტანში, ყოჩაღლში მუშაობის დროს, ანდა, როცა ბოსტანს ეთოხნილით, ვბარავდით თნ ელორღავდით.

გახატულზე, ვიდრე ჩარგლის ქალები და ტყეები მშვენივრ ფოთლით შეიშოსებოდა და ველებს მრავალგვარი ბუღულა და ყვავილი, მოვიფინებოდა, ყველაზე ადრე ერთი არუი ამწვანდებოდა მთელ ხეობაში. ეს არუი დღესაც დგას ახუნის ხევის თავზე, ჩარგულას ვაღმა და იქედან პირდაპირ ჩვენს სახლს ვადმოსცქერის. ამ არუის გომას ყოველ გაზაფხულზე ძალიან შეხმაროდა მამანემი. „ეგ არის გაზაფხულის მხარობელი“, და ყველას სთხოვდა და აფრთხილებდა, არავის მოეჭრა ეს არუი.

ყუვილებიდან მამას ყველაზე მეტად ია უყვარდა. მოკრეფდა რამდენიმე ღერს და ჰუნისავდა. ეს რომ ვეცოდი, მეც ვავდიოდი ჩვენს გვერდით, მახლობელ ტყეში, მოკრეფდლი იებს, კონა-კონად შევეკრავდი და მივირთმევი, როცა იგი თანჯიარასთან იჯდა და გატაცებით წერდა.

წერის დროს ხშირად სარკმელი ღია ჰქონდა. მეც ვარდნად გადავიწოდებდი ხოლმე იის კონის. მამა სხიარულით ჩამომართმევდა, მაშინვე წყლთი ჰქონდა ჩასდებდა და დადგამდა იქვე ახლოს ან მაგიდაზე ან სარკმელზე.

მე ვერძნობდი, რომ დიდხანს ლაპარაკით მამას ხელა ეშლებოდა წერაში, და უმაღ მოვერდებოდი თანჯიარას.

ფანდური ყოველთვის გვერდით ედო, მაგრამ ხანგრძლივი დავრა და სიმღერა არ უყვარდა. ერთი ჩაპკრავდა თითებს და უმაღ გადასდებდა გვერდით, ან წერას მიუბრუნებოდა, ან ადგებოდა და ბოლთასა სცემდა მცირე ხნით, ან განავრძობდა წერას, ან დაწვებოდა გულაღმა,

ბაღოს ბაღშივე დააწყებდა და რომელიმე წიგნს გადაშლიდა, დაადებდა მუხლებზე და კითხულობდა.

მეზღვერი

მახსოვს, ძალიან ბევრს კითხულობდა. მწოდლიარ ავადმყოფიც რომ უფილიყო, აუცულებლად მოიხვევდა იმერულ ბაშლავს და ისე იწვა. დაწოლილიც კი დროს არ კარგავდა და კითხულობდა წიგნს. მხოლოდ რომელ წაენებს — ეს არ მახსოვს.

იმ წიგნებიდან თვალწინ მიდგას ერთი მოზრდილი წიგნი — წითელი ყელით, რომელიც, როგორც მე მდგავ ვეიფე, ლეე ტოლსტოის ნაწარმოები იყო. წიგნის პირველ გვერდზე ეხატა ლეე ტოლსტოი თავისი ვრძელი წვერებით.

მეტად უცნაური ხასიათი ჰქონდა მამას. თე გული რამზე მოუვიდოდა, იყო მძინვარე, როგორც ვეფხვა, ახლოს ვერ ვავკარბოდო, იყო სრულად უმზმარი და უკან დაუხვევილი თვით სიყვდილის წინაშეც კი. ჩვეულებრივ კი, მამა იყო, მეტწილად, მშვიდი, წყნარი, დარბასელი, გულაღალი, როგორც ბავშვი, ბავშვივით მოამბი, უეშმაყო და მეტისმეტი მეტძნობიარე. მაშინვე ცრემლი მოადგებოდა ხოლმე თვალზე, თე ისეთ რამე ამბავს ეტყოდა ვინმე.

თე ვინმეს სიყვდილს ვაიგონებდა, პირისუფალივით შეწებდებოდა. სოფელს პირსა და ლხინში გვერდში ედგა და არ ვამოირტყოდა მათგან, თავს არავისზე მაღლა არ აყენებდა. პირიქით, უყვარდა შინაურებში თავმდაბლობა. პატროსნება, სინდისი, აღმოჩინის სამსახური და ხალხის ზნე-ჩვეულებებისადმი პატივისცემა. არ დააკლებოდა არც ხატობას, არც ქორწილს, არც ხალარჯობას. ყველგან განდებოდა თავისი ხარჯით.

სადაც საკლავი, სასმელი, ქადა-პური, ზედა-შე, საწირავი ან ფული იყო საჭირო, ყოველთვის და ყველაფერში მონაწილეობას იღებდა და ირჯებოდა: თავის წადს არავის არ აკლებდა, არც ხატსა და არც ხალხსა.

თე დასტურობა ველებოდა (ღუღის ღუღება სამარიაშობად), დასტურობდა, მასპინძლობდა სხვა ფშველი გლეხებივით, რომ არავის დაეყვებდებინა ვადავარება და დიდაკობა. ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, მცირე თქმში ბევრს იტყოდა. ახასიათებდა მოკლე და აზრთან მეტყუელებს, დარბაისლური კოლო.

ადამიანის ადამიანისაგან ჩაგვრას ვერ იტანდა. სხვებთან ყოველთვის ამანვე მოსდიოდა უსიამოვნება. იტყოდა ხოლმე საჯაროდ: კაცინო, ერთოტოს ნე სჩავრავთ, ერთოტოთი უნდა ვავიტანოთო!

მამა დიდად აფასებდა ოჯახს, მშობლიურ კერას. მახსოვს, სტუმრები გყავდა, ჩვენსას იყვნენ: ბიძანემი ვრავოლი, მეზობლები და სხივები. ყველანი ხინკალს შემოსხლამოდნენ. მამა მათ დღეისას ასმევედა. იჯდა ტახტის წინ და მუხლებზე დივანი ხელა ედგა. იღოც-



ზოდა, ჩვენი სახლის ქერის სადღევრძელოს ზეამდა და მას აღარებდა ცას, მხატვრულად თქვა ეს სადღევრძელო და კარგად ვერ დავიხსოვებ. შექცეული იყო იმ დღეს, რაღაც აჩაჩვეულებრივი გულგახსნილობა და მხიარულობა გტყობოდა.

მისი ნათქვამი სადღევრძელოდან რამდენიმე სიტყვა დავიშასოვრე. გამოვედი საჯალაბო ოთახში და მამაჩემს მივაახე, ხმაილა ვუფიროდი: გაუმარჯოს ჩვენი სახლის ქერს-მეთქი. დედა და ჩემი და-ძმებია იციანოდნენ, თან მამუშებდნენ, მაგრამ არა ეჩუმიდებოდი და მამის სიტყვებს ვიმეორებდი ამაყად.

მამაჩემმა და სტუმრებმა შემინუნეს და არ დამტყეს. პირიქით, დამიძახეს, სადღევრძელო ვამაყობდნენ და ღვინოც შემთავაზეს. მეც კვლავ რიხიანი ხმით წარმოვთქვი: ჩვენს ქერს გაუმარჯოს! ჩვენი სახლის ქერს გაუმარჯოს-მეთქი. სტუმრებმა ქება-დიდება მიძღვნეს და მომეფერნენ.

როგორც წინათაც ვთქვი, მამას ართანასა და ახმეტაში ვენახები ჰქონდა და მეზერეცა პყავდა. მეზერე ვენახს სანახევროდ აყეთებდა. მამაჩემს თავისი წილი ღვინო თიანეთის გზით ცხენებზე აკიდებული ტყეებით მოჰქონდა ჩარგალში და ქვეყრებში ასხამდა. ქვეყრები საჯალაბო ოთახში აყო, მიწაში ჩადგმული, ღვინის ნაწილს კი ტყეებით ინახავდა.

სტუმრის მოსვლის დროს, თავის საყვარელ საქმეს, წერასაც მიატოვებდა, კაცს არ გააბრუნებდა კარგიდინ, სახლში, რომ არ შემოეპატოება, პატავი არ ეყო, არ გამასპინძლებოდა. თავის ნაწერს სტუმარსაც წაუტოხავდა, განსაკუთრებით — ლექსებს. ლექსს რომ წაუტოხავდა, თან შეეკითხებოდა: „როგორ მოგწონსო?“ აბა, ვის დაუწუნებდა, ყველა უწებდა ნაწერს. მასაც ვის ცნობავებოდა. მხოლოდ დიდად თავის მოწონება არ იყო. ლექსს უბრალოდ კითხულობდა, სადაც, ვასაგები ენით. ცდილობდა მხოლოდ, მკითხველისთვის ლექსის აზრი ნათელი რომ ყოფილიყო.

ზოგჯერ მისი პოეტური ნიჭი და ვონების ძალა ემოდა, ხშირად რუსთაველსაც აღარებდნენ. მას სცნობდნენ, როგორც დიდ პოეტს და მისი ბევრი ლექსი და პოემა „ბაბტარიონი“ სულ ზეპირად იცოდნენ. ასეთები იყვნენ, მაგალითად, მეზობლები: ლეთისო და მისა მთიბელაშვილები, ოსა ზურაბაშვილი, ხეხერა ვარსებანიშვილი, ბესო პირქვეშაშვილი და სხვები.

ღვთისო მამას დიდი მეგობარი იყო. ეს უსწავლელი კაცი, რომელსაც სკოლა არ ენახა, ნაკითხი და მეტად განვითარებული კაცი იყო. მას სახელად „არჯალანთ ხმელას“ ეძახდნენ, რადგან ხმელ-ხმელი და შავგერემანი კაცი იყო, უკვე ხანშიშესული, თუმცა ქალბა ნაკლებად ერა. იგი დინჯი და სიტყვაჭერი იყო. ზედმეტ

სიტყვას არასდროს იტყოდა. ერთი ან რამდენიმე სიტყვით შეაფასებდა მამაჩემის წერას. მამასაც სწორედ ეს მოსწონდა, რომ ვინც შეგობრებში ციბერებდასა და სიცრუეს არ ზედვადედა.

თავის ნაწერებს მამა უტოხავდა მეზობელ ქალებსაც, ვისაც სურავლი ჰქონდა მისთვის მოესმინა. უტოხავდა სრულიად წერა-კითხვის უცოდინარ ფშაველებს. მართლაც, მის ლექსებს ყველა ადვილად გებულობდა და ხალისით უსმენდა.

ადგელა, რომელიც მდებარეობს აფხუშოს დასავლეთით, ქალის სოფლის თავზე, ეწოდება ზოდის სოფელი. ამ სოფელში, მუხნარის მხარეზე, ცხოვრობდა მეტად უწყინარი ადამიანი, ეაქის ბიძა, ლეღლა რაზიკაშვილი.

მას ყველა ემადლიერებოდა. ეაქის ყოველად კეთილ ადამიანად მიიხნდა იგი. — ბიძაჩემ ლეღლასაგან ნაწყენა ადამიანი არ არის ამ სოფელში, კაციც ასეთი უნდარ, — იტყოდა ხოლმე ლეღლასზე, მამაჩემი. თან ხალხურ ლექსსაც მოიშვეულებდა:

როსტომ თქვა: გმირი მეც ვიყავ,
ჯიჯიოთი შამოვისრთე,
მეზობლის გაჯავრებდასა:
ისეც დაფიქობა ვირჩიე!

ერთხელ მე და მამა ხინკალზე ვეწვიეთ ბაბაჩემ ლეღლასს. მისი დარბაზის მოწყობილობა დღესაც ცხადად მახსოვს. შინ რომ შევედი: — შშვილობა, ჯალაფნო მოვივედიო მამაშვილი, ნუ არას დაზარალები, ნუ არას დიხარებოთ, ბიძა, როგორია ხარ თავის ჯიჯითო? ძალეუ, თვალე ნუ არ დაგაცლო ბედენდე! — მიესალმა მამაჩემი ბაბა ლეღლასს და ბებო ბაბაღეს.

— არა გვიჭირს, ბედენას იღარას ვჩადით, ღმერთმა თქვენ თავ გვიცოცხლოს! — გვიასტუხეს. — გამალაღო, ჩემ მეკდართ ცხონებამა, რო მოხვედით. არ იცით სიარული. გაღმობხედით, გაღმობხედით! — გეპატოებოდა და გვიითოებდა გრძელი სავარძლისაგან ბებო ჩემი.

ჩვენც დავსხედით ვრძელ, ოთხადლიან, შავად გაქვარტლულ სავარძელზე, რომელიც შესასვლელს მარცხენა მხარეს, კერასთან იდგა. სავარძელს თავსა და ბოლოში, შრეგლად მოხვეწილი, ჩქქქრთმით ამოდებული, დიდი გუმბათები ედგა. ზურგის ფიცრებაც მთლად ჩუქურთმით იყო ამოდებული. ეერის თავსა და ბოლოში ორი უშველებელი დედაბოთი იდგა. მთელა დარბაზი, თავის სურაინად, შვეიდ ელვარებდა, თითქმის შავა სკალებავით ყოფილიყოს შეღებილი.

ლეღლასს და ბაბაღეს ეაქიშვილი არა პყავდათ, ვარდა საში ქალისა. ქალები სახლში იყვნენ. ისინი ეერის მარჯვენა მხარეს სიბ ქვებსა და მიწაზე იყვნენ ჩამომსხდარნი და ხინკალს ახვედნენ.

საკობრში, სადაც შუა ცეცხლიდან ბოლი ადიოდა, ქვემოდან გადებული მუხის ხეებიდან დამეხებულიყო მსხვილი ჯაჭვის საციფელი, რომელზედაც სპილენძის დიდა საჯალაბო ქვაბი ეკიდა ხინჯლის მოსახარშავად, აი, ის დარბაზი, რომლის ნიშნად დღეს მხოლოდ ყურის ნანგრევებია მოჩანს. შუახაზებულში კი ტანაყრილ ხშირ შამბისა და შალდაყისაგან ეს ნანგრევები იფარება დიდი კაკლის ხის ტოტებით.

ამ პატარა სოფელ ზოდის გუჯილები კარგი სანადირო ადგილები იყო. მამასაც აქ უყვარდა ნადირობა კერძოდ ზეზ. ეს სანადირო ადგილები იყო: არჯალაანი და საძვრით ველები (სადაც შვლები იცის) და ნადირუჩის მამული.

ერთბელ, გახაფებულზე, ნადირუჩის მამულში, თხილის ქვეშ დავსხვადთ მე და მამა და ვლოდობოდით კერძოდ გამოსვლას გუჯილში სმამლა არ ილაპარაკო, — გამაფრთხილა მამამეშა, — აქ კერძოდ გამოსვლენ და ხმას რომ გაიგონებენ, დაფრთხებიანო”.

კარგი ხანს ვისხვდი. მაგრამ ამაოდ ველოდებოდით ნადირის გამოსვლას. აქ არაფერი არ გამოვიდა. შემოვუარეთ ველს გარშემო და დავუყვიეთ სახლისკენ მიმავალ ბილეს. ჩვენი ყორულის თავზე სათიფე შარაში რომ ჩამოვადით, ზევს ვაღმა, სწრაფად მიზობდა დამფრთხალი კერძოდ. კერძოდ და ნახაზეუ ყვირილი მოვრთ. ის-იყო, შუა მამულს მიაღწია კერძოდ, და თოფმა იგრილა. კერძოდმა თავქვე გამოუხვია და რამდენიმე ნაფრთხის შემდეგ მიწაზე გაიშლარათა. გაეჭყეცი, კერძოდ დავთარიე და ჩამოვტიანე ზეში. მამამ გამომართვა, გაიღიმა და მითხრა: ნახე, როგორი ბიჭები ვართო!

მართლაც საკვირველი იყო, ასე შორ მანძილზე საფანტინი თოფით ნიშნის აუცილებლობა მე და მამა მტრედებზე სანადიროდაც დავდიოდით ზენასოფელს, ნახაზეუში.

ამ ზენასოფელში ცხოვრობდნენ ჩვენი მოგვარენი, მწარა რაზიკაშვილი, რომელიც მამაჩემს ბიძად ერგებოდა, და ბიძაშვილი — ბასილ რაზიკაშვილი.

ბასილის მუდღეს სახელად ქალიყმას ეძახდნენ. უველასთვის ცნობილი იყო, ქალიყმას სისუფთავე და პურ-შეჭამანი. მამაჩემს და ჩვენი უველას განსაკუთრებით გვიყვარდა ქალიყმას გამოცხვარი პური. ახლაც ცხლად მახსოვს, მამას რომ ჩამოუტანდა ახალ კეცის პურს და ყვითლად დამბალ ხაჭოს. პურს შხის შუქი ედგა. ერთ ადგილასაც ვერ ნახავდით ზევიდან გახაზულს. ქერის ცოშს ასე დიდხანს როგორ ზედა, რა ისტატობით აცხობდა, — ახლაც ვერ გამოვიდა!

ბასილიანთ და ქალიყმანთ უფროსი ვაჟის — ნიკოლორეს — ქორწილი ჰქონდათ.

ნიკოლორეს ფშავლების სოფელ გომეწრიდან უთხოვეს სილამაზით ცნობილი ქალი, ხადიათ მარიამი.

კარგი ქორწილიც გადაუხადეს. ქორწილში სამი დღე და ღამე გაგრძელდა. ბევრნი სტუმარი ჰყავდათ დამატარებულნი. სტუმრებიც კარმიდამო სასვე იყო ხალხით. გარეთ, მწვანეზე, მწკრივ-მწკრივად იყო დამსხდარი ხალხი, უფროსნი სუფრისოზე ჩამომწკრივდნენ, მისოფრანნი სუფრას შემოუსხდნენ, და ნეფე-დეფეფალი კარზე ისხდნენ. ჰყენც, როგორც ნათესავნი, უველა ვეყავით მიწვეულნი ქორწილში. მამამეშიც უფროსებთან იჯდა. მქორწილეთ არაფერი აქლდათ. პურ-ღვინო თავზე საყრელი იყო.

წინათ ფშავის დღეობაში, ხატობასა და ქორწილებში ახალგაზრდობამ ჩხუბი აცოდა: ერთიმეორეს მართახებით შეახებდნენ ხოლმე. ჩხუბში იშვითადა, მაგრამ მიწვეულებსაც დაატარებდნენ. აქაც, ქორწილში, რამდენჯერმე ატუდა ჩხუბი. მაგრამ მეწველებმა გააშველეს და დამომშინეს მოჩხუბრები.

არ მახსოვს, ქორწილის მეორე დღე იქნებოდა თუ მესამე. შუადღე გადასულა იყო. ისეთი ძლიერი ჩხუბი შეიქმნა ქალისა და ვაჟის მყარებას შორის, რომ ევლარაეთარო მამველი ძალია, ქალების ჩარევიც კი ვეღარ აშველებდა. დასისხლიანებულ და ხანჯლებით დაპრილ მოჩხუბრებს, სანამ მამაჩემი არ წამოადგა ფეხზე და მათარაბა არ მოიმარჯვა. მან თავისებურად შესძახა: ახლაცე დაშველდითო.

განწყობილება სწრაფად შეიცვალა, თუმცა მამაჩემს სუფრიდან მოჩხუბრებისსკენ ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს. მოჩხუბრები მალე დამომშინდნენ.

მამას ძალიან უყვარდა თევზაობა, განსაკუთრებით — კალმახის ქერა.

ერთ დღეს მე და მამაჩემი სახლის ბოლოდან შევევით მდინარეს სათევზაოდ. ბევრი კალმახი დავიჭირეთ. კალმახები კავიან ხის ტოტზე აფასით და მე მიმქონდა. მამა კი თვეკას უთრევდა მორყევებში. თვევი კარგად ებმოდა.

ერთი კვირის შემდეგ, ჩარგლულას ტოტი დავწვიტეთ. გუბეებუდან კალმახები ამოგვეყავდა. წულიან ქვაბში ვყრიდით.

ერთ გუბეში შეგვხვდა ლურჯი მცურავი. მე ისე შემაშინა იმის დანახვამ, რომ აღარც წყალში ჩავსულვარ და აღარც ქვის ქვეშ შემოყვია ზღა თევზის საძებნელად. მამას შეეძლო მოეცლა მცურავი, მაგრამ ზელი არ უნდოდა. მითხრა: „გულში, მავის თავისი გზა აქვსო“.

ჩვენს ეზოში იცოდა გველები, მაგრამ მამას მათი დახოცვა არ უყვარდა. მავათ შურისძიება და გადაკიდება იცინათ.

მართლაც, ერთი ასეთი შემთხვევა მოხდა ჩვენს ოჯახში. ჩვენი სახლიდან ასი მეტრის მანძილზე, კოჭახევის გადაღმა, სასმელი წყაროს თავზე, იდგა, და დღესაც განმარტობით დგას ერთი ადენის ზე.

ამ იდენს შესახებ ხალხური გადმოცემა მოგ-



ვათხრობს, ვითომ ეს იფნი იყო ხატის იფნი. ხევისბერებისა და მოხუცი კაცების საუბრიდან ჩანდა, თითქოს ამ იფნზე ლაშარისკენ ხატბევიდან მომავალი ანგელოზი კოქს იკედებდა. ხატხევის სალოცავი არის ჩარგლის მთის საშუბან გადაღმა, ივრის ხეობაში. აქედან არის ოჭროს შიბი გაბმული უკანა ფშავის შუაგულში მდებარე ლაშარის სალოცავამდის, და ეს ოჭროს შიბი ვადის ჩარგლის იფნის წვევრზე, სადაც ანგელოზი ისვენებდა.

ამ იფნს მამაჩემმა თავისი ხელით შემოავლოქვის ყოველ საქონლის ბაქისთვის, სადაც ზაფხულში დამით საქონელი გვეყენა. მამაჩემის ხელით გაკეთებული ყოვლი ნაწილი დღესაც დგას იფნის გვერდით. იფნის ქვეშ ორი დიდი გველი ცხოვრობდა, მაგრამ ჩვენს საქონელს ეს ქვეწარმავლები არ ერჩოდნენ. წყაროზე გველებიც ჩამოდიოდნენ, სეამდნენ წყალს და აღიოდნენ თავის ბუნავში.

ზაფხულას ერთ მშვენიერ დღეს წყლიდან დაბრუნებული გველი თურმე ზღაპრით აღის ბეჭობზე. ჩვენი გორიდან იგი შეუქმნევია ჩემს ძმას ლევანს. ის კარგად ისროდა ნიშანში. გადმოიღო მხრიდან თოფი, ესროლა გველს და მოარტყა. გველ მოკვდა. მას დარჩა ტოლი. იმ დამეს თუ მეორე დამეს, კარგად არ მახსოვს (მხოლოდ ამ ამბის მოწმე კი ვარ), იმ ტოლმა ჩვენს ძროხებს, ორ მეწველ ფერს, ძუძუებზე უკბინა. ეს ძროხები მეორე დღესვე დაიხოცნენ. ამის შემდეგ — რა ქნა იმ გველმა, გადაიხადედა ადგილი თუ იქვე დარჩა, არაფერი ვიცი. მხოლოდ მხოვობლება ამბობდნენ, რომ იქავაო, თუშეა არავის ერჩის, ჩვენთან კარებზე არ ამოდისო, ჯერჯერობით უწყინარია, შეიძლება — ფუჰისა არისო.

ჩემი ბიძები — ბაჩანა, თედო და სანდრო საზაფხულოდ ხშირად ამოდოდნენ ჩვენთან, ჩარგალს. მათი მოსვლა ოჯახში ნამდვილა ზეიმი იყო.

საუზმე, სადილი, ვახშამი სახლის წინ მოზავერდებულ მოლზე იმართებოდა. უღვინოდ პურს არა ჰამდნენ. ღვინით რომ შევიკვირებოდნენ, ძმებს შორის გაიმართებოდა კამათი

ქართულ და რუსულ ენებზე. იყო მხიარულება, სიცილ-ხარხარი, ცეკვა-თამაში. **ჩვენსკომ-ბუნაღირნი**

მამაჩემი ხუმრობას კარგად იტანდა. ბიძაჩემი ბაჩანა კი ოდნე გახუმრებამდეც ცეცხლით აენთებოდა ხოლმე. აქებდა თავის ცხენს, მას „ქობილი“ ეძახდა. აგრეთვე ღიღად მოსწონდა თავისი ხანჯალი, რომელზედაც ამბობდა: შამილისეულიაო.

ჩემმა ნაცნობმა მართა ტენტრიშვილმა მიამბო მამას მოგონება თავის შობლებზე. ვაჟის ეთქვა: მამაჩემმა, პაეღე მღვდელმა, შინ სამოვარი მოიტანა. დედაჩემს არა სყოღნოდა, საიდან უნდა ჰავსა წყალი სამოვარში და მამას ჩხუბი დაუწყო: „კაცო, ეს რა გიქნავ, ეს ვატეხილი რად-ღა გინდოდით, რა ყიდულობდიო? ჰავასტი წყალი, სულ ძირიდან გაედინა, იქ წვეთიც არ დარჩენილაო“. მამაჩემმა, რომ ნახა, ვაჟიყნა: „შე საყოღადო, წყალი იქ ჰავისხამს, სადაც ნაკვერცხალი უნდა ჩაგვეარაო.“ — უამბობდა ვაჟა ჩვენებს და თან იციწოდლაო.

დედაჩემს მჩენილას მუშები ჰყავდა. მუშებში სულ ქალ-დედაკაცები იყვნენ. ამ ქალებს გათენებამდის მატყელი უნდა ეჩენნათ და ეფარტნათ სთვლობისა და ზამთრის გრძელ დამეებში.

შუალამე არ იქნებოდა, როცა ვაჟა მოვიდა ცხენით. ცხენს მოკაშულობა და ნახალი მოყსუნით, დაეაბინევით. ვაჟა შინ შემოვიდა: „აქა მშვილობა, ჩემს მოსვლას და თქვენს დახვედრას გაუმარჯოსო“, წარმოთქვა მან ფშავურა ჩვეულებისამებრ.

თოფი და იარაღი ჩამოვართვით. მოვიპატივეთ. სკამი დაუდგით. მოვიკითხეთ, მოგვიკითხა. ყველა სიამოვნებით შეხვდა. ერთი ლამაზა ქალი გვერია მჩენლებში. მახსოვს, თინა ერქვა იმ ქალს სახელად. ვაჟამ მხიარული, კარგი ლაპარაკი იყო. ეს ლამაზი ქალი ვაჟას დანახვით ისე მოიხიბლა, რომ აღარ იცოდა, რა ექნა. ვაჟა თითქოს ვერ გრძნობდა ამას. უყვარდა ლამაზად თავის დაქვრა. იცოდა სად, ვისთან, როგორ უნდა მოქცეულიყო. ამის შემდეგ ეს ქალი სულ ვაჟას ხსენებაში იყო.

(გაგრძელება იქნება)

ზარაბ ჭაბუკიძე

ფიქრები საბავშვო ლიტერატურის შესახებ

საბავშვო ლიტერატურის საკითხები უკრ-
ჯერობით სუსტად არის დამუშავებული და
მისი სპეციფიკა ნაკლებ შესწავლილია. ამით
აიხსნება აზრთა სხვადასხვაობა და ზოგჯერ არეუ-
ლარეობა, რასაც დღევანდელმა აქვს ადგილი.
საქმე იქამდე მიდის, რომ ზოგი საერთოდ სა-
ბავშვო მწერლობის არსებობის ფაქტსაც ეჭვ-
ქვეშ აყენებს. ამის საბუთად ხან ის მოიყვით,
რომ კარგ საბავშვო წიგნს დიდებულ სიამოვნ-
ებათ კითხულობენ, ხანაც ის, რომ ბავშვებს
ძალიან უყვართ ბევრი ნაწარმოები, რომლებიც
საგანგებოდ მათთვის არცაა შექმნილი. მართ-
ლაც, „რობინზონ კრუსო“ თუ „გულიერის
მოგზაურობა“, პუშკინის ზღაპრები, ვრხოვის
„კუზინა კვიცი“ და ბევრი სხვა ნორჩი მკით-
ხველისათვის არ ყოფილა თავიდანვე გამიზ-
ნული, მაგრამ ამ წიგნებმა საბოლოოდ სწორედ
საბავშვო ბიბლიოთეკის თაროზე მოიკლათეს
ისიც მართალია, რომ ლეე ტოლსტოის „კავკა-
სიის ტყე“ თუ მარკ ტვენის „ტომ სოიერის
თავგადასაჯალი“ ყველა ასაკის მკითხველს
უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს, მაგრამ აქედან
ლოგიკურად ის დასკვნა როდი გამომდინარე-
ობს, თითქმის რომელიმე ზემოხსენებული ნა-
წარმოები საბავშვო ლიტერატურის დარგს არ
ვანეკუთვნება.

შეორე მხრივ, ზოგიერთები საბავშვო მწერ-
ლობის არსებობას არ უარყოფენ, მაგრამ ისე
წარმოუდგენიათ, თითქმის იგი ზინური კედ-
ლით იყოს გათიშული ე. წ. „სადიდო“ მწერლო-
ბისაგან. რაგონდ უნდა ვთქვათ გვიჩვენოს, სი-
ნამდვილეში საბავშვო ლიტერატურის ამგვარი
აღიარებაც და მისი უარყოფაც ერთსა და
იმავე წინამძღვარს ემყარება: რაც კარგია და
დიდებულ მოსწონთ, მას „საბავშვოს“ არ უწო-
დებენ. ამრიგად, „საბავშვო“ მხოლოდ „ცუდის“
სინონიმი გამოდის. ცხადია, ასეთი მიდგომა არ
არის სწორი. საბავშვო მწერლობაზე მსჯელო-
ბისას პირველყოფილისა მისი მიღწევები უნდა
გქონდეს მხედველობაში და ამა ცუდი ნიმუ-
შები, ცუდი, ვისთვისაც არ უნდა იყოს იგი

გამიზნული, საერთოდ არ წარმოადგენს ლიტ-
ერატურას ამ სიტუაციის უკუშარბიტი გაგებით. კარგად
თქვა ცნობილია რუსმა საბავშვო მწერალმა
ს. მარშაკმა: „ჩვენ არ გვინდა არავითარი შეღ-
ვათი საბავშვო ლიტერატურის გამო. ჩვენ ბავ-
შვებს უფრო ცუდ საკვებს როდი ვაძლევთ,
ვიღრე უფროსებს. სიმარტივისა და სიცხადის
მოთხოვნამ საბავშვო წიგნში არ უნდა გამოიწ-
ვიოს აზრის გაუბრალოება და გრძნობის გაღ-
არიბება“.

ზომიერების დაცვა განსაკუთრებით საჭიროა,
როცა ბავშვის გონებრივსა და სულიერ საზრ-
დოს ეხება საქმე. მამხარეული, დაღვილი
აზრის მიწოდება მხოლოდ აჩლუნგებს ბავშვის
გონებას და შეურაცხყოფს მის თავმოყვარეო-
ბას. ნამდვილი აღმზრდელობით მნიშვნელობა
მხოლოდ იმ წიგნს შეიძლება ჰქონდეს, რომ-
ლის ავტორიც კეთის სწავლებას კი არ მოკვე-
და, არამედ სულითა და გულით განიცდის თავ-
ვისი გმირების ბედსა თუ უბედობას და მთე-
ლი არსებით ცხოვრობს თავის მიერვე შექმნილ
სამყაროში. ტენდენცია, როგორც ენგელსი ამ-
ბობდა, თავისთავად, საგანგებო მითითების გა-
რეშე უნდა გამომდინარეობდეს მდგომარეობი-
დან და მოქმედებიდან.

ბავშვობის ასაკ, საერთოდ, სწრაფცვალე-
ბადია. ბავშვი, როგორც მკითხველი, ჩქარა
იზრდება: ცხრაათი წლის გოგონას ან ბიჭუნას
იღარ აინტერესებს ის წიგნები, რომლითაც
ანაბანი გაიკეთა და კითხვა შეიყვარა, ცამეტ-
თითხმეტი წლის მოსწავლე კი უკვე სრულიად
სხვაგვარ ლიტერატურას ეტანება. ამიტომაც
არის, რომ ბავშვებს ჰყოფენ სკოლამდელბად,
უმცროსი, საშუალო და უფროსი ასაკის მკით-
ხველბად. ბუნებრივია, საბავშვო ლიტერატუ-
რის სპეციფიკა უფრო მეტად სკოლამდელ-
თა და უმცროსი ასაკისათვის განკუთვნილ ნა-
წარმოებებში შედგება, ამიტომ ჩვენც ძირი-
თადად მასზე შევჩერდებით. შემდგომში სხვა-
ბა თანდათანობით კლებულობს და მორბილითა



საკითხავი წიგნები მცირე რაოდენობა თუ განსხვავდებიან „სადღო“ ლიტერატურისაგან.

სხვათა შორის უნდა ითქვას, რომ ასაკობრივი სხვაობა თვით საკითხავი ლიტერატურის განხილვის შერჩევამაც იწვევს თავს: პატარებს ლექსები უფრო უყვართ, მოზრდილი ბავშვი კი უმთავრესად პროზის კითხვაზე გადადის და ვრცელ, დახარბულ სიტყვებთან (ნაწარმოებებს) ეტანება. მას განსაკუთრებით იზიდავს სათავგადასავლო და ფანტასტიკური წიგნები და შენაძლოა მაღალმატერულ ნაწარმოებზე შეტად მოეწონოს რომელიმე დეტაქტური მოთხრობა, რომელსაც გემოვნების დახვეწის შემდეგ ყურადღების ღრსადაც არ ჩააღვლის. ზვენი აზრით, ეს იმითაა ხდება, რომ მკითხველი მხატვრულ კომპონენტთან ყველაზე იოლად და თავისუფლად სიტყვებს აღიქვამს. სხვა მხატვრული ნიშნები კი შედარებით ძნელი ასათვისებელია და შერჩევაზე დაკვირვებას მოითხოვს. პატარა ბავშვს ხიბლავს ნაწარმოების მუსიკალური მხარე — რითში, რიტმშია (ამითაა გამოწვეული მისწრაფება ლექსისაკენ), მაგრამ განსაკუთრებით აღვლევს და იტაცებს მხოლოდ ამბავი, მოქმედება — მოვლენათა სწრაფი ცვლა. აქედან გამომდინარე, საბავშვო ნაწარმოებში სიტყვებს, ამბის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ლევ ტოლსტოიმ, როგორც ცნობილია, ოთხი წიგნი შეადგინა ბავშვების საკითხავად. ამ წიგნებში მოთავსებული მოთხრობები პატარაა, ზოგიერთი მხოლოდ რამდენიმე სტრუქტურისაგან შედგება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დასრულებული სიტყვით აქვს და ფაბულის თანმიმდევრული განვითარება ახასიათებს. ასეთივე ღრსებებით გამოირჩევა კ. უმისკისა და ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებში მოთავსებული მრავალი ნაწარმოები. გადავშალოთ, მაგალითად, ი. გოგებაშვილის „დედა ენა“, სადაც 5-10 სტრუქტურის მოთხრობებში დასრულებული ამბავი გადმოვიყვით: „მკვებარა ქოთანი“, „ვანო და ქვევრი“ „ღორმუცლა და ბუჯითი“, „ორი სახისი“, „აღქში და აქლემი“, „თხა და ვიგო“... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ.

ავილოთ ნიმუშისათვის ეს უცანასეული მოთხრობა „თხა და ვიგო“: „ოყო ერთი ზარბაქი ვიგო, ერთბელ სთქვა: მოდო ერთი თავს გამოიჭინე ბუჯითობითაო. გამოვიდა სახლდან, გამოიტანა თან წიგნი და გავიდა სოფლის მოედანზე. ჩამოჯდა ხეზედ, დადო წიგნი მუხლზედ და ცქერა დაიწყო შიგ ვითომ ერთი შემომხედეთ, რა ბუჯითი ბიჭი ვარო. წიგნი უკედლა ედო, სრულიად არა კითხულობდა და შიგ ტყუილად იცქირებოდა. მადო ძილი მოუვიდა და თავს ასკოლიეთ აქნვდა. ამ ღრსის შემობლის თხა ფეხების ბაკენით და წყარის ცანცარით ბაკიდგან გარეთ გამოვიდა. ვიგოს თავის კანტური რომ დაიხაზა, თხას ეგონა,

კიდაობაში მითხოვსო, გამოეჯანა, დაუჯახა რქებით შებლში, ყირამალა ვადანტრინილ... და აბლრიალა ზვენი თავმომწონეს

ამ ანტიტიპიკურ მოთხრობას არც სიტყვების განვითარება აქლია, არც კვანძი, მომხიბლავი იუმორიკ ამშვენებს და სათანადო მორალიც უშეალოდ გამოიმდინარეობს ნაწარმოებიდან, ისე რომ ზედმეტი ერთი სიტყვაც არ არის დახარჯული. „თხა და ვიგო“ მოცულობით საშუალო სიდიდის მოთხრობაა „დედა ენაში“, ბუჯი კი უფრო მოკლეც არის და სულ ორ-სამ სტრუქტურის მოიცავს, მაგრამ მაინც დასრულებულ და საინტერესო ამბავს გადმოგვცემს, რომელიც დღესაც არ ამოიშლება მკითხველის მეხსიერებიდან. აი, მაგალითად, სამსტრუქტურისანი მოთხრობა „მკვებარა ქოთანი“: „ქოთნები ერთად შეგროვილიყვენ, შუაში ჩამდგარაყო უფრო მაღალი ქოთანი და შექვევხოდა: მე თქვენსთანა როდი ვარ, ოქროს ძირი მაქვსო. უცხე თავზე წაადგა ცაცხვი. მკვებარა ქოთანს შეეცხვა და გაემინდა ხმა“.

როგორც ვხედავთ, სამ სტრუქტურში მთელი ამბავია ჩატეული. შეიძლება ითქვას, უფრო მეტი ეკონომია სიტყვისა აზრის დაუზიანებლად შეუძლებელია.

რაკი მოქმედებას, ამბის განვითარებას საბავშვო ნაწარმოებში განსაკუთრებულ მნიშვნელობა ენიჭება, ამიტომ მასში უნდა ჭარბობდეს მოქმედების გამოხატველი სიტყვები, ე. ი. ზმნები. თუ ამ თვალსაზრისით ი. გოგებაშვილის ზემოთ მოყვანილ მოთხრობებს შევაშროშებთ, დავინახავთ, რომ „მკვებარა ქოთანიში“ სამი სტრუქტურის მანძილზე რვა ზმნაა ნახმარი, „თხა და ვიგო“ კი 26. ზმნასა და ამას გარდა კიდევ მოქმედების აღმნიშვნელ რამდენიმე სიტყვას (სახელს, სახელზმნას) შეიცავს. უნდა ითქვას, რომ ზმნური კონსტრუქციები საერთოდ დამახასიათებელია ქართული ენისათვის და ეს მხოლოდ საბავშვო ლიტერატურის ენას არ ეხება.

საკუთარ შესწავლას მოითხოვს საკითხი, თუ როგორ გადმოვიცმა მოქმედების დინამიკურობა ზმნების სიუხვის წყალობით და რა გზები არსებობს საამისოდ, მაგრამ აქ ვაკერით მივიც უნდა შევნიშნოთ, რომ მშველბური კონსტრუქციები განსაკუთრებით არ უხდება საბავშვო ნაწარმოებს. ამიტომაც უყარგისია ასეთი ფრაზები: „მიშას გულში სიმამაცემ და თავის თავისადმი რწმენამ გაიღვიძა“, „ნეტარებაში მყოფი ბელი ისე ჩაუყრუშმალავდა მდინარეში, რომ წყლის ზედაპირზე მხოლოდ დარტყნი მოუჩანდა“, „ღამამობით გარეული ცხოველები ხშირად მოიპარებოდნენ ხოლმე ტყიდან უნის მოსაძოვად“, „რატომ უნდა განვიცადო მე საბრალომ ამდენი დარდი და მწუხარება“ და სხვ. ბუნებრივი და ბუნებისათვის უფრო გასაგები იქნებოდა, თუ ზემოთმოყვანილი

წინადადებები ასე შეიცვლებოდა: „მიშას გუ-
ლი მოეცა და გაიფიქრა, ყველაფერი შემიძ-
ლიაო“, „ბელს ესამოენა (ან: ნეტარებას მიე-
ცა, ნებებობა დაიწყო...) და მდინარეში ჩა-
უღრუღმელავდა“, „...ცხოველები ზმირად მოი-
პარებოდნენ ხოლმე ტყიდან და ყანას ძოვ-
დნენ“, „არტომ უნდა ვიდარდო და ვიწუხო
ამდენი მე საწყალია“ და ა. შ.

კორნეი ჩუკოვსკი ურჩევს დამწვევ საბავშვო
პოეტებს, არ გადატვირთონ ლექსი ზედსართა-
ეებით, განსაკუთრებით — თუ ეს ლექსი მცო-
რეწლოვანთათვის იწერება. ასეთ რჩევას
კ. ჩუკოვსკი სხვათა შორის იმიტაც ასახულებს,
რომ თვითონ მცირეწლოვანთა მიერ შეთხზულ
ლექსებში თაქმის სულ არ გვხვდება ეპითე-
ტები. ეპითეტი საგანზე ცოტად თუ ბევრად
ხანგრძლივი დაკვირვების, დღის, კვლევის შე-
დეგია, რაც მცირეწლოვან ბავშვს არ შეუძლია
აწარმოოს. მეცნიერებს დიდი ხანია შენიშნუ-
ლი აქვთ მცირეწლოვანთა მიღრეკილება ზმნე-
ბისადმი და საგანებზე ცხრილებსაც იძლევიან,
თუ რამდენ პარაცენტს შეადგენს ბავშვის ლექ-
სიკურ მარაგში ესა თუ ის მეტყველებს ნა-
წილი. როგორც კ. ჩუკოვსკი შენიშნავს, ამ
ცხრილებს დაზუსტება სჭირდება, მაგრამ მათში
სწორად არის აღნიშნული ბავშვთა ენობრივი
განვითარების ზოგადი ტენდენცია: ბავშვი და-
ბადების პირველ წლებში ისე განუჩვევლად
უყურებს საგნის თვისებას და ფორმას, რომ
ზედსართავი სახელი მისთვის დიდხანს არის
ყველაზე უცხო მეტყველების ნაწილი. თუ ასეა,
მცირეწლოვანთათვის განუუთვნილ ნაწარმოებ-
ში უნდა იყოს მეტი მოქმედება — მეტი ზმნა
და რაც შეიძლება ნაგებები ზედსართავი, —
ასეთია კ. ჩუკოვსკის რჩევა¹.

რაკი სიტყვა ჩამოვარდა, აქვე შეიძლება
შევხვთ დამწვევი საბავშვო პოეტებისადმი
მიმართულ სხვა რჩევა-დარიგებებსაც, რომლე-
ბიც კ. ჩუკოვსკის ცამეტი „შენების“ სახით
აქვს ჩამოყალიბებული თავის წიგნში „ორიდან
ხუთამდე“ „От двух до пяти“. მათ შორის
რამდენიმე დარიგება უშუალოდ ან არაპირდა-
პირ ენის საკითხებს ეხება. ასე, მაგალითად,
პოეტი რჩევას იძლევა, რომ რითმები საბავ-
შვო ლექსებში რაც შეიძლება ახლო-ახლოს
იდგნენ ერთმანეთთან, ხოლო სარიტმი სიტყვებ-
ში უნდა ატარებდნენ მთელი ფრაზის ძირითად
აზრს. რამდენადაც რითმა განსაკუთრებით
ამახვილებს ყურადღებას სარიტმი სიტყვაზე,
მას უნდა მიეცეს ყველაზე დიდი აზრობრივი
დატვირთვა.

ერთ-ერთი „მცნება“ შეიცავს რჩევას, რომ
ლექსის ყოველი სტრიქონი წარმოადგენდეს
დასრულებულ სინტაქსურ ერთეულს, ე. ი.

სტრიქონთა რიცხვი უნდა ეთანაბრებოდეს წი-
ნადადებათა რიცხვს, რადგან ბავშვის აზროვ-
ნების პულსი ლექსის რიტმს მისდევს. შედი-
რებით მონრდლი ბავშვებისათვის დაწერილ
ლექსში შეიძლება წინადადება თავსდებოდეს
არა ერთ არამედ ორ სტრიქონში, მაგრამ ამ
სახეობის კი აღარ უნდა გასცდეს. როგორც
ავტორი შენიშნავს, ამ თავისებურებით საბავ-
შვო ლექსი ახლოს დგას ხალხურთან.

ამ დებულების სიილუსტრაციოდ მრავალი მა-
გალითის დასახელება შეიძლება ქართული სა-
ბავშვო პოეზიიდან და ხალხური შემოქმედები-
დანაც:

მინდობში წიველ, სწორებო,
მზე წითლად ამოდოდა,
მე იქ რა გამაძლებინებს,
თქვენი ხმა არ მომდოდა.

როგორც ვხედავთ, ამ ხალხური ლექსის
ყოველი სტრიქონი ცალკე წინადადებას წარ-
მოადგენს. ჩვენს ფოლკლორში ზმირად გვხვ-
დება აგრეთვე ისეთი ლექსები, სადაც თვითე-
ული წინადადება ორ სტრიქონში თავსდება:

ყაყაონა სიწითლითა
ყანა დაუშვევებია,
ვამაწვილა კარგი სწავლითა
სახლი გაუხარებია.

ეს ლექსი ერთ-ერთი პირველიაგანია, რომელ-
საც ქართველი ბავშვი ზეპირად სწავლობს.
მამასაღამე, ორ საღვესო სტრიქონში გაწილი
წინადადების ათვისება ყველაზე პატარებსაც
არ ემძნებათ. მაგრამ მცირეწლოვანთათვის
ძნელი ასათვისებელია, როცა ერთ სტრიქონში
ვერ თავსდება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავში-
რებული სინტაქსური წყვილი, ანდა პირიქით —
წინადადება მთლიანად ვერ ავსებს სტრიქონს
და იმავე სტრიქონში მომდევნო წინადადებას
ზოგიერთი წვერიც აღმოჩნდება ხოლმე. მაგა-
ლითად:

შორი გზები ზწრათად უნდა
გავაართო როგორც ქარი

ანდა:

ბელს ეუმალი, ბუნებამ
კარგი შეილი მარგუნა.

ა. წერეთლის ერთ-ერთი ლექსი „ვახაფხული“
ასე იწევბა:

ვახაფხულდა ბუნების ძირას
თავს იწონებს ნახი ია.

ენობლია, რომ ამ სტრიქონების აზრი პა-
ტარა მეტყველებს დიდხანს სწორად არ ეს-

¹ К. Чуковский, От двух до пяти. 14-ое
изд., 1960 г., стр. 348—351.

მით და პირველ სტრიქონს მთლიანად ერთ წინადადებად აღიქვამენ: „გახაფხულდა ბუნქის ძირას“. მაშასადამე, ცხურა სტრიქონის ბოლოს ისე ძლიერია, რომ იგი ჩრდილავს სტრიქონის შენაშა მოქცეულ აზრობლებს პაუზას. ამიტომ სტრიქონიდან სტრიქონში აზრის ამგვარი გადატანა საბავშვო ნაწარმოებისათვის შეუფერებელია და, როგორც ქ. ჩუკოვსკი აღნიშნავს, ერთი ან ორი სტრიქონი მთლიანად უნდა გვაძლევდეს ერთ წინადადებას. გარდა ამისა, ქ. ჩუკოვსკი ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე საბავშვო ნაწარმოების პოეტური ენის მუსიკალობაზე, რასაც ჰქვინის ზმოვანთა და თანხმოვანთა განლაგება ფრაზაში თუ სიტყვის შიგნით, ბგერებისა და სიტყვების თამაში და სხვ. სახელდობრ, იგი აღნიშნავს, რომ ბავშვები ერთობიან არა მარტო ნოთუებით, არამედ ბგერების წარმოთქმითაც. მათ მოსწონთ ენის გასატეხები და სხვა ამგვარი გასართობები, რომლებიც ხელს უწყობენ ენის დაუფლების პროცესს და ესთეტიკურ სიამოვნებას განადიდებენ ბატარებს. დიდები აღმათ ვერასოდეს გაიგებენ, რით იზიდავს ბატარა ბავშვებს, მაგალითად, სიტყვათა ასეთი უსაზმრო დეფორმაცია, რაც შე ინგლისური ფოლოკორიდან ვისესხეო, — შენიშნავს მწერალი:

Жила-была мышка Мауси
И вдруг увидела Котауси.
У Котауси злые глазауси
И злые-презлые зубауси.
Подбежала. Котауси к Мауси
И замахала хвостауси:
Ах, Мауси, Мауси, Мауси,
Подойди ко мне милая Мауси!

და ა. შ. 1

ანალოგიურ სიტყვის თამაშს ეხედებით ჩვენ სხვა ხალხთა ფოლოკორსა და საბავშვო მწერლობაშიაც. ბგერათა და სიტყვათა თამაშს მთელი მსოფლიოს საბავშვო ფოლოკორში თვალსაჩინო ადგილი უკავია. გავიხსენოთ ჩვენი ხალხური ლექსები: „აღბო, მადხო“, „იწილო, ბიწილო“, „წიბო-წიბო-წიბონია“ და სხვანი. ამ ხასიათის მასალა ზნობად ოსტატურად აქვთ გამოყენებული ჩვენი საბავშვო მწერლებს — მარჯანს („ენკი, ბენკი, სიკლისა“), ი. სიხარულიძეს („ღარი-ღირი-ღირალა“, „იწონადიწონა“), მ. მრეველიშვილს („კიკლი, კიკლი კიბისა“, „ქისა, ქისა, ბარაქისა“) და სხვ.

როგორც ეხედავთ, საბავშვო ლიტერატურის სპეციფიკა ენის სფეროში განსაკუთრებით შეათიოდ იჩენს თავს. ჩვენი აზრით, ერთ-ერთი სპეციფიკური ენობრივი ნიშანი საბავშვო

ნაწარმოებისა იქიდან წარმოდგება, რომ მასში უფრო ძლიერია ენის შემეცნებითი, რეალიზაციონების ფუნქცია, მაშინ როცა საერთოდ მბატერული ნაწარმოებისათვის განსაზღვრულია ენის ექსპრესიული, ესთეტიკური მხარე. უფრო ზუსტად: მბატერულ ნაწარმოებს საერთოდ ბავშვისათვის ნაკლები ესთეტიკური დანიშნულება როდი აქვს, მაგრამ ესთეტიკურ სიამოვნებას ნორმ ვითხოველს სხვა ენობრივი საშუალებანი ანიჭებენ, მოზრდილს — სხვა.

ეს რომ ავხსნათ, ამისათვის პატარა ბავშვის ხასიათის ერთ თავისებურებას უნდა მივამოთ ყურადღება: რატომ ხდება, რომ ბავშვი მეასეჯერ ვთხოვთ ერთი და იმავე ზღაპრის მოყვალს, ან იმ ლექსის წაკითხვას, რომელიც მან ზეზინად იცის? ამ ერთი შეხედვით უცნაურ გარემოებას შევნიშნებთ სხინაინ იმით, რომ მცირეწლოვანი ბავშვი ნელა ითვისებს ნაწარმოების შინაარსს და ყოველი ახალი მოყვალის დროს მასში ახალ-ახალ ამბებს აღმოაჩენს, სხვადასხვა მომენტზე ამახვილებს ყურადღებას, თანდათან შეიცნობს მოქმედებათა შორის კავშირსა და თანმიმდევრობას, ამას უბატნება ისიც, რომ პატარები, უფროსებისაგან განსხვავებით, სულ სხვანაირად აღიქვამენ სინამდვილეს. ყოველივე ის, რაც მოზრდილისათვის ჩვეულებრივი, ყოველდღიური და კარგად ნაცნობია, პატარა ბავშვისათვის სრულიად ახალია და დიდხანსაც ინარჩუნებს თავის სიახლეს. ბავშვები მერისმეტად გამოუცდელი არიან ცხოვრებაში და უჭირთ ახალი საგანი დაუპირისპირონ ან დაუკავშირონ მათთვის უკვე ნაცნობ საგნებს. ამიტომ ისინი ამ ახალი საგნების შეცნობის პროცესსაც მამურად განიცდიან.

ნორჩების მოთხოვნილება, რომ ერთი და იგივე ლიტერატურული ნაწარმოები რამდენჯერმე მოისმინონ, გამოწვეულია აგრეთვე მათი სიტყვიერი მარაგის სიმცირით. უფროსებს ეს მარაგი უკვე საკმაოდ აქვთ დაგროვილი და მისი მეოხებით მოთხრობის ათვისება არ უჭირთ, ხოლო შემდეგ შეუძლიათ შინაარსის გადმოცემა საკუთარი სიტყვებით. პატარებს კი შინაარსთან ერთად უხდებთ მრავალი ახალი სიტყვის ათვისებაც, ამიტომ მათთვის ეს პროცესი გაცილებით უფრო ძნელა და მრავალჯერის განმეორებას მოითხოვს.

პატარა ბავშვის ხასიათის ეს მხარე თავისებურად არის არეკლილი საბავშვო ფოლოკორში, სადაც ზნობა არა მარტო პასაჟების მსგავსება, არამედ ტექსტის ზუსტი განმეორებაც. გავიხსენოთ ჩვენი შესანიშნავი ზღაპარი „ჩიტო და მელი“, სადაც სამეზის გვგვლება ყველა ბავშვისათვის ნაცნობი საუბარი დიდგულა შელისა და საბრალო დედაჩიტს შორის:

— ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო!
— რაო, ბატონო მელიაო?

1 იქვე, გვ. 353.

— ერთი ბარტყი ვადმომივდე, თორემ შევს დღეს დაგაყრით: ცულს მოვიტან, ცენცულასა, ხელეჩოს და წილდუნასა; ხეს მოვჭრი და ხის ძირსაცა, შენც შევჭამ და შენს შეილსაცა.

ბუნებრივია, რომ ეს სხარტი და დრამატიზებული დიალოგი ერთეულ სარბიელს გადაეშლის ბავშვის ფანტაზიას და უოველი გამეორება ახალ-ახალი ელემენტებით ამდიდრებს მას.

ზოგჯერ ტექსტი უბრალოდ კი არ მეორდება, არამედ გამეორებას თან ახლავს მისი ვართულებაც ახალი შინაარსობლივი მომენტით. ამის კლასიკური ნიმუშია ქართული ზღაპარი „არწყილი და ჭიანჭველა“, რომელიც რამდენიმე მოკლე ეპიზოდისაგან შედგება და უოველ მათგანში ტექსტი რამდენადმე შეცვლილი სახით მეორდება და რთულდება. „არწყილი და ჭიანჭველა“ სიუჟეტით მთლიანად ამ გამეორების ზერსზე არის აგებული. თითქმის საესებით ანალოგიურია ავრთვე ზეენი საბავშვო ფოლკლორის მეორე შესანიშნავი ნიმუში „თხა და ვენახი“. მისი დასაწყისი ასეთია:

— მოდი, ვნახოთ ვენახი, რამ შეჭამა ვენახი?
— მიველ, ვნახე ვენახი, თხამ შეჭამა ვენახი!

შემდგომში ეს ობიექტ-სუბიექტები თანმიმდევრულად იცვლება, მაგრამ ერთხელე შეშუშავებული სიტყვიერი უალიში იგივე რჩება, ხოლო ამ სტრიქონებს ბოლოში ემატება უკუსვლითი ჩამოთვლა, ე. ი. ისევე განმეორება ვარკვეული ცვლილებით, საბოლოოდ ზემოთ მოყვანილი ტექსტი ასეთ სახეს იღებს:

— მოდი, ვნახოთ თავი, რამ შეჭამა თავი?
— მიველ, ვნახე თავი, კატამ თავი, თავმა მიწა, მიწამ ენაგი, ენამა თოფი, თოფმა მველი, მველმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა!

ცხადია, ამგვარი განმეორება მოსაწყენი კი არაა, პირიქით, ავარჯიშებს და წრთენის მოზარდის გონებას და ამ ზღაპრების აუცილებელ სტილისტურ-მხატვრულ ელემენტს წარმოადგენს.

ი. გოგებაშვილს ზემოხსენებულ ზღაპრები შემთხვევით როდი შეურჩევია თავისი „დედა ენისათვის“. სავლესხმოა, რომ დიდ პედაგოგსა და საბავშვო მწერალს ანალოგიური ზერსი გამოუყენებია თავის ორიგინალურ თხზულებებ-

შიაც. ასეთია, მაგალითად, მოთხრობა „ვაჟო და ფრინველები“, რომლის ვიკის, ქალაქში, მისწავლე პატარა ვანოს, სოჭარში სოფლიდან დედის ამბავს რიგრიგობით ატყობინებდა ჩორჩები, მერცხლები და ბულბული. ამ ფრინველებს ვანო თითქმის უცვლელად ერთი და იმავე შეკითხვით მიმართავს: „სად ყოფილხართ, რა გინახათ, დედაჩემი არ გინახათ?“

თუ გამეორების ზერსი საბავშვო ნაწარმოებში გამართლებულია და მნიშვნელოვან მხატვრულ ამბავს რიგრიგობით ფუნქციას ასრულებს, სამაგიეროდ ბავშვისათვის მიწვედომეულია მრავალი სტილისტური ნიუანსი, რომელთაც საერთოდ მხატვრულ ლიტერატურაში ვხვდებით. ამიტომ ამგვარი სტილისტური ელემენტების გამოყენება საყმაწვილო ნაწარმოებში ამოკლებულია იქნებოდა.

ჩვენი ფიქრით, საბავშვო ნაწარმოები ნაკლებად იგუებს არქაიზმებისა თუ დიალექტიზმების შესწავლით წარმოქმნილ სტილიზაციას. აი, მაგალითად, ეტრნალ „დილასი“ გამოქვეყნებული მოთხრობის „დედოფლების კარავის“ ერთი ნაწყვეტი:

„დედოფლების კარავის წიგნი დედაქალაქ თბილისთან მისალოცი: ზვენ, ხელოვანთ მოაჯ-რმა ყოვლისა საქართველოსა თიატრონთაჲსა. დედოფლების კარავში მივიღეთ სასიხარულო ამბავი დედაქალაქის 1500 წლისთავის ზეიშისა, შეეკრიბე თოჯინები, დედოფლები, თოჯი-კუკები — ზელით სატარებლნი და ძაფზე მოთამაშენი, ჩრდილიანი და უჩრდილონი, თოჯინები ყოველნიირი და ასე ვარჩიეთ:

გავავზავნათ დედაქალაქის ზეიშზე დედოფლების კარავი. ამ ჭრელ-ჭრულმა თოჯინებმა გადააიარონ ცამეტი საუცუნე, ანუ ათას სამასი წელი, რომ მიართვან აყვავებულ დედა თბილისს ეს მისალოცი სიგელი“.

ვევტობს, ასეთი სტილი ვსაგებია იუს „დილასი“ მკითხველებისათვის და რაიმე სიამოვნება მიანიჭოს მათ.

დაახლოებით იგივე უნდა ითქვას სტილისტური მიზნით დიალექტიზმების გამოყენების თაობაზეც. საერთოდ, სტილისტური ფუნქციით ნახშირი არალიტერატურული ფორმები ემოციურ ზემოქმედებას ახდენენ მხოლოდ სალიტერატურო ენის ბაზაზე, ნორჩი მკითხველი კი, რომელიც უკერ კიდევ საესებით ვერ ფლობს სალიტერატურო ენას, ამგვარმა არალიტერატურულმა ენობრივმა მასალამ შეიძლება დააბნაოს. მაგალითად, იმავე „დილასი“ ფურცლებზე წაიკითხავს ყმაწვილი „ბაბოს“ და აღარ იცის, რომელია სწორი: დედაცა, ბებია, თუ ბაბო. ბავშვისთვის ხომ წიგნის ავტორიტეტურ ხარამზარია!

ზემოსენებული მიზნის გამო ხდება, რომ ჩვენი სასკოლო ჭრესტომათიების შემდგენლებს ელანაციოსა თხზულებებშიაც კი შეაქვთ ზო-

გერითი ენობრივი ცვლილება. ასევე იქცეოდა თავის დროზე ი. გოგებაშვილი, რომელიც შესწორებული სახით ბეჭდვდა თავის სახელმძღვანელოში საბას, რ. ერისთავის, ა. წერეთლის და სხვათა ნაწერებს. განსაკუთრებით უხვად სარგებლობდა ი. გოგებაშვილი ხალხური ზეპირსიტყვიერების მასალით, რომელიც მის სახელმძღვანელოებში ასევე გადამუშავებული, დახვეწილი და გაგაქიზებულია. ხალხური სიტყვიერების ნიმუშთა სიხვევს „ღედა ენაში“ ი. გოგებაშვილი სხვათა შორის იმიტად ამართლებდა, რომ ხალხური ლექსები და ზღაპრები მეტად მარტივი და მოზარდისათვის ადვილად გასაგები ენით არის დაწერილი.

საბავშვო წიგნი უნდა იწერებოდეს სწორი, ლამაზი, სხარტი ენით. ცხადია, ეს თვისებები არც ე. წ. „სადიდო“ ნაწარმოებს მისჭარბდება, მაგრამ აქ შინც თავს იჩენს ზოგიერთი თავისებურება: საბავშვო ლიტერატურას უფრო მეტად აკისრია განმარტების, ახსნის, გაგებინების ფუნქცია, ამიტომ ახალი ცნების გამოხატული სიტყვა ნორმ მკითხველს ისეთ კონტექსტში უნდა მიეწოდოს, რომ მისი მნიშვნელობა ადვილად მიავსოს და დაიმსხვოს. ვაუკვბარ სიტყვათა სიჭარბე საერთოდ დაბლა სცემს მხატვრული ნაწარმოების ლირსებას, მაგრამ რაკი ბავშვს ნაკლები ლექსიკური მარაგი გააჩნია, მისთვის განკუთვნილი ნაწარმოების სიტყვიერი ქსოვილი განსაკუთრებით ფაქიზად უნდა იყოს დამუშავებული და დახვეწილი, არ უნდა იყოს გადართულებული უცხო სიტყვებით. უკლება აგრეთვე განეწმუნებულ ცნებათა სიჭარბე.

როგორც ცნობილია, ბავშვის აზროვნება უფრო კონკრეტულია. ამიტომ მისთვის ძნელია კითხვის დაწვეებისთანავე ათთვისოს ზოგადი და რთული მონაარსის ცნებები, როგორცაა: სამყარო, მასა, ცთულება, ან თუნდაც ტრანსპარტრი, გამწვევი ძალა და სხვა ამგვარნი, რომელთაც ხშირად ვხვდებით ჩვენი უმცროსკლასელთათვის განკუთვნილი წიგნების ფურცლებზე.

არა მგონია ქართულ ენას საერთოდ უხდებოდეს ისეთი კომპოზიტები, როგორიცაა ცალთვალ გახედელი კერძოლი ან გულთვალამოღებელი კვახი. მაგრამ განსაკუთრებით საწყენი და დასაგმობი ისაა, რომ ამგვარ ვარჯიშთა და სიტყვათქმნადობას საბავშვო წიგნის ფურცლებზე ვხვდებით. აი, კიდევ ასეთი მრავალსართულიანი კომპოზიტი: თაფლის ფერცოცხალთ ენაღებ არსება, რატომ უნდა ვეღაბარეთ ნორმ მკითხველს ასეთი რთული ენით? თვით სიტყვა „არსება“ ისეთი ზოგადი ცნებაა, რომელსაც ბავშვი ძნელად გააგებს. მუდამ უნდა ვეახსოვდეს, რომ ბავშვი მხატვრული ნაწარმოებით ენადაც სწავლობს და ბევრ ახალ სიტყვას ითვისებს. ამიტომ საჭიროა ეს სიტყვები მოვაცხოთ

ბუნებრივსა და გასაგებ კონტექსტში, ვერძლოთ უცხო სიტყვებს, განეწმუნებულ ცნებებს და ა. შ. პატარა მკითხველი არ უნდა მხოლოდით გრძელი პერიოდებით, რომლის მოლოდინსაც კითხვა ბავშვს სუნთქვას შეუტარავს. აი, ამის რამდენიმე ნიმუში, რომლებიც ერთი საბავშვო წიგნის თარგმანიდანაა ამოკრეფილი: „მისას ფიქრით, მისთვის თვითმეტყლა უნდა დაერქმიათ, მაგრამ რას იხამდა, დათვები ხომ თვითონ არ ირქმევენ სახელებს და ისიც კიყყოფილი უნდა ყოფილიყო შერქმეული სახელით. მაგრამ მარტო ეს კი არ აღარდებდა, უფრო მეტად ის აწუხებდა, რომ მისგან მოითხოვდნენ დამჯერე ყოფილიყო, რასაც ვერ ეგუებოდა ციყვები, კურდღლები, მელიები და მარცები იმაზე ბევრად უფრო პატარები იყვნენ, მაგრამ ისე ცხოვრობდნენ, როგორც მათ ესამოტენებოდათ“.

რა უნდა გავაგებინოთ პატარებს ასეთი ჩაწმინდილი ფრაზებით, უფერული და უღაზათო წინადადებებით, სადაც ჩვენებითი ნაცვლსახელების ორამტრიალია და ქართულს ქართულია აღარ ეტყობა?!

„ყოლოჩინა მამალს წვიმაში მონაყოლ ქათამივით ჩამოყარა ფრთები, ბუმბული ნახევრად გაბრტყენოდა. რა იყოდა მიშამ, რომ მან ჩაავლო ასეთ დღეში. მამალმა ვერ მოასწრო გვერდზე გახტომა, ბუნჯლია მთელი ტანით გადაევილო თავზე და თავისდაუნებურად დაითრია ქვიან ადგილზე“.

აქ თხრობის რიტმი მოეწესრიგებულია, შედარება არ ვარგა („მამალ... ქათამსავით ჩამოყარა ფრთები“). ქართული მოყოლელებს („მონაყოლ ქათამსავით“, „ნახევრად გაბრტყენოდა“), ხოლო ყველაფერი ეს იმით გვირგვინდება, რომ ბავშვი კი არა, დიდც ვერ გაარკვევს, რომელმა რომელი „ჩაავლო ასეთ დღეში“ — მამალმა მიშა თუ მიშამ მამალი?

„ნორჩი ფიქვების მახლობლად ამოღტილ ხეებს შორის მიშამ უცნაურ საზოგადოებანს: დამკინავ მელისას, პირფერ სინდიოფალას, მზარტულ შელის ნუკრს და ბოლოს მოყვარულ ბუნჯუნა, მაგრამ გულკეთილ მანეს მოპკრა თვალ“. ასეთ გრძელ წინადადებას ბავშვი თავს ვერ გაართმევს, ასე დაშორებულ ქვემდებარესა და შემამსმენელს ერთმანეთს ვერ შიამამს, ამ ნაკლის თავიდან აცილება კი სულ ადვილი იყო, — შემამსმენელს წინ გადააწევას არაფერი არ უშლიდა ხელს.

„ალბათ ახლა შიშშილით ამომხდება სული, თუშეა შემქლო, დღეს ხეთშამათია, ბასრობაა და ქალაქში წავსულიყავ, მაგრამ რითი?“ ასეთი ჩაბრცილი და უშნოდ მიკიბულ-მოკიბული წინადადება არავითარი ლიტერატურისთვის არ გამოდგება, — თუნდ საბავშვო იყოს და თუნდაც „სადიდო“.

ჩვენ თავს ვიკავებთ მრავალი სხვა ანალოგიური მაგალითის ამოწერისაგან, არც მთარგმნელის გუარს დაეასახელებთ, მაგრამ ის კი უნდა ვთქვათ, რომ სირცხვილია ასეთ თარგმანს ვუწოდოთ „კარგი საბავშვო წიგნი“, ხოლო მის ენას ასეთი შეფასება მიეკუთვნება: „წიგნი თარგმნილია კარგი ქართული ენით, იკითხება ლაღად და ინტერესით“ („ახალგაზრდა კომუნისტი“, 13/XII, 1958 წ. № 149). ჩვენ კი ვიტყვი: არა, ასე ნუ სთარგმნით საბავშვო წიგნს, ასეთი ენა არ ვარგა საბავშვო ლიტერატურისათვის!

საბავშვო ლიტერატურის ენის სპეციფიკა განსაზღვრავს იმის მოთხოვნილებას, რომ საბავშვო წიგნის თარგმნისას შერტი უნდა იყოს გადმოკეთების ელემენტი, რათა უცხო ტექსტი ადვილად გასაგები გახდეს მოზარდი მკითხველისათვის. მაგალითად, რა საჭიროა, რომ თარგმანში ზუსტად გადმოვიტანოთ შინაურ ცხოველთა ან ფრინველთა სახელები: ბაქია ლაში, ქათამი პენი, ძაღლი ტომი, ძროხა როზა, ვაცი ბოლა... ვგელა ეს სახელი თავმოყრილია ერთ ზღაპარში — „სახელოვანი იხვის ჰუმპული ზიში“. პატარა მკითხველს, ცხადია, აზღენი უცხო სახელის დამახსოვრება გაუჭირდება, ზღაპარი მისთვის ძნელი წასაკითხი ხდება და უოველგვარი სიამოვნებაც ვკარგვება. ამას დაუშვართ ზოგი სხვა გარემოებაც. მაგალითად, სიზუსტეს გამოდევნებული მთარგმნელი იძულებულია იმავე ზღაპარში იხმაროს ბატის სახელი ტ ი ლ ი და უზერხულობის თავიდან ასაცილებლად ამ სიტყვაში დატოვის ორი ლ, თუმცა ეს ჩვენი ენის ბუნებას და ორთოგრაფიულ წესებს არ შეესაბამება.

ანდა ავიღოთ ასეთი მაგალითი: „ბელს მიშა ვრკვა, ისევე როგორც ჩვენს ბიჭებს კურტს ან

პეტერს ემახინ“, — ვკითხულობთ თარგმანში. ავტორი ბავშვებს უხსნის, კურტს — თქვენ გვითა კურტი და პეტერს, ასეთივე სახელი ჰქონდა დათვის ბელსაო. ქართული ბავშვისათვის თვითონ ეს სახელები — კურტი და პეტერი უცხოა, უცნობია. ამრიგად, გამოდის, რომ ერთი უცნობის ახსნა შოვინდომით ორი უცნობით.

ამ ცოტა ხნის წინათ გამოვიდა კ. ჩუკოვსკის საბავშვო პოემების ქართული თარგმანი, სადა ზოგჯერ დაუძლი არ არის ის არსებითი მოთხოვნები, რომელთაც თვითონ ავტორი უყვანებს საბავშვო პოეზიის ენას და რომელთა თაობაზე ჩვენ ზემოთ უკვე გვერწინა საუბარი. ავტორი დარღვევამდე მთარგმნელები მიიყვანა გარეგნული სიზუსტის გამოდევნებამ. სამაგიეროდ იქვე შესანიშნავად არის თარგმნილი „მურიანი ბიჭი“ ი. აბაშიძის მიერ. ასევე მშვენიერად თარგმნა ი. აბაშიძემ ს. მიხალკოვის საბავშვო პოემებიც. მთარგმნელმა გამარჯვებას მიიღწია იმის მეოხებით, რომ არ გამოდევნა გარეგნულ სიზუსტეს და მხატვრულ-ენობრივად დისაშეუბი გადმოკეთების ელემენტები შეიტანა თარგმანში. ეს არის გაგრძელება იმ კლასიკური გზისა, რომელიც დამაყვებელია ჩვენში ა. წერეთელმა კრილოვის ივან-არაგვის ბრწყინვალე თარგმანით.

ბავშვმა დედა ენა თავიდანვე უნდა შეიტკბოს და შეაყვაროს, ენის ყადრი ისწავლოს, ფრაზის გრება და წვადება პატარაობიდანვე შეიძლოს. ამიტომ საბავშვო ნაწარმოების ენას განსაკუთრებული მზრუნველობა და ყურადღება ესაჭიროება. ამას უნდა ესწრაფოდეს ყოველი საბავშვო წიგნის ავტორი თუ მთარგმნელი.

კ. ჩიკვაძე

მენშევიკების ეკონომიური პოლიტიკის კრახი*

II. მენშევიკური აგრარული რეფორმის ზოგიერთი შედეგი

რეფორმის დაწყების მომენტისათვის მენშევიკური საქართველოს მხარეების უმრავლესობაში შემამულეთა მიწები გლეხებს ქონდათ მიტაცებული და, მაშასადამე, მსხვილი მიწათმფლობელობა ფაქტურად აღარ არსებობდა. ამის აღიარების საბუთი ჩვენ უკვე მოვყვანეთ მენშევიკური პრესის ფურცლებიდან. ამ შეგვიძლია დავუმატოთ, რომ „დემოკრატიული“ რესპუბლიკის მიწათმოქმედების სამინისტროც ოფიციალურად სცნობდა ამ ფაქტს. კიდევ მეტაც, იგი შიშობდა, რეფორმის ჩატარებისას გლეხობამ შემამულეებისათვის ნორმით მისაქცევი მიწების დაბრუნებულად უარი არ განაცხადოს. ერთნელ საბჭოში და მთავრობისათვის წარსადგენ მოხსენებაში, რომელიც 1918 წლის ზაფხულის მდგომარეობას ეხება, ეს უწყება წერდა:

„შემამულეები, ცხადია, ვერ შეურჩებოდნენ საკუთარი პრივილეგიების გაქვშებას და აშკარად თუ ფარულად მიწის რეფორმის წინააღმდეგ გალაშქრებდნენ მთელი თავისი ძალღონით. მაგრამ წინააღმდეგობა მოსალოდნელი იყო მეორე მხრიდანაც... მიწის რეფორმა ძალიან დაგვიანებით მოველნა გლეხობას კანონური სახით, რევოლუციის დაწყებიდან თითქმის ერთი წელიწადი უტადა მიწის საკითხის გადაჭრას და ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ დაპირებებით იცუებებოდა, ბოლოს მოთმინების უდაოდ აივსო და გლეხებსა საკუთარი ძალით დაიწყო მიწის საკითხი და რევილუციონური გზით მიითვისეს ის, რაც კანონის სახით მათ არ მიეცათ. თითქმის პირწმინდად ჩამოართვეს მათ შემამულეებს მიწები და თვითონ შეუდგნენ დაბრუნებას. როდესაც 7 მარტის კანონმა შემამულეებს ნორმის სახით 7, 15 და 40 დესტინა მიწა მიუსაჯა, მოსალოდნელი იყო გლეხობა წართმეული მამულის უკან დაბრუნებულად ადვილათ არ დასთანხმდებოდა და წი-

ნაღმდეგობას გაუწევდა რეფორმის ცხოვრებაში გატარებას“¹.

მენშევიკური მიწათმოქმედების სამინისტროს ამ აღსარებიდან ნათლად ჩანს, რომ თავიანთი აგრარული რეფორმით ქართველი მენშევიკები გლეხობის მიერ ჩატარებული რევილუციური აგრარული „რეფორმის“ კვალზე მიდიოდნენ და თავისი პარტიული მიზნების შესაბამისად ასწორებდნენ დაშვებულ „უკიდურესობებს“. აქედან ცხადია, რომ მენშევიკური საადგილმამულო კომისიების პირველი და მთავარი ამოცანა იყო მიწების ფაქტურული კონფისკაციის იურიდიულად გაფორმება: შემამულეებისათვის „კანონიერი“ ნორმის გამოყოფა, ჩამორთმეული მიწების მიახლოებით აზოშევა და მათი გადაცემა სათანადო აქტებით იდეოლოგიური საადგილმამულო კომიტეტებისათვის. ეს სამუშაო თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში 1919 წლის დამლუვისათვის ძირითადად დამთავრებულ იყო. ოფიციალური ცნობებით, 1920 წლის 1 იანვრისათვის შემამულეებს სულ ჩამოერთვათ 621697 დეს. მიწა, აქედან აღმოსავლეთ საქართველოში — 511539 დეს. და დასავლეთ საქართველოში — 110158 დეს.

ყოფილი შემამულეებისათვის დატოვებული მიწის ფართობი შეადგენდა: თბილისის გუბერნიისაში — რეფორმამდე მათს საკუთრებაში მყოფი მთელი ფართობის 5,1 პროც., ქუთაისის გუბერნიისაში — 6,1 პროცენტს.

ეს ციფრები მოწმობენ, რომ მენშევიკების მიერ ჩატარებული აგრარული რეფორმის შედეგად იურიდიულად დადასტურება მიიღო საქართველოში მსხვილი ფეოდალური მიწათმფლობელობის ლიკვიდაცია.

რაც შეეხება გლეხობისათვის მიწის მიცემას, ეს უკვე 1919 წლის 28 იანვრის კანონის თანახმად უნდა მომხდარიყო.

მენშევიკური მთავრობის მიწათმოქმედების მინისტრის ნ. ზომერციუს ანგარიშით, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში ჩამორთმეული მიწების ნახევარზე მეტს შეადგენდა ტყეები და საძოვრები, რომლებიც სახელმწიფო ფონდში

¹ ორცხა, ფონდი 117, საქმე 21, ფ. 6-17. ხაზგასმით ჩვენია.

* დასასრული იხ. „მნათობი“, № 4.

უნდა ჩაირეგულირო, ხოლო კვლევითი მიწების ფართობი კი უდრის 176 727 ჰექტარს და სანახიერებისა — 70 417 ჰექტარს. ამ სწორედ ეს დაახლოებით 247 ათასი ჰექტარი მიწა უნდა გადასცეს გლეხობის ხელში კერძო საკუთრებად. ზომიერი ვარაუდობაა, რომ, ვინაიდან „1920 წლის 1 იანვრისათვის ჩამორთმევა ეკვდრს არ იყო დასრულებული“, გასანაწილებელი მიწის ფართობი მთელ რესპუბლიკაში 320 — 350 ათას ჰექტარამდე მიაღწევდა. „სოფლის სტატისტიკა“ (1917 წლის აღწერა) გვიჩვენებს, რომ საქართველოში სულ ითვლება 3 631 სოფელი 317 553 კომლით¹, ამბობს იგი და დასკვნის, „საფონდო მიწებიდან გლეხის ოჯახი საშუალოდ მიიღებს არანაკლებ ერთი ჰექტარისა“².

ნამდვილად კი გლეხურ კომლს საშუალოდ გაიცლებით ნაკლები მიწა ერგებოდა. ამას შემდეგი მოსაზრებები ადასტურებს: ჯერ ერთი, თვით ზომიერი ანგარიშში, აშკარაა, დასანაწილებელი მიწის ფართობი ზელოვნრად სწორედ იმდენად არის გადიდებული, რომ კომლზე ერთი ჰექტარი გამოვიდეს; მეორედ, ჩამორთმეული მიწების საგრძნობი ნაწილი მრავალმიწიან და სუსტად დასახლებულ რაიონებში იყო განლაგებული და მათი გამოყენება ზოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ მცირემიწიანი რაიონებიდან ჩამოსახლება მოეწყობოდა. ეს კი ადვილი საქმე არ იყო.

ამრიგად, მენშევიკური აგრარული რეფორმის შედეგად მცირემიწიანი გლეხობის დიდი უმრავლესობა მიწას იმდენად ცოტა ოდენობით მიიღებდა, რომ ეს მის მდგომარეობას ვერ გაუმჯობესებდა.

საერთოდ კი, ქართველი მენშევიკების აგრარული რეფორმისა და აგრარული კანონმდებლობითი აქტების მთავარი მიზნად გადაიტყა გლეხური მარცხლარული მიწის საკუთრების განმტკიცება. რასაკვირველია, ეს არ იყო უკუთესი გზა სოფლის მეურნეობის თვით იმ ჩქარი კაპიტალისტური განვითარებისათვის, რომელსაც ისინი ამოცანად ისახავდნენ.

აქვე უნდა ითქვას, რომ მემამულეები თუმცა მათ მიწების 94 პროც. ჩამოართვეს, მაინც უკუთეს მდგომარეობაში დარჩნენ, ვიდრე გლეხები: „დემოკრატიულ“ საქართველოში უფროდ მიწამომცემლობა თვითველი ოჯახისათვის დატოვებული მიწის ნორმა რამდენჯერმე სჭარბობდა მიწის იმ ფართობს, რომელიც საშუალოდ გლეხის ერთ კომლზე მოდიოდა. ამასთან მემამულეებს მიწას სრულად უსასყიდლოდ უბოძებდნენ, მაშინ როდესაც გლეხობა დამატებით მიღებულ მიწაში საფასურს იხდიდა.

მართალია, ეს საფასური საშუალოდ უდრდა იმ შემოსავლის ერთ მეათედს, რომელსაც შესაძენი ნაკვეთი წვლილში იძლეოდა. მაგრამ ღარიბი გლეხობისათვის პროცენტული ფასის გადახდა იყო ადვილი. სწორედ ამიტომ ყინულზე დაწერილი აღმოჩნდა მიწამომცემლების სამინისტროს ვარაუდი, რომ ამ ოპერაციით მენშევიკური მთავრობა ასეულ მილიონებს მიიღებდა. 1919 — 1920 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო საფონდო მიწების რეალიზაციისაგან 252 მილიონი მანეთის მიღება, მაგრამ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი კანდელაკი თავიდანვე აცხადებდა — „ამ შემოსავლის საყვებით გამართლების სრულ იმედს ვერ ვიქონიებთ“³. ვაჭრობა-მრეწველობის პალატის თავმჯდომარეს დ. აფხაზს კი 1919 წლის ნოემბერში ბიუჯეტის ეს საშუალო სტატია კვლავ „საივევოდ“ მიიჩნდა⁴.

4. წარმართული უტოპიის საბოლოო გაქარწყლება.

მენშევიკების მიერ მიწის საკუთრების ნორმებისა და მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვის სახით აღმართული ზელოვნური ბარიერები, ცხადია, ვერ შეაჩერებდა სოფლად კაპიტალიზმის განვითარების ობიექტური პროცესის მსვლელობას. წარმოების კაპიტალისტური წესი, როგორც აღნიშნავდნენ კ. მარქსი და ვ. ი. ლენინი, თვითონ იქმნის საადგილმამულო ურთიერთობათა ძველი ფორმებიდან მისთვის შესაფერის ფორმებს⁵. ბურჟუაზიული საქართველოს სოფელში მშარდი კაპიტალიზმი წერილგლეხური მიწამომცემლობის ჩარჩოებში დიდი ხნით ვერ დაეტეოდა. ბუნებრივი პირობების შესაფერისად საქართველოს სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმი პირველ უოცლისა სოციალური შემცენარეობის გაფართოების ბაზაზე ვითარდებოდა. ამიტომაც კაპიტალისტურ მეურნეობებში მიწის განახლებული ზომით კონცენტრაცია აქ უფროდ გეონომიურ ფუნქციონირებას შეადგენდა. ეს გარემოება საგრძნობი ვახდა ჯერ კიდევ აგრარული რეფორმის დამთავრებამდე. იგი გამოხატულებას პოულობდა პრეზის ფორცლებზე, სხვადასხვა პარტიების წარმომადგენელთა გამოსვლებში, კულაქურ-ბურჟუაზიული წრეების ოფიციალურ მოთხოვნებში. რომ არაფერი ვთქვათ ნაციონალ-დემოკრატების პრესაზე, რომელიც უოველთვის მიწის შეუზღუდავი საკუთრების ინსტიტუტს იცავდა, თვით მენშევიკური კერძალა-გაზეთებიც ათავსებდნენ სატაბებს, სადაც ანალოგიური აზრები იყო გამოთქმული.

¹ იხ. ორცხა, ფონდი 118, საქმე 1435, ფ. 86.

² ორცხა, ფონდი 48, საქმე 177, ფ. 5.

³ ორცხა, ფონდი 24, საქმე 118, ფ. 3.

⁴ იხ. ვ. ი. ლენინი, ტ. 13, გვ. 338.

¹ ნ. ხომერაძე, აგრარული რეფორმა, გვ. 13-15.



კაპიტალიზმის პირობებში მიწის ეკრა სა-
ეთრება ყიდვა-გაყიდვის უფლებების გარეშე
იურიდიულ ფიქციის წარმოადგენდა. ამიტომ
მემდღომში კიდევ უფრო გაძლიერდა კაპიტა-
ლისტური ელემენტების ბრძოლა მიწის ყიდვა-
გაყიდვის შემოღებისათვის. 1919 წლის დამლევს
ჩატარებულ შევენახეთა, შევარეშეთა, მეთამ-
ბაქეთა და სოფლის მეურნეთა სხვა ღარგობ-
რივ კონგრესებზე კიდევ უფრო მძლავრად გაის-
მა ხმა მიწის გაყიდვის განახლების სასარგებ-
ლოდ.

სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის გან-
ვითარების ამ არსებითი მოთხოვნის მიმართ
უფროს მოყრეება უკვე აღარ შეიძლებოდა და
შენშევიკებიც ნელ-ნელა ჩამოყარდნენ ახალ
პოლიტიკაზე: 1920 წლის 10 თებერვლის მათ და-
მფინებელ კრებაში გაატარეს დეკრეტი მიწის
ყიდვა-გაყიდვის დაშვების შესახებ¹. მაგრამ ამ
დეკრეტსაც შეწვევიერები ვაუბედობისა და თან-
დათანობითობის დაღი ესვა. დეკრეტის პირველი
მუხლით უქმდებოდა ამიერკავკასიის კომისარ-
იატის 1918 წლის 23 თებერვლის დადგენილუ-
ბა, რომლითაც შეინებდელი იყო „სასოფლო
მამულეებზე სიმტკიცის ქალაღდების შესრულე-
ბა“, ე. ი. ახლდებოდა მიწის ყიდვა-გაყიდვა.
ამავე მუხლის მეორე შენიშვნაში კი ვკითხუ-
ლობ: „დროებით, სათანადო კანონის გამოცე-
მამდე, ყიდვის უფლება აქვს მხოლოდ იმის,
ვისაც ნორმაზე ნაკლები მამული მოეპოვება და
იმდენსა, რომ საერთოდ მისი მიწის რაოდე-
ნობა არ აღემატოს ამ რაოდენში დიწესებულ
ნორმას“. ამრავალ გარიგებებში მიწის ყიდვა-
გაყიდვის თაობაზე შეიძლებადა შესრულდუ-
ლყო მხოლოდ 1918 წლის 7 მარტის კანონით
დაწესებული მიწის ნორმების ფარგლებში.

მაშინდელ საქართველოში საკითხის ასე გადა-
ჭრა საბოლოო ვერ იქნებოდა. კაპიტალიზმი არ
იომენს საკუთრების რაიმე ხელოვნურ ნორმე-
ბსა და რეგულირებას. შეწვევიერების ბუქუაზი-
ულ სახელმწიფოში, როგორც ზემოთ უკვე აე-
ღნიშნეთ, მიწის ახალ, ბურჟუაზიულ საწყისებზე
გადაწილება ეკონომიურ აუცილებლობას წა-
რმოადგენდა. ამისათვის კი საქირო იყო მიწის
თავისუფლება, შეუხეღდავი ყიდვა-გაყიდვის შე-
მოღება. შეწვევიერ-კანონმდებლებს კარგად
ესმოდათ, რომ ადრე თუ გვიან ეს ნაბიჯიც უნდა
გადაედათ, მაგრამ მათ საკითხის დაუყოვნებლივ
და პირდაპირ გადაჭრა ვერ გაბედეს და ერთი
ხეუული კიდევ გააკეთეს. 1920 წლის 10 თებერ-
ვლის დეკრეტი უკანასკნელი საფეხური იყო
ამ საკითხზე საბოლოო, ქართული ბურჟუაზიისა-
თვის საესებით დაშკამყოფილებული კანონის
გამოცემის გზაზე. როგორც ზემოთ მოვანილო
კიტატადან დაეინახეთ, ხსენებელი დეკრეტი
მიწის ყიდვა-გაყიდვის შეზღუდვები წესდებოდა

„დროებით, სათანადო კანონის გამოცემაზე“
უქმდებოდა, ეს მომავალი „სათანადო კანონის“ უკ-
ველგვარ შეზღუდვებს მოხსნიდა და მიწის ახლად
სუფალი ვაჭრობის ობიექტად გადააქცედა, ვინა-
იდან ამას კაპიტალიზმის განვითარების ინტერე-
სები მოითხოვდა.

დაგვრჩენია კიდევ ასლები გაცეუთ ერთ კითხ-
ვაზე: კაპიტალისტური ევოლუციის როგორ
ტრას უმზადდებოდა უფრო ხელსაყრელი ნია-
დაგო ქართულ სოფელში შეწვევიერი აგრარულ-
ლი რეფორმის შედეგად?

საბჭოთა ეკონომიურ და ისტორიულ ლიტერა-
ტურაში ამ საკითხზე ერთიანი აზრი არ არსებობს.
ქართული შეწვევიერების შესახებ ერთ-ერთი პირ-
ველი წიგნის ავტორი ელ. დრამბკინა შეწვევი-
ერი აგრარული რეფორმის შედეგების მიხედ-
ვით თვლის, რომ, რუსული შეწვევიერებისაგან
განსხვავებით, ქართული შეწვევიერები უფრო
პროგრესულად მიიხვედნენ სოფლის მეურნეო-
ბაში კაპიტალიზმის განვითარების ამერიკულ
გზას². ამავე დროს შეწვევიერები აგრარული
რეფორმისაღმე მიმდგნილ სპეციალურ შრომაში
ქ. ორაგველიძე ამტკიცებს, რომ „შეწვევიერების
აგრარული რეფორმა უარყოფა იყო სოფლის
მეურნეობის ბურჟუაზიული განვითარების ამე-
რიკული ტიპის გზის. მათ ამორჩინეს მეორე
გზა—სახელდობრ პრუსიული ტიპის, ეს მოა-
სწავებდა შემამულეთა მეურნეობის შენახვას
დიდი ხნით თავისი ბატონყმური ნამდებობით და
ამ მეურნეობების თანდათან გადაყვანას ბურჟუ-
აზიულ ნიადაგზე“³.

შეწვევიერი აგრარული რეფორმის მსელე-
ლობადა შედეგების ის სურათი, რომელიც ზე-
მოთ დოკუმენტური მასალების ანალიზის საფე-
ჭვებზეა მოცემული, ასეთ დასკვნას ეწინააღმდე-
გება. ამის ნათელსაყოფად გავიხსენოთ ბურჟუ-
აზიული აგრარული ევოლუციის ლენინისეული
დახასიათება.

ე. ი. ლენინი, როგორც ცნობილია, მრავალ-
გზის ეხება და აეთარებს ამ საკითხს და ყვე-
ლგან ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პრუსიული
გზა გულისხმობს ლატიფუნდიების შენარჩუნე-
ბას, ხოლო ამერიკული — მათ მოსპობას.

თუ ამ ნიშნების მიხედვით განვიხილეთ შეწ-
ვევიერი აგრარული რეფორმის შედეგებს,
დაეინახეთ, რომ რეფორმის მეოხებით ქარ-
თულ სოფელში უფროდ მზადდებოდა ნიადაგო
კაპიტალიზმის ამერიკული გზით განვითარები-
სათვის. პრუსიული ტიპის აგრარული ევოლუ-
ცია აქ სრულებით გამოირიცხებოდა თუნდაც
იმის გამო, რომ მსხვილი შემამულერი მიწათ-

¹ იხ. ელ. დრამბკინა, *Грузинская контрреволюция*, Ленинград, 1928, стр. 45.

² ქ. ორაგველიძე, *ქართული შეწვევიერების აგრარული „რეფორმა“*, თბ., 1935, გვ. 86.

მფლობელობა უკვე აღარ არსებობდა: მემამულეებს ჩამოერთვათ მათი მიწების 94 პროც. საიდანაც ნაწილი გლეხობისათვის მისაყიდად გამოიყო. ჩვენ ზემოთ დავასაბუთეთ, რომ მენშევიკებს ამ საქმეში დიდი დამსახურება არ მიუძღოდათ. მემამულეთა მიწები გლეხებმა დაიტაცეს რევოლუციური წესით. მენშევიკურმა ზღვისტფლებამ კი მხოლოდ დააყანო ახალი აგრარული ურთიერთობანი. მაგრამ ეს ვარაუდობა არ ცეცის თვით ამ ფაქტის გვიწინამოურ მნიშვნელობას. რაკ აღარ იყო მსხვილი მამულეები. ლიტვინოვიჩები, ბუნებრივია, არ შეიძლება იდგილი პქონოდა მათს თანდათანობით კაპიტალისტურ ევოლუციას, „ნელა გადაზრდას ბურჟუაზიულ, იუნკრულ მებურთობებად“.

ყოფილი მემამულეებისათვის ნორმით დატოვებული მიწის ფართობი, მიუხედავად იმისა, რომ იგი გლეხური კომლის საშუალო მიწათმფლობელობას აღემატებოდა, სრულებითაც არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ მის მეტატრონებს ფეოდალური ექსპლოატაციით თავი ვებრუნათ. ამ პირთა ნაწილი, აშკარაა, კაპიტალისტურ ფერმერებად გადაიქცეოდა. ნაწილი კი

ენაც ახალ პირობებთან შეგუების უნარს ვერ გამოიჩინდა, თავისი მამულის დანაშთს ვაყიდდა და სოფლის მეურნეთა რიცხოვნობაში აშკარად დებოდა.

ამვე დროს ფეოდალური მიწათმფლობელობის ლიკვიდაცია და მიწის ყიდვა-გაყიდვის შემოღება აშხადებდა პირობებს გლეხობის ნაწილის ჩქარი ევოლუციისათვის თავისუფალა კაპიტალისტური ფერმერობის გზით, ე. ი. ამერკული ტიპის გზით, უმთავრესად ძვირფასი სპეციალური კულტურების წარმოებისა და მეცხოველეობის განვითარების ბაზაზე.

ამრიგად, ქართული მენშევიკები მთელი თავისი პოლიტიკური და ეკონომიური ღონისძიებებით და მათ შორის აგრარული რეფორმით ქმნიდნენ იმის მტიოც ნიადაგს, რომ ახლო მომავალში მსხვილ კაპიტალისტურ ფერმერებს გაეჩანავებინათ წერილგლეხურ მებურთობათა საგრძნობი ნაწილი და კაპიტალისტური ექსპლოატაციის მძიმე უღელი დაედგათ ქართული გლეხობის დიდი უმრავლესობისათვის — მისი ნახევარადპროლეტარული და პროლეტარული ფენებისათვის.

III. პირით უსხოვრი კაპიტალიზაცია

1. იმპერიალისტ-ოკუპანტთა მარწუხებში

საქართველოში თავისი ხანმოკლე ბატონობის დროს მენშევიკებმა რამდენიმე საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია გამოიკვალეს. უცხო სახელმწიფოთა „მფარველობა“, რომელსაც ისინი ეძიებდნენ და პოეებდნენ, ცხადია, პლატონური ხასიათისა არ იქნებოდა. დასავლეთელი იმპერიალისტების გეგმებით მენშევიკურ საქართველოს მნიშვნელოვანი იდგილი ეთმობოდა მათს ლაშქრობაში ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის ჩასახშობად. იმავე დროს თვითთელი იმპერიალისტური ქვეყნის კაპიტალი ედილობდა თავის კოლონიად ექცეია საქართველო და ამიერკავკასია და მიეტაცებინა მზარის ბუნებრივი სიმდიდრეები.

პირველი ოკუპანტები, რომელთა უღელი მენშევიკებმა ქართველ ხალხს საკუთარი ზელოთ დაადგეს, ეს გერმანელი იმპერიალისტები იყვნენ. მენშევიკური მთავრობის მოწვევით გერმანელების საოკუპაციო ჯარი საქართველოში შემოვიდა 1918 წლის ივნისში. ჯარის შემოსვლის წინ, 1918 წლის 28 მაისს, დიდო „წინასწარი შეთანხმება საქართველოსა და გერმანიას შორის“, რომლის ეკონომიური ხასიათის სტატეებიდან აშკარად ჩანს ომისაგან

მიკირვებული კაიზერული გერმანიის დიდი დახარბება საქართველოს ნედლეულით.

ძირითად ხელშეკრულებაზე დართული პირველი დამატებითი შეთანხმება ითვალისწინებდა, მაგალითად, რომ საქართველოს მთავრობას მიწის წილის დამუშავება უნდა ვადაეცა მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოსათვის, რომლის აქციების ნახევრის მფლობელი იქნებოდა საქართველო, ნახევრისა კი — გერმანია. ამასთან საქართველოს მთავრობა ვალდებულებას კისრელობდა არ შეეზღუდა საწარმოს მიერ მადნის ექსპორტი აკრძალვებით ან ბაჟის დადებით. ვასაგებით, რომ აქ ლამარკია მთელი მოპოვებული მარგანეცის გერმანიისათვის შეღავათიან პირობებში გადაეცემებ. მაგრამ ოკუპანტებს ესეც არ აკმაყოფილებდათ. ისინი სხვა ნედლეულსაი საკირობებდნენ. ამიტომაც შეთანხმებაში შეტანილია სპეციალური სტატია, რომლის ძალითაც „საქართველოს მთავრობა ვალდებულებას იღებს ომის მთელ მანძილზე ვადისეც მხოლოდ და მხოლოდ გერმანიას უღლება შეისყიდოს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა ნედლი მასალა, რამდენადაც ეს მასალა საჭირო არ არის



ქვეყნის შინაგანი მოხმარებისათვის, და ხელი არ შეუშალოს მის გატანას აგრძალებით ან განსაკუთრებული ბაჟით¹.

გერმანელი იმპერიალისტები სრულებითაც არ ფიქრობდნენ საქართველოში თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიური პრივილეგიები მართო მის პერიოდით შემოეფარებოდა. მენშევიკური მთავრობის დელეგაციასთან მოლაპარაკების დროს ბერლინში 1918 წლის ზაფხულზე კახურელი საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელები არ ფარავდნენ, რომ ისინი საქართველოს უყურებდნენ როგორც გერმანიის მომავალ კოლონიას. „გეოგრაფიულად რომ შორს არ იყოს, საქართველოსათვის უფრო სწორი იქნებოდა გერმანიის ფედერაციაში შემოსულობა — განუტყუბდა საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ქართული დელეგაციის ერთ-ერთ წევრს. მაგრამ, კინაღამ გეოგრაფიული მდებარეობა ასეთი კომინაციის საშუალებას არ იძლეოდა, იმავე დიპლომატს მენშევიკური საქართველოსათვის მოფიქრებული პქონდა შორეული კოლონიის სტატუსით ქართული დელეგაციის წევრის კითხვაზე: „როგორ გეხატებათ მომავალში გერმანიის წარმომადგენლის მდგომარეობა საქართველოში“, მან უპასუხა: „ფორმით ეს ჩვეულებრივი დიპლომატიური წარმომადგენელია, არსებითად რა იგი შესაძლოა უახლოვდებოდეს ინგლისის რეზიდენტს დამოუკიდებელ პინდურ სახელმწიფოსთან“². მაშინდელი პინდური სახელმწიფოების „დამოუკიდებლობისა“ და ინგლისის იქაური რეზიდენტების როლის მოხსენიება საკმაო სიუხვად ლაპარაკობს იმაზე, თუ რა ბედს უმზადებდნენ მენშევიკები ჩვენს ქვეყანას გერმანელი კოლონიზატორების მოწყვეთ.

აღსანიშნავია, რომ გერმალი ფონ-კრესი, რომელიც იმ დროს ოფიციალურად „კავკასიაში გერმანიის საიმპერატორო დელეგაციას“ მეთაურობდა, უკვე ასრულებდა აქ ინგლისური ტიპის რეზიდენტის როლს. იგი უზოდნოდ ტროცად „დემოკრატიული“ რესპუბლიკის შინაურ საქმეებში და მისთვის საინტერესო პოლიტიკური თუ ეკონომიური საკითხების გამო მენშევიკურ მთავრობას ფორმით დიპლომატიურ, ხოლო არსებითად სავალდებულო „რეკომენდაციებს“ აძლევდა. გერმანელი ბარონი, ბუნებრივად, განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ქართული მემამულეების ხედისადმი. იგი, მაგალითად, ძალიან შეწუხებული იყო იმით,

რომ გორის მახრის მემამულეებმა ვერ შეძლეს 1917 წლის ღალის აკრეფა.

ზემოთ ჩვენ მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ იმაზე, რომ 1918 წლის სექტემბერში მენშევიკებმა შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაატესალა ქართული თავადების ერთი ჯგუფი, რომელიც ცდილობდა აზნაურთა შეიარაღებული რაზმების მოწყობას ღალის ძალით ასაკრეფად და მემამულეებისათვის გლეხობის მიერ მიყენებული ზარალის ასანახლადებლად. ფონ-კრესის ჩარევის შედეგად მენშევიკებმა მთავრობამ ეს შვარსმული თავადები ხალე პატიმრობიდან გაათავისუფლა³.

თუ როგორი იქნებოდა გერმანელ კოლონიზატორთა ეკონომიური პოლიტიკა საქართველოში, ამის წარმოდგენას იძლევა ის პირველი ხელშეკრულებები, რომლებიც ხელმოწერილ იქნა ბერლინში 1918 წლის ზაფხულზე საქართველოსა და გერმანიის წარმომადგენელთა მოლაპარაკების შედეგად. „...ჩვენ მოვიხიდა მოლაპარაკება გერმანიის ვაჭრულ-მრეწველური საწყაროს ყველაზე მძლავრ... საწარმოებთან, — ამბობს ქართული დელეგაციის ყოფილი წევრი ზ. ავიალიანი. — ამ მოლაპარაკების მთავარი საგანი სიმწლის გარეშე გაირკვა. მისი არც გამოგონება იყო საჭირო, არც თავზე მოხვევა. ეს იყო კიათურის მარგანეცი, სადაც გერმანულ ფირმებს უკვე დიდი ხანია ქქონდათ თავიანთი ინტერესები.

უსაფუძვლოდ არ იყო იმის ფიქრი, რომ ამ „შეკრულებ“ აიგებოდა გერმანია-საქართველოს ურთიერთობათა შენობა“⁴.

მართლაც მენშევიკური საქართველოს დელეგაციასთან მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ მძიმე ინდუსტრიის უდიდესი კაპიტალისტური გაერთიანებები: კრუპის სააქციო საზოგადოება, გერმანია-ლუქსემბურგის სამთამადნო და მრეწველური სააქციო საზოგადოება, გელსენკირხენის სააქციო საზოგადოება და სხვ. მოლაპარაკების შედეგად მიღწეული შეთანხმებით არსდებოდა: საქართველოს მარგანეცის საზოგადოება, კიათურის რკინიგზის სააქციო საზოგადოება, ფოთის პორტის სავსკლოატაციო სააქციო საზოგადოება. ამრიგად, სამივე საზოგადოება ემსახურებოდა ერთ მიზანს: გერმანიის მტატორგის უზარუნველყოფას საქართველოს მარგანეციით. საზოგადოებათა აქციები უნდა განაწილებულიყო თანაბრად გერმანელ და ქართველ კაპიტალისტებს შორის. თვითუფლ საზოგადოებას სათავეში ჩაუდგებოდა გამ-

¹ Борьба за победу Советской власти в Грузии, док 277.

² З. Авалов, Независимость Грузии в международной политике, Париж, 1924, стр. 83.

³ Ел. Драбкина, Грузинская контрреволюция, стр. 75.

⁴ ზ. ავიალიანის დასახელებული წიგნი, გვ. 105 — 106.

გეომა სამი წევრის შემადგენლობით, რომელთაგან ორი უნდა წამოყენებინათ გერმანულ აქციონერებს, ხოლო ერთი — ქართველებს¹.

დირექტორის პოსტი ქართველებს მხოლოდ ერთ საზოგადოებაში ეთმობოდათ, არ საზოგადოებაში კი ამ პოსტს გერმანელები დაიკავებდნენ. აქედან უკვე ჩანს, რომ საზოგადოებები ფაქტურად გერმანელების ხელში იქნებოდა.

გერმანული კოლონიზატორები საქართველოში საბოლოოდ დამკვიდრებას ფაქტობრივად ხელშეწყობდნენ ითვალისწინებდა ფოთის პორტისა და ჭიათურის რკინიგზის გადაცემას ახალი გერმანულ-ქართული კაპიტალისტური გაერთიანებებისათვის 60 წლის ვადით.

გერმანული და ქართული კაპიტალების პარტიკულური მონაწილეობა ხსენებულ საქციელს საზოგადოებებში, უძველესა, დიდ ხანს არ ვაგრძელებოდა. ზ. ავალიშვილის მოწმობით, მონაპირაველის დროს „გერმანელების მხარე გამოთქვამდა მსურველ სურვილს მთელი ეს საქმე თავის ხელში მიეღო, ე. ი. საზოგადოებები აქციონერთა შემადგენლობით წმინდა გერმანულ საზოგადოებებად გადაექცია, ხოლო ამავე დროს დაეწესებინა საქართველოს მთავრობის სსსარგებლოდ მეტად მნიშვნელოვანი ანარიცხებები...“² აშკარაა, თანხაბარი მონაწილეობა — ეს იყო დროებითი დიპლომატიური დამოკიდობა, რომლითაც გერმანული კაპიტალისტები არაფერს ვარაუდდნენ. მათ კარგად იცოდნენ, რომ გერმანულ კაპიტალს შემდგომში არ ვაუპირდებოდა ისეთი სუსტი პარტიკიარის დამლევია, როგორც ქართული კაპიტალი იყო და თავისი პირვანდელი სურვილის განხორციელება.

გერმანიისა და მენშევიერ საქართველოს შორის უნდა დადებულყო პოლიტიკური ხელშეკრულება, რომლის ტექსტი მოწმობდა 1918 წლის ოქტომბრისათვის³. პირველ მსოფლიო ომში კაიზერული გერმანიის დამარცხებისა და გერმანიის მომხდარი პოლიტიკური გადატრიალების გამო ამ ხელშეკრულების ხელმოწერა არ შეუძლარა, რასაკვირველია, ქალღღუბე დარჩა გერმანულ ფირმებთან დადებული ეკონომიური შეთანხმებებიც, რომლებიც პირობის მიხედვით ძალაში შედიოდნენ პოლიტიკური ხელშეკრულების რატოფიციაციის შემდეგ. მიუხედავად ამისა, ამ დოკუმენტებმა მაინც ითამაშეს გარკვეული როლი მენშევიერის მთავრობის ეკონომიური პოლიტიკის ჩამოყალიბებაში: მათ ფურცლებზე პირველად დაიხსნა

ის გზა, რომლითაც დასავლეთი ევროპის კაპიტალი ადვილად შესძლებდა ჩვენი, ხალხის, ნაციონალური სიმდიდრის დამატროვნებას და საქართველოს გადაქცევას იმპერიალისტური ქვეყნების სანედლოდ დანამატად.

დამარცხებული გერმანული მილიტარისტების ნაცვლად 1918 წლის დეკემბერში საქართველოში უკვე გამარჯვებული ინგლისის მისია და ჯარის ნაწილები შემოვიდნენ.

ინგლისელების ბატონობა არაბაობად ხდიდა ქვეყნის დამოუკიდებლობას, მაგრამ ეს მენშევიერის იმდენად არ აღარდებოდათ. მათ კარგად ესმოდათ ბურჟუაზიული საქართველოს დამოუკიდებლობის ნამდვილი ფასი და ამ მხრივ ილუზიების ტყვეობაში არასოდეს არ ყოფილან.

ინგლისელმა ოკუპანტებმა საქართველოს მოგლიჯეს ამიერკავკასიის საზღვაო ვასალები — ბათუმი თავისი ოლქით, მათ კონტროლი დააწყეს რკინიგზის მუშაობის მიმართ, რაც შეეხება საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლოატაციას, ინგლისის გამოცდილი, ფრთხილი კაპიტალი არ ჩქარობდა ამ საქმეში ჩაბმას. ინგლისის საგანგებო კომისიართან ამიერკავკასიაში ო. უორდრომთან საუბრის დროს 1919 წლის 4 სექტემბერს ე. გეგუპკორმა განაცხადა: „საქართველოს მთავრობას შეგნებელი აქვს, რომ ის უნდა ეყრდნობოდეს რომელიმე მტკიცე სახელმწიფო ორგანიზმს და ამ შეგნებამ გვიარჩუნა გარკვეული ორიენტაცია ინგლისზე. რა თქმა უნდა, ჩვენ ვიცით, რომ ამგვარი დახმარება შეერთებული სამეფოს მხრით ჩვენ უნდა ავიანახლავოთ ამ თუ იმ მიმართულებით... საქართველო თხოვნს დახმარებას ინგლისი და სურს იცოდეს, რას მოსურვებს ინგლისი ამის სანაცვლოდ“. I ეს განცხადება მოწმობს, რომ მენშევიერმა მთავრობამ 1919 წლის შემოდგომაზედაც არ იცოდა დანამდელებით, თუ რა კონკრეტული ეკონომიური მიზნები ამოქმედდებოდა ინგლისელ ოკუპანტებს საქართველოში.

ამ მდგომარეობის მიზეზი ნათელია: ინგლისის კაპიტალი ელოდებოდა პოლიტიკური ვითარების საბოლოოდ გარკვევას ამიერკავკასიაში. იგი აქეთვე მხოლოდ მაშინ დამარცხდებოდა, როცა დიდი მოგების მიღებისა და უმომაროების გარანტია ექნებოდა. იმ ხანებში კი ინგლისელ ოკუპანტებს მენშევიერის მთავრობის სომტკიცე და მისი პოლიტიკური ფიზიონომიაც საკვივოდ შიანდათ. ამას ადასტურებს შემდეგი დიალოგი ნ. ეროდანიასა და ამიერკავკასიაში ბრიტანეთის ჯარების სარდალ გენერალ უოკარის შორის. 1919 წლის 15 თებერვალს შემდგარი საუბრის დროს ეთხებაზე, თუ რა ეკონომიურ დახმარებას უნდა მოელოდეს მენშე-

¹ ნ. ნიკოლაძის არქივი, დოკ. 63-13, 63-14, 63-15.

² ზ. ავალიშვილის დასახელებული წიგნი, გვ. 107.

³ იქვე, გვ. 153.

¹ ორცხა, ფონდი 48, ანაწერი 2, ს. 48, ფ. 6.



ეკლერი საქართველო ინგლისისგან, უოკრმა უბასხა:

„მე უკვე მივაქციე ყურადღება თქვენი რესპუბლიკის ფინანსურ მდგომარეობას, მაგრამ აგი მივდროდა დაეკვირვებულე რკინიგზის საქმესთან, ვინაიდან ინგლისი ვერ დააფინანსებს ქვეყნებს, სადაც ეს საქმე არ იქნება უზრუნველყოფილი. რაც შეეხება კერძო კაპიტალების მოღენას, თქვენში არსებული სოციალისტების პირობებში მოკავშირეთა კაპიტალები აქ ვერ მოვლენ.“

მთავრობის თავმჯდომარე: მრწველური და სავაჭრო საწარმოები სოციალიზაციას არ ექვემდებარებიან, ეს ჩვენში არ ხდება.

უოკრი: ჩვენ ამასი მტკიცედ დარწმუნებულნი არა ვართ.

მთავრობის თავმჯდომარე: უნდა იყოთ. ეს რომ ასე არ იყოს, ჩვენ ბოლშევიკები ვიქნებოდით და არა საქართველო¹.

ასე თავგამოდებით არწმუნებდნენ ქართველი მენშევიკები ინგლისის იმპერიალიზმის აგენტებს, სოციალისტურ ღონისძიებებს არ ვატარებთო. მიუხედავად ამისა, 1920 წლის მეორე ნახევარამდე ინგლისის საქმიან წრეებს მენშევიკური მთავრობის წარმომადგენელთან სერიოზული ეკონომიური მოლაპარაკება არ უწარმოებიათ.

1920 წელს უკვე ნათლად გამოისახა საბჭოთა ქვეყანაში უცხოელი იმპერიალისტების სახმედრო ინტერვენციის საბოლოოდ დამარცხება. აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით დაიწყო ამიერკავკასიის მშრომელთა განთავისუფლება კაპიტალიზტებისა და მემამულეების ბატონობისაგან. ახლა ინგლისულ იმპერიალისტებს აღარ შეეძლოთ იმის ვარაუდი, რომ ამიერკავკასიას თავის კოლონიურ სამფლობელოდ გადააქცივდნენ. ამიტომაც მათ გზი იცვალეს და სახმედრო ოკუპაციის ნაცვლად საქართველოში „მშვიდობიანი“ ეკონომიური ექსპანსიის გზას დაადგნენ.

საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეებით განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენდა იტალიის კაპიტალი. ეს ვასაგებებდა ევროპის დიდი სახელმწიფოებიდან იტალია ყველაზე ღარიბია თანამედროვე ინდუსტრიისათვის აუცილებელი ნედლეულით. ამასთან იტალია, როგორც ანტიანტის ერთ-ერთი სახელმწიფო, რომინალურად მონაწილეობდა ამიერკავკასიის ოკუპაციაში. 1919 წლის თებერვალში მოკავშირეთა სარდლობა იმასაც ფიქრობდა, რომ საქართველოში ბრიტანეთის საოკუპაციო ძალები იტალიის ჯარის ნაწილებით შეეცვალა. ეს არ მოხერხდა, მაგრამ სამხედროდ 1919 წლის აპრილში თბილისს ეწვია იტალიის სახმედრო

მისია პოლკოვნიკ ვაბას მეთაურობით. მისიის შემადგენლობაში იყვნენ როგორც სახმედრო მოსამსახურეები, ისე სამოქალაქო პირები, ვინაიდან პოლიტიკური და სახმედრო საქმიანების გადჭრას ამიერკავკასიის მიმართ ინგლისელები არავის უთმობდნენ, ვაბას მისიის საქმიანობა ძირითადად ეკონომიურ სფეროში ტრიალებდა. მისია ავროუბედა ეკონომიური ხასიათის ინფორმაციას, რეკომენდაციას უწევდა მენშევიკური ხელისუფლების ორგანოების წინაშე იტალიელ ექპარ-მრეწველებს და იტალიური ფარმების წარმომადგენლებს, ესმარებოდა ამ უკანასკნელს სხვადასხვა ნედლეულის შესუიღვასა და გატანაშა.

ნაკლებ აქტიუობას იჩენდა საქართველოს ოკუპაციაში ანტიანტის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე — საფრანგეთი. მან მთელი თავისი ძალ-ღონე მიმართა რუსულ რესპუბლიკის წინააღმდეგ მებრძოლი თეთრგვარდიული კონტრრევოლუციის დასახმობლად, ამიერკავკასიაში მოქმედება კი თითქმის მთლიანად თავის მოკავშირეს — ინგლისს მიანება.

2. უცხოური კაპიტალის ხელახალი მომატიება

გერმანიის კაპიტალისტურ გერთიანებებთან დადებული ზღმწეკრულებების ჩაშლის შემდეგ მენშევიკური მთავრობა თითქოს საბოლოოდ შემობრუნდა ნაციონალური კაპიტალისაკენ და შინაგან ძალებზე დაყრდნობით ფიქრობდა ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის გამოსწორებას.

მრწველური წარმოება, როგორც ზემოთ ვნახეთ, დღითიდღე ეცემოდა. უკეთეს მდგომარეობაში არც სოფლის მეურნეობა იყო. სახალხო მეურნეობის მოშლა თვალნათლივ გამოხატულებას პოულობდა სახელმწიფოებრივი ბიუჯეტის დეფიციტის ზრდაში. ეს ვარემოება კი ძლიერ აშინებდა მენშევიკური სახელმწიფოს შესვეურებსა და ეკონომისტებს. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ანალიზს ისინი ქვლავ და კვლავ მაკავდა იმ დასკვნამდე, რომ შინაგანი ძალებით სახალხო მეურნეობის აღორძინება შეუძლებელია, რომ აუცილებულია უცხოური კაპიტალის მოწვევა.

უცხოურ კაპიტალთან ურთიერთობის დამყარებას და მის მოზიღვას ცდილობდნენ ქართველი კაპიტალისტებიც. როგორც ჩვეულებრივად ხდება, ქართულ ნაციონალურ კაპიტალსაც ამ შემთხვევაში მხოლოდ ის ამოქმედებდა, რომ საშობლოს ეკონომიურ წინსვლაზე ურუნვეს საბაბით რაც შეიძლება მეტი წაეგ-

¹ ზ. ავალიშვილის დასახელბული წიგნი, გვ. 222.

¹ ორცხა, ფონდი 48, ანაწერი 2, ს. 48, გვ. 20.

ლიჯა ხალხის დოკლამიდან. ამის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს ერთი „საეოლიპორი-სო“ ხასიათის ოპერაცია, რომელიც წამოიწყო ახალი ფორმაციის ქართული კაპიტალისტების აღიარებულმა მოთავემ ა. ხოშტარიამ.

შენსწავლეთი საქართველო ეკონომიკრად სავსებით ევროპაზე იყო დამოკიდებული, ამ ვითარებაში მისთვის ვადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საზღვაო მიმოსვლას, მაგრამ აქ უცხოელები ბატონობდნენ. „საზღვაო ტრანსპორტის მხრივ საქართველო მთლიანად უცხოელების ხელშია, — წერს დ. აფხაზი, — მას აქვს მხოლოდ ადგილობრივი კაპოტაისათვის გამოსადევი რამდენიმე პატარა გემი და ამიტომ იძულებულია დამოირჩილოს (უცხოელთაგან) წამოყენებულ ყველა მოთხოვნას“¹.

მდგომარეობის გამოსწორება იცისრა ა. ხოშტარიამ. მან აღუთქვა შენსწავლეთი მოაერობას, რომ შეიქმნა საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოებისათვის ერთ ან ორ თანამედროვე სატვირთო გემს, მაგრამ ევროპაში სხვადასხვა სანაოსნო გაერთიანებებთან მოლაპარაკების შემდეგ ამ ვანზახებაზე ხელი აიღო და უფრო სარფიანად ჩათვალა საქართველოში საზღვაო ტრანსპორტის საქმის უცხოური კაპიტალისათვის გადაცემა.

ხოშტარიამ საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების სახელით ხელშეკრულება დადო პოლანდიელ კაპიტალისტ ვან-შეელთან ქართულ-პოლანდიური სანაოსნო საზოგადოების დაარსების შესახებ. ხელშეკრულების ტექსტი აშეღიანებს, რომ ახალ საზოგადოებას „ქართულ-პოლანდიური“ მხოლოდ თვალის ასახვევად ეწოდებოდა. ნამდვილად ეს იყო პოლანდიური კაპიტალისტური გაერთიანება, რომელიც ეწეობოდა პოლანდიის კანონების მიხედვით. მისი გამგეობა იქნებოდა პოლანდიაში, მისი გემები ივლიდნენ პოლანდიის ბაიარლით, საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის და დირექტორ-განმკარგულელების პოსტს იკავებდა ვან-შეელი. საზოგადოებას უნდა გადასცემოდა საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების მთელი ქონება, რაც კი საზღვაო ნაოსნობასთან იყო დაკავშირებული — პორტების გაწყობილობა რკინაგზის ხაზებით, საწყობები, ტრანსპორტის საშუალებები, სახელსონოები და სხვ. ამასთან წინასწარ წესდებოდა, რომ ეს ქონება არ უნდა შეესაბუთებოდა „60 ათას გირვანჯა სტერლინგზე მეტად“.

ვან-შეელს თავის მხრით საზოგადოებისათვის უნდა შეეძინა დაბლობით 100 ათას გირვანჯა სტერლინგად ღირებული ორი გემი. გემების ღირებულების თითქმის ნახევარი — 48

ათასი გირვანჯა სტერლინგე ვან-შეელს ქართულ-პოლანდიური სანაოსნო საზოგადოების აქციებით უნაღდებოდა, დანარჩენი კი მისთვის საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოებას უნდა გადაეხადა. მაგრამ, ვინაიდან საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოებას ფული არ ჰქონდა, როგორც აღნიშნულია ერთ-ერთი ექსპერტის დასკვნაში, იგი უთუოდ იძულებული გახდებოდა ვალის დასაფარავად ვან-შეელისათვის გადაეცა თავისი აქციების დიდი ნაწილი. ამის შედეგად ქართულ-პოლანდიური სანაოსნო საზოგადოების აქციების ორი მესამედი მანიც თავს მოიყრიდა ვან-შეელისა და მისი მეგობრების ხელში. ასეთი პერსპექტივის გამო მოხსენიებული ექსპერტი სავსებით მართებულად შენიშნავდა: „საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოება და მასთან ერთად საქართველოს მოაერობაც უცხოური კომპანიის მხოლოდ უფლებო აქციონერებად რჩებან, ამასთან მათი პოზიცია ამ კომპანიაში ძალიან მერყეულია“.

ხელშეკრულების ავტორებმა ახალი სანაოსნო საზოგადოების გამგეობაში სარფიანი ადგილებიც მოიზადეს: პირადად ვან-შეელს, როგორც გამგეობის თავმჯდომარეს და დირექტორ-განმკარგულეულს, უნდა მიეღო საზოგადოების მთლიანი შემოსავლის 1,5 %, მოგების 25 % კი უნდა მისცემოდა განამარჯვლოს სახით გამგეობის წევრებს. თავისთავად ცხადია, ამას გარდა ისინი მიიღებდნენ სათანადო დავიდენდს კუთვნილ აქციებზე.

რესპუბლიკის მთელი საზღვაო ქონების უცხოელებისათვის გადაცემა რომ გარეგნულად უფრო ასატანი ყოფილიყო, ვან-შეელმა და ხოშტარიამ ასეთ ფანდს მიმართეს: მათ ხელშეკრულებაში შეიტანეს პუნქტი, რომლითაც ვან-შეელი თანხმობას აცხადებდა, თუ მთავრობა საჭიროდ დაინახებდა, საქართველოს მიერ გადაცემული გემების საექსპლოატაციოდ დარსებელიყო კიდევ ერთი საზოგადოება, რომლის აქციების პატრონი ქართულ-პოლანდიური საზოგადოება იქნებოდა. ამ, მეორე, საზოგადოების გემები ქართული ბაიარლით ივლიდნენ და მხოლოდ ამით ამოიწურებოდა მისი ნაციონალური კუთვნილება. არსებობდა კი ეს საზოგადოებაც პოლანდიური უნდა ყოფილიყო. „ვან-შეელი, — ნათქვამია ხელშეკრულებაში, — იქნება აგრეთვე ამ ახალი საზოგადოების დირექტორ-განმკარგულეული და მას შეენახება იგივე უფლებები და უპირატესობები, რაც ქართულ-პოლანდიური სანაოსნო საზოგადოების მიმართ აქვს“².

¹ ორცხა, ფონდი 48, ანაწერი 2, ს. 157, ფ. 43-51.

² ორცხა, ფონდი 24, ს. 118, ფ. 7.

ხელშეკრულების თანახმად სამი წლის შემდეგ ქართულ-პოლანდიური საზოგადოება შეიძლება გადაეთებულყო „ქართულ საქცილ კომპანია“, მაგრამ იმ პირობით, რომ იგი „ვან-მეველს ჯერ გადაუხდია მთელ თანხას, რომელიც ამ უკანასკნელს ერგებოდა“. ამ თანხის გადახდის პერსპექტივა კი ქართულ მხარეს არ გააჩნდა, რის გამოც საქართველოს საოსნობის პოლანდიელების ხელიდან გამოგლეჯა მომავლისათვისაც თითქმის გამოირიცხული რაზმები.

როგორც ვხედავთ, ახალი გეგმების შექმნის ნაცვლად ხომარაიამ საქმე ისე წარმართა, რომ უცხოელ კაპიტალისტებს თითქმის უსასყიდლოდ უნდა ჩაეპარადათ ხელში ის სანაოსნო საშუალებები და პორტის ნაგებობებიც, რომლებიც მენშევიერს საქართველოს გააჩნდა. საარქივო მასალები არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ პირადად ხომარაია, საზოგადოების ერთ-ერთი დირექტორის ან გამგეობის წევრის შემოსავლიან ადგილსა და დივიდენდს ვარდა, კიდევ რას გამოელოდა ამ წამოწყებიდან. მაგრამ რაკი კაპიტალისტური ონაგრების შორალი ვიციით, არ შეეძლებით თუ ვიტყვი, რომ მისი წილი საერთო გამორჩაობაში მცირე არ იქნებოდა.

ვან-მეველთან დადებული ხელშეკრულების საზარალო პირობები იმდენად ნათელი იყო, რომ მის წინააღმდეგ გაილაშქრეს სახელმწიფო ორგანოებმა, ექსპერტებმა, თვით საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების გამგეობის წევრთა უმრავლესობამ. ამის შედეგად, თუმცა ხომარაია ნ. ეორდანიასათვის გამოგზავნილ პირად წერილში „სინდისის ქვეშ“ ირწმუნებოდა, „ეს ხელშეკრულება ჩვენთვის ახლანდელ პირობებში მისაღები და სარფიანიაო“, მენშევიერმა მთავრობამ 1920 წლის 23 ნოემბრის დადგინებულთი უარყო მისი რატორფიკაცია¹.

1920 წლის შემოდგომაზე საქართველოს ექცია II ინტერნაციონალის დედეგაცია, რომელშიაც საერთაშორისო მენშევიზმის ბელადები — კაუცკი, ვანდერველდე, მაკდონალდი, პიუის-მანსი, რენოლდი და სხვები შედიოდნენ. ჩვენებურმა მენშევიკებმა დედეგაცია დიდი ზარზუიშით მიიღეს. ისინი დეკრებდნენ, რომ დედეგაციის სტუმრობა განამტკიცებდა „დემოკრატიული“ რესპუბლიკის საერთაშორისო ავტორიტეტს და მას ბურჟუაზიული დიდი სახელმწიფოების ცნობასა და დახმარებას მოუპოვებდა.

რასაკვირველია, ეს „მიქცალი შარავანდედო“ მოსილი სოციალისტები მენშევიკებს სო-

ციალიზმის განხორციელების ნამდვილი გზისაკენ არ მოუწოდებდნენ. პიოტი, თავინთ ქართულ კოლეგებს რჩევას აძლეოდნენ. რაც შეიძლება ხელი შეეწყოთ კაპიტალიზმის წინსვლისათვის, რადგან „ამ კაპიტალიზმი არ არის სათანადოდ განვითარებულიო“². ამასთან დედეგაციის წევრები მენშევიერს აუდიტორიას ნათელი ფერებით უხატედნენ ბელგიაში და ევროპის სხვა ქვეყნებში კაპიტალისტური მეურნეობის მდგომარეობას და საქართველოში ისეთვე სამეურნეო დონის მისაღწევად საჭიროდ აღიარებდნენ უცხოური კაპიტალის მოზიდვას.

II ინტერნაციონალის ბელადთა „რეკომენდაციები“ ყველაზე მაჯიოდ კ. კაუცკო ჩამოაყალიბა. თავის სიტყვაში 1920 წლის ოქტომბერში შემდგარ ეკონომიურ თათბირზე კაუცკო ეუბნებოდა ქართულ მენშევიკებს: „...თქვენ ვერ გაძლებთ დასავლეთ ევროპის დაუხმარებლად... თქვენ იბულებული იქნებით უცხო კაპიტალი მოიწვიოთ თქვენს ქვეყანაში. თუკი თქვენ ვერ მოახერხებთ სესხის აღება უცხოეთში, — მაშინ უცხოელების მიერ თქვენში საწარმოო დაწესებულებების დაარსების გერდის შველა შეუძლებელი იქნება... თქვენი მოვალეობა ის იქნება, რომ გამოჩახოთ ისეთი ფორმები, რომლებიც კაპიტალს არ დააფრთხობენ“³. ამავე ასრს ავითარებდა კაუცკო მენშევიერს საქართველოზე დაწერილ ბროშურაში. რომელიც გამოიცა თბილისში 1920 წლის ბოლოს. მხოლოდ აქ იგი ათვის ქართულ მიმდევრებს დამატებით იმასაც ურჩევდა, რომ უცხოეთიდან მოეყვანათ ინდუსტრიისათვის აუცილებელი კადრებიც. „თქვენ არ შეგიძლიათ დედე, სინამ თქვენს ქვეყანაში მოამზადებდეთ საჭირო ძალებს, — ვერდა კაუცკი, — ამნარად, საჭიროა ინდუსტრიის ორგანიზატორების, ხელმძღვანელების, მეშების მოწვევა“.

ასეთი იყო მოკლედ ის დიპლომატიური და სამეურნეო პრაქტიკა. აგრეთვე იდეოლოგიური სამზადისი, რომელთა ვითარებაში ქართული მენშევიკები საბოლოოდ გადავიდნენ საქართველოს ეკონომიკის ძირითადი დარგების უცხოელი კაპიტალისათვის გადაცემის პოზიციაზე.

3. საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრენი ევროპის ბაზარზე

უცხოური კაპიტალის მოზიდვა ორი გზით შეიძლებოდა: სესხის მიღებით და კონცესიების გაცემით. ომისშემდგომი ევროპის ქვეყნებში ფინანსური მეურნეობის მოშლის გამო სესხის მიღება ძნელი იყო. უფრო უტყუარ საქმედ

¹ ორცსა, ფონდი 48, ს. 439, ფ. 32, აგრეთვე იხ. ფონდი 48, ანაწერი 2, ს. 157, ფ. 2-5 და 18-21.

² „მნათობი“, № 6.

¹ „ერთობა“, № 223, 1920წ

² „ერთობა“, № 238, 1920.

ჩანდა კონცესიების გაცემა. ამიტომაც მენშევიკური მთავრობის წარმომადგენლები უცხოელებთან პოლიტიკური და ეკონომიური მოლაპარაკების დროს მათ, სხვადასხვა დახმარებების სანაცვლოდ, როგორც წესი, ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეთა დამუშავების უფლებებს სთავაზობდნენ.

აღვლობრივ წარმომადგენელ მოლაპარაკება და ევროპაში მიღწეული ცალკეული აგენტების საქმიანობა შედეგს არ იძლეოდა. ამის გამო მენშევიკურმა მთავრობამ გადაწყვიტა ევროპაში გაეგზავნა საგანგებო ეკონომიური მისია ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის კ. კანდელაკის მეთაურობით. მისიის შემადგენლობაში, სხვათა შორის, ნიკო ნიკოლაძეც შედიოდა.

მენშევიკური პარტია და მთავრობა მისიის მთავარ ამოცანად თვლიდნენ სახსრების შოვნას ბურჟუაზიული საქართველოს საკეთარი ფულის სისტემის შესაქმნელად და განსაზღვრულად. „ვალიტის შესაქმნელად, — წერდა „ერთობა“ 1920 წლის 30 მარტის მეთერთმეტი, — მისიას დასჭირდება საქართველოს სხვადასხვაგვარ სიმდიდრის გამოყენება... უცხოეთის კაპიტალი ხალხით გამოეჭანება ჩვენი ქვეყნისაგან, თუკი მას საშუალებას მივცემთ ჩვენს ქვეყანაში საექსპლუატაციოთ. ფრთა გაშალოს“.

ეკონომიური მისია საქართველოდან გაემგზავრა პარიზში და, იტალიასა და საფრანგეთში მცირე ხნით შეჩერების შემდეგ, მისიის შუა რიცხვებში ჩავიდა ლონდონში, სადაც თითქმის წლის ბოლომდე დარჩა.

თუმცა მისიამ თავისი რწმუნებების თანახმად საერთაშორისო ბაზარზე გამოიტანა ქართული ხალხის მთელი ნაციონალური სიმდიდრე, მის საქმიანობას კარგა ხნის განმავლობაში წინააღმდეგაა არ ჰქონია. წინააღმდეგ „ერთობის“ მოლაღონისა. უცხოური კაპიტალი „საქართველოსაგან გამოეჭანება“ დიდ ხალხს არ იჩენდა. ეს ნაწილობრივ იმით აიხსნებოდა, რომ ევროპასა და ამერიკაში სწორედ იმ დროს დაიწყო სამრეწველო კრიზისი, რამაც კიდევ უფრო მოაღწია ომისშემდგომი საქმიანი ცხოვრების“ ისედაც სუსტი მაგისტრის. მაგრამ მისიის ცდამა წარუმატებლობის მთავარი მიზეზი მაინც ჩვენს ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური და საომარი ვითარება იყო. 1920 წლის ზაფხულზე და შემოდგომაზე ძლევამოსილმა საბჭოთა რესპუბლიკამ მოიგერია ინტერნაციონალური დიდი ლაშქრობა — უკუაგლო პოლიტიკური პანიკის შემოიტანა და გაანადგურა ვრანკელის თეთრგვარდული არმია. 1920 წლის აპრილში აზერბაიჯანის შშრომელებმა დააწყეს რესპუბლიკის ხელისუფლება.

ჩვენს საშობლოში უცხოური ინტერვენციის საბოლოო მარცხისა და ამერიკაეკსპის შშრო-

მელთა განთავსებულების მოახლოებას მენშევიკურად გრძობდნენ ლონდონისა და პარიზის ბირჟებზე. სწორედ ამიტომ კამიტალისტი მოსაქმეები მენშევიკური მთავრობის მისიას უკარგუნულად უჭრადლებით ეპყრობოდნენ, მაგრამ არ ჩქარობდნენ მასთან ჩაიშე სერიოზული გარიგებები დაეღოთ. კ. კანდელაკმა პარიზში ფულის დაღმისთანავე იგრძნო თავისი მისიის მრეყვეი მდგომარეობა. „პარიზში მეორე დღეა, რაც ჩამოვედი, — სწერდა ის პრაფ. ავლიანს, — ბაქოს ამბებმა სულ მოგვეშალა წულში, ეს დიდ გავლენას იქონიებს ჩვენს საქმეზე. რა გააწყობა — ეღს ვერ დაეკლებთ. პოი, რა ხლაფორთში ჩავეადრი!“

უკეთესი შეხვედრა კანდელაკის მისიას არც ლონდონში მოელოდა. „ორკვეია, სამწუხაროთ, რომ სესხის მიღება მოუჭრებელია, — ჩივის კანდელაკი ლონდონიდან 1920 წლის 6 აგვისტოს გამოგზავნილ წერილში. — ერთი უმთავრესი ამის მიზეზი, უნდა აღვიაროთ, სამწუხაროთ არის ის, რომ... არ გვიცნობენ... განსაკუთრებით ინგლისში. ჩვენი პოლიტიკური ფიზიონომია, ჩვენი გეოგრაფიული მდგომარეობა(!) ასახსნელი ხდება ყოველ წუთში... საგარეო სამინისტროს პოლიტიკა აქ დაახლოვებით იგივეა, რაც მაქ განვიცადეთ: „მოითმინეთ“, „დავავადეთ“ და სხვ.“

ინგლისის სახელმწიფო ორგანოებს და საქმიან წრეებს, რასაკვირველია, სრული საფუძველი ჰქონდათ სექვილ მიგნინით „დემოკრატიული“ რესპუბლიკის შინაგანი სიმტკიცე. 1920 წლის ზაფხულზე თითონ ჩ. ყორღანასათვისაც იმდენად ნათელი გახდა მენშევიკური რეჟიმის გაკორტება საქართველოში, რომ მას თავის მთავრობასთან ერთად ცალი თვლიდა უკვე ევროპისაგან გაქცევაზე ეჭირა.

რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში ყორღანას მთავრობის კრედიტი ევროპაში სახარბილო არ იქნებოდა. მენშევიკურ მისიასაც ამის გამო პირველ ხანებში საქმე არ გამოუდგოდა. მაშინაც კი, როცა ფირმებთან მოლაპარაკება კარგად მიმდინარეობდა, ფირმის ხელმძღვანელები უკვე მოზაღებული შეთანხმების ხელმოწერაზე თავს იკავებდნენ. ამ გარემოებას „ერთობის“ ლონდონელი გორგისპონდენტ ვიქტორ ნოზაძე შემდეგნაირად ასწერს: „...თქვენი პირობები სუსტებით მისაღებია; ჩვენ საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ როგორია თქვენი პოლიტიკური მდგომარეობა?“ — კითხულობს ინგლისელი და ამჯერად ატყობთ, რომ ამ კაპიტალისტს ეშინია, ეშინია და რისცხე ვერ მიღის იმ ქვეყანაში, სადაც დღეს თუ ზეალ ბოლშე-

¹ ორცხა, ფონდი 81, ს. 617, ფ. 47.

² ორცხა, ფონდი 81, ს. 617, ფ. 129.

ვინც იფუტებს, ქვეყანა გადატრიალდება და იგიც, რასაკვირველია, თავის კაპიტალს დაკარგავს¹.

მართლაც მისიამ ევროპაში 8 თვის მონაპირაკების შედეგად მოახერხა დაედო მხოლოდ სამი მნიშვნელოვანი ხელშეკრულება: 1) ბრიტანეთის საგარეო ვაჭრობის ბანკთან (ხელშეკრულებით — „საბანკო ჯგუფი“) — 1,5 მილიონი გირანქა სტერლინგი სესხის მიღების შესახებ; 2) იტალიურ ფრანკ „პლანთან“ (ბრძანებებისა და ფორალანაშხმელო ქარხნების საზოგადოება), იტალია-კავკასიის ვანაღდეზელ ბანკთან და იტალიის „კავკასიურ კომპანიასთან“ — მათთვის ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს დამუშავების კონცესიით გადაცემის შესახებ და 3) ფრანკ მრეწველ ფრანკთან—მისთვის საქართველოში აბრეშუმის ძაფსაღები და ძაფსართავი ფაბრიკების მშენებლობასა და ექსპლოატაციაზე კონცესიის მიცემის შესახებ.

არც ერთი ეს ხელშეკრულება ქართული მზარისათვის ხელსაყრელ პირობებს არ შეიცავდა. განსაკუთრებით მძიმე, პირდაპირ კაპალური იყო შეთანხმება სესხის შესახებ. სესხი მენშევიერ მოაგრობას ეძლეოდა „ხუთ წელზე არა უფრძესი პერიოდის“ ექვსთვიანი სახაზინო თამასუქების საპირისპიროდ წლიურად 2% -ით უფრო მაღალი სარგებლით, ვიდრე თამასუქების განაღდეზისას ბრიტანეთის საგარეო ვაჭრობის ბანკის დისკონტი იქნებოდა. კ. კანდელაკის განმარტებით, იმ ხანებში სხენებელი ბანკის დისკონტი უფროდა 7 პროცენტს და მამასადამე, მენშევიერ მოაგრობას უნდა გადაეხადა 9%, სულ კი, საკომისიოსთან ერთად, 9,37%. ეს ნაშვილი საეახშო პროცენტი იყო. სესხის საგარანტიოდ მთელი ის შემოსავალი, რასაც მენშევიერი მოაგრობის ხაზინას მარგანეის მრეწველობა და მარგანეის ექსპორტის მონაპირა აძლევდა, გადადიოდა საბანკო ჯგუფის განკარგულებაში იმ დრომდე, „სანამ ყველა... სახაზინო თამასუქები და ხარჯები და სარგებელი მათი განაღდეზის მიხედვით არ იქნებოდნენ საესებით ანაზღაურებულნი“.

სესხად მიღებული თანხიდან 340 თასი გირანქა სტერლინგი მენშევიერი საქართველოს ფულის სისტემის განმტკიცებას უნდა მოხმარებოდა. მაგრამ მენშევიერ მოაგრობას უფლება ერთმეოდა დამოუკლებლად რაიმე ღონისძიება გაეტარებინა ამ მიმართულებით. „...ფულის ტრიალის განმტკიცებისათვის, — ნათქვამია შეთანხმებაში, — არავითარი ნაბიჯი არ იქნება გადაღებული არ ტრედირი გაღებულთ, თუ არა სპეციალური სქემით, რომელიც შეტუშავებული

იქნება და რომლის შესახებაც შეთანხმდებიან მოაგრობა და საბანკო ჯგუფი“.

მენშევიერი მოაგრობა სცნობდა საბანკო ჯგუფს როგორც მის „ერთადერთ“ მანაქანს ფინანსურ აგენტსა და მუიდველ აგენტს შერთებულ სამუფოში და აგრეთვე როგორც მოაგრობის ერთ-ერთ ბანკთაგანს და საფინანსო და მუიდველ აგენტთაგანს იმ სხვა ქვეყნებში, სადა საბანკო ჯგუფსა ან მის აგენტებს შეუძლიათ მოგვეცენ დახმარება სესხით“. მამასადამე, არა მარტო ინგლისში, არამედ სხვა ქვეყნებშიაც მოაგრობა მოვალე ხდებოდა საეაქრო და ფინანსური ოპერაციები ბრიტანეთის საგარეო ვაჭრობის ბანკის მეშვეობით ეწარმოებინა, ე. ი. ამ მხრივ საესებით დამოკიდებული ყოფილიყო სხენებელ ბანკზე.

ეს კიდევ ცოტაა. საქართველოს შიგნითაც სესხთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოება და, მისი უზრუნველყოფის საბაზოთ, მარგანეის ექსპორტის ფინანსური კონტროლი მთლიანად ბრიტანეთის საგარეო ვაჭრობის ბანკის ხელში იყრიდა თავს. ამის შესახებ შეთანხმებაში ვკითხვლობთ: „საბანკო ჯგუფი და მისი დაწესებულებანი, აგენტები და წარმომადგენლები საქართველოში წარმოადგენენ ოფიციალურ კალაპოტს, რომელშიც უნდა გაიართონ ჯგუფის მიერ გაღებულ ავანსოა. შვი ქვის მადნის შემოსავალი უზრუნველყოფისა და საბაეო გადასახადთა საქმეებში“.

საბანკო ჯგუფი საქართველოს ტერიტორიაზე თითქმის საესებით თავისუფლდებოდა ყოველგვარი გადასახადისაგან და სარგებლობდა ფოსტა-ტელეგრაფის შედაეათიანი ტარიფით. მოაგრობას ამ ჯგუფისათვის უნდა მიეცა შესაფერი სადგომები „უცხლისა და გატებისაგან უზრუნველყოფილი სალაროებით“ თბილისში, ბათუმში და სხვა ადგილებში, სადაც კი ის თავისი განყოფილებების გახსნას მოისურვებდა².

რასაკვირველია, სესხის მიღების ასეთ მძიმე და დამამცირებელ პირობებზე მხოლოდ კოლონია ან დამოკიდებული ქვეყანა თუ დათანხმდებოდა.

საზოგადოება „ილვას“ ტყვარჩელის ნახშირის საბადოს დამუშავების კონცესია ეძლეოდა 43 წლის ვალით. აქედან 3 წელიწადი მოსამზადებელი საშუაოებისათვის იყო განკუთვნილი. ხელშეკრულების თანახმად მოსამზადებელი პერიოდის ვასლის შემდეგ საქართველოს მოაგრობას უნდა მიეღო ნატურით: პირველ ათ წელიწადს — ამოღებული ნახშირის 10%, მეორე ათ წელიწადს — 15%, ხოლო შემდეგ — 20%. მოგება 10%-ის ფარგლებში კონცესიონერებს რჩებოდათ, 10%-ზე ზევით კი—თუ ასე

¹ „ერთობა“, № 200, 1920.

² ორცხა, ფონდი 81, ს. 258, ფ. 7-11.

თი მოგება ოდესმე იქნებოდა — მთელი თანხის 50% მთავრობას მიეცემოდა.

კონცესიური საწარმოს გამგეობა გამოყოფდა ორ საბჭოს: ერთს ადგილსამყოფელით თბილისში და მეორეს — იტალიაში. თბილისში მყოფი საბჭოს შემადგენლობაში ადგილების უმრავლესობა იტალიელებს ეთმობოდათ. აქ თავმჯდომარეც იტალიელი იქნებოდა და მხოლოდ თავმჯდომარის მოადგილის პოსტს დაიჭირდა ქართველი, იტალიაში მყოფი საბჭოს შემადგენლობაში, ცხადია, მარტო იტალიელები შევიდოდნენ. იტალიურ საბჭოს უფლებები ვაცილებით მეტი ჰქონდა. ასე, მაგალითად, ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ უმალეს თანამდებობებზე მისიანსაბურჯოა დანიშვნისა და კაპიტალის დაბანდების საკითხებს მხოლოდ იტალიაში მყოფი საბჭო გადაწყვეტდა. აქციონერთა საერთო კრებებში იტალიაში უნდა შემდგარიყო¹.

აზრივად, მოპოვებული სათბობის უმნიშვნელო ნაწილის ფასად მენშევიკებმა ნახშირის ეს მდიდარი საბადო თითქმის ნახევარი საუკუნით გადაუღოცს უცხოელებს.

ტუზარჩელის ნახშირის ბასეინზე საკონცესიო ხელშეკრულების დადებაში რომში უდიდესი სიხარული გამოიწვია. იქ ამ ფაქტს იფასებდნენ როგორც იტალიელთა „ნაციონალური ინიციატივის დიდ გამარჯვებას“ და თითქმის ისტორიის მიერ ბურჟუაზიული იტალიისათვის ნაანდერძევი საკაცობრიო კულტურული მისიის დასაწყისს. „ყველასათვის ნათელია უდიდესი მნიშვნელობა ამ შეთანხმებისა, რომელიც... ენერგიულ ნაბიჯს წარმოადგენს ეკონომიური მონობიდან ჩვენი ხალხის განათვისუფლების მიმართულებით, — წერდა გავლენიანი გაზეთი „ჯორნალე დ' იტალია“ 1920 წლის 14 ოქტომბერს... იტალია ცლავ ამტკიცებს, რომ ის მთელი ძალ-ღონით მიისწრაფის დიდი და პატარა ხალხების გონიერული თანამშრომლობისაკენ, რომელიც უზრუნველყოფდა მშვიდობიანი საშუალებით კაცობრიობის ეკონომიური კეთილდღეობის აგებას. იტალია, ძლიერი თავისი ორბიასაწლოვანი კულტურითა და თავისი შვილების ტრადიციული გამრჯელობით, ახალი მძლავრი სასიცოცხლო აღზრთოვანებით კლავ მიიკვლევს აღმოსავლეთისაკენ რომის ტრიუმფებისა და იტალიური საზღვაო რესპუბლიკების გემებისათვის ნაყნობ გზებს“².

გაზეთის ეს მაღალფარდოვანი ენით დაწერილი და ისტორიული რემინისცენიკებით შეზავებული აღიარება კარგად გვიჩვენებს, თუ რა დიდი იმედები და დიდი მაღა აღუძრა იტა-

ლიის ბურჟუაზიას საქართველოს ნაციონალური სიმდიდრიდან წაგლეჯილმა, მსუქანმა, ლუკმამ.

ფრანგ კაპიტალისტ ფერანს საკონცესიო ხელშეკრულებით, რომლის მოქმედების ვადა 25 წლით განისაზღვრა, მიეცა საქართველოში ახრეშუმის ახალი ძალსადები და სართავი ფაბრიკების აგებისა და ექსპლოატაციის მონობილური უფლება. თვალის ასარიდებლად ამ შემთხვევაში არსდებოდა ანონიმური „ქართულ ფრანგული საზოგადოება“, მაგრამ როგორც კაპიტალის კეთვილებით, ისე ხელმძღვანელი ორგანიზების შემადგენლობით ეს საზოგადოება წმინდა ფრანგული გაერთიანება იქნებოდა¹.

კანდელაკის მისიის მიერ დადებული სამივე ხელშეკრულება მენშევიკურმა მთავრობამ 1921 წლის 11 და 18 იანვარს მიღებული დადგენილებებით მოიწონა და დასამტკიცებლად წარუდგინა დამფუძნებელ კრებას².

მენშევიკური მთავრობის საგანგებო ეკონომიურ მისიას ევროპაში თავისი მუშაობა მარტო ამ ხელშეკრულებით შეთანხმებებით არ შემოუფარვლავს. მისია მოლაპარაკებას აწარმოებდა უცხოელ კაპიტალისტებთან საქართველოს თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ბუნებრივი სიმდიდრის კონცესიით გაცემის ირგვლივ. და თუ ხელისმწიფრა მარტო ორ კონცესიაზე მოხერხდა, ეს მხოლოდ იმით აიხსნებოდა, რომ კანდელაკის ევროპულ პარტნიორებს მენშევიკური სახელმწიფოს შერყვევი შინაგანი ვითარება აფრთხობდათ. თითონ მისიას კი ვაჭრულ გაქანებას ევრაიერ დაუწუნებდა. ამაზე მისიის საქმიანი მომორწინება და მისი წევრების მიერ შედგენილი პროექტების ზეენაღე მოწვეული ნაწილიც საქმარისად შერყველებს. გავცინოთ ამ მასალების მიხედვით რამდენიმე დამახასიათებელ გარიგებას, რომლებსაც მისია აწარმოებდა.

მენშევიკებს უნდოდათ მინერალური წყლებისა და კურორტების კონცესიები შემოსავლის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ გადაეციათ. „მინერალური წყლების, სამკურნალო ტალახებისა და კურორტების რაციონალურად გამოყენებისათვის, — ეკთხებოდათ ოფიციალურ დოკუმენტში, რომელიც 1920 წლის თებერვალშია დაწერილი, — მიწათმოქმედების საშინისტრის მიზანშეწონილად მიაჩნია მოიზილოს ყველაზე მნიშვნელოვანი საავარაკო ადგილების საქმებლოატაციოდ უცხოური და ადგილობრივი კაპიტალები“³. მოხსენებაში 1919 წლის ბიუჯეტის გამო მენშევიკური პარლამენტის საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეც მინერალურ წყლებს მიიხსენებდა ერთ-ერთ მთავარ საკონცესიო ობიექტად, რომელიც, მისი აზრით, უცხო-

¹ ორცხა, ფონდი 81, ს. 258, ფ. 1-6 და 12-15, აგრეთვე „ერთობა“ № 12, 1921.
² ნ. ნიკოლაძის არქივი, დოკ 63-144.

¹ ორცხა, ფონდი 81, ს. 258, ფ. 16-24.
² ორცხა, ფონდი 81, ს. 739, ფ. 6 და 14.
³ ორცხა, ფონდი 81, ს. 391, ფ. 6-7.

ურ კაპიტალს განსაკუთრებით დააინტერესებდა¹.

ალბათ, მოავრობის სათანადო დავალების საფუძველზე მისიას, როგორც ირკვევა, მოლაპარაკება ჰქონია შვეიცარიულ კაპიტალისტებთან და შეუდგენია პროექტიუ შეთანხმებისა ბორჯომის საკურორტო ზონის მათთვის საექსპლოატაციო ვადის გადაცემის შესახებ. პროექტის თანახმად ეწეობოდა „ქართულ-შვეიცარიული ანონიმური სააქციო საზოგადოება“, რომლის აქციები გავრცელდებოდა შვეიცარიულ და სხვა ქვეყნების კაპიტალისტებს შორის, აქციების ნაწილს ლეზბლომდა საქართველოს მთავრობა. საზოგადოების გადაცემოდა საექსპლოატაციოდ ბორჯომის მამული ვეულა მინერალური წყაროებით, ტყეებითა და ნაგებობებით, ბორჯომ-ბაკურთაინის რკინიგზის გამოკლებით, და მიეცემოდა ახალი ქარხნებისა და მათთან მისასდელი გზების აგების უფლება. საზოგადოებასვე ენიჭებოდა უპრატესობა სხვა მინერალური წყლებისა და კურორტების კონცესიით აღების საქმეში. ბორჯომის კონცესიის ვადა პროექტით განისაზღვრებოდა 60 წლით².

კომპანია „J. Dawson Ware“-სთან მიმოწერის და მის წარმომადგენელთან მოლაპარაკების შემდეგ მისიამი დაიწერა საკონცესიო ხელშეკრულების მონასახი, რომელიც ითვალისწინებდა კომპანიის მხრით მენშვეიერი მთავრობისათვის 1 მილიონი გირვანჯა სტერლინგი სესხის მიცემას 10 წლის ვადით და წლიურად 8% სარგებლით. სამაგეროდ ამ კომპანიის ე. წ. „ქართულ კორპორაციას“, რომელიც უნდა დაარსებულყო, ხელშეკრულების თანახმად კონცესიით საექსპლოატაციოდ გადაცემოდა: 1) 325 ათასი აკრი ტყე ბზიდის ხეობაში; 2) სპილენძის მადნის ყველა საბადო ბორჩალოს მახრამი და ქუთაისის გუბერნიაში; 3) ნავთობის საბადოები ოზურგეთის მახრამი; 4) 10 აკრი მარგანეის შემცველი მიწა ჭიათურაში. გარდა ამისა, მასვე ემძლეოდა კონცესიით მტკვრის ჰიდროენერჯიის გამოყენება არაგვის შესართავიდან ზრამის შესართავამდე და ალაზნისა და მისი შენაკადების ენერჯიისა მთელ მათ დინებაზე. აგრეთვე რკინიგზის რამდენიმე ახალი ზახისა და სოხუმის პორტის მშენებლობა და ექსპლოატაცია. ხელშეკრულების მონასახის ერთ პუნქტში ნათქვამია, რომ კორპორაცია მიზნად ისახავს შემდგომში ახალი და ახალი კომპანიების დაარსებას საქართველოში მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებისათვის³.

მისიის მიმოწერა და მოლაპარაკება ჰქონდა თავისი კოლონიური მტაცებლობით ფართოდ

ცნობილ ინგლის-სპარსეთის ნავთობის კომპანასთან, რომელიც სურვილს აცხადებდა 40 წლის ვადით კონცესიით მიელო ნავთობის წყაროების დახვეწვისა და ექსპლოატაციის საქმე მთელ საქართველოში⁴.

ასეთვე მიმოწერა და მოლაპარაკება ჰქონდა კანდილავს უცხოელ მრეწველ ვინმე ჰეილერთან იმის შესახებ, რომ უქანასქნელს 36 წლის ვადით კონცესიით საექსპლოატაციოდ გადასცემოდა „მდინარეების ცხენისწყლისა და ენგურის ხეობებში მდებარე სატყეო ავარაკები და აგრეთვე ამ ორი მდინარის ჰიდროენერჯიის ექსპლოატაცია“. ჰეილერი, როგორც ჩანს, ყარგად იცნობდა საკონცესიო ობიექტს. „ჩემს მიერ საექსპლოატაციოდ ნავარადუდევ რაიონში, — წერს იგი, — შედიან შემდეგი ავარაკები: ლენტეხისა — დაახლოებით 59 690 დეს., ლუხვანო-ქულბაქისა — 17 004 დეს., სასაშისა — 3 382 დეს., ჯვარისა. 62 000 დეს., ფახელანისა — 9 100 დეს“. ჰეილერის წინადადებით, ამ სიმდიდრეთა საექსპლოატაციოდ უნდა დაარსებულყო 2 სააქციო საზოგადოება, რომელთა აქციების 40%-ის მფლობელი საქართველოს მთავრობა იქნებოდა, ხოლო 60%-ისა — უცხოელი მრეწველები.

ჰეილერმა მისიას მიმართა 1920 წლის ნოემბერში, როცა კანდილავი უკვე სამშობლოში წამოსასვლელად ემზადებოდა. ამიტომ ვადაწყდა, მოლაპარაკება საქართველოში გავრცელებულიყო⁵.

მაგრამ უცხოელებთან კონცესიების შესახებ მოლაპარაკებას ზომ მარტო მისია არ აწარმოებდა. ამ მიმართულებით ვაცხოველებულ მუშაობას ეწეოდნენ „დემოკრატიული“ რესპუბლიკის სამინისტროებიც: ისინი ახალადნენ სათანადო წინადადებებს და დებდნენ საკონცესიო ხელშეკრულებებს. სურათის სისრულისათვის შევვებით ზოგიერთ ამ ხელშეკრულებასა და წინადადებას.

1920 წლის 19 ივნისს მიწათმოქმედების სამინისტრომ დადო საფრანგეთის მოქალაქე ბლუზ გიზთან საკონცესიო ხელშეკრულება, რომლითაც გიზს გადაეცა გამოსაყენებლად მდინარე ტუბულას ჰიდროელექტური ენერჯია „შესართავიდან დაწყებული ზევით 15 ვერსის მანძილზე, ამ უბანზე წყალსაცავის მოწყობისა და ტუბულის წყლის მდინარე ყვირილის ერთერთ მარჯვენა შენაკადის პასეინში გადავდებით“. მეთხველი მიხედება, რომ ეს ის ადგილია, სადაც ახლა ტუბულას მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურია აგებული. გიზი კისრულობდა იმუნება აქ დღევანდელ ტუბულექსთან შედარებით სრულიად უმნიშვნე-

¹ ორცხა, ფონდი 48, ანაწ. 2, ს. 25, ფ. 8-12.

² ორცხა, ფონდი 81, ს. 444, ფ. 104-106.

³ ორცხა, ფონდი 81, ს. 444, ფ. 99-103.

⁴ იქვე, ფ. 3-4 და 49, 53.

⁵ ორცხა, ფონდი, 81, ს. 444, ფ. 2, 6-7

ლო სიდიდის ელსადგური — „არანაკლებ 4000 ცხენის ძალის სიმძლავრისა“ — თავისი გადამცემი ხაზებით კონცესიის ვადა იყო 60 წელიწადი სადგურის გახსნის დღიდან, გიზთან დასადგმე ხელშეკრულების პროექტი მენშევიერმა მთავრობამ წინასწარ მოიწონა¹.

1920 წლის 13 ნოემბრის მიწათმოქმედების სამინისტროს განცხადებით მიმართა შეედმა პოქალაქში ინჟინერმა ფრანკ ტეისლერმა, რომელიც იმ დროს შვეციის კონსულად იყო საქართველოში. შვედი კაპიტალისტების ჯგუფის სახელით ტეისლერი ითხოვდა კონცესიას არაგვისა და მტკვრის ჰიდროენერჯის გამოყენებაზე წიქამურდიან სადგურ ზემო აქვალამდე, ე. ი. იმ უბანზე, სადაც დღეს საბჭოთა საქართველოს ენერჯეტის პირში — ზაქესი დგას. ტეისლერი მიუთითებდა, რომ კონცესიით დაინტერესებული არიან შვეიცია, ცნობილი ფირმები: „ატლას-ლიზელი“, „ნიუდელსტი და პოლში“, „ენსტეროსი“, სტოკჰოლმის საეკორ ბანკი და სტოკჰოლმის კერპო ბანკი.

ტეისლერის ფინანსური საიმედომა ექვს არ იყავდა. ანტონიკ მიწათმოქმედების სამინისტრო სასწრაფოდ გამოეხმარა მის წინადადებას. ტეისლერის მიერ წარმოდგენილი კონცესიური ხელშეკრულებას პროექტი იმავე წლის 24 დეკემბერს განიხილა სამინისტროს წყალთა მეურნეობის საკრებულომ, რომელმაც ზოგიერთი ცვლილებისა და დამატების შეტანის შემდეგ იგი მთლიანად მოიწონა. ასეთი სახით ხელშეკრულების პროექტი 1921 წლის 6 იანვარს უკვე განსახილველად გადაეცემა მიწათმოქმედების მინისტრს.

1921 წლის 27 იანვარს მენშევიერმა მთავრობამ განიხილა ბზიფისა და ჩუბისხევის სატყეო აგარაკების კონცესიით გაყემის ხელშეკრულების პროექტი და დაავალა მიწათმოქმედების სამინისტროს „მიიღოს ზომები, რაც შეიძლება ხელსაყრელ პირობებში გაიყეს სექსპლოატაციოდ ჩუბისხევის აგარაკი. თუ მის ექსპლოატაციის სურვილს განაცხადებს ქართულ მრეწველთა საზოგადოება გერმანელ ტრესტერთან ერთად, ...სამინისტრომ გამართოს მათთან მოლაპარაკება ამასთან სამინისტროს წინადადება მიეცემა ბზიფის აგარაკის შესახებ ინფორმაცია მაიწოდის უცხოელ ფირმებს... მანამდე კი (კონცესია) არ იქნეს გაცემული“.

საარქივო ფონდებიდან ამგვარი მასალების ამოკრეფა კიდევ შეიძლება.

4. ქართველი მენშევიელების კონცესიური პოლიტიკის არსის შესახებ

გეოგრაფიული

ქართული კონცესიური პოლიტიკის განხორციელებას მენშევიური მთავრობა 1920 წლის აპრილიდან შეუდგა. მასშალამდე, სულ რაღაც 7-8 თვის განმავლობაში უკვე შემოვიდა და მუშავდებოდა წინადადებები საქართველოს მასშინ ცნობილ ბუნებრივ სიმდიდრეთა უდიდესი ნაწილის უცხოური კაპიტალისათვის გადაცემის შესახებ. თუკი ხალხი მენშევიეების დიქტატურას შემდგომშიაც მოითმენდა, ექვს ვარსება, ეს წინადადებები ხორცს შეისახადა და სათანადო საკონცესიო ხელშეკრულებებიც დაიდებოდა ტუთილად როლი განიხილა ე. კანდელაკმა რეინგზელთა III ვერილობაზე 1921 წლის იანვარში ევროპაში მის მიერ დადებულ შეთანხმებების გამო: „ჩვენ გვწამს, რომ ამ ხელშეკრულებებს მოყვება უფრო დიდი და მნიშვნელოვანი ხელშეკრულებები“¹. მაგრამ ამით განა საბოლოოდ ამოიწურებოდა კონცესიების რესხა საქართველოში? რასაკვირველია, არა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ აქ მორთილი მასალა გარკვეული მიზნების გამო 1920 წლის დამლევს მდგომარეობასაც სრულად ვერ წარმოგვიდგენს. ცხადია, კონცესიონერთა ავანსებს დაჩვეული უფულო მთავრობა კიდევ ბევრ რბიქტს გამოიქმნიდა უცხოური კაპიტალისათვის გადასაცემად. კერძოდ, უცხოური კაპიტალი, უკვევლია, სოფლის მეურნეობაშიაც ფეხს მოიდგამდა. რაკი ჰიდროენერჯეტული რესურსების გამოყენების კონცესიებს მოიღებდა, უცხოური კაპიტალი ირიგაციის საქმეშიაც გაბატონდებოდა და საქართველოს სოფლის მეურნეობის ამ სავანაში პოზიციას დაუფლუბოდა. იგი უთუოდ შეიკრებოდა სუბტროპიკულ ზონაში, სადაც ნიადაგების მელორაცია და ჩაის ბუნქისა და სხვა მაღალრენტაბელური კულტურების განვითარება დიდ დაბანდებებს მოითხოვდა.

კონცესიებს უნდა დევმბათთ ისიც, რომ კაბალური პირობებით აღებული სესხის გამოკითხურის მარგანეის მრეწველობაც არსებობდა ინგლისური ბანკის კონტროლს იქნა დამორჩილებული.

ამრიგად, საქართველოს მიწისგული, ტყეები, მდინარეების ენერჯია, კერორტები, მინერალური წყაროები, ავრთვე მთელი რიგი სარწყავი სისტემები, რეინგზის ხაზები, პორტები, ქარხნები, ფაბრიკები ქართველი მენშევიეების ეკონომიური პოლიტიკის წყალობით ერთი თაობის სიცოცხლის მანქალზე უცხოური კაპიტალის სრულ განკარგულებაში იქნებოდა. რა

¹ ორცხა, ფონდი 48, ს. 153, და ფონდი 81, ს. 446, გ. 190.

² ორცხა ფონდი 146, ს. 74, გ. 2, 4, 9, 12.

³ ორცხა, ფონდი 81, ს. 739, გ. 6.

¹ „ერთობა“, № 11, 1921.

თქმა უნდა, ნახევრადკოლონიური პატარა ქვეყანა საკუთარი ძალებით ამ მდგომარეობას შემდეგშეიძლება თავს ვერ დააღწევდა. შერეულ საზოგადოებებში სახელშეკრულებო პარტნიორების თანხმად აქციების საკონტროლო პაკეტებს უცხოელი კაპიტალისტები ისაუბრებდნენ, რის გამოც თვით ბურჟუაზიული საქართველოს მთავრობა იქ უფლებო აქციონერის როლით უნდა დაეკავებინათ. ყველაფერი ეს ნიშნავდა, რომ ქვეყნის ეკონომიურ და, მაშასადამე, ერთგვარად პოლიტიკურ ცხოვრებაში უცხოელი კონცესიონერები და მგვალები იბატონებდნენ. კონცესიები და სესხები მათ ჩვეულებრივზე ბევრად მაღალ მოცუბას მისცემდა, ხოლო ჩვენს ხალხს კოლონიური ექსპლუატაციისა და ჩავრის მტეს არაფერს მოუტანდა.

მენშევიკური მთავრობის მუდმივი ზრუნვის საგანს შეადგენდა სახელმწიფოებრივი ბიუჯეტის შემოსავლის წყაროების გაძლიერება, რათა სახსრები ჰქონოდა თავისი პოლიტიკური აქციების გასატარებლად. ამიტომაც, როგორც ზემოთ დავრწმუნდით, უცხოური კაპიტალის მოწვევისას იგი პირველ ყოვლისა ფსკალური მოსახრებებით ხელმძღვანელობდა. ამასთან ქართული მენშევიკები საქართველოში „ევროპის ფორმის საწარმოო ძალებს“ და წარმოებითი ურთიერთობების განვითარებას თავიანთ პროგრამულ პროცესად თვლიდნენ და, ნ. ყორღანაის სიტყვით, „ამიტომ უღებდნენ კარებს ევროპის კაპიტალს“.

ბოლშევიკების პარტია, ვ. ი. ლენინი, ნათლად ხედავდნენ, რომ კონცესიები — ეს იყო კაპიტალისტურ გარემოცვასთან ომის გაგრძელება მხოლოდ სხვა საშუალებებით. ამის გამო ისინი ხაზს უსვამდნენ კონცესიური პოლიტიკის „ზომაზე და ფრთხილად“ გატარების აუცილებლობას, სათანადო ხელშეკრულებების დადების დროს „ყველაფრის მოფიქრებას და აწინ-დაწინას“, ხოლო შემდეგ ხელშეკრულებათა შესრულების კონტროლს¹.

ამ მოსახრებებს ეყრდნობოდა საბჭოთა მთავრობა, როცა კონცესიით გასაცემ ობიექტებს განსაზღვრავდა. შორეული ჩრდილოეთის ტყეების ნაწილის უცხოური კაპიტალისათვის საექსპლუატაციოდ გადაცემა ვ. ი. ლენინს ყველაზე მიზანშეწონილად მიანდა. „ამ მხრივ — ამბობდა ის, — შორეული ჩრდილოეთი ჩვენთვის პოლიტიკურადაც ხელსაყრელია, იმიტომ, რომ ეს შორეული განაპირა მხარეა“² უფრო

ნაკლებად მიზანშეწონილად თვლიდა. ლენინი სამთო საწარმოების კონცესიით (გატყენეს) მტერთ კომბირშიაც კი, ენაიდან ამ საწარმოებში წინაწილი რკინიგზის ახლო მოთავსებული და ნაწილი კი შვიდროდ დასაბლბულ ადგილებში. „აქ მუტი საფრთხეა“ — მიუთითებდა იგი³.

აქედან ჩანს, თუ როგორ ზრუნავდა ვ. ი. ლენინი იმაზე, რომ კონცესიები ქვეყნის შორეულ განაპირა რაიონებში ყოფილიყო განლაგებული, რათა კონცესიონერებს თავიანთი გამხრწნელი შემოაბით რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მოეტანათ საბჭოთა ხალხის ინტერესებისათვის. მართალია, შემდგომში პარტიამ და მთავრობამ მიზანშეწონილად ჩათვალეს ბაქოს და გროზნოს ნავთობის სარეწაობის ნაწილიც კონცესიით გაეცათ, მაგრამ ესაც მდგომარეობას დიდად არ ცვლიდა.

მსოფლიო კაპიტალს არ უნდოდა ხელი შეეწყოს საბჭოთა ქვეყნის მეურნეობის აღდგენისა და სოციალიზმის საშირკვლის აშენებისათვის. ამის შედეგად, როგორც ცნობილია, კონცესიები ჩვენში ვერ განვითარდნენ. მაგრამ კიდევაც რომ განვითარებულიყვნენ, ისინი მაინც სრულიად უმიზანდლო კუნძულებად იქნებოდნენ განუვლი საბჭოთა კავშირის თვალწინდნულ ტერიტორიაზე და რაიმე არხებით გავლენას ქვეყნის შინაგან ცხოვრებაზე ვერ მოახდენდნენ.

სულ სხვა მდგომარეობა შეიქმნებოდა პატარა ბურჟუაზიულ საქართველოში მენშევიკური კონცესიური პოლიტიკის შედეგად. აქ კონცესიების გაეცემისას მათი სიდიდის, რაოდენობისა და გეოგრაფიული განლაგების მხრივ ზომასა და სიფრთხილეს არავინ იჩენდა. ბაზარზე გამოტანილი იყო საქართველოს თითქმის მთელი ტერიტორია — შავი ზღვის საერთოტო ზონიდად კახთამდე და კოათურის რაიონიდან ბორჯომის ხეობამდე ამ უკანასკნელის ჩათვლით. მენშევიკური კონცესიური გეგმების განხორციელებას ის მოყვებოდა, რომ ქართველი ხალხი თავის საკუთარ ქვეყანაში თვითონ აღმოჩნდებოდა უცხოური სტიქიით გარშემოტყუვლ „კუნძულებზე“. ეს გარემოება კი მცირერიცხოვან ერს თავისთავადობის დაკარგვის მოწყვლდინებელი საფრთხის წინაშე ადგენებდა.

ასეთი მომავალი უმზადდებოდა ქართველ ხალხს მენშევიკური პარტიისა და მთავრობის ეკონომიური პოლიტიკით, რომლის არსს, როგორც ვნახეთ, ქვეყნის ნაციონალური სიმიდირის უდიდესი ნაწილის უცხოური კაპიტალისათვის გადაცემა და განაიება შეადგენდა.

¹ იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 437.

² ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 31, გვ. 589.

³ იქვე, გვ. 592.

გაგონი ბაგონი

სენ-ჟონ პერსის პოეზია

გასული წლის ნოემბერში სენ-ჟონ პერსის სახელი ხელახლა გამოჩნდა საზღვარგარეთის პრესაში. ნობელის პრემიით დაჯილდოებასთან დაკავშირებით გაზეთები და ჟურნალები თავის მკითხველებს აცნობდნენ პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებას. აქ არ იქნება ზედმეტა აღვნიშნოთ, რომ სენ-ჟონ პერსის კანდიდატურა დასავლეთის ამ ყველაზე უმაღლეს ლიტერატურულ პრემიაზე ჯერ კიდევ 1959 წელს იყო წამოყენებული. ამიტომ შევეცდეთ ავადმიის გადაწყვეტილება არ იყო მაინცდამაინც მოულოდნელი, თუმცა წინასწარ შედგენილ, სავარაუდო საეპი პერსის სახელი არ იყო შეტანილი.

ლიტერატურულ წრეებში ამ დაჯილდოების გამო გამოწვეული გამობზარება უმეტეს შემთხვევაში დადებითი იყო. ლუი არაგონმა აღტყვებული წერა იქნა მას. სათურად გამოიყენა სენ-ჟონ პერსის, სიტყვები „Car c'est de l'homme qu'il s'agit“ („ვიზიდან სუბარა ეხევა ადამიანს“). ელზა ტრიოლემ განაცხადა: „იგი ჩემი დიდხნის რჩეულია“. ნობელის პრემიის ლურჯატმა ფრანსუა მორიაკმა კმაყოფილება გამოთქვა, რომ ჯილდო მიიღო „საუკეთესო ფრანგმა პოეტმა“. ჟან კოკტომ განაცხადა ამას წინათ ჩატარებული „ლიტერატურული არჩევნები“: „სენ-ჟონ პერსმა დამიტოვა „პოეტების პრინცი“ საპატიო წოდება. ბედნიერი ვარ, რომ მას ნობელი აქვს“. თავისი აზრი გამოთქვეს საზღვარგარეთის ლიტერატურულმა ცენტრებმა, რომლებმაც პოეტის ტოპის სტერნს ელიტი გამოთქვა მისი ალტატიმას.

თვითონ პერსმა ასე განაცხადა ჟურნალისტებს, რომლებიც მას მოსვენებას არ აძლევდნენ: „ბედნიერი ვარ, რომ ადამიანისათვის ამ შეტად მძიმე დროს პოეზია არის არჩეული“. შევეცდეთ ავადმიამ თავის ოფიციალურ განცხადებაში აღნიშნა, რომ სენ-ჟონ პერსს პრემია მიენიჭა „მისი პოეზიის ამაღლებული და შთაგონებული ხატოვნებისათვის“.

მაგრამ სენ-ჟონ პერსის შემოქმედებას განსაზღვრული საერთაშორისო რეზონანსი პქონდა ჯერ კიდევ ნობელის პრემიით დაჯილდოებამდე. ამაში დავარწმუნდებით, თუ მოკლედ განვიხილავთ პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების გზას.

მარი-რენე-ოგიუსტ-ალექსი სენ-ლივე ლევე დაიბადა 1887 წლის 31 მაისს კენზელ გუბერნიულში, რომელიც ანტილის მცირე კონტინენტის არქიპელაგს ეკუთვნის და საფრანგეთის ზღვისპირეთურ დეპარტამენტს წარმოადგენს. პოეტის წინამძებნი XVII საუკუნეში გადმოსახლებულან საფრანგეთიდან გუბერნიის კენტონზე. 12 წლამდე ლევე ცხოვრობდა ამ კენტონზე და თავის თანატოლ ყუთელ, თეთრი და წითელ რასის წარმომადგენლებთან ატარებდა ბავშვობას. ამ გარემოებამ თავისი კვალი დატოვა მომავალ პოეტის პიროვნების ფორმირებაზე და, უნდა ვიფიქროთ, რომ ქაბუცს შთაუწერა ადამიანისადმი პატივისცემა კანის ფერისაგან განმარტველად. პატარა ლევე ცხოველ ინტერესს იჩენს ბუნებისადმი: ყვავილები, მცენარეები, ხეები, ცხოველები, ფრინველები, ყამობის ყველა დაკვირვება დიდ ადგილს იკავებენ პირველ სადებიუტო პოეტურ კრებულში „ქებანი“, რომელიც პარიზში 1911 წელს გამოვიდა. ლევე 24 წლისა, მისი ლექსები უჩვენებდა, ცხოვრების სიყვარულითაა გაყვნილი. დიდებული და ბრჭყვიალა ფერებით ხატავს იგი მშობლიური კენტონის სურათებს უოველგაბი ვეზობიის გარეშე.

ალექსი ლევე სწავლობს სამართალს და სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იწყებს დიპლომატიურ მოღვაწეობას. იგი იძულებულია დიდი ხნით მიატოვოს პოეზია, რადგან ლიტერატურული შემოქმედებისა და დიპლომატიური მოღვაწეობის შეთავსებას არ ენობდა შესაძლებლად. 27 წლის ლევე ინიშნება კე დ'ორსეში (საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში) კონსულის მოადგილედ პოლიტიკურ და საეკრო სამმართულოს ხაზით. ხუთი წლის მანძილზე ლევე მსახურობს პეკინში, შემდეგ 1933 წლიდან ომის დაწყებამდე იგი საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვენერალური მდივანია. 1940 წლის 16 ივნისს ეიშის მთავრობის მიერ ალექსი ლევე ინიშნება ელჩად ემინგტონში, მაგრამ ლევე უარს ამბობს ამ დანიშვნაზე, მიდის ლონდონში და იქიდან — ემინგტონში, უკვე როგორც კერძო პირი. აქ მას აძლევენ კონგრესის მბლიოთთვის ლიტერატურული მრჩველის თანამდებობას, რომლის მოვალეობასაც ასრულებდა იგი შერეუ მსოფ-

ლო ომის დამთავრებამდე. ვიშის მთავრობამ ჩამოართვა მას საფრანგეთის მოქალაქეობის უფლება, საპატიო ლეგიონის ორდენი და მისი ქონებას კონფისკაცია მოახდინა. საფრანგეთის ვითარების შეცვლა სენ-ჟონ პერსი დაბრუნდა სამშობლოში თავის იმერკლი მუდლითურთ. ამჟამად პოეტი წელიწადის ერთ ნახევარს ატარებს თავის მამულში („ვინიე“) ტელონის მახლობლად, მეორე ნახევარს კი ეაშინგტონში.

პირველი პოეტური კრებულის გამოცემიდან ცამეტ წლის სიწმის შემდეგ გამოდის პოეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრებული „ანაბაზისი“, რომლის/შთანაღებრი მოგვარონებს იმავე სახელწოდების ძველი საბერძნეთის მწერლის ქსენოფონტეს ნაწარმოებს. პერსის კრებულში ლაპარაკია დამპყრობელზე, რომელიც ზედღებუ იპურებს სხვადასხვა ქვეყანას. პოემის ფონი მოგვარონებს ახლს. მგრამ მოქმედება წარმოებს ვეღვან და არსად. პოლინელი კრიტიკოსის ვეი კეიატოკოსის სიტყვით, (გვ. „ვი-ცე ლიტერატურა № 460 1960 წ.) პოემა წარმოადგენს „სენ-ჟონ პერსის ისტორიოგრაფიულ ალექსანდრის პირველ ასოს“. ფილოსოფიური განზრახვით კრიტიკა აღნიშნავს აქ პერსონისა და ნიქ-შეს ვალდებებს (დამპყრობითი ომტყვები და „L'Ess Vital“ ამით არის ახსნილი). პოემას ხსნიან, როგორც კაცობრიობის ბედის მტეტფორას, როგორც „მამაცური საუკუნის“ სიმბოლოს ან, აღენ ბოსკეს თქმით, წმინდა „ეპიკურ მო-შენტს“. კეიატოკოსის აზრით, აქ შეიმჩნევა გამარჯვებული საფრანგეთის მოტივი, საღრანგეთისა, რომელიც აღორძინდა ახალ იმპერიად. ნ. ბალაშოვი, პირიქით თვლის რა „ანაბაზისს“ „სოციალურ უტოპიად“, წერს: „მისი შექმნა გაპრობებელი უნდა იყოს კოლონილისტური იდეოლოგიის დამლევით და აღმოსავლეთისაღმდ, როგორც მამართ გართობისა და ევზო-ტეკურ-ფერწერულ შთაბეჭდილებების რეზერ-ვეარისაღმდ, „სამოშმარებლო“ მიდგომის უარ-ყოფით“, „ანაბაზისი“ სენ-ჟონ პერსის ფსევდონიმით მოწერილი პირველი ნაწარმოებია. ამ ფსევდონიმით იგი გახდება საქვეყნოდ ცნობილი. „ანაბაზისთან“ ერთად გამოიცა კრებული „პრინციის შეგობრბა“. ომის და ომისშემდ-გომ წლებში პოეტის პრაღეტიკულობა არ ცხრება: ზედღებუ გამოდის კრებულები: „გან-ღევა“ (1942), „წიშეშე“ (1944), „თოელი“ (1944) „ქარი“ (1946), „ზღვის ორიენტრება“ (1957), „ქრონიკა“ (1960), „დადაი დრო“ (1960).

„განღევა“ დაწერილია სამშობლოსაგან და-შორებით, როდესაც იგი მწარე დღეებს განიც-დიდა. პოეტი ნაღვლიანად მსჯელობს თავის მიდგომარებაზე. იგი გრანობს თავის თავს განღევილიად არა მარტო ამ ისტორიულ-სი-ტუაციაში, არამედ საერთოდ ცხოვრებშიდან.

მოუხედავად ამისა, იგი არ იხრის ქედს. მისი ლექსები მოუწოდებენ ბრძოლისკენ და მწვე-ფერება „წინააღმდეგობის“ მოწარმეობასა და წყობილებას.

პერსი ანტიურობის მცოდნე და მოყვარულია. თავის შემოქმედებაში იგი არა იშვიათად იყე-ნებს ძველ ბერძნების პრიმიტიულ შეხედულე-ბებს, რითაც თავისებურ პოეტურ ფორმას პოულობს. ასე, მაგალითად, კრებულშია — „წიშეშე“, „თოელი“ და „ქარი“ კრიტიკას მიცეს საბუთი ელაბარკანთ სენ-ჟონ პერსის „მეტაფიზიკაზე“. ამ მხრივ საყურადღებოა კრე-ბული „ქარი“. ქარის პერსის პოეზიაში ქვეყნის მდღეივი მოპრობის განსახიერებაა. იგი, რო-გორც სხვა სტიქიონი პერსის პოეზიაში, გვა-გონებს პერაკლიტეს „panta rei“-ს და ანაქ-სიმენის „ქარს“. კრებული „ქარი“ დაწერილია 1945 წელს, იგი აფორაბლებს ატომური ომის საშიშროებაზე და პოეტის მაღალ დანიშნულე-ბას ქადაგებს, რადგან მხოლოდ პოეტს შეუძლია ადამიანებს შორის შუამავლობის გაწევა. პერსი ხაზს უსვამს, რომ ამ შემთხვევაში „ლაპარაკია სწორედ ადამიანზე“.

„ზღვის ორიენტრები“ — მიმია ზღვისაღმდ: რეალური ზღვა, როგორც სიმბოლო მშვენიერი და მელღარე, გრანობაი და აშლადებული, ნათელი და აედრის ღრუბლებით დაფარული ქვეყნისა, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ. „ქრონიკა“ მკრე პოემაა, რომელსაც წითელი ზოლით გასდებს ჩვენი დროის, „დადაი დროის“ სახე.

„ანაბაზისი“ გამოქვეყნებით, სენ-ჟონ პერ-სის პოეზია ფართო გამოხატებურება პოვა საფ-რანგეთში და მის გარეშით. ფრანგულ და უცხოური კრიტიკა თვლის მას ჩვენი დროის ყველაზე დიდ ფრანგ პოეტად, პერსის ნაწარ-მოებები თარგმნილია ინგლისურ, იტალიურ, გერმანულ, ესპანურ, შვედურ და სხვა ენებზე. საინტერესოა აღინიშნოს „ანაბაზისის“ რუსული თარგმანი შესრულებული გ. ადამოვიჩისა და გ. ივანოვის მიერ ვალერი ლარბოს წინასიტყ-ვაობით, რომელიც 1926 წელს გამოიცა პარიზ-ში და ნაწვეტები „განღევილიან“ და „ზღვის ორიენტრებიდან“ გ. ფოლადიანის მიერ თარ-გმნილი სიმხურ ენაზე, დაბეჭდილი პარიზის სიმხურ ფერნანდ ანდასტრანში“. სენ-ჟონ პერ-სის შემოქმედება განხილულია როცე კეიუას წიწში „სენ-ჟონ პერსის პოეტია“ და აღენ ბოსკეს მონოგრაფიაში, რომელიც გამოხტლია ჩვენი დროის პოეტების ფრანგულ სერიაში. პოლონურ ვახუთში „ნოვა კულტურა“ დაბეჭ-დილია ნაწვეტები პოემიდან „ანაბაზისი“, ჩვენს საბჭოთა პრესაში გამოქვეყნებულთა ნ. ბალაშოვის წერილი „სენ-ჟონ პერსი პოე-ლობს ორიენტრებს“ („Вопросы литературы“ 1961, №3) და პოეტ გრიგოლ აბაშიძის წერილი „დასაფლავი ევროპის პოეზიის ორი ლატერატი“ (1959 წ. 11 დეკემბრის „ლიტერატურელი“ გა-

ხეთი), სადაც განხილულია პერსისა და სალვატორე ქეზიშიმოდოს შემოქმედება.

არ იქნება ანტირესის მოკლებული, მოიყვანათ კარტიკოსების მიერ გამოთქმული ზოგიერთი აზრი სენ-ჟონ პერსის შემოქმედებაზე. ფრანგი ლიტერატურისმცოდნე მარსელ არლანი წერს: „ლევს შემოქმედება... ერთ-ერთი ყველაზე მეტრია... მაგრამ მას აქვს იშვიათი სიმკერძე და რეზონანსი“. იგი თვლის, რომ პერსის შემოქმედება განუყოფიერებელია რემბოთი, კლოდელით და, შესაძლოა, ანდრე ვიდის „მიწიერი საზრდაოთ“. მაგრამ პერსისათვის უტყობა ვიდის გენალტიური ტონი. სადრად-ღებოა, რომ შემდეგ არლანი ლაპარაკობს „აღმოსავლურ ლაზნაზე“ და აღნიშნავს პერსის პოეზიის ლაკონიზმს, საზიგო განწყობილებას, თავშეკავებულ გრძნობიერებას და სხვა ამგვარ თვისებებს. პ. ა. სიმონი ადარებს რა ერთმანეთს ორ „პოეტს-ელანს“ კლოდელს და პერსს, მათ შორის განსხვავებას ხედავს იმაში, რომ პერსი სრულიად არ არის რელიგიური და „მთელი სიღაღდე (le sublime) აქ ადამიანისაგან და მის ისტორიისაგანაა“. ვეი კეიტიკოსების აზრით „სენ-ჟონ პერსის პოეზია უნდა ზაითვისის ფრანგული სიმბოლიზმის უკანასკნელ სიტყვად“. დაახლოებით ასეთვე აზრისანი არიან ფრანგი კრიტიკოსები გი მიშო და ტანკრედ დე ვიზანი. უკანასკნელი წერს: „იმ ქარში, რომელიც არხევის ტოტებს, არის რაღაც ფსიქიური, რაღაც ირაციონალური, რაც განაპირობებს იმას, რომ ჩვენ ვგრძნობთ კავშირს გარემოცვასთან“. ნ. ბაღაშვილი წერს „ოპიერტრეზის“ შესახებ, რომ „სენ-ჟონ პერსის ამ წიგნის მთავარი ხაზია ჩვენი დროის დიდი ადამიანური პრობლემების კუმანისტური ვადაწყვეტა“. სენ-ჟონ პერსის პიროვნების უკეთ გაყნობისათვის ფასდაუდებელია იმ პირობების მოგონება, რომელიც მას აცნობდნენ. კერძოდ, სინტერესოა შვედლი-ჟალის მარსელ ოკლერის მოგონებები. პერსმა გამოიყვანა იგი პირველად ლიტერატურაში: „ეს ადამიანი, რომელიც ანტილის შორეული კუნძულებიდან მოსულა, ყველგან ცოტათი უცხოელს ჰგავდა“ და, ამავე დროს, „ყველაფერს ესწრებოდა, მამასადამე, ყველგან ჰქადა ჩანდა“. შემდეგ იგი წერს: „პერსი — სიზუსტის პოეტია, შესაძლოა მისი ვრცელი სიმღერები უკვე წინასწარ გვიცნობდნენ, თუ როგორი იქნება პოეზია კოსმორ მეცნიერების ეპოქაში, რომელშიაც ჩვენ უკვე შევდივართ და სადაც სინამდვილე წარმოსახვას ესწრება“. აღენ დურნიე, „დიდი მილონის“ ავტორი, თავის წერილებში ფაქ რიგიერისადმი, ზნაჩად აღსვენებს ლევს, რომელიც მაშინ ბეარნი ცხოვრობდა და რომელიც თვარამტი თუ ოცი წლის იყო. „ლევე მაინც მალიზიანებს თავისი თავხედობით (უნებურად) და თავის გულმაზობლობით. მას რაღაც ტრანსცენ-

დენტური აქვს და გულდაუკერებელია“. ვაიდახეთი წელი. ახალგაზრდებს შორის შეკატბობა განმტკიცდა, თუმცა მათ სხვადასხვა მდებარეობით (ფურნიე მოკლეს ომში 1914 წლის დასაწყისში). 1911 წლის სექტემბერში ფურნიემ ორადლე გაატარა ლევსთან. ფურნიე წერს: „მომსალმა დიდი ზეიბით, ისე როგორც იცის ხოლმე და მაშინვე დავიწყეთ უგზო-უძალოდ ზეიბალი შელაშემდე. მისმა განსაყურებულად თავზაინა ლაპარაკმა, მნიშვნელობამ, რომელსაც ყოველ ზემს სისულელეს ანიებდა, საშინლად დამაძადა და თითქმის გამაბრაზა ამ საღამოს, ზანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ-მაგრამ, როდესაც დაუფრტრდი და მესხიერებაში აღეადგინე ყველაფერი ის, რასაც მეუბნებოდა, გაკვირვებით უნდა აღენიშნო, რომ მისი სიტყვები აღსავსე იყო ნდობითა და თითქმის გულახდლობით... მისი მსჯელობანი ლიტერატურაზე ყოველთვის თითქმის მისტიკურად ზუსტი იყო... ჩემდა განსაყურებულად, იგი ეკვის თვალთ უყურებდა ვიდის, თითქმის მტრულად, მის მიმართ იხმარა სიტყვა „მაწანწალა“...“

მაგრამ ყველაზე მეტად მაინტერესებს იგი, როგორც ადამიანი... მე ვგრძნობდი, რომ იგი სავსე იყო საუცხოო, არაჩვეულებრივ პეიზაჟების მოგონებებით, მის წარმოდგენაში ისაუბროდა მწერებისა და ფრინველების მთელი სამყარო. ჩვენი დმინარის ნაპირზე მას აგონდებოდა ოკეანეს წყალი, ასეთივე ანკარა, ასეთივე გაყინული... პირველად გაიღიმა კეიბა დლით. საუბრის დროს მომხიბლავი იყო, შერე, სანამ მივატოვედი მას, იგი ნაკლებად შებოროტილი ჩანდა, უფრო მეტად. უშუალო, რაც ადასტურებს იმას, რომ მისი მოგონებები სიმკაცრე იყო თითქოს განზრახ მოვლილი. მე ვერ შევძლებდი ასეთი მკაცრი ნებისყოფის ადამიანთან ცხოვრებას“.

როდესაც ჩვეულებრივებით პერსის პოეზიის სტრუქტურის და გონების თვალთ წარმოიდგენეთ მის მიერ განვლილი ცხოვრების გზას, არ შეიძლება არ შევამჩნიოთ, რომ იგი ყველაფერში მლიანი და თანმიმდევარი ადამიანი იყო. დიბლომატი ლევე ყოველგვარ ზომებს ზმარობდა იმისათვის, რომ პოლონეთი კატასტროფისაგან გადაეჩინა, მოგვიანებით იგი პირად კარიერაზე უარს აცხადებს, მაგრამ თავის სამშობლოში უცხო დიტატს არ ემორჩილება. სამშობლო და მშობლიური ენა სიკეთესს მპატებს მას და მისიმე 1942 წელს იგი წერს არჩიხაღდ მაკლიმს: „თუნდაც რომ მე არ ვყოფილყავი... ნამდვილი ფრანგული წარმომობისა, ნამდვილ ფრანგულ თიხისაგან გაკეთებული (ჩემი უკანასკნელი ამოსუნთქვა, ისე როგორც პირველი, ყოველთვის იქნება ჭინჭარად სუფთა ფრანგული), მაშინაც კი ფრანგული ენა

იქნებოდა ჩემთვის ერთადერთი შესაძლებელი თავშესაფარი“...

სენ-ჟონ პერსის პოეზია უპირველეს ყოვლისა უსიუვეტო პოეზიაა. მის კრებულებსა და პოემებში თქვენ ვერ ნახავთ ამის თანმიმდევრობით შოკოლას, კონკრეტულ მოქმედ პირებს, ვერ მოგვიყვებით იმის შესახებ, რაც წაიცი-თხეთ. მაგრამ მინც ვის ეხება პერსის პოეზია, რაზეა იგი? ადამიანი, სიყვარული, მეგობრობა — აი, მისი პოეზიის თემა. მშვენიერია ის ქვე-ყანა, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, გვეუბნება პოე-ტი, მშვენიერია დედამიწა, მშვენიერია ცა, მშვე-ნიერია ცხოვრება. პოეტი ცდილობს შეიცი-ნოს სამყაროსა და ადამიანის საიდუმლოება და ჩვენც მიუყვებით მას ამ თავბრუდამხშმელ, აბლ, წარბაქვ გზით. გულისხმიერი და თანამ-გრძნობელი მეთხველი პერსის კრებულის წა-კითხვის შემდეგ გამდიდრებული დარჩება. პერ-სო ვეღვან უმღერის სიყვარულს: სიყვარულს ქალისადმი, ცხოვრებისადმი, მიწისადმი, ადამიანების, ზღვის, ცის, ქვიშის, მიწის სიყვარულს ზღვისადმი... ამ ყოვლისშემკველ სიყვარულში მგადადგება პერსის პოეზიის უდავო ჰუმანიზმი და ცხოველმყოფელი ძლიერება. იგი ემსახურე-ბა მხოლოდ ერთ მიზანს: ადამიანის განდიდება მის მიერ გაგრძობილი ქვეყნის აღშენისა და ჩაწვდომის საშუალებით. პერსის პოეზიის მთა-ყარი თემა ადამიანია. ამიტომ სრული უფლე-ბით აცხადებს პოეტი და ეს ეხება მთელ მის პოეზიას: „C'est ce l'homme qu'il s'agit“ (საუბარი ეხება ადამიანს).

სენ-ჟონ პერსის პოეზია თავისუფალი სიუ-ბარია, რომელიც არაა შეზღუდული არც სიუ-ვეტით და არც მოქმედების ადგილით (თუ ამაღ არ ჩავთვლით შოელ დედამიწას), საუბარ-ი, რომელიც როგორც უოველი საუბარი, ერთ საგნიდან მეორე საგანზე გადადის, მაგრამ სა-უბარი ფიქრებში წასული და ფილოსოფიური, სადაც თვითველი სიტყვა წინასწარ აწონილ-დაწონილია და, ამავე დროს, საუბარი აბალე-ბული, დახვეწილი, თუ გნებავთ, აბსტრაქტ-იული, უკიდურესობამდე დატვირთული. სა-ხეებით.

პერსის პოეზიის მეორე თვისება, თუ პარა-ლელს გვადევნებთ ფერწერისთვის, ეს გახლავთ — მღერტალება დეკორატიულობისაკენ, რაც გა-ბატონებულია ისეთ მხატვრებთან, როგორცაა მატისი: ბალამოვი თავის წერილში ახსენებს რეიხს (მართალია, სხვა პლანში), მაგრამ პერ-სთან დეკორატიულობა მგადადგება დიდებულ, ზოგჯერ მალაფარდოვან მეტაფორას. ამავე დროს, ეს მალაფარდოვანება და ფერადულო-ბა, თანამედროვე დასავლეთის ლიტერატურის მრავალი ნაწარმოების დაღერემილ, მოღუშულ ფონზე, უჩვეულო კონტრასტად მოჩანს, პერ-სი ამჯობინებს „მაეორულ ტონალობას“.

ანდრე ვიდელ ავრეთვე, ამაღლებული ვიბ-რაციის მწერალი იყო, ოღონდ სხვა სახისა.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ პერსს არ მისწონ-და ანდრე ვიდის ავადმყოფური ძებნანი, პერსის პოეზია თავისი სიმკაცრით ნამდვილ პეტრიტუ-ნიზმად მოგვეჩვენება, თუმცა პერსის სრული-ადეც არაა ასევეტი. „ზოგადაკობილელი“, „ზო-გადიბეროვილი“ და „კოსმოფერ“ პრობლემებთან ერთად პერსის წიგნები გამსუვალულია დახვე-წილ და გამაღიერებელი გრძნობიერებით. ამი-ტომ, როდესაც ვლაპარაკობთ პერსის პოეზიის ინტელექტუალურობაზე, არ უნდა დავიყოფოთ მეორე მომენტიც: გრძნობიერება. პერსის პოე-ზია ინტელექტუალურ-გრძნობიერია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პერსის პოეზიაში მნიშვნე-ლოვან ელემენტს წარმოადგენს დამიფრული, თავსატეხი ადგილები. თუ სტენდალი თავის ღროზე მიფრავდა „წითელ და თეთს“, ეს ცენზორული პირობებით იყო გამოწვეული. პერსს „დამიფრავა“ უნებურად მოსდეს: მას სურს, რაც შეიძლება ნაკლები სიტყვიერ, თქვას რაც შეიძლება მეტი. აქედან გამომდინარეობს პერსის აზრისა და სახის ძნელად ათვისება, მაგრამ რამდენად აუცილებელია ხელოვნების აღქმისად გააქცევა? ყველაზე ძლიერი არავ-მენტი ამის წინააღმდეგ — სალი აზრია. ის არ-გუმენტი, რომ ჩვენი საუყუნე ჩქარი ტემპებით ხსითადება, ადამიანს არ სცლიან და ამიტომ ყველაფერი „რაც შეიძლება მოკლე და სწრა-ფად“, აქ არ გამოდგება, რადგან ეს „მოკლე და სწრაფად“ პერსთან მეტად პირობითია, თუ მკითხველი მონიღომებს ყველაფრის გაგე-ბას.

ესადა, პოეტს ასეთი სტილი უპირატესობას აძლევს. ჯერ-ერთი, იგი მოითხოვს აზროვნების გამდიდრებულ, შეუხსტებულ, თითქმის არაა-დამიანურ დაძაბულობას. საეჭვია, რომ პერსის „გაბმით“ წაიციხვის შემდეგ შეძლოთ მის შე-სახებ ისეთი სისრულით მსჯელობა, როგორც დიუმა-შაის შესახებ. სხვანაირად რომ ვსთქვათ, პერსი უნდა ათთვისოთ უფრო შენელებული ტემპით. მეორეც, სისრულით რომ ათვისოსოთ პერსი: აუცილებელია თქვენი ერთდციის გაღ-რმავება პოეტის ინტერესების ძირითადი მი-მართულების მიხედვით და მხოლოდ შესამე, უყანასკნელ ეტაპზე (იმათთვის, ვისც ჩვენს აჩქარებულ საუყუნეში მიადწევს მას) ნამდვილ და სრულ პერსს შეიგრძნობთ. ერთი შემჭიდ-რობული ფრაზით, ერთი კონდენსირებულ აბზაციით იგი თქვენს წინასწარ მომზადებულ გო-ნებაში წარმოსახავს ვრცელ სამყაროს. მაგჩამ, მკონი, ყველაზე თანამედროვე თვისება პერსის პოეზიისა მღგომარეობს მის „კოსმოსურობაში“, რომლის შესახებ ხშირად წერენ კრიტიკოსებ-ოღონდ აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ პერსის მიერ ეს „კოსმოსურობა“ შინაგანად განცდილია. თა-ნამედროვეობის მჯჯისცემა აშკარად იგრძნობა პერსის მრავალფენიან პოეზიაში. მისი პოეზია უკიდურესობამდე მგრძნობიარეა თანამედროვე ვანეითარების ღინამივის მიმართ, ავრეთვე უყე-

ლა მერტილიანის ადამიანის დახლოებისადმი, რაც მისი პოეზიის არსებითი, გადამწყვეტი თვისებაა, ამიტომ ვერ დავეთანხმებით ვერ კლიატოკოსის დასკვნას, ვითომ პერსის პოეზია — ეს წარსულისავე მიბრუნებელი სამყაროა. ამ სამყაროს ძირები მართლაც წარსულშია (ანტიკრობა), მაგრამ თავის ნათეს იგი ამჟამის თანამედროვეობაში, დღევანდლობაში.

ახლა დეტალურად შევიხილოთ სენ-ჟონ პერსის ერთ-ერთი კრებულზე — „ზღვის ორიენტარები“ (1957). ეს კრებული „Amers“ (ნ. ბალა-შვილი თარგმნის, როგორც „ორიენტარები“, უფრო ზუსტი იქნებოდა „ზღვის ორიენტარები“), მოცულობითა და მხატვრულ ღირსებითაც სენ-ჟონ პერსის შემოქმედებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია. პოეტი სწერდა მას 1950-52 წლების მანძილზე და, ამავე დროს, იგი ნაწილ-ნაწილ იმუშავებდა ფრანგულ ლიტერატურულ ჟურნალებში. ცალკე წიგნად გამოვიდა 1957 წელს „გალიმარის“ გამომცემლობაში, 186 გვერდის მოცულობით. გადამლით თუ არა ფრანგულ წიგნს, შეაჯიშობ, რომ ჩვეულებრივი „მინიარსის“ მაგიერ კრებულს წამოღვარებელი აქვს „Thème“ (თემა), ისიც მხოლოდით რიცხვში, მაშინ როდესაც კრებულში რამდენიმე „თემა“: Invocation, Strophe, (კრებულის ყველაზე დიდი ნაწილი), chœur, Dédicace. მაგრამ, ეტყობა, პერსი მხოლოდობით გულისხმობს მრავლობითს, რადგან შემდეგ ასეთივე თანმიმდევრობით იცავს „Invocations“-ის მაგიერ „Invocation“-ს და „Strophes“-ის მაგიერ „Strophe“-ს. წიგნის ბოლოს მოთავსებულია ვრცელი „Index“ („მანკვენებელი“). ლექსებს სათაურები არა აქვთ, ახალი ლექსი იწყება იქ, სადაც ზახვასმულია დასაწყისი სიტყვა. და ბოლოს კიდევ ერთი „უცნაურია“ „Dédicace“ მოთავსებულია წიგნის ბოლოს. მაგრამ ეს არა იმდენად ტრადიციული „მიძღვნა“, რამდენადაც კრებულის ფინალური აკორდი. პერსთან „თემა“, „სტროფა“ და „ჩოე“, იმდენად მრავალსაშემცველი ენებებია, რომ გარეგნულად ისინი მხატვრის აბსტრაქციონისტიკის მერ ფართოდ გამოყენებულ სახელწოდებებს „კომპოზიციას“, „ვარიაციას“ ან უბრალოდ „ფერწერას“ (Peinture) მოგვაგონებს. გარეგნულ მსგავსების გარდა, პერსის პოეზიას აბსტრაქციონიზმთან ახლოვებს, აგრეთვე, ზოგიერთი რამ პოეტის შემოქმედებითი მრწამსიდან. პერსი ისწრაფვის, თვითონი ლექსი რაც შეიძლება მეტად „განაზოგადოს“. საბოლოო ტექსტი უოკლავარ მოსამზადებულ ეტაპისაგან გათავისუფლებულია, რაც არა იშვიათად აბუნდოვნებს მის აზრს. პერსის კონდენსირებული ფრაზა მდიდარი და სხვადასხვანაირია რიტმიკით, კომპოზიციით, ელერადობით და, ცხადია, აზრობრივი მნიშვნელობითა და მრავალგვარი ასოციაციებით. ამა-

ვე დროს, პოეტს უფრო იზიდავს მოკლე და კლასიკურად ნათელი ფრაზა, რაც უფროდ იწვევს აზრის კოლოსალურ დამამუქრებელს და კეთილსინდისიერებას. მოკლე, ენერგული ფრაზა თითქოს ღერძია, რაზედაც ასხმულია სენ-ჟონ პერსის სიტყვიერი და სახეობრივი სიმდიდრე. პერსის აზრი — ეს არის ასოციაციების ზღვრის შეუწყვეტელი გადაშლა. პერსის პოეზიის „საიდუმლოების“ გასახსნელად საჭიროა მივმართოთ მის „თემებს“. ცხადია, პერსის კრებულის ყველა „თემაზე“ მსჯელობა უაზრო და უნაყოფო საქმე იქნება. ამიტომ ჩვენ გამოვეყოფთ რამდენიმე საკვანძო თემას და მათი გარჩევა-ანალიზით ვეცდებით გამოვარკვიოთ სენ-ჟონ პერსის პოზიციის როგორც მხატვრისა თანამედროვეობისა და ცხოვრების წინაშე.

პერსის ერთ-ერთი მთავარი, სრულიად ბუნებრივი, საზრუნავია გამოარკვიოს ლიტერატურისა და პოეზიის დანიშნულება ჩვენს მეტად ცვალებად სამყაროში. უმეტეს შემთხვევაში, მისი აზრით, პოეტი ეს არის ადამიანი, რომელიც უკეთესი, უფრო ჰუმანური ქვეყნისათვის იბრძვის. პერსის წარმოდგენით, პოეზია ის აქტიური ძალაა, რომელსაც შესწევს საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენა. აი, როგორი მხატვრული, სახეობრივი ენით ლაპარაკობს პერსი პოეზიის დანიშნულებაზე:

„პოეზია რომ იყოს აკომპანიმენტი ზღვის სამატივემლოდ ხმამალა კთხვისა.

პოეზია რომ თან ახლდეს ზღვის ვარშემო სელის სიმღერას...

... და ეს არის ზღვის ისეთი სიმღერა, რომელიც არასოდეს მოგვისმენია, და რითაც ზღვა ჩვენი ამღერდება...

...პოეზია, რომელიც ჩაქრობს დედამიწის ირგვლივ

ზღვით მოგზაურობის ღამისთევის ცივ-ცხელებას“. (სტ. 19) საუბრალებობა, რომ პოეზიის თემა აქ დაკავშირებულია ზღვის თემასთან. და ასე გრძელდება მთელი კრებულის მანძილზე: ირი ერთმანეთზე გადახლართული ზაზიდან ერთი მუდამ ზღვაა, მეორე ცვალებადია, — სიყვარული, ქალი, დედამიწა, ადამიანი. სენ-ჟონ პერსის „მეტაფიზიკაში“ ზღვა ყოველის-შემცველი, კონკრეტულ განსაზღვრას მოკლებული სიმბოლოა, რომელიც სხვადასხვა კონტექსტში გარესამყაროსა და ადამიანის ცხოვრების მრავალსახეობის ასოციაციას იძლევა.

პოეტი თვითონ გვიხმობს შევიხედოთ მის შემოქმედებითს ლაბორატორიაში: სენ-ჟონ პერსის პოეზიის გასაგებად ამ ადგილებს დიდი მნიშვნელობა აქვთ:

... „დიდი ხანია მიწილია განმეცადა ეს პოემა. ამ პოემაში მე ვაქსოვ დღისით ნათქვამსა და შორეული ზღვის ელვარებას, როგორც ტყის ნაპირზე, შავი ლაქის ფოთლებს შორის, ლაყვარდისა და ძვირფასი ქვების ფერი ცის

მოულოდნელ გამოინახა: წინწკლებს შუა, ბრკვეილა ჭერცილი, ლაყუნებში წაელებულ, დიდი თევზისა!

და ვინ მოკრავს ყურს ჩემს ფართელ აზრებს? ღიმილით და თავახიანობით დაფარულს...

რადგან დიდი ხანია მინდოდა განმეცადა ეს პოემა და ფართული ღიმილით ეინახავდი მისთვის ჩემს თავახიანობას: მთლიანად აესტუბელი, მთლიანად გარემოცული, მთლიანად დამჭკრებული დიდი პოემით, მადრეპორის რძესავით. წუნარია მოქცევისას, როგორც შეაღამის ძებებში, სიზმრის დიდი მდინარების მერად წელი აზვირთება, როცა ღია ზღვის პელისს ფეთქავს ნახად მიჰყავს გვარლი და კახელი.

და საჭირო იყო იმის თქმა, როგორ მომივიდა აზრი შეუდგე ამ პოემაში. მაგრამ განა საკმარისი არაა მისში სიამოვნებას პოელოდზე? (სტ. 22-23).

შემდეგ პოეტი ეხება იმას, თუ რა პასუხს აგებს პოეზია ჩვენი დროის წინაშე:

„მე პასუხსავებ დაწერილზე, პატივს ეცემ დაწერალს. აღთქმით შექმნილი დიდი ნაწარმების საფუძვლის ჩაყრისას, ვინც შემოგვთავაზა ტექსტისა და შენიშვნების შედგენა, და ვისაც სიხოვია მომნიჭებელთა ასამბლეამ, ერთს აქვს მოწოდება ამისათვის. და ვერაფერს ვაფიქს, როგორ შეუდგა ამ საქმეს; იტყვიან, რომ ტყავისმზღვლების ან შელოთონების უბანში, — ხახალბო აჯანყების დროს — საკომედანტრო საათის ზარისა და სამშედრო ბეკნადარის შუა დროს“... (გვ. 23).

აქ თითქოს პერსი არა იმდენად კოსმოსურია, რამდენად კონკრეტული-ისტორიული.

ფრიალ მნიშვნელოვანია ზღვის მოწოდება პოეტისადმი, რომ მან იპოვოს „თავისი ოქრო“ და ბუნებას შეუდგედეს:

„იპოვე შენი ოქრო, პოეტო, ნიშნობის ბეჭდისათვის; და ზარების შენი შენადნობი, გზის შაჩვენებელი მიმართულებით“ (გვ. 36).

ლექსში „ვარსკვლავებისა და ნივთიერების პატრონისაგან“ პოეტი სიმჭრით ამბობს, რომ მას „ბნელს“ უწოდებენ:

„ბნელი ხარო მეუბნებოდნენ, ჩემი საუბარი კი ზღვას ეხებოდა“ (გვ. 45). და შემდეგ: „და ჩემი უპირატესობა ზღვის მიმართ ისაა, რომ თქვენთვის ვიკონებო რეალურობის ოცნებაზე. ბნელი ხარო მეუბნებოდნენ, მე კი ვცხოვრობდი ელვარებაში“ (გვ. 46).

„ზღვა“ და „ელვარება“ ყოველივე იმ ნათელის სიმბოლოებია, საითყენაც მიისწრაფვის პერსის პოეზია. თვითონ პოეტი არ ცდილობს იყოს მწვლად გასაგები, პირიქით, იგი ლამაზაკობს „ზღვაზე“ და ცხოვრობს „ელვარებაში“. ფრიალ მნიშვნელოვანია „რეალურობის ოცნება“, ესე იგი მისწრაფება თავისებურად გადმოსცეს რეალური სამყარო. აქ, შეიძლება, ღირდეს რეალურობის მომენტის აღნიშვნა, იმ

კრიტიკოსების საწინააღმდეგოდ, რომელნიც ძალიან ხშირად ლამაზაკობენ პერსის „მეტაფიზიკურობაზე“ და აეიწულებენ **მეტაფიზიკურობაზე**.

მნიშვნელოვანი მომენტია აგრეთვე ის, რომ პოეტს თავისი მეზუები, „les Tragédiennes“, გამოყავს (როგორც სამართლიანად აღნიშნავს ნ. ზალაშვილი) უბრალო მჭრამელ, სოფლის გოგონებად:

„შეშრებულ ხალხში, ზღვისკენ, მთელ გროვად მივდივართ, იმ ფართო მოძრაობით, რომელიც ვადმოიღეს ზღვის მტრუკობისაგან გლეხი ქალების მსხვილმა ზარდაყებმა — ახი უფრო მიწიერი, ვიდრე პლემსი და მეფეების მარცხალი“

ჩვენი გოგები აგრეთვე ზაფრანის ფერთაა შეღებული, ჩვენი ხელისგულები შეღებილია მოღუტების ძოწეულით ზღვის საპატრუცემლოდ!“ (გვ. 52, 53).

პოეტს აღაფრთოვანებს და იტაცებს ხალხის შუაგულში ყოფნა, იქ, სადაც სიცოცხლე ჩქვფხ და ოპტიმისტურად აღიქვამენ ცხოვრებას. ერთი დეტალია, რომელსაც იგი ხშირად იმეორებს: „გლეხი ქალების მსხვილ ზარდაყებში“ — ამრიგად, პერსის პოეზიის ერთ-ერთი წყაროა — ხალხი, რომელიც საუკუნეების მანძილზე კვებავდა დიდ პოეტების შემოქმედებას. განსაკუთრებულ გამოსახებლობას ანიჭებს ამ სტრუქტურებს ასონანსი ბეგრაზე ou (უ), რაც მშვენივრად გადმოსცემს ზღვის ხმაურს.

მეზუების გარეგნულ-მხედველობითი აღწერის დროს პოეტი გამოყოფს აგრეთვე შრომით დაქანულ ხელებს:

„აი ჩვენი ხელები, ზღვის მტენები! ჩვენი ხელისგული, ტუჩებსავით შეწითლებული და დრამისათვის ჩვენი მოსაჩვენებელი იარები!“ (გვ. 54).

პერსის ლიტერატურულ „მრწამსად“ შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ნაწყვეტი:

„უბადრუკობა! უბადრუკობა!.. ვეხვეწებით, რომ ზღვის თანდასწრებით პარობა დავეიდო მოგვეცენ ახალი ნაწარმოებები: ნაწარმოებები გამძლე, სიცოცხლის უნარიანი და მშვენიერი, რომელიც იქნება ცოცხალი ნაწარმოები და მშვენიერი ნაწარმოები, — დიდი მწფოთვარე ნაწარმოებია, დიდი უწმარე ნაწარმოები, რომელიც ება იქნება ყოველი ადამიანისათვის და რომელნიც აღადგენენ ჩვენთვის ადამიანის გემოს ცხოვრებისადმი, მის გადპრისადმი, ადამიანის უფრო დიდი ნაბიჯისადმი ქვაზე. ძალიან დიდი ნაწარმოებები და ისეთივე რომ არცნაზე არ იხილინ, როგორც სახისა და რა გვარის არიან ისინი... ახი დაე დიდმა სტოლმა ჯერ კიდევ გაგვაოცოს და გაცვიტოს ჩვენი წლები, რომელნიც მოდიან ზღვიდან და უფრო შორიდანაც, ახი დაე უფრო ფართო საზომმა დაგვაკეშროს და მთელ მსოფლიოში ეს უდიდესი თქმულება ნივთებზე, მსოფლიოს ყველანაირის იქით, დაე აგ-

ეიტაცოს უფრო ძლიერმა სუნთქვამ, რომელიც ჩვენითვის ზღაპრ ექნება და მისი, უცხო ქალის, დიდი სუნთქვაც (გვ. 60—61, ხაზგასმა ჩვენი). ზღვის სახე აერთიანებს კრებულს „ზღვის ორიენტაციები“. ანიჭებს მას ერთ მთლიან ვლერადობას. ზღვის ამღერებაში, ისე როგორც სხვა შემთხვევაში (მაგალ. განდევნის თემა), მეღაენდება პერსის „დუალიზმი“: ზღვა — ეს უბრალო ზღვაა, რომელიც უყვარს პოეტს. და ადამიანის ცხოვრების სიმბოლოა, ცხოვრებისა, რომელიც გადაშლილია სურათების, სახეების, განწყობილებათა, მდგომარეობათა სახით. შეეჩერდეთ ორივე ასპექტზე.

პერსი შესანიშნავი ფერწერით აღწერს ზღვას, უფრო მეტად, ადამიანთან დაკავშირებით (საერთოდ, პერსი მეტად „ადამიანურია“ იმ გაგებით, რომ მას შედარებით ნაკლებად აქვს წარმოდგენილი „ბუნება“ და „მსჯელობები“ სუფთა სახით, თითქმის ყოველთვის ბუნება უშუალოდ დაკავშირებულია ადამიანთან, ძალიან სწირად ბუნება ფიზიკურად შედარებულია ადამიანთან). აი ასეთი პარალელიზმის ნიმუში:

„შუადღე, მისი ელვა, მისი მომასწავებელი ნიშანი; შუადღე, ფორუმზე მისი მტაცებლები, მისი არწივების ყოველი დაცარიელებულ რეიდებზე...“

— ჩვენ, რომელნიც ერთხელ მოკვდებით, ვამბობთ, ადამიანი უკვდავია წამიერების წიაღში.

უზრპატორი დგება სპილოს ძეღის სკამიდან. საყვარელი ტანს იბანს ღამების შემდეგ.

ოქროს ნიღბიანი ადამიანი კი ჩაშობისნის თავის ოქროს ზღვის საპატრეცემლოდ“.

ესაა ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენები „მიძღვნა“, რითაც ბოლოვდება კრებული. აი, ნამდვილი პიზნი ზღვისადმი, რომელიც კრებულის ლიტმორტივად გამოდგება:

„ბაალის ზღვა, მამონის ზღვა — ვველა ასაკისა და ვველა სახელწოდების ზღვა.“

ო, ზღვაო, უსაკო და უგუნურო, ო, ზღვაო აუტკარებელი, რომელსაც წლის დრონი არა აქვს,

ბაალის და დაგონის ზღვა — ჩვენი სიზმრების სახეობა,

ო, ზღვაო, სამარადღეო დაპირებავ და ის, რაც აღმტება ვველა დაპირებას.

ზღვა ჩვენს სიმღერაზე უფრო ძველი — ზღვა მომავლის უცოდინარი,

ო, ზღვაო ვველაზე ჩანგრძლივი დღის გახსენებავ და თითქოს უგუნურობით დაჯილდოვებულო!

მეტად დიდი სიმაღლიდან თვალის გადაკვრა ნივთების ფართო სივრცეზე და არსებობის მსვლელობაზე, მის საზომზე...“

ამ ლექსში, რომელიც თითქოს შედგება კლასიკური ორსტრიქონიანი სტროფებისაგან ერთი დამაბლოვებელი ლექსით, პოეტი უმღერის

ზღვას, როგორც თავისი არსებობით რაღაც მუდმივს და დიალექტიკურს: ზღვა, რომელსაც ვველაფერი ახსოვს და არ იცის მომავალი, ზღვა, რომელიც ვველა დროს ექვთვნის და არ იცის წლის დრონი, ზღვა — ვველაფერის დაპირება და ზღვა, რომელიც ვველა დაპირებებს აღმატება... და, ბოლოს, ზღვა, როგორც ყოველი არსის და ყოველი მოღვაწეობის საზომი, რაღაც ლეთებებივი რამ.

როგორც ღდა თავისი ბავშვისათვის გამოხატავს ზოლზე ვველაზე სააღერსო სიტყვებს, ბანალურ თემად ქვეული ზღვისათვის, რომელიც ისევე ბანალური გახდა პოეზიაში, როგორც მთავარ, პოეტი მეღამ პოელობს მეტად მოულოდნელ და, ამავე დროს, კონკრეტულ-პლასტიკურ შედარებებს და სახეებს: „თითონ ზღვა მთლიანად ქაფია, როგორც სიბილა ვვაილებში ჩაფლული რომ ზის თავის რკინის სკამზე“ (გვ. 20). კრებულის მთელ სივრტეზე პოეტი ზღვას მიმართავს ხან ნაზად, აღერსით, სიყვარულთ, ხან პათეტურად, ნდობით, პატრისცემით, აღტაცებით. თუმცა იმისათვის, რომ ვველა ნივანსა გადმოვცეთ, დაგვირდობოდა „ზღვის ორიენტაციების“ მთლიანად გადმოწერა. თანაც, ზღვა პერსთან — ცოცხალი, მრავალსახიანი არსებაა. „და თქვენ, ო ზღვაო, ისეთი საღმით მოგესალმებიან, რომელსაც დაიხსომებენ დიდხანს, როგორც გულის სიტკბოებას“ (გვ. 21).

პოეტი გრძნობს ზღვის წონას და სხეულს, მის ფერს კი ადარებს საუკუნეობის გამძლე ქვების — დოლმუნების ფერს.

საერთოდ, პერსის პოეზიაში ოსტატურად ვადაზღერთულია ვვენი არსებობის ორი მომენტი — სუღერი და მატერიალური ან, როგორც თვითონ ავტორი ამბობს „Substence et chair“.

გულში ჩაწვდომ ცოტა სიტყვებსა და სახეებს როღი ხმარობს პოეტი შრომისა და ადამიანის შემოქმედებით მოღვაწეობის საღიდებლად. აკი მიმართავს პოეტი გულახდილი პატრისცემით ზღვას: „ძლიერებისა და შრომის ზღვაო!“

პერსს უყვარს ცხოვრება და მის სიღამაზეს აღიქვამს არა მარტო ცივი გონებით, არამედ მთელი სხეულით. პოეტი უმღერის დიად და ამაღლებულ სიყვარულს, მაგრამ ეს სიყვარული არასოდეს არაა მხოლოდ „ინტელექტუალური“, იგი გრძნობადია და ვასაკურად მღიდარი. იგი პიზნია ქალის სხეულისადმი, სიყვარულისადმი და პარმონიისადმი.

ზღვის თემასთან დაკავშირებით ჩვენ უკვე აღვნიშნეთ „ქალის სურნელბა“. ეს ერთ-ერთი ისეთი სახეა, რომელიც პოეტს მეღამ თანსდევს. ისე როგორც იმპრესიონისტებმა ზატედნენ თივის ზეინს სხვადასხვა ვანათების დროს, პერსიც გეთავაზობს ამ სახეს სხვადასხვა კონტექსტში: მოვიყვანთ ერთ მაგალითს:

..... და მთავარ შავი მკითხავი ქალების უბან-

ში მთერაღია ფლეიტების მძაფრი ხმისაგან და კალის ყვირილისაგან. „ადამიანების ტანჯვა, საღამოს ცეცხლი ასი მუნჯი ღმერთი ფილაქანზე ზღვა კი მუდამ თქვენს ოჯახურ კამათს ესწრება, და მთელ ეს სურნელი ქალის წყალმცენარისა, ნაკლებ უგემურია, ვიდრე მღვდლის სეფისკერი... შენი ადამიანური გული, ო გამკლავლო, ამაღამ ნავსადგურის ხალხთან ერთად განლაგდება, როგორც უცხო გემზე წითელი აღის ქვაბი“ (გვ.41).

ამ ნაწყვეტში პოეტი ქალის სხეულის სურნელსა აღარბებს ზღვის წყალმცენარის სურნელს. არაიშვიათად სენ-ჟონ პერსის პოეზიაში ამოზვირთდება ხოლმე ავბორცობის ნაკადი, რომელიც კველდფერს თავის გზაზე იტაცებს. აი სიტყვები, რომლებსაც წარმოთქვამენ პოეტის მუხები, ტრაგიკოსი მახაბრები:

„...და ბოლოს მოადიგართ შენთან, ჩვენი მამების ლეგენდარული ზღვაო! აი ჩვენი სხეული, აი ჩვენი ტუჩები, ჩვენი მუხლები, ფართო შუბლი, ჩვენი მუხლები, ფართო ფორმის მედალივით ჩამოსხმული. მიიღებ კი შენ, სანიმუშო ზღვაო, ჩვენი ტანის ფერდებს, რომელთაც ცხოვრებისეული ბეჭედი ატყვიო? აი ჩვენი გორგონის ყელი, რე შვლის უხეში ბეჭედი შემოსილი ჩვენი გულები და ჩვენი ძუძუ ბრბოსათვის, რომელთაც სწოვს მთელი ხალხი. იქნებ საჭირი იყოს, თეატრალური შესამოსელი ავიხადოთ და ვაჩვენოთ მუცლის საღმრთო ფარზე სქესის ბალნიანი ნიღაბი.“

როგორც გვიჩვენებს მუშტში, მისი ძვირფასი შავი თმის ზეინულით დაბნეული მახვილის წინააღმდეგ თამაშობილი უცხოელი ან ვრძნეული ქალი“ (გვ. 55).

ქალის სხეულის პლასტიკური ფორმების განსახიერებით პოეტი მაიოლის მასიურობისაგან მისწრაფებს.

მომდევნო ნაწყვეტში მოცემულია ზღვისა და ქალის თვალების სათუთი პარალელი და, საერთოდ, ბედნიერების არსის პერსისიული გაგება:

„ო, ზღვა, რომლის წყალობით ქალის თვალევაში უფრო ნატრისფერია, სინაზე და სუნთქვა უფრო მეტია, ედრე ზღვისა, სინაზე და სინაზარი უფრო მეტია, ედრე სუნთქვისა და აღრსის ახეთი სიწორიდან მოსული ჩვენს საფეთქლებთან მომავალი ნივთების უწყვეტობაში.“

თითქოს წმინდა ნერწყვია და თითქოს გამძღმებელი სინაზარი და სინაზე სიმღერაშია და არა თხრობაში; სუნთქვის გამოღვაში და არა გამოთქმაში; და არსების ბედნიერება შეეფერება წყლის ბედნიერებას...“ (გვ.64).

კაცობრიობის სხვა გონიერ წარმომადგენლებთან ერთად პოეტს აცხადებს, რომ ცხოვრების სიბრძნე თვითნებ ცხოვრებაშია. ყურადღების ღირსია აღინიშნოს, რომ აქაც პოეტი ლაპარაკობს „მომავალი ნივთების უწყვეტობაზე“, ლაპარაკობს მომავლის რწმენით.

პერსის „ცხოვრების ფილოსოფიის“ უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანოთ პოეტის ერთ მეტად ლამიადარულ ცხრას: „მეგობრობა სიცოცხლის ამაჯობის ის, ვინც შეტყვევება გადასული, და არა ჩვეულებებით და ქონებით“ (გვ.118) ესე იგი ქონება გქონდეს, ამით ვერ იამაყებ სიცოცხლეში, ამბობს პოეტი.

პერსი არ თაკილობს რეფრენის გადატანას ერთი ლექსიდან მეორეში, ერთი ფრაზიდან მეზობელ ფრაზაში, ასევე მას არ ეშინია ერთი და იმავე სიტყვის გამოვრებისა წინადადებაში, თუკი ამ სიტყვის აქვს მთავარი მხატვრული დატვირთვა. აღტაცებით უმღერის პოეტი სიყვარულის მარად თემას, კაცობრიობის მარად სიყმაწვილეს:

„სიყვარულო, ეს შენა ხარ! არავითარი შეცდომა! ვისაც არ უყვარდა დღისით, ის შეეყვარება ამ საღამოთი, ვინც დღეს საღამოთი დაბადება, იმას ჩვენ ჩავთვლით მუდმივ თანამოწამილედ. ქალები მოგვიწოდებენ ამ საღამოთი. კარი გაიღო ზღვისა და დასის ჩირაღდნები აღგზნებენ დიდ დაცარიელებულ დარბაზებს“ (გვ. 92).

უსავეურო ჩაწვდომით და სულ ახალ-ახალი ნივანსებით უმღერის პოეტი ცხოვრების განმანახლებელ ქალ-ვაყის სიყვარულს:

„შენ აქა ხარ, ჩემო სიყვარულო, და მე მხოლოდ შენში ვარ. მე ავამაღლებ შენკენ ჩემი არსებობის წყაროს, და გავიღებ ქალის ღამეს, უფრო ნათელს, ვიდრე ვაყის ღამე; და ჩემი სიყვარულის სიღაძე იქნებ გასწვლის მოწყალებას, იყო სიყვარულო, მაშინ იქნება სხეულის თამაშის თავისუფლება! წყალობა, წყალობა, და არსებობის უპირატესობა! ღამე გთავაზობს ქალს: მის სხეულს, მის ნავსადგურს, მის ნაპირებს და მის წინანდელ ღამეს, რომელიც მთელ მესხერებას შეიცავს. დაე იგი იყოს სიყვარულის თავსებადი!“ (გვ. 104).

„მე მხოლოდ სიყვარულში ვარ“, ამბობს პოეტი: სიყვარულის გარეშე ცხოვრება კარგავს თავის აზრს. ქალის ღამე უფრო ნათელია, ვიდრე ვაყის, ამბობს პოეტი: ქალი გვიზიდავს ქვბს ცხოვრების მძიმე წუთებს, გვეხმარება შევიცნოთ პოეზია, მას თან მოაქვს პოეზია — სიღამაზე. პოეტი უმღერის ბუნების ზეიმს — ნაყოფიერებას, ბავშვების დაბადებას.

აქ არ შეიძლება არ მოვიყვანოთ ერთი საყურადღებო „მწიგნობრული“ შედარება, რომელიც ქალს ეხება და, მიუხედავად სპეციფიკური სავერსიფიკაციო ტერმინებისა, ახლბურად ეღერს: „ვიწროა, ვიწროა ცუხურა, რომელიც წყვეტს შუაში ქალის სხეულს ანტიკური მეტრიოთ“ (გვ. 114).

პერსის პოეზიაში ბევრია აღმოსავლეთის რეზინისცენიციები. ხანგრძლივი და მრავალი მოგზაურობის დროს, რომელსაც იგი ხან სამსახურობრივი მოვალეობისა ხან უბრალო ცნობის-

მოგვარების გამო ატარებდა, პოეტმა შეიყნოს და შეიფარა აღმოსავლეთი. ბრწყინვალე ფერებთან ერთად აღმოსავლეთს შეაქვს პერსიის პოეზიაში გრძნობიერება და სიბრძნე. ეს რემინისცენტები ხან პირდაპირია და ავტოლად გამოაცხობი, ხან ნაკლებად ვარკვეული, მაგრამ მაინც შესამჩნევია: „ზღვა ირგვია და ქალად იქცევა. ზღვა შეფარებული ქალის მეცვლივით დაულალავად ზელს თავის ნადავლს“ (გვ. 120). აქვე დახატულია სოფარელის იდილიური სურათი:

„ჩემი მარტყნა ძუნე შენს ხელშია, იშვრიონს ბეჭედი შობარულა... დაიჭი ხელის გულში, არსებობის ბედნიერება... ხელი, რომელიც ჩემი პარძიყის მფლობელია, განაგებს შორით იშვრიონს სახეს და სოფარელის სიყვით ვრცელდება მის ვველა პროვინციაზე. დაე წელის სიმშვიდე დაბინადვებს ჩვენში! შორს შესასვლელია, თოვლა და ქვიშებს შუა, დიდ სანაპირო სამეფოში, რომლის ტალღებში ბანაობენ თეთრი ცხოველები“ (გვ. 123).

დედამიწისა და ზღვის მუდმივ ბრუნვას აცვირდება პოეტი შეფარებული თვლებით და ერთი ფრანგი გადმოგვეცემს სიოფლიოს მარადიულ ახალგაზრდობას და სიოცლქებს: „და ფეხშიშველა ზღვა შორდება ქვიშას“ (გვ. 125). ქალისათვის გვირობის ჩადენის შუადყოფნა მოიხმის შემდეგ სტრიქონებში:

„არც ღალატი, არც ფიცის გატება. ნუ გეშინია, გემი რომელმაც მოიტაცა ქალი, არაა გემი, რომელსაც გაიო ტოვებს. და ჩემი ლოცვა ზღვის ღმერთებისადმი: შეინახეთ, ღმერთებო, გაყის გულის ძლიერ უბიწო დაშნა, ქალის მიერ შეჯვარდინებული“ (გვ. 140).

პერსის ძალიან ფუფაკს ბუნება, იგი ყურადღებითა და გულხშივრად აცვირდება მას. „ზღვის ორიენტაციებში“ პეიზაჟი არაა სიტყვაპირაული, იგი კომპაქტურია, მაგრამ ფაქტობრივად აოცრებით, აღსავსე ახალი და უბრალო დაკვირვებებით, ხშირად პოეტის მიერ დახატული სურათი სიმბოლოს ელვადობას იღებს. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ზღვის პეიზაჟები. პერსის „ქალაქური პეიზაჟი“ ზუსტი და მოელოდნელია. მას უნარი შესწევს, ერთი მტრისხით წარმოგადგინოს მთელი ქალაქის სახე: „ნავსადგური ყვარჯნით მუჩუნებზე დაჟღერა“ (გვ. 38), ან რამდენიმე სიტყვით გვახატავს მის დეტალებს:

„ჩვენ ვიწინებთ ამ ბილიკების, პატარა ქუნების დასახარულს, ამ გზატკეცილებს, რომლებიც ჰგვანან გემების მოსაწყე ბაჟრებს და ამ გზისპირა თხრისებს, სადაც ვარდატეხელი კიბე გადმოღვრის თავის ქვეების ანბანს“ (გვ. 38-39).

პერსი შესანიშნავი პეიზაჟისტიკა და, როცა იგი წვიმას აგვიფერს (გვ. 126), ამას ისე წარმოგვიდგენს, რომ წვიმას ცვრანობით ყოველ სტრიქონსა და ყოველ სიტყვაში.

მატერის პალიტრა არა მარტო ნათელი და

მზიარულ ფერებითაა სავსე, ზოგჯერ დგება წითი ეკვიანობისა, მარტოფობიკურ სიმჭრისა, ურწმუნოებისაც კი. ზოგჯერ პოეტის ტრადიციული სიოცხლისა და შემოქმედების უაზრობაზე და აფორიაქებული სვამს კითხვას:

„საქროა ყურილი? საქროა შემოქმედება? — მამ ვინ შეგვემჩინა ჩვენ ამ წუთში? და განსიკვდილის წინააღმდეგ შემოქმედებაა მხოლოდ ერთადერთი?“ (გვ. 154).

დაუდგარი და დაუკმაყოფილებელი გონება, რომელიც ცხოვრების ფილოსოფიურ აზრს ეძებს, მოიანის შემდეგს სტრიქონებში:

„ჩვენი წიგნები წაკითხულია, ჩვენს სიზმრები დამთავრდა, განა მხოლოდ ამაშია ყველაფერი? სადღაა საშველი, სადღაა გამოსავალი? სად ეთგრძნობთ რაღაცის უტონლობას და სადაა ის ზღერბლი, რომელსაც ჩვენ არ ვადავებობთ?“

გვაბიშვილობავ, თქვენ სტუოდით; დაბადებავ, თქვენ გელატობდით! ო, სიცილი, ოქროსძვრა ჩვენს გადაშვეარ ბალებზე!... ქარი ატაცებს პარკებში ნადირობისთვის დიდი სახელის მვედარ ფრთას“ (გვ. 67).

აქ საქმე გვაქვს ადამიანის არსებობის ხრწანდობის თემისთან, პოეტის მეღანქოლის მოქმედებთან.

პოეტი-ქალის პირით პერსი ქებას ასხამს სიმწარეს (l' amertume, რაც არებულ „Amers“-ის სათაურის მეორე მნიშვნელობის ასოციაციას იწვევს:

„სიმწარე, ო წყალობავ! სად ანთია კიდევ სურნელეზა?.. ჩამარტულია უყაბროს მარცვალი, ბოლოს ჩვენ შენკენ მოვბრუნდებით, ცოცხლების ძილგამკრთალო ზღვაო, და შენ ჩვენთვის ხარ უბილი და მძიმე ნივთი, როგორც სისხლის აღრევა ფარდის ქვეშ. და ჩვენ ვამბობთ, ჩვენ ამას ვუბადეთ, ქალებით სავსე ზღვა უფრო მშვენიერია, ვიდრე უზღერბება. და ჩვენ არაფერი არ ვიცით უფრო დიდებულა და ქებისღირსი, ვიდრე შენ.“

ო, ზღვაო, შენ ამობერილი ხარ ჩვენს სიზმრებში როგორც დაუსრულელებელი დამიკრება დროგორც საღმრთო სიმდალუ, ო, შენ, რომელიც აწვევბი ბავშვობის ჩვენს კვდლებს და ჩვენს ტრასისებს, როგორც შემზარავი სიმსიენე და როგორც ლთაობრივი ბორბობავი“ (გვ. 75).

პოეტი რამდენჯერმე მიმართავს კრებულში მარტოობის თემას (გავგუზულს ისევ და ისევ, როგორც მარტოობა თვითონ პოეტისა და მარტოობა საზოგადოად ადამიანისა):

„...მარტოობა, ო ადამიანის გული! ზღვის მოქცევა შენით ვადატანლი მოგვემს უფრო მეტ საზრდოს, ვიდრე სიზმრისათვის?“ (გვ. 137).

ყველა ზემოთხანმოთვლილი თემა პერსის პოეზიაში უშუალოდ ადამიანთანა დაკავშირებული („საუბარი ხომ ადამიანის შესახება“), ყველაფერი — ადამიანისათვის და ადამიანის საშუა-

ლებით, თავისი მუხების პირით პოეტი საჩაყით ღამარაკობს ცაცხალი ადამიანის სიღიადუგ, რომელიც ქვის სიღაღას ვაქეავებულ ისტორიას აღმავტება, რადგან ადამიანზეა დამოკიდებული ახლის შექმნა, ქვა კი წარსულის, თუნდაც დიდებული წარსულის, მოწმეა:

„ჩვენ მოვითხოვთ ახალ წყალობას ღრამის განახლებისა და ადამიანის სიღიაღისათვის, ქვასთან შედარებით“ (გვ. 63).

სენ-ჟონ პერსი ფართო პორტიონტების პოეტი. მისი სახე და აზრი გვიხმობენ ცოდნის-მოყვარეობისაკენ, შემეცნების ფართო ვზისკენ. ერთიანი ოჯახით ცხოვრებისაკენ. ვიწროა იმ ადამიანის სამყარო, რომელიც თავის ნაქუქშია ჩაკეტილი:

„სიღიწროვან გემზე, ვიწროა ჩვენი საწოლი. ფართოა წყლის სივრცე, ვრცელია ჩვენი სამფლობელო სერვილის დასშულ ოთახებში“ (გვ. 102).

საუკუნეების მინძილზე ადამიანი თავს აღწევდა ხოლმე თავის ვიწრო „მეს“, ფართო მშვენიერ სამყაროში გამოდიოდა: „ამიოდ გეხსნავს ახლობელი დედამიწა თავის საზღვრებს, ერთადერთი ტალღა მსოფლიოში, ერთადერთი ტალღა მოდის ტრაოდას დროიდან ჩვენამდე აღწევს მისი თქმ“ (გვ. 102). და პოეტი მგზნებარე მოწოდებით ამთავრებს: „გვიყვარდეთ, ო წყვილებო, გემები და ზღვის მოქცევა ოთახებში!“ (გვ. 103).

განა ეს არაა დიდებული განა ყოვლისშემცველი სიყვარულისა ხილვადი და შეგარნებადი სამყაროსადმი? განა ეს არაა ოპტიმისტური, აქტიური შეჭრა ვარემო სამყაროში? ეს ხომ დღევანდელი დღის პოეტი, ეს არის პოეზია, რომელიც ჩვენ გვეუფენის, ჩვენს თანამედროვეებს. ამიტომ არ ვეთანხმებოდით ეყი კვატორკესვის, რომელიც პერსს წარსულს აუთონებდა.

დღევანდელი დღის მაჯისცემას ყურს უგდებს პოეტი. იგი არ ემალება ჩვენს დროს, მას შესწევს უნარი, ვაეცადება თვითი გაუსწოროს თანამედროვეობას და სწავლებებთან ერთად შეამჩნოს ყველაფერი, რაც ნათელია, მიუწოდოს ახლისაკენ, ვარდამწმისკენ:

—გვაქვს, გვაქვს სათქმელი ჩვენი დროისათვის. არის ნივთების ვადაკეთებაში უცნაური სიმშკლარტე. თიხის და რკინის ჭურჭლის ეს გემო მახვილის ნამტკრევეითაა, რომლის ბავით შეხების სურვილი ყოველთვის ევნება უკეთესად დახადებულს.

„შე თქვენთვის განვიცდი შამშალს უცხო ნივთებისადმი“. ყვირილია ზღვის ფრინველისა მადლა ცაში წყვილად შეერთების დროს! და ბაზარით პრელ დედამიწაზე საგნებს არავითარი აზრი არა აქვთ... ჩვენთან ზღვის კონტინენტი, ღამის მიწა და მის მცენარეების სურნელი კი არა; ჩვენთვისაა ზღვის თავისუფალი 10. „მნათობი“, № 6.

სივრცე და არა საშინაო მნათობებით დამარბებული ჩვეულებრივი ადამიანის ეს „მხარე“ (გვ. 83).

ჩვენი დროის შეფასება პერსთან ყოველთვის დიალექტიკური, სადღესო და, საბოლოო ანგარიშში, ოპტიმისტურია, პოეტი უმღერის ადამიანის ყველა ნათელ გრძნობას: მეგობრობას, სიყვარულს. პოეტი უმღერის კაცობრიობის აწყობას და მომავალს.

დასასრულს გვინდა შევჩერდეთ სენ-ჟონ პერსის მხატვრულ ოსტატობასა და მის სიტყვიერ ლაბორატორიაზე.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ რიტორიკული მიმართვანი, შეკითხვები და შემახილები — პოეტის საყვარელი ზერბია, რომელსაც იგი მიმართავს შთელს კრებულში. სასვენი ნიშნებიდან ყველაზე მეტად უყვარს მრავალწერტილი და განსაკუთრებით ძახითი ნიშანი მრავალწერტილით. ფართოდ იყენებს რეგრესს, ფრახის ნაწილის ან ცალკე სიტყვის გამეორებას.

მართალია, პოეტი უარყოფს კლასიკურ რითმას, სამაგიეროდ, ხშირად იყენებს მდიდრულ ბგეითს ზერბებს: ალტერაციას, ასონანსებს და, ბოლოს, სიტყვათა განსაკუთრებულ თამაშს — თანხმირებას.

პერსი ხშირად იმეორებს წინა ფრაზაში დასახულ თემას და იძლევა მის ვარაიციას, რაც უთუოდ მუსიკაში თემის განვითარებას წააგავს. იქნებ, სწორედ თავისი პოეზიის ეს განსაკუთრებული თვისება უნდოდა აღენიშნა პოეტს, როდესაც სიტყვა „შინაარსის“ მაგიერ კრებულის დასაწყისში დაწერა სიტყვა „თემა“, ესე იგი კრებულის დიდ ნაწილებში შესული ცალკეული თემები წარმოადგენენ ერთი ან რამდენიმე „მთავარი“ თემის განვითარებას.

ბოლოს, სპიროდ ჩავთვალოდ აღგვენიშნა ის სიტყვები და ეპითეტები, რომლებიც ხშირად გვხვდებიან კრებულში, რაც ასე თუ ისე ახასიათებს პოეტის მიერ ვარესამყაროს ათვისებას და თვალთახედვას. პერსის პოეზიის დეკორატიულიობას და ზეიმურობას ახასიათებს სიტყვა „ოქროს“, „ოქროსი“, რაც სხვადასხვა შემამებით კრებულში 32-ჯერ გვხვდება. იმ ზოგადერთი მათგანი: „ოქროს ნიღბები“ (40) „დიდი ტრაგიკოსების ოქროს ფლოსტები“ (გვ. 51), „ნატიხისფერი ღრუბლების სიმძიმე ნარანჯისფერ-ოქროსფერ ელფერთ“ (84), „ბარძაყი, ოქროთი დამშვენებული“ (112), „ხილში აინათის ოქრო“ (129), „ოქროს მუხლები“ (48), „ქალის ტანი—ოქროს რიცხვია“ (36), „საღამოს საღმრთო ოქრო“ (61), „მკრთალი ოქროთი ვაკისკრთვებული კენძულები“ (83). სახეობრივი აზროვნების გრძნობადობა დახასიათებულია სიტყვით „შიშველი“, რომელიც 20-ჯერ გვხვდება. იმ ზოგადერთი მათგანი: „მარტონი და ნახევრადშიშველი ჩვენს სადღესასწაულო ტანსაცმელში“ (68), „და შენ, უფრო უმანკო, იმი-

ტომ რომ უფრო შიშველი ხარ, მხოლოდ ხელი გაქვს შემოსილი" (106), „ფეხშიშველი ზღვა“ (125), „და შენ ჩემს მარჯვენა მხარეს მიეკარი, მესმის შენი მოხეტიალე სისხლის ფეთქვა“ შიშველ ქალის ველში“ (109), „ჩემად იარეთ ჩემს სახლის სახურავზე, ო, საათის ნაბიჯებო, ისე, როგორც ფეხშიშველი ქალი ხიდზე“ (101). ფერები გამოყენებული ისე, როგორც სიმბოლისტურ პოეზიაში: „თეთრი თვალი“ (47), „ზაფხული, რომელიც მესხიერებს კარგავს თეთრი ვარდის ბუჩქებში“ (90), „მწვანე საუკუნე“ (46, 47), „მზის ჩასვლის მწვანე ჩუხჩუხი“ (51), „ქალი უფრო გრილი ვიდრე მწვანე წყალი“ (104). აღმოსავლეთის თემისათვის: „მარადი აღმოსავლეთის გაიცისკროვნებული მინდვრები“

(158), „შენ ჩემთვის დაპირება ხარ, რომელიც შესრულდება ზღვაზე“ (129) და „სხვეული“ ასეთია სენ-კონ პერსის ტექსტებში მტრების თემები. სამწუხაროდ განუსაზღვრელი აბსტრაქცია, გადმოცემის განზოგადოება, ხშირ შემთხვევაში ამორბენ პოეტს თანამედროვეობის კონკრეტულ პრობლემებს, მრავალი სახის სირთულე და გაუგებრობა უთუოდ ენებს პერსის პოეზიას, ზღუდავს მისი პოეზიის გავრცელებას მკითხველთა შორის. მიუხედავად ამისა სენ-კონ პერსის პოეზიას მინც შეაქვს თანამედროვე დასავლეთის ლიტერატურაში ადამიანისა და სიცოცხლისადმი სიყვარულის მძლავრი ნაკადი, რაც უთუოდ დადებით მოვლენას წარმოადგენს.

პირველი პირობა

შენიშვნები მხატვრული სრულყოფის საკითხებზე

ერთი შეხედვით, სრულყოფა, როგორც მწვენიერისა და მიღწეულის სახელი, არ წარმოადგენს რთულ მოვლენას და ყველა ცოტად თუ ბევრად განათლებულ ადამიანს შეუძლია მისი განსაზღვრა. მაგრამ სრულყოფის ზოგადი, ყველადასათვის სავალდებულო ნორმების დადგენა მარცხს საჭიროა, რათა ეციოდეთ, რა აუცილებელს გვლისხმობს სრულყოფა. ამ წერილის მიზანს არ შეადგენს მხატვრული სრულყოფის პრობლემის გადაჭრა; ჩვენი მიზანია თეატრალური ხელოვნების ცალკეულ მაგალითებზე დაყრდნობით აღვძვრათ სრულყოფის ზოგადი საკითხი.

რა ზოგადი ნიშნები ახასიათებს სრულყოფას?

მხატვრული სრულყოფა იდეურის, თემის, სიუჟეტის, ფაბულის და, საერთოდ, ხელოვნების ნაწარმოების შექმნისათვის საჭირო ყველა სხვა საშუალებების ოსტატური გამოყენების ერთობლიობაა, უფრო მოკლედ — ფორმისა და შინაარსის მთლიანობის შედეგია. ხელოვნების სრულყოფილი ნაწარმოები არასრულყოფილსაგან ყველასათვის თვალსაჩინოდ, უპირველეს ყოვლისა, იმით განსხვავდება, რომ სრულყოფილს ზემოქმედების დიდი ძალა გააჩნია. მაგრამ სრულყოფა ფორმისა და შინაარსის ყოველგვარ განვითარებას არ ახასიათებს; ხელოვნების ნაწარმოების ყველა კომპონენტის ოსტატური გამოყენების და მისი ერთობლიობის შექმნის შესაძლებლობა მაშინ წარმოიშობა, როცა ფორმა შინაარსის მიხედვით იქმნება, რადგან სწორად ასეთ შემთხვევაში ხდება შესაძლებელი ფორმის კონკრეტული მიზნისათვის ჩამოყალიბება.

ხელოვნების ნაწარმოები დამთავრებას სრულყოფაში იღვწის. არ შეიძლება ხელოვნების ნაწარმოების დამთავრება სხვა იყოს და სრულყოფა სხვას წარმოადგენდეს. მაგრამ ნიშნებს თუ არა სრულყოფისა და ნაწარმოების დამთავრების იგივეობა იმას, რომ სრულყოფას მხოლოდ დამთავრებული სახე გააჩნია და დაუმთავრებელი სრულყოფა არ არსებობს? რადგან ხელოვნების ნაწარმოების დამთავრება სრულ-

ყოფაში ხორციელდება, დამთავრებული სრულყოფის ძიება, სინამდვილეში, სრულყოფის უარყოფამდე მიგვიყვანდა და შეცდომა არ იქნება, თუ ვიტყვით: რაც დამთავრებული არაა, არ შეიძლება სრულყოფილი იყოს. მაგრამ აღნიშნულ განსაზღვრას შეიძლება საჩინა-აღმდეგო დაუპირისპირონ და თქვან: რაც დამთავრებულია, შეიძლება დაუმთავრებელიც იყოს, და ეს თვალსაზრისი, ერთი შეხედვით, როდია მოკლებული დამაჯერებლობას.

თუ ანალიზს ვაუწყებთ ხელოვნების ნაწარმოებებს, რომელ დარგსაც არ უნდა ექვემდებარდნენ ისინი, — აღმოჩნდება, რომ, მათ შორის, შედეგები, სრულყოფილი ნაწარმოებები, გამოიყვანის, ხოლო უდიდეს ნაწილს შეადგენენ სწორედ კარგი და საშუალო ნაწარმოებები, რომლებიც სრულყოფილი არ არიან და არც დამთავრებულ ნაწარმოებებად ჩაითვლებიან. საშუალო და კარგი ნაწარმოებების არსებობას და მათს ზემოქმედებას დონეს უზრუნველყოფს არა ნაწარმოების დამთავრება, სრულყოფა, არამედ ხელოვნების ნაწარმოების ამა თუ იმ ცალკეული მხარის შესრულების ოსტატობა. სრულყოფა, როგორც აღვნიშნეთ, იდეურის, ფაბულის, სიუჟეტის, თემის, მხატვრული ენის, მოკლედ — ხელოვნების ნაწარმოებების ყველა „ცალკეული მხარის“ ოსტატურად შესრულების ერთობლიობაა; ამიტომ სრულყოფა ერთია, ფორმისა და შინაარსის მთლიანობის შედეგშია გამოხატული, როგორც ზემოქმედების საშუალება, ოსტატობა კი ხელოვნების ცალკეულ მხარეებს გააჩნია. ცალკეულის ზემოქმედება, რა თქმა უნდა, არ უღრის მთელს ზემოქმედებას და მათ შორის, ცხადია, დიდი სხვაობა არსებობს. სწორედ ამ სხვაობაში უნდა ევ-ძებოთ სრულყოფილი და არასრულყოფილი, კარგი და საშუალო ნაწარმოებების არსებობის საფუძველი.

ხელოვნების სრულყოფილ და არასრულყოფილ ნაწარმოებთა რკვევის დროს არ იქნებოდა სწორი, ხელოვნების დარგები და მისი სპეციფიკა არ გაგვეთვალისწინებინა, რადგან ხელოვნების ყველა დარგი ხელოვნების, ნაწარმოების შექმნის დროს ერთი და იმავე საშუალებებს კი

არ იყენებს, თუმცა ერთსა და იმავე მიზანს ისახავს — შემოქმედად ასახოს ადამიანის შინაგანი საშუარო ადამიანის განცდებსა და მის შესვლულუბებზე სამოქმედო და ამით ხელი შეუწყოს სამყაროს გარდაქმნას. მთავალითა, კომპოზიტორი გარემოს და ადამიანის სულს ამ გარემოში მუსიკით ვადმოგვცემს, პეიზაჟის დამხატვს შეუძლია სრულებითაც არ გვიჩვენოს ადამიანი: იგი უმთავრესად ასახავს ობიექტისადმი საკუთარ განწყობას ასახავს, მაგრამ ნახატში შემოქმედის იდეური და გრძნობადი განწყობა იმდენად ძლიერი და დამახასიათებელი უნდა იყოს, რომ მხახველის სულიც სათანადოდ განაწყოს.

კომპოზიტორის შემოქმედება ნოტივით აღიბუქდება, მხატვრისა — ტილოზე ფერებში, მონახატვისა — ქვაში ან სხვა მყარ მასალაში, მწერლისა — სიტყვებით ქალღმრთე. მაგრამ სულ სხვა მდგომარეობაშია მსახიობი. მართალია, მის განკარგულებაშია დრამატურგის მიერ შექმნილი გმირის სახე, კომპოზიტორის მუსიკა, მხატვრის დეკორაცია, თანაც ბევრი რამაა დამოკიდებული რეჟისორის ნიჭზე; მაგრამ ვერც ერთი ხელოვნებულა ხელოვანი ვერ უშველის განსახიბრებელი გმირის სცენაზე გამოჩენას, თუ მსახიობი თვითონ არ იქცა გმირის განსახიბრებისათვის საჭირო მასალად. მსახიობის მასალად „თითქმევ“ იმ აუცილებლობითაა გამოწვეული, რომ მსახიობს გმირის სრულყოფისათვის არ გააჩნია არც მოქანდაკის ქვა, არც კომპოზიტორის ნოტივი, არც მწერლის ქალღმრთე, არც მხატვრის ფუნჯი და ტილო. მსახიობს, ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი აქვს მოცემული ხელოვნების სხვადასხვა დარგებისაგან, მაგრამ იგი, მიუხედავად ამისა, უადრესად „ღარიბია“ და იბულებული ხდება საკუთარი თავი აქციოს გმირის გამოსაკვთი მასალად. მაგრამ მსახიობი მართლ გმირის განსახიბრებლად საჭირო მასალა კი არ უნდა იყოს, არამედ, ამასთან ერთად, მას უნდა შეეძლოს იყოს შემოქმედიც — გააჩნდეს საკუთარი მასალისაგან გმირის სრულყოფილად განსახიბრების ნიჭი. მსახიობმა, როგორც შემოქმედმა და როგორც მასალამ, უნდა შეძლოს წიგნის ფურცლებიდან დრამატურგის გმირის სცენაზე ჩამოყვანა და მისი ცოცხალ ადამიანად გადაქცევა, ადამიანად, რომელიც მანამდე მკითხველის წარმოდგენაში ცოცხლობდა, მოქმედებდა და იბრძოდა, რაკი ახლა ეს მოქმედება და ბრძოლა მსახიობის შემოქმედებაში გამოვლინდა, იგი მკითხველის გონების არეს სცდება და იმავე მკითხველის და მყურებლის წინაშე დგება, როგორც მისი გონების გარეშე არსებული, მაგრამ ეს არსებობა უცნობის არსებობა კი არაა: იმ წუთიდან, როცა დრამატურგის გმირი მსახიობის შემოქმედების წყალობით მოქმედ

ადამიანად იქცევა, მყურებელი გმირის ცხოვრების მონაწილე ხდება, იგი მკითხველის პასუხის მკვერტელის როლიდან უნახტოვებს კრიტიკოსად გვევლინება და უპარყოფითად განსჯის იმ მსახიობს, რომელიც მას ვერ დააქმაყოფილებს, განსახიბრებელი გმირის სულს, საქციელს ყალბად წარმოადგენს და მყურებლის წინაშე სრულყოფილად გუთსახიბრებელი წარდება.

თანამედროვე მყურებლის როლისადმი კრიტიკული დამოკიდებულება, მყურებლის თეატრსა და კინოში მოსვლის მიზანმა განსაზღვრა. მყურებლის უპირველესი მიზანი მხოლოდ გართობა კი არაა, როგორც ამას დღესაც ზოგიერთი ფიქრობს, მყურებელი თეატრში იმისათვის მიდის, ცხოვრება რომ იხილოს და საკუთარი ყოფის ავტარებისა შეამოწმოს. ამიტომ, რაკი მყურებლის თეატრში ცხოვრების დანახვა სურს, იგი მსახიობის მიერ განსახიბრებული გმირისაგან მოითხოვს სცენაზე ცხოვრობდეს ისე, როგორც მყურებლის წინაშე იმ ცხოვრობდნენ, ან ისე, როგორც მყურებელი ცხოვრობს, ან იმნაირად უნდა იცხოვროს, როგორც მომავალს ისახვენ ადამიანები. მაგრამ იმისათვის, რომ მსახიობის ცხოვრება რეალურს დაემსგავსოს და როლის სრულყოფილად განსახიბრების წყალობით მისი შემოქმედება შემოქმედი იყოს, საჭიროა არაა მსახიობს სამომქმედო მასალა გააჩნდეს და იყოს შემოქმედი საერთოდ. მსახიობის შემოქმედების სრულყოფას განსახიბრებელი გმირის მხატვრული და იდეური სახის ფორმა და შინაარსი განსაზღვრავს. ამ უკანასკნელს კი, მსახიობს დრამატურგის ნაწარმოები აწვდის და მისი სრულყოფა პიესის ყველა გმირთან ურთიერთობაში გამოვლინდება. ამიტომ მსახიობი დამოუკიდებელი შემოქმედი კი არ არის, ისე როგორც მხატვარი, მოქანდაკე, პოეტი, იგი მართლ საკუთარი ნიჭით და მასალით კი ვერ შექმნის სრულყოფილ ქმნილებას, — მისი შემოქმედების სრულყოფისათვის სრულყოფილი დრამატული ნაწარმოები და ანსამბლის არსებობაა საჭირო. მაგრამ, როცა ვამბობ, მსახიობის შემოქმედებითი ძლიერება მართლ საკუთარი ნიჭსა და მასალაზე კი არა, არამედ დრამატურგზე და სპექტატურის ანსამბლზედაცაა დამოკიდებული, ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მსახიობს, როგორც შემოქმედს, არ გააჩნია თავისი დამოუკიდებლობა, თავისი ფორმა და შინაარსი. მსახიობი, როგორც მასალა და შემოქმედი, დრამატურგის და ანსამბლის გარეშე არსებობს და იგი წარმოადგენს მსახიობის ფორმასა და შინაარსს. დრამატურგის გმირის ფორმისა და შინაარსის და მსახიობის ფორმისა და შინაარსის ცალკე-ცალკე არსებობა ზოგჯერ არაა დადებითი მოვლენა: იგი ხშირად იქცევა მსახიობის მიერ როლის სრულ-



ყოფილი განსახიერების დაბრკოლებად და მსახობის შემოქმედებას განსახიერებს ხდეს, მაშინ როდესაც მოქმედებს, მხატვარი, მწერალი, კომპოზიტორი ასეთი სიძნელის წინაშე არ დგას. მოქმედებს პირდაპირ იღებს ქვეს, როგორც მას გარეშე არსებულ მასალას და საკუთარი ნიჭისა და ცოდნის, თავისი იდეების მიხედვით ქმნის გმირის სახეს, მის ფორმასა და შინაარსს. მსახობი ასეთი „ბედნიერი“ როლია: იგი თავისი საკუთარი ფორმითა და შინაარსით, ნიჭითა და მასალით, დრამატურგის მიერ შექმნილი გმირის ფორმასა და შინაარსში უნდა მოთავსდეს, მაგრამ ამა თუ იმ მსახობის ფორმა და შინაარსი დრამატურგის მიერ მოცემული ყოველგვარი როლის განსახიერებლად არ გამოდგება, როგორც კარგი მასალა არ უნდა იყოს იგი, საერთოდ. მსახობი რომ იყოს საშემოქმედო მასალა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მსახობის შექმნა იყოს ყოველგვარი გმირისათვის საჭირო მასალა, ისე როგორც შემოქმედდა ყოფნა არ ნიშნავს იმას, რომ მას შეუძლია დრამატურგის ყოველი გმირის განსახიერება. მსახობი რომ იყოს როლის სრულყოფილი შემოქმედ, უკრ მას უნდა გააჩნდეს კონკრეტული როლისათვის საჭირო საშემოქმედო მასალა, რომელსაც ფართო გაგებით, შეიძლება ფორმა ეწოდოს, — ისე ვერავითარი ნიჭი ვერ უშველის როლის სრულყოფას.

მაგრამ თუ როლის სრულყოფითი განსახიერებისათვის არ გამოდგება მსახობის მასალა — ფორმა საერთოდ, ვარჯ თუ არა მსახობის ნიჭი, შინაარსი როლის სრულყოფისათვის საერთოდ? გამოიღიდ რეცისორს ადილად შეუძლია შეატყოს ადამიანს სამსახობის ნიჭი საერთოდ, მაგრამ უფრო ძნელია გამოიყვანოს საერთოდან კონკრეტული. „საერთოდ“ ნიჭისათვის როლის მიცემა მსახობისათვის ისეთვე დანაშაულია, როგორც ოტელოს შინაარსისათვის შეუფერებელი მონაცემების მქონე მსახობისათვის ოტელის როლის მიცემა, რადგან „ნიჭი საერთოდ“ არ ნიშნავს ყველა როლისათვის გამოსაღვარ ნიჭს. როლის სრულყოფა, მასალასთან ერთად, მსახობისაგან მოითხოვს როლისათვის საჭირო ბუნებას, შინაარსს.

მსოფლიო მასშტაბითაც თითქმის ჩამოსათვლელია ისეთი მსახობები, რომლებსაც ჰამლეტის როლი სრულყოფილად განესახიერებინოთ. ქართველ მსახობისაგან უ. ჩხეიძემ შექმნა ჰამლეტის სრულყოფილი სახე; ამასთანავე იგი, ჰამლეტთან ერთად, სრულყოფილად ასახიერებდა ყვარუყვარე თუთაბერს, ურიელ აქოსტასა და სხვ. მაგრამ უ. ჩხეიძე შორს იყო იმაზე ფიქრისაგანაც კი, რომ განესახიერებინა, მგავალითად, მკებრი.

მართალია, მსახობის ოსტატობისა და კელტურის ზრდის გამო ამჟღის ჩარჩოები დიდად

გაიზარდა, მაგრამ მისი მოსაზრება შეუძლებელია ისევე, როგორც შეუძლებელია მსახობის ნიჭი თარი ბუნების გარეშე. დღეს უკვე აღარ შეუძლებელია გაევიგოთ არა ისე, თითქოს მსახობი ყოველმხრივად წინასწარ განსახიერებელი, როგორც კომიქოსი, ტრაგიკოსი, ან სახისითი როლების შემსრულებელი, არამედ აშლეთ უნდა გაევიგოთ მსახობის, როგორც მასალისა და ნიჭის, ფორმისა და შინაარსის განვითარების შესაძლებლობის სახელო.

მაგრამ მსახობის მიერ როლის სრულყოფა დამოკიდებულია არა მარტო ნიჭსა და ფიზიკური მონაცემების კონკრეტულ გათვალისწინებაზე, არამედ, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, განამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება როლის, პიესის, დრამატული ნაწარმოების სრულყოფას. როლის საერთო მხატვრული დონე ვერ უშველის მსახობის მიერ გმირის შინაგანი სამყაროს სრულყოფით გადმოცემას; როლის მხატვრულობა მის სენსურობაში უნდა იყოს გამოვლენილი, რადგან დრამატურგმა უნდა შეუძლებს ადამიანის შინაგანი სამყარო დილოგებასა და მოქმედებაში. თუ როლი არასცენურია და მისი მხატვრული ვნა ადამიანის შინაგანი სამყაროს გამოვლენების საშუალებას არ იძლევა, მაშინ მსახობის ვერავითარი საშემოქმედო მასალა და ნიჭი ვერ უშველის საშემს, როგორც საერთოდ, ისე კონკრეტულად, რადგან მსახობის შემოქმედების სრულყოფა არ არსებობს სრულყოფილი დრამის გარეშე.

მსახობის მიერ როლის სრულყოფილად განსახიერება, სხვას რომ თავი დაეანებოთ, მარტო ერთი მსახობის ნიჭზე, როლისათვის მის შესაღვარ მასალაზე არაა დამოკიდებული. სპექტაკლი ერთი მსახობის შემოქმედების სრულყოფა არ არსებობს მთელი ანსამბლის სრულყოფის გარეშე, რადგან სპექტაკლში როლები, თუ გნებავთ, მთავარი გმირის როლიც, სხვა როლებზეა დამოკიდებული. მეორეხარისხოვანი პერსონაჟები ივსებენ და ზღვს უწყობენ მთავარი გმირის შინაგანი სამყაროს გამოვლენას, ამიტომ მეორეხარისხოვანი როლების სრულყოფილად განსახიერების გარეშე არ შეიძლება მთავარი როლის სრულყოფა, ისევე როგორც მთავარი სისუსტე გაეყენას ახდენს „პატარა როლების“ სრულყოფაზე. მსახობის შემოქმედების სირთულე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მისი შემოქმედების სრულყოფა ანსამბლის სრულყოფისათვისა დაეკვირვებულა. შეიძლება თქვან, თეატრის ისტორიის ასხოვის იმ ცალკეულ გასტროლიორთა ტრენუმი, რომლებიც სრულყოფილი დრამის ამა თუ იმ როლს სპექტაკლის გარეშე სრულყოფილად ასახიერებდნენ, ზოლო ქართული სენის დიდ კორიფეებს — ლ. მესხიშვილს და ვ. აბაშიძეს როლების სრულყოფილად განსახიერება ყოველთვის სრულყოფილად

ფილ ანსამბლში როლი უხდებოდათ. მაგრამ სრულყოფილი დრამის ამა თუ იმ როლის სპექტაკლის ვარჯიშე სრულყოფილად განსახიერება შესაძლებელია, როგორც ეპიზოდის, მაშინ როცა სპექტაკლში იგივე როლი განცალკევებულ ეპიზოდს კი არა, არამედ დანარჩენ როლებთან კავშირში მყოფი მთელი სპექტაკლის ნაწილია და მისი სრულყოფა მთელი სრულყოფის ვარჯიშე შეუძლებელია. რაც შეეხება სხენებულ დიდ ქართულ მსახიობთა შემოქმედებას, აქ ჩვენ ხშირად ინდივიდუალურ ოსტატობასთან გვაქვს საქმე და არა სპექტაკლის საერთო სრულყოფასთან. ქართულ თეატრში როლების სრულყოფილი განსახიერება, ძირითადად, სრულყოფილი სპექტაკლების დიდი შემოქმედის მარჯვნივების მოღვაწეობით იწყება.

რა თქმა უნდა, სპექტაკლის შეფასების დროს არ შეიძლება ერთი მსახიობის შემოქმედების ნაკლი შეირჩეს დაეპარალოთ, ან სრულყოფილ სპექტაკლში როლის სრულყოფილად განსახიერება არასრულყოფილსაგან არ გადაჩაჩიოთ, ან უფლა როლის შემსრულებელს ერთი და იმავე შემოქმედებითი ძლიერების როლები მოეფხოვოთ. როლების სრულყოფა თვით სრულყოფილ სპექტაკლშიაც კი, მოცემული როლის სრულყოფაა სხვა როლებთან კავშირში. როცა ვლასოვ რაკობი, ჰამლეტისა და ჰორაციოს როლები სრულყოფილი უნდა იყოსო, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჰამლეტისა და ჰორაციოს განმსახიერებელ მსახიობებს ერთი და იგივე შემოქმედებითი ძლიერების როლები მოეთხოვოთ. მაგალითად, ჰორაციო „ჰამლეტი“ იმისათვის არსებობს, რომ ჰამლეტის შინაგანი საშვარო კიდევ უფრო ზემოქმედი გახადოს, ხელი შეუწყოს მთავარი გმირის მისწრაფებებსა და საქმიანობას. მაგრამ როცა ვამბობთ — ჰორაციოს როლი სრულყოფილი უნდა იყოსო, — ეს სრულყოფა ამ ხელშეწყობაში, მთავარს სრულყოფაში უნდა გამოიმტკიცდეს. როცა ვამტკიცებთ, ჰორაციოს უფარვისობის გამო ჰამლეტის სრულყოფას ჩრდილი მიადგაო, ეს სრულებითააყ არ ნიშნავს ჰამლეტის როლის განმსახიერებელი მსახიობისთვის ბრალდების წაყენებას. ამ შემთხვევაში ბრალდება რეჟისორისაც უნდა წაუყენოთ.

რეჟისორი ვალდებულია „სპექტაკლის სიმები“ შეაჩიოს, „მოშართოს“ და ხმაშეწყობილ ცოცხალ სიმებს ცხოვრებისეული ზემოქმედი სიმღერა ასწავლოს. მაგრამ რა უნდა შეაჩიოს, „გაანაწილოს“ და ასწავლოს რეჟისორმა, როგორ უნდა მიადწიოს მან ანსამბლის შექმნას, თუ დრამატურგმა რეჟისორის, ცოცხალი გმირების მაგვირად, შედრები მისცა ვასანაწილებლად? — რეჟისორის ვერავითარი გენიალობა ვერ უშველის მსახიობს. გმირის სრულყოფი

განსახიერებაში, თუ დრამატურგის გმირი თავიდანვე შეეღარი დაიბადა.

მაგრამ როცა დრამის სისუსტის გამო მსახიობის შემოქმედება არასრულყოფილია და სრულყოფა შეუძლებელი ხდება, ეს შეიძლება კიდევ „მოვითმინოთ“: უარობა იქნებოდა დრამატურგის სისუსტე მსახიობისათვის და საერთოდ თეატრისათვის დაგვებრალდინა. მაგრამ რაღა ვთქვათ ისეთ სუსტ სპექტაკლებზე, როცა დრამატურგია დიდი და მშვენიერი, მაგრამ სპექტაკლი ნაკლებად მოამბედავი და სრულყოფის ვარჯიშე მყოფი? ამ შემთხვევაში უკვე აღარ შეიძლება „იოლა გზით“ სვლა — არ შეიძლება იმის მტკიცება, „ოტელი“, როგორც სპექტაკლი, ამა და ამ თეატრში იმიტომაც სუსტი, რომ პიესა არ ვარგაო... და რადგან ასეთ შემთხვევაში დრამატურგისათვის „ბრალდების წაყენება“ უარობაა, თეატრისმცოდნეები „დიდი ჯაფის ფასად“ პოულობენ „მიერ დამნაშავეს“ — რეჟისორს, უფრო ხშირად კი ხელს იღებენ „დამნაშავეს“ ძებნაზე და, რადგან პიესა საყოველთაოდ აღიარებული შედეგია, სუსტ სპექტაკლსაც შედეგად აცხადებენ. დრამის სიღადადს ეფარებინან და კარგი პიესით დადგმულ სუსტ სპექტაკლს ნაკლს მიერისკოპით ეძებენ, მაშინ როცა მისი დანახვა შეუძლებელი თეატრთაც აღვილია.

სრულყოფილი დრამით საშუალო, ან სუსტი სპექტაკლის დადგმის „მთავარი დამნაშავე“ რომ რეჟისორია, ეს არ უნდა იყოს სადავო; მაგრამ რეჟისორი ვერ შეძლებს საკუთარი მარცხის მყურებლის წინაშე გამოტანას, სრულყოფილი პიესით სუსტი დადგმის ჩვენებას, რომ თეატრული კრიტიკა ხშირად თვითონ არ ცოდავდეს და რეჟისორის „გადასაჩინად“ არასწორ დებულებებს არ ეყრდნობოდეს. მსგავსი ცდები მოცლებული არაა „თეორიულ საფუძვლებს“ და იგი მსახიობის, როგორც საშემოქმედი მასალის და როგორც შემოქმედის სპეციფიკაში ცდილობს ფესვების გადგმას. რაში მდგომარეობს ამ უაღბო დებულების არსი?

რადგან მსახიობის მიერ განსახიერებელი გმირი მოქანდაკის გმირისაგან განსხვავდება და უკი ქვაში კი არაა გამოკვეთილი, არამედ მას ცოცხალი ადამიანი თავისი საკუთარი ფორმითა და შინაარსით წარმოვიდგენს, აქედან ხშირად ასეთ „სწორ“ დასკვნას აკეთებენ: მართალია, პრემიერის დღეს სპექტაკლს აკლდა მოლიანობა, მსახიობები ხშირად გმირებს არასრულყოფილად განსახიერებდნენ, მთავარი გმირიც კი მოცლებული იყო დამაჯერებლობას, მაგრამ თანდათანობით, დროთა განმავლობაში, სპექტაკლი დაიხვეწება, მსახიობები როლები განსახიერების სიმწველეს დაძლევენ და საბოლოო უკმაში მყურებელი კარგ წარმოადგენს იხილავსო. დაბლობით ასეთი ასრი განაყოფა-

რა ზოგერთი შემსრულებლის მიმართ დიმიტრი ჯანელიძემ რუსთაველის სახელობის თეატრის მიერ „ჰამლეტის“ დადგმის გამო დაწერილ რეცენზიაში („ზარია ეოსტოკა“, 1960 წლის 10 მაისი). მაგრამ და ჯანელიძის შეხედულება ამ მხრივ გამონაკლისი როდია.

მსახობი რომ გვიჩინს განსახიერების ცოცხალი მასალა (და ამიტომ მასში არის სუსტად განსახიერებელი გმირის ოსტატურად ან სრულყოფილად განსახიერების შესაძლებლობა), ეს არ იქნება იმის უფლება, რომ პრემიერის დღეს ან, თუ გუნებათ, მის მომდევნო სპექტაკულუმში დრამატულად სრულყოფილი როლების არასრულყოფილი ან სუსტი განსახიერება დაეუფვით და ეს მოვითმინოთ. როცა თეატრი მაყურებლის წინაშე ფარდას სწევს, იმ წუთიდან მისი სცენა სავარჯიშო მოედანი კი არაა, არამედ იგი მხოლოდ შემოქმედების, სპექტაკლის გმირთა სრულყოფილ განსახიერების არენის წარმოადგენს და მასზე ბორბიკი და იმაზე ფიქრი, ოთხი თვის შემდეგ ჩემი გმირი ან სპექტაკლი სრულყოფილი იქნებაო, სხვას რომ თავი დაეანებოთ, სულერი და მატერიალური დანაშაულის ჩადენაა საზოგადოების წინაშე.

სრულქმნილი დრამით სუსტი სპექტაკლის შემქმნელი მთავარი პასუხისმგებლობა შეიძენს რეჟისორის ეკისრება მაგრამ როლის „თანდათანობითი დახვეწის“ თეორიის და პრაქტიკის მომხრეებს შეუძლიათ არ დაეცხრნენ და დაეინებოთ, ნიშნის მოგებით გვიოხრან: მსახობი, როგორც სამშოქმედო მასალა, ცოცხალი არსება და ამიტომ, როგორც შემოქმედი, თავის მასალას ყოველ წუთში უწყვეს კონტროლს და იგი ერთი სპექტაკლის სხვადასხვა წარმოდგენის დროს, მიღწეულით ვერ დაემაყოფილება; სცენაზე მან აუცილებლად როლის განსახიერების დაბალი დონიდან მიღისასავე სჯულა უნდა განიცადოსო. მაგრამ ასეთი განცხადებაც მოკლებულია კუშიმარტებისა: სწორედ ის გარემოება, რომ სპექტაკლას გმირების განსახიერება ცოცხალი მასალით ხდება და ყოველ წუთში ცოცხალი შემოქმედის კონტროლს ემორჩილება, საშუალებას აძლევს მსახობს, ერთი და იმავე სპექტაკლის სხვადასხვა წარმოდგენის დროს უაღრესად მრავალფეროვანი იყოს. მაგრამ სცენაზე კუშიმარტი შემოქმედებითი მრავალფეროვნება არა-სრულყოფილიდან სრულყოფილისაკენ სვლა კი არ არის, როგორც ეს უმრავლესობას ჰგონია, არამედ ერთი როლის განსახიერების სხვადასხვაობა ერთი და იმავე სპექტაკლის სხვადასხვა წარმოდგენის დროს — სრულყოფის სრულყოფაა. სრულყოფის სრულყოფა კი სრულყოფილთა სხვადასხვაანარი ჩვენებაა და არავითარი შემთხვეული უვარჯიშოდან სრულყოფილისაკენ სვლა. როლის „თანდათანობითი დახვეწის“ თეორია, ყალბი, შემოქმედებითი პრაქტიკისათვის

უვარჯიში თეორიაა და მის განხორციელებას მხოლოდ უვარჯიში პრაქტიკა მოუკვება. თუ დრამის სტილი სპექტაკლის სტილი არაა და დრამისა და სპექტაკლის სტილი, მთლიანობის ნაკლად, წინააღმდეგობაშია, იქ „დახვეწაზე“ ლაპარაკი ზედმეტი; შეცდომის დახვეწა მხოლოდ დახვეწილი შეცდომა იქნება და არა კუშიმარტი. ამიტომ, როგორადაც არ უნდა „ხვეწოთ“ შეცდომა, იგი შემოქმედებით გამარჯვებად ვერასოდეს ვერ იქცევა. ანდა თუ მსახობის ფორმა და შინაარსი არ იძლევა დრამატურგის მიერ მოცემული როლის სრულყოფილად განსახიერების საშუალებას, მას „დახვეწა“ და შეასე წარმოდგენა ვერ უშველის.

უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში ქართულ თეატრებში შექსპირის არა ერთი პიესა დაიდგა, მაგრამ სრულყოფას მხოლოდ „ოტელო“ დადგმებში მიაღწიეს (რუსთაველის და ოპერის თეატრებში). დანარჩენი დადგმები, რომლებიც სხვადასხვა თეატრებში განხორციელდა, თავისი აკვარგანანობითა და შესრულების ოსტატობით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ფორმისა და შინაარსის სასრულ მთლიანობამდე ვერ ამაღლა.

შექსპირი ისეთი სრულყოფილი დრამატურგის შემქმნელია, რომ იგი მკითხველზე უდიდეს გავლენას ახდენს თეატრის გარეშეც. შექსპირის ქმნილებანი, როგორც ლატერატურული ძეგლები, იმდენად იაყრობენ მკითხველებს, რომ მათს შეგნებაში წაერთხიოთ არსებობენ ჰამლეტი, ოტელო, რინარდ მესამე, ღირი, ანტონიუსი და სხვები. მკითხველს არ შეუძლია შექსპირის გმირების თავის შეგნებიდან განდევნა, მან ისინი თეატრში მისვლამდე ან შეიყვარა, ან დაწყევლა და შეიძულა.

მაგრამ შექსპირის დადგმის სიმწევეები მართო მისი დრამატურგის საერთო გრანდიოზულობა და სიდიადე როდია. სრულყოფილი პიესაზე სრულყოფილი სპექტაკლის შექმნის მთავარი კონკრეტული სიმწევე, სტილის როგორც გმირის შინაგანი საყვაროს მოქმედებაში გადასვლის საკითხია. ამიტომ, თუ დრამის სტილი თავიდანვე სწორად არ იქნა გაზრებული და შეცნობილი, დიდებული პიესა შეიძლება ცუდი სპექტაკლის მსხვერპლი შეიქმნეს. მკითხველისათვის დრამატურგის საყოველთაოდ ცნობილი სრულყოფილი გმირების განსახიერება ვერ შეძლო ისეთმა მსახიობებმაც კი, რომელთა ფორმა და შინაარსი საესებით შეესაბამება პიესის გმირების ფორმასა და შინაარსს.

რატომ აქვს სპექტაკლის სრულყოფისათვის ასეთი დიდი მნიშვნელობა სტილს? სტილის გარეშე არ არსებობს ხელოვნების ქმნილების ფორმა და შინაარსი და, მით უმეტეს, მისი მთლიანობა სტილი ეს თვითონ აღამაინაო.

ამბობენ ფრანგები და ამ კუმშობრივებს მხოლოდ შემდეგი უნდა მიუთითებოდეს: სპექტაკლის სტილი ეს თვით პიესის ავტორია. მართალია, სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია და არა დრამატურგი, მაგრამ იმისათვის, რომ რეჟისორმა პიესა დადგას, დამდგმელმა შექმნილი უნდა აღმოაჩინოს. როცა ავტორმა პიესა დაამთავრა, ამის შემდეგ თითქოს ავტორი დრამიდან გაქრება და თეატრის არენა რეჟისორს, მსახიობს, კომპოზიტორს და მხატვარს დაუტოვებ, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე როდია: ავტორი პიესაში აღამაინის სახით არ ჩანს, მაგრამ რეჟისორის ყოველგვარი გუნიალობა და ცოდნა უძლურია სპექტაკლის შექმნაში, თუ იგი პიესის შენიღბულ ავტორს პიესის სტილს არ აღმოაჩენს. სტილი—ეს სხვა არაფერია, თუ არა სპექტაკლის ფორმისა და შინაარსის და მისი შემქმნელი პროცესი. მაგრამ, შეიძლება თქვან; რა საჭიროა ფორმისა და შინაარსის და მისი მთლიანობის შემქმნელი პროცესის დამთავრებულ პიესაში ჭებნა, რაკი პიესის დამთავრების დღიდან იგი უკვე განვიღო უტას წარმოადგენსო. სინამდვილეში პიესის სტილის კონკრეტული აღმოჩენა, დადგენა ამიტომაც საჭირო, რომ სრულყოფილი დრამის ასეთვე სპექტაკლი რომ შექმნათ, აუცილებელია სრულყოფის შემქმნელი პროცესი, რომელიც დრამაში უკვე განვიღოა, სპექტაკლში თავიდანვე გავიმეორებთ და დრამატურგის მიერ დრამის სრულყოფა, მსახიობის შემოქმედებით ხელახლად დაიწყეთ და დაემათავროთ — ამის ვარყშე სრულყოფილი სპექტაკლი არ შეიქმნება და დრამატურგის გმირი მოქმედ აღამაინად ვერ გადაიქცევა. არ შეიძლება დრამის შინაარსის და ფორმის შექმნის პროცესი სხვა იყოს და რეჟისორის მიერ დადგმული სპექტაკლი — სხვა. დამთავრებული დრამის სტილი მკითხველსა და მსახიობისათვის თავიდან იმდენჯერ ჩიისახება და დამთავრდება, რამდენჯერაც პიესა იკითხება და იგი სპექტაკლად იდგმება. მართალია, მკითხველისათვის სტილი აშკარად არ ჩანს, როცა იგი პიესის თეატრის ვარყშე ეცნობა, რადგან მას პიესის გმირები შინაგანი სამყარო და გმირთა საქმიანობის შემოქმედებითი ძლიერება ფარავს, მკითხველი სტილის ვანკალეკებულ შემდგენილობისთვის არ იბრძვის, მაგრამ, ის, რაც ძნელად შესაძინევი და არ სჭირდება მკითხველს, აშკარა თვალსაჩინო და კონკრეტული უნდა იყოს პიესის დადგმის დროს როგორც რეჟისორისათვის და ყოველი სპექტაკლის მიმდინარეობის დროს — მსახიობისათვის. რადგან შემოქმედება სტილის ვარყშე არ არსებობს, სპექტაკლი ვარდაუვად მარტოს ვანიჭდის და იგი სრულყოფის მოკლებულია, მაშინ როცა დრამატურგის მიერ შექმნილი პიესის სტილი არ წარმოადგენს რეჟისორის, მსახიობს, მხატვრის და კომპოზიტორის

მოწინააღმდეგებლად შექმნილ სპექტაკლის სტილს. რეჟისორის მიერ პიესის სტილის აღმოჩენა და დადგენა, მისი სპექტაკლის სტილად გადაქცევა: დიდ სიმწიფეებთანაა დაკავშირებული. დრამატურგის სტილში ჩაწვდომია არა შექმნილი პროცესი, არამედ შემოქმედებითი პროცესია და რეჟისორის დიდ შემოქმედებით ნიჭსა და განათლებას მოითხოვს. მაგრამ რეჟისორის ნიჭიერება მარტო პიესის სტილის აღმოჩენასა და დადგენაში როდი შედგენდება: რეჟისორის შემოქმედებითი უნარი თავის მწვერველს შეთოდის შემუშავებასა და გამოყენებაში აღწევს. თუ რეჟისორს დრამაში არც თუ ასე თვალსაჩინოდ არსებული სტილის აღმოჩენისა და დადგენისათვის დიდი შემოქმედებითი სიმწიფეების გადალახვა უხდება, პიესის შემდგენებელი სტილი რომ სპექტაკლის სტილად იქცეოს, ამისათვის მან სათანადო მეთოდი უნდა შეიმუშავოს და ამ შემთხვევაში რეჟისორს მარტო დრამატურგისათვის კი არ უხდება ანგარიშის გაწევა, მსახიობიც უნდა გაითვალისწინოს. მაგრამ მეთოდის შექმნის სიმწიფე მარტო დრამატურგისათვის და მსახიობის შემოქმედების სპეციფიკაში და მათს ინდივიდუალობაში ჩაწვდომით როდი განისაზღვრება: როცა დრამატურგმა სრულყოფილად დამთავრებული დრამა შექმნა, ამითვე მან მკითხველს, რეჟისორს, მსახიობს, მხატვარსა და კომპოზიტორს პიესის ასათვისებლად საჭირო სტილი დაუტოვებ, მაგრამ სტილის შექმნისათვის საჭირო თავისი მეთოდი პიესის დამთავრების შემდეგ თან წაიღო და მკითხველს, რეჟისორს, მსახიობს, მხატვარსა და კომპოზიტორს სპექტაკლისათვის საჭირო მეთოდის ნატაშალიც არ მისცა. მკითხველს მეთოდი არც სჭირდება, მაგრამ რეჟისორისა და მსახიობისათვის იგი აუცილებელია, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, რეჟისორმა და მსახიობმა, პიესის სპექტაკლად დადგმის დროს, დრამის სრულყოფის მთელი პროცესი უნდა გამოიარონ.

რეჟისორს უზირველესად დრამატურგის მიერ შექმნილი სტილის სწორი აღმოჩენა და სპექტაკლის გმირთა განსახიერების სრულყოფისათვის დრამის სტილის, როგორც სრულყოფის პროცესის, განმეორება დაეკისრა; მართალია, „გამეორება“ არაა უზრალო განმეორება, იგი ძირითადად დრამატურგის გმირის მოქმედ მოქალაქედ გადაიქცევა, მაგრამ ლატარატურული გმირის „მოქმედ მოქალაქედ გადაიქცევა“ დრამატურგის სტილით უნდა განვახიერებოთ და არა დრამისაგან დამოუკიდებლად შექმნილით, ამიტომ, როცა პიესა დაიწერა, იმ დღიდან რეჟისორის სტილის „არჩევანისაგან“ გათავსუფლდა და როლები შეიკვალა: თუ დრამატურგი მეთოდით უპირატესად, როგორც იდეოლოგიის იარაღით იწყებს თავის შემოქმე-

დებს, რევისორი, პარიჭით, დრამის სტილის აღმოჩენით, შეცნობითა და დადგენით იწყებს თავისი მეთოდის შექმნას, რათა თავისი მეთოდით დრამის სტილიდან გამოიყვანოს და მით სრულყოფილი სპექტაკლის შექმნის სწორი გზა გამოჩინოს.

როცა ვამტკიცებთ, რევისორმა დრამის სტილი სპექტაკლის სტილად უნდა აქციოს და მის სპექტაკლის სტილის შექმნაში სტილის „გამომგონებლობის“ და „არჩვენის“ უფლება არა აქვს, სპექტაკლის ერთადერთ სტილს დრამის არსებული სტილით, ამით სრულებითაც არ გვინდა ვამტკიცოთ, რომ რევისორი მხოლოდ დრამატურგის სტილის შექმნიერად განმეორებელია და არა შემოქმედი. დრამის სტილი რომ სპექტაკლის სტილად იქცეს, საჭიროა რევისორმა თავისი მეთოდით მსახიობი, მხატვარი, კომპოზიტორი დრამის ერთადერთ სტილს დაუმორჩილოს და მათი შემოქმედება მის მიხედვით წარმართოს. ამიტომ რევისორი დრამის სტილის უბრალო აღმოჩენი კი არაა, იგი თეატრალური სინთეზურობის ერთი სტილით, დრამის სტილით გამსჭვალვის შედეგად, დრამის სტილის სპექტაკლის სტილად გადაქცევის შემოქმედი. შემოქმედი უპირველესად იმდენად, რამდენადაც პიესის სტილი ჯერ კიდევ არაა სპექტაკლის სტილი და სპექტაკლის შექმნის მეთოდი, მიუხედავად მეთოდის სტილთან კავშირისა, რევისორის ეკუთვნის და არა დრამატურგს.

თუ დავუკვირდებით თანამედროვე რევისორებს, თვით ნიჭიერი და ერთდროის მჭონე რევისორთა საკმაოდ დიდი ნაწილის შემოქმედებაშიაც კი აღმოჩნდება „შეცოდება“ და „გაუქმდობა“, რაც უმთავრესად იმის შედეგია, რომ რევისორები ანგარიშს არ უწყვენ დრამის სტილს და ცდილობენ დრამისაგან დამოუკიდებელი სტილი შექმნან. რა იწყებს თანამედროვე რევისორების შემოქმედებაში ამ ყველაზე გავრცელებული ნაკლის არსებობას? ამ ნაკლის მშობელია არა მარტო რევისორთა ერთი ნაწილის მისწრაფება — გადაქციონ რევისორი თეატრალური და კონსერვატივის შემოქმედების „ყველაფრად“, არამედ ამ ნაკლის სათავეა თანამედროვე დრამატურგის შედარებითი ჩამორჩენა.

თანამედროვე დრამატურგის სისუსტე აიძულებს რევისორს, არა მარტო დადგმული იყოს, არამედ ძალიან ხშირად რევისორია პიესის ავტორი. თეატრისა და დრამატურგიის ასეთი „თანამედრობა“, სამწუხაროდ, ისე შორს წავიდა, რომ იგი ვასცდა საავტორო ფარგლებს და თანამედროვე დრამის დიდ ნაწილს, მართალია, „ჩველებურად“ (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) ერთი ავტორის სახელი და გვარი ამშვენებს, მაგრამ ფაქტიურად მისი ავტორი დრამის შექმნისათვის შეუფერებელი თეატრალური კო-

ლექტივია რევისორის მეთოდობით. ამგვარ „დრამისმკეთებლობას“ შეწვეული რევისორი ამ ჩვეულებას არ „ლაბრებს“ კლასიკურ სტილს დადგმის დროსაც და სრულყოფილი დრამის „გადაკეთებასაც“ მიმართავს. აქედან იოლად იქმნება „ყველაფრად“ რევისორის მიზნების ტენდენცია და იგი ისე შორს მიდის, რომ რევისორი ხშირად მეთოდს, დასადგმელი პიესის სტილიდან კავშირში როდი ქნის: ცოტა არაა ისეთი მაგალითი, როცა სპექტაკლის როგორც მეთოდს, ისე სტილს დრამატურგის სტილისაგან დამოუკიდებლად „ქმნიან“, ან ერთი პიესის სტილი და მისი შესაფერისი მეთოდი მეორე პიესის დადგმის დროს შექმნიერად გადააქვთ, მაშინ როდესაც ერთი საერთო მეთოდითა და სტილით შეუქმნებელია თვით ერთი დრამატურგის სტუდენტისა პიესის დადგმაც. თუ ერთი ავტორის პიესებისათვის არ გამოდგება ერთი და იგივე მეთოდი, მიუხედავად მათი ნათესაობისა, ყოვლად შეუქმნებელია რასინის ან ჩეხოვის პიესების სტილიდან გამომდინარე მეთოდით „პამლეტის“ სტილს ჩაებნელებით და მის „მოთვინიერებას“ შეეცადო.

თუ დრამის სტილი სპექტაკლის სტილი უნდა იყოს და რევისორმა პიესის სტილი უნდა გაითვალისწინოს, თუ რევისორის შემოქმედება ყველაზე ძლიერად დრამის სტილის სპექტაკლის სტილად გადაქცევაში მტკიცდება, მაშინ როგორ ხდება, რომ ერთი და იმავე სრულყოფილი დრამით ორი რევისორის მიერ დადგმული სპექტაკლები ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდება და ხშირად ეს სხვაობა სუსტა და კარგი სპექტაკლების სხვაობა კი არაა, არამედ ერთ დრამაზე აგებული ორი სრულყოფილი სპექტაკლის სხვაობაა, მაშინ რაღა იწყებს ამ სხვაობას?

დრამის სტილით შექმნილი სპექტაკლი, დრამატურგის იდეოლოგიით არის გამსჭვალული და, საერთოდ, მის საზოგადოებრივ იდეალებს მოიცავს. რევისორის სპექტაკლის შექმნილი მეთოდი, უპირველესად, იდეოლოგიის იარაღია და რამდენადაც ახლო კავშირში არ უნდა იყოს დრამისთან, იგი მაინც რევისორის ესთეტიკურ მრწამსს და მის საზოგადოებრივ იდეალებს ეფუძნება. ამიტომ რევისორი თავისი მეთოდით პიესიდან იმას წევს წინ და ხაზგასმით იმას აღნიშნავს, რაც მის საზოგადოებრივ იდეალებს შეესაბამება და მის ესთეტიკურ მრწამსს აკმაყოფილებს. ამიტომ არათუ მეორე საუბრენში სრულყოფილად დადგმული „პამლეტი“ იქნება შეჩვიდმეტე საუბრენში სრულყოფილად დადგმული „პამლეტის“ ასლი, არამედ თვით 1950 წელსაც ორი რევისორის მიერ „პამლეტი“ დადგმული სრულყოფილი სპექტაკლები არ იქნება ერთი და იგივე, მიუხედავად იმისა, რომ პიესის სტილი ორივე რევისორისათვის ერთი

და იგივეა და ეპოქაც ერთია, იმიტომ რომ არც ერთი ეპოქის ორი რევისორის შემოქმედებით ინდივიდუალობა არ ემთხვევა ერთმანეთს. მაგრამ როცა ვამტკიცებთ, რევისორი დრამიდან ხაზგასმით იმას აღნიშნავს, რაც მის საზოგადოებრივ იდეალებს ამაყოფილებს და მის ესთეტიკურ მრწამსს შეესაბამება, აქაც უპირველესად, მხედველობაში დრამატურგი უნდა გვეყვოდეს, რადგან რევისორის მხოლოდ იმის ხაზგასმა და წინ წამოწევა შეუძლია, რაც დრამაშია. ეს ასე რომ არ იყოს, მაშინ დრამის განვითარებისათვის ბრძოლა ამოო საქმიანობა იქნებოდა, რევისორი მარცხდება იქ, სადაც დამდგმელი შემქმნელის წინააღმდეგ მიდის. ეს წინააღმდეგობა დაღვნი-თად არ გადაწყდება და იგი თუ სრული მარცხით არა, საშუალო სპექტაკლის დაღვნით მოაქვდება. როცა ეამბობთ, რევისორმა და თეატრმა „თავისებურად“ გაიგო „ჰამლეტი“, „თავისებურად“ დადგა „ჰამლეტი“, აქ კრიტიკა თავის დანიშნულების წინააღმდეგ მიდის, რევისორის და მსახიობის განსაიდგმელად სიცრუეს მიმართავს და რევისორსა და მსახიობს სიყალბის გზაზე იყენებს. რევისორისა და მსახიობის გამარჯვება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ისინი „თავისებურად“ კი არ ვითვებენ პიესას, გმირს, არამედ ისე გაიგებენ, როგორც დრამატურგმა მოგვცა და ეპოქის მოთხოვნა-ლების მიხედვით დრამაში მოცემულ ამა თუ იმ საკაცობრიო მხარეს წამოწევენ წინ. შექსპირს არ სჭირდება ისეთი „თავისებური გაგება“, როგორც ამას დასავლეთის ქვეყნებში მიმართავენ, სადაც, ზოგჯერ, ფრაქში გამოწყობილი ჰამლეტი თანამედროვე დენდის ევრიბრება, მაგალითად, შექსპირის ოტელო ველმართალი, მიმწდობი, პატიოსნებით აღსავსე კაცია, რომელიც თავისი დიდი სიყვარულის შეზღაურას ვერ ითმენს, ცილისწამების წყალობით თავის ბედნიერებას ამსხვრევს და საკეთარი სახარულის მკვლელი ხდება. ვერც ერთი მსახიობი და რევისორი, რომლებმაც „ოტელიო“ დიდი სპექტაკლი შექმნეს და ოტელო დიდებულად განასახიერეს, დრამატურგის მიერ მოცემულ ამ საერთო ხაზს ვერ გადასცილდებიან, რა გენიოსებიც არ უნდა იყვნენ ისინი და არცაა საქირო მას დასცოდნენ. მაგრამ დიდი ოტელოები მაინც არ ჰგანდნენ ერთმანეთს, ყველაფერში არ ემთხვეოდნენ ერთმანეთს, ბევრ რამეში განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან არა იმიტომ, რომ რაღაც თავისი გამოიგონეს და შექსპირის ჩანაფიქრში რვეოდეთია მოახდინეს — არა, ისინი ოტელის სხვადასხვანაირად განასახიერებდნენ სხვადასხვა იდეოლოგიის, მასაღისა და ნიჭის, სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის, სხვადასხვა ეპოქის, ანსაშბლისა და რევისორის წყალობით, ამ სხვაობაში უდავოდ არის დიდი შემოქმედებითი თავისებურება.

რომელიც მხოლოდ ოტელის ამ და არა ამ განმასახიერებელს ახასიათებს. ჰამლეტი შეიძლება სხვადასხვანაირად განასახიეროთ, მაგრამ შექსპირის ფარგლებში — შექსპირის სტილში და არა მის მიღმა. შექსპირის გმირებს აქვთ ისეთი ზოგადი იდეალები და თავისებურებანი, რაც უცხო არაა თანამედროვე ადამიანისათვისაც. მთავარი ისაა, რომ შექსპირის გმირებში დღეს ის წამოწევიით წინ, რაც თანამედროვე ადამიანის იდეალებს ყველაზე უფრო ახასიათებს და მის ცხოვრებას შეესაბამება.

ჰამლეტი, მსგავსად ოტელის, კუშმარტების მძიებელია, მაგრამ მისი ინტერესების სფერო სხვა მხრივ მიემართება. თუ ოტელო „მოღალატი“ მეუღლის დასჯაში აზოვადებს დიდ საკაცობრიო იდეალებისათვის ბრძოლას, ჰამლეტი მამის მკვლელის დადგენაში იმკლავნებს ადამიანთა ცხოვრებაში გაბატონებულ მანკიერებას. ჰამლეტი კუშმარტების მძიებელია და თუ იგი თავშეკავებულია, ეს თავშეკავება სიმართლის დადგენის და მისი განხორციელების სიძნელეთაა გამოწვეული. შექსპირმა ჰამლეტის სახით ფაქტიურად მამის მკვლელის მძიებელი კი არა, არამედ მოგვცა პატიოსნებისათვის, სიმართლისათვის, ცხოვრების კუშმარტი მიზნებისათვის მებრძოლი ადამიანი, რომელსაც ვერავიბისა და ბოროტების ტყვენი უხდება ცხოვრება. ამ ტყვენი კუშმარტება, სინდისი, მეგობრობა საეჭვოა და მას აღმოჩენა და დადგენა სჭირდება. ეს კი უძნელესი საქმეა, რადგან ჰამლეტს ვერაფერი გარემოცვაში მხოლოდ პორაიცო და მოკლული მამის აჩრდილი ჰყავს შემწედ, მას საკეთარი დედაც კი განდგომია და მტრების ხანაქში გადასულა. ასე ეთქვათ, ჰამლეტს „უარმიოდ“, მძლავრ თანაშობაზროვნეთა და თანამებრძოლთა გარეშე უხდება ბრძოლა, იგი გამოწყალისია, და შექსპირმა ჰამლეტის სახით ცხოვრების სიძნელეთა გამო ყოფნა — აჩუოფნის საკითხი დააყენა და ჰამლეტი ყოფნის სასარგებლოდ აამოქმედა, იგი „მოზღვავებულ უცუღმართობას“ შეაბრძოლა, მაგრამ ამ ბრძოლაში დრამატურგი თავის გმირს ამარცხებს, რადგან ჰამლეტის დრო ჯერ კიდევ არ დამდგარიყო.

შექსპირის დრამებით სრულყოფილი სპექტაკლების შექმნას ზელს უძლის ამ ბოლოდროს მეტად გავრცელებული რევისორის ე. წ. „კუბიურები“. მაგრამ თუ „კუბიურებს“ დავუშვებთ, იგი აუცილებლობით უნდა იყოს გამოწვეული და ისე სათუთად უნდა ჩაეჯატროთ, რომ ისინი ვერც მსახიობმა და ვერც დრამის მეთოდელმა იგრძნოს. მაგრამ შექსპირის თანამედროვე „შემსწორებებს“ „კუბიურები“ ისეთი „ძლიერია“, რომ არავითარი კავშირი არა აქვს აუცილებლობით გამოწვეულ შემსწორ-

რებასთან. რა უნდა მიეჩინოთ საჭირო შემკორების აუცილებელ მიზეზად? არა თვით შექსპირის დრამები, არამედ ის მსახიობები, რომლებიც კონკრეტულად ამა თუ იმ პიესის გმირებს განსახიერებენ. მაგრამ დღეს რეჟისორები შექსპირის „შესწორებას“ იწყებენ მსახიობთა და საერთოდ თეატრის შესაძლებლობის გათვალისწინების გარეშე.

მაგრამ სრულყოფილ დრამაში როლის სრულყოფილად განსახიერებას ხელს უშლის არა მარტო „ეპიკურების“ უმართებულო გამოყენება, არამედ დეკორაციების ერთფეროვნება და მისი შეზღუდულობა. თუ მთელი სპექტაკლის დეკორაციულ ფონს ხელოვნურად შევამოცირობთ და მთელ სპექტაკლს ერთ დეკორაციულ ხედზე დავდგამთ, ამით მსახიობს აუცილებლად საჭირო საშემოქმედლო გარემოს წაეკარებოდა და როლის სრულყოფილად განსახიერების საშუალებებს შევზოკავთ; სპექტაკლი მრავალფეროვანი დეკორაციით უზრუნველყოფა სრულიად არ ნიშნავს ისეთი დეკორაციებით დადგმას, რომელიც მსახიობს „ჩაყლაპავს და სცენაზე ადამიანს გასრესს“. მაგრამ გმირის სცენაზე თვალსაჩინოდ გამოჩენილი მხატვრული დეკორაციის უპირობო და სპექტაკლის დეკორაციის თითქმის ერთი ხიდივით განსაზღვრა ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში გადავარდნაა. კრიტიკოსებმა „რიჩარდ მენსფილდი“ დიდ მიღწევად ჩათვალეს თითქმის მთელი სპექტაკლის დეკორაციის ასაწევი ხიდივით შემოზღუდვა, იდეური შემოქმედების შემზოკველი „პირობითობა“ შეაქვს და ის ვერ დაინახეს, რომ ამით მხატვარმა და რეჟისორმა მსახიობებს პიესიდან გამომდინარე აუცილებლად საჭირო საშემოქმედლო ასპარეზი წაართვეს.

თეატრი მსახიობის თეატრი უნდა იყოსო, გვეუბნებიან, და არა მხატვრის ნაიმუშევარის გამოფენაო. ნაწილობრივ ჩვენ ვეთანხმებით ამ აზრს, მაგრამ „მსახიობის თეატრი“. ეს, უპირველესად, განსახიერებელი გმირის თეატრია. განსახიერებელი გმირი, რომელიც დრამატურგმა მოგვცა, ამა თუ იმ ეპოქის კოცხალი ადამიანი და ეს ადამიანი „მსახიობის თეატრში“

კი არ დაბადებულა, არამედ ქალაქის ან სოფლის შვილია — ან ორივეს ერთად, იგი სახლში, ან სასახლეში ცხოვრობდა, ან რეჟისორის ქუჩაში დადიოდა, მოუყარეს ან მტერს ხედებოდა. აი, ეს „შეხვედრის“, ცხოვრების ადგილია მხატვრის დეკორაცია თეატრში. ასეთი დეკორაცია კი არ სრესს მსახიობ გმირს, არამედ ხელს უწყობს სცენაზე მის ცხოვრებას. მარჯანიშვილის თეატრში კი „რიჩარდ მენსფილდი“ რეჟისორმა და მხატვარმა ხიდის წინაშე დაინაწიეს, „რიჩარდ მენსფილდი“ გმირთა სამოქმედო ასპარეზი დეკორაციაში უპირველად შეზღუდეს. მაგრამ უკეთესი მდგომარეობა არც რუსთაველის სახ. თეატრში დადგმული „კამლეტის“ დეკორაციაშია. აქ საშუალო საუკუნეების ელსინორა, ძირითადად ძნელად სასიარულო კიბეებითაა წარმოდგენილი. თანამედროვე თეატრში დეკორაციები, ანუ გმირის სამოქმედლო ასპარეზი უნდა ვასცდეს შემზღუდველი „პირობითობის“ საზღვრებს. დეკორაცია ის გარემოა, სადაც გმირს შინაგანი სამყარო კი არ ჩამოვალიბდა მხოლოდ, არამედ მის მოქმედებაში გადასვლის საშუალება მიეცა კიდევ. დეკორაცია უნდა არწმუნებდეს მყურებელს, რომ აუთი გაიოს მხოლოდ ისეთ გარემოში შეედლო ჩამოვალიბება და მოქმედებაო. ამიტომ დეკორაცია უბრალოდ ასახელები ან ჩამოსახელები კიბე, უბრალო თავშესაფარი ოთახი, ან სასახლე კი არ უნდა იყოს, სპექტაკლის დეკორაციაში უნდა იგრძნობოდეს გმირის ცხოვრების შაჯისკემა.

როცა სპექტაკლის სრულყოფილებაზე ვმსჯელობთ და მის სინთეზურობაზე მიუვითხოვთ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ მხატვრულად ღირებულ პიესასთან ერთად საჭიროა არა მარტო დიდი რეჟისორი და მსახიობი, არამედ განსახიერებელი გმირის საცხოვრებელი გარემოს დიდი მხატვარი და დრამატული თეატრის „სინთეზური ცხოვრების“ შეაფთო გამოვლინება. ამ „ელემენტების“ ოსტატური განეთარებია და მისი ერთობლიობის გარეშე დღეს ვერავითარი თეატრი ვერ იარსებებს და არც მისი სინთეზურობა იქმნება შესაძლებელი.

მარეკა აუხანიძე

ტიციან ტაბიძე*

* * *

ცხადია, ტიციანი გრძნობდა ბერეკუაზიულ კელტურის კრიზისს. ის ახლო იყო გაცნობილი იმ ხანებში მოღვაწე მწიგნობარ კარდინალის შრომას „Закат Европы...“ და ანდრეი ბელის წიგნებს კელტურის კრიზისზე. ტიციანიც, ისე როგორც მაშინდელი ინტელიგენციის ნაწილი, დეკადანსის იდეების გავლენას განიცდიდა, არ იყო მხედველობაში მიღებული, რომ „ჩასვენების“ სამიშრობების წინ იდგა ბერეკუაზიული, უკვე დაკნინების გზაზე მდგარი კელტურა და არა ის კელტურა, რომელიც მუშათა კლასის წიაღში იქმნებოდა, რომ სწორედ ბერეკუაზიულ კელტურას ჰქონდა უკვე განვლილი თავისი განვითარების ზენიტი, ამ კრიზისის წინაშე იდგა დეკადენტური პოეზიაც, რომლის კოლორიტული წარმომადგენელი მაშინ ჩვენში იყო ტიციან ტაბიძე. მისი წარმოდგენით პოეზია ათეოსტურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. იმ წლებში მას ნამდვილად სწამდა, რომ „ჩვენ უფრო უარესი დრო მოგვეწია, რაღაც ჩვენ თვალწინ ლექსიც კი დაობდა“. ვერც გამოვიღოდა პოეზია სიმბოლიზმის ჩიხიდან, რომ საბჭოთა ხელისუფლება არა, რომელმაც სინამდვილის შეცნობის ერთ-ერთი მთავარი იარაღი — ლიტერატურა, გაანადგურა, რეალისტურ გზაზე დააყენა.

ბოქემურ ცხოვრებას, რაც დასახელებული ჯგუფის სულეერ არტისტების ერთგვარ გამოვლენებას უწყობდა ხელს, მის წევრებს მტკიცედ აკავშირებდა და შესაძლებელს ხდიდა იდუმალი პოეტური ზრახვები ერთმანეთისთვის გაუზიარებინათ, გულწრფელად უნდა ითქვას, დიდი ზიანიც მოქონდა. მასში გამოსავალს პოულობდა ერთგვარი სნობიზმი. შინაგანი უდისციპლინობა, სულეერი ანარქიზმი. ცისფერყანწილები წარმოადგენდნენ მტკიცედ შეკრულ ჯგუფს, ერთმანეთთან იშვიათი შეგობარული გრძნობით დაკავშირებულს. მათ ერთმანე-

ნეთი ღრმად და გულწრფელად უყვარდათ, იცოდნენ ერთმანეთის გატანა, დაცვა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, ცხადია, იმას, თითქოს მათ შორის არაერთი გარეგნობის არ ჰქონოდათ ადგილი. არა, იყო გარეგნობანიც, კამათი, შინაგანი დაჯგუფებანიც, გამორჩეული სიმპათიებიც.

რუსთაველის სახელობის თეატრის წინ იყო კაფე-სასაუზნე. დიდი ხნის მანძილზე ის იყო შეერთებისა და რუსთაველის თეატრის მსახიობთა შესახვედრი ადგილი. უბრალოდ გაწვობილ სუფრაზე იყო საუბარი ხელოვნების გზებზე, ლიტერატურაზე. აქ ჩიზზე ან ჭიჭა ლეონოვზე ხშირად შეხვედებოდათ საუბრის ჯადოქარს ი. ა. ნიკოლაძეს, ჩვენს საყვარელ უშანგი ჩხეიძეს, იშვიათ მსახიობსა და ადამიანს შალვა ლამბაშიძეს და სხვ. იყო საჯადოქრო მაგიდა, რომელსაც თითქმის ყოველ დამე უჯდა მაშინ ცნობილი მოჭადრაკე, უკვე ხანში შესული მოსამართლე ხარლამში სირბილაძე. ცისფერყანწილებიც საკმაოდ ხშირად იკრებოდნენ აქ. ერთ დამე სუფრას უსხდნენ პაოლო, ვალერიანი, ტიციანი. სხვები არ მახსოვს. რაღაც საკითხის გამო კამათი ჩამოვარდა. ერთმანეთს შეებნენ ტიციანი და ვალერიანი. ტიციანი არ იყო დამბობი ლიტერატურულ კამათში, ვალერიანიც მტკიცედ იცავდა თავის პოზიციებს. კამათმა მწვევე ხასიათი მიიღო, ხმამაღალ ლაპარაკში გადავიდა. ვარეთ გავედით, ოპერისა და ლენინარტის ქუჩის კუთხეში. კამათი გაგრძელდა. ლამის ხელით შეებნენ ერთმანეთს. პაოლო იძულებული გახდა კამათში ჩარეულიყო და მისთვის მშვიდობიანი ხასიათი მიეცა. მიზანს მალე მიაღწია. ტიციანი და ვალერიანი ერთმანეთს გადაეხვიდნენ და სიცილიც აუტყდამთ: რა ვაძახებებოდაო. ისინი ბოლომდე ერთმანეთის მოყვარულნი დარჩნენ. პაოლო გარდაიცვალა. მალე ტიციანიც დაგვმორდა. მათი დაკარგვა ვალერიანმა მძიმედ განიცადა. ცუდად გრძობდა თავს. თითქოს ორი ფრთა დაემსხვრა. გულის დაუადება ვაუქლოვარდა, ველარ იტანა ჯაგრი,

* ვაგრძელება, იხ. „მნათობი“ № 4.

ისედაც გულნათხრობილმა და მეგობრობის ამ იშვიათმა მომღერალმა, და მალე დატოვა წუთისოფელი.

ახალგაზრდა ენთუზიასტ კომუნისტების წრეში უოფნამ ტიციანის პოლიტიკურ შეხედულებებზეც გარკვეული გავლენა მოახდინა. მასხოს ტიციანი 1921 წლის თებერვლის დღეებშიც, ტიცი, სუსხიანი ქარი ქროდა. ისმოდა ტყუპამფორქვევების კაკანი, ბრძოლა თბილისის მისადგომებზე მაშინდარეობდა. ქალაქს შემოთეება ეტუპობდა. მენშევიკების აგენტები საშინელ ხმებს აერცელებდნენ ბოლშევიკებზე, რას არ ამბობდნენ! საჭირო იყო ქალაქში წესრიგის დაცვა. მასხოს, წესრიგის დამცველთა შორის იყო ტიციანიც.

ჩვენ არ ვიყავით თავისუფალი ილუზიებისაგან. ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის საკითხში საკმაოდ სქელი ბურუსი გუფარავდა. მასხოს, რა სიხარულით შეეხედით საქართველოს de iure-დ ცნობის ამბავს, პაოლო იყო ერთი ინციტორთავანი იმ დემონსტრაციისა, რომელიც ამ ცნობასთან დაკავშირებით მოეწყო. ისიც უნდა ითქვას, რომ მაშინ ამ ცნობის გამო მრავალი ანგვლოტიც ვაერცეულა. ამბობდნენ, ქვეყანა მტკვარს მიიქვს, იხრნობა, ანტანტის წარმომადგენლები კი ხიდიდან სვირს ეუერებენ — და წულწალებულს ეუვირანს: გიცანით, გიცანით! ეს ილუზიები და ბურუსი მხოლოდ შემდეგ გაიფანტა ჩვენს გარშემო, ისიც თანდათან და არა უმტკივნეულოდ. უნდა ითქვას, რომ ცისფერყანწელთა ჯგუფი პირველ ხანებში მაინც მერყეობდა, ვერ მოეწახა გარკვეული პოლიტიკური ვაზა, რომელიც ხალხის ცხოვრებაში მომხდარ გარბილურ ცვლლებას უნდა დამთხვეოდა. ლიტერატურულ-ესთეტიკურ საკითხებში იგი (ჯგუფი) იცავდა ჭველ, დრომოკმულ, ხალხის ინტერესებს დამორჩებულ პოზიციებს.

სწორედ ამ წლებში გამოდიოდა ეტრანლი „მეორენებ ნიამორები“, გაზეთები: „პარიადაი“, „პაბტრიონი“, „რუბიონი“. უკანასკნელი წარმოადგენდა შვერალთა ახალი კავშირის ორგანიზს, ასევე ლიტერატურული სკოლის გარეშე იდგა „პაბტრიონი“. მაგრამ ერთშიც და მეორეშიც, უმთავრესად, დასახლებული ჯგუფის წევრები იღებდნენ მონაწილეობას. „პარიადაის“ რედაქტორი კი იყო ტიციან ტაბიძე და იგი უფრო ცისფერყანწელთა მებრძოლ ორგანიზს წარმოადგენდა. თუ არ ეცდებოდა, ეს გაზეთი იწუპობდა და იბეჭდებოდა უოფლი სამხედრო სტამბაში (კეცხოველის ქუჩაზე, საჯარო ბიბლიოთეკის გვერდით), გაზეთის გამოსვლისას ყველანი სტამბაში ვიყარდით თავს. გაზეთის სული და გული ტიციანი იყო. იგი დიდად მოყვარული იყო ახალგაზრდა ლიტერატორებისა. მასხოს, რა მოჩიდებით და მოკრძალებით

შემოვიდა დასახლებულ სტამბაში მაშინ ახალგაზრდა ლევან ასათიანი და რა მსხრტნეულმხმბ დუხვდა მას ტიციანი. გაზეთში მდინარე დუვანის ლექსი. მაშინ ამ სტამბაში პირველად გავიცანი ლევანი, რომელთანაც მეგობრული კავშირი მას უდროო, მეტად დამალონებელ სიკვდილამდე არ გამიწყვეტია. ლექსის სახელწოდება იყო „სანტიმეტრალური დრეტი წეროსთან“. ლექსი გამოხარა იყო ლერიხშით, რაც საერთოდ დამახასიათებელი თვისება იყო ამ შესანიშნავი ადამიანისა, რომელიც დაჯილდოებული იყო ვონებამახვილობით, მეგობრობის გრძნობით და ფართო ერუდიციით. ლევანი მოკრძალებით კითხულობდა კორექტურას თავის ლექსისა, რომელიც მაშინ სიხარულით მიიღეს ცისფერყანწელებმა და, განსაკუთრებით, გაზეთის რედაქტორმა — ტიციანმა. ლექსი ასეთი სტრიქონებით იყო დაშვუნებული:

და ჩვენ ორივეს გვიანდა აღერსი,
კუთილო წეროვ, ნაწყენო მეღით.
ეგრძნობ, რომ წინ გველის ჩვენ უარესი
საბედისწერო და უცაბედი.

მეგობრული აღერსის შექმნი იყო მაშინ გაბვეული ლევანი, რომლის ლექსები იბეჭდებოდა ახალი შვერლარის სხვა ორგანოებშიც. ლევანი გამოირჩეოდა პოეტური თრთოლით, ნატოდი გემოვნებით, წერის კელტურით, რის გამოც მისი კრიტიკული წერილები და გამოკვლევები ასეთი ხალისით იკითხებოდა უოველთვის.

ამ წლებში ცისფერყანწელთა თავიანთ სტიქიაში გრძნობდნენ თავს. უნდაღათ უოველი მოვლდა, ყოფითიც კი, რაღაც ზღაპრულ, ფანტასტიკურ ბურანში გაეხვიათ, რეალურზე მალა დაეყენებინათ. ასეთი იყო პაოლოს ქორწილი, რომელიც მან ენგელისს ქუჩაზე, თუ არ ეცდები, თავის დიდ ოთახში გადაიხადა. კიდევ უფრო განსაკუთრებულ პირობებში გადაიხადა ქორწილი გოგლამ. ეს მოხდა „ქიშერიონში“, ოთახში, რომელიც ჩასასვლელ კიბის გვერდით მდებარეობდა. ეს იყო არა ქორწილი, არამედ ნამდვილი პოეზიის დამე. ლექსი ლექსი სცვლიდა, იყო სიტყვები საერთოდ — პოეზიაზე და, კერძოდ, გოგლას შემოქმედებაზე, ასტრალურ მტვერზე, რაც აღი არსენიშვალის მოსწრებული სიტყვით სურსათს ცვლიდა სუფრაზე. იყო შეჯობრება ტიციანსა და პაოლოს, ეალერიანსა და თითონ გოგლას შორის. ფიცი მშობისა და უნტრევე მეგობრობაზე. აქ ფიციოხული ზოგიერთი ლექსი შემდეგ გამოქვეყნდა პრესაში. გვიან, ვანთიადისას, დავიშალეთ. ახლად ჯვარდისწერილი სახლში მივაციღეთ. სასახლის წინ მშვენიერ ხეივანში სერგო კლდათეილმა შეასრულა თავისი „ცნობილი“ ცეკვა იველის სიკვდილი“. მიუხედავად დაღლილობისა, ყველანი

სიცილით იხრებოდნენ. ქუჩას მიათვთრებდა პატარძლის — ფეფიკის მსუბუქი კაბა. ლექსებით ფარავლობდა არც ქუჩაში შეწყვეტილა. ტიციანი ზომ აღტაცება იყო. თუ ვინმეს შეიყვარებდა — შეიყვარებდა მთელი გულით. ვინმეს ამოჩემებდა მთელი გულით იცოდა. არ უყვარდა კომპრომისები. იმ დამესაც შორს, შორს გაისმოდა მისი აღტაცებული ამოხახილები...

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლები იყო. მთავრობამ მყერალთა კავშირს გადასცა ის სახელი, რომელიც მას ახლაც უკავია. ზოგიერთმა მყერალმა და მოღვაწემ უბინაობის გამო მაშინ მის კედლებს შეაფარა თავი დროებით. ერთი თუ ორი თვე ტიციანიც აქ ცხოვრობდა. მასსოვს, ერთ-ერთ ოთახში ცხოვრობდა ცნობილი კომპოზიტორი მელიტონ ბალანჩივაძე. ეს იყო იშვიათი გელის აღამიანი, ამის წარმტაცი მომყოლი, კეთილი, მეტად მოყვარული ახალგაზრდობისა. პატრეცემულ მელიტონს პეტროგრადიდან ვიცნობდი ისე, თავის დაკვირვით. სტუდენტებს გვიანტრეცებდა კომპოზიტორის ცხოვრების პირობები. ვაკონიალი გვეჩინდა, რომ რაღაც კარგა დიდი თამაზა მოეგო, მგონი, ლატარიაში. გვეგონა, რომ მას კომპოზიტორი ბინა ექნებოდა. როცა ერთ მშვენიერ დღეს ვესტუმრეთ, ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. დავინახეთ მეტად ღირბულად მორთული ოთახი, რომელიც სარდაფს უფრო წაგავდა. ოთახში იდგა როიალი, უბრალო რკინის საწოლი და რამდენიმე სკამი.

ქართული სტუდენტობა ვგერაფორდებულ პოლაკის დარბაზში (რომელ ქუჩაზე იყო, აღარ მახსოვს) მართავდა საღამოებს. ქართულ სიმღერებს მთავარი ადგილი ჰქონდა დათმობილი. სტუდენტებისაგან შემდგარ გუნდს მელიტონი ამაღლებდა საღამოზე მონაწილეობის მისაღებად და ლატარიაში კიდევ. ერთ საღამოზე, მონაწილეობა მიიღო ჯადოსნური ხმის პატარანმა, ცნობილმა მომღერალმა ქაქაძემ, სახანვევამ. ეს ის მომღერალი იყო, რომელიც შემდეგში ტიციანმა თავის ლექსში მოიხსენია. მასსოვს საღამოზე მომხდარი კურიოზი. სცენაზე იდგა გუნდი. ლატარიაში მელიტონი. შესრულებულ სიმღერებს დასწრე საზოგადოება ტაშით აჯილდოვებდა. რომელიღაც სიმღერის შესრულებისას გუნდის მონაწილეები დაიბნენ. სიმღერაში საშინელი დისონანსი შეიქმნა. ატყდა დარბაზში სიცილი. მელიტონმა აღარ იცოდა, რა ექნა. ფარდა დააშვებინა. ერთი შეუქურთხა გუნდს, შემდეგ სკანდლი ხუმრობაში გადაიტანა და საღამო ისევ განაგრძო.

1921 თუ 1922 წლებში მელიტონს ეხედებოდათ მყერალთა სახლში. ერთ საღამოს მისი ოთახის წინ, ავიანზე ვისხედით: მელიტონი, ტიციანი და მე. მელიტონი მაშინაც ლოყებულადა იყო. ჩიბუქს ეწეოდა, იშვრულ კილოზე

უქცევდა. ალბათ იმის გამო, რომ იგი ხალხისა-ნი ბუნებისა და ღიმილის კეთილი, ტიციანი პანს ენახდა. თხრობის მოყვარულმა მელიტონმა თავისი რომანტიკული თავგადასავალი მოგვიყვია. დაძებული უფრადღებით ვესმენდით. ტიციანმა მოხოვა, ჩამეწერა ნაამბობის ჩონჩხი. აი რა გვიამბო მაშინ მელიტონმა:

„19 წლისა ვიყავი. არც თუ ხელწამოსაკრავ კაბტუად ვითვლებოდი. მიყვარდა მთელი ქვეყანა, როგორც ეს ახალგაზრდას შეეფერება. თითქოს ხელით ვწვდებოდი და ვეხებოდი მუსს, მთვარეს, ვარსკვლავებს, გამჭვირაულ ლავარდებს. მთელი ეს საჰყარო ჩემს გულში იყო მოქცეული, მაგრამ უფრო მიყვარდა გლეხმებული მიწა, ხახისა ბალახი, ტყე, მდინარის ჩუხჩუხი. სწორად დავდიოდი ბაღში და მართლ მყოფი უფრო მამფრად განვიცდიდი ბუნების სილამაზეს, მის უკვდავებას. გული სავე იყო რაღაც ბედნიერებით.“

ბავშვობიდანვე მიყვარდა მუსიკა. ხმაყ გვირანი მქონდა. მუსიკალური სკოლა/დავასრულე. ჩემი ცდა, განმეგრძო მეცადინეობა, უნაყოფო აღმოჩნდა. უკეთესი მომავლის მოლოდინში ოპერაში დავიწყე მუშაობა. ამავე დროს უზომოდ გატაცებული ვიყავი საეკლესიო გალობით. ვმეცადინებოდი ერთ-ერთი ეკლესიის გუნდში. ასე გავატარე რამდენიმე თვე.

როგორც იტყვიან, ერთ მშვენიერ დღეს ეკლესიას ესტუმრა რუსეთიდან ჩამოსული 9 მონაზონი. მათ განეზრებათ მონასტრის დაარსება და ამ მიზნით შეწირულებას კრებდნენ. შემდეგ ისინი ხშირად დადიოდნენ ეკლესიაში წირვაზე. ერთი მათგანი იყო მომხიბლავი, ტანმალალი, სახით მდიონას წაგავდა. განსაკუთრებულ სიმოვნებით მივისწრაფოდი ეკლესიაში, სადაც 9 მონაზონი შორის მვეგულუბოდა ის ერთი, ოცნებისაგან განუშორებელი. შევუბნე მოსილი იმ ქალს თითქოს დასაბამიდან ვიცნობდი, შემდეგ თითქოს ღრუბლებში დამეყარა და ვეძებდი...“

ერთ დღეს, დიდი მარტვის მიწურულში, სრულად შემთხვევით ვავიციანი იგი. მორიდებით მოხოვა, მეწყველებინა მათთვის ქართული გალობა, რომელიც ასე მოსწონებოდა. რასაკვირველია, სიმოვნებით დაეთანხმდა. თანდათან დავეხსლოვდი. ბოლოს ვაცილებდი კიდევ. ერთხელ, როცა საღამოს, მწუხრის შემდეგ, ჩვეულებრივად გვეყვები მას სახლში, ვეღარ მოვიტყინე, სთომამე მოვიკრიბე და გულის ნადებო გავეშვილე. დიდხანს ვესაუბრე. არც მასსოვს, რას ველაპარაკებოდი. რაღაც წისლში ვიყავი თითქოს გახვეული. მთვარეულს ვეგავდი. არც ის მასსოვს, როგორ აღმოჩნდით მის ბინაში. მხოლოდ მისმა ნახმა და მოწყენილმა ხმამ გამომამხიზნა. გამომშვიდობებისას სველიანი თვალები ძირს დახარა. ვიგრძენი, მის გულშიც კი იყავი გიზგიზებდა.

მოახლოვდა ვენების კვირა. ზიარება უნდა მივედო. შაბათი იყო. ის ეკლესიაში იღვა. მხოვია: თქვენზე წინ ეხზიარებია. დავთანხმდა, როცა მე მივედი მოძღვართან საზიარებლად, ის ანგელოზი გვერდით იღვა. თითქოს რაღაც სასწაული მოხდა: ზენის შორის იდუმალი კავშირი გაიბა. ზიარების შემდეგ ქალი წინ გამოსწრო. როცა მოწყვნილმა ჩემი ოთახის კარი შევადე, საოცარი სურათი გადაიშალა: ჩემს წინ იდგა სრულიად თეთრებში გამოწყობილი ქალი, რომელსაც გულშეკრულს იშვიათი სამკაულები უმშვენებდა. ღიმილით შემეგება კარებში და მომესალმა, „ქრისტე აღდგაო“, დავიბენი. ვერაფერი ვუპასუხე. რა ბედნიერი ვიყავი იმ წუთებში. მას წინასწარ ვაეწუო პატარა სუფრა. ვებრფოდი, ვებრფოდი შორიდან. ასე ეხედებოდი ერთმანეთს სავი თვის განმავლობაში. ის კვლავ მონაზონის ტანსაცმლით შეიშომა. შემდეგ უეცრად გაქრა თვალთახედვიდან. ევალსად შევხვდი. თითქოს საყრდენი გამოშვალა ფეხთაგან. ვშოთოვდი. ვერ ვისვენებდი. ერთ დღეს, როცა შინ ვიყავი, შვილედ წერილი. ის მწერდა. „უზოზოდ ბედნიერი ვარ, რომ შენი სიყვარული მიმეყება თანო, რომ არასოდეს არ დავივიწყებ, შენთვის ვილოცებ, რომ შენ იყავი ჩემი წმინდანი და ასეთედე დარჩებიო, რომ იძულებულად ვიყავი დამეტოვებინე და წამოვედულიყავი იქ. საითყენაც მოვალეობა მომიწოდებდაო“. პე, მაშინ 19 წლისა ვიყავი, ჩემო კარგებო“.

არ ვიცი, მონათხრობი მისი ფანტაზიის ნაყოფი იყო, თუ ნამდვილად განცდილი აშხავი. მეღიბრნი ისეთი გულწრფელი, პატიოსნებით შემკული აღმანი იყო, რომ ეფიქრობ, მან ნამდვილი რომანტიკული თავგადასავალი გვიამბო. ტიციანი ღრმა პატივსა სცემდა მეღიბრებს, როგორც გამოჩენილ კომპოზიტორს, რომელიც არავითარ კინკლაობაში არ ერეოდა, პატივსა სცემდა დიდ პატიოტს და სხეტეც აღამიანს.

როგორც ზემოთაც აღენიშნე, 1921-23 წლებში, ახალი მწერლობის კავშირის შექმნის შემდეგ, ჯგუფის წევრები ინტენსიურ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდნენ. განსაკუთრებით შემოქმედებითს ენერჯიას იჩენდა ტიციანი: ხშირად იბჭებებოდა მისი ლექსებო, წერილები, მონაწილეობას იღებდა დისკუსიებში, რაც მაშინ ხშირად ეწყობოდა. ტიციანი არ იხლდებოდა თავს მარტო პოეზიით: იგი უშუალო მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ საქმიანობაში. და რა საკითხი არ იტყებდა მას? მისი ინტერესების სფეროში შედიოდა ყველაფერი, რაც კი მშობლიურ კულტურას შეეხებოდა. წერდა ეთაზე, ილიაზე, არტურ ლისტზე, გამოცემლობის მუშაობაზე, ექსტრისიებზე, წყალდიდობაზე და ა. შ. გახეთის ზოგიერთი ნომერი სანახევროდ მისი წერილებითა და ლექსებით

იყო სავსე. აწერდა როგორც თავის ვეარს, ისე ტ. ტ.ს, ვარამ ვაგელს და სხვა ადამიანებს. თავის წერილებში, უმეტეს შემთხვევებში, როგორც ეს ლიტერატურული გარკვეული სკოლის მიმდევრებს სწევოდათ, ყოველთვის არ იყო ობიექტური. მის წერილებს უმეტესად პოლემიური ხასიათი ჰქონდა. პოლემიკის დროს ყოველთვის ვერ იჩენდა ბიედგროზობას. ის მთელი დაჯგუბებით და შინაგანი რწმენით იცავდა თავის ლიტერატურულ პოზიციას. ახალი მწერლობის კავშირმა მიზნად დასახა მოეწყო დისკუტები და მოხსენებები მთელ რივ პრობლემურ საკითხებზე. კიდევაც ვანაწილა თემებში თავის წევრებს შორის: მავალითად, პოლო იაშვილს უნდა წავეითხა მოხსენება რეშბოსა და პიკასოზე; პარმონის პრობლემაზე (პეტკინის შემოქმედების მიხედვით), ეთას პროზაზე და ა. შ.; ტიციან ტაბიძეს — ვანო შანაველზე, სმერლიაკოზე (თუ ეინებს გაკლდა უნდოდა ტიციანს, მის სმერლიაკოვს უწოდებდა), პოეზიის აბროდებზე და ა. შ.; გიორგი ლენინიძეს — ზოგების გენეალოგიაზე; ვალ. გაფრინდაშვილს — საქართველოსა და დენდინიშზე, მისტიფიკაიონზე პოეზიაში (ჩატერტონსა, მერიმესა და შაფერისონზე), სერგო კლდიაშვილს — პროზის პრობლემებზე, პაველ ინგოროყვას — მთელ რივ თემებზე, რომელთა შორის გამოირჩებოდა რუსთაველიანა და ა. შ. მომხსენებლებად გამოყოფილი იყვნენ: ვახტ. კოტეტიშვილი, ალი არსენიშვილი, კოლედ ნადირაძე და სხვები. ნაწილი მოხსენებებშის მართლაც მოეწყო მწერალთა სასახლეში. მათ შორის მახსოვს პაველ ინგოროყვის, ტიციან ტაბიძისა და სხვათა მოხსენებები. პოლომ წავიეთხა მოხსენება მაშინ პოეტლარულ ზანგი მწერლის რენე მარანის „ბატულაზე“.

ესფერყანწლებმა კარგად იცოდნენ თავიანთი ჯგუფის წევრების დავახება, ერთმანეთზე ქებითი წერილების წერა, მჭიდროდ იყვნენ შეკრულნი, მათს წრეში ადვილად ვერაიან შეღწევა. გამონაყლის წარმოადებდა სანდრო შანშიაშვილი, რომელსაც გამოუკლებლად ყველანი პატივსა სცემდნენ, ახალი პოეზიის ერთ-ერთ ფუძემდებლად თვლიდნენ.

1923 წელს (იანვარში) გარდაიცვალა შალვა კარმელი; რომელიც თავისი ლექსებით კარგ იმედებს იძლეოდა. თავიანთი სიყვარული და პატივისცემა უღროდ გარდაცვლილ პოეტის ნიქისადმი პოლო იაშვილმა, ტიციან ტაბიძემ, ვალერიან გაფრინდაშვილმა და რაჟდენ ვებრძემ (რაჟდენი უფრო ახლო მეგობრობდა კარმელს) გამოხატეს შალვას სხოენისადმი მიძღვნილ წერილებში, რომელიც თუ არ ვცდები, გაზეთ „რეზიკონში“ დაიბეჭდა. ამავე ნომრის მთელი სარდაფი მიეჭდენა შალვა კარმელის ლექსებს. ქუთაისში მის დასაფლავებაზე გაემგზავრა დელიგაცია პაველ ინგოროყვის, პოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, რაჟდენ ვებრძიისა

და სხვათა შემადგენლობით. ასევე გულწრფელად და ღრმა სიყვარულით დაიბრუნე შემდეგ თავისი „ორდენის“ წვერი ტიციანმა. პაოლომ, სერგომ, ვალერიანმა და სხვებმა მაშინდელ არამიანის საავადმყოფოში აგრეთვე ტუმბურკულოზით გარდაცვლილი სანდრო ცირეკიძე.

მახსოვს ტიციანის მზრუნველობა, რაც მან გამოიჩინა ლელი ჯაფარიძის მიმართ, როცა ის ტუმბურკულოზით გახდა ავად. უშოვნა საგზური გულრიპში და იქ გაამგზავრა. არავინ მოელოდა, თუ მისი სიცოცხლე ისე მალე დასრულდებოდა ტრავმულიად. რამდენიმე ზნის შემდეგ მივიღეთ ლელის გარდაცვალების ამბავი. ტიციანი დიდად დამწუხრდა. პატარას სცემდა ლელის, როგორც ავტორს მაშინ პოპულარულ ლექსისას — „მატარებელიდან“, რომლის ცალკე აღგიღებს ის ზნორად იტყოდა ხოლმე: „ჩოინი, სვირი, აჯამეთი, აუ! უვირილა!!! ნუ თუ ამ დაბამ ჩემი სული ააგვირბლა? ცეცხლიან ყვავილს დამწვარ გულში შიანე არ გრილა“...

გაღწედა, მის ჩამოსასვენებლად წაესულიყვით ტიციანი და მგ. ამხანაგების დაჯალბა შევასრულეთ, თუმცა ერთი კურორტიც შეგვემოხება. ცხედარი წამოვასვენეთ საბარგო ვაგონით. ჩვენ რბილი ვაგონით გამოვემგზავრეთ. მატარებელი დილით თბილისში მოვიდა, სადგურზე საკმაო ხალხი დაგვხვდა. წავიდეთ მატარებლის ბოლო ვაგონის მოსანახავად, რათა ცხედარი გადმოგვესვენებინა. ვაგონი არ აღმოჩნდა. აქეთ ვეცით, იქით მოვიკითხეთ — ვერაფერი გაგზნით, დამწვდრებმა ეჭვის თვლით დაგვიწყეს ცქერა, ზოგიერთმა დაგვიან კოდეც: ბარაქა, თქვენ, ცხედარი დამკარგეთ გზაშიო. ძლიერ შეწუხდა ტიციანი. რა ეჭმა, აღარ იცოდა. დაირცხვინა — ეს რა მოგვეთქვაო. გაეარდა სადგურის უფროსთან. სთხოვა დაკავშირებოდა სადგურებს და გაეგო, სად იყო ვაგონი მიცვალბულით. გამოირკვა: ვაგონი ზესტაფონში მოგსნათ, მაგრამ, როცა გაეგოთ საქმის ვითარება, სხვა შემადგენლობისთვის მივბათ და გამოეგზავნათ. ვაგონი მალე აღმოჩნდა თბილისში. ტიციანი სიმწრის ოდეს იწმენდა შემდეგაც კი, როცა ლელის ცხედარი ვაგონიდან გადმოვასვენეთ.

როგორც აღვნიშნე, ტიციანი დასაჩუქრებული იყო საოცარი ჩვილი, თავზიანი და მგებობის მოსიყვარულე გულით. თუ შეატყობდა, რომ ამხანაგს უჭირდა, უველაფერს გაეკეთებდა, რომ მისთვის დახმარების ხელი გაეწოდებინა. არ მახსოვს კარგად, ბათუმიდან ჩამოვიდა თუ აქ გახდა მძიმე ავად ივანე ყოფიანი. ჩვენ მას ივიას ვეძახდით. მე და ვანო პეტროვრაღში ერთ ოთახში ეცხოვრობდით. იგი იყო „სპეტაკი კაცი, სულით მალაი და გამბრანი“. ადრე დასწრულბამ (დამბლა დაეცა) საშუალება არ მისცა თავისი კვალ გაველო ლიტერატურა-

ში. მაშინ ცხოვრობდა ძმასთან პეტრესკოს ქუჩაზე, ბინაში, რომელიც შეაფენილეს დაბლა მდებარეობდა. იგი სრულიად მთელი უფროსი ძმის, შესანიშნავი იაციონის, შემთხვევით დაღუპვამ პეტროვრაღში. ბათუმიც ცხოვრობდა და იქიდან სასოწარკვეთილებით სუსე ბარათებს მწერდა. შემდეგში ავადმყოფობამ კიდევ უფრო დასცა იგი სულიერად, თუმცა ამხანაგებს შორის ამას არ იმჩნევდა. იგი ცისფერყანწულთა მუდმივი სიყვარულით სარგებლობდა. ექსპრობტების ნამდვილი ოსტატი იყო, ამ მხრივ პაოლოს თამამად ეჯობებოდა. და აი, ტიციანმა მთხოვა, წავეყოლიე მის სანახავად. მივიღეთ ავადმყოფი სასტრე სულიერ დებარსიას განიცდიდა. ტიციანმა მივალერსა, გამხსნევა, ნუგეში სცა, დაამშვიდა, მდგომარეობა შეეძსუბუტა. დიდხანს არ დაეიწყებია ვანოს ტიციანის ეს ვიზიტი და მას ყოველთვის სიამოვნებით და მადლობის გრძნობით ივონებდა. ჩემს მეტად ღარიბ არქივში აღმოვიჩინე ვანოს რამდენიმე დაუბე-ქვადი ლექსი, რომლებიც გადმოგვეცემენ ავტორის ამ მძიმე სულიერ განწყობილებას, ადამიანის საწუთროთი უკმაყოფილებას, რასაც მასში ყოველთვის აღვიქმბდა ავადმყოფობა. აი, ზოგიერთი სტროფი ამ ლექსებიდან:

ვიყავი შენებრ ანაშენები,
 ყველგან შემქონდა
 ცეცხლი მშვეწების,
 დავტოვე ქვეყნად
 მხოლოდ ნაცარი,
 დამიღვა ღამე უბარმაზარი
 ან
 ბუვრი არ დამჩნა ოქრო და ფარმა,
 არც დიდებული სახლი ქმებული,
 ჩემი ნალეაწი მიწაზე არ ჩანს,
 ვკვლები ნახევრად დაეიწყებული.
 ან რა მიწოდოდა, აქ რომ მოვედი,
 თითქოს მოღაწე, თითქოს პოეტი.
 რად შეეაწუხე ეგ ხალხი ტყვილად,
 რატომ ვხვდებოდი ყველას გულთბილად.

საოცარი გულთბილი შეხვედრა იცოდა. თუ კარგ ხასიათზე იყო, მშვენიერს ღიმილი არ შორდებოდა მის სახეს. წუხდა, რომ დაკარგა ძმები, ამხანაგები. გრივით დაავადდა და უღროოდ გამოესალმა სიცოცხლეს ეს მართლაც თავდაბალი ამხანაგი.

თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ ცისფერყანწულები რითმას ლექსში, ამის დამადასტურებელი ისიცაა, რომ ვალ. ვაფრინდაშვილმა ამ საკითხს სპეციალური წერილი მიუძღვნა ხათურით: „რითმები 1922 წელს“. ავტორი იხილავს ამ წელს გამოქვეყნებულ თითქმის ყველა



ლექსს გამოყენებელი რითმის თვალსაზრისით და შემდეგი ზოგადი დასკვნები გამოაქვს: ჰარბობას დაქტილური რითმა, ასონანსი ნაკლებად არის განვითარებული, დასონანსი სრულიად არ არის ხმარებაში. აღმოჩენილია ბევრი ახალი რითმი (მათ ასახელება კიდევაც). რითმის გამართვაში მეტა ხმოვანება მისცა ლექსს. მეტად დაიწმინდა რითმა თითხმეტმარცვლოვან ლექსში. ამმარცვლოვანში რითმა კიდევ კოკლობს.

ციხფრეაწილებებს და, მათ შორის, ტიციან ტაბიძეს, ჰყავდათ თვითნათი საყვარელი ადამიანები. მათ შორის იყვნენ კოტე მყავშილი და შალვა დადიანი, რომლებსაც ისინი ყოველთვის მოკრძალებით იხსენიებდნენ. როცა 1923 წელს, მგონი, თებერვალში, შალვა დადიანის იუბილე მოეწყო, პაოლომ და ტიციანმა მსურველ მოწაწილეობა მიიღეს. პაოლო საიუბილეო საღამოზე მსურველ სიტყვით მიესალმა შალვას. იუბილეს შემდეგ მოეწყო დიდი ბანკეტი, რომელზედაც ტიციანმა სიტყვით მიმართა იუბილარს. დაწერა წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო იუბილარის დამსახურება როგორც ქართული ლიტერატურის, ისე, განსაკუთრებით, თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში. ტიციანი იფასებდა შალვა დადიანის მოგზაური დანის დამსახურებას ქართულ ხალხში ეროვნული თვითშეგნების შეტანას მხრივ, იმ დანისა, რომელსაც ურშვებით გადაქონდა დეკორაციები სოფლიდან სოფელში და ისე მართავდა სპექტაკლებს. ტიციანს ხიბლავდა შალვა დადიანის სულიერი არისტოკრატიზმი, მისი თავზიანობა, ფართო ინტელექტუალური სამყარო, ენის სინატიფე და ღრმა გული, რომელიც ადამიანის ღიდ სიყვარულს იბრუნებდა.

ერთხელ გამოცემლობა „ფედერაციაში“ ვისხედით (ქაშვეთის ეკლესიის წინ). შემოვიდა შალვა დადიანი. გამოცემლობის რომელიმე პასუხისმგებელმა შეშაკმა შალვას რაღაც ნაწარმოებზე შესთავაზა სარეცენზოად. თუ გნებავთ, რეცენზიას გვარს ნუ მოაწერათო, — უთხრა მან შალვას. — რაა? ცუდი გვარი აქვს თუ? — წამოიძახა ტიციანმა. დამწერეთ სიცილი აუტყდით.

არ მახსოვს, რომელი წელი იყო, ამას არც აქვს მნიშვნელობა, გზაში შემოგვხვდა სეზმან ერთაწმინდელი, რომელსაც ყოველთვის ფართო ქაშარი ეტრია. „ჩემს ქაშარს ამდენი და ამდენი წელი შეუტრუნულა, მინდა იუბილე გადავუხადო და უარს ნუ მეტყვიან, წავიდეთ, ერთად ვისადილოთო.“ წავიდეთ: თვითონ მსახინძელი, შალვა დადიანი, ტიციან ტაბიძე და გიორგი ლეონიძე. სინაქებო სუფრა ვაიშალა. იხმებოდა წითელი ღვინო. თამადობას შალვა ეწეოდა. მგაფლავ სეზმანის ფართო ქაშარი იდო და, მგონი, მას მეტი ღვინო ესხმებოდა „დასველებს“ მიზნით. რა სიტყვები არ დაეკავშირებს ამ

ქაშარს, როგორც დარბაისელი სიტყვებს პეტრონმა თამადამ, ისე ტიციანმა და გიორგიმ. 1922-24 წლები იყო კრიზისული ტიციანის შემოქმედებაში. კრიზისული იმ მხრივ, რომ მის ლექსში შეიჭრა სევსისი, ირონიული მიდგომა თვით პოეზიისადმი. საერთოდ, ტიციანი ხშირად ფიქრობდა ხმაშალვა ირონიის პრობლემაზე. მას თითქოს აღარ სწამდა ლექსის ძალისა, თითქოს პოეზია თავად უხდიდა თავის თავს პანაშვილი. ტიციანი სასტიკ, რაღაც აუხსნელ გაორების განიცდიდა. რაღაც ახალი გზების ძიებაში იყო. ფიქრობდა: არაფერს დაესწრო ამ გზაზე ვსვლა. თითქოს წინასწარ იბეებდა თავისთვის მოწინავე ადგილს. თავის თავს დადასტოს უწოდებდა კიდევაც გამოაქვეყნა დადას მანიფესტი (უფიქრობ, საყუთარი თარგმანი), არ უთმობდა პირველობას დადასმის პროპაგანდაში გრიგოლ ცეცხლაძეს, რომელიც იმ დროს ამ სკოლის მიმდევრად თვლიდა თავს. ტიციანმა თვითონ აღიარა:

რა საჭიროა ავ პირფერობა,
მართლა მსიბლავდა მე ერთ დროს „დადა“,
მტანჯავი იყო ეს გაორება,
მონანიება კი არის სადა.

ავტორი გულდაწყვეტილია იმით, რომ პოეტებსაც კი უფრო აღელვებს დანიელა ურია (იყო ასეთი მომღერალი, თავადთა წრეში მიღებული, უსაქმო და მოქვიფე), ვიდრე მალარმეს ლექსები, საყუთარ თავსაც აყვია პოეტს უწოდებს და ირონიით ამბობს: „ნეტავ მე ისე მიყვარდეს პოეზია, ან თვითონ საქართველო, დედაჩემს რომ უყვარს მეწველი ძროხათო“. ცხადია, ეს იყო პოზა, ორიგინალიობის თამაში, რაღვანაც ტიციანს მთელი არსებით უყვარდა თავისი ქვეყანა, მას შეტრფოდა და მას უღიეროდა.

სხვა საქართველო მაინც სად არი?
რომელი კუთხე რომელ ქვეყნისა?
ვის თუთქავს ასე ცეცხლის ღაღარი,
ქვეყნად სამოთხე სხვას ვის ეღირსა?
დავბანდებულვარ, რომ ვიყო მონა
და საქართველოს მედღას უღლო,
მამ გამარჯვება, ტაბილო სიცოცხლე,
დაერჩებით ერთად ჩვენ განუყრელი.

საქართველოს უღელს ბატარება იგი მთელ სიცოცხლეში, არ თავილობდა ყოფილიყო მისი მონა, ტუბუბოლა მისი გოლიათი მუხბის ცქერით, იმ მთებისა, რომლებიც „ქონდრის კაცსაც კი დევად აქცევს“. ამიტომ ამბობდა იგი ასეთი პოეტური მღელვარებით: „სჯობს აღარ გქონდეს სულაც სამშობლო, ანდა არ იყოს ასე ლამაზიო“. მან კარგად იცოდა, რომ ძნელი, აუტანელი და მოწყალებრივი მასთან განმორება, რაც ვიყვარს და რაც სილხმავის შარავანდედით არის მოხილი.



როცა ტ. ტაბიძეზე ვლაპარაკობთ, უნდა დავ-
ძინოთ, რომ ის ჩვენთვის ძვირფასი და დაუვი-
წყარია, ცხადია, არა მოდადასტო ლექსებით,
არა იმ ლექსებით, რომლებიც პოეტური ბუნ-
დოვანებით, დაცემულობითა და ავადმყოფური
განწყობილებით ხასიათდებიან, არამედ იმ ჯან-
სალი, პატრიოტული განწყობილებით დამუხ-
ტული ლექსებით, რომლებშიც გამოსავალი პო-
ვა ავტორის ღრმა ღირსივლამ მღვდევარებამ,
პოეტურმა ტკვილმა და ოცნებამ ადამიანის
კეთილშობილებაზე, მის ზნეობრივ სისხეტავე-
ზე. ეს ლექსები ქართული პოეზიის სამკაულე-
ბად დარჩებიან. ტიციანის პოეტურმა ხმამ საგრ-
ძნობი გაკლენა მოახდინა ჩვენს ნიჭიერ ახალ-
გზარდობაზე, რომელიც, ალბათ, მის პოეზიაში
ხედავს არა მარტო პოეტურ უშუალობას და
მწოდლებელ ღირსივლ ალქმას, არამედ სინამდ-
ვილის პოეტურ ღირებულებად გარდაქმნის მალ-
ღიან უნარს, ლექსის თავისებურ ელერადობას.

ეს იყო 1925 წელი, როცა კიდევ უფრო და-
ვეუხლავდი ტიციანს და კიდევ უფრო ახლოს
გავიციანი მისი პოეტური გული. იმ წელს ოჯა-
ხებით ანაპაში ვიყავით. მესხიერებაში მტკიცედ
შთაბეჭდა ანაპა, მისი შესანიშნავი პლაჟი, ოქ-
როს სილა, პუშკინის სახელობის სკვერი, ზღვა,
რომელიც „ისე იყო მშვიდი და წყნარი, რომ
ალარ მახსოვს იყო თუ არა“ და სადაც „ერთად
ვალო ცამ შვიდი კარი და ზღვას სარტყელად
გადივარა“. იმ წელს აქვე იყო მარიჯანი თა-
ვისი ბავშვებით. მე და ტიციანი ყოველდღე
ვხვდებოდით ერთმანეთს. ვხვდებოდით სასაუბ-
რში ან სკვერში. ტიციანი მოხიბლული იყო
იჭაერობით, განსაკუთრებით სკვერით და ბაზ-
როთ, რომელზედაც მახლობელი სტანიციებიდან
უხვად შემოდის სურსათ-საწვავე, იჭაერი,
რომელიცაც სამკერბალო ურბენი და, განსა-
კუთრებით, საზამთრო. ედვი წყლის გამო
წყურებულს საზამთროთი ვაკლავდით. სკვერში
იყო ფანჯატური, რომელიც ზღვას გადაკურებ-
და. ზვეს საუბარში კიდევ მეტი სითბო შექონ-
და ლალისფერ ღვინოს, რომელსაც „კაბერნე“-
ეწოდებოდა. ამ ფანჯატურში წამოეთხა ტიცი-
ანმა ანაპაში დაწერილი საყვარელი ლექსი
„ილიაილი“, რომელშიც მან ასე მტკვნე-
ულად დაიტრია თავისი სიკაბუჯე და გატა-
ცება, დაუფკაცებელი შთავგონება და „ბაღლა-
მით გადაფლული გული“. თუ საერთოდ ლექ-
სის კითხვისას ტიციანს თითქოს ერთგვარი ის-
ტერიული კოლო დაჰკრავდა, აქ კითხულობდა
უფრო მშვიდად, საოცარი შთავგონებით და ბოლ-
მამორეული ხმით:

სეკსიაში ვარ... ქიშკრიის
მწუხრით დამწვარი,

ალო, ძვირფასო, მე შენა ხმით
კეთილბობ პუშკინს,
მანისარაის შადრევანის.
მასველებს ღვარი,
ძველ შადრევანებს ატირებას
არაინ უშლის...

ის, მართლაც, სიყვარულით ხელახლა კითხე-
ლობდა, ვინ იცის, რამდენჯერ წაკითხულ პუშ-
კინის ლექსებს, და უხაროდა, რომ ეს ლექსები
მისთვის სულ ახალი და ახალი ძალით ელერ-
დნენ, მათში ახალი სეღური სამყაროები იშ-
ლებოდნენ. მრავალი მხატვრული სახე, პოეტუ-
რი თქმა, რომლებიც მაშინ მოვისმინე, ტიციან-
მა შემდეგში (1937 წელს) გამოიყენა ლექსში,
რომელიც მან პუშკინს მიუძღვნა. ის მაშინ გა-
ტაცებით ლაპარაკობდა წინანდლის ვარდებზე,
რომლებსაც „ჩრდილოეთისკენ სურთ გაგრე-
ნა“, თავისუფლებაზე, რომელიც კავკასიის „შა-
ღალ მთებს უფრო ამაღლებს“, პოეზიაზე, რო-
მელიც „უკვდავებს ზალხით აპირებს“. ლექსი
„ილიაილი“ სულ ერთიანად გაკლენათლია რო-
მანტიკული სველით, ნაღვლიანი მოგონებებით
წარსულზე, მეთთისზე, სადაც გათენებას ვეღარ
იგებდნენ, აღექმანდრე ტატაშვილზე, რომელსაც
აღესანდროს ეძახოდა და შემდეგ პოემაც კი
უძღვნა, მალაქებზე, საბანევეაზე, რომლის
უნაზუსი ხმით „იმ ტანჯულ დღეთა პანაშვიდი
გადახდილია“. თითქოს ცრემლები ეონავდა
მისი ხმიდან, როცა კითხულობდა:

ვიგონებ ტვილისს... რიჩან დილას
და ვარდისუბანს,
აბნეულ სიტყვას, ლექსების ორთქლს,
ილიალის
და სათათნავის სიმღერებით
აფუნილ ღუქანს,
ალი ძვირფასო, დაგრაჩა რამე
იმ ცეცხლის აღის?

მეტი სასოწარკვეთილება იგრძნობოდა მის
ხმაში ლექსის შემდეგი ადგილის კითხვისას,
თითქოს სახეც ეცდებოდა, მკრთალი ფერ-
ელებოდა, ეტყობოდა ყოველი სიტყვა გამოტან-
ეული ჰქონდა, რაღაც ნაღველი უღრღნიდა
გულს, შვიძლება ეს იყო ნაღველი, რასაც ასაზ-
რდობდა წარსულთან კავშირის გაწყვეტის სიძ-
ნელეთაგან გამოწვეული ღირსივლი მღვდე-
რება:

მაღე თბილისში, როგორც წინათ
ვათა-ფშაველა.
მე ჩამოვიტან ხერჯინებით
დაწერილ ლექსებს.
მაგრამ ლექსებზე მეტი მომაქვს
მაინც ნაღველი,
ასე უჩემოდ სსიკედლიოდ
რომ გამიღესს.

როგორც მახოვს, მხედველობაში ჰყავდა ეგრეთწოდებული „მამულაშვილები“, ჩვენი ინტელიგენციის ის ნაწილი, რომელიც განსაკუთრებით პალოსა და ტიციანს „სამშობლოს მოლაღატეებს“ უწოდებდა. ტიციანი იმ ზედხელს ანაშაში საგრძნობ ღირიყელ აქტივობას იჩენდა. ებრძოდა თავის თავში იმ ნაღველს, იმ სასოწარკვეთილ განწყობილებას, რომელიც ასეთ ავადმყოფურ ხასიათს აძლევდა მის პოეზიას და რისი ერთბაშად დაძლევაც მისთვის არც ასე იოლი აღმოჩნდა. ლექსების ანაშის ციკლს ეკუთვნის მისი „სკვითორი ელეგია“, „განა თუ მართლა ვადმოვიყარგე“ და სხვ. აქ ჩაღვირებული ლექსები, რომლებსაც შემდეგში მოუნახა პოეტური ყალიბი. ანაშაში ყოფინას ის თავის მშობლიურ ქვეყანაზე ოცნებობდა, ფიქრობდა საქართველოს ცის ლავარდებზე, მის მთებზე, მშობლიურ ხალხზე და თითქოს მკითხველებს აჯერებდა:

მე მართლა მიყვარს ჩემი ქვეყანა,
მაგრამ ეს გრძნობა ვის დავაჯერო,
იქ მოსატეხი რომ ვახდა უანა,
მე აქ დავებებ გვიმრების ჩეროსს.
და სტირის ჩემში პუშკინის ლექსი,
დგება სკვიითა და ქიშირია.
მე ვის მოვთხოვო ახლა ალრსი,
როცა ცრემლები გულს მოგრიან.

ისევ ის სევდა, ის მღვდარე ცრემლები, რომლებიც თითქოს თვალებს უწყევდნენ... ალრსი ენატრებოდა პოეტს, რომლის გულიც მხოლოდ ღირიყელ სიმღერისთვის იყო აწყობილი. ანაშაში გატარებული დღეები მისთვის შეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა. შემდგომი 1926 და 1927 წლები ყველაზე ნაყოფიერი ჩანს შემოქმედებითადა. ტიციანის წინაშე თანდათან რუსისტიკური ლექსის გზა დაისახა და დაცემულობის პოეზიასთან კავშირი გაწყვიტა. თუ წინათ მისი შემოქმედებითი მიზანი იყო ბესიკოს ბაღში ბოდღერის ბორბტების ყუავილები დაერგო, ამიერიდან მისი პოეზია დაიწმინდა, ბურჟუი წარსულმა ბრძოლებმა გაფანტეს და მის ლექსს მზე დაადგა გვირგვინი.

ტიციანის შემოქმედებაში მძლავრად არის შეტრილი პატრიოტული ნაკადი. სამშობლოს თემა მთავარია მის პოეზიაში. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ტიციანი უფრო გატაცებული იყო ორპირთა და კახეთით. ცხადია, ეს არ იყო კუთხოური პატრიოტიზმი. საყვებით ბუნებრივია, რომ მისი პოეტური ფანტაზია მეტ გასაქანს პოულობდა ორპირის ფანაზეში, სადაც ის დიობადა და მთელი ბავშვობის შთაბეჭდილებები დაკავშირებული იყო ჭაობის ნისლთან „პაერს რომ აღზობს და მუდამ სწამლავს“. ტიციანი სიამაყით მიმართავდა თანასოფრელებს: „ამხანაგებო, შეზობლებო, სახლის კაც-

ბო, მინდა შორიდან მოგესალმოდო ძმა-ამხანაგო, მიიცი თქვენი ვარ, თქვენი მიწისა, თქვენი ღორპირისა“. ხშირად იგონებდა ორპირულ წყარულს მის დამწუხრებულ პეიზაჟებს, ბაყაყების კონცერტს, ციბე-ციხლებით დაყვითლებულ და გაღამუნების გზაზე მდგარ ხალხს. თავისი მოგონებანი გადაქონდა ლექსებში, რომლებსაც სათაურები სხვადასხვა ჰქონდა, მაგრამ განწყობილებით ერთნაირი იყო. პოეტი ხედავდა თუ როგორ:

ორპირი ლებმა—როგორც ღემი
ლუვიაფანის,
ჩიონის ფშინებს აედვენენ გრძელი
ყანჩები,
შოილუნება ჩემი სული — წნელი
ლაფანის,
მხოლოდ ყანჩები — ჭაობების მკლე
ლამანჩები.

ეგტორი ეყრდნობა პიპოკრატეს ცნობებს კოლხიდაზე, რომელიც წარმოდგენილია ლპობისა და შშორის სამყაროდ, სადაც „სუამენ წყალს თბილსა და მდორეს და სიციხისაგან სულ ამურალებულს“, სადაც „არ მწიფდებო არასდროს ხილი“, სადაც „ხალხია ტანით თუმცა მალალი, მაგრამ იმდენად არის მსუქანი, რომ აღარ უჩანთ მარღვის სახსარი“. პოეტი ხედავდა ასეთ ორპირს, მაგრამ მინც ოცნებობდა: „ყველა პანთონს, თუ მერგებო, თეითარ დიდებეს, მე ვარჩევ მინც ჩემს ორპირის გამოშალა უბეს“. ასე უყვარდა ტიციანს თავისი მხარე. ამ სიყვარულს კიდევ უფრო ზრდიდა განახლებული ორპირი, რომელსაც უკვე სიხარულით და აღტაცებით იგონებდა იგი შემდეგში. ამ სიხარულს იწვევდა მასში ქროლვა ახალი მაცოცხლებელი ოქტომბრის ქარისა, რომელიც ორპირის გარემოში შეიჭრა და ოღესლაც დაქანებული ხალხი აღორძინების გზაზე დააყენა. პოეტს უხაროდა ის რომ:

თავის ბედს ხალხი თვითონვე მართავს,
გეშინ უშწყო და შესაბარალი,
ბედნიერების დამდგარი კართან.
ვერ გავიგებდავს როინი აყრას,
ვხედავთ გემების გადმოშლილ აფრას.

და რა გულწრფელი აღიარება ისმის მის სიტყვებში: „მე თუ ვერ ვაქებ ინდუსტრიის ქარს, მიტომ რომ ფეხი ამ ფშანში ჩამარჩა, სხვა კაცი იმას უფრო მოიხარის, ამ ახალ კაცის მე ვარ ქამანია“. ტიციანი ყარგად გრძნობდა, რომ ფეხი ფშანში ჰქონდა ჩარჩენილი და ეს მხოლოდ ფიგურალური თქმა როდი იყო. როგორც ტიციანმა, ისე მისმა სულიერმა მეგობრებმა „ფშანიდან“ გათავისუფლეს თავი შინაგანი მერყეობისა და დამძული ბრძოლის

შედეგად: მას შემდეგ, რაც პოეტი განთავის-
უფლდა „ფშანების“ მარწმუნებლად, მან მეტი
შინაგანი სილალე იგრძნო, იგრძნო, რომ საღამო
დაუგვიანდა, მაგრამ ეს საღამო მოდიოდა მარ-
თალი და წრფელი გულადან. იმიტომ ამბობდა
ის:

ახალ ცხოვრების ამ აწენებას
ძმური საღამო ჩემი გვიანი,
ახალ ცხოვრების მშვენიერებას
შეგნის ახალი აღამიანი.

ის გარკვევით ზედავდა ამ უსახელო ახალ
აღამიანს, რომელიც „ღია თვალებით უყურებს
ზეცას“. დინახა იმ ორპირელ კომკავშირელში,
რომელიც კრემლს ესტუმრა, გადაიტანა დიდი
ბრძოლა რიონის ტალღებთან და სოფელი სი-
დატაკისაგან იხსნა. მისი მუდმივი შთაგონების
საგანი იყო აგრეთვე კახეთი. იქნებ იმიტომ,
რომ საქართველოს წარსულის დიდებასა თუ
ტკივილებს, მის „სულს“ კახეთის ისტორიით
უფრო განიჭიდა და მის რომანტიკულ პოე-
ტიურ ფანტაზიას ეს მხარე მეტ საზრდოს აძ-
ლევდა. იქნებ იმიტომ, რომ თავისი მეგობრით—
ნინო მუყაშვილით დაკავშირებული იყო კახეთ-
თან. იქნებ იმიტომ, რომ მას ხიბლავდა ალაზ-
ნის მზეში გახვეული ველი. არ ვიცი! მას
შეეძლო შეუენლებელი ინტერესით ელაპა-
რაჟნა ისტორიის შიერ მრავალ ჰრი-
ლობამიყენებულ კახეთზე, კახელებსა და ილი-
აზე. რომელშიც იგი ზედავდა მთელი ქართვე-
ლი ზალხის განსახიერებას. ტიციანს, საერთოდ,
გატაცებით უყვარდა შოგზაურობა, განსაკუთ-
რებით კი კახეთში. საერთოდ, მშვენიერი თა-
მად იყო, მაგრამ მის შთაგონებულ სიტყვას
მეტი ძალა და ეშში ეძლეოდა, როცა კახეთზე
ლაპარაკობდა. და კიდევაც მიუძღვნა კახეთს
რამდენიმე ლექსი, რომლებსაც ხალხით კითხუ-
ლობდა მეგობრებს შორის. ტიციანი ბუნებით
ქვეშაირიტი ეპიკურელი იყო: უყვარდა სიცოც-
ხლე, მზე, რივრავი, ჩიტების ქლურტული,
ლხინი არა იმიტომ, რომ ღვინო დაეღო. მარ-
ტო წვეთსაც არ დაღევდა. ღვინო და ლხინი
მისთვის საშუალება იყო სულის „განსინისა“,
მეგობრული საუბრის გაბმისა ახლობლებთან,
ამოთქვა ის, რაც აწუხებდა, აღედგებდა. იყო
საოცარი სტუმარმოყვარე. მისი ბნის კარები
ყოველთვის ღია იყო მეგობრებისათვის. და რა
გულთბილად, ხელგაშლილად, სიხარულით
ზედებოდა ყოველთვის მათ:

ბაიათებით სუფრა იხრჩობა,
გვაჩვენე სიძვე, ახლაც ბიჭობა!
დალიე ყანწი და არ გვძნელოს,
ტკბილი კახეთის სვამ საღვებრძელს.

მართლაც დაეღიდა ხოლმე ყანწს და ტკბი-
ლი კახეთის საღვებრძელს *რ შენწის* — მწიწით
ყანწს სხვას ესროდა შეტახტამთქმსქმსქამყე-
ბოდა კახელი ვაჟკაცები, რომელთაც შედავე-
ბას ვერავენი გაუბედავდა და ისევე და ისევე
მოუწოდებდა მხიარული სუფრის მოწაწილებს,
ასწიეთ სავსე ყანწები და უღღვებრძელეთ ამ
ვაჟკაცებს მშობელი დედა. მეგობრებს შორის
განსაკუთრებული მოწონებით მაშინ სარგებ-
ლობდა ტიციანის ლექსი „გომბორის მთაზე“,
რომელიც მან საყვარელ მშაღნაფიცებს —
სანდრო შანშიაშვილსა და ვიორგი ლეონიძეს
აღაღმართალი გულით მიუძღვნა. მასსოვს, რა
აღფრთვანებას იწვევდა ტიციანი ამ ლექსის
კითხვისას:

მელოტა, ნინო, რძალი ზენარი...
მშვენიერებით შეგმოსა კალთები კახეთს,
დაქალებული ვეფხიც ეგ არის.
ბეწვის ხილიდან სამოთხე ვნახეო.
დედის რძესავით ტბილია ღამე,
იორი მზეფით ოცნებას არწამე.
გამოვა წამით გომბორზე მთვარე
და გორგასლანი ხმლით გადაწვეს.

განსაკუთრებულ მოწონებას იწვევდა ლექსის
ფინალი, რომელიც მშაფრი პოეტური სახეებით
არის მდიდარი. ანდა ავიღოთ ლექსი „აღავერ-
დობა“, მიძღვნილი ნატა ვანაძისადმი, რომელიც
აგრეთვე ტიციანის ხშირი სტუმარი იყო და და-
სავით უყვარდა. რა მოხდენილი საღებავებით
არის დახატული და გაეცხლებული ღამისთე-
ვის სურათი. თითქოს პოეტი მოყოლილია
საყუთარ გრწნობათა ზეავეში და ამ გრწნობებს
დასამასსოვრებელ პოეტურ სახეებში აშწე-
დევს. იგი წვეულებრივად აღტაცებით შესძახის
კახეთს: „ტკბილი კახეთო, მადლი შენ გამწენს,
შენ ბარაქან და რძიან ცურებს, ღრუბელი
ცაზე შიავებს კაშქარს და კაშქარით ღამე მისცუ-
რავს“. ლექსი მდიდარია ენარული სურათებით,
მას მწვადის ომბივარი ასდის. მკითხველი ზე-
დავს, როგორ აწედის „კახელი კახელს სავსე
ღვინის ჯამს“, ზედავს ჭაროსმანს, რომელიც
ხატავს დღეობას და ჩარდახიან ურმების მო-
რევეს, ზედავს სავსე ცხოვრების დიდ ჯამებს,
აღამიანებს, რომლებიც თითქოს რუბენის ფუნ-
ჯით არიან დახატულნი.

კახეთი ყოველთვის ტბილმოსავონარი იყო
ტიციანისთვის და კიდევაც ღრსიულად უმღე-
რა მას.



ქართული თეატრის აღორძინებისათვის ბრძო-
ლაში ტიციანმა მნიშვნელოვანი წვლილი შეი-
ტანა. იგი გვერდში ამოუდგა დიდ რეჟისორს
კოტე მარჯანიშვილს, რომელიც ნინოს ნათესა-
ვიც იყო და ტიციანის ქალიშვილის ნი-
ტას ნათლიაც. მასსოვს ტიციანის აღფრ-



თავანება „ცხერის წყაროს“ პირველი წარმოღ-
ვენის გამო. მას ახარებდა თამარ ქაჯვიაძის
გამარჯვება ლაერენისას როლის განსახიერე-
ბისას, დამატული ყურადღებით ისმინდა ლა-
ერენისას ცეცხლოვან სიტყვებს, ზალს რომ
კომანდორის ტირანის წინააღმდეგ საბრძოლ-
ველად მოუწოდებდა. თამარი ვახუშტელით
პყროდა და მან ლაერენისას სახე ახალგაზრ-
დული მიმზიდველობით შეამყო, გმირული სე-
ლით აღნათო. ზვენ წილად გვხვდა ბედნიერება
ნამდვილი ესთეტიკური სიხარული მიგველო მან-
შინ, 1922 წ. 25 ნოემბერს, როცა ქართული
თეატრი ფენიქსისებრ განახლდა. ტიციანი ვაქა-
ცებელი იყო, აგრეთვე, თამარ ქაჯვიაძის თა-
მაშით ჯონ სინგის პიესა „გმირში“.

ტიციანი ახალი თეატრის, კორპორაცია „დერ-
უჯის“ მხარეზე იდგა, პოეტობდა საერთოს
„ცისფერყანწებლას“ და „დურუჯის“ მონაწი-
ლეთა ბრძოლაში თავისი ესთეტიკური პოზი-
ციების დანაცვად. ვერნალ „დურუჯში“, რო-
შელიც 1926 წ. იანვარში გამოიცა, ტიციანი
წერდა: „საპირო იყო კ. მარჯანიშვილის ავტო-
რიტეტი და დისციპლინის მაგარი ხელი, რომ
ნაკეთებიდან შეექმნა ახალი თეატრი, თან
თვით მისი ფორმულა სინტეტიური თეატრისა
სწორედ ჩვენი თეატრალური სინამდვილისთვის
იყო გამოზომილი: თვითონ კ. მარჯანიშვილი
მიხვდა თავის მისიას... და დღეს სიყვარულით
მინდობდა ქართულ თეატრს: „დურუჯის“ თეატ-
რის აღორძინების ცდამ მისცა აგრეთვე სტიმუ-
ლი ქართულ ახალ დრამატურგიას და სანტე-
რესიას, რომ ამ საქმეს თაობებე პოეტები, მე
ნიხარია, რომ „დურუჯის“ ამართლებს თავის
თავს“.

შემდეგ, როგორც ცნობილია, თეატრში გა-
თიშვა მოხდა, კოტე მარჯანიშვილის ადგილი
რუსთაველის სახელობის თეატრში სანდრო ახ-
მეტელმა დაიკავა. უთანხმოებამ არასასურველი
ხასიათი მიიღო. თეატრალური საკითხის გარ-
შემო საზოგადოებაშიც ორი ბანაკი გაჩნდა:
კ. მარჯანიშვილის მომხრენი და ს. ახმეტელის
მომხრენი. ცისფერყანწელთა შორის ამ საკითხ-
ში არ უოფილა ერთსულოვნება.

მაგალითად, ვალერიან გაფრინდამშვილი საე-
სიებით დაკავშირებული იყო კ. მარჯანიშვილის
თეატრთან, თარგმნიდა პიესებს მისთვის. მიუ-
ხედავად იმისა, რომ პაოლოსა და ტიციანს
გარკვეული ღვაწლი მიუძღოდათ ქართული
თეატრის გადახალისების საქმეში და ბრძოლა-
ში, რომელიც ამ თეატრის გარშემო გაიმართა
ყოველთვის გადპიროთ კოტე მარჯანიშვილს
უპარებდნენ ზურგს როგორც წერილობით,
ისე სიტყვიერ გამოსვლებში, დისკუსიებში, —
გათიშვის შემდეგ, უფრო სანდრო ახმეტელს
მიემხრნენ. თემცა ისიც უნდა ითქვას, რომ
ყოველთვის როდი იწონებდნენ მის მიერ შერგ

ჩველ რემერტეარს და სპექტაკლებს. კარგად
შეხსოვს მიზეზი, თუ რატომ აიღო შემდეგში
ორიენტიაცია, მაგალითად, ტიციანს სანდრო
ახმეტელზე და არა კოტე მარჯანიშვილზე, რო-
შელიც, როგორც აღვნიშნე, გაცილებით ახლო
იდგა მასთან ყოველმხრივ. ტიციანს გულწრფე-
ლად სწამდა, რომ სანდრო ახმეტელი, კ. მარ-
ჯანიშვილის ნიჭიერი მოწაფე, თეატრის ნაციო-
ნალური ფორმის ძიებაში იყო ჩაბმული. ტი-
ციანს აინტერესებდა ქართული ნაციონალური
ფორმის მონახვის საკითხი, ამით იყო ვაქა-
ცებელი. შეიძლება ცდებოდა, მაგრამ ეს ძიება
აკეთებდა ახმეტელთან, თანაც ფიქრობდა:
ახმეტელი ნაკლები რევისორული ავტორიტე-
ტით სარგებლობს და სწორედ მას სჭირდება
დამხარებაო. პაოლზე დაწერილ მოგონებაში
დაუდვრობით შეცდომა დავუშეო, რაც ახლა
მინდა გამოვასწირო. პაოლმა წერილით მიმარ-
თა არა კ. მარჯანიშვილს, არამედ ს. ახმეტელს.
ეს წერილი საყურადღებო და საზოგადოებრივი
მნიშვნელობის ფაქტს წარმოადგენს და ამიტომ
მომუყავს აქ. კ. მარჯანიშვილსა და პაოლს
შორის რომ ურთიერთობა გაგრძელდა და გუ-
ჯებობა ჩამოვარდა, რაზედაც აღნიშნულ მო-
გონებებში ვწერდი, ამ წერილითაც კარგად
ჩანს.

„ქვირფასო ამხანაგო და მშაო საშა!

მოგმართავ შენ პირადათ, აგრეთვე როგორც
კორპორაცია „დურუჯის“ წევრს და მეთაურ-
თავანს. შენთვის ვასაუბრებ ამ ბარათის მიზანს:
იგია გამოწვეული გამოსარკვევად იმ ვაუტე-
ობისა, რომელიც დამყარდა ჩემსა და კორ-
პორაციის შორის და შეიძლება „ცისფერყან-
წების“ და „დურუჯის“ შორის. ერთ დიდ დამ-
სახებრებათ ქართული ხელოვნების წინაშე მე
და ყველა ჩემ ამხანაგს მივახანია „დურუჯის“
ილტაცებული და უიქეთ ცნობა მაშინ, რო-
შესაც თქვენს წინააღმდეგ შეგაარადა ჩვენი
საზოგადოება. თქვენი შემოქმედება მე მიმაჩნ-
და ახალ ქართულ ხელოვნების დიდ საქმედ,
ისევე, როგორც „ცისფერი ყანწების“ მუშაობა.
სისტემა თქვენი ბრძოლისა იყო ჩვენთვის ახ-
ლობელი და ღვიძლი სისტემა, აგრეთვე თქვენი
ნიღადავი და ვეზი ჩვენთვის იყო ნათესაური.
ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ „დურუჯი“
იყო ნაწილი ერთი ესთეტიკური ფორმის, რომელი
შთანამგონებელი ვიყავით ჩვენც. ასეთი
შეგბედლება დამტკიცდა მარჯანიშვილი ჩემი და
ჩემი ამხანაგების მეგობრული ბარათებით, რო-
შელნიც ჩვენ მოვითავსეთ თქვენ მიერ გამო-
ცემულ კრებულში.!

წილს „დურუჯის“ კორპორაციაში მოხდა

1 იგულისხმება ვერნალი „დურუჯი“.

მნიშვნელოვანი და სამწებარო ამბავი: კოტე მარჯანიშვილის და რამოდენიმე კორპორანტის ჩამოცილება. ეს ამბავი ჩვენთვის მანქანებელი იყო „ღურუჯის“ ნაწილობრივი კრიზისის. კონფლიქტმა გამოიწვია სიხარული თქვენს მოწინააღმდეგეთა შორის. ჩვენ არ ვიყავით მონაწილენი ამ სიხარულის, ყველა ჩვენთაგანი მომხრე იყო „ზავის“. მიუხედავად იმისა, რომ კოტე მარჯანიშვილის ჩემდამი დამოკიდებულება საკმაოდ გულცივია და ჩემის ფაქტით თავიდანვე ასეთი იყო, მე მაინც მიმიჩნია მარჯანიშვილი ჩემი გუნდების და დიდ ზელოვანათ. მე აგრეთვე ვფიქრობ, რომ ის ჯერ კიდევ საჭირო იყო თქვენი თეატრისთვისაც, და რაც უფრო საგულისხმოა, თქვენ ყველა იყავით საჭირო მარჯანიშვილისათვის. ამ კონფლიქტში მე არ შემიძინა თქვენი ბედის. მე მაწუხებს კ. მარჯანიშვილის მართობა, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ კოტე მარჯანიშვილი უკრ შექმნის სხვა კოლექტივს, რომელთანაც დაამკვიდრებს პარამონიულ მუშაობას. ამ მოსაზრებით ჩვენ ვიყავით მომხრენი „ზავისა“. თუ ეს ზავი არ მოხდა, კ. მარჯანიშვილი იძულებული იქნება საქართველო დასტოვოს.

გვაქვს თუ არა ზეენ უღლება დამწვიდებით შეურიგდეთ ამ სამწებარო შედეგს კონფლიქტისას?

მე მჯერა, რომ მარჯანიშვილის და „ღურუჯის“ კონფლიქტი არ არი გამოწვეული მხატვრული უთანხმოებით. აქ ალბათ ადგილი აქვს უფრო მდბაძლ და ადამიანურ მიზეზებს. მით უფრო საჭირო იყო მათი გაღალახვა. მე არსებითად არ ვეზები საკითხს, არ ვეძებ ვისი ბრალი მერტა. ამას მნიშვნელობა არა აქვს...

მარჯანიშვილის და რამოდენიმე კორპორანტის წასვლის შემდეგ მე დიდის ინტერესით მოვდიოდო რუსთაველის თეატრში. შეიძლება დამტკიცდეს, რომ არასდროს მე და „ყანწელები“ ისე ხშირად არ ვყოფილვართ რუსთაველის თეატრში, როგორც წელს.

მომწონს და მახარებს „ზაგმუკის“ დადგმა. მომწონს და მახარებს ირაკლის და უშანგის დიდი წარმატება, ახმეტელის მხატვრული გეგმონების მთლიანობა და, რაც ყველაზე საბედ-

ნიეროა, ახმეტელის ავტორიტეტი, მაგარი/ზელი და დისციპლინის სიმტკიცე. მარჯანიშვილი და ლეგამაში. „ღურუჯის“ სიმლიერე ორ მომენტში: ერთი „მაგარი მშობა“ და მეორე კორპორაცია, როგორც მხატვრული სკოლა. მეორე მომენტის მიხედვით თქვენ „ძია“ არ უნდა დაედეგათ. ეს არის „Соглашателство“. ასეთი შეცდომები ზვენე გვერდნა უკანასკნელ წლებში და სწორედ ეს იწვევდა ყველაზე მეტს კრიზისებს „ყანწეში“. ამ პიენისთვის არ ღირდა ფინტაზიის და ენერჯიის გაფლანგვა.

ეს მე ვთქვი ამჟამად, ალბათ ეს იყო მიზეზი ზვენს შორის გაუგებრობის დამყარებისა, და მხოლოდ ამისთვის ნუ იქნება ზვენს შორის უბრობა.

„ღურუჯამ“ რომ უკანასკნელი კრიზისი განიცადოს, დაღუპვის პირს რომ იდგეს, მე მაინც ვილაპარაკებ შეცდომებზე.

მე ამჟამად მინდა გითხრა, ძვირფასო ხანა, და ყველა კორპორანტს, რომ ზემი ვითომდა გულცივობა „ღურუჯისადმი“ გამოწვეულია თქვენი იმევეულობით.

ჩემი შეხედულება მე არავისგან დამიმალია. რადგან არა ვარ ზვეული დავდარო მართალ. მით უფრო მხატვრულ საკითხებში. ეს არი ყველაფერი, რაც მომაგონდა. მე იმედი მაქვს ამ ნიადაგზე ვიქმნება კიდევ პირადი საუბარი. ალბათ მაშინ გამოვარკვევთ ყველა გაუგებრობას. ჩემში ძველებურად რჩება რწმენა „ღურუჯისადმი“, სიყვარული კი შეიძლება ახლა მეტი იყოს, ვიდრე როდესმე.

გალოცავთ ქართული თეატრის დღეს. შენი და მთელი თეატრის კორპორაციის მნა და შეგობარი პ ა ო ლ ო ი ა შ ე ე ი ლ ი.
2 იანვარი
1927 წ.

სრულ სიმართლეს წერს პაოლო. პირველ ხანებში პაოლო და ტიციანი მართლაც „ზავის“ მომხრენი იყვნენ. როცა ამ ზავის დამყარება არ მოხერხდა, ისინი — განსაკუთრებით ტიციანი — ახმეტელს მიემხრნენ. თუ რატომ, ამის შესახებ ზემოთ ვთქვი.

(გაგრძელება იქნება)

ბივი მუხისაშვილი მესხების ოჯახი*

დავით მესხი

ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, მთარგმნელი და პუბლიცისტი დავით სიმონის ძე მესხი სიმონ მესხისა და მადან მარჯანიშვილის მეტბრე შვილი იყო. ოჯახის სხვა წევრებთან ერთად, იგი ემსახურებოდა ეროვნული კულტურის საქმეს, მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე კეთილსინდისიერად იღწვოდა ქართული თეატრისა და ლიტერატურის საკეთილდღეოდ.

დ. ს. მესხმა პირველდაწყებითი განათლება ა. მრეველიშვილის ორკლასიან სასწავლებელში მიიღო, ხოლო შემდეგ სწავლა გააგრძელა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. მიუხედავად იმისა, რომ მეფისდროინდელ სასწავლებლებში, სადაც გაიყვებოდა იყო ცემა-ტყეპაზე დამყარებული სწავლა-აღზრდის სისტემა, ქართული ენა და კულტურა შეუბრალებლად იღვევებოდა, გიმნაზიის მოსწავლეები მაინც ახერხებდნენ ქართული ენის შესწავლას და ხარზად ეწაფებოდნენ ქართული მწერლების ნაწარმოებებს. ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლეები ფხიზლად ადევნებდნენ თეატრის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას და არ უფიქრობდნენ არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა ამ მოძრაობაში, რომ მას არ გამოხმაურებოდნენ. როგორც დ. მესხი იგონებს, მის დროს გიმნაზიაში ორი ხელნაწერი გაზეთი გამოდიოდა. უფროს კლასელებს — ნიკო მარს, სიღ. ხუნდაძეს, მიხეილ მღვდელიშვილს, პეტრე მირიანაშვილს და სხვ. ცალკე ორგანო ჰქონდათ, ხოლო უმცროს კლასელებს თავისი. დ. მესხი აქტიურად თანამშრომლობდა უმცროსკლასელთა გაზეთში, მან პოლემიკაც კი გაუმართა პ. მირიანაშვილს.

დ. მესხი, ჯერ კიდევ გიმნაზიაში უფლის დროს, „დროების“ რედაქტორს უგზავნიდა პატარ-პატარა კორექსორდენიკებს. სწორედ „დროების“ კითხვის ნიადაგზე მოეხდა მას სერბოვული ინციდენტი ლაიონტი ენის მასწავლებელთან, რასაც შედეგად მოჰყვა დ. მესხის მიერ გიმნაზიის დატოვება. თვით დ. მესხი წერს: „გამომასალმეს გიმნაზიას 1879 წელს, სწორედ გამომასალმეს ძალით ამ საშუალო

სწავლის საბუღარს, კერას, სადაც იმ დროს კაზარშული სული იყო გამეფებული. მოწაფენი ჯარისკაცებივით დამონებული იყვნენ, წკეპლა, კარცერი, უსადილოთ დატოვება და ბევრი სხვა საჯელიც... ორზომი სასჯელი ქართველს, ყოველ არა რუსს... მაგრამ ასეთი ზომები, მკაცრი რეჟიმი ჩვენს „ქართველობას“ ვერ აფერხებდა. პატრიოტულ გრძნობას დევნიდნენ, აბუნად იღებდნენ, ქართველ მოსწავლეებში კი ეს გრძნობა მით უფრო მეტად ღვიოდა“ (დ. მესხი, მოგონებანი, გვ. 69).

გიმნაზიის დატოვების შემდეგ დ. მესხი თავის შრომითურ პოველ რიონს დაუბრუნდა და მურერნობას მოჰყვა ხელი. ერთხანს მას ვადაწყვეტილი ჰქონდა მუღმივად დარჩენილი სოფელში, მაგრამ სპეციალური განათლების უქონლობამ სოფლის მურერნობის დარგში ზეული ააღებინა ამ განზრახვავ.

1880 წელს დ. მესხი თბილისში გადავიდა და „დროების“ რედაქციაში დაიწყო მუშაობა. მასთან ერთად „დროების“ რედაქციაში მიიწვიეს მისი სკოლის ამხანაგი ილია ჭყონიაც. მაშინ „დროების“ რედაქტორი იყო დავითის ძე სერგეი მესხი. პირველ ხანებში დ. მესხი კორექტორულ და სხვა ტექნიკურ სამუშაოს ასრულებდა. „სერგეის მუღულე, ილია ჭყონია და მე რუსეთის, უცხოეთის, სახალამბაო თუ საგარეო“ და სხვა ამბებს ვკრებდით ვაზეთებიდან, რასაც რედაქტორი შემოგვინახავდა, ან თავად „დროების“ მკითხველებისათვის საცნურად და საჭიროდ დაეინახავდით... სერგეის მუშაობა აუკრძალეს. გულის ანევრიზმი თანდათან უმძაფრდებოდა. რედაქციაში ვმუშაობდით: სანდრო ყაზბეგი, სტ. ჭურავაშვილი (სანი), დავით კეხელი (სოსლანი), პეტრე უმიკაშვილი, ილია ხონელი (მახტაძე) და მე. მუღმივად რედაქციაში პეტრე, სანდრო და მე ვიყავით, დანარჩენები შემოვიღოდნენ და მასალას მოგვაწოდებდნენ“¹ — იგონებს დ. მესხი.

„დროების“ რედაქციაში უფლის დროს დაიწყო დ. მესხმა ფელეტონების წერა. „მე მაშინ ცოტად ვითომ თავს მოღონიერებულად ვგრძ-

* ნაწყვეტი წიგნიდან.

ნობდი და ფელეტონი დეფერე — „ცივი ამბები“ — „სვიდტის ვაგლუნის ქვეშ, — წერს დ. მესხი, — ეს ჩემი პირველი ნაშრომი სერჯის დავაზედრე, ვადიკთხა, სახეზე სამოვნება შევატყვე, დაიბეჭდოსო — გამახარა“ (დ. მესხის აღნიშნული ფელეტონი „ცივის“ ფსევდონიმით დაიბეჭდა „დროებაში“ 1883 წლის თებერვალს, № 6-ში — გ. მ.).

„დროების“ რედაქციაში მეშაობამ დავით მესხი დაახლოვა გამოჩენილ ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებთან. რედაქციის სხვა თანამშრომლებთან ერთად დ. მესხი შეუწოდებლად ზრუნავდა იმისათვის, რომ გახეთი მრავალფეროვანი და საინტერესო ვოფილეო. ეს არც თუ ისე ადვილი იყო იმის გამო, რომ რედაქციას სულთამხუთავივით თავზე ადგა ცენზორი ისარლოვი. ხშირად მოსვლიათ უთანხმოება რედაქციის მუშაკებსა და ცენზორს. რედაქციაში მეშაობის პარალელურად დ. მესხი უცხოურ და რუსულ ენებშიც თარგმნიდა, უფრო ხშირად აქართულზედა პიესებსა და სცენებს თეატრისათვის. მაგალითად, დ. მესხის ვაღმქართულებული ხეღრობა — ვოდევილი — „სუსტი მხარა“, — დაიგვა თბილისში 1880 წლის 7 დეკემბერს (იხ. ვახ. „დროება“, 1880 წ., № 260). დ. მესხმა მთარგმნელობითი მუშაობა შემდეგშიც ვაგრძელა. მას ეკუთვნის პიესების „მედვას“, „ადრინა ლუკუერის“ და სხვათა თარგმანი. დ. მესხი წერდა კომედიებსაც. მისი კომედია „ეგვიპციელი ლუკა“ წარმატებით იღგმებოდა 1898 წ.

დ. მესხი „დროების“ რედაქციაში მეშაობდა 1880 — 1883 წლებში. 1883 წელს „დროება“ ივანე მაჩაბლის ხელში გადავიდა, ხოლო სერგეი მესხი სოფელ რიონში დაბრუნდა. მასთან ერთად „დროების“ რედაქცია დავით მესხმაც დატოვა.

სერგეი მესხის სიკვდილის შემდეგ დ. მესხმა ვაღწყვიტა საბოლოოდ დარჩენილიყო სოფელში, მაგრამ ივანე მაჩაბელმა მას რამდენიმე წერილი ვაეგზავნა თხოვნით, დაბრუნებულიყო „დროების“ რედაქციაში, და კლდევი დოთანში იგი. დ. მესხი რედაქციაში დარჩა ვიდრე ვახუთი არ დახურეს, ე. ი. 1885 წლამდე. ახლა კი სამუდამოდ ვამოკვთხოვე „დროების“ რედაქციას, — წერს დ. მესხი, — და ისევ რიონს დავბრუნდი. კარგა ხანმა ვაწვლო, სარედაქციო მუშაობა აღარ შემიხვედრია. მაგრამ წერა არ დამიგდია. წერილებს ვაწვდიდი „სახალხოს“, „თეატრს და ცხოვერებს“, „ნიშოდურს“ და კოტე მესხის ერთობ ხანმოკლე „პატარა ვახუთს“. დ. მესხი იყო აგრეთვე ვახუთების „კოლხიდის“, „იმერეთის“ და „თემის“ აქტიური თანამშრომელი. აღნიშნულ ვახუთებში იგი ბევრადეა არა მარტო პუბლიცისტურ წერილებს, არამედ თავის ლიტერატურულ ნა-

წარმოვებს, მოთხრობებსა და ლექსებს. დ. მესხი თანამშრომლობდა სხვადასხვა ქვეყნულ მუშაობით, რომელთა ვახსნა შეკლებიერებენ მესხმა. დ. მესხის პირად არქივში დაცული მასალებიდან შეიძლება დავადგინოთ დ. მესხის ორი ფსევდონიმი (არქივი დაცულია ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ ეთნოგრაფიულ მუზეუმში). 1913 წლის 19 მარტის ვამოგზავნილ წერილში ი. გრიშაშვილი დ. მესხს წერდა: „დათიო“ ვინაცვალე, დღევანდელ „სახალხო ვახუთში“ დაბეჭდილი ვანცხადება — ანონსია, ამოსტერი და „კოლხიდაში“ ვადაბეჭდე, მე კვირას ამოვიღე... შენი სამშაბათო თელა წავიკითხე, მორჩევი, რა ამბავია კაცო სულ შენ მუშაობ. (დ. მესხის არქივი, № 2174/42). დ. მესხის ვეგობარი ქალის ლიზა ტყეშელაშვილის ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: „სულთ და გულით მოვილოცე ახალ წელს ჩემო „კვირაცე-დათიო“. (გვ. 2174/167). ამ წერილებიდან ცხადი ხდება, რომ „კოლხიდასა“ და „იმერეთში“ სამშაბათელასა და კვირაცეს ხელმოწერით დაბეჭდილი წერილები დავით მესხს ეკუთვნოდა.

უაღრესად საინტერესოა დ. მესხის მოღვაწეობა იუმორისტულ ჟურნალებში. 1931 წელს, როდესაც იოსებ გრიშაშვილი ქართული იუმორის ისტორიის წერას შეუდგა, მან დ. მესხს შემდეგი წერილთი მიმართა: „მეორეხსო დათიო, ვწერ ქართული იუმორის ისტორიას და ვთხოვ მომანდო შენი ავტობიოგრაფია საჩქაროდ... ამ დარგში შენი მოღვაწეობა ქუთაისში და ფსევდონიმებიც: ვის ჰქოლავდი, ვის ჰვენწლავდი, სახოვდოს, თუ კვირას, ვველაფერი მომწერე... მეორე: მომწერე სია შენ მეორე ნათარგმნი პიესებისა, საკეთარი ცალკე ჩამიწერე და ნათარგმნი ცალკე...“ (დ. მესხის არქივი № 2174/49). დ. მესხმა დავუოვენებლიე შეასრულა ი. გრიშაშვილის თხოვნა. „ჩემი იუმორის ისტორიის შესახებ მელაპარაკებო, — წერს გრიშაშვილი საპასუხო პარატში, — ჯერ პრიგრაამა არა მაქვს, მინდა კი დავიწყო ძველი პერიოდიდან: ხელნაწერების სახით, მეტე — ვახუთი ვახუთში“, „პატარა ფელეტონები“, მეტე 1905 წლისა და შემდეგი წლების იუმორისტული ჟურნალებში... შენ რას მიჩვენე? შენი აზრი მომწერე. იქნება ვაქვს პროვინციაში ვამოკვთმული საოხუნჯეო აღმნახები. ან რა ვადავთ-ვალეიო, ცენტრისა ვველა მაქვს, მინდა ქუთაისის ბათუმზე ვივაცილო. ქუთაისის მამამთავარი შენ იქნები, რასაკვირველია... მომწერე, რახე ავსებობდიოთ ხოლმე შენ და ემეცი? იქნება საოხუნჯეო მასალები ვაგახსენდეს...“ (იქვე, № 2174/48).

სერგეი მესხმა — თავის მძას — დავითს ჩავუნერგა სიყვარული ქართული ჟურნალისტიკისა და პუბლიცისტიკისადმი, ხოლო კოტე და ეფემია მესხებმა კი — თეატრისადმი. დავით მესხი თეატრში იყო დეკორატორი, ბეტაფორი, მსა-



ხიობი და, ბოლოს, საკმაოდ ცნობილი პიესების ავტორი. შალვა დადიანი თავის მოგონებებში „რაც გამახსენდა“, დავით მესხის შესახებ წერს: „...დათიკო მესხი — უფრო იმერული როლების გამსახიერებელი და საერთოდ დიდად ნიჭიერი კაცია თეატრში, დეკორატორი, რეჟისორი, ბუტაფორი, მთარგმნელი, ავტორი პიესების, ლექსების და სხვადასხვა საესტრადაო ნიშნებისა. იმავე დროს იგი იყო მშვენიერი კერნალისტი“.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, დ. მესხი თეატრს დაუკავშირდა მისი ძმის კოტე მესხის მეოხებით. ეს მოხდა 1879 წელს, როცა კოტე მესხმა, ქუთაისის მაშინდელი გუბერნატორის მალაფეევის ნებართვით, საგუბერნიო კანცელარიაში ქართული წარმოდგენებისათვის სცენა მოაწყო. სწორედ ამ წელს დაანება დ. მესხმა თავი გამნაზისა და თავის ძმას ეხმარებოდა სცენის გამართვაში, დეკორაციების მოწყობასა და სხვა სამუშაოების შესრულებაში. მაგრამ კოტემ დავით მესხს მარტო დეკორატორობა არ აქმარა. შეაგულანა და სცენაზედაც გამოიყვანა. იგი განსაკუთრებით კარგად ასრულებდა იმერლების როლებს და სახელი გაითქვა ამ მხრივ. ვახუთ „კედლის“ თეატრალური რეცენზენტი დავით მესხის შესახებ სწერდა, რომ იგი „ყარგი ნიჭიერი მსახიობი და საოხუნჯო იმერული სცენების ზეპირად მოქმელია“. („კვალა“, 1899, № 1, გვ. 107 — 108). დ. მესხი გამოდიოდა აგრეთვე ა. ცაგარის პიესებში. ერთგან იგი წერს: „ერთხელ ასიკო ცაგარელის პიესაში, მახსოვს, კოტემ კინტოების როლებიც დაგვაქისრა მე და კოლა ბაღრიძეს. ვამედულობის ასაწვეად, წარმოდგენის საღამოს ორივე ძალად გავინტოლებდებოდა თითო ბოთლი ღვინო ვხვხეთ... სანამ პაერზე ვიჯავით არაფერი, თავს მარჯვედ ვგრძობდით, მაგრამ კედლისებში, რა შევედით და ცხელი ბული დაგვეტაკა, მტრისას, ფეხიც კი აგვერია, ქანაობა დავიწყეთ. გვიყურია კოტემ... მოატანინა ნიშადური და ოც-ოცა წევით შევახვხეს. ცოტად გამოვფხიზლდით და წარმოდგენასაც ვაღაერჩით მშველობით. გიორგი წერეთელმა რეცენზიაში ჩამიწერა: „დავით მესხი ჩინებულად ასრულებდა კინტოს როლს“...

საინტერესოა ვავეცნოთ ელ. მესხიშვილის წერილს დ. მესხისადმი. როგორც წერილიდან ჩანს, დ. მესხს ელ. მესხიშვილისათვის დასწი ჩარიცხვა უნდოვინა, მაგრამ ძალზე დავერანებით, მაშინ როდესაც იმ ადგილზე მესხიშვილს უკვე სხვა მსახიობი უყვდა მოწვეული. „მეო დათიკო, — წერს ელ. მესხიშვილი, — პასუხი იმბრტო დაგვივიანე, რომ ევლოლებოდი და აწუყრუროლის პასუხს, რადგანაც იმედი მქონდა ის არ ჩამოვადოდა ქუთაისში: თბილისში იწვევდნენ და ვეპტრებოდა, მაგრამ ვერ მორიგდნენ

და ეხლა აქეთ წამოვიდა. შე დალოკული, თმ შეგეძლო ამ ზამთარს თამაში (1904 წ. გვ. 131). რატომ ადრევე არ შეპატუობინებდი ტანს შევეკრებდი? ეხლა სულთ და გულთ რომ მინდოდეს შენი დასწი ჩარიცხვა, ვერ მოვახერხებ, რადგანაც მეტის ხარჯის ატანის ვერ შეეძლებ, მაშინ კი აწუყრუელს აღარ მოვინდევდი და ამით შეღავათს მიეცემდი ჩემს თავს და შენც ადგილი გექნებოდა. კოტე უფიანიც ჩამოვიდა და მთხოვა, რომ ჩამეწერა დასწი, მაგრამ არ მოხერხდა. ეველები რაც შეიძლება ხშირად მოგიწვით ხოლმე გამოსვლებზე... ესე, ჩემი დათიკო, ნუ გეწყინება და შემდგენისათვის საიმოვნებთ შევიწახვად ადგის თუ მოისურვებ. შენი ელ. მესხიშვილი 29 სექტ. 1904 წ.“ (დ. მესხის არქივი, № 2174/165).

დავით მესხი აქტიურად მონაწილეობდა თბილისსა და ქუთაისში ჩატარებულ ლიტერატურულ საღამოებში. მე-19 საუკუნის 90-იან წლებიდან მოყოლებული ქუთაისში არ ჩატარებულა თითქმის არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ლიტერატურული ღონისძიება დ. მესხის მონაწილეობის გარეშე. დ. მესხთან ერთად ლიტერატურულ საღამოებში მონაწილეობდნენ ა. წერეთელი, დავით კლდიაშვილი, გ. ტაბიძე, ტ. ტაბიძე, პაოლი იაშვილი, ვ. ვაფრინდაშვილი, ჯაჯუ ჯორჯიკია, სილოვან ხენდამე, ი. გრიშაშვილი, იუნა ზარდალაშვილი, ცახელი, დ. თომაშვილი, ვ. რხვაძე.

დ. მესხი ყოველთვის გელისხშივრად და მზრუნველობით ეკადებოდა ახალბერდა დამწყებ მოღვაწეებს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა დ. მესხისა და ი. გრიშაშვილის ურთიერთობა. თავის მხრივ ახალგაზრდები ყოველთვის მოწონებდნენ და ღრმა პატივისცემით ეპყრობოდნენ დაუღალავ მოღვაწეს დ. მესხს. მაგალითად, ი. გრიშაშვილი თავის ლექსებს და პატარა ფელეტონებს ყოველთვის დ. მესხს უგზავნიდა თხოვნით — შეემოწმებინა და თუ გამოადგებოდა, შემდეგ ვადაცა დასამბეჭდად. (იხილეთ დ. მესხის არქივი № ი. გრიშაშვილის წერილები № 2174/31-78). „მეო დავით. სად ხარ და როგორ ცხოვრობ? დამვიწყებ ხომ, — წერდა გრიშაშვილი 1942 წელს. — მე მაინც მახსოვხარ და მიყვარხარ, როგორც ჩემი პირველი ნაბიჯების მოწმეს ქუთაისის სცენაზე. პირველი ადამიანი, რომელიც დამამახსოვრდა ქუთაისში, ეს შენ იყავი. შენი მზრუნველი ხელი და ღმილი ეხლაც მახსოვს“. (იქვე, № 2174/72).

ი. გრიშაშვილის, ტ. ტაბიძის და სხვათა თხოვნით, დ. მესხმა დასწერა მეტად: საინტერესო მოგონებები, რომელიც ჯერ ექრნალ „მნათობში“ დაიბეჭდა (1935 წ. № 1 და 2-ში), ხოლო შემდეგ ცალკე გამოსცა „ფედერაციაში“. მიუხედავად ხანდაზმულობის, დ. მესხი

ახალგაზრდული ენერგიით განავრცობდა მუშაობას, წერდა ლექსებს, რომელშიც უმღეროდა ახალ აღმშენებლობას, ქართული ხალხის წარმატებებს.

ფაშინის სიძულვილით და ჩვენი ხალხის გამარჯვებისადმი ღრმა რწმენით გამსჭვალული ლექსები გამოაქვეყნა დ. მესხმა სამამულო ომის დღეებში (ზოგი მათგანი ვახუთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა).

დავით მესხი გარდაიცვალა 1943 წლის დეკემბერს, სოფ. ჩოჩხიში, იგი დაკრძალულია ჩოჩხიში — მისი ძმის, სერგეი მესხის გვერდით.

კობე მესხი

კ. მესხი 1879 წელს განახლებული ქართული თეატრის იმ მუშაკთა ჯგუფს ეკუთვნის, რომლებშიც ღრმად აითვისეს სამოციანი წლების მოღვაწეთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი იდეები და ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის თაოსნობით ხელახლად შეხადგმული საოპერო საქმის დასაყრდენი იყვნენ. მათ სცენა სოციალური და ეროვნული უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის ტრიბუნად აქციეს. კ. მესხი არა მარტო იმით არის საინტერესო, რომ განახლებული ქართული თეატრის მოწინავეთა რაზმის საუკეთესო წარმომადგენელი იყო, არამედ იმითაც, რომ მან შექმნა ქუთაისში მუდმივი პროფესიული თეატრი, იგი ნამდვილად იყო ქუთაისის თეატრის პირველი პროფესიული რეჟისორი, მსახიობთა კადრების აღმზრდელი, მისი იდეური ხელმძღვანელი და მატერიალური პასუხისმგებელი. შესანიშნავი მსახიობი, დრამატურგი, მხაველი ექრანალისტი და მკვერმეტყველი ორატორი.

კობე მესხი დაიბადა ქუთაისში, 1857 წელს, სვიმონ მესხის ოჯახში. პირველად იგი ქუთაისის გიმნაზიაში შეიყვანეს, შემდეგ კი თბილისში გადაიყვანა მისმა ძმამ, გამოჩენილმა საზოგადო მოღვაწემ, ვახუთ „დროების“ რედაქტორმა სერგეი მესხმა.

ს. მესხის ოჯახი და ვახუთ „დროების“ რედაქტორად აღმოჩნდა კ. მესხის მომავლის გზის გამკვლევი და „უნივერსიტეტი“, სადაც თავს იყრიდნენ იმ დროის გამოჩენილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. მათ შორის — კ. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, კ. ლორთქიფანიძე, ივ. შანიბელი და სხვ. კ. მესხი თავის დაუშვითარებულ „მოგონებებში“ ასე აგვიწერს „დროების რედაქტორში ი. ჭავჭავაძესთან თავის პირველ შეხვედრას“. 1874 წელს პირველად ვნახე ილია ჭავჭავაძე, ის მაშინ მომზადებულ მოსამართლედ მსახურობდა სადავო და თბილისში ჩამოვიდა. ერთ საღამოს ჩვენი რედაქციის პატარა ოთახში შეიკრიბა („დრო-

ბის“) რედაქციის ყველა წევრი და ქართული მწერლობის ყველა მოყვარულნი, ილია, მოვიდა და თან მოიტანა თავისი „კლასის წამბობი“, წაგვიკითხა. ასეთი ტყუილი, მღიჯილი, ქართული კითხვა ან სიტყვა ჯერ არ მსმენია. ვატყობდი, ყველა აღბაცებული იყო და მე ხომ სულ დამონებული ვიყავი ძლიერი შთაბეჭდილებით“. (კ. მესხი, მოგონებანი, ხელოვნება, 1953 წ.).

იმავე მოგონებებში კ. მესხი წერს: „ამავე წელს (1874) თბილისში ერთ ქართულ წარმოდგენას დავესწარი, რომელიც პატრეცემული კრილე ლორთქიფანიძის მეთაურობით გაიმართა, არდგენდნენ ილია ჭავჭავაძის „სცენებს“. ეს წარმოდგენა ჩემთვის იმით იყო შესანიშნავი, რომ მე პირველად გამოვედი სცენაზე. თამაშობდით გზირის როლს, უმნიშვნელოს, მაგრამ ჩემს მდიდურობას სახლავარი არა ჰქონდა, როცა შეშველ სახეზე დიდი უღვაშეობი და წვერი დამაკრეს. ისე ვიბერებოდი თითქოს ჩემზე დიდი კაცი ჭკვეყანაზე არ დაბადებულ იყოს“.

კ. ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით სცენაზე ამ პირველმა გამოსვლამ გადაწყვიტა კობე მესხის მომავალი, როგორც თეატრის მოღვაწისა და მსახიობისა.

კობე მესხმა ნამდვილი სცენური ნათლობა ქუთაისში მიიღო. თეატრისათვის თავდადებული მუშაკისა და ნიჭიერი ორგანიზატორის ეფრო კლდიაშვილის ხელმძღვანელობით 1875 წელს ქუთაისში დაიგება ა. ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი“. ამ სპექტაკლში ორი ახალგაზრდა, ჯერ საზოგადოებასთვის უცნობი ვ. აბაშიძე და კ. მესხი მონაწილეობდნენ. ამ წარმოდგენის შემდეგ ორივე აღიარებული იქნენ, როგორც დიდად ნიჭიერი და საუკეთესო მომავლის მქონე შემოქმედნი. კ. მესხი „შემოსავლიანი ადგილში“ ეადრთის საპასუხისმგებლო როლს ასრულებდა. ამ როლით მოიპოვა მან ნიჭიერი მსახიობის სახელი და დამკვიდრდა ქართულ სცენაზე. 1879 წლიდან იგი განახლებული მუდმივი თეატრის წევრია, რაც ნათლად ჩანს მის მიერ ცნობილი ლიტერატორისა და ბიოგრაფის იონა მეუნარგაძისადმი გაგზავნილი წერილიდან: „შმაო იონა, 1879 წელს გათავდა ჩვენი აქ-იქ ლილილი და სცენისმოყვარეების ძებნა ქართული წარმოდგენების გასამართავად. სექტემბრის თვეში პირველი სეზონი გაეხსენით. ქართული საზოგადოება, მწერლები, მოღვაწენი, ხალხი აღტაცებით მიეგება ჩვენს ნორჩ დასს“.

1880 წელს, თბილისში სეზონის დახურვის შემდეგ კ. მესხი ქუთაისში ჩამოვიდა, სადაც ამ დროს ეფრო კლდიაშვილისა და ან. ლორთქიფანიძის ინიციატივით საფუძველი ეყრებოდა მუდმივ დასს. დიდი დაბრკოლებების გადალახვით ახერხებდნენ კვირაში ერთი წარმოდგენის

გამართვას. კ. მესხი ამ დღის მემოზაში აქტიურ მონაწილეობას იღებს. როგორც ს. გერსამია აღნიშნავს: „მან (კ. მესხმა — გ. მ.) ქუთაისის თეატრში ერთნაირი ხალისი შეიტანა, მაგრამ სპექტაკლების მართვის საქმის საეხსებით გადაკეთება ვერ მოხერხდა“.

ნათესაუბრისა და ახლობლების რჩევით კ. მესხმა „გადაწყვიტა“ თეატრისათვის თავის დანებება და ბუნებრივად შესასწავლად ოდესაში გამგზავრება. მაგრამ ასეთი გადაწყვეტილება მას მხოლოდ ფოთამდე ჩაჰყვია. აქ კი კვლავ თეატრისადმი სიუფარული ძლებს და ოდესის ნაცვლად კოტე პარიზს მიემგზავრება დრამატურებისა და სათეატრო ხელოვნების შესასწავლად. მისადმი გადმოგზავნილ წერილში იგი იტყობინება:

„ძმარ ივანე!

ეს არის პარიზში მოვედი და გწერ. თუ ძმა ხარ, ნუ შეწყუბდები, აქ რომ ჩამოვდი, მართალი ვიხარო, ფოთამდე გადაწყვიტე არ მპირდა, აქეთ წამოვიდოდა თუ ოდესსაყენ, მაგრამ ფოთში რომ მარსელის გემის ამბავი ეკითხე, შემახდინა ჩემმა გამოუთქმელმა სურვილმა. კოტე ჰევაიამემ (დამოენის მოხელე) თითქმის სულ ტყუილად დამიჯინა გზა მარსელამდე... მაგრამ დაფიქრდი, შემდეგ კი მივაფურთხე ეშმაკს და გამოვსწვი, თუ თბილისი დამეხმარა, დავრჩები ოთხ-ხუთ თვეს, სწორედ იმდენს, რომ წაეთხელი ფრანგულის გაგება შეეძლო და თარგმნა“...

პარიზში კ. მესხი შედგომია პიესების შერჩევისა და თარგმნის საქმეს, რაც ირკვევა აქ. წერეთლისადმი გამოგზავნილი წერილიდან, „პიესებს აქედან ვერ გზავნი, რადგან დრო არა მაქვს, რომ ვაღმოთარგმნის შემდეგ შევასწორო და შევაკეთო. ჩამოვტან ერთად რამდენიმე პიესას ვადათარგმნის და მანდ შენის რჩევით გადავკეთებო“, ბოლოს იგი დასძენს: „რამდენი პიესაა, რომ ჩვენივეს სწორედ ძალიან კარგად გამოვღებო“.

პარიზიდან კ. მესხმა დიდი რაოდენობით ჩამოიტანა პიესები, რომლებმაც ქართული თეატრის რეპერტუარის გამდიდრების საქმეში გარკვეული წვლილი შეიტანა. უმეტეს მათგანს დღემდეც არ დაუკარგავს თავიანთი მნიშვნელობა.

კ. მესხის საფრანგეთში წასვლის მიზანი მართლმოდებელი ენის შესწავლა და პიესების თარგმნა კი არ იყო, მას მეორე დიდი ამოცანა ჰქონდა დასახული — საფუძვლიანად შეესწავლა ევროპის მოწინავე თეატრების კულტურა, საუკეთესო წამოელო და ახლადუბნადგმულ თეატრში დაენერგა. მან მარსელში პირველად ნახა სახელმწიფო ფრანგი მასხიობი ქალი — სორა ბერნარდი, რომელსაც იგი აღტაცებაში მოუყვანია. თავის ძმას ივანეს კოტე წერს: „მარ-

სელში სორა ბერნარდი ენახე სცენაზე, კინაღამ გადამრია, თუმცა მისი ლაპარაკი არ შევსრულე, მაგრამ თამაშს ეხედავდი“. კ. მესხი დიდ გულსიუფრობით ისმენდა და ითვისებდა ყოველვე კარგსა და მოწინავეს საფრანგეთის თეატრიდან. მაგრამ ამავე დროს კრიტიკულად ეკოლოზობდა ჩვენს ეროვნული თეატრისათვის მიუღებელს.

ამ მხრივ საინტერესოა საფრანგეთის თეატრის შესახებ პარიზიდან მისი გამოგზავნილი წერილები. უპირველეს ყოვლისა კ. მესხი იწუნებს ფრანგული თეატრის დეკლამატორ ტონს. იგი აღნიშნავს რომ „ქაბურ დრამისივლ არტისტი ვიხარო, არტისტები შენისმანეს და ხშირად უტოვებენ ჩვენებურ კაცს, რომელიც შეწყველია რუსი და ქართული არტისტების ქებას. თავდაპირველად სიმღერით ლაპარაკში, ესე იგი გაპრეტულებით, თითქმის ძალობით ლაპარაკი და მომტებული ხელების ტრიალი. როდესაც დრამის წარმოდგენაზე დაესწრები, ასე გგონია, არტისტები კი არ ლაპარაკობენ, მღერიანო, ეს ძველებური მეთოდი თამაშისა, დეკლამატორი“.

კოტე მესხი სასტიკად გმობს ევროპის ბურჟუაზიულ თეატრებში გაბატონებულ „კლასიკ“ სისტემას. იგი ერთ-ერთ წერილში წერს: „მეორე წესი ან ჩვეულება, რომლის წაბაძეც სწორედ არ იქნება სასურველი, ეს არის აქაურს თეატრში კლასიკ, ე. ი. დამირავებული ტაშის დამკვერელები — კლასიკები“. კოტე იმასაც კარგად ამჩნევს, რომ ეს საბარტყეონო სენი ფართოდ არის გავრცელებული საფრანგეთის ყველა თეატრებში. ზოლო საფრანგეთის მაღალმატერულ ნაციონალურ თეატრ „კომედი ფრანსეზში“ მას აღვია არ აქვს.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ კ. მესხი ახალი ენერგიით ებმება მშობლიური თეატრის მემოზაში. ამავე დროს იგი იწუებს ზრუნვას ქუთაისში მუდმივი პროფესიული თეატრის შესაქმნელად. მართლაც, 1885 წელს, კ. მესხის მეთაურობით, შეიქმნა მუდმივი პროფესიული თეატრი, რასაც საქართველოს მოწინავე საზოგადოება დიდის აღფრთოვანებით შეხედა. პირველი ქართული სახელოენო თერნალი „თეატრი“ 1885 წლის მეექვსე ნომერში წერდა: „მეტად სასიამოენო და საყურადღებო მოეცენად უნდა ჩათვალოს ქართული დრამატული დასის დაარსება ქუთაისში... თეატრის გამგებელი და რეჟისორი არის კ. მესხი და აგრეთვე უმთავრესი დრამატული როლების აღმასრულებელი“.

სეზონის დაწყებამდე კ. მესხმა სერიოზული საორგანიზაციო მემოზა ჩაატარა. მანამდე არსებული დასი უმეტესად სცენისმოყვარეებისაგან შედგებოდა. მათგან ნაწილი, რომელიც პროფესიული თეატრისათვის მოთხოვნილებას

ვერ აკმაყოფილებდა, დაიხოხა და დასი ნიჭიერი მზარდი ძალებით შეავსო.

მაშინდელი ქუთაისის დასის შესახებ წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, საქმარისია მათ შორის რამდენიმე მაინც დავასახელოთ. ქალები-დან: ეფ. მესხი, დ. ივანიძე, ნ. ჩხვიძე, შ. ჩხიკვაძე, ევაკ. და მ. ჩხვიძეები (ნ. ჩხვიძის დედა და და). მამაკაცებიდან: დ. ჩარქვიანი, ვ. თეთბურჩიძე, ვ. ბალანჩივაძე, ნემო (ჯანოვი), შ. დიდიანი. აქვე აიღვა ფეხი, როგორც მსახიობმა, დიდმა ქართველმა რეჟისორმა კ. მარტანიშვილმა და სხვ.

მართალია, ე. მესხმა ქუთაისის თეატრის ირგვლივ თავი მოუყარა ნიჭიერ ქალებს, მაგრამ მათ ჯერ არ ჰქონდათ სცენიური კულტურა და თამაშის ტექნიკა. უპირველეს ყოვლისა მან ამ გარემოებას მოაქცია ყურადღება. სპექტაკლების დადგმასთან ერთად მსახიობთა აღზრდაზეც მუშაობდა. ვ. გუნია, როგორც მსახიობს, შემდგევარად ახასიათებს კ. მესხს: „მისი (კ. მესხის) საპატიო ღირსება მდგომარეობს როლის საოცარ შესწავლაში და ხასიათის შეგნებაში, დიდს ჯანჯანაწყვეტ შრომაში და მუდმივ მეცადინეობაში“. ცნობილმა ქართველმა ბელეტრისტმა გ. წერეთელმა კ. მესხს „კვიციანი სცენის მცოდნე და ხელოვნობის მტარმობიარე მოთამაშის“ საპატიო სახელით შეამკო.

კ. მესხი, უპირველეს ყოვლისა, მსახიობიდან ტექსტის ზეპირად ცოდნას მოითხოვდა. წერილში — „საფრანგეთის თეატრები“ — იგი მოუთხოვს:

„რა ღამარაჲ უნდა და ბევრი სჯა იმას, რომ როლების ცოდნას უპირველესი მნიშვნელობა აქვს სცენაზე. ერთმა მოთამაშემ რომ არ იცოდეს როლი, შეუძლია ყველა აქტიორის თამაშისა და პიესის ჩაფუშება“. შემდეგ დამატებს: — „წარმოვიდგინოთ ორი აქტიორი ერთს რომელიმე სცენაში, — როდესაც ერთი იმათგანი ამბობს თავის სათქმელს, მეორე იმ დროს ცალი ყურით და თვალით სუფლიორს მიჩერებია და დეჟრობს, ვაი თუ სუფლიორის სიტყვები დროზე ვერ გაევიგონე და შეერცხვიო“, — და ასეთი დასკვნა გამოყავს, „ეს მაშინ სულ სხვაზე ფიქრობს და მეორე მხრისაყენ იცქირება“. — ნამდვილ ცხოვრებაში ზომ ასე არ არის“.

კ. მესხი მარტო ტექსტის ზეპირად ცოდნას კი არ მოითხოვს: „რასაკვირველია, არც ის ვარგა, როლი ძალიან ნაზეპირებული ჰქონდეს აქტიორს, წარმოთქვას ტარტარით. ვაი-უით და გაეოდეს სცენიდან. „იგი ტექსტის შეგნებულ ცოდნასთან ერთად უფრო არსებით საკითხს აყენებს, ეს არის მოთამაშეთა შორის ურთიერთმოქმედებისა და დამოკიდებულების საკითხი, რომელიც უოველთვის და დღესაც სპექტაკლის შეგნების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპული საკითხია. შემდეგ კ. მესხი ამასთან დაკავში-

რებულ მსახიობის შემოქმედების სხვა აქტუალურ საკითხებსაც არკვევს: „მარტოს ხასიათის შინაგანი ბუნების [მარტოს] კანონი, პიესის, ინტონაციისა და ექსტიმულაციის სცენიურ მოქმედებასთან შეთანხმება და ა. შ. ყოველივე ამის მისაღწევად კ. მესხს შიანთა როგორც აქტიორის, ისე მსახიობების შიგნით მოთხოვნები. იმავე წერალებში მსახიობების და მსახიობის ურთიერთობის შემდგომგვარად გამოხატავს: „როგორც მსახიობების სიაზონენ-ბაი დამოკიდებული აქტიორის თამაშისაგან, ისე აქტიორისა მსახიობისაგან. თუ კი აქტიორის ცუდად მიიღებს საზოგადოება, არ ამატებს მის შეედომას და გააკიცხავს იქვე, თეატრში, მაშინ აქტიორი ეძლევა შემდგომისათვის უფრო კარგი მიღებული შეიქნას. ამავეარი შეხედულებით რამდენიმე კარგი შედეგი გამოვა — აქტიორი ისწავლის კუთხის, დიფიცილს სწავლას როლებისას. ჩაფიქრდება ხასიათის წარმოდგენაში და მით გაუმჯობესდება“.

კ. მესხი წინააღმდეგია ამაღლსაი. იგი მოითხოვს: „აქტიორმა ყველა როლი უნდა ითამაშო, გუშინ სხვა იყავი და დღეს კი სულ სხვა უნდა იყო, აი მაშინ გამოჩნდება შენი ნიჭი და უნაჩია“.

როგორც ვხედავთ, კ. მესხს მტკიცედ გარკვეული და თანვე პროგრესული შეხედულებები ჰქონდა თეატრსა და აქტიორის შემოქმედებაზე, რაც საფუძვლად დაუდგა ქუთაისში მის მიერ შექმნილ პროფესიულ თეატრს და მსახიობთა კოლექტივის აღზრდას.

კოტე მესხი მუშაობაში მკაცრი და მოთხოვნა იყო. ამასთან — სამართლიანი და კეთილი. ნ. ჩხვიძე თავის „მოგონებებში“ წერს: „როგორც კარგი ადამიანი და შესანიშნავი უფროსი ამჟანაგი კოტე არაჩვეულებრივი იყო: ახალგაზრდა მსახიობისათვის მოსიუჯარულე უფროსი მამა და მამა; გულწრფელი რჩევა და საღი დარიგება მუშაობის დროს მისი თანდაყოლილი თვისება იყო; ახალგაზრდის სასცენო წარმატება ახარებდა ისე, როგორც მამას ახარებს შეილის წინსვლა“. ეფ. მესხი ასე აღწერს მისი მუშაობის პროცესს: „საზოგადოდ კოტე სასტიკი იყო რეჟისორობის დროს, ჩვენს რეპერტუალებზე უოველთვის სრული დისციპლინა იყო. გარეშეს არაიის უშეგნება თეატრში და მსახიობებმა ვარგად იცოდნენ ხასიათი. შეგნებული ჰქონდათ მისი მანერა და სიაზონენიით უფლებდნენ ყურს იმის სწავლებას“.

ასევე ახასიათებენ მას მისი ყოფილი მსახიობები და აღზრდილები.

ყოველივე ამან განაპიროვნა ქუთაისის პროფესიული თეატრის მთლიან შემოქმედებით კოლექტივად შეყრა და მისი სწრაფი წინსვლა.

კ. მესხმა განსაკუთრებული ყურადღება მოაქცია რეპერტუარის საკითხს. თუ მანამდე უმე-

ტესად მსუბუქი ჯანის კომედიებსა და ვოდევილებს დგამდნენ, მან მთავარი ადგილი დაუთმო ისტორიულ-პატრიოტულ პიესებს, აგრეთვე რუსულ და დასავლეთ ევროპის დრამებსა და ტრაგედიებს, რის საშუალებას მას აძლევდა საკუთარი მაღალი განათლება, რეჟისორული ტალანტი და ძლიერი დასი. პირველი სეზონი მან გახსნა მ. ლერმონტოვის შესანიშნავი დრამატული პოემა „დემონი“, სადაც თამარის როლს ასრულებდა ეფ. მესხი, დემონისას — კ. მესხი. ორიგინალური პიესებიდან რეპერტუარში შეტანილი იყო: დ. ერისთავის „სამშობლო“, ა. წერეთლის „პატარა კახი“, „თამარ ცხიერი“ დ. მესხის „ანტა პატონიშვილი“, კ. მესხის „მაგარტ IV“. რუსული კლასიკური დრამატურგიიდან ა. გრიბოედოვის „ეი ჰეუ-საგან“. ნ. ვოგოლის „რევიზორი“, ა. ოსტროვსკის პიესები და სხვ.

კოტე მესხმა განსაკუთრებული ყურადღება მიუქცია დასავლეთისა და, კერძოდ, ფრანგულ დრამატურგიას, ამ სპექტაკლებიდან აღსანიშნავია „მარგარიტა გოტიე“, დემონიესა და დენერის „ღონ სუზან დე ბახანი“, შექსპირის „ქირველი ცოლის მორჯულება“, რამე იგი შეუდარებლად თამაშობდა პეტრუჩიოს. ივ. მაჩაბლის მიერ თარგმნილი „ოტელო“ პირველად კოტეს ხელმძღვანელობით დაიდგა ქუთაისში. სადაც ოტელოს როლს დიდი ტემპერამენტით ასრულებდა კ. მესხი. მიმინდელი პრესა განსაკუთრებით აღნიშნავდა მის მაღალ ოსტატობას III — IV მოქმედებაში. როგორც ივ. მაჩაბლის მიერ კოტესადმი გაზავნილი ერთი კერძო წერილიდან ჩანს, ივ. მაჩაბელს პიესის თარგმნის მთლიანად დამთავრებამდე კ. მესხისათვის ცალკე მოქმედებები ეუბნებოდა და სპექტაკლი ისე მზადდებოდა.

ქუთაისის თეატრის მუშაობა მტკიცე ნიადაგზე იდგა, მაგრამ სათეატრო შენობის საკითხი დაუძლეველ სიძნელედ რჩებოდა. ხარაზიშვილების კერძო თეატრი სრულიად მოუწყობელი იყო და, ამავდროულად, თეატრის ისედაც ღარიბ ბიუჯეტს შიშვე ტვირთად აწევებოდა მაღალი საჯარო გადასახადი.

საკუთარი სათეატრო შენობის აგების საკითხი ქუთაისში 27-ე კიდევ 1875 წელს წამოიჭრა, რასაც ვრცლად გამოეხმაურა გაზეთი „დროება“ და მისი რედაქტორი ს. მესხი. შემდეგ კ. მესხმა კვლავ დააყენა თეატრის შენობის აგების საკითხი, ქართველ ქალებსაც კი მიმართა პრესის საშუალებით, რათა მიეზამათ ჩხბი პატრიოტი ქალებისათვის, რომლებმაც თავიანთი თაოსნობით აღადგინეს პრაკაში ხანძრისაგან განადგურებული თეატრი. მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია; ამ საკითხის მოწყობისთვის მას ერთი წელიწადი უნდა ეღობებოდა იმ შემთხვევით, რომ

1888 წელს, იმპერატორ ალექსანდრე II-ის სტუმრობის დროს, სათანადო ბინის ექონლობის გამო ქალაქის ბაღში ააგეს სპექტაკლური ბინის შენობა, რომელიც შემდეგ უმოწყობელად იყო მიტოვებული. კ. მესხმა და ნ. გამრეველმა 1891 წელს იჯარით აღეს იგი და თეატრად გადააკეთეს. მოიწვიეს მხატვრები — მამაშვილი შილაბები, და დეკორაციები დაახატურეს. გაზეთი „ივერია“ წერდა: „პატონი მესხი და გამრეველი შეუდგნენ საქმეს და პავლიონის ხასიათის ხელშეუხებლად და დაურღვევლად პავლიონი თეატრად გადააკეთეს. მართალი უნდა ითქვას, ამ ორ კაცს შრომა და ხარჯი არ დაუწოვავთ, რომ თეატრისათვის შესაფერი დარბაზი მოეწყობათ და მკვიდრი საძირკველი დაედგათ თეატრისათვის“.

ახალი სათეატრო შენობის გახსნას კ. მესხმა დიდი ეროვნული საზეიმო ხასიათი მისცა. ახალი თეატრის პირველი სეზონი ა. წერეთლის „თამარ ცხიერი“ დაიწყო. ადგილობრივ დასთან ერთად მონაწილეობდნენ, ე. აბაშიძე, კ. ყიფიანი, ქ. ანდრონიკაშვილი. როგორც გაზეთი „ივერია“ წერს, „სცენაზე გამოჩნდა მთელი დასი არტისტებისა და განსვენებული გიორისათვის სურათი. ბუნა მესხმა შესაფერისი ლექსი წაუკითხა ამ სურათს და შემდეგ არტისტებმა გვირგვინით შეამკეს იგი“.

ახალ სათეატრო შენობაში ახალი დიდი ენთუზიაზმით განაღდა შემოქმედებითი მუშაობა, და სპექტაკლების ხარისხიც კიდევ უფრო მაღალმხატვრული გახდა. მაგრამ ახალ სათეატრო შენობა უღებლო ვაგონად. 1894 წელს გ. სენდუკიანის „პეპოს“ რეპეტიციის დროს მთელი შენობა, დეკორაციები და მოწყობილობა ხანძარმა შეაოქრა. ამ საშფუხარო იმპაგმა მარტო თეატრის კოლექტივი და ქუთაისელი მცხოვრებნი კი არ შეაწუხა, არამედ მთელი ქართველი საზოგადოება შეაწუხა. გაზეთი „ივერია“ მეორე დღესვე იუწყებოდა, „წუხელის, რეპეტიციის დროს, დაიწვა ქუთაისის თეატრის შენობა — დაიწვა ეს ხელის-ხელ საგოგმანები ნიბუშა ხუროთმოძღვრებისა“.

ე. გენია, თბილისის დრამატული თეატრის მინდობილობით, წერს კ. მესხს: „გაეიგეთ, რა შენი უბედურება, ყველამ ერთხმად გამოგიცხადეს თავისი მწუხარება“.

კ. მესხს შენობის აღსადგენად, საკუთარი საშუალება არ გააჩნდა. მაგრამ იმედს მაინც არ კარგავდა. მან შექმნა თეატრის აღმდგენელი კომისია, კ. მესხმა დახმარებისათვის გაზ. „ივერიის“ საშუალებით ქართველ საზოგადოებასაც მიმართა, მაგრამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო და იძულებული გახდა ოჯახით თბილისში გადასულიყო სამუშაოდ.

ახე დამთავრდა კ. მესხის ცხრა წლის თავდადებული მუშაობა ქუთაისში პროფესიული

კ. მესხმა ისარგებლა იმ შემთხვევით, რომ

თეატრის შექმნისა და განმტკიცებისათვის. ეს ცხრა წელი უბრალო სეზონურობა ჩოდი იყო. ეს იყო ერთი და იმავე დასის, ერთი ხელმძღვანელის ერთი ვარკვეული სისტემით, ნამდვილი ერთგული, რეალისტური თეატრის შექმნის პერიოდი. მართალია, მისი ხელმძღვანელი თბილისში გადავიდა, მაგრამ ისე მტკიცედ შეკრული კოლექტივი დატოვა, რომ მათ შემოთბა არ შეუწყვეტიათ. პერიოდულად მართავდნენ სექტაკლებს, რომლის შემოთბას შორიდან თვალყურს ადევნებდა ქართული თეატრის მშვენიერება ლ. მესხიშვილი, იგი პირადი წერილებით ამხნეებდა მათ. 1896 წელს კი სამუშაოდ გადმოვიდა ქუთაისში და 10 წლის განმავლობაში მან დასი ახალი ნიჭიერი ძალებით შეავსო.

კ. მესხი უმაღლო ორატორი იყო. ამის ნათელსაყოფად საქმარისა მოვიგონოთ მისი გამოსვლა 1908 წელს მოსკოვში აღ. სუშკოვა-შვილი-იუვიჩის საიუბილეო დღეებში, რომელმაც მოსკოველებისა და მრავალრიცხოვანი სტუმრების აღფრთოვანება გამოიწვია. საიუბილეო საღამოზე ქართული ხალხისა და თეატრის სახელით კოტე მესხმა მიმართა — ა. სუშკოვა-შვილს: „არა შენი მოღვაწეობისა და სცენის უანგარო შრომის აღსანიშნავად გამოგზავნა მე შენმა შორეულმა სამშობლო საქართველომ... მე კავასიონის მაღალი მთის მწვერვალების, შენი ღებისა და ძმების, პატარა საქართველოს პატარა მსახიობთაგან მოგიტანე გულწრფელი საღამო შენ, დიდ მსახიობს მცირე თეატრისას, აღფრთოვანებულ საღამო გიშლი ფეხთა წინაშე“. თავის მისასალმებელ სიტყვას კ. მესხი ასე ამთავრებს: „მამ ნურავინ ნუ იტყვის, რომ შენ უღალატე სამშობლო სცენას, შენ ღალატი „ღალატითვე“ გამოისყიდე“.

დიდი რუსი მსახიობი ქალი მ. ერმოლოვა ბრწყინვალედ ასრულებდა ზეინაბის როლს „ღალატიში“. კ. მესხმა, მეორე დღეს გამართულ

ბანკეტზე, ერთმოლოვან მიმართა სიტყვით: „მე მიბრძანეს, რომ როდესაც დაგინახავდი — თქვენ მარიამ ნიკოლოზის ასულ ვრმოლოვას (ქ. სანოგადოება ადგა და ოვაცია გაუმართა როგორც ერთმოლოვას, ისე კ. მესხს), მთელი საქართველოს სახელით თავი დამეხარა მოწიწებით (შეუწყვეტელი ტაში). შეუდარებელი მ. ნ. ვუშინ, როდესაც დავინახე თქვენი საკვირველი თვალები ცრემლებით სავსე — ჩემი გულის სიმები აართოდნენ (ძლიერი ტაში). მაშინვე მივხვდი, თუ როგორ უნდა იტანჯებოდეთ თქვენ, ამდენი სიყვარულის გრძნობით აღსავსე, და მომავინადა, რომ თქვენ ერთადერთი რუსი ქალი ხართ, რომელიც იტანჯებოდით, როგორც ქართველი დედა... აი ამ ტანჯვისათვის, მოწიწებით საღამოს გიძღვნიოთ, იცოცხლეთ დიდხანს და უფრო ძლიერი ცეცხლით აღვენთოს გულნი, რომელნიც არა ერთხელ აღივზნიათ ზეინაბის ნიჭით“.

კ. მესხის გამოსვლებით აღფრთოვანებულმა მოსკოვის სამხატვრო თეატრმა და მისმა ხელმძღვანელებმა — კ. სტანილავესკიმ და ი. ნემიროვიჩ-დანჩენკომ დიდი შეხვედრა მოუწყვეს მას თეატრში. კ. მესხი იუბილეს დროს ქართულ ტანსაცმელში იყო გამოწყობილი, შეხვედრის დროს სამხატვრო თეატრის ხელმძღვანელები და დასი ქართულ ტანსაცმელშივე დახვდნენ. კ. მესხი კი შავი ფრაკით მოვიდა საღამოზე. მოსკოვის მაშინდელმა პრესამ ფართოდ გააშუქა კ. მესხის გამოსვლები.

ძალზე დიდია კ. მესხის როლი განახლებული ქართული თეატრის აღორძინება-განვითარებისათვის, მაგრამ, განსაკუთრებით დიდია მისი ღვაწლი ქუთაისში პროფესიული თეატრის შექმნისა და განვითარების საქმეში.

რეჟისორ კ. ანდრონიკაშვილის სიტყვით რომ ვთქვათ: „იგია მამა ეხლანდელი თეატრისა ქუთაისში“.

იაკობის იხლი

იაკობის ქამისწირვის ხელნაწერი პრაკსში

პრაკსის ეროვნული მწერლობის ძეგლთა მუზეუმის ბიბლიოთეკაში დაცულია ხელნაწერი DJ VI 1, რომელიც შედგება ექვსი ეტრატის ფურცლისაგან, ნაწერია მსხვილი მრგოლვანი ხელით, ერთ სვეტად, ნაწილებად, აქლია თავფურცელი, ფურცლებს სათვალავი არ უნის, იგი ეკეთენოდა ყოფილ სტრაპოვის მონასტრის ბიბლიოთეკის ფონდს. მისი ფორმატია 20X15 სმ, თვითველ გვერდზე თხუთმეტ-თხუთმეტი სტრიქონია. (ტექსტის სვეტის ზომა 11X12 სმ). ტექსტი შეიქმნა მონასტრის არის ნაწერი, ხოლო სათაურები და ინციფტები ლოცვების დასაწყისში და საკეთარი სახელების პირველი სიტყვები უკანასკნელ ლოცვაში — წითელი მელნით. ყდისგან მარტო ფიციარიალა შემორჩენილი ძველი ქართული ტექსტი ლიტურგიული შინაარსისაა.

მინახეული დოქტორ ილიუს ასფალგის დახმარებით შექმნილია მოხეცა, ამ ფურცლების ტექსტი შემედარებინა კორნელი კეკელიძის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტთან (ხელნაწერი თბილისში ყოფილ საეკლესიო მუზეუმში მოიპოვებოდა, ახლა კი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული, A — 86).¹ ერთბაშად გამოირკვა, რომ პრაკსის ნაწილები შეიცავს იაკობის ეამისწირვის დასაწყისს. მაგრამ ამის დადგენა თავისთავად საკმარისი არ იყო იმ საკითხის ვადასაპრეზად, თუ რას წარმოადგენს ეს ტექსტი ეამისწირვის სხვა ქართულ ვერსიებთან შედარებით.

კ. კეკელიძეს თავისი ვრცელი ქართული ლიტერატურის ისტორიის² უკანასკნელ გამოცემაში დასახელებული აქვს იაკობის ეამისწირვის ოთხი რედაქცია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. 2

პირველ რიგში ის ასახელებს გრაციის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულ ხელნაწერს, რომელიც 985 წელს არის გადაწერილი იოანე-

ზოსიმეს მიერ და რომლის მოკლე აღწერილობა და ორი გვერდის ფოტოსურათი გამოქვეყნა ა. შანიძემ 1929 წელს³, ხოლო ტექსტი გამოსცა მ. თარხნიშვილმა⁴. შემდეგ დასახელებულია ხელნაწერი, რომელიც სინაზეა დაცული და რომლის აღწერილობა ნ. მარს ეკუთვნის. ეს ის ხელნაწერია, რომელიც მარს 53 ნომრად აქვს აღნიშნული. იგი შეიცავს იაკობის ეამისწირვას. მასაც ჰქვია თავფურცელი და დასაწყისი. მარს მას მე-10 საუკუნის ძველად მიიჩნევს („Е.древн.-ли древнее X-го века, но и не позднее“). ეს ხელნაწერი, საბაშქმლის მონასტრში გადაწერილი, პრაკსის ფრაგმენტისაგან განსხვავდება, უწინარეს ყოვლისა, თავისი ფორმატით და გაფორმებით: ნ. მარს აღნიშნავს, რომ მისი ფორმატი 11,5X10,8 სმ-ია და თვითველ გვერდზე 13-17 სტრიქონია მოთავსებული⁵.

მესამე რედაქციად კ. კეკელიძეს დასახელებული აქვს მის მიერვე გამოცემული არქივრატორის ტექსტი, რომელიც განკუთვნილი იყო მღვდელმთავართა წიგვისათვის დღესასწაულებში და დაწერილი იყო, რასაკვირველია, მანამდე არსებული ხელნაწერების მიხედვით, როგორც ეს ჩანს სეიმიონ კათალიკოსის ბოლო სიტყვებიდან. ეს კი ხელნაწერს 1001 (1002?) — 1012 წლებით ათარიღებს. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ეკლესია, ისევე როგორც ბერძნული, ამ ტექსტის გარდა, არ ასხვავებდა ჩვეულებრივსა და საღვთსაწაულო ეამისწირვას, უკანასკნელ საუკუნეებშიც კი იაკობის ეამისწირვას სამღვდელმთავრო მნიშვნელობა ენიჭებოდა. ეს მოწმობს იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ძველ ეამისწირვას საქართველოში. საეკ-

³ ა. შანიძე, ქართული ხელნაწერები გრაცი-ში, ტომ 1 (ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე), IX, 1929, გვ. 345-347.

⁴ Michael Tarchnitsvili, Liturgiae ibericae antiquiores (CSCO, vol. 122—123, Scriptores ibericj, series 1, tomus 1), Lovanii 1950, textus, pp. 1—34, versio pp. 1—25.

⁵ Н. Я. Марр, Описание грузинских рукописей синайского монастыря, Москва—Ленинград, 1940, гл. 76 — 79 (рук. № 53).

¹ Древнегрузинский архивариатикон. Груз. тек. Изд. К. Кекелидзе, Тифлис, 1912.

² კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, ძველი მწერლობა, თბილისი, 1960, გვ. 581.



კაცობის სიწმიდისათვის
 ღმერთს უფროსად ვაპყობ
 მოყვანილნი ვიხსენებ
 ვინაჲს გარდა: ქრისტე
 ავადმჯობელნი უფროსად
 უფროსად ვაპყობ. უფროსად
 უფროსად ვაპყობ სიწმიდისათვის
 უფროსად ვაპყობ სიწმიდისათვის
 უფროსად ვაპყობ სიწმიდისათვის
 უფროსად ვაპყობ სიწმიდისათვის
 უფროსად ვაპყობ სიწმიდისათვის
 უფროსად ვაპყობ სიწმიდისათვის
 უფროსად ვაპყობ სიწმიდისათვის
 უფროსად ვაპყობ სიწმიდისათვის
 უფროსად ვაპყობ სიწმიდისათვის

ღესიო კრება, მოწვეული რუის-ურბნისში 1103 წელს, ბიზანტიური ეპისკოპოსის გამარჯვებას ნიშნავდა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად ამისა, მე-18 საუკუნეში დომენტი კათალიკოსმა (1704 — 1729) წმინდა ბიბლიოფილერი მოუვარულობით არქივარტიკონი თავისთვის გადააწერინა. ეს გადაწერის შემოგვეხება ხელნაწერში, რომელიც ერთ ღროს მცხეთაში ინახებოდა, ახლა კი ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული (A — 81). ესეც იმ დიდ მოწიწებას ნიშნავს, რომლითაც იაკობის ეპისკოპოსის უწყობლობისა.

პრაპის ნაწევრების ტექსტსა და არქივარტიკონის სათანადო ტექსტს შორის მნიშვნელოვანი მსგავსებაა, მაგრამ განსხვავებაც ნაკლები არ არის. ტექსტების შედარების ღროს ვხვდებით მთელ რაგ ჩანართებს და სხვადასხვა სახის ვარიანტებს: ორთოგრაფიულს, ლექსიკურსა და გრამატიკულს (100-ზე მეტ ვარიანტს). აქ მხოლოდ იმ ლექსიკურ ვარიანტებზე შევჩერდები, რომლებიც თითქმის სინონიმებია (ვასახელებთ ჯერ პრაპის ხელნაწერის ფორმებს, შემდეგ თბილისურისას): სასოა — სასოება, დომარხნეს — დაცვენს, შეყოლებანი — ცოდვანი, სატანჯველად — დასაჯვლად, ლუწოლა — ლუწა. მნიშვნელოვან ცვლილებებს ვვამჩნევს არქივარტიკონი ფორმების ხმარებაში: „ცოდვილთათა“ ამის ნაცვლად: (ქელთაგან ჩუენ) „ცოდვილთადას“, რაც ტექსტის მოდერნიზაციას ნიშნავს. უველაზე დიდი განსხვავებანი გვხვდება მე-18 საუკუნის ტექსტში. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მე-2 და მე-4 ლოცვა გადამსულია ერთ მეორის ადგილას: კ. კვეციანის გამოცემის შიგნით ლოცვა აქ მეოთხე ადგილზეა და პირველი: იმისი მეოთხე — აქ მეორეზე. ამას გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნული პროსფორა, რომელიც სინურ ტექსტში ვხვდებით „ბოსპორისისა“ ფორმით (მარს ეს ფორმა სინას სხვა ხელნაწერებშიც უნახავს), არქივარტიკონში ასეა გასწორებული: პროსპორისაა. არქივარტიკონის ტექსტს, რომელიც გამოცემულია 1912 წ., საფუძვლად უძვეეს ხელნაწერი, ამჟამად დაცული საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში. ამ ხელნაწერის მონაცემები არ ემთხვევა პრაპის ფრაგმენტის მონაცემებს.

უკანასკნელი (მეოთხე) რედაქცია ქართული იაკობის ეპისკოპოსისა არის ვატიკანის ხელნაწერის ტექსტი, რომელიც აგრეთვე მ. თაბახანიშვილმა გამოაქვეყნა. მას აგრეთვე ჰყვებიან დასაწყისი. თაბახანიშვილის მონაცემები (0,21 X 0,14 სმ, გვერდზე 23-26 სტრიქონი, ნაწერი — ნუსხახუცული, არაუგვიანეს მე-13-14 საუკუნის-

სა, იქვე, გვ. 11) გამოიციხავს, რომ ამ ტექსტს რაიმე დამოკიდებულება ჰქონდეს პრაპის ფრაგმენტთან. ისა დაგვრჩენია, მივმართოთ ტექსტს, რომელსაც ვვამჩნევს გრაციის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული შეპართისული ხელნაწერი, რომელიც კ. კვეციანის პირველ რიგში აქვს დასახელებული, როგორც უძველესი.

გრაციის უნივერსიტეტის ხელნაწერი 2058/4, კატალოგში მოცემული ცნობების მიხედვით, ეტრატზეა ნაწერი, სულ არის 110 ფურცელი, ზომა 20 X 15 სმ, ვაღწერია იოანე-ზოსიმეს 985 წელს და შეიცავს იაკობის ეპისკოპოსის (ფუ. — 94) და გრიგოლ დიდის პირველ შეწირულს (ფუ. 96 — 110). ხელნაწერს თავი და ბოლო აკლია და ტექსტის წარმოშობა, თარხნიშვილის მიხედვით, მეშვიდე საუკუნის დასასრულს ან შერვის დასაწყისს ეკუთვნის.

უნდა აღინიშნოთ, რომ გრაციის 2058/4 ხელნაწერი ეკუთვნის იმ ძველი ქართული ხელნაწერების კოლექციას, რომელიც ალ. ცაგარელმა 1883 წელს აღწერა სინაზე ეკატერინეს მონასტერში ყოფნისას და თავის კატალოგში შეიტანა. სინადა იგი მე-19 საუკუნის დამლევს ავსტრიაში წაუღიათ და ცნობილი ლინცისტი, კავკასიის მეცნიერ პუგო შეპართის ხელში მოხვედრილა. შეპართს იგი შეუძენია ვენაში და გრაციის უნივერსიტეტისათვის უანდერძებია¹⁰.

პუგო შეპართმა ეს ხელნაწერები აღწერა სტატიაში, რომელიც მან ხელნაწერის სახით სიეოცხლის უკანასკნელ დღეებში აკაცი შანიძეს ვაუჯგანა. ა. შანიძემ იგი დამკვიდა თბილისის უნივერსიტეტის მოამბეში¹¹, ხოლო შემდეგში შეადარა შეპართისა და ა. ცაგარლის ცნობები. სინური ხელნაწერების შესახებ, რომლებიც ავსტრიაში მოხვდა, და მოხსენებით გამოიღა 1929 წ. ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში. მოხსენება იმ წელსვე გამოაქვეყნა ხელნაწერთა ზოგიერთი გვერდის ფოტოსურათითურთ, რომლებიც გიორგი ჩუბინა-

¹⁰ Die Handschriften der Universitätsbibliothek Graz, bearb. von Anton Kern, Bd. 2, Wien, 1956.

¹¹ M. Tarchnischvili, თქვე, გვ. I.

¹² A. Цагарели, Памятники грузинской старины в Святой и на Синае, СПб, 1886 (Православный палестинский сборник, т. IV, вып. I).

¹³ ამის შესახებ ნახეთ ა. შანიძის ქართული ხელნაწერები გრაცში* (ტუმ IX, 1929), გვ. 310-311; ხანშეტი ლექციონარი, 1944, გვ. 07-08.

¹⁴ Hugo Schuchardt, Mitteilungen aus georgischen Handschriften, ტუმ. VIII, 1928, გვ. 347 — 376.

* M. Tarchnischvili, Liturgiae ibericae... textus, pp. 35—63, 12. „მნათობი“, № 6.

შეიღმა დაამზადებინა გრაცში ყოფნისას 1928 წელს¹².

გრაცში მოხვედრილი ქართული ხელნაწერების კოლექცია შეიცავს ხუთ ხელნაწერს და ორ ფრაგმენტს, ყველაზე საყურადღებო მათ შორის პირველია; ეს არის მე-7 საუკუნის ხანმეტი ლექციონარის ფრაგმენტი, რომელიც ა. შანიძემ გამოაქვეყნა ჯერ თბილისის უნივერსიტეტის მოამბეში¹³. სტამბური წესით, და შემდეგ ფოტოტიპურადაც გამოსცა ცალკე წიგნად¹⁴. აღსანიშნავია, რომ ამ ხანმეტ ლექციონარს ბოლოში ჰქონია ერთი ფურცელი, რომელზედაც მოთავსებული იყო იოანე-ზოსიმეს ანდერძი, იმ იოანე-ზოსიმეს, რომელსაც შესამდე შეუმოსავს ხანმეტი ლექციონარი და ბოლოში თავისი ანდერძი დაურთავს. ეს ანდერძიანი ფურცელი უნახავს ა. ცაგარელს სინაზე ყოფნისას 1883 წელს, მაგრამ მის პუგო შეპარამაძის არ მიუღწევია და დღემდე დაცარვულად ითვლებოდა. ამის გამო აკაკი შანიძე წერდა: „აღმოჩნდება იგი სადმე თუ არა, არ ვიცი; შეიძლება იგი ისევ სინას მთაზე იყოს დამარჩალი, ან წამოღებული იყოს იქედან და ვისმე ჰქონდეს და შეიძლება, რომ სრულებითაც დაღუპული იყოს“¹⁵. მაგრამ, საბედნიეროდ, აღმოჩნდა. იგი ამჟამად დაცული ყოფილა ინგლისში, ბირმინგამში, სელი ოუქის კოლეჯის ბიბლიოთეკაში, (Selly Oak Colleges Library), მინჯანას კოლექციაში, რომელიც აღგონს მინჯანამ გრაფ ედუარდ ქადბურისთვის შეკრიბა (Edward Cadbury) და ცნობილია ამ კოლექციის შემკრების სახელით: Ming. Georg 7.

როგორც ე. გარითი აღნიშნავს, ეს ფურცელი წარმოადგენს პალიფსესტს, რომლის პირვანდელი ტექსტი ბერძნულაა (I იოვ. 3:23-4,1 და 4,3-6) და V-VI საუკუნისა უნდა იყოს, ბერძნულში კი ქართულია და იოანე-ზოსიმეს ანდერძს შეიცავს. ორივე ტექსტი, ქართულიცა და ბერძნულიც, გამოსცა ე. გარითმა¹⁶. ანდერძში ნათქვამია, რომ ხანმეტი ლექციონარი შესამდე შეუმოსავს იოანე-ზოსიმეს ხგ (203) ქრონიკონს,

¹² ა. შანიძე, ქართული ხელნაწერები გრაცში, ტომ IX, 1929, გვ. 310—353.

¹³ ტომ IX, გვ. 313—342.

¹⁴ ხანმეტი ლექციონარი, ფოტოტიპური რეპროდუქცია, გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ (ძველი ქართული ენის ძეგლები, 1), 1944.

¹⁵ ტომ IX, 319; ხანმეტი ლექციონარი, ფოტოტიპური რეპროდუქცია, 016.

¹⁶ G. Garitte, Les feuillets géorgiens de la collection Mingana à Selly Oak (Birmingham); Le Muséon, t. LXXIII 1960, pp. 49—259 (Ming. Georg. 7, pp 256—257).

ე. ი. ჩენი წელთაღრიცხვით 985 წელს, როგორც აღნიშნულია ლიტერატურაში¹⁷. გრაცის 2058/4 ხელნაწერს ამჟამად უკვლევია პირველი რვეული, რომელიც თავდაპირველად, ალბათ, რვა ფურცლისაგან შედგებოდა, მაგრამ იგი მოიპოვებოდა 1883 წელს, როდესაც ა. ცაგარელმა ეს ხელნაწერი აღწერა სინას მთაზე ყოფნისას 31 ნომრად¹⁸. ა. ცაგარელს მისი დასაწყისი შეზღვევნიერად მოჰყავს: „მღვდელი რაგამს წირვად განემზადების, ესე ლოცვაა წარმოთქმას: ღმერთო უფალო შემოსვლას ამის ჩემს ტაძარსა წმიდასა დიდებისა შენისასა ღირს მყვენ მონანი შენი მადიდებელად სახელისა შენისა წმიდისა“. როგორც ვხედავთ, ცაგარელს ტექსტი საესებით ემთხვევა პრაპის ფრაგმენტის დასაწყისს. განსხვავებანი, რომლებიც გვხვდება მათ შორის, შეიძლება იმის გამო იყოს, რომ ა. ცაგარელი ჩქარობდა აღწერისას და სათანადო სისუსტით ვერ გადმოწერა ტექსტი.

პრაპის ფრაგმენტისა და გრაცში დაცული იაკობის ეპისტოლეების მიერთების შედეგად აღსაქმურებს როგორც ხელს, ისე ნაწილის გაფორმების მსგავსებას. ფორმატი იგივეა, ხელი იოანე-ზოსიმესია, რომელსაც, ე. გარითის მიხედვით, „ახასიათებს განსაკუთრებით ტუნდუნკია, მარცხნივ მოუხაროს ქვემო ფეხი კასოს და მარჯვლისებრ შეუერთოს ბოლოები ასოთა პორიზობატურ ხაზებს“¹⁹. გრაცის ხელნაწერი და მისი პრაპული ნაწივეტი შეიცავენ იაკობის ეპისტოლეების უძველეს ქართულ რედაქციას. მათი გადაწერა იოანე-ზოსიმეს, რომელიც ანდერძში და აგრეთვე თავის სხვა ხელნაწერებშიც გვაქმნევს საქმის ეთაბებას. იქედან ვტყობობოლობ, რომ იგი ამას აკეთებდა კვირიან ბერის სურვილისამებრ ისეთი ხელნაწერადან, რომელიც შეიცავდა ეპისტოლეების უფრო მოკლე ტექსტს, თუმცა იოანე-ზოსიმეს თავის მოძღვართაგან ნასწავლი ჰქონდა და მან პრაპტიკადანაც იცოდა უფრო ვრცელი ტექსტიც და სიამოვნებით დაწერდა იაკობის ეპისტოლეების მოკლე ტექსტს ისე, როგორც მან ეს იცოდა, მაგრამ ვინც მას გადაწერა დაეალა, სობოვა, დაწერა მხოლოდ ის, რაც მიწოდებულ დედანში იყო.

ტექსტის შემოკლება ზმირად ორნარიო მოსახრებით კეთდებოდა. ჯერ ერთი, ხალხი უფრო მოკლე ტექსტს თხოულობდა და კიდევ იმიტირებდა, რომ მათი აზრით ტექსტის სიმოკლე მის სიძველეს მიწმობდა. ზოსიმეს, ალბათ,

¹⁷ ა. შანიძე, ქართული ხელნაწერები გრაცში: ტომ IX, 346.

¹⁸ A. Цагарели, Каталог грузинских рукописей Синайского монастыря. (Памятники.., гв. 193—240).

¹⁹ G. Garitte, Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du Mont Sinaï. Louvain 1956, p. 146.

შელთ ჰქონდა იაკობის ეამისწირვის უფრო ვრცელი ძველი ტექსტი, მაგრამ მიზანტიური ეამისწირვის მომხრენი ამტკიცებდნენ, რომ იაკობის ეამისწირვა უფრო გვიანდელია და ამიტომ იაკობის ეამისწირვის მომხრენი მოკლე ტექსტებს ჰმარობდნენ, მისი სიძველეს დასამტკიცებლად. მხოლოდ ამიტომ ვახდა შესაძლებელი დაიწყება მისი სიძველეთა უძველესი ქართული ტექსტი იაკობის ეამისწირვისა. ამიტომ არ შემოგვვენახა ხელნაწერი პირვანდელი სახით. მაგრამ ის ხელნაწერი, რომელიც გრაციის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაშია, და პრაპის ნაწყვეტი, რომელიც გრაციის ტექსტის დასაწყისს წარმოადგენს, მისი უძველესი წარმოშობის ძვირფასი დამამტკიცებელი საბუთია.

გრაც-პრაპის ნაწყვეტს იაკობის ეამისწირვისას უნდა ავლდეს ორი ფურცელი, პირველი და მეორე. რა ეწერა პირველი ფურცელზე, არ ვიცით, რადგანაც ეამისწირვის ტექსტი პირდაპირ მეორე ფურცლიდან იწყება. რაც შეეხება მეორე ფურცლის ტექსტს, მისი შევსება შეიძლება არქიერატოკონის ტექსტის მიხედვით. მხედველობაში გვაქვს მხოლოდ „ლოცვა საეუმეველსა ზედა“. გრაციის ტექსტი შემდეგი ლოცვის გაგრძელებას წარმოადგენს, რომელიც არქიერატოკონში შესაძრ რიცხვით არის აღნიშნული (გ).

პრაპის ნაწყვეტში მოაპოვება „ლოცვა შემოსისაჲ“, რომელიც ერთ-ერთი უღამანესთაგანია საერთოდ ლიტურგიულ ლოცვებს შორის. და, აღმათ, ძველ დროში იკითხებოდა, როცა მღვდელი საღვთისმსახურთა სამოსს იცვამდა. ეს ლოცვა აგრეთვე არქიერატოკონშიც არის და მისი ბადალი არც ერთ სხვა ეამისწირვაში არ მოიძებნება. ამ ძველ ლოცვას იხსენიებენ აგრეთვე არქიერატოკონის შთაგმნენიც 29. ანალოგიური ლოცვა მხოლოდ სომხურ ლიტურგიაშია 21.

მოგვყავს ტექსტი ქარავშების გახსნით, მღვდელი რაჲმს წაჩავდ განწმადებოდის, ესე ლოცვაა წართქუას.

ღმერთო, შემოსლვასა ამას ჩემსა ტაძარსა წმოდისა დიდებისა შენისასა ღირს მუყენ მონანი შენნი მადიდებულად სახელისა შენისა წმოდისა, რამეთუ ღმერთი მოწყალე ხარ და კაცთ მოყუარე და შენდა დიდებასა შეესწირათ მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აჲ...

ლოცვა დაგებხისა ბ(რ)ოსპორისა ზედა

უფალი ცხოველს მყოფელო და ყოველს-კეთილისა განწყოფელო, რომელმან მოეც კაცთა სსსოებაჲ საუენოასა ცხორობისაჲ, უფალ ჩუენი და ღმერთი იესუ ქრისტე, ღირს მუყენ, ჩუენ სიწმიდესა შენსა და ესე შენდა საღმერთთა მსახურებაჲ აღსრულებად საშუებულად განწმადებულთა მათუეს კეთილთა, რაჲთა დაეიყენეთ ძალითა შენითა ყოველსა ეამსა და შენდა დიდებასა შეესწირვიდეთ მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აჲ და მარადის და უკუენითი უკუენისამდე. ამენ.

ლოცვა ბ პარძიშა ზედა

უფალი ღმერთო ჩუენო, რომელმან მოგწოდენ ჩუენ ნათელსა ქეშმარიტსა, რომელი განათლებს ყოველსა კაცსა მომავლსა სოფლად, მღსინებულ გუამქმენ ცოდვათა ჩუენთა და მოგუტავენ ბრალნი ჩუენნი და ღირს მუყენ ჩუენ მსახურებად წმიდთა შენთა საიდუმლოთა, რამეთუ მსუფვე მამა და ძე და სული წმიდაა აჲ და მარადის და უკუენითი უკუენისამდე. ამენ.

ოდეს პერეკელი დაპუროს, ესე ლოცვა წართქუას

უფალი ღმერთო ჩუენო, რომელმან პერი ზეცისაჲ მოეც საქმლად ყოველთა მორწმუნეთა, უფალი ჩუენი იესუ ქრისტე მხოლოდ შობილი ძე შენი, რომელი ვარდამოაელი(ნე) ზეცით ცხორობად ჩუენდა, რომლისა მიერ ინებუქსნა და ღუწოლაა ჩუენი, რომლისა მიერ მაკურთხენ და წმიდა მუყენ, აკურთხე წინადაგებულთ ესე და შეიწირე შენსა ზეცისა საკურთხეველსა მსხურებლად, სულად სულად შენდა, სათნოდ საიდუმლოდ, მოიქსენენ, ვითარცა მოწყალე და კაცთმოყუარე ხარ, ყოველნი, რომელთა შემოწირეს შესაწირავი ესე და შენ მოგუანიქე უოველოვე საცხორობელად თხოვია ჩუენი, ნუ სატანჯველად ჩუენდა იყოფინ, ნუცა განსაკითხავად და საშობლებლად ცოდვათა, არამედ საცხორობელად საუენოდ.

ლოცვა შემოსისა

რომელმან შეიმოსე ნათელი ვითარცა სამოსელი, გამოუთქმელითა სიმდაბლითა ქუეყანისა ზედა გამოსწნო და კაცთა შორის იქცეოდ, მღვდელთ მოძღუარ იქმენ ჩუენდა უკუენისამდე წესსა მას ზედა მელქიზედესისა, რომელმან შეამკვე ქეშმარიტებითა გულებიდა შენი, უფალი

²⁰ The Georgian Version of the Liturgy of St. James by Fred. C. Conybeare and Oliver Wardrop: Revue de l'Orient Chrétien. 2. -6me série. Tome VIII (XVIII), volume, 1913, p. 399.
²¹ Liturgiarum orientalium collectio opera et studio Eusebii Renaudotii, 2. éd t II, Francortorti a. M. et Londini, 1847



ყოველისა მპყრობელი, მოგუანივე ჩვენ ზეცი-
სა და უბრუნელებისა სამოსელი, ღირს მყავ
მე, რომელი-ესე მოვალ საღმართთა ამას ზეცი-
სა შსაბურებასა შენისაგან მადლისა, რაათა ყო-
ველი მწინკულეეანებაა განვიძარცო ვითარცა
შეგინებული სამოსელი, შეამკვე სული ჩემი
ბრწყინვალეობითა და კორცნი ჩემნი სიწმიდითა,
განმავუნე ჩემგან ცოდენი ჩემნი და განსთხიენ
ჩემგან უშჯულოებანი ჩემნი, შემოსე მე სათ-
ნოებაა სიწმიდშ და სიმტკიცშ, რაათა შენ
მიერ შემოსილი მღვდლობისა მადლსა ღირს
ვიქმნე შესლვად სიწმიდესა შენსა მათ თანა,
რომელთა შეუტომელად დაიძარხნეს წმიდანი
მცნებანი შენნი და ვიპოვო მე კორწილსა მას
ზეცისასა ბრძენთა მათ თანა წმიდათა ქალწულ-
თა შენდა დიდების მერყველებად, ქრისტე
ღმერთო ჩუენო, რომელმან აიხუნე ყოველთა
კაცთა შეცოდებანი, რამეთუ შენ ზარ წმიდა
მყოფელი სულთა და კორცთა ჩუენთაჲ, ღმერ-
თო ჩუენო, და შენდა დიდებასა შეესწირავთ
თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მამ-
რადის და უკუნიითი უკუნისაშდე, ამენ.

**ლოცვაჲ საკუთველსა ზედა დიაკონმან
კურეაქსი უოს, მღვდელმან ესე ლოცვაჲ
წართქუას**

საბიერო მეთფეო ყოველთაო და უოველთა
დაბადებულთა შემოქმედო, შეიწირე შესაწირაჲი,
რომელნი-ესე შესწირენ შენდა ქრისტე შენისა
მიერ და ეკლესიისა შენისაგან კაცად-კაცადისა

იგი საჩკებელი აღასრულე და უძლოდ ყოველ-
თა სრულებისა მიწვენად და ღირს მყვენ-ჩუენ-
მადლსა და სიწმიდესა შენსა, ~~ქრამეთუ~~ ~~ღმერთო~~
მოწყალე და კაცთ მოყუარე ხარ და შენდა დი-
დებასა შეესწირავთ მამისა და ძისა და წმიდისა.
სულისა აწ და მარადის და უკუნიითი უკუნისა-
შდე. ამენ.

ლოცვაჲ გ საკუთველსა ზედა

რომელმან შეიწირე შესაწირაჲი აბელისი, ნო-
ვესი, აბრაჰამისი, აპრონისი, ხამოველისი, ზაქა-
რიასი, საყუმეველი შეიწირე კელთაგან ჩუენ
ცოდებითაჲსა...

P. S. ეს ნაკლევი ამგვარად წარმოიშვა:
1959 წლის შემოდგომაზე ცნობილი მწერალი
აყაი ბელიაშვილი პრაჰაში იმყოფებოდა რო-
გორც ტურისტი და ტელეფონით მელაპარაკა.
მან მაცნობა: ეროვნული მწერლობის ძეგლთა-
მუდმივი გამოფენის დათვალიერების დროს
ვიტრინაში ენახე ძველი ხელნაწერი, რომელიც
იქ შეცდომით აღნიშნულა როგორც სომხური
მწერლობის ძეგლიო. მაშინვე ერთად წაყვდი-
თყოფილ პრაჰის მონასტერში სტრაპოვზე, ეროვ-
ნული მწერლობის ძეგლთა გამოფენაზე. ხელ-
ნაწერის დანახვისთანავე ცხადი გახდა, რომ
ხელნაწერი სომხური კი არ იყო, არამედ ქარ-
თული. საშუხაბოდ, ვიტრინა დაკეტილი აღ-
მოჩნდა და ხელნაწერის გაცნობის საშუალება.
მხოლოდ მაშინ მომეცა, როცა აყაი ბელიაშვი-
ლი პრაჰიდან გაემგზავრა.

თარგმანი ჩეხურიდან **ელენე პარსთაშისა**

მონა ბარნიძე

მცირე ხენიშვნები ნიკორწმინდის სააღმშენებლო წარწერაზე

ნიკორწმინდის სააღმშენებლო წარწერა მნიშვნელოვანი ეპიგრაფიკული ძეგლია, რომელზე დაყრდნობითაც ხდება თვით ეკლესიის აგების დათარიღება. საინტერესოა მისი მონაცემები ქრონოლოგიის თვალსაზრისითაც.

წარწერა, რომელიც დასავლეთის შესასვლელთან აშკარად XI საუკუნისათვის დამახასიათებელი პალეოგრაფიული ნიშნებითაა შესრულებული, ქარაგმების ვახსნის შემდეგ ასე იკითხება: „ქრისტე, ძეო ღმრთისაო, აღიდე სიმართელი და დღევრძელობით შენ მიერ გვირგვინისანი ბაგრატ, აფხაზთა და რანთა მეფე და ქართველთა კურაპალატი და ვახარდე ძე მათი ვიორგი ნებასა შინა შესა, შეოხებითა წმიდისა მღვდელ-მოძღვრისა ნიკოლოზისათა“.

წარწერის პირველად გამოშემქმელს აკად. მარი ბროსეს მიიჩნდა, რომ წარწერაში მოხსენებულია ბაგრატ IV (1027-1072), მაგრამ როგორც ჩანს, თვითონვე ეჭვობდა ამაზე, რადგანაც გაუგებრად მიიჩნდა ამ შემთხვევისათვის ბაგრატის „ქართველთა კურაპალატი“ მოხსენიება. თავის დროს სხვებიც იმეორებდნენ ამ დათარიღებას.

მკვლევარი გ. ბოკორიძე წარწერას ათარიღებს XI საუკუნის დასაწყისით და მიიჩნია, რომ წარწერაში მოხსენებულია ბაგრატ III (975-1014). მისი აზრით, წარწერა თარიღდება 1010-1014 წლების შემდგომი დროით, რადგანაც ბაგრატ „რანთა მეფედ“ არის მოხსენებული, რანი კი აღნიშნულ წლებში აიღო ხსენებულმა მეფემ.

სარგის კაკაბაძის აზრით, „ტიტულატურა“ („აფხ. და რანთა მეფე და ქართ. კურაპალატი“), აგრეთვე ვიორგის მცირეწლოვანობა („ვახარდე ძე მათი ვიორგი“), ცხადყოფს, რომ წარწერა ამოჭრილია 1008-1010 წლების ახლოს. ბაგრატ

III პერეთი დაიპყრო თავისი მამის გურგენის 1008წ. გარდაცვალების შემდეგ¹.

წარწერის ორი უკანასკნელი დათარიღება შინაარსის სწორედ გააზრების საფუძველზეა მომზადარი, რამდენადაც ორივე ავტორი სამართლიანად ფიქრობს, რომ ამ მოხსენებულმა ბაგრატ III (975-1014წ. წ.).

დათარიღებად სპეციალურ ლიტერატურაში მიღებულია 1014 წლის შემდგომი პერიოდი, ქრონოლოგიის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია წარწერის ზუსტი თარიღის ვარკვევა, რის გამოც ინტერესს არაა მოყვებულნი შევხებით აღნიშნულ წარწერას.

წარწერის ზუსტად დათარიღებისათვის საჭიროა ბაგრატ III მთელი ბიოგრაფიის გათვალისწინება, რაც იმის საშუალებას მოგვცემს, რომ ვაჩვენებთ, რომელ წლებზე ადრე და გვიან არ შეიძლება ამოკრათ ასეთი წარწერა. საჭიროა არაა დათარიღებისას მხოლოდ იმაზე დაყრდნობა, რომ ბაგრატ „რანთა მეფედ“ იხსენიება. ამ არგუმენტზე უფრო ბევრის შეტყვევია ბაგრატის „ქართველთა კურაპალატი“ მოხსენიება.

ბაგრატ III დავით კურაპალატის შვილიშვილი იყო და, იოანე მარუშის ძის ხელისშეწყობით, უკრ ქართლში გამეფდა, შემდეგ კი 978 წ. უსუნათლო თეოდოსის მიერ აწეწილი საქმეების ეამს „იოანე მარუშის-ძემან ინება, რათა მოიყვანოს ბაგრატ მეფედ აფხაზეთისა და ქართლისათა, ვამოითხოვეს ბაგრატ მეფედ დავით კურაპალატი“.

1 ს. კაკაბაძე, წინასწარი ცნობა დას. საქართველოს ზოგიერთი ეპიგრაფიკული მასალის შესახებ: საისტორიო კრებული, ტ. IV, 1929, გვ. 102-103.

² ასე, მაგ., სულ ახლანდ გამოქვეყნებული ნაშრომში „საქართველოს სსრ კულტურის ძეგლები“, თბ. 1959, რომელიც ქართულსა და რუსულ ენებზეა დაბეჭდილი, ნიკორწმინდის აგების თარიღად ნაჩვენებია 1014 წ. op. cit., გვ. 20. (ქართ.), გვ. 166 (რუს.). იგივე თარიღია ნაჩვენები ნიკორწმინდის ჩრდილოეთ კედელზე გაყოფილ მემორიალურ დავაზე, რომელიც ქართულსა და რუსულ ენებზეა შესრულებული და მნახველებსათვისაა განკუთვნილი.

¹ M. Brosset., Rapports sur un Voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie. 12 rapp. SRB 1851 p. 55-56.

² გ. ბოკორიძე, რაჭის ისტორიული ძეგლები, საქ. მეცნიერების მოამბე, ტ. V, 1930, გვ. 194.

საგან¹. დავით კურაპალატიც ხელშეწყობით ბაგრატი ჩივიანის „აფხაზეთს, დალოცეს მეფედ და დემორჩილნეს ყოველი ბრძანებას მისსა“².

ბაგრატ III აფხაზეთში გამეფების თარიღს (978 წ.) ახლოს უდგება ათონის მონასტრის ერთ-ერთი ხელნაწერის ცნობა: „ღმერთო, აღიდე ბაგრატ აფხაზეთა მეფე და ქართველთა კურაპალატი... რომელმან იწება აღწერა წმიდისა ამის წიგნისა წმიდათა მოწამეთა-ინდოქტოონისა მეფობისა მათისასა: კე: „დასამამითგან წელთა: ზქზ: ქორნიკონსა სკბ:“³

ქორნიკონსა სკბ (222) რომ ვაევივოთ, საკი-როა მეთორმეტე მოქცევის დასასრულს 780 წელს დაეუბრათ 222, რის შემდეგაც მივიღებთ 1002 წ. (780+222=1002); ამ დროს ბაგრატი ყოფილა „აფხაზეთა მეფე და ქართველთა კურაპალატი“. დაახლოებით იმავე თარიღს იძლევა „დასამამითგან წელთა: ზქზ (6607 წ.). აქ უნდა 6607 წ. დავაყოლო 5604, რის შემდეგაც მივიღებთ 1003 წ. (6607 — 5604 = 1003).

ბაგრატ III აფხაზეთში გამეფების თარიღის გასაგებად 1002, 1003 წელს უნდა დავაყოლო 25 (ინდოქტოონი მეფობისა მათისა), რის შემდეგაც მივიღებთ 977-978 წელს; ეს იქნება ბაგრატის აფხაზეთში გამეფების თარიღი⁴.

აქოდ ივ. ჯავახიშვილმა გვიმოიტანა და-სახუთა შემდეგი: რადგანაც 1002 წ. ბაგრატ III ყოფილა „აფხაზეთა მეფე და ქართველთა კურაპალატი“, მაშინ იგი მხოლოდ აფხაზეთ მეფედ ითვლებოდა, ქართლში — კი ჯერ არა, როგორც იმავეა ამ დროისათვის ქართლში ბაგრატს მხოლოდ კურაპალატობის პატივი ჰქონია. საისტორიო წყაროები ნათლად გვიჩვენებენ, რომ 1002 წლისათვის ქართველთა მეფედ ბაგრატ III-ის მამა გურგენი ითვლებოდა და ამიტომაც არის, რომ ბაგრატს მხოლოდ „ქართველთა კურაპალატი“ ეწოდება. 977-978 წელი კი ბაგრატ III-ის აფხაზეთში გამეფების თარიღია⁵.

მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ, კერძოდ 1008 წელს, როცა გურგენ მეფე გარდაიცვალა,

ბაგრატ III ვახდა მეფეთ-მეფე, აფხაზეთა და ქართველთა. სუმატ დავითის-ძმის (ტქმით: „ქარ-დაიცვალა ესე გურგენ მეფეთ-მეფეთ...“⁶) ბაგრატ ქართველთა მეფისა, ქორნიკონსა სკმ და დაუტყვა ძე ესე თჳსი ბაგრატ, აფხაზეთა, მეფე, კურაპალატი დიდი, დაეუფლა ტაბას მამულსა თჳსსა, და დაიპყრა ყოველი კავკასია⁷.

აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ნიკორწმინდის წარწერა 1008 წ. დიდი ხნით არ უნდა შორდებოდეს, რადგანაც ბაგრატი „ქართველთა კურაპალატადა“ წოდებულა.

იგივე თარიღს მოგვიცემს სწორი ვაზრებუ-წარწერის „რანთა მეფისა“. წარწერის ეს ნაწი-ლი სრულიად, არ გულისხმობს ბაგრატ III-ის 1010-1014 წლების ლაშქრობას. ეს ლაშქრობა, როგორც ცნობილია, ბაგრატმა ზავით დაამთავრა რადგანაც დაღლონ I-ის (985-1031) სამფლობელოები კი არ შემოიერთა, არამედ „აწივეს ზავი“; ამიტომ „რანთა მეფის“ ტიტული არ ექნებოდა.

წარწერაში მოხსენიებული „რანთა მეფე“ ამ-სახველი უნდა იყოს 1008-1010 წლების პირეთ-კახეთის დროებით შემოერთების ამბისა, როგორც სამართლიანად ფიქრობს სარგის კაკაბაძე (იხ. ზევით). სწორედ ამ ლაშქრობის შემდეგ, მიიღო ბაგრატ III-მ ტიტული: „მეფეთა მეფე, მეფე აფხაზეთა, ქართველთა, კახთა და რანთა“⁸. იმ არგუმენტით, რომ ბაგრატის „ქართველთა კურაპალატად“ მოხსენება დიდად არ უნდა შორდებოდეს 1008 წელს, შესაძლებელი ხდება ერთი ქრონოლოგიური მომენტის აღნიშვნა⁹.

„მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი მოგვითხრობს, რომ ბაგრატმა „აღიღო ჭუეუყანა პერეთისა, და განაჩინა მთავარდ აბულალ და წამოვიდა შინა“¹⁰. ამის შემდომ მოხდა პერეთის განდგომა, რამაც ბაგრატს აძლევდა ხელახლა ელაშქრა იქ და „აღიღო მეორედ პერეთი“¹¹. მეორედ ლაშქრობის დროს კახეთის გარდაცული ქორებისკობოზის დავითის მაგიერ, ახლა უკვე კვირიკე მეფობდა. რომელიც ბაგრატმა „შეაწყუდია ბოქორმას“, „დაუყენა ციხესა გარშემო მცველი წელიწად-მდი, წარიღო ბოქორმაცა და დაიპყრა სრულიად პერეთი და კახეთი, წამოიყვანა კვირიკე“¹².

¹ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუ-ხიშვილის მიერ, ტ. 1, თბ. 1955, გვ. 272, შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, თბ. 1948, გვ. 122. თარიღი გამოთვლილი აქვს ივ. ჯავახიშვილს იდენიშვლი მასალით.

² იქვე.

³ А. Чагарели, Сведения о памятниках грузинской письменности... I, 1886, гв. 83.

⁴ ამ წლების შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ციტირ. წიგნი, გვ. 123; თ. ეორდანი, ქორნიკეზი... I, გვ. VII, ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, II, გვ. 53.

⁵ ივ. ჯავახიშვილი op. cit, გვ. 123.

⁶ I ქართლის ცხოვრება, I, გვ. 382. შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის... II, გვ. 129. მისივე, საქართველოს მეფე და მისი უფლებების ისტორია, თბილისი, 1905, გვ. 8.

⁷ ქართლის ცხოვრება, გვ. 280 შდრ.

V. Minorsky, Fadel I (985—1031), იხ. New Leight on the Shaddâdids of Ganja, St. in Cauc. Hist. Cambridge, № 6, p. 40—45.

⁸ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს მეფე... გვ. 9.

⁹ ქართლის ცხოვრება, I, 279.

¹⁰ იქვე.

¹¹ იქვე.

რადგანაც პერეთ-კახეთის მთლიანად შემოერთება 1010 წლის ახლო ხანებში მოხდა¹ ხოლო კვირიკეს ბაგრატიის მიერ მეორედ დაშქრობის დროს „წელიწადამდე“ ჰქონდა ალფა შემოტყმული, ზუსტად შეიძლება დადგენა, რომ პერეთ-კახეთში პირველი დაშქრობა 1008 წლის ახლოს მომხდარა. 1010 წელს დაეკლოთ ერთი წელი კვირიკეს ბოქორშიაში შემწეუდებისა, რის შედეგადაც მივიღებთ 1009 წელს. მაგრამ პირველი დაშქრობა ჩატარებულა ამაზე უწინარეს და გურგენის 1008 წლის გარდაცვალების შემდეგ, ე. ი. 1008-1009 წლების მიჯნაზე.

ამრიგად, ნიკორწმინდის სააღმშენებლო წარწერის ელემენტები: „რანთა მეფე“ და „ქართველთა კურაპალატი“ ზუსტად ათარიღებენ წარწერას 1008-1009 წლებით.

ეს თარიღი კი ასწორებს გ. ბოქორიძის მიღებულ თარიღს (1010-1014 წ. წ. შემდეგი დრო) და აზუსტებს ს. კაკაბაძისას (1008-1010 წლის შემდეგ).

საბოლოოდ უნდა დავასკვნათ შემდეგი: ნიკორწმინდის ეკლესია დაუშთაურებიათ 1008 და 1009 წლების მიჯნაზე.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 129.

ალ. აბაშელის ლექსების მეორე ტომი

ოცდერთი წლის იყო ა. აბაშელი 1905 წლის რევოლუციამი მონაწილეობა რომ მიიღო, ამის გამო იგი დაპატიმრეს და ვოლოდის გუბერნიამი გადასახლეს. გადასახლებიდან დაბრუნებული აბაშელი 1909 წელს ბექდაეს თავის პირველ ლექსს და ამ დღიდან პოეზია ხდება მისი ცხოვრების შინაარსი.

ა. აბაშელს ცხოვრება და მოღვაწეობა მოუხდა თავისებურ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში. ეს ვითარება ისტორიის სამ ეტაპს მოიცავს, მეფის რუსეთის თვითმპყრობელურ რევოლუციის სესხიან წლებს, საქართველოში მენშევიკური მთავრობის დროებითი ბატონობის ხანას და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ პერიოდს. თავის-თავად ცხადია პოეტის შემოქმედებაში გამოხატულება პოეზია სამივე ეტაპშია. რა თქმა უნდა აბაშელის პოეტური შემოქმედების ყველაზე მთავარ და ნაყოფიერ პერიოდს საბჭოთა ხელისუფლების წლები წარმოადგენენ, როდესაც პოეტმა იპოვა თავისი ნამდვილი და საბოლოო შოთხილება და მთელი მგზნებარებით უმღერა სოციალისტურ სამშობლოს.

ა. აბაშელის შემოქმედების პირველმა პერიოდმა თავისი გამოხატულება პოეზია „შხის სოციალში“, ხოლო მეორემ „ანთებულ ხეჯანში“. პირველ წიგნში მოთავსებულია 1913 წლამდე დაწერილი ლექსები, სადაც ნათლად ჩანს, რომ პოეტი ვერ ურთივდება სოციალურ და ეროვნულ ჩაგვრას და მთელი ველთ მისწრაფობდა ყოფილიყო ხალხის აზრისა და ფიქრის გამომხატველი მომღერალი. მაგრამ შემდეგ პოეტი უიმედობამ შეიპყრო და დემოკრატიული პოეზიის ტრადიციებიდან გადახვევა იწყო. იგი თანდათანობით ექცევა ესთეტიზმის ტყვეობაში და ფორმის ეტლს აღიარებს. ამ მხრივ ა. აბაშელი ქართველი სიმბოლისტების ერთ-ერთი წინამორბედაა.

სოციალისტურ მშენებლობაში მოპოვებულმა არსებულმა წარმატებებმა ა. აბაშელი მოწინავე საბჭოთა პოეტების რიგში ჩააყენა. მისი პირველი წიგნი, რომელიც გამსჭვალულია საბჭოური სულისკვეთებით იყო „შხე და სამშობლო“, რომელშიც შეტანილია 1932 — 1939

წლებში შექმნილი ნაწარმოებები. ა. აბაშელს თავის ერთ-ერთ ლექსში ამბობს:

მესმის მებრძოლი დღის მოწოდება:
სკრიდეს კალამი როგორც ხანჯალი!
კიდევ მიწვევია გულში ზოდებად
ლექსების ოქრო დაუხარჯავი.

მინდა ამოვსწავა მე ეს მადანი,
ამოვალავო ოქრო რაც არის,
რომ აღარ დარჩეს ამოსატანი
ანთებულ სიტყვის ერთი მარცვალც.

პოეტის მებრძოლი სული კიდევ უფრო მძლავრად იგრძნობა მის შემდეგ სტრაქონებში:

აქამდე მხოლოდ ძალას ვიკრებდი
და შეტევაზე ახლა გადავალ.
მე ჩემი გრძნობით, ჩემი ფიქრებით
ჩვენი ეპოქის ახალგაზრდა ვარ.

და მართლაც, ა. აბაშელი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ახალგაზრდული მგზნებარებით, გატაცებითა და თავდავიწყებით მუხტავდა ჩვენი გმირი ხალხისა და ძლევაში სოციალისტური სამშობლოს საღიღებელ სტრაქონებს.

ა. აბაშელი მოხდენილი თქმების ბრწყინვალე ოსტატი იყო. მის პოეტურ შედარებაში ყოველთვის რეალისტურად არის დანახული და ემოციურად განცდილი ესა თუ ის საგანი ან მოვლენა. აკაკიზე დაწერილ ერთ-ერთ ლექსში იმის გადმოსაცემად თუ როგორ ახლო კავშირშია აკაკი საქართველოსთან, ა. აბაშელი ამბობს:

დგას საქართველო ოქროს თასივით
შენი ლექსების ნექტარით სავსე.

ამავე ლექსში პოეტური შედარებისათვის ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული ჩაგვრის დასამარების გამოსახატავად ა. აბაშელი ოსტატურად იშველიებს აკაკის პროზულ მემკვიდრეობის ბრწყინვალე ნიმუშს „ბაშინაშეს“.

ციცხლმა ის ფაში უკვე აღაგმა,
და ძველი ქვეყნის სასტაკი ძღვენი
დრომ თან წაიღო, როგორც არაგვმა
ბაში-აშესის დამხვეალი ცხენი. *



დ. გურამიშვილა რუსი, უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობის სიმბოლოა, მისი ცხოვრება და შემოქმედება ამ მეგობრობის ცოცხალი მატიანეა. დ. გურამიშვილის ბედი მეტორამეტე საუკუნის საქართველოს ისტორიულმა ვითარებამ ისე წარმართა თუ არა რუს და უკრაინელ აღმაინთა მხარდაჭერა შეიძლება იგი ქართველ ერს დაკარგოდა როგორც დიდი მწერალი და მოქალაქე. ა. აბაშელი ამ მეგობრულ მხარდაჭერაში ზედავს საქართველოს გაღარჩენის საწყისს, რასაც იგი შეეუშუალო პოეტური ფრანზით მიხედნილად გამოხატავს კიდევ:

მომავალ ქობის საწინდრად იქცა,
შენ რომ ღაზარემ გაქამა პურის,
იმ პურმა იხსნა ქართული მიწა,
შინაინ კერა მამაპაპური.

როცა პოეტი წერს დ. გურამიშვილზე თუ აკაკი წერეთელზე, აღექვანდრე უახვევზე თუ ვაჟა-ფშაველას უოველთვის ცდილობს მათი შემოქმედების აზრი თანამედროვეობის თვალსაზრისით გადაწვეტოს. ასე მაგალითად, ვაჟა-ფშაველას იგი წარმოსახავს ბუმბერაზ მხატვრად, ბუნების სულის ჩამდგმელად და შემოქმედად იმ დიდი სილამაზისა, რომლითაც ასე ვუბრალებს ჩვენი მთაბარი:

კალითის მალად მთებს შენა, უკ
შეუფე არა ჰყოლია.
უოველი შენი სიმღერა
თითო გერგატის ტოლია.

ამგვარი ცა და ხმელთი
ჩვენ წინათ არცა გვექონია:
ეს მთები, ეს ვარსკვლავები
შენი შექმნილი მგონია.

ა. აბაშელის პოეზია აღსავსეა საბჭოთა საქართველოს სიყვარულის ძლიერი განცდით, ღრმა აზრითა და მძაფრი გრძნობით.

სამამულ ომის ქართულ ღირსიკაში მძაფრად გამოიჩინვა ა. აბაშელის მებრძოლი პოეზიის ის შემართებელი სული, რომელიც ესოდენ აღავსებდა და საბრძოლველად მოეწოდებდა საბჭოთა აღმაინებს. ა. აბაშელმა ომის დაწყების მერტე დღესვე გამოაქვეყნა ღრმად პატრიოტულ ღეჭი „ცამ დაიქუხა გუშინ“, რომელიც გამსჭვალელია საბჭოთა აღმაინის მრისხანე გელისწყრომით ჩვენს ქვეყანაზე მტრის მუხანათური თავდასხმის გამო. შემთხვევითი როდია, რომ ა. აბაშელის ღეჭი „დედის წერილი“ ომის წლებში პოპულარულ სახალხო სიმღერად იქცა. ამ ღეჭის ფართო რზონანსი განაპირობა მისმა ლირიკულმა უშუალომამ და მალა პოეტურ ხარისხში აუვანილა ხალხურმა სისადაემ;

შეილო, სილაღე დედისა,
ცის შავარდნო მფრინავო!
გულთთად სილამს გავზავნი
უველა, ვინც დაჩა შინაო.
შენი გმირობის ამავე
რადიმი მოვეაწვდინაო.
აქ პირველობდი შრომაში,
იქაც უოფილხარ წინაო.

პოეტი მოეწოდებდა ქართველ ვაჟაკს გმირულად დაეცა საშობლოს ღირსება, მამაპაპური კერის სიწმინდე, შვილის აყანი, სისხლით მოოვეებული თავისუფლების დიდი ღრომა:

შენ, ქართველო ვაჟაკო, საშობლოსთვის
შობილო,
ხალხი მისთვის გადიღებს და თავს მისთვის
გვეღება,
რომ რუსთუელის სიმღერა მტერს არ
ჩაახშობინო,
რომ ნესტან და თინათინ მტერს არ მისცე
მხვეღებად.

შენი მიწის ორთქლი და კერის კვამლი აქა
ღვას,
შენი შვილის აყანი, შენი ფუქე აქ არი.
მტერი მოღის, კისერზე რომ უღელი
დაგადგას,
ვაჟაკურად დაუხედი, არ მოუშეა, დაკარი!

და როცა საბჭოთა აღმაინებმა მტერი შემეხრეს და კაცობრიობა დაღუპვისაგან იხსნეს, როცა 1945 წლის 9 მაისი მზესავით აენთო ჩვენი საშობლოს ცაზე ა. აბაშელმა შთამაგონებლად უმღერა სანატრელი დღის გათენებას.

ომის შემდგომ წლებში ა. აბაშელმა მგზნებარე ღეჭები უძღვნა ხალხთა შვეიღობის დიად საქმეს. ამ თემაზე დაწერილ მის პოეტურ ქმნილებებში („შვეიღობის მტრედი“, „ომი არ გვიღა“, „სღვის დაბადება“, „სახალწლო“ და სხვ.) გამოსტევიის მძაფრი სიქელელი ახალი ომის გამწაღებულთა მიმართ, რომლებიც ატომით ვეშქრებოდნენ უჯრ კადე ქრილობა შეუხორცებულ მსოფლიოს:

შვეიღობა სისხლით განბანილ მიწას!
შვეიღობა ასხნილ შრომის სუფევას!
დიღება იმ ხალხს, ვინც ბრძოლით იცავს
შობლიურ კერის თავისუფლებას!

ეს სტრიქონები და საერთოდ ა. აბაშელის მშვეიღობის თემაზე დაწერილი ღეჭები დღესაც ინარჩუნებენ თავიანთ ცხოველმყოფელ და საზოგადოებრივ ელერადობას.

ა. აბაშელი მალაი ესთეტიკური გეოვენების



პოეტი იყო, რაც ყველაზე უფრო სრულად და დიდი ძალით გამოვლინდა მის თანამედროვე ლექსებში. ა. აბაშელი მწერლობისაგან მოთხოვნებს ეპოქის შესაფერის მაღალ განწყობილებას და დაუცხრომელ ბრძოლის სულისკვეთებას.

ლექსში „ლირიკოსი და მეზაღე“, რომელიც აგებულია შრომაში გართულ მეზაღესა და მეოცნებე ლირიკოსის შორის გამართულ დიალოგზე, ა. აბაშელი სასტიკად ეკცხავს იმ პოეტებს, რომლებმაც მოვლენებს ალღო ვერ აუღეს და საზოგადოებრივ ცხოვრებისადმი პასიური დამოკიდებულება გამოიჩინეს. ეს ლექსი დაწერილია 30-იანი წლების დასაწყისში და მასში შეფიქრებული არის გამოთქმული ა. აბაშელის შემოქმედებითი კონცეფცია, რაც საფუძვლად უდევს მის შემოქმედებითს პრაქტიკას.

დამაჯერებლად ეღერს ა. აბაშელის სიტყვები იმის შესახებ რომ თუ მას ერთდროს ხიბლავდა სევდანარევი პოეზია, ნაღელიანი სიმღერები, ახლა ეს სიმღერები არა თუ თანავარსებობასა და გამოთავისებს არ პოეზებენ, არამედ საიარისპირო განწყობილებას იწვევენ:

ერთ დროს მომწონდა ლექსი უძღურ ცრემლით ნაბანი.

მზიბლავდა მწუხრის პოეზიის შავი მანტია.

ახლა-კი ვამბობ: როცა ირგვლივ ცეცხლი ანთია,

ბრძოლის მავიერად ატირდება მხოლოდ ჯაბანი.

(„პოეტებს“).

ამრიგად, სავსებით ბუნებრივი და ლოგიკურია ა. აბაშელის შემდეგი განცხადება:

ვიცი, დღეს პოეტს მოვთხოვება

ეპოქის კვილს გასცეს პასუხი.

(„ცამ ვარსკვლავები გაღმობიყარა“)

ახლა ცხოვრებამ არსებითად გარდაქმნა და შესცვალა ა. აბაშელის პოეზიის ხასიათი.

ა. აბაშელის პოეზია მდიდარია კეთილშობილური რითმებით და რაც მთავარია რითში ა. აბა-

შელის ლექსებში დიდი მუსიკალური მნიშვნელობის შემადგენელი ნაწილია

ზამთარმა მოთბის კალთები
დიდხანს აწვავა, აწუხა,
კლდიანი ხევი დაკეტა,
უინელით დაამარწუხა.

მაგრამ მოვიდა აპრილი,
სალამი გაღმობიქუხა,
ცაში ნახვეტი ბაჯადლო
ლაქვარდის ქებაში აღუღა,
დაამიტქავა მიწაზე, —
დაცვივდა ოქროს თავთუხად,
მიღი და კრიფე ყვავილი,
სიამისათვის შუა თუ ხარ.

(„ფოლადაური“)

მგზავსი მაგალითები ა. აბაშელის პოეზიაში უხვად გვხვდება.

ცხოვრებაშიც და პოეზიაშიც ალ. აბაშელი უაღრესად მორტილებული და უპრეტენზიო პიროვნება იყო. თვითონ პოეტმა მისი დაბადების 60 წლის თავთან დაკავშირებით გამართულ საიუბილეო დღეებში კარგად გამოხატა თავისი პირობალებული ბუნება:

თითქო მოწაფე ვღგავარ დაფასთან,
გულს მღელვარების აღი ეღება.
როგორ ამოღდა, როგორ დაფასდა,
დღეს ჩემი მცირე შემოქმედება!

პოეტი ჩვენს რიგებიდან წავიდა მაშინ, როცა მის ჯერ კიდევ აწელებდა მოზღვავებული სათქმელი. იგი საფლავში პოეზიის წურვილ მოუკლავი ჩავიდა:

შრომის უნარი მაქვს წინანდელი,
გულში თათი გეგმა მიწყვია,
ჯერ მე სიტყვისთვის ბრძოლა ნამდვილა,
ახე მგონია, არც დამიწყია.

(„სამოცი წელი“).

ვლადიმერ გიგინი

ყირიმის ომი და საქართველო

ყირიმის ომის შესახებ მრავალი შრომა არსებობს, როგორც რევოლუციამდელი, ისე რევოლუციის შემდეგდროინდელი გამოცდევები, რომლებიც საერთოს სხვადასხვა თვალსაზრისით აშუქებენ. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, არ შეიძლება ითქვას, რომ ყირიმის ომი სისრულით და ამომწურავად შესწავლილია. განსაკუთრებით ნაკლებად შესწავლილია ყირიმის

ომის ამიერკავკასიის ფრონტი და კერძოდ, ქართველი ხალხის მონაწილეობა მასში. ამას გარდა, დღემდე გამოქვეყნებულ ნაშრომების დიდი უმრავლესობა, როგორც სამართლიანად წერს სარეცენზიო წიგნის ავტორი, არკვევს მხოლოდ „ომის პოლიტიკურ, დიპლომატიურ და სამხედრო-სტრატეგიულ პრობლემას“, ხოლო საკითხი ამის შესახებ, თუ როგორი ვითარება

არსებობდა ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში ყირიმის ომის პერიოდში, როგორ მონაწილეობას იღებდნენ მასში ადგილობრივი ხალხები და რა როლი შეასრულეს მათ ამ ომში, თითქმის სრულიად უგაულებელყოფილა.

პროფ. ერ. ბურჭულაძის შრომა „ყირიმის ომი და საქართველო“ აშუქებს ყირიმის ომის ისეთ მხარეებს, რომელნიც დღემდე ნაკლებად ან სრულიად შეუსწაველი იყო, და ამაშია, სწორედ მისი მნიშვნელობა.

შრომის შესავალში დაწერილებით გადმოცემულია ყირიმის ომის გამოწვევი მიზეზები, რომელთაგან მთავარი იყო ინგლის-საფრანგეთ-თურქეთსა და მეფის რუსეთს შორის ბრძოლა გავლენის სფეროებისათვის, განსაკუთრებით კი შავი ზღვის სრუტეებისათვის.

დაქტებზე დაყრდნობით ავტორი მიუთითებს ინგლის-საფრანგეთის საღავერეო მოქმედებაზე ამიერკავკასიაში, შაშილისა და მამაღ-ემინის საქმიანობაზე კავკასიის მთებში ინგლისის ხასარგებლოდ.

ავტორი აქვე, ეხება რა მოწინააღმდეგე მხარეთა ძილებს განლაგებას ამიერკავკასიის საზღვარ მოქმედების ასპარეზზე ერთგვარ შედარებას აქეთებს რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომსა და ყირიმის ომს შორის. აღნიშნული შედარება კი თურქეთის არმიის უპირატესობაზე ლაპარაკობს უკანასკნელ ომის დროს, ხოლო საერთაშორისო ვითარებაზე მაშინ რუსეთისათვის არახელსაყრელი შეიქმნა, რაც მდგომარეობდა მეფის რუსეთის იზოლაციაში ამ ომის წინ. მდგომარეობა გაართულა აგრეთვე კავკასიაში მთელთა წინააღმდეგ ბრძოლამ, რის გამო, ავტორის სამართლიანი შენიშვნით, „ამიერკავკასია-თურქეთის საზღვრების დაკვირვებაზე დროად მიიმე პირობებში აღმოჩნდა“ (გვ. 23).

ნაშრომის პირველ თავში „დამპყრობთა გეგმები და ვარაუდები საქართველოში“ ლაპარაკია ამიერკავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს მნიშვნელობაზე, როგორც ორი კონტინენტის — ევროპისა და აზიის შემავრთველ ხილზე და ახალი დიდი სახელმწიფოს ინგლის-საფრანგეთ-თურქეთის მძაფრ კოლონიურ მეტოქეობაზე.

ცნობილია, რომ 1848 წლის რევოლუციების დამარცხების შემდეგ „აღმოსავლეთის საკითხმა“ უფრო მწვევე ხასიათი მიიღო, და ავტორი სრულიად სამართლიანად წერს, რომ ყირიმის ომი იყო ამ საკითხის გადაჭრის ერთ-ერთი რგოლი.

ამავე თავში გაშუქებულია მცირე აზიაში გაბატონებისათვის დიდ სახელმწიფოთა შორის ბრძოლის ორი პერიოდი: პირველ პერიოდში (1805-09) საფრანგეთი გაბატონებულ იყო ამ მხარეში, და საქართველოდან გაქცეული რუსეთით უკმაყოფილო ბატონიშვილები

ექებდნენ საფრანგეთთან კავშირს. მეორე პერიოდში, ე. ი. 1809 წლიდან, შესუსტდა რა საფრანგეთის პოზიციები, ინგლისის გავლენა იზრდება მცირე აზიაში. ამ დროს ერთმანეთს შეეჯახა ინგლისისა და რუსეთის ინტერესები, რადგან ინგლისი არ ურიგდებოდა აკ-ში რუსეთის დაპყვიდრებას.

ავტორი კარგად ხსნის ევროპის სახელმწიფოთა სამხედრო ბლოკის შექმნას რუსეთის წინააღმდეგ, რომლებმაც მიუხედავად შინგანში წინააღმდეგობისა საერთო ენა გამოიხატეს აღმოსავლეთში მხარდი მეტოქის-რუსეთის წინააღმდეგ.

მეორე თავი „საქართველო ყირიმის ომის პერიოდში“ ეხება საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესულ მნიშვნელობას ქართული ხალხის ეკონომიურ, პოლიტიკური და კულტურული განვითარებისათვის; საქართველო გადარწმუნლ იქნა ფიზიკური განადგურებისაგან; მას შეექმნა მშვიდობიანი არსებობისა და განვითარების პირობები. აქვე ლაპარაკია ამ შეერთებით გამოწვეულ უკმაყოფილებაზე ქართველი მალაიკ არისტოკრატის მხრივ იმის გამო, რომ მან ამის შედეგად დაკარგა თავისი წინანდელი პრივილეგიები. ამავე დროს ნაშრომში საკმაო ადგილი აქვს დიპლომატიური მიერ საქართველოში ერთგული ჩაგვრის პოლიტიკის გაშუქებასაც.

ამავე თავში ლაპარაკია საქართველოში რუსული მმართველობის შემოღებაზე, გრაფი ერტასოვისა და მენსიკოვის მიერ ჩატარებული რევიზიისა და სენატორი განის რეფორმებზე, რის შედეგადაც ეახტან VI კანონები შეიქცადა რუსეთის იმპერიის შიდა გუბერნიების კანონები. რუსეთის მთავრობის ასეთი მოქმედება შეუსაბამო აღმოჩნდა; ამიტომ აღნიშნულმა რეფორმებმა დიდ მღუღეარება გამოიწვია საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიაში; რეფორმების უნიადგობა შემდეგში აშკარა გახდა თვით მეფის მთავრობისათვის და ის იძულებული გახდა მდგომარეობის გამოსასწორებლად ახალი, ასევე შეუსაბამო, მაგრამ შედარებით უფრო რაციონალური ღონისძიებები გაეტარებინა.

1841 წლის შემდეგ რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობა შეირყა; ამის შემდეგ თვითმპყრობელობა ამიერკავკასიაში ცდლობს გამოიწვიოს აღმინისტრაციული, სამოქალაქო და ეკონომიური პოლიტიკის უფრო მოქნილი ფორმები და შეთოდები. ამის თვალსაჩინო მაგალითად ავტორს მიაჩნია მ. ერონცოვის მეფის-ნაცვლობის პერიოდი ამიერკავკასიაში, და ამ პერიოდს ის თვლის „რუსეთის თვითმპყრობელობის პოლიტიკის გარკვეულ მობრუნებად“ (გვ. 118). რის დასასაბუთებლად ვრცლად დახასიათებულია ერონცოვის აღმინისტრაციული რეფორმები და მის მიერ გატარებული

ღონისძიებანი ვაჭრობის, მრეწველობისა და კულტურის განვითარებისათვის ამიერკავკასიაში. აქვე ავტორი მიუთითებს იმაზე, რომ მ. ვორონცოვი, ვერდნობოდა რა თავადაზნაურობას, თავისი მმართველობით მტკიცედ ატარებდა ცარისტის პოლიტიკას საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

მესამე თავში „საომარი მოქმედების დასაწყისი“ ავტორი საარქივო მასალებზე დაყრდნობით ნათლად გვიჩვენებს თურქეთისა და მის მოკავშირეთა საომარ მხადეებს რუსეთის წინააღმდეგ, არ ტოვებს უუარაღებოდ შამილის შეთაურებით ამხედრებულ მიწებიდან მოქმედებას, რაც არა ნაკლებ საშიშროებას წარმოადგენდა მეფის რუსეთისათვის. აღნიშნულია ისიც, რომ ადგილობრივი ხელისუფლება იძულებული გახდა ჯარის ნაკლებობის გამო მიეღო ზომები ქართულ სახალხო ლაშქრის (მილიცია) შესაგროვებლად, ლაშქრის, რომელმაც ომის დროს დიხსტრულად შეასრულა თავისი მოვალეობა (გვ. 182).

ავტორი იხილავს საომარი მოქმედების დაწყებას 1853 წლის 15 ოქტომბერს შეკვეთილზე („წმ. ნიკოლოზი“) თურქების მოულოდნელი თავდასხმით და ბრძოლების მსვლელობას აწყურთან და ახალციხესთან; წარმოდგენილია მტრის სამხედრო გეგმა, რაც მიზნად ისახავდა შამილთან და მამაბე-ემინთან შეერთებას; ამიტომ, ავტორის აზრით, სრულიად სწორი იყო რუსეთის სარდლობის მოქმედება, როცა შან შილილ სათანადო ზომები სამეგრელო-გურჯისტის საზღვრების გასამაგრებლად.

ნაშრომის მეოთხე თავში „ომის კრიტიკული ეტაპი და რუსული იარაღის ტრიუმფი“ ავტორი ეხება საომარი მოქმედების ვეგმებს, რომელიც შედგენილ იქნა ნიკოლოზ პირველის მიერ აზიისა და ევროპის ფრონტზე 1854 წელს საომარი მოქმედებისათვის და ავრეთვე ვორონცოვისა და პასკევიჩის ვეგმებს ამიერკავკასიის ფრონტზე ბრძოლებისათვის. ავტორი, როცა ეხება სპარსეთის მთავრობის „ნეიტრალურ“ პოზიციას ამ ომში, სათანადო დოკუმენტების დამოწმებით აღნიშნავს, რომ სპარსეთის მთავრობის ეს პოზიცია „უფრო მარჯვე და ხელსაყრელი აღმოჩნდა რუსეთის მტრებისათვის — ინგლისისა და თურქეთისათვის“.

ამ თავში დაწვრილებით აღწერილია 1854 წლის აპრილში თურქების მიერ იზურგეთის დაკავება და გურია-სამეგრელო-იმერეთის მილიციის აქტიური მონაწილეობა ბრძოლებაში. დიდძალი საარქივო მასალის საფუძველზე ავტორი აგვიჩერებს მტრის წინააღმდეგ გურიაში გაშლილ ვიწრო ბრძოლებს. თურქები დასტკად დაამარცხდნენ ლანჩხუთში; აქ მათ დიკარგეს რამდენიმე ათასი კაცი; დაჩხუბი-ნეგოითში და შემდეგ ხოლოქში ქართული ლაშქრის გამარჯ-

ვებამ უზრუნველყო დასავლეთ საქართველოს უშიშროება 1854 წელს; ვერც შამილმა დრეტრსიულმა მოქმედებამ, რაც წავაჩუქებდა ჩუკოტისათვის არმიის ზურგის დეზორგანიზაციისათვის, შედეგი გამოიღო.

ნაშრომის მეხუთე თავი „ამერტაშის საექსპედიციო კორპუსის განადგურება და საომარი კამპანიის დასასრული“ ამუშავებს ომერტაშის სარდლობით თურქეთის საექსპედიციო კორპუსის შემოჭრას სამეგრელოში და ქართული ხალხის ბრძოლას რუს ჯარისკაცებთან ერთად საერთო მტრის წინააღმდეგ; აქვე ვერცად წარმოდგენილია ყარსთან ბრძოლები და თურქეთის 30-ათასიანი ჯარის კაბიტლეცია, ომერტაშის ჯარების დახვევა სამეგრელოდან და პარიზის 1856 წ. 14 მარტის საშველობო ხელშეკრულების პირობები.

დასასრულ, მეექვსე თავი „ქართული სახალხო ლაშქარი (მილიცია)“ მოლიანად დათმობილი აქვს ქართული სახალხო ლაშქრის ორგანიზაციის, მისი მორალური მდგომარეობისა და ბრძოლის უნარიანობის საკითხების ვამუშავებას.

პროფ. ე. ბერტელადის წიგნი ძირითადად დამყარებულია პირველ წყაროებზე, საარქივო დოკუმენტებზე. ვიგნში უყვლა საკითხი ვამუშავებულია მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებიდან. ავტორს შეუსწავლია და სათანადოდ გამოუყენებია ყარსის ომის დიდი თანამედროვეების მარქსისა და ენგელსის შრომები, მიძღვნილი „აღმოსავლეთის საკითხებისადმი“, სადაც ყრძოლ, ლაპარაკია საქართველოს ადგილისა და მნიშვნელობის შესახებ მეომარ მხარეთა სტრატეგიულ გეგმებში.

ავტორს კარგად აქვს ნაჩვენები ქართველი ხალხის შეურთებლობა და ზიზი უცხო დამპყრობლებისადმი და ამავე დროს მისი სიყვარული და ერთგულება რუსი ხალხისადმი, რუსეთის გამანათავისუფლებელ არმიისადმი, რომლის მზარ და მზარ თავდადებათ და გმირულად იბრძოდა საქართველოს სახალხო ლაშქარი.

ნაშრომს აქვს ზოგიერთი ნაკლოვანი მხარეებიც. აღნიშნავთ ზოგიერთ მათგანს: ნაშრომში აქა-იქ გვხვდებით გამოცრებას, რაც არასასურველ შეთავსილებას სტოვებს (გვ. 79 და 41, 124 და 125, 261, 384 და სხვ.), ციტირების დროს ავტორი წყაროს ყოველთვის არ უთითებს, ან ზოგჯერ უთითებს არა ზუსტად (იხ. გვ. 432 და სხვა).

ავტორი ზოგიერთ საკითხის ვამუშავებისას რატომღაც ვეგრდებს უვლის და არ ასახელებს იმ მკლევართ, რომლებსაც მანამდე უმუშავნიათ ამ საკითხებზე და მის მიერ ვაზიარებული დებულებები წამოუყენებიათ.

ნაშრომის 509-ე გვერდზე წერია, რომ „მამების, ძმების, მტრებისა და შვილების გვერდით ისტორიის, ქართველთა მრავალი ბრწყინვალე ფერტლები ჩასწერეს ქართველმა ქალებმაო“.

მაგრამ ამის დამადასტურებელი ფაქტები წიგნში მოტანილი არაა.

ნაშრომში მეტად გავრავლებული ჩანს კავკასიაში მ. ვორონოვის მეფისნაცვლობის პერიოდს საერთოდ და, კერძოდ, მის მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა დადებითად დახასიათება.

ავტორი, ვერძნობა რა რევოლუციამდელი ისტორიოგრაფიის მონაცემებს (უმათერესად, პოტო, ლუბროვინი), ჩვენს აზრით, არასწორად აშუქებს 1829 წლის გლეხთა მღელვარების მიზეზებს აღმოსავლეთ საქართველოში და, რაც მთავარია, როცა ეხება 1828-29 წწ. რუსეთ-თურქეთის ომს, არაფერს ამბობს ქართული სახალხო ლაშქრის (მილაციის) მოქმედებაზე აღნიშნულ ომში მტრის წინააღმდეგ. (გვ. 443).

ნაშრომის ღირსებას რამდენადმე ზრდილავს ის გარემოება, რომ მას დართული არაა ქვის ისტორიული რუკა, ამბავთა ქრონიკა და ჩვენთვის საძიებლები: პირთა, გეოგრაფიულ სახელებთა და საგნობრივ-თემატიკის, რაც გააადვილებდა წიგნით სარგებლობას.

სასურველი იყო დასავლეთ საქართველოში თურქების შემოჭრისა და იქ გაწვდილ საომარ მოქმედების გაშუქებისას ავტორის განეხილა აფხაზეთის მთავრის მიხეილ შარვაშიძის მოქმედება უირომის ომის დროს, მით უფრო, რომ ამ საკითხზე დღესაც ისტორიკოსებს შორის თანამობრივი აზრი არ არსებობს.

პროფ. მ. ჩხეიძე.
ისტორ. მეცნ. კანდ. ვ. ჯიჭინა.

სპარსული ხალხური ზღაპრები ქართულად

გამომცემლობა „ნაკადული“ ახლახან მკითხველებს მიაწოდა სპარსული ხალხური ზღაპრების ქართული თარგმანების საინტერესო კრებული „ბედის ჩიტი“ სახელწოდებით. წიგნში წარმოდგენილია საყოფაცხოვრებო ეპოსის თემაზე შექმნილი თორმეტი ზღაპარი, რომლებიც სპარსულიდან თარგმნილია კარლო ტაბატაის მიერ. წიგნი გაფორმებულია სახალხო მხატვრის ლადო გუდიაშვილის მიერ.

სპარსული ხალხური ზღაპრების ქართულად თარგმნა და მათი გამოცემა მისასალმებელი საქმეა, მით უფრო რომ ეს პირველი ცდაა ჩვენს სინამდვილეში.

სარეცენზიო წიგნის გაცნობამ და მისმა სპარსულ ტექსტებთან შეჯერებამ დაგვიარწმუნა, რომ მთარგმნელი დაუფლებია სათარგმნ მასალას, კარგად შეერჩევა სპარსულ გამოთქმათა ქართული შესატყვისები, კოლორიტის სრულყოფისათვის სათანადო ადგილებში დაუბრუნებია სპარსულის ელემენტები ცალკეულ სიტყვათა, გამოთქმათა თუ აღმოსავლური ყოფის რეალების სახით და ამრიგად მივიღეთ სპარსული ხალხური ზღაპრების კარგად შესრულებული ქართული თარგმანების კრებული.

მაგრამ, მიუხედავად დადებითი შედეგებისა, სარეცენზიო კრებულში სპარსული ტექსტის ზოგიერთი ადგილის სწორად, ან უკეთ გაგების თვალსაზრისით იწვევს რამდენიმე შენიშვნას. ასე, მკვლელითა: ზღაპარში — „ყუთული ვარდი“ იმ ადგილას, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ გასწვია ხელმწიფის ქალიშვილმა უდაბნოში შემთხვევით გატყობილი უფლისწულის საძებრად, ვკითხულობთ: „ახლა იმას აღარ იკითხავთ, ვაშაში რა გაჭირვება გადახდა, ან რა დაბრკოლებები გადალახა? როსტომისა და ეს-

ფენდიარის ვაგზე ნაცლები გაჭირვება როდის გადახდენია ამ ქალიშვილს, ვიდრე უფლისწულის ქალაქს მიაღწებოდა“ (გვ. 65). აქ, რა თქმა უნდა, გაუგებრობასთან ვვაჭვს საქმე. სპარსულ ტექსტში წერია: „მარ ჩე ბარ სარე როსთამ ვა ისფენდიარ თუ ჰაფთ ხ(ვ)ან ამიდ ბესარე ინ დობთან ამიდ თა რასიდ ბეშარე ფესარ“ (გვ. 76), რაც ნიშნავს: „ამ ქალიშვილს, ვიდრე იგი ვაის ქალაქს მიაღწევდა, თავს გადახდა ყველაფერი ის, რაც როსტომმა და ესფენდიარმა გადაიტანეს შვიდ საგმიროთ თავგადასავალში“. როსტომი და ესფენდიარი, ირანელი ნაციონალური ეპოსის ცნობილი გმირები, ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ პერსონაჟებია. როსტომმა შეფე ქაი-ქაუსის ტყვეობიდან დასახსნელად ილაშქრა საზარელ დევნა და აღჭაჯთა სამფლობელოში, შაჰნადარანში (ირანის ჩრდილოეთით, კასპიის ზღვის სანაპირო მხარეში), სადაც მან შვიდი სასტიკი ომი გადაიხადა და შვიდი საზარაკო გმირობაც გამოიჩინა. როსტომის საგმირო საქმეები მსგავსია აგრეთვე ესფენდიარის შვიდი თავგადასავლისა, ხოლო რაც შეეხება ზღაპრის დედაში ფირდოუსის შაჰ-ნამესეტი ნახმარ გამოთქმას „აფთ ხ (ვ) ან“, ეს, ჩვეულებრივ მიუხედავად ითარგმნოს როგორც შვიდი გმირობა, შვიდი თავგადასავალი. მაშასადამე, სპარსულ ზღაპარში ხელმწიფის ქალიშვილის აშბავი შედარებულია ირანული ნაციონალური ეპოსის გმირების როსტომისა და ესფენდიარის თავგადასავალთან და არა ამათი ვაის (?!). მიერ გადატანილ გაჭირვებასთან.

კრებულის 57-ე გვერდზე ზღაპარში „საადი და საიდი“, სადაც მოთხრობილია თუ რა ბრძანება გასცა მეფემ თავისი დაკარგული ცოლ-შვილის მოძებნის მიზნით, ვკითხულობთ: „ვე-

ზიარმა ფადიმას თავი მდებლად დაუტრა და უბახუბრა:

— დე, მშვიდობა ნუ მოაკლდება ქვეყნის თანასწორ ხელმწიფეს, ყველაფერი ისე აღსარულდება, როგორც თქვენ ბრძანებთო“.

აქ ვერ გავიზიარებთ სპარსულ ტექსტში შაჰის ეპითეტად ხმარებული „ყვებლე ელამ“-ის „ქვეყნის თანასწორად“ თარგმანს. „ყვებლე“, როგორც ცნობილია, აღნიშნავს სამხრეთ მხარეს, მიმართულებას მექსასკენ, საბოლოოდ ლოცვის დროს მუსლიმანები მიიპყრობენ ზოლმე სახეს. ამიტომ ამ სიტყვას თავისი შინაარსით უკვე იმედის მნიშვნელობაც ეძლევა. უველა ამის გამო უმჯობესი იქნებოდა, იგი თარგმნილიყო როგორც „ქვეყნის იმედი“, „ქვეყნის მფარველი“, მაგრამ არა როგორც „ქვეყნის თანასწორი“.

ამავე ზღაპარში ტახტიდან გადმოვდებული ხელმწიფის მიერ შეიღების დაკარგვის ამბავი ასეა თარგმნილი: „ჩვენმა ნახელმწიფთარმა და იმისმა ცოლ-შვილმა დიდხანს იხტიალეს ველსა და უღაბროში და ბოლოს ერთ მდინარეს მიადგნენ. მდინარე კარგა მოზრდილი იყო და ვაღმა ნაპირზე ატეხილი ტყერი იწყებოდა... დედოფალი ვაღმა გვიდა, მამამ კი საადი ხელში აიყვანა და წყალში შევიდა. შუა მდინარეს რომ მიიღწია, ტყიდან მშვიერი ლომი გამოვარდა, ნაპირზე დატოვებულ საიდს ეძებრა და მოიტაცა“ (გვ. 55). აქ მკითხველის ყურადღებებს მიიპყრობს ის შეუსაბამობა, რომელიც შეინიშნება ტყის მდებარეობის გამო; თუ ტყერი მდინარის ვაღმა ნაპირზე იყო, იქიდან გამოვარდნილი „მშვიერი ლომი“ საიდის გასატაცებლად რაღად გადმოსცურავდა „კარგა მოზრდილ“ მდინარეს, როდესაც მსხვერპლად იმავე ნაპირზე მყოფი ნახელმწიფთარის ცოლს გამოადგებოდა. სპარსულ ტექსტში ვკითხულობთ, რომ სხენებულმა დევნილებმა უღაბროში ბევრი ხეტიალის შემდეგ „რასიდან და მე მექრუდანი-ი ქანარე მექრუდანი“ (გვ. 65), რაც ნიშნავს: „მოაღწიეს ერთ მდინარეს ერთი ტყის პირას“, ხოლო ამის შემდეგ მოთხრობილი ამბავი კიდევ უფრო ნათელს ხდის, რომ ეს ტყე არა ვაღმა, არამედ სწორედ ვაღომა მხარეს უოფილა.

ცოტა ქვემოთ, სადაც მოთხრობილია თუ როგორ გამოაცალა ხელიდან ერთმა უცხო მხედარმა ცოლი იმავე ბედშია ფადიმას, ვითხულობთ: „ქალი რომ მიხვდა, მხედარი მატყულებო, ხეწინამუდარა დაუწყო, ქვასაც კი მოაღობოდა იმისი ვედრება, ოღონდ იმ კაცის გულს მაინც ვერაფერი მოუხერხა“ (გვ. 56). როგორც ვხედავთ აზრი ნათელია, მაგრამ სპარსულ ტექსტში გულის ქეისთან მხედარება სხვაგვარადაა მოცემული. დედანში ასეთია: „ვალ

ავარ ბედელე სანგ ასარ ქარდ ბედელე სავარ-ქამ ასარ ქარდ“ (გვ. 66), ეს კი ნიშნავს: „ხოლო თუ ქვეს ვულზე (ქაავულზე) იმომქედნდა (ქალის ვედრება), მხედრის გულზე იმოქმედებდა, ე. ი. როგორც ქვაზე არ იმოქმედებდა ვედრება ქალისა, ასევე მხედრის გულმა არ შეისმინა იგიო“.

კრებულის პირველ ზღაპარში — „გამილი ვარდი“ მოთხრობილია ერთი პატიოსანი და სათნოებით აღსავსე ვაჟის შესახებ, რომელიც როგორც საკუთარ, ისე სხვენისაგან მიზარებულ ფულსა თუ ძვირფას ნივთიელებას ამხარში ინახავდა და აი „ერთხელ საშინელი დილა გაეთენდა ვაჟარს; ის-ის იყო გაიღვიძა, რომ შვატყობინეს:

— დექანსა და ამბარს ცეცხლი ვაენდა და მთელი შენი ქონება გადაიბუგაო“ (გვ. 3): „ლოქქან ვა ამბარათ სუხთ“ (გვ. 4). წარმოადგენილი ადგილიდან ჩვენ გვინდა შევეცხოთ მხოლოდ მთარგმნელის მიერ „ამბარ“-ის ქართულადაც ამავე სიტყვით გადმოტანის საკითხს.

სპარსულში ამბარი აღნიშნავს საწყობს, საცავს და სხვა მისთანებს, რაც ფულისა და ძვირფასი ნივთების შესანახავ ადგილად შეიძლება იქნას გამოცხადებულ. მაგრამ სხვა ვაგებთ ინხარება ეს სიტყვა ქართულში, სადაც ამბარს იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ბედელს, აღნიშნავს ის, აგრეთვე, ყუთის მსგავსი დიდი ტყვადობის სათავს ხორბლეულის ან ფქვილის შესანახად (იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 1,300). ამიტომ საჭირო იყო, რათა მთარგმნელს სპარსული „ამბარი“ მოცემული კონტექსტისათვის სათანადო ქართული შესატყვისით შეეცვალა.

ერთ-ერთ ზღაპარში „ვარგი და ურგი“, ვარდა ამ სათაურში აღნიშნული ორი პერსონაჟისა, მოქმედ პირებად გამოყვანილია აგრეთვე ლომი, ვეფხვი, მგელი და მელია, რომელთა ერთად შეყრისას რიგრიგობით პყევიანი ახალ ამბებსა და მათ მიერ მოთხრობილის ფონზე ვითარდება სიტუატი. მაგრამ თარგმნილი ზღაპრის ფინალში, განსხვავებით სპარსული ტექსტისა, მგელი აღარ ჩანს.

მთარგმნელი გზადგება სქოლიოში იძლევა ქართულ ტექსტში დატოვებული სპარსულ-არაბული სიტყვებისა და გამოთქმათა ახსნას. ეს რა თქმა უნდა, საჭიროა, მაგრამ ამავე წესით უნდა განმარტებულიყო ფაქირი (გვ. 39), ღერვი (გვ. 53).

თვალში ვახვდება ისეთი ფორმები და გამოთქმები, როგორიცაა: „წაჟყე, უშველე ამ კაცის ცოლს“ (გვ. 56), „დაიანდა, მისი ცოლი აქლემზე გადაბრძულიყო და მოირწყოდა“ (გვ. 115). თარგმანში შეინიშნება, აგრეთვე კ. მაჰირისპირებული კავშირის, უადგალოდ ხმარება. მაგალითად, იშხატყე კი იწყება ასეთი დამ-

თავრებული წინადადებით: „ქალი კი დიდად
კმაყოფილი დარჩა თავისი საქციელით“
(გვ. 112). ანალოგიური შემთხვევები დასტურ-
დება სხვა გვერდებზეც (111, 113...), უადგილო-
დაა ხმარებული, აგრეთვე, მთელ რიგ ადგილას
სხვათა სიტყვების გადმოსაცემად ქართულში
არსებული ო-ბგერა (გვ. გვ. 4,5,7...)

კარგი იქნებოდა, რომ ამ კრებულს წამძღვა-
რებული ქმონდა მოკლე შესავალი წერილი,
რომელშიც მკითხველს მიეცემოდა ზოგიერთი
კნობა სპარსული ზღაპრის შესახებ. აქვე და-

სახელდება იმ სპარსული კრებულის გამო-
ცემაც, რომლითაც სარგებლობდა მთარგმნელი.

რასაც ვირველია, არაა გამორჩეული კერძო
უცხო თვალმა, კიდევ დაადასტუროს წიგნში
აღნიშნულის შესავსი თითო-ორიოთხეული ნაწილი,
შეგარამ უველაფერი ეს არ ამცირებს კრებულის
დადებით მხარეებს.

სპარსული ზღაპრების ქართული
კრებულის გამოცემით „ნაკადულმა“ კარგი და
სასარგებლო საქმე გააკეთა.

ა. შაღავეა

ახალი წიგნები

გამომცემლობა „საბავთა საქართველო“

- მარქსისტული ფილოსოფიის საფუძვლები — რედ. შ. გაბილია. გვ. 882. ფასი 1 მან. 10 კაბ.
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია — პასუხისმგებელი გამოშვებისათვის.
ე. შერკვილაძე. გვ. 934. ფასი 1 მან. 35 კაბ.
- გ. ორჯონიძე — სტატიები და სიტყვები. ტ. II, ტომი მოამზადა ტ. ნ. ბელოვამ. თანაშემწე.
ნ. ე. პეტრუხოვა. გვ. 1048. ფასი 1 მან. 30 კაბ.
- ფ. შიღერი — რჩეული თხზულებანი სამ ტომად. ტ. I. თარგ. გერმანულიდან დ. ლაშქარაძისა და მ. მაისურაძის. გვ. 656, ფასი 2 მან და 20 კაბ.
- კონსტანტინე გამსახურდია — რჩეული თხზულებანი. ტ. V. სარდაქოო კოლეგია: ირაკლი აბაშიძე, სერგი ტილია, გიორგი ნატროშვილი. გვ. 970. ფასი 1 მან. 40 კაბ.
- ალექსანდრე ქუთათელი — პირისპირ. რომანი. ტომი II. წიგნი III-IV. რედ. ე. მალრადე. გვ. 277. ფასი 1 მან.
- მ. კვესელავა — ფაუსტური პარადიგმები. წიგნი პირველი. რედ. ოთარ ჯინორია. გვ. 694, ფასი 1 მან. 80 კაბ.
- წ. თორგოშინი — ჩაუქრობელი ცეცხლი. რომანი. თარგმ. სომხურიდან ივანე დავითიანისა. რედ. არჩ. დავითიანი. გვ. 436. ფასი 90 კაბ.
- ელიზბარ მაისურაძე — გარდატეხილი მყურები. რედ. ი. ხოშტარია. გვ. 145. ფასი 20 კაბ.
- ნანა კანდელაკი — იმედი გული, რედ. ბ. შირცხელავა. გვ. 135. ფასი 12 კაბ.
- ვ. ბახტაძე — რჩეული ნაწერები. შეადგინა თამარ ბახტაძემ. რედ. ბ. ქლენტი. გვ. 278. ფასი 90 კაბ.
- ა. ვახლიძე — ქიზია ადამიანის სამსახურში. რედ. ბ. პატარია. გვ. 142. ფასი 25 კაბ.
- ფ. გ. მაისურაძე, ა. ლ. მიწანდარი — მერქნის შრომა. რედ. გ. ჯორჯანელი. გვ. 72. ფასი 25 კაბ.
- ლ. ი. მაქსიმოვი — მოთხრობები ავტობიოგრაფიულზე. მთარგ. შ. სულაბერიძე. რედ. თ. ბიჭიაშვილი. გვ. 61. ფასი 16 კაბ.
- ო. ბურკულაძე, ს. გოგოტიშვილი, ნ. ნინუა, ო. ცხომელიძე — თევზის ზელოვნური გამოზრდა. ტბორებში. რედ. შ. სულაბერიძე. გვ. 58. ფასი 10 კაბ.
- ვ. შ. იანვარაშვილი — დიდი რუსი მექანიკოსები. რედ. თ. ბიჭიაშვილი. გვ. 69. ფასი 12 კაბ.
- ა. კარბელაშვილი — პირველი ტელეგრაფი საქართველოში. რედ. გ. ქრისტესაშვილი. გვ. 20. ფასი 6 კაბ.
- ხიმონ უაუხჩიშვილი — ლათინურ-ქართული ლექსიკონი. რედ. ი. შენგელია. გვ. 495. ფასი 80 კაბ.
- ალექსანდრე ნეიშანი — ქართული სინონიმთა ლექსიკონი — რედ. ირაკლი არაბული. გვ. 621. ფასი 1 მან. 73 კაბ.
- ხერგი მაკალათია — ძამის ხეობა. რედ. ირ. არაბული. გვ. 53. ფასი 10 კაბ.
- გ. ბუენაშვილი — თბილისის მწვანე სამოსი (რუსულ ენაზე) რედ. — ერასტი ტოროტაძე. გვ. 96. ფასი 30 კაბ.
- პ. მებრეველი — შავწყალს სათავისაყენ. რედ. ნ. შამხაშვილი. გვ. 22. ფასი 5 კაბ.
- ხოლომონ ლეკიშვილი — რატალი საქარაველოში. რედ. ნ. შამხაშვილი. გვ. 57. ფასი 38 კაბ.
- ბენო გორდუზიანი — ქართული სასტამბო შრიფტები — რედ. ე. ტოროტაძე. გვ. 178. ფასი 1 მან.
- ნინო რამიშვილი, ილიაკო ხუხიშვილი — სამშობლოს სახელით. რედ. ელ. ბეგრატიონი. გვ. 51. ფასი 31 კაბ.
- ნოდარ გვახარია — ცისფერ შოედნებზე. რედ. ბ. დარსაძე. გვ. 94. ფასი 11 კაბ.

ՅՆԵՆ 80 ԿՅՅ.

6/12/228



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„ՄՈՒՏՈՒԹՅՈՒՆ“

ИЗДАТЕЛЬСТВО «СЛАБОТА МЦЕРАЛИ»